შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2015

უაკ (UDC) 355.48(479.22)
შ – 83

წიგნი შეადგინა **ანდრო გოგოლაძემ**

რედაქტორი **ზაზა აბაშიძე**

კორექტორი **თამარ შარაბიძე**

წიგნში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში დაცული მასალის ფოტოები

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015

© ანდრო გოგოლაძე, 2015

ISBN 978-9941-25-076-7

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის გამოკვლევას ფეოდალური ხანის ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესახებ, ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების პროცესს განსაზღვრავდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოს სახელმწიფოს თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა ცივილიზაციებთან უწევდა ურთიერთობა. ამ ურთიერთობებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე.

ნაშრომში განხილულია ქართული სამხედრო ორგანიზაციის სოციალური ფენების, სამხედრო აღჭურვილობის, საბრძოლო ხელოვნების სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების, ციხე-სიმაგრეთა და ციხე-ქალაქების სისტემათა საკითხები. ცალკე თავი აქვს დათმობილი დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართული სამხედრო ისტორიის საკითხების კვლევას.

ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის კვლევას ჩვენს ისტორიოგრაფიაში მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. ქართველმა მკვლევარებმა ფუნდამენტურად შეისწავლეს თემასთან დაკავშირებით მთელი რიგი პრობლემური საკითხები. განსაკუთრებული წვლილი საკითხის კვლევაში შეიტანეს – ივ. ჯავახიშვილმა, ს. კაკაბაძემ, შ. მესხიამ, ივ. შაიშმელაშვილმა, ქ. ჩხატარაშვილმა, კ. ჩოლოყაშვილმა, გ. ანჩაბაძემ, გ. აკოფაშვილმა, პ. ზაქარაიამ, გ. გამყრელიძემ, ს. მარგიშვილმა, ჯ. სამუშიამ, მ. წურწუმიამ და სხვებმა. მათმა გამოკვლევებმა ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიეს წარმოდგენილ ნაშრომზე მუშაობისას.

საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის სამხედრო ხელოვნების შესახებ ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ წერილობით წყაროებში გარკვეული რაოდენობის მასალა მოგვეპოვება. ამ ძეგლებიდან აღსანიშნავია ძველაღმოსავლური (ასურული, ურარტული) წყაროები, თუმცა, ისინი საომარი კამპანიების ზოგად ამბებს აღწერენ. ბერძნული და ლათინური (რომაული) ისტორიოგრაფია, ამ კუთხით, უფრო მდიდარია, რადგან ძველ ლურსმულ ეპიგრაფიკულ მასალებთან შედარებით მისი წერილობითი ძეგლები უფრო სრულყოფილია და ანტიკური ქართლის და კოლხეთის შესახებ მეტ ინფორმაციას შეიცავს.

ქართული ნარატიული წყაროები ქვეყნის გაბმულ ისტორიას გვაძლევენ, რომელიც, მართალია, მდიდარია სამხედრო კამპანიების აღწერის კუთხით, მაგრამ მათი ცნობები, ძირითადად ასახავენ საბრძოლო ოპერაციების ზოგად სურათს და არა კონკრეტულ სამხედრო-ტაქტიკურ ანალიზს. ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულება ეძლევა ქართული სამართლის ძეგლებს, რომლებიც მდიდარ ინფორმაციას გადმოგვცემენ საქართველოს სამხედრო სისტემის სტრუქტურის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, თუ ვინ წერდა ამ თხზულებებს?! „ქართლის

ცხოვრების" და სხვა ქართული წერილობითი ძეგლების ავტორები, ძირითადად, საეკლესიო წრეების წარმომადგენლები ან სამხედრო სფეროსგან მეტად დაშორებული პირები იყვნენ. ამიტომ, ნათელია, რომ მათ თხზულებებში არ ჩანს სამხედრო-ტაქტიკური თვალსაზრისით საბრძოლო მოქმედებების დეტალური ანალიზი. ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, ეს მემატიანეები აღწერილი მოვლენების თანამედროვენიც არ არიან, რაც კიდევ უფრო ართულებს საკითხის რეალური ისტორიული სურათის აღქმას. მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი მემატიანე, ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, სამხედრო პირია და მეფის თანამედროვე, მისი თხზულება უფრო ლიტერატურული, ეპოსურ-რომანული ჟანრისაა, ვიდრე სამხედრო-ტაქტიკური ხასიათის.

სამწუხაროდ, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში არ შექმნილა სამხედრო ხელოვნებისადმი მიძღვნილი ტრაქტატი, რომელიც სამხედრო სისტემის ორგანიზაციას, საომარ ტაქტიკას, აღჭურვილობას თუ საბრძოლო წყობას შეეხება, ამიტომ ისტორიკოსებს ამ საკითხის შესახებ უწევთ წყაროებში არსებული ფრაგმენტული მასალის აღრიცხვა, დახარისხება და უმეტეს შემთხვევაში, საკითხის გარშემო ჰიპოთეზების გამოთქმა, რაც, რა თქმა უნდა, ქართული სამხედრო ხელოვნების სურათის სრული რეკონსტრუირებისათვის საკმარისი არ არის.

განსხვავებით შუა საუკუნეებისგან, საკითხის შესასწავლად და ეპოქის სურათის რეკონსტრუირებისათვის, გვიანდელი საუკუნეების წყაროები ფასდაუდებელ ინფორმაციებს გვაწვდიან ქართული სამხედრო სისტემის, საბრძოლო წყობის, აღჭურვილობის, სამხედროვალდებული სოციალური წრეების შესახებ. ეს, ძირითადად, ეხება XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხებს. ამიტომ, შუა საუკუნეების სამხედრო სისტემებზე მსჯელობა-ვარაუდებისგან განსხვავებით, გვიანი საუკუნების ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესასწავლად უფრო ნათელი სურათი წარმოგვიდგება.

წერილობით მონაცემებს მნიშვნელოვანწილად ავსებს არქეოლოგიური მასალა, რომელიც საინტერესო ინფორმაციას შეიცავს საბრძოლო იარაღისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების შესახებ. უმეტესწილად, სწორედ, არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს მთავარ წყაროს ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III-I ათასწლეულები) ქართული ტომების და, ასევე, ანტიკური ქართლის და კოლხეთის სამხედრო ხელოვნების შესწავლის საქმეში. არქეოლოგიური მასალა საინტერესო ცნობებს იძლევა კოლხური და იბერიული (ქართლის) სამხედრო საჭურვლის შესახებ. მოპოვებულ მასალებში გვხვდება საბრძოლო იარაღის ნიმუშები: სატევრები, მშვილდისრები, საბრძოლო ცულები, სასროლი იარაღი – ისრები, ქვის შურდულები და ყუმბარები. მეომართა აღკაზმულობის – მუზარადების, ჯაჭ-

ვის პერანგების, ფარების ფრაგმენტები და ცხენების აღკაზმულობის ნაშთები. უმნიშვნელოვანესია, აგრეთვე, არქეოლოგიური მონაცემები საფორტიფიკაციო ნაგებობების – ციხის კედლების, კოშკების და სხვა თავდაცვითი სისტემების შესასწავლად.

ნაშრომში განხილულია, როგორც დასავლეთ ევროპული, ასევე მუსლიმური და ბიზანტიური სამხედრო ხელოვნების ისტორიული მემკვიდრეობის მდიდარი მასალა. ქართული სამხედრო ხელოვნების სისტემა, ძირითადად, შედარებულია შუა საუკუნეების ევროპულ სამხედრო სისტემებთან, რადგანაც შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ორგანიზაცია ორგანული ნაწილი იყო ქართული ფეოდალური სისტემისა, რომელსაც გარკვეული საერთო მახასიათებლები გააჩნდა შუა საუკუნეების ევროპულ ფეოდალურ სისტემასთან.

ნაშრომში გამოყენებულია ძველი ქართული (ნარატიული და სამართლის ძეგლები, ეპიგრაფიკული წყაროები) და უცხოურ წყაროთა მონაცემები, ასევე, ქართველ და უცხოელ ავტორთა გამოკვლევები სამხედრო ხელოვნების შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სამხედრო აღჭურვილობის, ძველი მანუსკრიპტების და იარაღის ფონდის მასალები. წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და განკუთვნილია, როგორც საკითხით დაინტერესებული მკვლევრების, ასევე, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

თავი I

სამხედრო საქმის ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეების სამხედრო საქმის ორგანიზაცია სამი ძირითადი მიმართულებით ხასიათდება: დასავლეთ-ევროპული, ბიზანტიური და აღმოსავლური (მუსლიმური). მიუხედავად იმისა, რომ მათი სამხედრო ორგანიზაციის სისტემის ფორმები განსხვავდებოდნენ, სამხედრო სამსახურის არსი საერთო ჰქონდათ. ის მიწისმფლობელობაზე და მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე იყო დამოკიდებული. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპისთვის დამახასიათებელი იყო მიწისმფლობელობის სენიორალური სისტემა (ვასალიტეტი), რაც გამოიხატებოდა ფეოდალურ-ვასალურ ურთიერთობებში. ეს იყო ფეოდალური კიბის იერარქიული სისტემა, როცა მიწისმფლობელი ვალდებული იყო სამხედრო სამსახური გაეწია თავისი სენიორისათვის, მიღებული წყალობის სანაცვლოდ. საერთოდ, შუა საუკუნეების ევროპაში, ფეოდალიზმის სისტემის ჩამოყალიბებას, სწორედ სამხედრო საქმის ორგანიზაცია დაედო საფუძვლად. რაც შეეხება, ბიზანტიაში და მუსლიმურ აღმოსავლეთში არსებულ სამხედრო სამსახურის ორგანიზაციას, აქაც მისი მოტივი ეკონომიკურ ასპექტში იდო, მაგრამ ამ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში მიწის ფონდის მთავარი მესაკუთრე სახელმწიფო იყო, რომელიც მიწას სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გასცემდა დროებით საკუთრებაში. მიუხედავად, განსხვავებისა ევროპულ და აღმოსავლურ სამყაროს შორის, სამხედრო ვალდებულების მთავარ მამოძრავებელ ძალას ფეოდალური მიწისმფლობელობა წარმოადგენდა. ფეოდალურ ეპოქაში მთავარი შემოსავლის წყარო მიწითსარგებლობა იყო. მიწაზე მცხოვრებ მეთე-მეთა და ყმა-გლეხობაზე არსებული ბატონყმური რიგი და მსხვილი სამეურნეო სავარგულების ფლობა განსაზღვრავდა სენიორის ადგილს და სტატუსს სახელმწიფოში.

შუა საუკუნეების საქართველოში სამხედრო სამსახურის მთავარი მოტივი მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვება იყო. საქართველოში სამხედრო სამსახურში მყოფი პირები სამეფო მიწის ფონდიდან მიღებულ ნაკვეთებს ფლობდნენ. ეს იყო საკუთრებაში დროებით გადაცემული მიწის ნაკვეთი, რომელიც მანამ ეკუთვნოდა მფლობელს, სანამ ის სამხედრო სამსახურს ასრულებდა. ამ ფორმით სახელმწიფოსთან წარჩინებულთა წრის წარმომადგენლები იყვნენ დაკავშირებულნი, რომელთა მთავარ მოვალეობას სამხედრო სამსახური წარმოადგენდა.

სამხედრო საქმის ფეოდალური ორგანიზაცია, შუა საუკუნეების ქართულ, ევროპულ, ბიზანტიურ და მუსლიმურ სამყაროში, მიუხედავად განსხვავებებისა,

ერთი საერთო ნიშნით ხასიათდებოდა. სამხედრო სამსახური ყველა ამ პოლიტიკურ-რელიგიურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ სივრცეებში, დამყარებული იყო მიწისმფლობელობის ფორმებზე და მისგან მომდინარე ვალდებულებებზე.

ევროპაში, სამხედრო სამსახურის არსი სენიორალურ-ვასალურ სისტემაში მდგომარეობდა. ჯერ კიდევ V-VIII საუკუნეებში, ძველი ფრანკების და გერმანელების ნახევრად ბარბაროსულ სახელმწიფოებში სამხედრო არისტოკრატია განაგებდა მიწების ძირითად ფონდს. ამ მიწებს ისინი სწორედ სამხედრო ვალდებულებების გამო იღებდნენ ფრანკთა და გერმანელთა ბელადებისაგან, მოგვიანებით კი, საფრანგეთის და გერმანიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ფრანკთა სამეფოს მმართველებისაგან. ამ მიწების სარგებლობის სანაცვლოდ სამხედრო არისტოკრატიის წევრები ვასალურ დამოკიდებულებაში შედიოდნენ მეროვინგების და კაროლინგების დინასტიის წევრებთან. დროთა განმავლობაში, ეს მიწისმფლობელები მსხვილ სენიორებად გადაიქცნენ და გახდნენ თავიანთი მოლაშქრე-ვასალების სიუზერენები. ეს სენიორები თავიანთ ვასალებს სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ საკუთარი მიწის ფონდიდან აძლევდნენ ნაკვეთებს სარგებლობის უფლებით. სამსახურის სანაცვლოდ გაცემული ეს საკუთრება, ბენეფიციუმის ფორმიდან (დროებით სარგებლობაში გაცემული მიწის ნაკვეთი) გადაიქცა მუდმივ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებად და ფეოდალური ევროპის მიწების ძირითადი ფონდი კერძო სენიორალურ, მემკვიდრეობით საკუთრებაში აღმოჩნდა. ამგვარი ურთიერთობის ფორმა ფეოდალური სისტემის ისეთ კიბეს ასახავდა, რომელიც განპირობებული იყო უშუალოდ პატრონსა და მის ხელქვეით მყოფ ვასალს შორის არსებული უფლება-მოვალეობებით. ასეთ მიწებზე მცხოვრები მოსახლეობა, ძირითადად, მეთემე-გლეხობა, ამ სენიორების ყმებად იქცნენ.

კაროლინგების ხელისუფლება სამხედროვალდებულს ხდიდა ყველა მიწისმფლობელს, რომელსაც ნადელი მიღებული ჰქონდა სამხედრო სამსახურის პირობით. სამხედრო ვალდებულებები გაწერილი იყო კაროლინგების მეფეების ბრძანებების – კაპიტულარების მიხედვით. 807 წლის კაპიტულარის მიხედვით, სამხედრო სამსახური ევალებოდა ყველას, ვინც ფლობდა ბენეფიციუმს და ამ ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ მისი მფლობელები იყვნენ თავისუფალი მაცხოვრებლები და ყველა, ვინც ფლობდა 3-5 მანსის[1] მიწას, აუცილებლად უნდა გამოსულიყო სალაშქროდ. სამხედრო სამსახური ევალებოდათ, ასევე, იმათ, ვინც უფრო ნაკლები მანსის მიწას ფლობდა. თვით ისინიც კი ვალდებულნი იყვნენ, რომლებიც ნახევარი მანსის, ნახევარი ნადელის მფლობელები

---

1 მანსი – მიწის ფართობი, ნადელის ზომის განმსაზღვრელი. ერთი მანსის მიწა, ერთი ნადელი იყო. ადრეფეოდალურ და შუა საუკუნეების (X-XIII სს.) ევროპაში მანსი განსაზღვრავდა სხვადასხვა სახის მიწისმფლობელობის ფორმებს და საკუთრებას. მანსი-მიწის ფართობი, რომელშიც მოიაზრებოდა გლეხის კარ-მიდამო, სახნავ-სათესი, საძოვარი. შუა საუკუნეებში, მანსის ფართობი მერყეობდა 10-15 ჰექტარს შორის.

იყვნენ, მაგრამ მათ შეღავათი ეძლეოდათ, რადგან ბრძანების მიხედვით, შეეძლოთ რამდენიმე ასეთი მცირე ნადელის მფლობელს, მხოლოდ ერთი მეომარი აღეჭურვათ და ის გაემზადებინათ სალაშქროდ. ისინი, ვისაც 3 და მეტი მანსის მიწა გააჩნდათ, თვითონ უნდა გამოსულიყვნენ საბრძოლველად. როგორც ვხედავთ, სამხედრო სამსახური დამოკიდებული იყო ქონებაზე. რადგან სამხედრო აღჭურვილობა ძალიან ძვირი ღირდა, ამიტომ ამ კაპიტულარებში სამხედრო ვალდებულებები დიფერენცირებული იყო ქონების მიხედვით. ხელისუფლება მკაცრად აფრთხილებდა მიწისმფლობელებს, რომ არანაირი მიზეზით თავი არ აერიდებინათ სამხედრო სამსახურისათვის. 802 წლის კაპიტულარი ყველას აფრთხილებდა, რომ, როდესაც იმპერატორი (კარლოს დიდი) გასცემდა ლაშქრობის ბრძანებას, არც ერთ პირს, არც სენიორს, არ ჰქონდა უფლება, თავი აერიდებინა სამხედრო სამსახურისაგან. ეს ბრძანებულება აფრთხილებდა გრაფებს[2], რომ არანაირი პირობით არ გაეთავისუფლებინათ თავიანთი ვასალები არმიაში გაწვევისაგან, თუნდაც ისინი მისი სახლის წევრები ყოფილიყვნენ.

ინგლისში, მეფის ხელისუფლება სამხედრო სამსახურს ყველა თავისუფალ მოქალაქეს ავალებდა. ჰენრი II-ის 1181 წლის ბრძანებით, ყველა მეომარი, რომელსაც გააჩნდა მიწა, რომელიც სამსახურის სანაცვლოდ იყო გაცემული, ვალდებული იყო ჰქონოდა ჯავშანი, მუზარადი, ფარი და შუბი და თითოეული ფეოდიდან მეფე ითხოვდა ერთ მეომარს. ამავე ბრძანების მიხედვით, ყველა თავისუფალი მაცხოვრებელი და ქალაქის მოსახლეობა იყო სამხედროვალდებული: „ყველა მოქალაქე და ყველა თავისუფალი მაცხოვრებელი ვალდებულია, რომ იქონიოს კამზოლი (ძველი ფრანგული სიტყვა – Camisole, ლათ. Camisiale, უსახელო სამოსი, ჟილეტი, სამხედრო დანიშნულების ხიფთანი, რომელიც აბჯრის ქვეშ ჩასაცმელ დაბამბულ პერანგს ჰქვია), რკინის ჩაფხუტი და შუბი". როგორც ვხედავთ, გარდა მიწისმფლობელი სამხედრო პირებისა, სამხედრო სამსახური ქალაქის მაცხოვრებლებსაც ევალებოდათ, რომლებიც ასევე შედიოდნენ თავისუფალთა კატეგორიაში. ეს სამხედრო ვალდებულება მემკვიდრეობით გადადიოდა ინგლისის მოსახლეობაზე. ბრძანებაში ნათქვამია, რომ მოქალაქის სიკვდილის შემდეგ, მისი სამხედრო საჭურველი გადაეცემა მის შვილს და თუ მემკვიდრე არ ჰყავს ან არ არის შესაბამისი ასაკის, მაშინ მისი მზრუნველი ვალდებულია მოძებნოს ისეთი პირი, რომელიც მოიხმარს ამ იარაღს მეფის სამსახურისათვის, სანამ არ შეუსრულდება მემკვიდრეს შესაბამისი ასაკი იარაღის სატარებლად. სამხედრო ვალდებულების ასაკი განსაზღვრული იყო 15-

2 ფრანკთა სახელმწიფოში კაროლინგთა მმართველები გრაფებს ნიშნავდნენ პროვინციების გამგებლებად, რომელთაც ევალებოდათ გადასახადების აკრეფა და სამხედრო კამპანიის პერიოდში პროვინციებიდან რაზმების გამოყვანა. ამ სამსახურისთვის, გრაფებს ეძლეოდათ სარგებელი იმ ნადელებიდან, რომელსაც ხელისუფლება აძლევდა მათ ბენეფიციუმის სახით. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, გრაფებისადმი ნაწყალობევი გახდა მემკვიდრეობითი, სარგებლობაში გაცემული მიწა გადაიქცა „ლენად" და გრაფი გახდა ფეოდალისთვის საპატიო წოდება.

დან 60 წლამდე. მეფე მკაცრად აფრთხილებდა ყველა სამხედროვალდებულ პირს, რომ ბრძანების შეუსრულებლობისა და უმიზეზოდ სამსახურის თავის არიდების შემთხვევაში მათ სასტიკად დასჯიდა, თვით სიცოცხლის ხელყოფის უფლებით. მოგვიანო, 1205 წლის ბრძანებაში, მეფე ჯონ უმიწაწყლო მოქალაქეებს აფრთხილებდა, რომ სამსახურისგან თავის არიდების შემთხვევაში ჩამოართმევდა მიწას და გადასცემდა მათ სენიორს, რათა შემდეგ არც მათ და არც მათ მემკვიდრეებს აღარ მიეღოთ ეს მიწა. ხოლო იმ რაინდებს, სერჟანტებს, თუ სხვა სამხედრო პირებს, რომლებსაც არ გააჩნდათ მიწაზე საკუთრება, სამსახურისგან თავის არიდების შემთხვევაში, მეფე ემუქრებოდა, რომ მათ მემკვიდრეებს წაართმევდა თავისუფლებას და ყმებად აქცევდა წელიწადში 4 დინარის გადახდის ვალდებულებით. XII საუკუნეში, 1158 წლის რონკალეს სეიმის გადაწყვეტილებით, საღვთო რომის იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ გამოსცა ბრძანებულება, რომ თუ ფეოდის პატრონი არ გამოცხადდებოდა სალაშქროდ, მაშინ მას თავის ნაცვლად უნდა გამოეყვანა სხვა მეომარი, რომ არ დაკლებოდა სამხედრო სამსახურს, ან უნდა გადაეხადა თავისი ფეოდის წლიური შემოსავლის ნახევარი ხელისუფლების სასარგებლოდ. და ეს ეხებოდა არა მარტო გერმანელ ფეოდალებს, არამედ იტალიის ქალაქების მოსახლეობასაც, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ სამხედრო სამსახური გაეწიათ იმპერატორისთვის.

მსგავსი სასჯელი ემუქრებოდათ საქართველოშიც სამხედროვალდებულ პირებს, თუ სამხედრო სამსახურს თავს აარიდებდნენ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს ნორმა ეხებოდა მთის მოსახლეობას: ხევისბერს, ჰეროვანს, თემის კაცს. XIV საუკუნეში, გიორგი V ბრწყინვალის მიერ, აღმოსავლეთ მთის რეგიონის მოსახლეობისთვის შექმნილი „ძეგლისდების“ კანონით, უმიზეზოდ სამსახურისგან თავის არიდების შემთხვევაში ხევისბერს ერთმეოდა თანამდებობა და მიწა და უბრუნდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადრე ნამსახური იყო და ერისთავის ან გამგებლის შუამდგომლობა ექნებოდა სამეფო კარის წინაშე. ამავე დროს, კანონი მხოლოდ მაშინ ათავისუფლებდა ლაშქრობიდან ხევისბერს, თუ იგი იმ დროისათვის შეუძლოდ იყო, მაგრამ ათავისუფლებდა ნაწილობრივ, რადგან ის მისი ოჯახის წევრს უნდა შეეცვალა დროებით. ჩვენ არ გვაქვს მონაცემები, თუ რას ითვალისწინებდა შუა საუკუნეების ქართული სამართალი ბარის რეგიონის სამხედროვალდებული მოსახლეობის მიმართ, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასჯელი ვერ აცდებოდა სამხედროვალდებულ პირს, ლაშქრობისგან თავის არიდების შემთხვევაში, არა მარტო შუა საუკუნეების საქართველოში, არამედ, ზოგადად, სახელმწიფოს ისტორიის მანძილზე.

საინტერესოა, ასევე, ის მონაცემებიც, რომლებიც მიუთითებენ ფეოდის მფლობელი სამხედროების ვალდებულებაზე, თავიანთი სახსრებით აღეჭურვათ ერთი მეომარი. კაროლინგების 807 წლის კაპიტულარი სამხედროვალდებულთაგან მოითხოვდა, რომ ყოველ ორს, რომელთაც გააჩნდათ ორი ნადელი მიწა,

უნდა გამოეყვანათ ერთი მეომარი; სამიდან, რომელთაც გააჩნდათ ორი ნადელი, უნდა გაერთიანებულიყვნენ და აღეჭურვათ ერთი. ექვსი მიწისმფლობელიდან თითოეულს, ნახევარი ნადელის მქონეს, თავისი სახსრებით უნდა გამოეყვანათ ერთი მეომარი. მათ, ვისაც მიწა არ გააჩნდათ, უნდა გაერთიანებულიყვნენ ექვსკაციან ჯგუფებად და თავიანთი სახსრებით გამოეყვანათ ერთი მეომარი. რაც შეეხება 3, 4 და 5 მანსის (ნადელი) მფლობელ პირებს, ისინი თავიანთი სახსრებით უნდა გამოსულიყვნენ სალაშქროდ.

ინგლისის მეფის ჯონ უმიწაწყლოს 1205 წლის ბრძანებულებაში, სამხედრო ვალდებულების შესახებ, წერია, რომ ყოველმა ცხრა რაინდმა თავისი სახსრებით უნდა აღჭურვოს მეათე მეომარი, მისცეს მას 2 სოლიდი გამოსასყიდის ფასად იმიტომ, რომ ყოველი ასეთი მეათე მეომარი ემსახურებოდეს ხელისუფლებას.

შუა საუკუნეების საქართველოშიც, სამხედრო საქმის ორგანიზაცია მსგავსად ევროპულისა, დამოკიდებული იყო მოსამსახურის ვალდებულებებზე სახელმწიფოს წინაშე და მიწისმფლობელობაზე. სამსახურის სანაცვლოდ, წარჩინებული, დიდი და მცირე აზნაური თუ მსახური, მიწის ნაკვეთს – „საკარგავს" იღებდა. ამ „საკარგავს" გასცემდა, როგორც სამეფო ხელისუფლება, ისე მსხვილი მიწისმფლობელი ფეოდალი, თავისი ვასალის ერთგულების პირობით. „საკარგავის" ფორმა მსგავსი იყო ფრანკთა სამეფოს „ბენეფიციუმის" საკუთრების ფორმისა. ასეთი ტიპის სამხედროვალდებულს და ამ საკუთრების მფლობელს ქართულ წყაროებში „მოსაკარგავე" ეწოდებოდა. სამხედრო საქმე აზნაურული იყო. მათ მიერ მიღებული მიწის ნაკვეთები მათ მიწისმფლობელებად აქცევდა და ხშირ შემთხვევაში ეს მიწის ნაკვეთები მუდმივ მფლობელობაში რჩებოდათ. სამეფო ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა, რომ სამხედრო სამსახურში მყოფი პირებისათვის „საკარგავი" სენიორალურ საკუთრებად არ ქცეულიყო, მაგრამ, დროთა განმავლობაში, იძულებული იყო მოხელე-აზნაურისათვის ის მუდმივ საკუთრებაში დაეტოვებინა. ეს, რა თქმა უნდა, სერიოზულ საფრთხეს ქმნიდა, რომ უკვე მიწისმფლობელ სამხედრო პირს ნაკლები ვალდებულებანი ჰქონოდა სამეფო კართან, მაგრამ ფეოდალურ ეპოქაში დროებითმფლობელობაში არსებული მიწების კონტროლი რთული იყო.

თუ ანტიკური ხანის საქართველოში ჯარში მეთემეებსაც ვხედავთ, მოგვიანებით, ფეოდალური ეპოქის ადრეული საუკუნეებიდან (V-VI სს.), სამხედრო საქმე საქართველოში, უშუალოდ, წარჩინებულების, წვრილი აზნაურების, მეფის ტაძრეულების და მსახურების ხელში გადავიდა. მეთემე უკვე მხოლოდ მიწის მუშად, გლეხად გვევლინება, რომლის საქმეს სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენდა. ასეთივე სურათი გვხვდება ადრეული საუკუნეების ევროპაში და ბიზანტიაშიც. IX საუკუნეში, იმპერატორმა კარლოს დიდმა აკრძალა გლეხობის ჯარში გაწვევა, რადგან სამხედრო აღჭურვილობა ძვირი ღირდა და ცუდად შეიარაღებული მეთემეები დამატებით პრობლემებს უქმნიდნენ სამეფო

ხელისუფლებას. ფრანკთა (სალიკური) სამართლის (V-VI სს.) მიხედვით, ერთი ცხენოსანი მეომრის სრული აღჭურვილობა 45 სოლიდი ღირდა, რაც დაახლოებით 45 ძროხის ფასი იყო. ეს კი, ფაქტიურად, იმდროინდელი ფრანკთა სოფლის მთელი ნახირის რაოდენობას უტოლდებოდა. აღნიშნული სამართლის მიხედვით, საომარი ცხენი 12 სოლიდი ღირდა, მაშინ, როცა ჩვეულებრივი ფაშატი 3 სოლიდის ფასი იყო. გარდა იმისა, რომ გლეხები ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი, ისინი წარმოადგენდნენ არაორგანიზებულ, სამხედრო საქმის უცოდინარ მასას, რომლის გაწვრთნაც დამატებით ხარჯებს მოითხოვდა. თუმცა, იმავე ფრანკთა სამეფოში, თავისუფალ მეთემეთა ფენიდანაც გაჰყავდათ მოლაშქრეები, მაგრამ ამ სამსახურს ავალებდნენ იმ მოსახლეს, რომელსაც შეეძლო საბრძოლო ცხენის და იარაღის შეძენა. მცირემიწიანი მეთემეების რამდენიმე კომლიდან მხოლოდ ერთი მოლაშქრე გამოდიოდა. XII საუკუნის დასაწყისის ინგლისში, მეფე ჰენრი I-ის ბრძანებით, ყოველი ცხრა გლეხიდან ერთს დაევალა სამხედრო სამსახური და მეცხოვნედ დგომა. ამ მოლაშქრის ოჯახს დანარჩენი რვა კომლი ინახავდა. ასეთი ტიპის გლეხები მეფის მინისტერიალები (მსახურები) ხდებოდნენ და მათი სამსახური უკვე აზნაურული იყო.

რაც შეეხება, ბიზანტიაში არსებულ სამხედრო ვალდებულებებზე აგებულ ურთიერთობების და უფლება-მოვალეობების სისტემას, აქ მიწის ფონდის მთავარი მესაკუთრე სახელმწიფო იყო. VII საუკუნიდან ბიზანტია სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქებად – თემებად იყო დაყოფილი და სამხედრო სამსახურს განაპირობებდა ამ მიწების დროებით საკუთრებაში არსებული სისტემა. სამხედრო ვალდებულების სანაცვლოდ გადაეცემოდათ მიწა სტრატიოტებს, რომლებიც იყვნენ მემკვიდრეობით სამხედრო მოსამსახურეები, გამოსული თავისუფალი მეთემეებიდან და მათ მთავარ საქმეს სამხედრო სამსახური წარმოადგენდა. მათ ეძლეოდათ მიწის ნაკვეთები მემკვიდრეობითი უფლებით სამსახურის სანაცვლოდ, მაგრამ ამ მიწის გაყიდვა ან გასხვისება ეკრძალებოდათ, რადგან მიწის უზენაესი მფლობელი ბიზანტიის ხელისუფლება იყო. ისინი თავისუფლდებოდნენ სახელმწიფოს სხვა გადასახადებისაგან, გარდა სარგებლობაში მიცემული მიწის რენტისა. სტრატიოტები ბიზანტიური არმიის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ. ისინი ქმნიდნენ სამხედრო თემებს, რომელთა სათავეში სტრატეგოსები იდგნენ. მოგვიანებით, XII საუკუნიდან, ასევე რენტის უფლებით გადაეცემოდათ მიწა პრონიატებს, რომლებიც სტრატიოტების მსგავსად სამხედრო ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფოს წინაშე. სტრატიოტების როლი XI საუკუნიდან დაეცა და სამხედრო საქმე მაღალი წრის, მიწისმფლობელ მემამულეთა ხელში გადავიდა. უკვე X საუკუნიდან, იმპერიის ლაშქარში მოლაშქრეებად, სწორედ, ამ ფენიდან გამოსული პირები იყვნენ, მძიმედ შეჭურვილ ცხენოსან რაზმებს კი იმპერიის უმაღლესი კასტის, კეთილშობილთა წრის წარმომადგენლები ავსებდნენ. იმპერია განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა იძულებული, დახმარებისათვის გლეხობისთვის მიემართა. ანა კომ-

ნენოსის გადმოცემით, იმპერატორი ალექსი კომნენოსი პაჭანიკებთან მარცხის შემდეგ, იძულებული გახდა, არმიის სიმცირის გამო ჯარში გლეხობაც გაეწვია. მაგრამ ეს შემთხვევები, ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ იძულებით ხასიათს ატარებდა.

მუსლიმურ აღმოსავლეთში – არაბულ-სელჩუკურ სამყაროში, მიწა სახელმწიფო საკუთრება იყო. მუსლიმი მმართველების, სულთნების, ამირების, ათაბაგების ხელისუფლება თავიანთ სამხედრო მოსამსახურეებს მიწას დროებით სარგებლობაში აძლევდა. მსგავსი ვითარება იყო მოგვიანებით ოსმალურ იმპერიაშიც, სადაც მიწის ერთადერთ მფლობელს სულთნის ხელისუფლება წარმოადგენდა.

მსგავსი სურათი გვაქვს ამ პერიოდის რუსული სამთავროების სამხედრო სისტემაში. მთავრის „დრუჟინას" (მთავრის ლაშქარი) წარჩინებულთა წრიდან ავსებდნენ. „დრუჟინის" რაზმები, ძირითადად, ცხენოსანი მეომრებისგან ივსებოდა, რაც გულისხმობს მის შემადგენლობაში წარჩინებულთა ყოფნას. თუმცა, ამ რაზმებში ასევე გვხვდებიან არარუსი, დაქირავებული მეომრები, პოლონელები, ლიტველები, ყივჩაღები, თურქები, ვიკინგები და სხვ. ამ დროის რუსულ პოლკებში გლეხები არ ჩანან, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა მთავარს გლეხებიც გაჰყავდა სალაშქროდ, მაგრამ აქაც ბიზანტიურის მსგავსად, მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს. დრუჟინიკები ქართულ მსახურებს და ევროპულ მინისტერიალებსაც გავდნენ, რადგან, გარდა სამხედრო სამსახურისა, მათ მთავრის, ბოიარის მამულში და სასახლის კარზე სამეურნეო საქმიანობაც ევალებოდათ.

საქართველოშიც მოლაშქრეობა მხოლოდ წარჩინებულთა და პროფესიონალ სამხედროთა საქმე იყო. მეფეს სამხედრო კამპანიის დროს მუდმივად თან ახლდა მესაწოლეების (პირადი დაცვა), ტაძრეულების (მეფესთან მუდმივად მყოფი მსახურეულ პირთა წრე) და მონასპის რაზმები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გამოჰყავდათ სამეფო სპა, საერისთავოებიდან გამომავალი რაზმები. მსახურთა ფენა სამხედრო სამსახურში იდგა და მისი საქმეც აზნაურული, მოლაშქრეობა-ნადირობა იყო. ბარში მცხოვრები გლეხობა სამეურნეო საქმიანობით ირჩენდა თავს. რაც შეეხება საქართველოს მთის რეგიონებს, მას თავისი სპეციფიკა ჰქონდა და თემის ყოველი კაცი სამხედროვალდებული იყო. მხოლოდ მონღოლებმა დააკისრეს საქართველოში გლეხობას სამხედრო სამსახური, მაგრამ ისინიც კი აცნობიერებდნენ, რომ გლეხის ჩამოშორება მეურნეობიდან, საბოლოოდ გამოიწვევდა სამეურნეო სისტემის გაჩანაგებას. ეს თვით მონღოლებსაც არ აწყობდათ, რადგან შეუმცირდებოდათ დაპყრობილი ქვეყნებიდან შემოსავალი. ამიტომ, ცხრა სრულფუძიანი გლეხთა ოჯახიდან ერთს აკისრებდნენ მოლაშქრეობას და დანარჩენ რვას ავალდებულებდნენ მიეხედათ ლაშქარში წასული თანამემამულის მეურნეობისათვის. მხოლოდ მოგვიანებით, გვიან ფეოდალურ ეპოქაში (XV-XVIII სს.) ჩანს გლეხობის მონაწილეობა სამხ-

ედრო კამპანიებში.

ზოგადად, გლეხთა ჩამოშორება სამხედრო საქმისაგან, ძირითადად, ფეოდალური მიწისმფლობელობის სისტემის განვითარებამ გამოიწვია. შემოსავლის მთავარ წყაროს მიწა წარმოადგენდა. დოვლათს სამეურნეო დარგების განვითარება ჰქმნიდა. ამას სჭირდებოდა სამეურნეო საქმის მცოდნე ფენა – გლეხობა, რომლის შრომაზე იყო დამოკიდებული მეურნეობის განვითარება. გლეხობის მოწყვეტა ძირითადი საქმიანობისგან და ბრძოლებში გამოყვანა, დროთა განმავლობაში მეურნეობის გაჩანაგებას გამოიწვევდა. ამავე დროს, სამხედრო აღჭურვილობა ძალიან ძვირი ღირდა და მასზე ხელი მხოლოდ შეძლებულ მიწისმფლობელებს და მათ ვასალებს მიუწვდებოდათ. სამხედრო საქმე პროფესიონალ მოლაშქრეთა წრის ხელში იყო. მის მომზადებას და გაწვრთნას განუწყვეტელი სამხედრო ვარჯიშები, ნადირობა-მოლაშქრეობა სჭირდებოდა. შრომის და, საერთოდ, საქმიანობის განაწილების ნათელი ფორმულა მოცემულია ევროპულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში – ღმერთის სახლი, რომელსაც ერთგვარად მიიჩნევენ, სინამდვილეში სამსახიანია: ერთნი ლოცულობენ, მეორენი ომობენ, მესამენი შრომობენ. ეს დამახასიათებელი იყო საქართველოს სინამდვილისათვის. „ვეფხისტყაოსანში" მოცემული ეს ფორმულაც ამ სისტემას ასახავს: „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს".

ძირითადად, XI საუკუნიდან, ევროპაში ჩამოყალიბდა პროფესიონალ მოლაშქრეთა ფენა, რომლის ერთადერთ საქმიანობას და შემოსავლის მთავარ წყაროს სამხედრო სამსახური წარმოადგენდა და ეს სამხედრო მოსამსახურეების ძირითადი მასა აზნაურთა და მინისტერიალთა (მსახურეული ფენა ევროპაში, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები) რიგებიდან ივსებოდა. ასეთივე სურათი გვაქვს ჩვენ ამ ეპოქის საქართველოშიც – სამხედრო სამსახური უკვე პროფესიონალი პირების საქმედ იქცა.

თავი II

სამხედრო წრის სოციალური სტრუქტურა

სამხედრო საქმე შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპაში პროფესიონალ მოლაშქრეთა ხელში იყო. საქართველოში სამხედრო ორგანიზაციის ორი სახე არსებობდა: ერთი, ბარის რეგიონის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ფეოდალურ-ვასალურ ურთიერთობებზე აგებული ლაშქარი და მეორე, მთის რეგიონის გვაროვნულ-თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი, როცა თემის ყველა მამაკაცი იყო სამხედროვალდებული. შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო წრე არაერთგვაროვანი იყო. მასში შედიოდნენ დიდებულები, ტაძრეულები, მსახურები, მოლაშქრე-მსახური – „მონები“ (მონასპის რაზმები) და როქის სპა – დაქირავებული უცხოელების კონტინგენტი. დასავლეთ ევროპაში სამხედრო ორგანიზაციის წევრები კი იყვნენ სენიორები (ჰერცოგები, ბარონები, გრაფები), რაინდები, მინისტერიალები და დაქირავებული პროფესიონალ მოლაშქრეთა რაზმები, რომლებიც შუა საუკუნეებში, დროთა განმავლობაში იქცნენ მთავარ სამხედრო ფენად.

რაინდი. რაინდი საგანგებოდ გაწვრთნილი მეომარია შუა საუკუნეების ფეოდალური წრიდან (ფრანგულად – Chevalier, გერმანულად – Ritter, ინგლისურად – Kneight). რაინდთა წრე თავისი კოდექსით, მოვალეობებით, განსაკუთრებით გამორჩეული იყო ფეოდალურ ევროპაში. რაინდობა ევროპაში X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ფრანკთა სამეფოში რაინდების ფენას შეადგენდნენ მეფის რაზმელები. ისინი იყვნენ შეძლებული წრიდან გამოსული მიწისმფლობელები. რაინდობა ეს იყო წარჩინებულთა პატივი, რომელიც დამყარებული იყო მისი მფლობელის მოვალეობებზე საზოგადოების წინაშე. ადრეულ საუკუნეებში რაინდად გახდომა ყველას შეეძლო, თვით ქალაქის მცხოვრებლებსაც კი. მაგრამ რაინდის პატივის მისაღებად მრავალი სირთულის გადალახვა უწევდა ახალგაზრდა მეომარს და, რაც მთავარია, მას თავისი სენიორის მიმართ ერთგულება უნდა დაემტკიცებინა, როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიანობის დროს. ეს იყო სამსახური სიუზერენის კარზე, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალ ვალდებულებას მოიცავდა. მოგვიანებით, XII საუკუნიდან, რაინდის პატივი მხოლოდ წარჩინებულთა პრეროგატივა გახდა. მძიმედ შეიარაღებული რაინდი ცხენზე ამხედრებული მეომარი იყო და ძვირფასი, ძვირადღირებული აღჭურვილობის შეძენა მხოლოდ კეთილშობილთა (წარჩინებულთა) გვარის წარმომადგენელს შეეძლო. რაინდი ბრძოლაში რამდენიმე ცხენით მიდიოდა და მას თან ახლდნენ მისი ვასალები, მინისტერიალები-მსახურები. მხოლოდ შეძლებული ფენის წარმომადგენელს შეეძლო შეენახა თავისი სახ-

სრებით მსახურთა მთელი შტატი. რაინდობის ინსტიტუტი განსაკუთრებით გაძლიერდა ჯვაროსნული ომების პერიოდში. ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა, მისი კეთილშობილური მიზნების, კერძოდ, სარწმუნოების დაცვის, ქრისტიანობის მტრებთან ბრძოლის, უმწეო პილიგრიმების პატრონობის გამოხატულება იყო. ტამპლიერთა, ჰოსპიტალიერთა (იონიტთა) და ტევტონთა სამხედრო-რაინდული ორდენების ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო დიდი ბიძგი მისცა სამხედროებში ამ თვისებების გამოვლენას. გარდა ამ კეთილშობილური თვისებებისა, რაინდები ფიცს დებდნენ თავიანთი სიუზერენების წინაშე, რომ ერთგულად ემსახურებოდნენ მათ. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა რაინდული კურთხევის ცერემონიალი, რომლის მთავარი ნიშანი ახალგაზრდა მეომრის მახვილით კურთხევაში, ხმლის გადაცემაში და მის წელზე შემორტყმაში მდგომარეობდა. ფიცის დადების ეს ფორმა, ჯერ კიდევ გვიანანტიკურ ხანაში, გერმანელებში არსებობდა. კურთხევის ეს ფორმა გამოიყენებოდა პატარა ასაკის, 12-14 წლის ყმაწვილების ნათლობის დროს. ახალგაზრდას, ამის შემდეგ წლები უნდა დაეთმო სამხედრო ხელოვნების დასახვეწად და სენიორისადმი ერთგულების დასამტკიცებლად, რაც, გარკვეულწილად, გამოსაცდელი ვადა იყო. სრულასაკოვნების მიღწევის დროს ხდებოდა მისი სრულყოფილ რაინდად კურთხევა. რაც შეეხება „რაინდულ დარტყმას“ (რაინდისთვის სილის გაწვნა – შემოკვრა კისერზე ან სახის არეში), ეს წესი გამოიყენებოდა სრულასაკოვან ახალგაზრდაზე 20 წლის ზევით, რის შემდეგაც მას შემოსავდენ სრული სამხედრო აღჭურვილობით. „რაინდული შემოკვრის“ წესი შემოვიდა ჩრდილოეთ საფრანგეთიდან. პირველად, კურთხევის ეს რიტუალი წყაროებში გვხვდება XIII საუკუნეში. გერმანიაში, ჯერ კიდევ არსებობდა ძველი გერმანელების წესი, მახვილის შემოკვრა წელზე – იარაღით ნათლობა. ერთგულების ფიცის და რაინდად კურთხევის შემდეგ, სენიორი წამოაყენებდა თავის ვასალს, აკოცებდა და ერთგული სამსახურის ნიშნად, საჩუქრად გადასცემდა რაიმე ძვირფას ნივთს. რაინდის პატივის გარეგნული ნიშანი იყო მისი სამხედრო აღჭურვილობის მნიშვნელოვანი დეტალები: რაინდული სარტყელი, ოქროს დეზები და საბრძოლო ფარი, მისი საგვარეულო გერბის გამოსახულებით. XII საუკუნიდან, რაინდული სასულიერო-ორდენების გავლენით, რაინდის კურთხევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა კათოლიკურმა ეკლესიამაც. რაინდად კურთხევის წინ, ახალგაზრდა მეომარს უნდა დაეცვა მარხვა, ღამე გაეთენებინა ლოცვებში. ამ ცერემონიალს ატარებდა ეპისკოპოსი, რომელიც აკურთხებდა მის საბრძოლო იარაღს და აბჯარს. ეკლესიაში კურთხევა უმთავრესად ხდებოდა საეკლესიო დღესასწაულების, შობის, აღდგომის, ზეცად ამაღლების, წმინდა სამების დღეებში. კურთხევაში საეკლესიო პირების მონაწილეობა, ძირითადად, გამომდინარეობდა ჯვაროსნული ლაშქრობების სპეციფიკიდან – მეომარი ჯვაროსანი, ლაშქრობაში წასვლის წინ ფიცს დებდა, როგორც სენიორის, ისე ეკლესიის წინაშე, რომ არ შეუშინდებოდა სიძნელეებს და ბოლომდე იბრძოლებდა

ქრისტიანების მტრების, მუსლიმების წინააღმდეგ. ასევე, რაინდად კურთხევის ცერემონიალში ეკლესიის ჩართვა გამოწვეული იყო ჯვაროსნული სარაინდო-სასულიერო ორდენების სპეციფიკით. ტამპლიერთა, ჰოსპიტალიერთა და ტევტონთა რაინდები სამხედრო მოვალეობებთან ერთად საეკლესიო ცხოვრების წესსაც ითავსებდნენ ისინი ბერი-რაინდები იყვნენ. ორდენში შესვლის დროს ტოვებდნენ სამოქალაქო ცხოვრებას, ქონებას აბარებდნენ ორდენს, ეკურთხებოდნენ, როგორც ბერები და ფიცს დებდნენ დიდი მაგისტრის წინაშე, რომ იცხოვრებდნენ და იბრძოლებდნენ უფლის სახელისათვის. დიდი მაგისტრები ამ ორდენების დამოუკიდებელი ეკლესიების მეთაურები იყვნენ.



საფრანგეთის მეფე ჟან კეთილი (1319-1364) რაინდებს აკურთხებს. XV საუკუნის ხელნაწერიდან. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა.

რაინდები მკაცრად იცავდნენ თავიანთ კოდექსს, რომელიც მათ ავალდებულებდა ყოფილიყვნენ: მამაცნი, ერთგულნი, დიდსულოვანნი, კეთილგონიერნი, ღირსეულნი, თავისუფალნი, ჰქონოდათ დახვეწილი მანერები. ეს ნიშან-თვისებანი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო კეთილშობილი, მაღალის წრის წარმომადგენლისათვის, ამიტომ, მოგვიანებით, XII საუკუნიდან, რაინდთა წრეში შედიოდნენ მხოლოდ ფეოდალთა ოჯახების შვილები. ტამპლიერთა, ჰოსპიტალიერთა და ტევტონთა ორდენებში მხოლოდ მაღალი წრის, აზნაურთა წარმომადგენლებს იღებდნენ და მათი კოდექსით აკრძალული იყო დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა გაწევრიანება. ტამპლიერთა ორდენის წესდება, დაბალი წრის მეომრებს, ორდენის წევრთა თეთრი მოსასხამის ტარებას უკრძალავდა (ტამპლიერთა ორდენის რაინდების ერთ-ერთი გარეგნული ნიშანი იყო თეთრი მოსასხამი წითელი ჯვრით). 1137 წლის ბრძანებით, საფრანგეთის მეფე ლუი VI-მ ოქროს დეზების ტარება აუკრძალა იმ რაინდებს, რომლებიც არ იყვნენ კეთილშობილთა წრიდან. ფრიდრიხ I ბარბაროსამ კი, 1187 წლის ბრძანებით, გლეხთა და სასულიერო პირთა ოჯახის წევრებს აუკრძალა რაინდული სარტყლის ტარების უფლება. ფრიდრიხ I ბარბაროსას ბიძა, ფრაიზინგის ეპისკოპოსი და ისტორიკოსი ოტო შეშფოთებას გამოთქვამდა იტალიური ქალაქების მაცხოვრებლების (ხელოსნების წარმომადგენლების) საქციელით, რომლებიც თავიანთ შვილებს დაუკითხავად

აკურთხებდნენ რაინდებად. რაინდის პატივი მემკვიდრეობით შეეძლო მიეღო მხოლოდ წარჩინებულის ოჯახის შვილს, რომელსაც წინაპარი რაინდთა წრიდან ჰყავდა. საერთოდ, რაინდობის მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება საბრძოლო ხელოვნება იყო. ამიტომ, ევროპის ქალაქებში, მეფეთა, ეპისკოპოსთა და სენიორთა ხელშეწყობით და დაფინანსებით იმართებოდა რაინდული ტურნირები. ეს ტურნირები ტარდებოდა დღესასწაულის დღეებში და მასში მონაწილეობის უფლება მხოლოდ კეთილშობილთა ოჯახის შვილებს ჰქონდათ. რაინდული კოდექსით აკრძალული იყო დაბალი წრის წარმომადგენლებთან ას-



ტამპლიერები. კუთხეში ტამპლიერთა შავ-თეთრი ალამი



ჯვაროსანი

პარეზობა და საერთოდ, კეთილშობილი რაინდი უნდა მორიდებოდა მისთვის შეუფერებელი საზოგადოების წრეებთან კონფლიქტს, საბრძოლო შეჯახებას და თვით ლხინსაც კი. შუა საუკუნეების რაინდული კოდექსის ერთ-ერთი მუხლი განსაზღვრავდა რაინდთა შორის ბრძოლის წესსაც. თუ რაინდი საბრძოლოდ გამოიწვევდა სხვა რაინდს, იმისათვის, რომ მიეღო ბრძოლის უფლება, უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი და მისი წინაპრები რაინდთა წრის წარმომადგენლები იყვნენ.

შუა საუკუნეების რაინდის იდეალმა შექმნა მთელი ციკლი რაინდული სათავგადასავლო რომანებისა და თქმულებებისა. ამ რომანების ციკლს სათავე დაუდო ანგლო-ნორმანდიულმა სიუჟეტებმა XII საუკუნის 30-იანი წლებიდან და შემდეგ ის გავრცელდა ევროპის კონტინენტზეც. რაინდული რომანებისთვის, ლექსებისთვის და პოემებისთვის დამახასიათებელი იყო სათავგადასავლო სიუჟეტები, რომლებშიც შერწყმული იყო ისტორიული, მითოლოგიური, ფოლკლორული და ეპოსური ჟანრი. მათი შინაარსი ასახავდა გმირის ბრძოლას უსამართლობასთან, ქრისტიანული მრწამსისათვის თავდადებას, სასიყვარულო თავგადასავლებსა და სულიერ განცდებს. რაინდული რომანების საწყისი ანტი-

ბული უცხო მეომარი, შინაური მოხელე თუ მთის მოსახლე, სამხედროვალდებული პირი. მეფის კარზე მომსახურე ფეოდალებსაც მსახურები ეწოდებოდათ.

მათ მთავარ მოვალეობას ბატონის სასარგებლოდ სამსახური – ხლება, ნადირობა და თანამოლაშქრეობა წარმოადგენდა. მართალია, სამხედრო საქმე აზნაურული იყო, მაგრამ აზნაურ-მოლაშქრეთა რიცხვი იმდენად დიდი არ იყო ქვეყანაში, რომ მხოლოდ მათგან შეეკრიბათ საომარი ძალები. სწორედ, მსახურთაგან იკრიბებოდა, ძირითადად, სამეფო სპა და სხვა სახის სამხედრო ერთეულები.

მსახურები ეწოდებოდათ მონა-მოლაშქრეებს, რომლებიც მეფის გვარდიის – მონასპის წევრები იყვნენ, ასევე – ტაძრეულებს, სამეფო დომენის აზნაურ-მოლაშქრეებს. მსახურები ერქვათ სენიორის ამალის წევრებს, რომლებიც მუდამ თან ახლდნენ პატრონს, როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიანობის დროსაც. ზოგადად, მსახური ერქვა ყმა-აზნაურსაც, რომელსაც სენიორის, პატრონის ხლება-თანამოლაშქრეობა ეკისრებოდა. მშვიდობიანობის დროს მათ მოვალეობას ბატონის სასახლეში სამსახური და ნადირობა წარმოადგენდა. ამავე დროს, მსახურები იყვნენ სენიორის ერთგული, სანდო მოხელეები, რომელთაც პატრონი აწინაურებდა. ისინი, ამავე დროს, პატრონის ყმებად იწოდებოდნენ. ასეთ მოხელეებს სენიორი მფარველობდა, სამხედრო საქმესაც ასწავლიდა და ცხენ-იარაღსაც აძლევდა. ასეთ მსახურებს ძველ საქართველოში „გაზრდილებს“ უწოდებდნენ. ისინი, არა მარტო ფეოდალის კარზე, არამედ მეფის კარზეც უნდა ყოფილიყვნენ. „ვეფხისტყაოსანში“ „გაზრდილი“ იგივე ვასალია, პატრონის ყმა-მსახური. გიორგი სააკაძე თავის ყმებზე ამბობს: „ექვსი ყმა შემომეყარა, მარჯვე და ჩემი ზრდილია“. ისინი, აზნაურ გიორგი სააკაძის გაზრდილი, ერთგული ყმა-მსახურები იყვნენ, რომლებსაც ის სამხედრო საქმეს და პატრონისადმი ერთგულ სამსახურს ასწავლიდა. მსახურები, პატრონის სამსახურში იძენდნენ ქონებას, მიწას, გლეხებს და დროთა განმავლობაში მიწისმფლობელებად იქცეოდნენ. შუა საუკუნეების ეპოქაში და მოგვიანო ხანაში მსახურებს გლეხებიც ჰყავდათ. XIII-XIV საუკუნეების ბექა-აღბუღას სამართალში იხსენიება მსახურის გლეხი. პროფესიონალი მოლაშქრეები, როგორც ჩანს, ამ გლეხებზე დაყრდნობით – დაქირავებული შრომის წყალობით უვლიდნენ თავიანთ მეურნეობას. წყაროები გვაძლევენ ცნობებს მსახურთა გააზნაურების შესახებ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი აღნიშნავს, რომ თამარის მეფობის დროს (1184-1210 წწ.), „გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი, და გაჴელმწიფდეს დიდებულნი“. „ქუეყანისა მოქმედნი“ აქ არიან ყმა-მოლაშქრეები – მსახურები, რომლებსაც თავისი სამსახურის და პატივის მიხედვით ჰქონდათ შანსი, აზნაურთა წრეში შესულიყვნენ, რადგან ხელისუფლება თუ მისი უშუალო პატრონი-სენიორი მათ დამსახურების გამო აწინაურებდა. მსახურთა სოციალური სტატუსი და მოვალეობები განსხვავებული იყო გლეხის ვალდებულებებისგან. თუ გლეხის სამსახური ბატონისადმი

მეურნეობის გაძღოლაში გამოიხატებოდა და მის მთავარ მოვალეობას საბატონო მიწის დამუშავება წარმოადგენდა, მსახურის მოვალეობა მოლაშქრეობა და უშუალოდ სენიორის კარზე სამსახური იყო. შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, მსახური თავისი სოციალური სტატუსით გლეხზე მაღლა იდგა. ეს იყო გარდამავალი ფენა გლეხობასა და აზნაურობას შორის, მაგრამ იგი აზნაურთაგან განსხვავებით პირადი თავისუფლებით არ სარგებლობდა. მსახურები გამოდიოდნენ გლეხთა წრიდან, მაგრამ მათი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული სტატუსი ჰქონდათ სახელმწიფოში. მსახური იყო, სენიორის განკარგულებაში მყოფი ყმა-მოხელე. სამართლის ნორმების მიხედვით, განსაზღვრული იყო მისი სისხლის ფასიც. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, მსახურთა სისხლის ფასი ბატონის კარზე სამსახურისა და მისი თანამდებობის მიხედვით განისაზღვრებოდა. ზოგადად, მსახურის ფასი ათასი თეთრი იყო, მაშინ როცა გლეხის ფასი ოთხასი თეთრით განისაზღვრებოდა. საპატიო, აზნაურულად მომსახურის ფასი თორმეტი ათასი თეთრი იყო. ეს თანხა ტოლი იყო დაბალი, მესამე კატეგორიის აზნაურის ფასისა.[3] ამ კატეგორიაში შედიოდა იმ მსახურების რიგი, რომლებსაც სენიორის კარზე თანამდებობა გააჩნდათ. ეს თანამდებობები სამხედრო სამსახურის მიხედვით განისაზღვრებოდა: „ქოთლოსანისა და აბჯროსნის და კარვოსნისა და პატრონთან რომ ჴელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ამაჲ რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სჭირს“. ამ მუხლიდან ვგებულობთ, რომ ქოთლოსანი, აბჯროსანი (მეაბჯრე) და კარვოსანი სამხედრო პირები იყვნენ და მათ სენიორის ხლება ევალებოდათ ლაშქრობაში. ასეთი თანამდებობები აზნაურული პატივი იყო და, ამიტომაც, მათი ფასი სამართლის მიხედვით, აზნაურის ფასს უტოლდებოდა. თორმეტი ათას თეთრად იყო შეფასებული, ასევე, იმ მსახურის ფასი, რომელიც პატრონს „აზნაურის შვილად ჰყვეს“, ე.ი. უშუალოდ, სენიორის კარზე მნიშვნელოვანი ვალდებულებების და საპატიო რანგის მოხელე-მსახური. ორჯერ უფრო ნაკლები სისხლის ფასად იყო შეფასებული ის მსახური, რომელიც სენიორის კარზე მსახურობდა, მაგრამ საპატიო „ჴელი“, თანამდებობა არ გააჩნდა: „და პატრონთა საჩინო ჴელი არა აქვნდეს და არცა ჰქონებოდეს, აზნაურად ჰყვეს, მისი ექვსი ათასი თეთრი იყოს“.

მიუხედავად იმისა, რომ საპატიო მსახურების ადგილი და სისხლის ფასი საკმაოდ მაღალი იყო სახელმწიფოში და მათი უმაღლესი კატეგორია უტოლდებოდა აზნაურის მესამე რანგს, ისინი სტატუსით მაინც მათზე დაბლა იდგნენ.

3 ამ ძეგლის მიხედვით, უმაღლესი კატეგორიის აზნაურის, დიდებულის სისხლი ორმოცი ათასი თეთრი იყო. მასზე დაბალი, მეორე კატეგორიის აზნაურებში შედიოდნენ დიდი მამულების, ციხე-სიმაგრეების, მონასტრების პატრონები-ტაძრეული აზნაურები (საგვარეულო სამარხის მფლობელები), რომელთა სისხლი ოცი ათასი თეთრი ღირდა. მესამე კატეგორიაში შედიოდნენ ის აზნაურები, რომლებსაც არ გააჩნდათ ციხეები და მონასტრები და მათი სისხლის ფასი თორმეტი ათას თეთრს უდრიდა.

ბექა-აღბუღას სამართალი დამცრობილ, გაღატაკებულ აზნაურს უნარჩუნებდა წოდებას და მისი მესამე თაობის მემკვიდრესაც უნაღდებდა სტატუსს[4], მაშინ, როცა იგივე სამართალი მემკვიდრეობით ფუნქციას არ უნარჩუნებდა მაღალი რანგის მსახურსაც კი.

პატრონთან მოლაშქრე მსახურების ფუნქციები სხვადასხვაგვარი იყო და თითოეულ ამ საქმეს თავისი პროფესიონალი მოხელე ჰყავდა. სწორედ ისინი ახლდნენ სენიორს ლაშქრობის დროს და მათი მოვალეობა ომში პატრონის დაცვა და მისი საბრძოლო-მომსახურეობა იყო. მსახური აბჯროსანი, ეს მეაბჯრეა, აბჯრისმტვირთველი, რომლის ფუნქციას ბრძოლის დროს პატრონის იარაღ-საჭურველით უზრუნველყოფა წარმოადგენდა. მეაბჯრეობა იმდენად საპატიო საქმე იყო, რომ შუა საუკუნეების საქართველოში სამეფო კარზე არსებობდა რიგი მეაბჯრეებისა, რომლებიც სასახლის ცერემონიებში: საახალწლო და სააღდგომო დღეების აღნიშვნის, დიპლომატიური მისიების მიღების, პურობისა და დარბაზობის დროს იღებდნენ მონაწილეობას. მსახურებს ევალებოდათ ასევე მემარქაფეობა, ქოთლოსნობა – სათადარიგო, მარქაფა ცხენების პატრონობა. როდესაც სენიორი სალაშქროდ მიდიოდა, მას რამდენიმე ცხენი ახლდა თან, სალაშქრო-საბრძოლო, მორიგე, სათადარიგო და ტვირთმზიდავი, რომელსაც გადაჰქონდა მისი იარაღ-საჭურველი და აღკაზმულობა. ამ ცხენების მოვლას ლაშქრობაში მემარქაფე, ქოთლოსანი მსახური ითავსებდა. ომიანობის დროს, როდესაც პატრონს ცხენი მოუკვდებოდა ან მწყობრიდან გამოუვიდოდა, მემარქაფე მსახურის მოვალეობა იყო დროულად მიეშველებინა მისთვის სათადარიგო საბრძოლო ცხენი. 1105 წელს ერწუხის ომში სელჩუკებმა დავით აღმაშენებელს სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხეზე მჯდარმა დაასრულა ომი. ეს ეპიზოდი მეტყველებს იმაზე, რომ მეფეს ბრძოლის დროს თან ჰყავდა მარქაფა ცხენები, რომელთაც, სწორედ მემარქაფე მსახურების საშუალებით იყენებდა. კარვოსანის სამსახურს, ასევე, ლაშქრობაში პატრონის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა და მისთვის მოსასვენებლის გამართვა წარმოადგენდა.

გარდა ბატონის ხლება-სამსახურისა, მსახურების მოვალეობას ბრძოლებში მონაწილეობაც წარმოადგენდა. ისინი სენიორის მხარდამხარ იბრძოდნენ და, ამავე დროს, იცავდნენ მის სიცოცხლესაც. ეს იყო პროფესიონალ მოლაშქრეთა ფენა, რომელთაგანაც იკრიბებოდა მონასპის, ტაძრეულის, მონაპირეების, სამეფო სპის მთავარი კონტინგენტი. მსახური ლაშქრობაში თავისი იარაღით და ცხენით უნდა გამოსულიყო თუ ცხენი არ ჰყავდა, ქვეითად უნდა ხლებოდა ბატონს. საბრძოლო იარაღი კი საკმაოდ ძვირი ღირდა. XI საუკუნის ნიკორწმინდის საბუთით, ერთი ჯაჭვის პერანგის ღირებულება ერთი გლეხის ფასს უდრიდა. ასევე ძვირი ღირდა საბრძოლო ცხენებიც. თამარის ქმარმა დავით სოსლანმა საბრძოლო ცხენის გამო ქართველ ფეოდალს ვახტანგ ხაჩენელს

4 მოგვიანებით, ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) სამართალიც დამცრობილ აზნაურს სამი თაობის განმავლობაში უნარჩუნებდა წოდებას და პატივს.

ციხე და სოფელი ჭარმანი მისცა.

სიძვირის გამო, საბრძოლო იარაღის შეძენა ყველას არ შეეძლო და, ამიტომ, სამხედრო საქმე, პრივილეგირებული, შეძლებული ფენის ხელში იყო და ეს საქმეც აზნაურული იყო. XVIII საუკუნის ქართული ძეგლის, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნის“ მიხედვით, გლეხის ოჯახის გაყრისას, მსახურს, ცხენი, ხმალი და თოფი ერგებოდა. აღსანიშნავია, რომ მსახურთა ფუნქციას საპოლიციო სამსახურიც წარმოადგენდა და შუა საუკუნეების სამართლის ძეგლების მიხედვით მსახურებს ევალებოდათ დამნაშავის შეპყრობა, ავაზაკთა და მეკობრეთა ძებნა და დასჯაც.

მინისტერიალები. ევროპაში ქართული მსახურების მსგავსი ინსტიტუტი მინისტერიალები იყო (მინისტერიალები – Ministeriales, Ministerium, სამსახური, ვალდებულება. გერმანული – Dienstmannen – მსახურები.). ჯერ კიდევ ფრანკთა სამეფოში და შემდეგ, გერმანიაში, მინისტერიალები შეადგენდნენ მეფეთა და სენიორთა შეიარაღებული რაზმების ძირითად კონტინგენტს. მინისტერიალები წარმოადგენდნენ სენიორის ამალას, რომლებიც თან ახლდნენ ბატონს ომიანობის, ნადირობა-გასართობი ასპარეზობების დროს, როგორიც იყო, მაგალითად, რაინდთა შეჯიბრებები. ისინი იცავდნენ პატრონის ციხე-სიმაგრეებს, ასრულებდნენ მეციხოვნეების ფუნქციებს. მინისტერიალები ჰყავდათ შეძლებულ, მდიდარ სენიორებს, რომლებსაც შეეძლოთ შეენახათ შეიარაღებული მსახურეული რაზმები. მინისტერიალები წარმოიშვნენ, ძირითადად, არათავისუფალი ფენიდან. ისინი გამოდიოდნენ ყოფილი მონებიდან, სერვებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ მეთემეთა ფენას.

მინისტერიალები გარდა სამხედრო ვალდებულებებისა, მსახურობდნენ სენიორის კარზე, სადაც ასრულებდნენ ასევე ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმიანობასაც. სამსახურის სანაცვლოდ იღებდნენ ლენს,[5] რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ სენიორისადმი ერთგულების სანაცვლოდ. მინისტერიალის მამული გლეხის მიწაზე თითქმის სამჯერ დიდი იყო. მათ შეეძლოთ ჰყოლოდათ გლეხები, მსახურები, მონები. მამულის სიდიდე განსაზღვრავდა მინისტერიალის ქონებას. მინისტერიალებს სალაშქროდ უნდა შეეძინათ საომარი აღჭურვილობა და ცხენი. შუა საუკუნეების ევროპაში სამხედრო საჭურველი ძვირი ღირდა. ინგლისის მეფის ჰენრი III-ის 1252 წლის ბრძანებაში სამხედრო ვალდებულებების შესახებ წერია, რომ მოქალაქე, რომელსაც 60 მარკის ოდენობის ცხვრის ფარა ან 15 ლივრის ფასის მიწა გააჩნდა, ვალდებული იყო, როგორც სამხედრო

---

5 ლენი (Lehn — ძველგერმანულიდან — საჩუქარი) — ვასალისათვის სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწა, იგივე ფეოდი. მისი მფლობელი ვალდებული იყო ემსახურა სენიორთან, მაგრამ ამ ნაწყალობევი მიწის გაცემა, გაქირავება, გაყიდვა არ შეეძლო. სენიორს შეეძლო ეს მამული ჩამოერთმია ან გადაეცა ვასალის მემკვიდრისათვის თუ იგი ასევე ერთგულებას შეჰფიცებდა მას. ქართულში ლენის, ფეოდის სინონიმია საკარგავი, ნაწყალობევი მამული.

აღჭურვილობით, ასევე, თავისი ცხენით გამოსულიყო სალაშქროდ. იმას, ვისაც უფრო ნაკლები ფასის ცხვრის ფარა გააჩნდა, არ იყო ვალდებული ცხენით გამოსულიყო. სხვათა შორის, ამ ბრძანებაში ქონების მიხედვით იზომებოდა სამხედრო აღჭურვილობა. 15 ლივრის ფასის მიწის მფლობელი სალაშქროდ უნდა გამოსულიყო ჯაჭვის პერანგით, რკინის მუზარადით, ხმლით, ხანჯლით და ცხენით, ხოლო 10 ლივრის ფასის მიწის ან 40 მარკის ოდენობის ცხვრის ფარის პატრონი კი – ერთი გულსაფარით, მუზარადით, ხმლით და ხანჯლით. რაც უფრო ნაკლებ ქონებას ფლობდა მოქალაქე, მით უფრო მსუბუქი აღჭურვილობით ევალებოდა გამოსვლა სალაშქროდ. 40-დან 100 სოლიდამდე ფასის მიწის ან 9 მარკის ფასის ცხვრის ფარის მქონე მოქალაქეს ევალებოდა მხოლოდ ხმლით, ხანჯლით და მშვილდისრით გამოსვლა. საერთოდ, მძიმედ შეიარაღებული მხედრები მდიდარ სენიორთა წრიდან გამოდიოდნენ. მინისტერიალები, შედარებით მსუბუქად შეიარაღებული მხედრები იყვნენ და ზოგი ფეხითაც კი ახლდა სენიორს ლაშქრობაში. საერთოდ, სამხედრო აღჭურვილობას ძალიან უფრთხილდებოდნენ და ეს კანონითაც იყო გამტკიცებული. ინგლისის მეფის ჰენრი II-ის 1181 წლის ბრძანებაში, კანონი კრძალავდა იარაღის ინგლისის საზღვრებს გარეთ გატანას, მათ მიყიდვას უცხოელებზე. აღსანიშნავია, რომ ამავე ბრძანებულებით მოქალაქეებს ეკრძალებოდათ სამშენებლო მასალის, მოჭრილი მორების გატანა, რადგანაც ეს მასალა გამოიყენებოდა სამხედრო გემების მშენებლობისათვის. მეფე მოქალაქეებს უკრძალავდა, ასევე, ზედმეტი იარაღის შენახვას, იარაღი მხოლოდ იმ რაოდენობით უნდა შეენახათ, რაც მათი ქონების მიხედვით კანონით იყო განსაზღვრული. ინგლისის მეფეთა ამ ბრძანებულებებით სამხედროვალდებულნი იყვნენ 15-დან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეები.

ბიზანტიაში ნიკიფორე II ფოკას (X ს.) მმართველობის პერიოდში დადგენილი იყო სამხედრო აღჭურვილობის ფასი. მსუბუქად შეიარაღებული მეომრის აღჭურვილობა 4 ოქროს ფუნტი ღირდა, ხოლო მძიმედ შეიარაღებული მხედრის აღჭურვილობა 12 ოქროს ფუნტი.

მიუხედავად სენიორის კარზე საპატიო სამსახურისა, მინისტერიალები რჩებოდნენ არათავისუფალ ფენად. მართალია, ისინი თავისი სტატუსით მაღლა იდგნენ ყმა-გლეხობაზე, მაგრამ აზნაურთა რიგებში არ ირიცხებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში მინისტერიალები რაინდის რიგებშიც ხვდებოდნენ, ისინი მაინც რჩებოდნენ თავიანთი სენიორის ყმებად. გერმანიაში მათ უწოდებდნენ არათავისუფალ რაინდებს (Unfreie Ritter). მათ არ ჰქონდათ უფლება სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის გაყიდვის, გაჩუქების ან ანდერძად გადაცემისა. ისინი სენიორის ნებართვის გარეშე ვერ დაქორწინდებოდნენ. ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელს აწერდნენ მხოლოდ თავისუფალი მოქალაქეების შემდეგ. თუმცა, ზოგიერთი მინისტერიალი, ერთგული და გამორჩეული სამსახურის გამო, მაღალ თანამდებობებსაც იკავებდა სენიორის კარზე. დროთა განმავლობაში, ისინი საკმაოდ დიდი ქონების, მამ-

ულების მფლობელები ხდებოდნენ და იქით აძლევდნენ თავიანთ მსახურებს მიწებს სამსახურის სანაცვლოდ. მოგვიანებით, XIII საუკუნის გერმანიაში, მეფის მინისტერიალები თავისუფლებასაც იღებდნენ და რაინდთა რიგებს ავსებდნენ. მინისტერიალთა ფენიდან იყო გამოსული XIII საუკუნეში ტევტონთა რაინდული ორდენის დიდი მაგისტრი ჰერმან ფონ ზალცა.

ამგვარი ვალდებულებებით და სოციალური სტატუსით ისინი მიაგავდნენ შუა საუკუნეების ქართულ მსახურთა ინსტიტუტს. ასეთი ტიპის მსახურეული ვასალების დაწინაურებას საქართველოს სამეფოს ისტორიაშიც ვხვდებით. გიორგი III-ის მეფობის დროს სამეფო კარზე მსახურთუხუცესის თანამდებობა დაიკავა ყოფილმა ყმა-მსახურმა აფრიდონმა, რომელიც თამარის მეფობაში დიდებულებმა დაამხეს. აღსანიშნავია, რომ აღზევებულ მინისტერიალთა მიმართ არც ევროპაში იყო კარგი დამოკიდებულება ძველი ფეოდალური სახლების მხრიდან.

გლეხობა და ქალაქის მცხოვრებნი სამხედრო სამსახურში

სამხედრო საქმე აზნაურთა და მსახურთა მოვალეობა იყო. მიწის მუშა, მეთემე, სამხედრო ვალდებულებისაგან თავისუფალი იყო. საქართველოში ლაშქარი იკრიბებოდა აზნაურთაგან და მათი ყმა-მსახურებისაგან. მსახურები გლეხთა ფენიდან იყვნენ გამოსულნი, მაგრამ, რადგან მათი საქმე ბატონის სამსახური, ლაშქრობა-მონადირეობა და სხვა სახის ვადებულებები იყო, ისინი, ფაქტიურად, მოწყვეტილნი იყვნენ მეურნეობას და ამ საქმეს ყმა-გლეხები ეწეოდნენ. ამ ვალდებულებების გამო, შეიქმნა გლეხობისაგან განცალკევებით არსებული მსახურ-მოლაშქრეთა წოდებრივი წრე, რომელიც ქართული სახელმწიფო სამართლის ნორმების მიხედვით, თავისი სტატუსით მაღლა იდგა გლეხთა ფენაზე. ის საბ̃ედროვალდებული იყო სახელმწიფოს წინაშე და სამართალი მას უნაღდებდა მისი სტატუსის განმსაზღვრელ ქონებას. შუა საუკუნეებში, გლეხები რომ არ მონაწილეობდნენ სამხედრო კამპანიებში, ჩანს წყაროებიდანაც. არცერთ ქართულ წყაროში არ არიან დასახელებულნი გლეხები მოლაშქრეებად, ან ბრძოლის მონაწილეებად. მათი ბრძოლების შესახებ თუ რაიმე ცნობა მოგვეპოვება, მემატიანეები მათ მოიხსენიებენ, როგორც სამხედრო საქმის უცოდინარ და მათი სტატუსის შესაბამისი დამამცირებელი ეპითეტებით. დიდგორის ბრძოლაში, დამარცხებული სელჩუკთა არმიის დატყვევებული მეთაურების და მეომრების დასამცირებლად, წყაროში ნათქვამია, რომ არაბთა მეფენი და სხვა სახელოვანი მეომრები ტყვეებად გლეხებსაც კი აჰყავდათ. ამით მემატიანეს იმის თქმა უნდოდა, რომ საშინელი მარცხის გამო, სულიერად დაცემული მტრის მეთაურები და ჯარისკაცები სამხედრო საქმის უცოდინარ გლეხებსაც კი უვარდებოდნენ ტყვედ. XIII საუკუნეში მონღოლებმა დააკისრეს გლეხობას სამხედრო სამსახური. ცხრა სრულფუძიანი გლეხთა ოჯახიდან ერთს დაევალა სალაშქროდ წასვლა, მაგრამ ეს მოლაშქრე უკვე მსახურთა, პროფესიონალ მეომართა რიგებს ავსებდა და ფაქტიურად წყდებოდა თავის უშუალო

საქმეს, მეურნეობას.

სახელმწიფო რომ გლეხთა ფენიდან ავსებდა სამხედრო-მოლაშქრეთა, მსახურთა რაზმებს, ჩანს, სამართლის ძეგლებიდანაც. გლეხებს სახელმწიფო სამსახურშიც ასაქმებდნენ. „ჯელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სამეფო ვაზირის, მანდატურთუხუცესის მოხელეების, მანდატურების რიგები ძირითადად, გლეხთა ოჯახებიდან ყალიბდებოდა. ამ ძეგლის მიხედვით, მანდატურთა რიცხვი სამასი სახლია, აქედან მხოლოდ სამია აზნაურთა სახლიდან, დანარჩენი კი – გლეხთა ოჯახებიდან. მანდატურთუხუცესის მოვალეობები მრავალფუნქციური იყო. მას ევალებდა სახელმწიფოში წესრიგის დაცვა, სამეფო ზვრების მოვლა-პატრონობა. მას სასახლის კარზე ცერემონმაისტერის ფუნქციები ჰქონდა და პურობის, დარბაზობის რიგს აწესრიგებდა. ამიტომ, მისი მოხელეების, მანდატურების მოვალეობებიც საპატიო და საპასუხისმგებლო იყო. სასახლის კარზე, სამეფო პალატებში გამართულ სავაზირო სხდომებს მანდატურები იცავდნენ. გლეხთა ოჯახებიდან ავსებდნენ მეფის მესაწოლეთა რიგებსაც. მესაწოლეები მეფის პირად დაცვას წარმოადგენდნენ, ქვეყანაში მოგზაურობისას გვირგვინოსანს, შვიდასი შუბოსანი მესაწოლე თან ახლდა და ამ შვიდასიდან რვა გლეხი იყო, დანარჩენი – აზნაური. მესაწოლეობა, უშუალოდ, სამხედრო საქმესთან იყო დაკავშირებული და მათ არა მარტო მეფის ხლება, არამედ მისი საწოლის, პალატების დაცვა ევალებოდათ. მესაწოლეები იცავდნენ მეფის სიმშვიდეს ღამითაც.

შუა საუკუნეების ევროპაშიც გლეხობა თავისუფალი იყო სამხედრო სამსახურისგან, რადგან ეს საქმე აზნაურთა, რაინდთა და მინისტერიალთა ხელში იყო, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, გლეხობასაც ავალდებულებდნენ სამხედრო სამსახურს. XII საუკუნის ინგლისში, მეფე ჰენრი I-ის ბრძანებით, ყოველი ცხრა გლეხიდან ერთს დაევალა სამხედრო სამსახური და მეციხოვნედ დგომა. ამ მოლაშქრის ოჯახს დანარჩენი რვა კომლი ინახავდა. ინგლისის მეფის ჰენრი III-ის 1252 წლის ბრძანებით, სამხედრო სამსახური აზნაურებსა და თავისუფალ მოქალაქეებთან ერთად ევალებოდათ ვილანებს. ვილანები იყვნენ ინგლისის ყველაზე დაბალი ფენის, მეთემე-გლეხობის წარმომადგენლები. თუმცა, მათი შეიარაღება ძალიან მწირი იყო, რადგან ამ ბრძანებით ინგლისის მაცხოვრებლებს ქონების მიხედვით ჰქონდათ გაწერილი სამხედრო აღჭურვილობის ხარისხი. როგორც აღვნიშნეთ, მდიდარი მოქალაქეები, რომლებიც ფლობდნენ 15 ლივრის ფასის მიწას ან 60 მარკის ფასის ცხვრის ფარას, სრულ სამხედრო კომპლექტთან ერთად, ვალდებულნი იყვნენ ცხენით გამოსულიყვნენ გაწვევის ადგილზე, ხოლო მათ, ვინც 9 მარკის ცხვრის ფარას ფლობდა ევალებოდათ მხოლოდ ნამგლებით, ხანჯლებით, მშვილდით და სხვა სახის წვრილი იარაღით გამოსვლა. მეფის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ისინი, ვინც ცხოვრობდნენ ტყეების გარშემო, უნდა გამოსულიყვნენ მშვილდით. როგორც ვხედავთ, სამხედრო აღჭურვილობა საკმაოდ ძვირი ღირდა და გლეხობის – ვილანების შეი-

არაღებაც საკმაოდ დაბალი ხარისხის იყო. ჯერ კიდევ, IX საუკუნეში, კარლოს დიდმა აკრძალა გლეხების ჯარში გაწვევა, რადგან ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი და არაორგანიზებულ მასას წარმოადგენდნენ. გლეხთა რაზმები იმდენად ცუდად იყვნენ აღჭურვილნი, რომ ევროპული წყაროები მათ უიარაღოებსაც კი უწოდებენ. თუმცა, IX-XI საუკუნეებში მეფეები თუ მთავრები თავიანთი რაზმების სიმცირის გამო სახალხო გაწვევასაც არ ერიდებოდნენ და გლეხებიც მიჰყავდათ ომში. მაგრამ, სამხედრო საქმის ეს უცოდინარი მასა იმდენად გამოუსადეგარი იყო, რომ რაინდთა მცირე, კარგად შეიარაღებული რაზმები ადვილად ანადგურებდნენ მათ. ამიტომ, დროთა განმავლობაში, ევროპაში გლეხთა გაწვევები კანონით აიკრძალა. ის, რომ ომი გლეხთა საქმეს არ წარმოადგენდა, კარგად ჩანს „საქსონური ომების ისტორიიდან“ (1073-1075 წწ.). 1075 წელს საღვთო რომის იმპერატორ ჰენრი IV-სა და საქსონიის მეამბოხე მთავრებს შორის მდინარე უნსტრუტთან გამართული ომის შედეგად მრავალი გლეხი დაიღუპა, რომლებიც ბრძოლის ველზე ქვეითთა რიგებში იბრძოდნენ. გლეხთა ეს რაზმები ცუდად იყვნენ აღჭურვილნი და მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსან რაინდებთან დაპირისპირებისას, სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ ომების მემატიანე ლამბერტ გერსფელდელი აღნიშნავს, რომ საქსონელმა თავადებმა სამხედრო საქმის სრულიად უცოდინარი სოფლის მოსახლეობა ძალით გარეკეს ბრძოლაში: „მათი მთავარი საქმიანობა მიწაზე მუშაობა იყო და მათი ნების საწინააღმდეგოდ, არა საბრძოლო სულისკვეთებით, არამედ თავისი ბატონების წინაშე შიშის გამო იძულებულნი იყვნენ მათ ლაშქრობაში გაჰყოლოდნენ.“ სხვა ცნობებით, ამ კამპანიის დროს დატყვევებული გლეხები რაინდებმა აწამეს და დაასაჭურისეს, რათა შემდეგში აღარ გაებედათ იარაღის ხელში აღება.

სამხედრო სამსახური ევალებოდა ქალაქის მოსახლეობასაც, რაც ცნობილია ინგლისის მეფეების ჰენრი II-ის და ჰენრი III-ის ბრძანებებით, ასევე, ჯვაროსნული სამეფო-საგრაფოების მმართველი წრეების მოთხოვნით. თუმცა, განსხვავებით პროფესიონალი მოლაშქრეებისგან, ქალაქების მოსახლეობას განსაზღვრული სამხედრო ფუნქციები ჰქონდა. XIII საუკუნეში, იერუსალიმის სამეფოს რეგენტის ჟან დე იბელინის მიერ შედგენილი იერუსალიმის „მეფეთა წიგნის“ მიხედვით, ეპარქიის ხელმძღვანელებს და ქალაქის სენიორებს ავალებდნენ მეფის ლაშქარში სერჟანტები (ქვეითები) გამოეყვანათ: იერუსალიმის სამეფოდან – 500 მეომარი, ქალაქ აკრიდან – 500, ნაბლუსიდან – 300, ტივერიადიდან – 200, ასკალონიდან – 150, იაფიდან, ტირიდან, ლიონიდან და სხვა ქალაქებიდან – 100 მეომარი. სენიორები და ბარონები მათ ავალებდნენ გამაგრებით სამუშაოებს, ციხის ციტადელებზე ყარაულში დგომას, ბანაკად მდგომი რაზმების სურსათ-სანოვაგით და საომარი აღჭურვილობით მომარაგებას. ჟან დე იბელინის ქარტიის მიხედვით, მოქალაქეებს ეძლეოდათ ლაშქრობის დროს მოპოვებული ნადავლის მეათედი.

თავი III

სამხედრო უწყება და მისი სტრუქტურა

სამხედრო უწყებას სათავეში ძველიდანვე პროფესიონალ მოლაშქრეთა ფენა ედგა. სამხედრო საქმე აზნაურული იყო და სამხედრო სტრუქტურაში სამეფო ოჯახის წევრები და დიდებული აზნაურები შედიოდნენ. ზოგადად, ქვეყნის სამხედრო ძალების ხელმძღვანელი იყო მეფე, რომელიც საბრძოლო მოქმედებების დროს სამხედრო უწყების ხელმძღვანელებთან ერთად სარდლობდა სამეფო სპას. სამხედრო მინისტრს ევალებოდა ჯარების გაწვრთნა, იარაღით აღჭურვა, საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ რაზმების თავმოყრის უზრუნველყოფა, სალაშქრო პროვიანტით მომარაგება. მეფესთან და უწყების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვა. ფარნავაზის (ძვ.წ. IV-III სს.) დროინდელი ქართლის სამხედრო უწყების ხელმძღვანელი **სპასპეტი** იყო. სპასპეტი სამეფო ოჯახის წარმომადგენელი იყო. მას სამართავად ებარა ქართლის სამეფოს ცენტრალური რეგიონი – შიდა ქართლი, რომელიც სამეფო დომენი იყო და საერისთავოსგან განსხვავებით, მას სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემის უმაღლესი პირი განაგებდა. როგორც ფეოდალურ საქართველოში, ასევე, ანტიკური ხანის ქართლში, სამეფო ლაშქარი ქვეყნის თემთაგან იკრიბებოდა. ეს თემები კი, სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებს – საერისთავოებს წარმოადგენდნენ. ანტიკური ეპოქის ქართლში საერისთავოებიდან გამოჰყავდათ სამეფო სპა და ეს საქმე ერისთავთან ერთად სპასალარებს და ათასისთავებს ებარათ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ჩანს, რომ სპასპეტს ებარა, ასევე, ერისთავთა გამგებლობა. ერისთავებს, გარდა ადმინისტრაციული და სამეურნეო ფუნქციებისა, ევალებოდათ, ასევე სალაშქროდ წასვლა და ომიანობის დროს სპასპეტს ემორჩილებოდნენ. ასეთი, სურათი იყო, ასევე, მთელი გვიან ანტიკური და ფეოდალური ეპოქის მანძილზე. სპასპეტი ჯარების ხელმძღვანელი იყო ფარნავაზის შემდგომ ეპოქაშიც, გვიან ანტიკურ ქართლში და ადრეფეოდალურ საქართველოში. ვახტანგ გორგასლის მმართველობის დროს (V ს. II ნახ.) სპასპეტი იყო ქართლის ჯარების მთავარსარდალი. მოგვიანებით, IX-XI საუკუნეებში, ჯარების ხელმძღვანელობა სპასალარს ებარა. X საუკუნეში, როდესაც ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა ბიზანტიელთა იმპერატორ ბასილს დამხმარე ჯარი გაუგზავნა, ჯარის მთავარსარდლად დანიშნული იყო თორნიკე, „სპასალარად თორნიკ განაჩინეს“. XI საუკუნეში, ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში, ქართველთა ჯარების სპასალარი იყო ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში. ტერმინები „სპასპეტი“ და „სპასალარი“ სპარსულიდან არის შემოსული ქართულში. სპაჰბატ, სეფაჰსალარ – სპარსეთში, ჯარების უფროსს ნიშნავდა. XII საუკუნიდან სამხედრო უწყების ხელმძღ-

ვანელია ამირსპასალარი, რომელიც წყაროებში სპასპეტთა და სპასალართა უფროსად მოიხსენიება. პირველად ტერმინი „ამირსპასალარი" იხსენიება გიორგი III-ის მეფობის დროს და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი ამირსპასალარად ივანე ორბელს ასახელებს.

ადრინდელ ქართულ წყაროებში სამხედრო უწყების შესახებ კონკრეტულ აღწერილობას არ ვხვდებით, მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემებია სამხედრო უწყების პირთა შესახებ. სამხედრო თანამდებობები და მისი მფლობელი პირების ამბები ისტორიულ ასპექტებშია მოცემული. შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემის შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის XIII-XIV საუკუნის ქართული სამართლის ძეგლი „ჯელმწიფის კარის გარიგება". ამ დოკუმენტში სრულყოფილად არის აღწერილი სამხედრო უწყების სტრუქტურა და მის მოხელეთა იერარქიული კიბე.



დავითნი. მეომრები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H1665, 233r.

ამირსპასალარი. ამირსპასალარი არაბულ-სპარსული ტერმინებით „ამირ" და „სიფაჰსალარ" შედგენილი რთული სიტყვაა (არაბულ-სპარსულად – ამირსიფაჰსალარ, ქართულად – ამირსპასალარი. „ამირ" – არაბული ტერმინია და არაბულ სამხედრო სისტემაში 10 ათასი მეომრის გამგებელს ნიშნავდა). თუმცა, არაბულ სამყაროში არაბთა ჯარების სარდალს „ამირ ალ-ჯუიუშ"-ს ეძახდნენ. სპარსეთში კი, ჯარების უფროსს „სიფაჰსალარი" ერქვა. XIII საუკუნის ქართველი მემატიანე ჟამთააღმწერელი ამბობს: „მხედართ მთავარი არს ამირსპასალარი". ამირსპასალარის საქმე იყო „სალაშქრონი საქმენი", „ლაშქრობათა მეცადინეობანი", „მხედართა განწესებანი", „სპათა დაწყობათა ღონენი და მიმართებანი". „ჯელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, „ლაშქრობაჲ და ლაშქრობისა ვაზირობა ამირსპასალარის ჴელთ არის". ვაზირობის დროს სამხედრო საქმეზე ბჭობა ამირსპასალარის მოვალეობა და პრეროგატივა იყო. ამირსპასალარს ემორჩილებოდნენ ჯარების სხვა ხელმძღვანელები, თემთაგან გამომავალი რაზმების უფროსები, სპასალარები და სპასპეტები, ასევე, სხვა

რაზმების, მონაპირეთა, მონასპის, როქის სპის, ყივჩალთა ჯარის და სხვა შენაერთების ხელმძღვანელები. თამარის მეფობის დროს ამირსპასალარის და სხვა სამხედრო პირების როლი ძალიან გაიზარდა ქვეყნის ცხოვრებაში. თუ ადრე, საბრძოლო მოქმედებებს მეფე ხელმძღვანელობდა და ამირსპასალარი მის ბრძანებას ასრულებდა, ქალის მმართველობის დროს სიტუაცია სხვაგვარი იყო. ამჯერად, სამხედრო ოპერაციებს თვით ამირსპასალარი გეგმავდა სხვა სამხედრო პირებთან ერთად და ის იყო პასუხისმგებელი მთელ სამხედრო კამპანიაზე და მის შედეგებზე. თუ მეფე ლაშქრობაში არ მიდიოდა, სამეფო დროშას იგი ამირსპასალარს გადასცემდა. სპარსეთში ლაშქრობის წინ თამარმა დაათვალიერა ჯარი და სამეფო დროშა „გორგასლიან დავითიანი" გადასცა ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს. ომიანობიდან დაბრუნებული ამირსპასალარი ჯარის სხვა მხედართმთავრებთან ერთად მეფეს წარუდგებოდა და ძღვენს, ლაშქრობაში მოპოვებულ ძვირფას ნადავლს მიართმევდა. ამირსპასალარს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ხელისუფლებაში, ის იყო, „საპატიო ვაზირი". ამირსპასალარის დასტურის გარეშე „ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეინყალების"-ო. ე.ი. ვერცერთი მოხელე თანამდებობას ვერ მიიღებდა მისი თანხმობის გარეშე. მას დარბაზში და ვაზირობის დროს საპატიო ადგილი ეკავა და „სამთა ვაზირთა" ჯგუფში, მანდატურთუხუცესთან და ათაბაგთან ერთად შედიოდა. ამირსპასალარს ჰქონდა უფლება, რომ დარბაზობის, პურობის თუ სხვა საზეიმო ღონისძიებების დროს შეიარაღებული, ხმალშემორტყმული ყოფილიყო, რაც მის პატივსა და მოვალეობას გამოხატავდა. დარბაზობის დროს, გარდა ამირახორისა, რომელიც მისი მოადგილე იყო, სხვა ფეოდალებსა და მოხელეებს არ ჰქონდათ უფლება მეფეს შეიარაღებულნი ხლებოდნენ. მეფის კურთხევის დროს, ამირსპასალარს სამეფო ხმალი ეჭირა და მისი მოვალეობა იყო, რომ ახლად დალოცვილი და კურთხეული მონარქი სამხედროდ შეემოსა, ხმალი შემოერტყა წელზე.

სპასალარები და სპასპეტები. ამირსპასალარის ხელქვეითები სპასალარები და სპასპეტები იყვნენ. როგორც ჩანს, სპასალარები ქვეყნის თითოეული თემიდან გამომავალი რაზმების მეთაურები იყვნენ. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის მეფე ფარნავაზმა საერისთავოებიდან გამომავალი სამხედრო კონტინგენტების მეთაურებად სპასალარები დანიშნა და ერისთავებს დაუმორჩილა. თუმცა, ეს ცნობა ძველი ქართლის სამეფოს ეპოქას შეეფარდება, მაგრამ, შემდგომშიც, ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდშიც, სპასალარები თემიდან გამოსული რაზმების (საერისთავოებიდან გამოსული ლაშქარი) სათავეში იდგნენ. თამარის ისტორიკოსიც აღნიშნავს, რომ როცა ბრძოლიდან დაბრუნდა ქართველთა ლაშქარი, მეფის წინაშე მოვიდნენ სპასალარნი და სპასპეტნი.

ამირახორი. ამირსპასალარის მოადგილე, მისი პირველი მოხელე ამირახორი იყო. „ჴელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, „ამირახორი ვაზირი არის

ამირსპასალარისა". ამირახორობა საპატიო თანამდებობა იყო. როგორც სამხედრო უწყების წარმომადგენელს, „ჯრმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა". ის ხმალშემორტყმული იყო მეფის კურთხევის დროსაც. დარბაზობის დროს მას თან ახლდნენ მისი მოხელეები – მეაბჯრენი. დარბაზში დაჯდომის დროს იგი თავის ხმალს მეაბჯრეს გადასცემდა. ამირახორს ჰქონდა პატივი სავაზირო სხდომებს დასწრებოდა.

მეაბჯრეთუხუცესი. მეაბჯრეთუხუცესი უშუალოდ ამირახორს ექვემდებარებოდა, მას ებარა ზარადხანა – სამეფო იარაღის საწყობი, რომელსაც განაგებდა ამირახორთან ერთად და ევალებოდა მასში არსებული იარაღ-აღჭურვილობის კონტროლი. ზარადხანაში ინახებოდა სამხედრო აღჭურვილობა, აღკაზმულობა, სამეფო დროშები და სეფე დროშა: „შუბი სეფე ალმითა", ასევე, საომარი ცხენების აღკაზმულობა. მეაბჯრეთუხუცესს ჰქონდა პატივი მონაწილეობა მიეღო მეფის კურთხევის ცერემონიალში. იგი ამირსპასალართან და ამირახორთან ერთად ხმალშემორტყმული მიჰყვებოდა მეფის ამალას. მას ამ ცერემონიალის დროს ებარა სამეფო ლახტი, ფარი და ქარქაში.

მეაბჯრენი. მეაბჯრენი სამხედრო უწყების წევრები იყვნენ. მეაბჯრეები ჰყავდათ ამირსპასალარს, ამირახორს და სხვა მაღალი სამხედრო თანამდებობის პირთ. როგორც ჩანს, ისინი ამ მოხელეების უშუალო მსახურები იყვნენ. ამავე დროს, მეაბჯრეები, სამეფო კარზე დარბაზობაში თუ სხვა სახის ცერემონიალებშიც მონაწილეობდნენ, ასრულებდნენ, როგორც საპატიო თანამდგომების, ასევე, ყარაულის, სასახლის დაცვის ფუნქციასაც. გიორგი III-ის მეფობის დროს, მეაბჯრეები შეუმოსავთ ვერცხლის აბჯრით. რა თქმა უნდა, ისინი, ასე ძვირფასად შემოსილები იყვნენ სწორედ ცერემონიალების დროს, როცა სამეფო კარი მთელი თავისი ბრწყინვალებით იყო წარმოდგენილი. ეს ცერემონიალები იმართებოდა, დარბაზობის, პურობის, დიპლომატიური კორპუსის მიღების ან სხვა სახის რელიგიურ თუ საახალწლო დღესასწაულებზე. მეაბჯრეებს შორის გამოირჩეოდნენ კარგი მეაბჯრე და სეფე მეაბჯრე.

აბჯრის მტვირთველი. აბჯრის მტვირთველი მეაბჯრეთა რიგს მიეკუთვნებოდა. ეს საგანგებო მოხელე იყო, რომელსაც ომში პატრონის გვერდზე ყოფნა და სამხედრო აღჭურვილობით მისი უზრუნველყოფა ევალებოდა.ეს იმდენად საპასუხისმგებლო მოვალეობა იყო, რომ მისთვის საგანგებოდ წვრთნიდნენ, მისი შემსრულებელი: „აღზრდილი იყო აბჯრის მტვირთველად". ამ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ აზნაურთა შვილებიც, რომლებსაც ყმაწვილობიდან ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს. XIV საუკუნის ქართველი დიდებული სარგის II ჯაყელი „აღზრდილ იყო აბჯრის მტვირთველად". აბჯრის მტვირთველი ჰყავდა, როგორც მეფეს, ასევე სხვა მაღალი სამხედრო თანამდებობის ისეთ პირებსაც, როგორებიც იყვნენ სპასალარები და სპასპეტები. ასეთივე მოვალეობის შემსრულებლები იყვნენ აბჯროსანი და საჭურვლის მტვირთველი.

კარვოსანი და ქოთლოსანი. კარვოსანი და ქოთლოსანი ლაშქრობაში სე-

ნიორს, პატრონს თან ახლდნენ. მათ მოვალეობას წარმოადგენდა საომარი, სამარქაფო და სასაპალნე ცხენების, პატრონისათვის მოსასვენებელი სადგომის მოვლა-პატრონობა და სურსათით უზრუნველყოფა. ლაშქრის დაბანაკებისას საჭირო იყო კარავი, ადგილზე გადასატანი „სამგზავრო სახლი". კარავს შლიდნენ ბრძოლამდე ან ბრძოლის შემდეგ. კარვოსანის მოვალეობა, სწორედ ამ გადასატანი სადგომის, ხოლო ქოთლოსანის ვალდებულება, ტვირთმზიდავი ცხენის მოვლა-პატრონობა იყო.

აჩუხჩი, ამირჩქარი. აჩუხჩი და ამირჩქარი ამირსპასალარის უწყებაში შედიოდნენ. ისინი თან ახლდნენ სამხედრო ხელმძღვანელებს ლაშქრობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროებით არ არის ცნობილი, თუ რა უფლება-მოვალეობები ჰქონდათ მათ.

მეჯინიბეთუხუცესი. მეჯინიბეთუხუცესი, იგივე საჯინიბოს ხელმძღვანელი, ამირახორის ქვეშევრდომი იყო. მის მოხელეებს წარმოადგენდნენ მეჯინიბეები და საჯინიბოს ხელოსანნი (მოხელეები).

ზარადხანა. ზარადხანა იყო იარაღის საწყობი. მასში აღირიცხებოდა, როგორც მეფის სამხედრო აღჭურვილობა, ასევე სამეფო დროშები, საომარი ცხენების აღკაზმულობა, სხვა სახის მრავალი სამხედრო ნივთი. „ჴელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით ზარადხანაში ინახებოდა: „ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვაჲ ყველა აბჯარი, რაზომიცა თანა აქვს, ჯაჭვი, მუზარადი, ჴმალი, ქაფა, საბარკული, მშჳლდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაც ზედ აბია და რაც საცხენე ჯავშანი მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი, და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თავგადაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე ალმითა, ესე ყოველნი მნათობნი, მოჭედილნი ვერცხლით და სპილენძიანი". მართალია, „კარის გარიგების" მიხედვით აქ საუბარია სამეფო იარაღის საწყობზე, მაგრამ მისი აღწერილობა გვიხატავს ზოგად სურათს, თუ რა სახის სამხედრო აღჭურვილობა ესაჭიროებოდა შუა საუკუნეების მოლაშქრეს. ზარადხანას, თავისი უშუალოდ მეთვალყურე მოხელეები ჰყავდა, ზარადხანის უხუცესის, ზარადხანის მოლარის, ზარადხანის მეჯინიბის, მისრატულთუხუცესის, მისრატულების (ცხენის შემკაზმავების) და ზარადხანის მწიგნობრის სახით. წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის დამდეგს, ზარადხანის უხუცესი და მწიგნობარი აღწერდნენ იარაღ-საჭურველის მდგომარეობას და ანგარიშვალდებულნი იყვნენ ამირახორის და მეაბჯრეთუხუცესის წინაშე.

სამხედრო უწყებაც ფეოდალური სისტემის ნაწილი იყო. უმაღლეს თანამდებობებზე მაღალი წრის, დიდებულ აზნაურთა წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. რაც შეეხება, უფრო დაბალი თანამდებობების პირებს, ისინი მსახურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი, მაგრამ სამხედრო საქმე მათ აძლევდა საშუალებას დაწინაურებულიყვნენ წოდებრივ, ფეოდალურ საფეხურზე. როგორც ვიცით,

გიორგი III-მ ყივჩალთა დაქირავებული რაზმის მეთაური ყუბასარი დააწინაურა და ამირსპასალარობა უბოძა. სამხედრო უწყებაში არაქართველი მოხელეებიც მრავლად იყვნენ და ისინიც ერთგული სამსახურის გამო ამ იერარქიულ კიბეზე აღზევდებოდნენ და ქართველ დიდებულთა წრეში შედიოდნენ. ამის ნათელი მაგალითია, XII საუკუნეში მხარგრძელთა დაწინაურება და მათი ქართულ ფეოდალურ სისტემაში მოხვედრა. წარმოშობით ისინი ქურთისტანიდან იყვნენ და XII საუკუნის შუა ხანებიდან სამეფო კარზე ერთგული სამსახურის გამო აღზევდნენ.

თავი IV

ლაშქრის შემადგენლობა

სამეფო სპა. სამეფო სპა, იგივე „ლაშქარნი თემისა“, „ლაშქარნი ქვეყანისანნი“ ადმინისტრაციული ერთეულებიდან, საერისთავოებიდან, კუთხეებიდან (თემები) გამომავალი რაზმები იყო. სამეფო სპა იკრიბებოდა თემთა წარჩინებულებისგან, აზნაურებისგან და მსახურებისგან. ისინი თავიანთი სოციალური მდგომარეობით სამხედროვალდებულნი იყვნენ ხელისუფლების წინაშე. სათავეში ასეთ ნაწილებს ერისთავები და სპასალარები ედგნენ. თემებს ლაშქრობის დროს საერთო ხელმძღვანელიც ჰყავდათ. სამცხის თემში (მესხთა თემში) რამდენიმე საერისთავოს რაზმები ერთიანდებოდნენ და მას სათავეში სამცხის სპასალარები ედგნენ. ყველა ამ თემს ბრძოლის დროს თავისი ადგილი ჰქონდა სამხედრო განლაგებაში. მესხთა თემიდან გამომავალი ნაწილები მოწინავეებში იდგნენ. ჯარის ხელმძღვანელობა, წვრთნა, საბრძოლოდ მომზადება ამირსპასალარს ჰქონდა ჩაბარებული. მეფე, ზოგადად, ჯარების საერთო ხელმძღვანელი იყო და ამირსპასალართან და სპასალარებთან ერთად მეთაურობდა ბრძოლის მიმდინარეობას. ამირსპასალარის თანამდებობა გიორგი III-ის პერიოდიდან გვხვდება. ადრინდელ ეპოქაში სპასპეტი და სპასალარები იყვნენ სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელები. როცა დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები გადმოიყვანა ჩრდილოეთ კავკასიიდან, რაზმებად დააწყო და მათ სათავეში სპასალარნი და მმართებელნი დაუდგინა. სპასალარები, გარდა ყივჩაღთა რაზმებისა, სამეფო სპის, ქვეყნის სხვადასხვა თემებიდან გამომავალი ჯარების ხელმძღვანელებიც იყვნენ.

სამეფო სპას სახელმწიფო განსაკუთრებული შემთხვევებისას იყენებდა, მაშინ, როცა საერთო სამხედრო მობილიზაცია ცხადდებოდა. მის გამოწვევას ქვეყნის თემებიდან სამეფო ხელისუფლება უზრუნველყოფდა. ეს არ იყო მუდმივი, იარაღის ქვეშ დაყენებული სამხედრო ძალა. მისი სამსახური დროებითი იყო. სამეფო სპას ომის დამთავრებისთანავე დაითხოვდნენ. ფეოდალურ არმიაში არ იყო ყაზარმული ტიპის სამსახური. მშვიდობიანობის დროს სამეფო სპის ძირითადი ნაწილი თავის ჩვეულებრივ საქმიანობას, მიწისმფლობელობას (საკუთარი მიწების მოვლა-პატრონობას გლეხთა შრომის საშუალებით) უბრუნდებოდა, თუმცა, დროდადრო, სამხედრო ხელმძღვანელობის ქვეშ სამხედრო წვრთნას და ვარჯიშებს ატარებდა, რაც, ასევე, ნადირობა-სამხედრო თამაშობებში გამოიხატებოდა.

სამეფო სპაში შედიოდნენ ასევე, მონაპირეთა და მთიელთა სამხედრო კონტინგენტები. ესენი გასამხედროებული თემების წარმომადგენლები იყვნენ. მათ მთავარ მოვალეობას საზღვრების დაცვა და მარბიელი რეიდების მოწყობა წარმოადგენდა.



მხედრობა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H1665, 227v.

შიდა სპა. შიდა სპა წარმოადგენდა სამეფო სპის ერთ-ერთ ძირითად კონტინგენტს. შიდა სპას – წყაროებში ეწოდება, ასევე, „შიდა ლაშქარი“. 1047 წელს ბაგრატ IV (1027-1072 წწ.), ლიპარიტ ბაღვაშთან და მის მომხრე ბიზანტიელებთან ომისას, მტერს შეება „შიდა ლაშქრითა“. ეს ლაშქარი შიდა სპის ნაირსახეობა იყო. შიდა სპა აქტიურ მონაწილეობას იღებდა დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში, რომელთაც მეფე მომთაბარეთა წინააღმდეგ ახორციელებდა. მემატიანეს აღწერილი აქვს დავით IV-ის თურქმანებზე თავდასხმის მზადება ტაოში: მეფემ „სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა (დათქმული დრო ჯარის შეყრისა) და თჳთ შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულ დაესხნეს მათ ზედა, უშიშად მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისა“. შიდა სპა, სავარაუდოდ, სამეფო დომენიდან გამოყვანილი სამხედრო შენაერთებისგან შედგებოდა. შუა საუკუნეებში, სამეფო დომენის ტერიტორია, აფხაზთა მეფეების ეპოქიდან მოყოლებული, იმერეთის მხარის ქუთაისის რეგიონს მოიცავდა და მას „სამოქალაქო“ ერქვა. ეს ტერიტორია, დღევანდელი ვაკე, ქვემო იმერეთი, იმერეთის დაბლობს მოიცავს. გვიანდელ შუა საუკუნეებში იმერეთის სამეფოში გვხვდება „ფიცის კაცების“ ინსტიტუტი. „ფიცის კაცები“ მეფესთან ფიცის ერთგულებით იყვნენ დაკავშირებულნი და მათ მთავარ მოვალეობას ომიანობის დროს ლაშქრობაში სამსახური წარმოადგენდა. ასეთი ინსტიტუტი არცერთ ქართულ სამეფო-სამთავროში არ არსებობდა. „ფიცის კაცების“ მამულები, დაახლოებით, იმ მხარის რეგიონში მდებარეობდა, რომელიც შუა საუკუნეებში აფხაზთა და ქართველთა მეფეების სამეფო დომენი იყო და, შესაბამისად, „ფიცის კაცების“ ინსტიტუტი, სავარაუდოდ, შუა საუკუნეების შიდა სპის გამოძახილი უნდა იყოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ „შიდა სპა“ შიდა ქართლიდან – ქვეყნის ცენტრალური რეგიონიდან შეკრებილი ლაშქარი

იყო. როცა ჯარი საბრძოლველად ეწყობოდა, შიდა სპა მეფის თანმხლები იყო მონასპის ნაწილებთან ერთად და საბრძოლო მოქმედებების დროს ლაშქრის შუაგულში იდგა.

წინამბრძოლნი. წინამბრძოლთა მოწინავე რაზმების ფუნქცია მეტად სა-პასუხისმგებლო და საპატიო იყო. ისინი არმიის ავანგარდს წარმოადგენდნენ და, შესაბამისად, პირველნი იღებდნენ მტრის თავდასხმის სიმძიმეს, ასევე, მოწინააღმდეგეზე თავდასხმის დროს შემტევთა პირველ რიგებში იდგნენ. შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ძალებში მოწინავეთა რაზმებს სამცხის თემიდან გამომავალი მოლაშქრეები ადგენდნენ – სამცხის თემის მთავრები, სპასალარები – ახალციხელები, შემდეგ – ჯაყელები. ჟამთააღმწერლის სიტყ-ვით, ახალციხელების „ვითარ წესად არს სახლისა მათისა წინამბრძოლობა". ბასიანის ომის დროს სამცხის რაზმები შალვა და ივანე ახალციხელების მეთაუ-რობით ამირსპასალარის რაზმთან ერთად მოწინავეებში იდგნენ და პირველნი დაესხნენ თავს ბანაკად მდგარ მტერს. ასევე, სპარსეთში ლაშქრობის დროს, ქალაქების აღებისას, ჩანან მესხები მოწინავეებში. მარანდთან შეტაკების წინ, ზაქარია ამირსპასალარმა თაყაიადინ თმოგველის მზვერავი რაზმი გააგ-ზავნა, რომელიც სამცხის თემიდან უნდა ყოფილიყო გამომავალი. მესხებმა, რომელთაც სარდლობის დავალებით განაწილებული ჰქონდათ ქალაქის გალა-ვნის ზღუდეების იერიში სხვა რაზმებთან ერთად, დაანგრიეს ქალაქ ზენჯანის ზღუდე. გიორგი IV ლაშამ (1210-1223 წწ.) განძის ალყის დროს მესხთა რაზმით გარსშემოუარა ქალაქის კედლებს იერიშის ფონის მოსაძებნად. 1225 წელს, გარნისის ბრძოლაში, თორელების და შალვა და ივანე ახალციხელების მეთაუ-რობით მესხთა რაზმები მეწინავეებში იდგნენ და მათ მიიღეს საკუთარ თავზე შეტაკების მთელი სიმძიმე. 1545 წელს, სოხოისტასთან ბრძოლის დროს, მესხთა რაზმები იყვნენ მოწინავეებში. ამ ბრძოლის დროს, კარგად ჩანს, მათი როლის ისტორიული ფაქტორი, როცა იმერეთის მეფე ბაგრატს სთხოვეს, მიეცა მათთ-ვის მთავარსარდალს მტერთან პირველი შეტაკების უფლება. იმერეთის მეფის უარის გამო, მათ ბრძოლაში მონაწილეობას თავი აარიდეს, რითაც ჩანს, რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოწინავეობას, რომელიც მათ ისტორიულად ჰქონ-დათ.

მონაპირენი. მონაპირეთა გასამხედროებული თემები ქმნიდნენ სასაზ-ღვრო ზოლში არსებულ სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის სისტემას. ამ თემების სათავეში ერისთავები იდგნენ და მათ მოვალეობებს მარბიელი ლაშქრობების, დაზვერვითი რეიდების, მოწინააღმდეგის გადაადგილებებზე ცნობების შეკრება წარმოადგენდა. სასაზღვრო რეგიონებში არსებული სათ-ვალთვალო-სასიგნალო კოშკების მეშვეობით, ხელისუფლება იყო ინფორმირე-ბული, თუ რა ხდებოდა ქვეყნის სანაპირო ზოლში. ამ ტიპის სასაზღვრო სამსახურის უმთავრეს მოვალეობას მოწინააღმდეგეთა რაზმების მარბიელი

შემოსევების აღკვეთა წარმოადგენდა. ასეთი თარეში მცირე რაზმებით ხორციელდებოდა და მონაპირეთა მოვალეობა იყო დროულად შეემჩნიათ მტრის რეიდი, აღეკვეთათ მისი თავდასხმის მცდელობა. სამეფო ხელისუფლება მონაპირეებს ავალებდა სასაზღვრო ზოლის საპატრულო სამსახურს.

გარდა ცოცხალი ძალის გამოყენებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სათვალთვალო კოშკებს და სიმაგრეთა წყობას. მონაპირეთა დამცავ ზღუდეებს საგუშაგო-სათვალთვალო კოშკების ქსელი წარმოადგენდა. ცალკე მდგომი კოშკები, ძირითადად, შემაღლებულ ადგილებზე, ბორცვებზე და კლდეებზე იყო განლაგებული. ქვეყანაში შემომავალი გზები დაცული იყო ასეთი საპატრულო კოშკებით და ხეობის შესასვლელებში არსებული ციხე-სიმაგრეებით. ისინი, ძირითადად, დაბლობებში გამავალი გზების სათვალთვალოდ იყო აგებული. მათ ფუნქციას შემომავალი თუ შემოვლითი გზების ჩაკეტვა და გზათა კონტროლი წარმოადგენდა. მტრის გამოჩენის შემთხვევაში, მალემსრბოლების, სასიგნალო ნიშნების (კოცონის დანთება სიმაგრეებთან ახლოს, შესამჩნევ ადგილზე) საშუალებით სწრაფ ინფორმაციას გადასცემდნენ სასაზღვრო ზოლის ხელმძღვანელობას. ეს სათვალთვალო საგუშაგოები ციხე-სიმაგრეების დამატებით, დამხმარე სტრუქტურას წარმოადგენდნენ.

მონაპირეებს მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება, რაზმების წინსვლისათვის გზების ჩახერგვა და მათი მოძრაობის შეფერხება ევალებოდათ, რაც სამეფოს ძირითად ძალებს თავმოყრის და მობილიზაციის საშუალებას მისცემდა. მონაპირეების მთავარ ფუნქციას, ასევე, მტრის ზურგში, მოსაზღვრე რეგიონებში ელვისებური სამხედრო რეიდების განხორციელება წარმოადგენდა. მათ, პერმანენტული თავდასხმებით არეულობა უნდა შეეტანათ და შიში ჩაენერგათ მტრის რიგებში. ასეთი რეიდებით, ძალის დემონსტრირების გარდა, მოწინააღმდეგის საბრძოლო მზაობაზე ინფორმაციებიც უნდა მოეპოვებინათ. ასეთი თავდასხმები დავლა-ალაფის მოსაპოვებლადაც ტარდებოდა, რაც იმ ეპოქის სამხედრო ოპერაციების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო. მონაპირეების ფუნქციები განსხვავდებოდა ქვეყნის ცენტრალური რაიონების ერისთავთა ვალდებულებებისგან. მართალია, ყოველი ერისთავ-მოხელე სამხედროვალდებული იყო სახელმწიფოს წინაშე, მაგრამ მუდმივი საბრძოლო მზაობა მონაპირეებისათვის იყო დამახასიათებელი. ისინი მუდმივი რისკის ზონაში – მოწინააღმდეგის ტერიტორიების სიახლოვეს იმყოფებოდნენ და მტრის პირველ დარტყმებს იღებდნენ.

მონაპირეთა სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემა გარკვეულწილად განსხვავდებოდა შიდა რაიონებში არსებული ტერიტორიული ერთეულების მოწყობისაგან. სამეურნეო სავარგულები შიდა რაიონებში უფრო დიდი და დაცული იყო და საგადასასადო ფუნქციაც სახელმწიფოს წინაშე შესაბამისად განსხვავდებოდა. ამიტომ, სამეფო ხელისუფლებას ისინი გათავისუფლებული ჰყავდა მთელი რიგი საბატონო-სამეურნეო გადასახადებისაგან. დავით აღმაშენე-

ბელმა საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაღები, როგორც ჩანს, სასაზღვრო თემებში დაასახლა და მეზობელი ტერიტორიების რბევა დაავალა. ყივჩაღები მონაპირეების ფუნქციას ასრულებდნენ და პერმანენტული რეიდებით მძიმე დარტყმებს აყენებდნენ მომთაბარე თურქმანებს და სელჩუკთა გარნიზონებს. სწორედ ამაში მდგომარეობდა, ძირითადად, ყივჩაღთა ჩამოსახლების არსი. სელჩუკთა სულთანი თხოვდა კიდეც დავით აღმაშენებელს, შეეჩერებინა ყივჩაღთა თავდასხმები მეზობელ მუსლიმურ ქვეყნებზე. მონაპირეთა თავდასხმები და რეიდები, რა თქმა უნდა, სამეფო ხელისუფლებასთან შეთანხმებული იყო. თუმცა, მცირე მასშტაბის მარბიელი რეიდები ყოველთვის არ იყო შეთანხმებული მთავრობასთან. ასეთ ინდივიდუალურ ინიციატივებს სახელმწიფოთა შორის კონფლიქტიც გამოუწვევია. ამის მაგალითია, XIII საუკუნეში ხლათის საემიროსა და საქართველოს მოსაზღვრე რეგიონების პატრონთა კონფლიქტი. კერძოდ, დვინის მფლობელ შალვას და სურმარის ამირას შორის ატეხილი ბრძოლა, როცა ორივე მხარემ თავიანთ სიუზერენებთან შეუთანხმებლად მოაწყო ერთმანეთის ტერიტორიების რბევა. დვინის პატრონი ტყვედ ჩაუვარდა სურმარის ამირას. თავის ხელქვეითს გამოექომაგა საქართველოს მეფე რუსუდანი (1223-1245 წწ.), რომელმაც სურმარის პატრონის მფარველს, ხლათის მმართველს ალ-მალიქ ალ-აშრაფს ტყვეების გათავისუფლება, მისი ქვეშევრდომის თვითნებობის აღკვეთა მოსთხოვა და ომითაც დაემუქრა. ხლათის გამგებელმა შეასრულა რუსუდანის მოთხოვნა და აიცილა ქართველებთან მასშტაბური ომი.

მონაპირეების მთავარ საქმიანობას რომ მეზობელი ქვეყნების ძარცვა-რბევა წარმოადგენდა, კარგად ჩანს გიორგი III-ის მეფობაშიც. დიდებულებმა მეფეს მოსთხოვეს, მიეცა მათთვის უფლება, დაერბიათ მეზობელი ტერიტორიები: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. მემატიანის სიტყვა: „მკადრებელნი იტყოდეს ესრეთ“, იმის მაუწყებელია, რომ დიდებულებმა მეფეს ჰკადრეს (მოსთხოვეს) სალაშქროდ სამხედრო ძალის მიცემა მაშინ, როცა გიორგი III-ს სამშვიდობო ზავი ჰქონდა დადებული ადარბადაგანის ათაბაგ ელდიგუზთან, რომელსაც წინ უძღოდა სომხეთის და არრანის მიწებისათვის გაუთავებელი ომი საქართველოსა და მუსლიმურ კოალიციებს შორის, რომლის მეთაურიც ელდიგუზი იყო. ამ კონფლიქტში ორივე მხარე საკმაოდ დაზარალდა და ზავის ჩამოგდება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამ შეთანხმებაში დიდი როლი უთამაშია გიორგის დას რუსუდანს, ირან-ერაყის სულთნის ყიას ად-დინის ყოფილ მეუღლეს. ელდიგუზ ათაბაგსაც სიხარულით მიუღია ზავის ამბავი. მიუხედავად შეთანხმებისა, მონაპირეთა თხოვნის გამო მეფემ ეს ზავი დაარღვია და „დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთსა დღესა შინა პაემან-შემქმნელმან უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა – კარისა და აშორნიისა, და ამირსპასალარსა და სომხითართა – მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის; თჳთ ხასაგანიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა – განძას დამართებით მტკურის პირი

იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა – ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის. იქმნა ესევითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სიგძე არაოდეს ვის ეხილა". ასეთი მასშტაბის ლაშქრობა, მართლაც, უმაგალითოა საქართველოს ისტორიაში, რადგან მან ერთბაშად მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია. ასეთი გამოხდომა მშვიდობიანობის დროს, რასაკვირველია, გამოწვევა იყო მეზობელი მუსლიმებისა, მაგრამ გიორგი III იძულებული გახდა ანგარიში გაეწია თავისი დიდებულებისთვის, რომლებისთვისაც ომიანობა, არა მარტო პროფესია, არამედ ძირითადი შემოსავლის წყარო იყო. ამ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ჯარების ძირითადი კონტინგენტიც ამირსპასალარის მეთაურობით, მაგრამ ამ ლაშქრობაში მთავარი როლი სწორედ მონაპირეებს ეკისრათ: ტაოელებს, კლარჯებს, შავშელებს, მესხებს, თორელებს, სომხითართ, კახეთ-ჰერეთის აზნაურებს. ისინი ასრულებდნენ მონაპირეთა ფუნქციებს, რადგან ეს რეგიონები ქვეყნის სასაზღვრო ზოლში მდებარეობდნენ.

მსგავსი სასაზღვრო სისტემა იყო ბიზანტიის იმპერიაში. VII საუკუნიდან იმპერიის ხელისუფლებამ შექმნა სამხედრო-ადმინისტრაციული სასაზღვრო ოლქები – თემები, რომელთა სათავეში სტრატეგოსები (სტრატიგოსები), XI საუკუნიდან კი – დუკები იდგნენ. ეს სისტემა, განსაკუთრებით, მობილური სახით, იმპერიის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში არსებობდა. ბიზანტიისათვის ძირითადი საფრთხე, სწორედ ამ მხარეებიდან მოდიოდა, ადრე – სლავების, ავარების და სასანიანების, შემდეგ – არაბების, მოგვიანებით კი – თურქ-სელჩუკების სახით. ასეთი სასაზღვრო-სანაპირო ოლქები იყო მესოპოტამია, ვასპურაკანი, ანტიოქია, ხალდია (შედიოდა ივერიის თემი). მსგავსი სისტემა არსებობდა სელჩუკთა სახელმწიფოებში და, მოგვიანებით, ოსმალთა იმპერიაში. ოსმალეთის სახელმწიფოში არსებობდა მონაპირე-მოსაზღვრე სანჯაყების სისტემა, რომელსაც სათავეში სანჯაყ-ბეგები ედგნენ.

მონაპირეების ფუნქციას ასრულებდა საქართველოს მთიანი რეგიონების მოსახლეობაც, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმომავალი გზები უნდა გაეკონტროლებინა. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, ამ გადმოსასვლელების კონტროლი სამეფო ხელისუფლების საზრუნავი იყო, რომელსაც ადგილობრივი მთიელების საშუალებით ახორციელებდა. V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა დარიალის გადმოსასვლელის გაკონტროლება ალანთა ტომების თავდასხმებისაგან თავდასაცავად, ადგილობრივ, მთიელ მოსახლეობას დაავალა.

მონაპირეთა ბუნება, მათი ფუნქციები და ვალდებულებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ნათლად ჩანს გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნში „ძეგლისდება". როგორც ითქვა, კანონთა ეს კრებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის, მთიულეთის მოსახლეობისათვის არის შედგენილი. მასში მოცემულია გასამხედროებული თემების წარმომადგენელთა რიგი, ერისთავთა, განმგებელთა, ხევისბერთა, ჰეროვანთა, ციხისთავთა უფლება-მოვა-

ლეობანი და ადგილი საზოგადოებაში. საინტერესოა, რომ მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან სამხედრო ვალდებულებებით გამოიხატებოდა. ერთ-ერთი მუხლი ამ სამართლისა, თემის კაცის ლაშქრობაში წაუსვლელობას ეხება. ამ საკანონმდებლო მუხლის მიხედვით, ლაშქრობაში უმიზეზოდ წაუსვლელობა დანაშაულის ტოლფასი იყო და მის ჩამდენს სამსახურის სანაცვლოდ მიცემული თანამდებობა და მამული ერთმეოდა: „რომელ ქვეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ – ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან, და რაზომცაღა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ, და თჳთო ჴარი ნაეგუაროს სასეფოდ. და მეორესა წელიწადსა მამული ისევ ებოძოს ერისთავისა და განმგებლისაგან საურავითა. ესე ჰეროვნისა და სოფლიონისა იყოს. და თუ ჴევისბერმან დააკლოს და არ გაყვეს, ჴევისბერობა ნაელოს და მამული დაეჭიროს. და ერთს წელიწადს უკან მამული ისევ ებოძოს, და ჴევისბერობაც ისევ ებოძოს, თუ ნამსახური იყოს და სხუა არა შეეცოდოს რა. ჴევისბერი თუ უგემურად იყოს ლაშქრობის ჟამს მისი ძმა და მოახლე კაცი წავიდეს, და ჴევისბერს შეენდოს ლაშქარს წაუსვლელობა“.

მართალია, ეს ძეგლი მთიულეთის მოსახლეობისათვის არის შექმნილი, რომლის სპეციფიკაც განსხვავებულია ბარის მოსახლეობის სოციალური სტატუსისგან, მაგრამ გასამხედროებული თემების, მონაპირეების ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე ფაქტიურად ერთნაირი იყო.

ტაძრეულები. ტაძრეულები იყვნენ სამეფო დომენის მოლაშქრეები, მეფესთან მუდმივად მყოფი მსახურეული სამხედრო პირები. „რჩეულნი ჭაბუკნი, რომელნი სამარადისოდ თანა ყვებოდეს მეფეთა“. „ტაძრეული“ – „ტაძარი“, სამეფო დომენის აღმნიშვნელი ტერმინია (ტაძარი – სასახლე, პალატი), ტაძრის მიწა – სამეფო მიწაა, რომელიც უშუალოდ მეფის საკუთრებაშია. ტაძრეულები პირველად იხსენიებიან VIII საუკუნეში არჩილის ერისმთავრობის დროს. არჩილმა ტაძრეულები აზნაურებად აქცია და სამეფო დომენიდან კახეთის მიწები დაურიგა სარგებლობაში. ტაძრეულებში, გარდა აზნაურებისა, შედიოდნენ ასევე, სამეფო მსახურები, დაბალი წარმოშობის პირები გლეხთა და მეთემეთა წრიდან, რომელთა სამსახური სამხედრო-ადმინისტრაციული იყო. გარდა სამხედრო სამსახურისა, ისინი სასახლის კარზეც მსახურობდნენ, თუმცა ტაძრეულების რაზმებში გაერთიანებულების მთავარი ფუნქცია სამხედრო სამსახური იყო. ტაძრეულთა რაზმებში, სავარაუდოდ, გააზატებული (გათავისუფლებული) მონებიც მსახურობდნენ. ისინი იყვნენ მეფის ტალანი, გუშაგნი, მესაწოლენი. ტაძრეულები მუდმივად თან ახლდნენ მეფეს, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს. თრიალეთში, სელჩუკების შემოჭრის დროს, დავით აღმაშენებელს ნაჭარმაგევში ყოფნისას ტაძრეულთა რაზმი ახლდა თან. ისინი მუდმივად მეფის სამსახურში იყვნენ და შინაური რეაქციისა და ყოველ-

გვარი მოულოდნელობისაგან იცავდნენ მას. ტაძრეულის წევრები შეიძლება ყოფილიყვნენ დიდებული აზნაურები, ერისთავები, მთავრები, რომლებსაც სამეფო კარზე თანამდებობები ეჭირათ. წყაროებში შემორჩენილია ერისთავის ტაძრეულად კურთხევის რიტუალი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „რამეთუ ძუელითგანვე იყო წესი ესე: რა ჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ ჴელისუფალნი, ანუ აზნაურნი ჩინებულნი მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჴრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი, ხოლო მეფე ჴელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძალ-ედვა მოურნეობა მისი. ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ, და ჴრმალსა მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხვა სამეფო მსახურებათა შინა ღირსებისაებრ“. ტაძრეულის აღმნიშვნელად წყაროებში გვხვდება ტერმინები: „შინაურნი მეფისანი“, „კარვის კარსა ჴელისუფალნი“. თამარ მეფის დროს სამხედრო აღლუმზე სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად იდგნენ „თჳთ კარვის კარსა ჴელისუფალნი და შინაურნი“

მესაწოლენი. მეფის კაბინეტის – საწოლის მსახურები, მეფის პირადი მცველები, ხელმძღვანელობდა მესაწოლეთუხუცესი. მესაწოლეების ზოგადი ხელმძღვანელობა მსახურთუხუცესს ებარა, როგორც სამეფო სასახლეების და პალატების მთავარ გამგეს. მესაწოლეები თან ახლდნენ მეფეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობისას (სამეფო კარს ჰქონდა ძირითადი და დროებითი რეზიდენციები და მეფის გადაადგილება თბილისიდან გეგუთში, ცხუმში, ბიჭვინთაში, ანაკოფიაში და სხვა მხარეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო). „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ წერია, რომ შვიდასი შუბოსანი მესაწოლე ახლავს მეფეს მგზავრობაში, რომელთაგან მხოლოდ რვაა გლეხი, დანარჩენი კი – აზნაური. ამ გლეხებს, სპეციალურად შერჩეული ოჯახებიდან ირჩევდნენ და სამხედრო სამსახურისათვის ამზადებდნენ. მეფის სიმშვიდეს საწოლში მესაწოლე იცავდა. მართალია, წყაროები არაფერს გვეუბნებიან ამ კონტინგენტის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ შუბოსან მესაწოლეთა რაზმები უნდა ხლებოდნენ მეფეს ომშიც, როგორც განსაკუთრებით საიმედო და საბრძოლო ნაწილები, რომლებიც ბრძოლაშიც მეფის უსაფრთხოებას იცავდნენ. მონასპის რაზმებისგან განსხვავებით, საქართველოში მესაწოლეთა რაზმები, სავარაუდოდ, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შედგებოდა. „ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ის, ძირითადად, აზნაურებისგან და მცირედი ნაწილი გლეხებისგან (სავარაუდოდ, მსახურებად ქცეულებისგან) იყო დაკომპლექტებული და, რა თქმა უნდა, ისინი ქართველები იყვნენ. საეჭვოა, რომ უცხოტომელები მემატიანეს აზნაურებად და გლეხებად მოეხსენიებინა.

როქის სპა, მოქირავნეები. როქის სპას შეადგენდნენ მოქირავნეები –

დაქირავებული რაზმები. „როგა“ (როქა) ბერძნული ტერმინია და ქართულად ნიშნავს – ქირას, ჯამაგირს. საქართველოში დაქირავებული რაზმების გამოყენებას დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, ქართველი მეფეები ქირაობდნენ ჩრდილოეთ კავკასიელ მეომრებს, ალანებს, ჰუნებს, სარმატებს, დურძუკებს, ლეკებს, დაღესტნელებს. დაქირავებულ რაზმებს ისინი იყენებდნენ, როგორც თავდაცვითი ბრძოლების, ისე მარბიელი ლაშქრობების დროს. აზოს წინააღმდეგ მებრძოლი ფარნავაზის ჯარების რიგებში ვხვდებით ოსთა და ლეკთა რაზმებს. ფარნავაზის მომდევნო ხანაშიც, ქართლის მეფის ლაშქარში იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიელთა დაქირავებული რაზმები. მათ ქირაობას, გარდა წმინდა სამხედრო თვალსაზრისისა, ჰქონდა პოლიტიკურ-ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობაც. ამ ეთნიკური ჯგუფებისთვის საქართველოსაც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მათთვის ქართლის სამეფოს ლაშქრობებში მონაწილეობა გარკვეული შემოსავლის წყარო იყო. ქირა, არა მარტო ფულით ანაზღაურდებოდა, არამედ სამხედრო დავლა-ალაფის განაწილების ფორმითაც. მაგრამ, რადგან ალაფი გარანტირებული შემოსავალი არ იყო, ამიტომ ფულადი ანაზღაურება იყო მათი მოწვევის მთავარი საფუძველი.

II საუკუნეში, ქართლის მეფემ ფარსმან II ქველმა რომაელთა წინააღმდეგ გამოიყენა ალანთა რაზმები, რომლებიც რომის იმპერიის სამხრეთ კავკასიურ პროვინციებს შეუსია. ამ ლაშქრობის დროს მოპოვებული ნაძარცვის განაწილების შემდეგ, ეს მეომარი ტომები სამშობლოში გაისტუმრა. ანტიკური პერიოდის ქართლის მეფეების საომარ ოპერაციებში გვხვდებიან ასევე, პაჭანიკების, ჯიქების, დურძუკების, დიდოელების რაზმებიც.

როგორც აღვნიშნეთ, მოქირავნეების გასტუმრება ფულადი ანაზღაურებით და ლაშქრობაში მოპოვებული დავლა-ალაფით ხდებოდა. მოქირავნეთა რაზმები მუდმივ ყაზარმულ წესზეც ჰყავდათ მეფეებს. ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა დარიალის გადასასვლელები იყო და საქართველოს ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ხეობების კონტროლს და ფლობას. ქართლის ერისმთავრები არაბობის პერიოდში (VIII-IX სს.) ხაზარ მეომრებს ქირაობდნენ, რომელთაც, გარდა დავლა-ალაფის მოპოვებისა, სტრატეგიული მიზნებიც გააჩნდათ. არაბები სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ხაზარებს ჩრდილოეთ კავკასიაში და არაბებისათვის ზიანის მიყენება სამხრეთ კავკასიაში მათ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა.

ხშირი იყო ტრადიციულ მოქირავნეებთან დინასტიური ქორწინებები. პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ნათესაური კავშირები საერთო ფრონტს აძლიერებდა მოწინააღმდეგის მიმართ. VIII საუკუნის აფხაზთა მთავარმა ლეონმა თავისი ნათესავის, ხაზართა ხაკანის ძალები დაიხმარა ბიზანტიელების წინააღმდეგ. ხაზარები თავიანთი ხაკანისთვის ქართლის ერისმთავარ ჯუანშერს დის ხელს სთხოვდნენ, სანაცვლოდ კი არაბების წინააღმდეგ

ბრძოლაში თანადგომას ჰპირდებოდნენ. XI საუკუნეში ბაგრატ IV-მ თავისი ცოლისძმა, ოსთა მეფე დაიხმარა განძის ათაბაგის წინააღმდეგ ბრძოლაში და წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, მორბეული ალაფის ნაწილით გაისტუმრა თავის ქვეყანაში. საერთოდ, ალან-ოსთა რაზმების ქირაობას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. დაქირავებული ალანები ჩანან გიორგი III-ის, თამარის და რუსუდანის სამხედრო ნაწილებშიც. 1162 წელს, გიორგი III-მ სელჩუკებთან ომის წინ „გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი". 1227 წელს, როცა ბოლნისთან ქართველთა ლაშქარი შეება ხორეზმშაჰ ჯალალ ად-დინს, ალანების გარდა, ჯიქები, დურძუკები, ლეკები, ავარები, ყივჩაღები, სომხები და, ასევე, შაჰ-არმენთა (ხლათის გამგებლის), შამელთა (სირიელების), რუმელთა (რუმის სულთნის) რაზმები იდგნენ საქართველოს არმიის რიგებში.

XI საუკუნეში, საქართველოში, დაქირავებულების სახით, ნორმანი მეომრებიც ჩნდებიან, რომლებიც, ქართული წყაროებით, „ვარანგების" სახელით არიან ცნობილნი. ნორმანებს (ჩრდილოეთის ადამიანებს) დასავლეთ ევროპაში სკანდინავიელ მეომრებს ეძახდნენ. ისინი, ასევე, ვიკინგთა სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი. გამოირჩეოდნენ საუკეთესო საბრძოლო თვისებებით. ნორმანები, ჯერ კიდევ VIII საუკუნიდან, თავს ესხმოდნენ საფრანგეთის და ინგლისის მიწებს. საბოლოოდ, მათ ფეხი მოიკიდეს კონტინენტზე და ჩრდილოეთ საფრანგეთში და სამხრეთ იტალიაში თავიანთი სამთავროები დააარსეს, 1066 წელს კი ინგლისი დაიპყრეს. ნორმანები საუკეთესო ზღვაოსნები იყვნენ და თავიანთი სწრაფმავალი, მსუბუქი გემებით თავს ესხმოდნენ სანაპირო რეგიონებს, ასევე, სანაოსნო მდინარეებით ევროპის შიდა რაიონებსაც აწიოკებდნენ. ისინი შიშის ზარს სცემდნენ ევროპის მოსახლეობას. მათ მთავარ საქმიანობას ომი წარმოადგენდა და ნორმანთა დაქირავება XI საუკუნიდან მასიური მოვლენა გახდა, როგორც ევროპაში, ასევე აღმოსავლეთში. ბიზანტიაში, სადაც მოქირავნეთა რაზმების გამოყენებას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, ნორმანებს მასიურად ქირაობდნენ. სწორედ ბიზანტიიდან აღმოჩნდნენ საქართველოში ნორმანი მეომრები („ვარანგნი"). XI საუკუნის შუა ხანებში დაძაბული ურთიერთობა იყო საქართველოსა და ბიზანტიას შორის, რაც გამოვლინდა ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშის სამხედრო დაპირისპირებაში. ლიპარიტს მხარს უჭერდა ბიზანტიის ხელისუფლება და მას ჯარით და ფულითაც ამარაგებდა: „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო" ლიპარიტის. გამოყოფილ თანხებს მეამბოხე ფეოდალი საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად, დაქირავებულთა გასასტუმრებლად და, ასევე, სხვა ფეოდალების გადმოსაბირებლად იყენებდა. ლიპარიტის მხარეზე ბიზანტიელებთან ერთად იბრძოდნენ კახეთის ფეოდალები და სომეხთა მეფის რაზმები. სწორედ ამ კონფლიქტის დროს ჩნდებიან ნორმანები, ვიკინგი მეომრები. „ქართლის ცხოვრების" თხზულების „მატიანე ქართლისას" ცნობით, „მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი". ამ ლაშქრიდან მხოლოდ შვიდას მეომარს მიუღია

მონაწილეობა ბრძოლაში, რომელიც ბაგრატსა და ლიპარიტს შორის 1047 წელს გაიმართა სასირეთის მახლობლად. ამ ბრძოლის შემდეგ, ვარანგები ლიხის ქედის გადავლით გაეცალნენ საქართველოს. ეს არის ერთადერთი ცნობა, რომელიც ვარანგთა საქართველოში ყოფნაზე მოგვითხრობს. მემატიანის ნაამბობიდან რთულია გავარკვიოთ, ბაგრატის თუ ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ დაქირავებული ნორმანები.

დაქირავებულ ნორმანთა ყოფნის კვალი საქართველოში შემორჩენილია სკანდინავიურ თქმულებებშიც. ისლანდიურ საგაში აღწერილია ნორმანი რაინდის ინგვარის მოგზაურობა სამხრეთის ქვეყნებში. მრავალი სახიფათო მოგზაურობის შემდეგ, ინგვარი ჩასულა ძლიერი ქრისტიანი დედოფლის სამფლობელოში, დაქორწინებულა დედოფალზე და თავისი 3000 მეომრით დამდგარა მის სამსახურში. ამ გადმოცემის ალეგორია შეეხება XII საუკუნის საქართველოს, რომლის მმართველი იყო თამარ მეფე, რადგან იმდროინდელ აღმოსავლეთში სხვა ქრისტიანი დედოფალი არავინ იყო, გარდა საქართველოს სახელგანთქმული გვირგვინოსნისა. სხვა სკანდინავიური საგებიც მიუთითებენ ინგვარის და მისი თანამებრძოლების ყოფნაზე საქართველოში. ძველი გერმანული ქრონიკა მოგვითხრობს, რომ ინგვარი და მისი თანამებრძოლი ანუნდი ამაზონთა ქვეყანაში დაიღუპნენ. ამაზონთა ქვეყანაც ევროპულ წარმოდგენებში საქართველო იყო. მართალია, ეს ცნობები ნორმანი მეომრების შესახებ სათავგადასავლო ეპოსია, მაგრამ მასში ჩანს ნორმანთა მოგზაურობების და ბრძოლების კვალი აღმოსავლეთის ქვეყნებში.



ვიკინგების მუზარადი. X ს.

XII საუკუნიდან, როცა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები და გავლენა გაიზარდა კავკასიის, მცირე აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში, მოქირავნეთა ახალ-ახალი ძალები გამოჩნდნენ ქართველთა მეფეების სამსახურში. სალაშქროდ გაზრდილი მოთხოვნილებები კიდევ უფრო მეტ სამხედრო რესურსს მოითხოვდა და, ამიტომ, გარდა ყმადნაფიცი ქვეყნების (შირვანის, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, კავკასიის სამხრეთით მდებარე წვრილი საამიროების) სამხედრო კონტინგენტებისა, გაჩნდნენ ქურთების („ქურდნის“), თურქმენების, სხვა კავკასიელი თუ მცირეაზიელი მუსლიმების დაქირავებული რაზმებიც.

დავით აღმაშენებელმა 1118 წელს ყივჩაღთა ურდო ჩამოასახლა საქართველოში თურქმანი მომთაბარეების და სელჩუკთა რაზმების წინააღმდეგ საბრძოლველად და მათ მარბიელი მონაპირეების მსგავსი ფუნქცია დააკისრა.

სანაცვლოდ, სამეფო კარმა საბინადრო და საძოვარი მიწები დაურიგა და ისინი სამხედრო სისტემის მუდმივ რეგულარულ რაზმებად აქცია. ყივჩაღთა როლი იმდენად გაიზარდა და შეერწყა საქართველოს სამხედრო სისტემას, რომ ისინი გვხვდებიან მომდევნო საუკუნეებშიც. გიორგი III-ის და თამარის ეპოქაში გვხვდებიან ახალი ყივჩაღებიც, რაც იმის მანიშნებელია, რომ სამეფო კარს რეგულარულად გადმოჰყავდა ყივჩაღთა ახალი რაზმები. ახლად გადმოყვანილთ კი, განსხვავებით ადრე ჩამოსახლებულთაგან, გარკვეული საზღაურის ფასად ისტუმრებდა და მათ აქ ყოფნას დროებითი ხასიათი ჰქონდა. XIII საუკუნეში საქართველოში არსებობდა მოქირავნეთა გადასახადი „საყივჩაღო". როგორც ჩანს, სამეფო კარი მოსახლეობას აწერდა მოქირავნეთა გასტუმრების საფასურს. „საყივჩაღო" მხოლოდ ყივჩაღთა მოწვევისათვის გაღებული გასამრჯელო არ იყო, ის, ზოგადად, დაქირავებულებისთვის იყო დაწესებული. „საყივჩაღო" იმიტომ ერქვა, რომ ყივჩაღების მოწვევას საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის მოსახლეობას შეწერილი ჰქონდა, ასევე, მოქირავნეთა გადასახადი „სალეკო", რომელიც, უშუალოდ, ჩრდილოეთ კავკასიელი დაქირავებულებისათვის იყო განკუთვნილი. მსგავსი გადასახადი შეწერილი ჰქონდა ევროპის ქვეყნების მოსახლეობას, რომელსაც „სალადინის მეათედი" ერქვა. 1187 წელს, მას შემდეგ, რაც სულთანმა სალაჰ ად-დინმა ჯვაროსნებს იერუსალიმი წაართვა, ევროპაში დაიწყო სამზადისი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. ეს გადასახადი კი გამიზნული იყო ამ სამხედრო კამპანიაში მოქირავნეთა რაზმების დასაქირავებლად.

დიდგორის ომში, ქართულ ლაშქარში, ტრადიციული მოქირავნეების გვერდით ჩანან ევროპელი რაინდები-ჯვაროსნები. იმ დროისათვის, ევროპაში და ჯვაროსნულ აღმოსავლეთში მოქირავნე რაინდების მონაწილეობა სამხედრო კამპანიებში ტრადიციული მოვლენა იყო. ქირაობდნენ არა მარტო სხვა ქვეყნიდან გადმოყვანილ რაინდებს, არამედ თავიანთ თანამემამულეებსაც, რომლებსაც სამხედრო საქმე პროფესიად ექციათ. მათ, მართალია, ჰქონდათ მიწის ნადელი, მაგრამ ფულადი ანაზღაურება კიდევ უფრო უმძაფრებდათ ომის სურვილს. სამხედრო სისტემის განვითარებამ, რაინდობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ, მინისტერიალების რიცხვის გამრავლებამ ევროპაში შექმნა მოქირავნე მეომრების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა. ასეთი მოქირავნე რაზმები პროფესიონალ სამხედრო ძალად ყალიბდებოდა და მეტოქეობას უწევდა უკვე ტრადიციულ მოქირავნეებად ჩამოყალიბებულ ნორმანთა, ვიკინგთა, სლავთა თუ ჩრდილოეთ ევროპულ მეომარ ძალებს. ბენეფიციუმის სახით აღებული მიწის ნაკვეთი აღარ იყო საკმარისი მფლობელისთვის, სამხედრო სამსახური გაეწია სენიორისათვის და ფულად ანაზღაურებასაც ითხოვდა. 1158 წელს ჩეხეთის მეფე ვლადისლავს, თავისმა ვასალებმა, გაზრდილი სამხედრო ვალდებულებების გამო, უარი განუცხადეს იტალიაში ლაშქრობაზე და მხოლოდ ფულადი კომპენსაციის შეთავაზების შემდეგ დათახმდნენ ლაშქრობაში მონაწ-

ილეობაზე. 1173 წელს იტალიაში მორიგი ლაშქრობისას იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსას არმიის ძირითად ბირთვს, ბრაბანტელი მოქირავნეები შეადგენდნენ, რადგან იმპერატორი დიდ პრობლემებს აწყდებოდა საკუთარი ვასალების, გერმანელი ბარონების მხრიდან, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ფრიდრიხის გაუთავებელი ლაშქრობებით ალპებს გაღმა და ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მორიგი სალაშქრო გაწვევა. თავის მხრივ, გერმანელ ბარონებსაც უჭირდათ თავიანთი ვასალების მოთოკვა. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ემუქრებოდათ სამსახურის სანაცვლოდ მიცემული მიწის, ფეოდის დაკარგვა, ისინი, მაინც, ყოველგვარი ხერხებით იძვრენდნენ თავს ლაშქრობისგან. XIII საუკუნეში საფრანგეთის მეფეები გამოთავისუფლებულ მიწებს, ლენს, მოქალაქეებს უფრო აძლევდნენ, ვიდრე რაინდ-ვასალებს. თუ შუა საუკუნეების გერმანიაში და საფრანგეთში ჯერ კიდევ არსებობდა ფეოდალური სამხედრო ვალდებულებები, ინგლისში სამხედრო სამსახური ფულად კომპენსაციაზე იყო გადასული. ლენის ფლობა უკვე აღარ ნიშნავდა მხოლოდ სამხედრო ვალდებულებას, ის უკვე მემკვიდრეობითი მამული იყო. ამიტომ, სამხედრო სამსახური არა ვალდებულებად, არამედ დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცა. დაქირავებულთა რიცხვი შუა საუკუნეების ევროპაში ძალიან გაიზარდა. მათ, ფაქტიურად, ჩაანაცვლეს ფეოდალური ლაშქარი. მოქირავნეთა გაზრდილი რაოდენობა საფრთხესაც კი უქმნიდა ევროპის სიუზერენებს. მოლაშქრე-მეკობრეები მოსახლეობის ძარცვა-რბევითაც ირჩენდნენ თავს. დროებითი მშვიდობა მათთვის არახელსაყრელი იყო და ყოველგვარ მიზეზს ეძებდნენ ბრძოლისათვის.

განსაკუთრებით გაიზარდა ბრაბანტელ მოქირავნეთა რაზმების რაოდენობა. ბრაბანტელი – დაქირავებულის სინონიმად იქცა. ისინი, ასევე, ასოცირდებოდნენ ყაჩაღობასა და ძარცვასთან. ამიტომ, ევროპელი მეფეები და ეკლესია სამართლებრივად დევნიდნენ მათ. 1171 წელს გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ და საფრანგეთის მეფე ლუი VII-მ ხელშეკრულება დადეს, რითაც ბრაბანტელ და სხვა ჯურის მეკობრეებს არ შეუწყობდნენ ხელს საფრანგეთის და გერმანიის მიწები ერბიათ.

რაც შეეხება, ჯვაროსანი მეომრების ყოფნას დავითის ლაშქარში დიდგორის ველზე, ისინი არ უნდა ყოფილიყვნენ მოქირავნეები. სელჩუკები, ქართველებისთვის და ჯვაროსანთათვისაც საერთო მტერი იყო. ჩვენ არ გვაქვს ცნობები, მუსლიმთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველთა და ჯვაროსანთა შორის ხელშეკრულებების, ან რაიმე სახის დიპლომატიური მოლაპარაკებების შესახებ, მაგრამ წყაროებში არსებული ის მწირი მასალა, რომელიც ამ კონტაქტებზე მიუთითებს, არ გამორიცხავს, რომ მათ რაიმე ერთობლივი გეგმა ჰქონოდათ შემუშავებული საერთო მტრის წინააღმდეგ. მათი საქართველოში მოსვლის სავარაუდო მარშრუტი შავი ზღვა იყო, რომელიც ქართველთა სამეფოს ბიზანტიის იმპერიის ცენტრებთან აკავშირებდა (XI საუკუნეში, სწორედ

საზღვაო გზით მოვიდნენ ბიზანტიიდან საქართველოში დაქირავებული ნორმანები). ჯვაროსნული ლაშქრობების მანძილზე კონსტანტინეპოლი და სხვა ბიზანტიური ქალაქები ევროპელ რაინდთა რაზმების თავმოყრის პუნქტები იყო. აქედან გადადიოდნენ ისინი მცირე აზიაში და სირია-პალესტინაში. ჯვაროსნების მოსვლა იმ დროისათვის სახმელეთო გზით, ფაქტიურად, გამორიცხული იყო. საქართველოსა და ჯვაროსნულ სამეფო-საგრაფოებს შორის მრავალ ასეულ კილომეტრზე განფენილი იყო მთელი რიგი სელჩუკური საამიროები და,



ჯვაროსნები მუსლიმებთან ბრძოლის დროს. ილუსტრაცია 1200 წ. ნიდერლანდების ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდოდ, დიდგორთან მებრძოლი ჯვაროსნები საზღვაო გზით შემოვიდნენ საქართველოში.

მეომრების ქირაობის ფორმა გავრცელებული იყო მუსლიმურ აღმოსავლეთშიც. ხალიფების, ამირების თუ ათაბაგების სამხედრო კონტინგენტებში გამოირჩეოდნენ თურქმანი, ყივჩაღი, ალანი და სხვა მომთაბარე ტომების მოქირავნეები. თურქმანების როლი აღმოსავლეთის სამხედრო კამპანიებში განსაკუთრებით გაიზარდა XI საუკუნეში, სელჩუკთა ექსპანსიის დროს. სელჩუკების წარმატებებში მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. თურქმან მოისართა რაზმები სელჩუკთა არმიების ავანგარდს წარმოადგენდნენ. დაპყრობილ ტერიტორიებზე სელჩუკთა მმართველები თურქმან მომთაბარეებს ასახლებდნენ და სარჩენად ფართო საძოვრებს აძლევდნენ. ამ მომთაბარე მასებით აივსო სპარსეთის, ერაყის, სირია-პალესტინის, კავკასიის და მცირე აზიის რეგიონები. მომთაბარეთა ამ მეომარი ელების შემოსავლის ძირითადი წყარო ომიანობა იყო და ისინი ქირის საფასურად, ხალისით შედიოდნენ სხვადასხვა ამირების

თუ ათაბაგების სამსახურში. ვინაიდან, მომთაბარე ელები, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილებს, მათთვის უცხო იყო სახელმწიფოებრივი შეგნება, ამიტომ, დაქირავებული თურქმანების რაზმები გვხვდება მუსლიმთა მთავარი მტრების, ბიზანტიელი, ჯვაროსანი და სხვა ქრისტიანი მმართველების სამსახურშიც. 1071 წელს მანასკერტთან, ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ დიოგენის მხარეზე სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის წინააღმდეგ იბრძოდნენ თურქმანები. მაშინ, როცა გახურებული ბრძოლის დროს, ბიზანტიელთა მოკავშირე ქრისტიანი სომხების რაზმები უკუიქცნენ, თურქმანთა დაქირავებულებმა არ მიატოვეს იმპერატორი და ბოლომდე მედგრად იდგნენ.

დაქირავებული თურქმანები რომ სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ მუსლიმი ემირებისათვის, ჩანს, მარდინის და დიარ-ბაქრის ცნობილი მმართველის ილ-ღაზის სამხედრო კამპანიებიდან. 1119 წელს, ბალატთან, ჯვაროსნებზე სახელოვან გამარჯვებაში, თურქმანებმა დიდი როლი შეასრულეს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ილ-ღაზმა ვეღარ გადაუხადა თურქმანებს ფული, იგი მიატოვეს და იქით დაიწყეს ილ-ღაზის ტერიტორიების რბევა.

არაბი მემატიანეების ცნობით, მუსლიმებს ხელში ჩაუვარდათ ერთი ცნობილი და მდიდარი ფრანგი სენიორი. გათავისუფლების სანაცვლოდ იგი ემირს ჰპირდებოდა 10 ათასს ოქროს მონეტას, მაგრამ მან ფრანგი ტყვე გაუგზავნა თავის ათაბაგს, რათა კიდევ უფრო მეტი ფული გამოეძალათ მისთვის. მთვრალმა ათაბაგმა კი სრულიად უმიზეზოდ, თავისი ხელით ამ ტყვეს თავი მოაჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ათაბაგი მისი უზენაესი იყო, ემირმა საყვედურით უთხრა: „ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია, ერთი გროშიც კი. ეს ფრანგი კი ამხელა თანხას გვთავაზობდა, რაც გამოგვადგებოდა თურქმანების დასაქირავებლად და შენ კი იმის ნაცვლად, რომ გამოგეთხოვა უფრო მეტი, მოკალი იგი და მოიქეცი წინდაუხედავად“.

საინტერესო ინფორმაცია აქვს იბნ ალ-ასირსაც: „ილ-ღაზი არ აწარმოებდა ხანგრძლივ ომებს ჯვაროსანთა წინააღმდეგ, რადგან მისი რაზმების ძირითად ბირთვს დაქირავებული თურქმანები წარმოადგენდნენ. თურქმანები საშინლად გაუმაძღარნი იყვნენ და მხოლოდ გამორჩენისათვის იბრძოდნენ. თითოეულ თურქმან მეომარს საგზლად ერთი ტომარა ფქვილი და დაჭრილი, გამომშრალი ცხვრის ხორცი ჰქონდა. კამპანიის პერიოდში, ილ-ღაზი საათებს ითვლიდა, რომ მალე დამთავრებულიყო ბრძოლა, რადგან თუ დიდხანს გასტანდა, თურქმანები მიატოვებდნენ მას, რადგან არ ჰქონდა იმის ზედმეტი ფული, რომ შეენახა ისინი“.

საქართველოზე ლაშქრობაშიც, ილ-ღაზის არმიაში მრავლად იყვნენ დაქირავებული თურქმანების რაზმები. დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, ილ-ღაზს შეუერთდნენ დამასკოს და ალეპოს რეგიონების თურქმანები. ის, რომ ფულის გამო, მოქირავნეებისათვის არაფერს ნიშნავდა თანამორწმუნეებთან

ან თანამოძმეებთან ომი, ჩანს, 1195 წელს, ქართველთა და ადარბადაგანის მმართველის აბუ-ბაქრ ათაბაგის დაპირისპირებაში. არაბი ისტორიკოსის ალ-ჰუსაინის გადმოცემით, აბუ-ბაქრის წინააღმდეგ მიმავალ ქართველთა ჯარს მრავალი მუსლიმი შეუერთდა: „შეუერთდნენ აგრეთვე ერანის ჯარებიდან ისინიც, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ მელიქი (თამარ მეფე) თავისთვის ხელსაყრელ პირობებში მათ თავისთან რაიმე ადგილს მისცემდა. თურქმენებიდანაც ერთი ჯამაათი შეგროვდა".

დაქირავებული თურქმანების რაზმები ჩანან ჯვაროსანთა არმიებშიც. XII საუკუნიდან ჯვაროსანთა მხარეს იბრძოდნენ თურქოპოლების ცხენოსანი რაზმები. მათ რიგებს ავსებდნენ ადგილობრივი თურქმანებიდან და ასევე იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ ბერძენი და თურქი ოჯახების შერეული ქორწინებიდან დაბადებულ ჭაბუკებს. ნაწილი ამ ჭაბუკებისა გაქრისტიანებული იყო. ეს იყო მსუბუქი, მოისარი კავალერია, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებდა მუსლიმთა რაზმებს და ჯვაროსანთა მეთაურები მას იყენებდნენ მარბიელი და შორეული სამხედრო რეიდებისათვის. თურქოპოლების რაზმები შედიოდნენ რაინდთა სამხედრო-სასულიერო ორდენებშიც. ტამპლიერთა ორდენის რაინდები თურქოპოლებს იყენებდნენ დაქირავებული თურქმანების რაზმების მეთაურებად. ჯვაროსნებთან მებრძოლი ეგვიპტელი მამლუქები და სხვა მუსლიმი მმართველები თურქოპოლებს მოღალატეებად თვლიდნენ და ტყვედ ჩავარდნილებს სასტიკად სჯიდნენ. 1187 წელს ჰატინთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, სულთანმა სალაჰ ად-დინმა, ტყვედ ჩავარდნილი არცერთი თურქოპოლი არ დაინდო, მისმა მეომრებმა ყველანი დახოცეს, როგორც მოღალატეები და სარწმუნოების მტრები. მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა XIII საუკუნის ბოლოს თანდათან დატოვეს სირია-პალესტინის მიწები, თურქოპოლთა რაზმების ნაშთები რაინდთა ორდენებთან ერთად გადავიდნენ კუნძულ კვიპროსზე, როდოსზე და მალტაზე. გერმანელ ტევტონთა ორდენის რაინდები თავიანთ მსუბუქ კავალერიას თურქოპოლებს უწოდებდნენ.

მონასპა. მონასპას წარმოადგენდნენ იგივე მონები, რაზმელები, მეფის გვარდია. მონა-მსახური იყო თავისი ბატონის სამსახურში მყოფი მოლაშქრე. შუა საუკუნეების ეპოქაში მონა კლასიკური გაგებით (servus) არ მოიაზრებოდა, ის მსახურს, ვასალს აღნიშნავდა. მონებს ევალებოდათ საპოლიციო საქმეც, რომელიც სასახლის და, საერთოდ, სამეფო კარის დაცვაშიც გამოიხატებოდა. საქართველოში ტაძრეულებს, რომლებიც მეფის მოლაშქრე აზნაურები იყვნენ, ზოგჯერ მონები ეწოდებოდათ.

მონებისგან შედგებოდა მონასპა, გვარდია, რჩეული ნაწილები, რომლებიც მუდმივად თან ახლდნენ მეფეს, როგორც მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების, ასევე მარბიელი თავდასხმების დროსაც. დავით IV-ის მემატიანეს აღნიშნული აქვს, რომ ერთ-ერთი მორიგი ჩასაფრების დროს, როცა მეფე თბილი-

სიდან გამომავალ და შემავალ თურქთა ქარავნებზე თავდასხმას ამზადებდა, ლოჭინის ხეობაში გააგზავნა „მონათაგან თხუთმეტი კაცნი რჩეულნი“, რათა მოეტაცებინათ ნახირი და უკუქცეულებს შემოეტყუებინათ თურქები ავჭალის ხეობაში, სადაც მეფე სამასი მხედრით იყო ჩასაფრებული. როგორც ჩანს, ეს მონები მონასპის წევრები იყვნენ და ის სამასი მხედარიც მონასპის ნაწილი იყო.

მონასპის რაზმები მონაწილეობდნენ დიდ სამხედრო კამპანიებშიც. 1123 წელს, როდესაც სელჩუკთა სულთანმა მაჰმუდმა შირვანი და მისი დედაქალაქი შემახა დაიკავა, დავით აღმაშენებელმა მტრის განსადევნად მასშტაბური სამხედრო მობილიზაცია ჩაატარა. ქართველთა და ყივჩაღთა ლაშქრის მრავალრიცხოვნებას ისე შეუშინებია სულთანი, რომ გაქცევასაც აპირებდა. სწორედ შემახაზე ლაშქრობის დროს მოუვიდა დავითს ინფორმაცია, რომ სულთნის დასახმარებლად შემახასკენ მიემართებოდა არრანის (რანის, განძის საამიროს) ამირა 4000 მეომრით. მეფემ მონასპის ათასეულიდან გამოჰყო რაზმი, რომელმაც მტერს გზა გადაუღობა და გაანადგურა. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მომხდურის ლაშქარი „მოსპეს მონათა მეფისათა“. მაშველი რაზმის განადგურებამ კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩააგდო სულთანი, რომელიც შემახას ციხეში ჩაიკეტა. ეს გაბედული სამხედრო რეიდი მიანიშნებს, რომ მონასპის რაზმები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო მოქმედებებში.

დავითის მონასპაში სხვა ეროვნების მეომრებიც იყვნენ. მემატიანეს აღნიშნული აქვს: „მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა“. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მონასპაში არაქართველებიც, არაქრისტიანებიც შედიოდნენ, რომლებიც „ქრისტიანე ქმნულნი“ იყვნენ.

ბიზანტიურ არმიაში მონასპა ძირითადად უცხოელი, დაქირავებული მეომრებისგან შედგებოდა. იმპერატორის გვარდიაში ეს რაზმები სლავებით და სკანდინავიელებით (ვარანგნით) იყო დაკომპლექტებული. ისინი უშუალოდ იმპერატორის გვარდიას წარმოადგენდნენ და მათ სპეციალურად წვრთნიდნენ. ბიზანტიის ლაშქარში დაქირავებული ქართველი მეომრებიც ჩანან. მსგავს ვითარებას ვხედავთ არაბთა და სელჩუკთა სამხედრო ნაწილებშიც. მათ გვარდიაში იმყოფებოდნენ თურქმანი, ყივჩაღი, ჩრდილოეთ კავკასიელი და ხორეზმელი მეომრები. ისინიც ამგვარ რაზმებში ქირით იყვნენ მიწვეულნი. უცხო კონტინგენტებს ვხვდებით ჯვაროსნულ არმიებშიც, რომლებიც მუდმივად იმყოფებოდნენ ევროპელი მთავრების, ბარონების და სენიორების სამსახურში. ასეთი რაზმები ჰყავდათ ტამპლიერთა და ტევტონთა ორდენებსაც. რა თქმა უნდა, საქართველოს სამეფო ფინანსური შესაძლებლობებით ჩამოუვარდებოდა ბიზანტიის იმპერიას და დიდ მუსლიმურ სახელმწიფოებს, ამიტომ ქართული არმია და რჩეული ნაწილები, მცირე გამონაკლისების გარდა, ძირითადად, ადგილობრივი ძალებისგან შედგებოდა.

მონასპა – ეს იყო ყაზარმულ სისტემაზე მყოფი მუდმივი ჯარი, რომლის საქმიანობას მხოლოდ სამხედრო სამსახური წარმოადგენდა.

ყივჩაღთა ჯარი. ყივჩაღები თურქულენოვანი ტომები იყვნენ, რომლებიც XI საუკუნის მეორე ნახევარში, ახალი საძოვრების და მიწების ძიებაში, ცენტრალური აზიის რეგიონებიდან დასავლეთისაკენ დაიძრნენ და განსახლდნენ სამხრეთ რუსეთის სტეპებში, ვოლგიდან დნეპრამდე. მათი ტომების ერთი ნაწილი კიდევ უფრო შორს წავიდა და მიაღწია ცენტრალური ევროპის საზღვრებს, კერძოდ, უნგრეთს. ყივჩაღებმა დაიკავეს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მიწებიც და ბიზანტიის იმპერიას გაუმეზობლდნენ ჩრდილოეთის მხრიდან. ამ ექსპანსიის შედეგად, მათი განსახლების არეალი მოიცავდა ტერიტორიას მდინარე დუნაიდან ირტიშამდე, რომელსაც შუა საუკუნის წყაროები ყივჩაღთა სტეპებად მოიხსენიებენ. ამ ძლიერი მომთაბარე ტომების გამოჩენამ ააფორიაქა, როგორც ბიზანტიის და რუსეთის, ისე დასავლეთ ევროპის მმართველი წრეები. ყივჩაღები თავიანთი მკაცრი საბრძოლო თვისებების გამო, შიშის ზარს სცემდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. რუსეთის მთავრებს და ბიზანტიის იმპერატორებს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ მათი თავდასხმების მოსაგერიებლად.

ყივჩაღთა სამხედრო კონტინგენტის გამოჩენა პირველად საქართველოს სამხედრო სისტემაში დავით აღმაშენებლის ღონისძიებას უკავშირდება, როცა, 1118 წელს საქართველოში გადმოასახლა ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე ერთ-ერთი ტომი. ყივჩაღთა ეს ურდო საქართველოში დაასახლეს დედაწულიანად და დაევალათ ყოველი ოჯახიდან ერთი მეომრის მიცემა მეფის სამსახურში. დავითის ეს ღონისძიება უკვე კარს მომდგარი საფრთხეების გასანეიტრალებლად იყო მიმართული, რადგან დგებოდა გადამწყვეტი ჟამი სელჩუკებთან ბრძოლის ახალ ფაზაში გადასასვლელად. ქვეყნის საზღვრებს გარეთ საბრძოლო მოქმედებების გადატანას და წელში გატეხილ მომთაბარეთა საბოლოო ალაგმვას უფრო დიდი სამხედრო შენაერთები და ერთიმეორის მონაცვლე დასვენებული ძალები სჭირდებოდა. ქართველთა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ქართულ-სელჩუკური დაპირისპირებები ახალ ფაზაში გადაიყვანა. პერსპექტივაში ისახებოდა ჩრდილოეთ სომხეთის, შირვანის ქვეყნის, იმერტაოს ტერიტორიების დალაშქვრის და შემოერთების საკითხი. ამავე დროს, ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ქართული მიწებიდან მტრის საბოლოო განდევნა. ამიტომ, სამეფოს წინაშე დამხმარე სამხედრო ძალის მოწვევის საკითხი დადგა. გადაწყდა, ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე ყივჩაღები მოეწვიათ და მათგან მარბიელი სამხედრო ნაწილები შეექმნათ, რომლებიც გაზრდილ სალაშქრო მოთხოვნებს დააკმაყოფილებდნენ.

დავითის ისტორიკოსის სიტყვით, გაუთავებელმა ლაშქრობებმა ქართველთა ჯარი მოღალა. აუცილებელი იყო დასვენებული რეზერვები. ახლად აღებულ

ციხე-ქალაქებს სჭირდებოდათ დაცვა, რაც მეციხოვნეთა რაზმების სიმრავლეს და ცოცხალი ძალის დიდ რესურსს მოითხოვდა. ყივჩაღების გამოყენება მომთაბარე თურქმანების წინააღმდეგ, სამეფო ხელისუფლების მხრიდან გადადგმული, გარკვეული სტრატეგიული ნაბიჯი იყო, რაც მომთაბარე თურქმანებს, ასევე, მომთაბარეობის სამხედრო წესზე აღზრდილ ძალას უპირისპირებდა. დავითმა სამხედრო ძალები შეავსო განსხვავებული თვისებების მქონე, მსუბუქი მოისარი ცხენოსანი რაზმებით. ყივჩაღთა მსუბუქ კავალერიას სამეფო კარი, ასევე, იყენებდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ მარბიელი რეიდებისათვის. დავითს ყივჩაღთა მთავრის ასული ჰყავდა ცოლად. ეს ქორწინებაც დიპლომატიური მნიშვნელობის აქტი იყო. სწორედ თავის სიმამრს, ათრაქა შარაღანის ძეს შესთავაზა მეფემ საქართველოში თავისი ხალხით გადმოსახლება. დავითის მემატიანე აღნიშნავს ყივჩაღთა განსაკუთრებულ სამხედრო თვისებებს: „წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა.“ როგორც მომთაბარე მეომარ ძალებს, მათ ახასიათებდათ სწრაფი მანევრირება, მოწინააღმდეგის ტერიტორიების სიღრმეში ელვისებური რეიდების მოწყობა, დამარცხებული მტრის ეფექტური დევნა და საჭიროების შემთხვევაში – სწრაფი უკუქცევაც. ასეთი სამხედრო თვისებების გამო ყივჩაღებს ხშირად ქირაობდნენ ბიზანტიელები, რუსები, ევროპელები, სელჩუკები, არაბები, ხორეზმელები. საქართველოს სამეფო კარის მიერ უცხოელ სამხედროთა ქირაობას კარგა ხნის ტრადიცია ჰქონდა, მაგრამ მომთაბარეთა ტომების ჩამოსახლება და მათგან მოლაშქრე-მარბიელი რაზმების შექმნა ახალი ღონისძიება იყო.

1118 წელს, დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელთან ერთად გადავიდა ოსეთში, რათა უზრუნველეყო ყივჩაღთა გადმოსახლება საქართველოში. ისინი კიევის მთავრის, ვლადიმირ მონომახის მიერ იყვნენ დევნილნი, შეხიზნულნი ჩრდილოეთ კავკასიაში და კონფლიქტი ჰქონდათ ოსებთან. დავითმა ზავი ჩამოაგდო ოსებსა და ყივჩაღებს შორის, გამოართვა მძევლები და ოსეთის გზით (დარიალით) გადმოიყვანა ყივჩაღები საქართველოში. დავითის ისტორიკოსის ცნობით, „ხოლო ყივჩაღნი დააყენა ადგილთა მათ მარჯვეთა დედაწულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“.[6] დავითის ისტორიკოსი არაფერს გვეუბნება, თუ სად დაასახლა

6 ქართულ ისტორიოგრაფიაში, დავითის მემატიანის მიერ დასახელებული რიცხვიდან (40 000 მეომარი) გამომდინარე მიიჩნევენ, რომ გადმოსახლებულ ყივჩაღ მომთაბარეთა საერთო რაოდენობა დედაწულიანად, დაახლოებით 200-250 ათასს შეადგენდა. არსებობს ვარაუდი, რომ მეფემ ისინი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში გადაანაწილა, რადგან მომთაბარეთა დიდი მასის ერთ ადგილზე თავმოყრა გარკვეულ რისკს შეიცავდა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ს. მარგიშვილის აზრით, ამხელა მასის ჩამოყვანა წარმოუდგენელი იყო. ჯერ იმიტომ, რომ ამდენი მომთაბარე არცერთ ტომში არ იყო. ეს დიდი გაერთიანებისთვისაც უზარმაზარი რიცხვი იყო. საქართველოში კი მხოლოდ ყივჩაღთა ერთი ტომი გადმოვიდა (მეორე, ათრაქას ძმის სირჩანის ხელმძღვანელობით ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩა). ასევე, 200-300 ათას ყივჩაღს უზარმაზარი ტერიტორია სჭირდებოდა საძოვრებისათვის და საცხოვრებლად. ასეთი შესაძლებლობები კი

ხელისუფლებამ ყივჩაღი მომთაბარეები. სავარაუდოდ, ახლად ჩამოსახლებულებს სამეფო ხელისუფლება თურქმანი მომთაბარეებისგან გაწმენდილ ტერიტორიებს შესთავაზებდა. ეს ტერიტორიები – ქვემო ქართლის სანახები, ჰერეთის და სომხითის ველები, თურქმანთა მასიური ჩამოსახლების დროს ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცარიელებული იყო. ლორეს აღების შემდეგ, საქართველოს ფარგლებში მოექცა გაგის, კაენის, კაინონის, ლორეს და ტაშირის მიწები. ძირითადად, სწორედ აქ უნდა დაესახლებინა მეფეს მომთაბარეები. ყივჩაღთა მეურნეობაც მომთაბარული წესის იყო და მათთვის ამ ტერიტორიების საძოვრებად სარგებლობაში გადაცემა ხელისუფლების გარკვეული სტრატეგიული ნაბიჯი იყო, ჩრდილოეთ სომხეთი და ლორე-ტაშირის მიწები კეტავდა სამხრეთიდან თბილისზე მიმავალ ლორე-სამშვილდის გზას. სამხედრო-სასაზღვრო დასახლებათა ახალი სისტემა კი თურქმან მომთაბარეებს უპირისპირდებოდა.

სამეფო ხელისუფლებამ ყივჩაღები აღჭურვა, გაწვრთნა და სათავეში სპასალარები და მმართველები დაუდგინა. ამ რაზმების შესანახად სახელმწიფოში გადასახადიც კი შემოიღო – „საყივჩაღო“, რომელსაც სპეციალური მოხელეები „მესაყივჩაღეები“ კრეფდნენ. სამეფო კარი ყივჩაღებს, ასევე, აძლევდა უფლებას, მარბიელი ლაშქრობის დროს მოპოვებული დავლა-ალაფის ნაწილი თვითონ განეკარგათ. მომთაბარეთა რაზმების შენახვის ეს ფორმაც საყოველთაოდ გავრცელებული იყო. ამით მათ ეძლეოდათ სტიმული სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყვნენ და სისტემატური თავდასხმებით მტრისათვის მოსვენება დაეკარგათ. მეზობელი ტერიტორიების დავლა-ალაფისათვის ინტენსიური რბევაც, მომთაბარეთა ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო. სპარსეთის სულთანი მოციქულის პირით სთხოვდა დავითს, რომ ყივჩაღთა რბევისაგან გაეთავისუფლებინა მისი მიწები და ეძიებდა ქართველთა მეფისაგან „მშვიდობასა და სიყვარულს“.

გარდა მსუბუქი ცხენოსანი მარბიელი რაზმებისა, დავითმა ყივჩაღთაგან ჩამოაყალიბა მძიმედ შეიარაღებული სამხედრო ნაწილებიც. ყივჩაღების მონაწილეობა სამხედრო კამპანიებში მარტო მომთაბარეებზე თავდასხმებით და მტრის ზურგში სწრაფი მანევრებით არ შემოიფარგლებოდა. ყივჩაღები მონაწილეობას ღებულობდნენ მსხვილ სამხედრო ოპერაციებში, 1121 წელს – დიდგორის ომში, 1123 წელს – შირვანზე თავდასხმის დროს, ქალაქ შამახიას ალყისას. ასეთი ხასიათის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა მოწინააღმდეგის რეგულარულ, მძიმედ შეიარაღებულ ქვეითთა და ცხენოსანთა რაზმებთან, სპეციალურ მომზადებას საჭიროებდა. გარდა მსუბუქი მეისრე რაზმებისა, ყივჩაღები დავითმა მძიმედ შეიარაღებულ ნაწილებადაც აქცია. მას შემდეგ,

---

საქართველოს სამეფოს არ გააჩნდა. ს. მარგიშვილის აზრით, საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაღების საერთო რაოდენობა 20-25 ათასი უნდა ყოფილიყო და მათგან სამეფოს 5-8 ათასი მეომარი უნდა მიეღო.



ყივჩაღთა მუზარადი

რაც ქართველთა სამხედრო ნაწილებს ყივჩაღები დაემატნენ, დავითმა კიდევ უფრო გაზარდა ლაშქრობების გეოგრაფიული არეალი.

დავითის შემდეგ, დემეტრე I-ის მეფობის პირველ ხანებში, ჩამოსახლებულ ყივჩაღთა ნაწილი სამშობლოში, ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნდა. თავისი ხალხით დაბრუნდა დავითის სიმამრი ათრაქა შარაღანის ძეც. როგორც ჩანს, დემეტრეს მეფობის დროს გარკვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. შეიძლება ეს გამოწვეული იყო დემეტრეს წინააღმდეგ დავითის უმცროსი ვაჟის ცვატას (ვახტანგის) გამოსვლით, რომელიც ყივჩაღთა ასულისგან ჰყავდა მეფეს და, სავარაუდოდ, ყივჩაღებმა ამ კონფლიქტში ცვატას მხარე დაიჭირეს. XIII საუკუნის რუსული ქრონიკიდან ჩანს, რომ ყივჩაღები, მართლაც, აიყარნენ საქართველოდან, მაგრამ ამის მიზეზად მემატიანეს, 1125 წელს, მათი მთავარი მონინააღმდეგის, კიევის დიდი მთავრის ვლადიმირ მონომახის გარდაცვალება და ყივჩაღებსა და რუს მთავრებს შორის დადებული ზავი მოჰყავს. გიორგი III-ის დროს ყივჩაღები კვლავ ჩანან საქართველოს ლაშქარში, მაგრამ არა უკვე დედაწულიანად გადმოსახლებულნი. ესენი იყვნენ უბრალოდ მოქირავნე რაზმები, რომლებიც მეფეს გარკვეული დროით სჭირდებოდა. ამასთან, თამარის ჯარში იხსენიებიან „ყივჩაღნი ახალნი“. ახალი ყივჩაღების რაზმების ხსენება ნიშნავს, რომ დავითის დროინდელი ყივჩაღების ჩამომავლები ისევ მსახურობდნენ საქართველოს სამხედრო ნაწილებში და ეს ძველი ყივჩაღები ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი ქართულ სამხედრო სტრუქტურებთან, შეიძლება უკვე გაქართველებულნი და გაქრისტიანებულნიც. ახალი ყივჩაღების დაქირავებული რაზმები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველთა ბრძოლებში. თამარის ისტორიკოსის ცნობით, აბუბაქრ ათაბაგთან შებრძოლების წინ, თამარის სამეფო კარზე სამსახურში იყო ყივჩაღთა მთავრის, სევინჯის ძმა სალავათი. ის თავისი რაზმით მონაწილეობას იღებდა სამეფო კარის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში. სამსახურად დგომა არ ნიშნავდა დროებით დაქირავებას, როცა სამეფო კარს ანაზღაურების სანაცვლოდ გადმოჰყავდა ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებულები. ასეთ სამხედრო სამსახურში მყოფებს, სამეფო ხელისუფლება ჯამაგირს უნიშნავდა და მუდმივ მზადყოფნაში ჰყავდა. ყივჩაღები ჩანან საქართველოს ლაშქარში თამარის მემკვიდრის რუსუდანის მეფობის დროსაც, 1228 წლის ბოლნისის ბრძოლაში, ხორეზმშაჰ ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ. ყივჩაღთა რაზმი იხსენიება

საქართველოში 1300-1308 წლებშიც. როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის დროს ყივჩაღთა ჩამოსახლება და მათი დაქირავებული რაზმების მოწვევა ქართველი მეფეების მიერ, უკვე ტრადიციად იქცა.

სანამ ყივჩაღთა სალაშქროდ მოწვევის საკითხი აქტუალური იყო კავკასიაში, მათ რეგულარულად ქირაობდნენ, მაგრამ, მას მერე, რაც, XIII საუკუნიდან, ყივჩაღთა მიწები აითვისა ოქროს ურდოს მონღოლურმა სახელმწიფომ, მათ დაკარგეს თავიანთი თვითმყოფადობა და აითქვიფნენ მონღოლურ-თათრულ პოლიტიკურ და ეთნიკურ სივრცეში. ამის შემდეგ, ყივჩაღთა როლი სამხედრო კამპანიებში მცირდება და ქართული სამხედრო-პოლიტიკური სივრციდან სამუდამოდ ქრება.

თავი V

ლაშქრის გამოყვანის (გაწვევის) წესი

სამეფო სპის და სხვა რაზმების შესაკრებად ხელისუფლება მალემსრბოლების, შიკრიკების სამსახურს იყენებდა. ამ მოხელეებს „ლაშქრის მწუეველნი" ეწოდებოდათ და ისინი წვევის წიგნებს ავრცელებდნენ. ჯარის შეკრების დროს და ადგილს პაემანი ეწოდებოდა. შეკრების მობილურობა, „მზაობა" დამოკიდებული იყო მალემსრბოლთა სწრაფმავალი ცხენების სამსახურზე. სავარაუდოდ, ქვეყანაში არსებობდა მალემსრბოლთა სადგურები, სადაც შიკრიკები, ქვეყნის კუთხეების სიშორიდან გამომდინარე, იცვლიდნენ სამარქაფო ცხენებს, რაც დათქმულ დროზე ჯარის თავმოყრის მობილურობას არეგულირებდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მალემსრბოლების სამსახურს დაქირავებულთა მოწვევის დროს. საქართველოს სამეფო ხშირად სარგებლობდა ჩრდილოეთ კავკასიელი მეომრების სამსახურით და მათი საშუალებით კავკასიონის გადასასვლელებით ავრცელებდა წვევის წიგნებს. მეფე საომარი მოქმედებების დაწყების წინ დარბაზს იწვევდა და ეთათბირებოდა. სალაშქრო შეკრებას დარბაზი წყვეტდა, „დაასკუნეს ლაშქრობა" და ამის შემდეგ ხდებოდა „წუევა ლაშქრისა". შუა საუკუნეების საქართველოში ასეთი წვევის ბრძანებებს, „წიგნები წუევისა"-ს, სახელმწიფო კანცელარია, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სამსახური ავრცელებდა. აბუ-ბაქრ ათაბაგთან საბრძოლველად სამეფო სპის შეკრება თამარ მეფემ ჭყონდიდელს დაავალა. ჭყონდიდელის ბრძანებით მალემსრბოლნი გააგზავნეს ქვეყნის სხვადასხვა მხარეში. აღსანიშნავია, რომ სამეფო ლაშქარი სულ რაღაც ათ დღეში შეიკრიბა: „ეს უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მჭედარი". იმ დროისათვის, ჯარების ასეთი სწრაფი თავმოყრა, მართლაც, იშვიათი მოვლენა იყო და ამას თავმომწონეობით აღნიშნავს თამარის ისტორიკოსი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით მეფემ, სულ რაღაც სამ დღეში, 60 ათასი მხედარი შეჰყარა, სომხეთის დედაქალაქის ანისის მოქალაქეების თხოვნის საპასუხოდ, გაეთავისუფლებინა ქალაქი სელჩუკთა ხელიდან. საეჭვოა, რომ ამხელა არმიის თავმოყრა დავითს ასე მცირე დროში მოეხერხებინა, რაც არ უნდა აწყობილი ჰქონოდა მალემსრბოლთა სამსახურის მუშაობა. ან დავითის მემატიანე ცდება, როცა ასეთ მცირე დროს ასახელებს, ან უნდა ვივარაუდოთ, რომ აგვისტოში, ანისის მოქალაქეთა მოციქულებად მოსვლის დროისათვის, დავითს რაზმები საომარ მზადყოფნაში ჰყავდა, რადგან ანისზე გალაშქრებამდე, მეფე 1124 წლის აპრილ-ივნისში გაუთავებლად ომობდა. ამ პერიოდში დაიპყრო შაბურანი და დაამარცხა დარუბანდელნი, დაიკავა შირ-

ვანი და მისი ციხეები, აიღო დმანისი, შემდგომ დაიკავა სომხეთის ციხეები და ჯავახეთიდან სპერამდე, სადაც პოვა თურქნი, მოსრა და მოსპო. ამის შემდეგ აქვს აღწერილი მემატიანეს ანისელების ელჩობა და ქალაქის გათავისუფლების კამპანია. შეიძლება ითქვას, რომ მეფეს იმ მომენტისათვის ჯარი საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა და სომხეთის დედაქალაქის დასაკავებლად შესაფერის მომენტს ელოდა. ამიტომ, მემატიანის ცნობა ლაშქრის სწრაფად შეყრის თაობაზე, პროცესის ასე განვითარების შემთხვევაში, რეალურია.

არმიის თავმოყრის საკითხი შრომატევადი საქმე იყო. საჭირო იყო ლაშქრის ფურაჟით, სურსათ-სანოვაგით, იარაღ-საჭურვლით მომარაგება, რასაც სჭირდებოდა ურიცხვი რაოდენობის გამწევი, ტვირთმზიდავი ცხენები, ჯორები, ხარები, ოთხთვალა ეტლები თუ ურმები. ხშირ შემთხვევებში, მტრის შემოსევის საშიშროებიდან გამომდინარე, სარდლობა ჯარების სრულ თავმოყრას დათქმულ დროზე ვერ ახერხებდა და დაგვიანებული რაზმები უკვე გზად მიმავალ ლაშქარს უერთდებოდნენ ან უშუალოდ ბრძოლის წინ ახდენდნენ ძალების კონცენტრაციას. საერთოდ, ფეოდალური არმიის დროულად შეკრებას და საბრძოლველად მომზადებას გარკვეული სირთულეები ახლდა. 1112 წელს, თრიალეთში სელჩუკთა მოულოდნელი შემოსევის დროს, დავით მეფემ არ დაუცადა ძირითადი რაზმების თავმოყრას და მხოლოდ 1500 მეომრით დაესხა თავს შემოსეულ მტერს. მას შემდეგ, რაც გიორგი III-მ 1161 წელს ანისი აიღო, ხლათის მმართველმა სუქმან II-მ, მოუწოდა მარდინის, არზრუმის, ყარსის, სურმარისა და ბითლისის ამირებს და დიდი კოალიციური არმიით ანისის მიდამოებთან მოვიდა. რადგან ვითარება კრიტიკული იყო, გიორგი III-მ არ დაუცადა სრული სამხედრო ძალების თავმოყრას და მიუხედავად იმისა, რომ ვაზირები უშლიდნენ „მისვლისათჳს სიმცროსათჳს სპათასა“, მხოლოდ მცირე ძალებით გაემართა მტერთან საბრძოლველად. მეფემ ალყაშემორტყმული ანისის დასახმარებლად ლაშქრობა 3 ათასი მეომრით დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელს და გიორგი III-ს სამხედრო საქმე ეფექტურად ჰქონდათ აწყობილი და ქართველები პერმანენტულ სამხედრო კონფრონტაციაში იმყოფებოდნენ მეზობელ მუსლიმურ პოლიტიკურ ერთეულებთან, მაინც, ლაშქრის სრულ მობილიზაციას საკმაო დრო და ხარჯები სჭირდებოდა.

ფეოდალური არმიის შეკრების სირთულე, განსაკუთრებით ცხადად, რუსუდანის მეფობაში გამოჩნდა. 1225 წელს, გარნისის მიდამოებში, ჯალალ ადდინთან შეტაკების წინ, ქართველთა სამხედრო ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა ბრძოლის ველზე თავისი სრული სამხედრო პოტენციალის თავმოყრა და დამატებითი ძალების მოსვლამდე ბრძოლის დაწყებას აჭიანურებდა. თუმცა, ეს ფაქტი, ასევე, რუსუდანის სამეფოს დროინდელი სამხედრო სისტემის არამობილურობაზე და სისუსტეზე მიუთითებს.

ფეოდალური ჯარი არ წარმოადგენდა მუდმივ არმიას, რომელიც ყაზ-

არმულ სისტემაზე იყო მოწყობილი. ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რეგულარული სამხედრო რაზმების – მონასპის, ტაძრეულების, მონაპირეების და დაქირავებულების მობილობას. დაქირავებული რაზმები ქვეყანაში მშვიდობიანობის პერიოდშიც საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ და მათი ანაზღაურება რეგულარული წესით ხდებოდა.

ლაშქრის თავმოყრას, არა მარტო მალემსრბოლთა სისწრაფე და თავდადება განაპირობებდა, არამედ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ მოქმედი დაზვერვის სამსახურის ეფექტურობა. სწორედ, მათი ცნობების საშუალებით იცოდა ხელისუფლებამ, თუ რა სამზადისს ეწეოდა მოწინააღმდეგე. ასევე, მათი საშუალებით მოდიოდა ინფორმაციები მტრის ჯარების რაოდენობის, დროში მისი მოძრაობის და სალაშქრო მარშრუტების შესახებ.

გაწვევის ხანგრძლივობას განაპირობებდა, ასევე, თუ რა გეოგრაფიულ სივრცეში მიმდინარეობდა მობილიზაცია. მნიშვნელობა ჰქონდა ჯარის თავმოყრის ადგილსაც. ვითარებიდან გამომდინარე, თუ საიდან, რომელი გეოგრაფიული ადგილიდან მოდიოდა საფრთხე, იმის მიხედვით ინიშნებოდა სალაშქრო პაემანი. 1195 წელს, ათაბაგ აბუ-ბაქრთან შეტაკების წინ, შამქორი-საკენ სალაშქროდ მიმავალი ქართველთა ლაშქარი სომხითში (ქვემო ქართლის სანახებში) შეიკრიბა. მემატიანის გადმოცემით, თამარ მეფე იქ ჩასულა და ომში მიმავალი ლაშქარი დაულოცავს. რუქნ ად-დინთან ომის წინ ბასიანში მიმავალი ლაშქარი ჯავახეთს შეკრებილა. ხშირ შემთხვევაში, ჯარის თავმოყრა ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრთან ხდებოდა. თბილისთან მოიყარა თავი სპარსეთის ლაშქრობაში მიმავალმა მხედრობამ. თამარმა სარდლები დალოცა და ზაქარია მხარგრძელს უბოძა „სჯანად ჴმარებული, გორგასრიანი და დავითიანი“ სამეფო დროშა.

დიდი სამხედრო შენაერთების თავმოყრას ყველგან დიდი დრო სჭირდებოდა. ბიზანტიის იმპერატორს ალექსი კომნენოსს თითქმის სამი თვე დასჭირდა ჯარების თავმოსაყრელად, როცა იგი რუმის სულთნის წინააღმდეგ ლაშქრობას აპირებდა. რაც შეეხება კოალიციური არმიების შეკრებას, ამას კიდევ უფრო დიდი დრო სჭირდებოდა. მათი შეკრების ეფექტურობა დაკავშირებული იყო მონაწილე ქვეყნების მმართველების მზადყოფნაზე, მათ სამხედრო სისტემაზე, დაქირავებულთათვის გადასახდელი თანხის უზრუნველყოფაზე და თვით ჯარების თავმოყრის გეოგრაფიულ არეალზე. ჯვაროსნული ომების პერიოდში, ევროპაში თვეების განმავლობაში იკრიბებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან გამომავალი რაზმები. I ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები, პროვანსელები, ლოტარინგიელები, ნორმანები, ფლანდრიელები და სხვა მოხალისეები კონსტანტინეპოლში შეიყარნენ და იქიდან გადავიდნენ მცირე აზიაში. ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში ჯვაროსანთა თავმოყრის პუნქტები ძირითადად იყო კონსტანტინეპოლი და სხვა ბიზანტიური ქალაქები. IV ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების წინ, კოალიციის მონაწილე რაზმების თავმოყრას ვენე-

ციაში თითქმის სამი თვე დასჭირდა. ინგლისის მეფის ჰენრი I-ის და ფლანდრიის გრაფის რობერტის 1103 წლის სამხედრო ხელშეკრულებით, მეფის მოთხოვნაზე, ფლანდრიის გრაფს თავისი რაინდები 40 დღის განმავლობაში უნდა გაემზადებინა სალაშქროდ. ჰენრი I, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა გემებით მათ გადაყვანას ინგლისში.

ინგლისში, მეფის ბრძანებულებით, სალაშქრო შეკრების უზრუნველყოფა ევალებოდათ საგრაფოს შერიფებს (მეფის მიერ, საგრაფოებში დანიშნულ ადმინისტრაციულ მოხელეებს შუა საუკუნეების ინგლისში) და მის რაინდებს. ჰენრი III-ის 1252 წლის ბრძანებაში წერია, რომ თითოეული საგრაფოს შერიფმა ორ რაინდთან ერთად უნდა მოიაროს საგრაფოს მიწები, ქალაქები, სოფლები, ციხე-სიმაგრეები და ყოველი თავისუფალი მოქალაქე 15-დან 60 წლამდე ასაკის, სამხედროვალდებული გახადოს იმის მიხედვით, ეს მოქალაქე რამდენი ლივრის მიწას და ცხვრის ფარას ფლობს. ამავე დროს, სამხედრო რაზმების შეკრება ევალებოდათ არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, გრაფებს და ბარონებს (საეკლესიო პირებს სამხედრო სამსახურში თავიანთი ეპარქიიდან მეომართა გაწვევა ევალებოდათ ასევე, საფრანგეთში და გერმანიაში). ჯონ უმიწაწყლო თავის ბრძანებულებაში, შერიფებს და სხვა თავის ვასალებს ავალდებულებდა, რომ სამხედრო რაზმები სრული საბრძოლო აღჭურვილობით ლონდონში შეეკრიბათ აღდგომის დღესასწაულიდან სამი დღის განმავლობაში.

სალაშქრო ვადები. შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა სალაშქრო ხანგრძლივობის 40 დღიანი ვადა. საფრანგეთში სამხედროვალდებული მიწისმფლობელისათვის სავალდებულო იყო 40 დღიანი სამხედრო სამსახური. ამ დროის მანძილზე მეომარი ვალდებული იყო თავისი სახსრებით გამოსულიყო ლაშქრობაში. ეს იყო ვადის მაქსიმუმი, რომელიც ევალებოდა სრული ფეოდის, სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის მფლობელ პირს. იმას, ვისაც ამ მიწის ნახევარი ფართი გააჩნდა, ევალებოდა 20 დღიანი სამსახური და ვისაც – მეოთხედი ნადელი, მხოლოდ – 10 დღიანი სამსახური. სალაშქრო ვადები განსაზღვრული იყო ქონებრივი შეძლების მიხედვით. ფრანკთა სამეფოში, ასევე, განსაზღვრული იყო ამ ფეოდებიდან გამოსული მოლაშქრეების რაოდენობაც. სრული ნადელის მფლობელი ვალდებული იყო თვითონ გამოცხადებულიყო სალაშქროდ, თავისი აღჭურვილობით და პროვიანტით (საგზალით), მაშინ, როცა მცირე ნადელის მქონე პირებს უფლება ჰქონდათ, გაეერთიანებინათ თავიანთი შესაძლებლობები და რამდენიმე ასეთი ნადელის პატრონთაგან მხოლოდ ერთი მეომარი გამოეყვანათ და სალაშქროდ აღეჭურვათ. 40 დღიანი ვადა ხშირად არ იყო საკმარისი, რათა სამხედრო პირს თავისი ვალი მოეხადა სენიორის წინაშე. შორეულ ლაშქრობაში საბრძოლო მოქმედებები თუ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ სენიორი თვითონ იყო ვალდებული, ვასალები შეენახა თავისი სახსრებით, იქნებოდა ეს ფულადი ანაზღა-

ურება, საბრძოლო აღჭურვილობა თუ სალაშქრო პროვიანტი. თუ სენიორი ამ პირობას არ შეასრულებდა, ვასალს შეეძლო დაბრუნებულიყო თავის მამულში და კანონითაც არ დაისჯებოდა ლაშქრობიდან წამოსვლის გამო. ინგლისში, ჰენრი II-ის ბრძანებით, დაწესდა 40 დღიანი სალაშქრო ვადა, რომელიც ვრცელდებოდა ნორმანდიისა და ფლანდრიის მიწებზეც[7]. გერმანიაში, სამხედრო მოსამსახურეებს, ვადის გასვლის შემდეგ, თავიანთი სიუზერენები უხდიდნენ ფულს. კიოლნის არქიეპისკოპოსის მინისტერიალები (სამხედრო პირები) ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ საარქიეპისკოპოსოს საზღვრებში, ან თუ მტერი დაემუქრებოდა უშუალოდ არქიეპისკოპოსის მიწებს – მის ფარგლებს გარეთაც. ამავე დროს, იმ სამხედრო პირებს, ვისაც წლიური 5 მარკის ოდენობის შემოსავალი ჰქონდათ, უნდა ემსახურათ თავიანთი სახსრებით, მაგრამ თუ მათ მოუწევდათ შორეულ ლაშქრობაში წასვლა, არქიეპისკოპოსი ვალდებული იყო 10 მარკა გადაეხადა თითოეულისათვის და, ასევე, უზრუნველეყო საგზლით. თუ ლაშქრობა გასცდებოდა გერმანიის საზღვრებს, ალპების გადალახვის, იტალიაში გადასვლის გამო, მაშინ არქიეპისკოპოსი მათ ყოველთვიურად უხდიდა ერთ მარკას. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურის წლიური შემოსავალი 5 მარკაზე ნაკლებს შეადგენდა, შეეძლო არ წასულიყო ლაშქრობაში და სამხედრო ბეგარის სახით გადაეხადა თავისი წლიური შემოსავლის ნახევარი. რა თქმა უნდა, სალაშქრო ვადები ზუსტად განსაზღვრული არ იყო. ეს დამოკიდებული იყო მის გეოგრაფიულ სივრცეზე, სამხედრო კამპანიის წარმატებაზე. იტალიაში ლაშქრობის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გერმანიის იმპერატორს თავისი ვასალებისათვის ერთი წლით ადრე უნდა ეცნობებინა, რომ ისინი სათანადოდ მომზადებულიყვნენ სალაშქროდ.

რაც შეეხება, შუა საუკუნეების საქართველოს, წყაროებში არ ჩანს ცნობები, თუ რა ვადებს მოიცავდა სამხედრო ვალდებულება, არსებობდა თუ არა რაიმე ხელშეკრულება მსგავსად ევროპისა, მეფესა და ფეოდალებს, ან ფეოდალებსა და მათ ვასალებს შორის.

არმიის მომარაგებას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდებოდა. სალაშქროდ მიმავალ ლაშქარს სჭირდებოდა საკვები, ფურაჟი, საბრძოლო-სათადარიგო აღჭურვილობა. მას სჭირდებოდა უამრავი ტვირთმზიდავი საქონელი, სასაპალნე ცხენების, ჯორების, ხარების სახით. საჭირო იყო ოთხთვალები, ურმები, რომლებზეც განთავსებული იქნებოდა საჭირო მარაგი. საომარი ცხენებისათვის საჭირო იყო ფურაჟი, ქერი, თივა. საკვებად, ძირითადად, მიჰქონდათ პური[8] და დამარილებული ხორცი, ასევე, მიჰყავდათ ცოცხალი საქონელი.

---

7 თუმცა, 40 დღიანი სალაშქრო ხანგრძლივობა კანონის სახით არასდროს გაფორმებულა არც ინგლისში და არც კონტინენტზე. ჯონ უმიწაწყლო ერთ ბრძანებულებაში 80 დღიან სამსახურსაც ითხოვდა. 40 დღიანი სამსახური, ეს დაახლოებით ის მაქსიმუმი პერიოდი იყო, რომ მეომარს თავისი სახსრებით შეენახა თავი ლაშქრობაში.

8 რომაულ არმიაში საკვების ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი იყო ბურღულეული.

ქრისტიანულ არმიებში ღვინო ერთ-ერთი მთავარი სასმელი იყო ლაშქრობის დროს. თუმცა, მეთაურები მკაცრად აკონტროლებდნენ, რომ ბანაკად მდგარ მეომრებში ღვინის სმა ღრეობაში, მემთვრალეობაში და დისციპლინის დარღვევაში არ გადაზრდილიყო. კარლოს დიდის 811 წლის ედიქტით, აიკრძალა ღვინის ზედმეტი დალევა (თასების ერთმანეთისთვის მიჭახუნება). ბრძანება აფრთხილებდა ყველა მეომარს, რომ ლაშქრობაში მორიდებოდა თავისი თანასწორის თუ უცხო პირის სასმელზე მიპატიჟებას. ვისაც წაასწრებდნენ მთვრალ მდგომარეობაში, სასჯელის სახით, მხოლოდ წყლის დალევის ნებას აძლევდნენ და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ შერისხული არ მოინანიებდა დანაშაულს და მეთაურების წინაშე არ აღიარებდა თავის შეცდომას.

მკაცრი სასჯელი ემუქრებოდათ ქართულ არმიაში დისციპლინის დამრღვევებს. დავით აღმაშენებლის ბრძანებით, აიკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი“. მეფის ეს ბრძანება მიუთითებს, ბანაკად მდგომ ჯარში დისციპლინის დამყარებისკენ მიმართულ ღონისძიებაზე.

რიგ შემთხვევებში, ჯარის სარდლობა ვერ აკონტროლებდა მეომრების ზედმეტ დროსტარებას და ქეიფს, რაც კარგად ჩანს, 1225 წელს, გარნისთან, ხორეზმელებთან შეტაკების წინ ქართველთა ჯარში არსებულ უდისციპლინობაში. ჯალალ ად-დინის მემატიანის, ან-ნასავის ცნობით, ხორეზმელთა ბანაკში ქართველთა ბანაკიდან ჟრიამული და ხმაური მოისმოდა. ეს უწესრიგობა უშუალოდ ბრძოლის შედეგზეც აისახა. 1403 წელს, ბირთვისის ციხის ალყის დროს, თემურ-ლენგის ისტორიკოსებიც აღნიშნავენ, რომ ციხის მიუვალობის გამო მოიმედე მეციხოვნეები დროდადრო ქონგურებზე გადმოდგებოდნენ და სიმღერებით და სმით იქცევდნენ თავს. ასეთმა არასერიოზულმა დამოკიდებულებამ, მტერს მისცა საშუალება, ეს, მართლაც, მიუვალი ციხე აეღო.

ჯვაროსნული ეპოქის ლათინურ წყაროებში ეხვდებით ცნობებს, ქართველთა ლაშქრის პროვიანტში ღვინის (ზოგიერთ ავტორთან ნახსენებია წყალგარეული ღვინო) არსებობის შესახებ, რომელსაც მეომრები შეტევაზე გადასვლის წინ მათარებიდან სვამდნენ. XIII საუკუნის მემატიანე, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი გამორჩეული მქადაგებელი და მონაწილე, პადერბორნის ეპისკოპოსი ოლივერუსი, თავის ნაშრომში „დამიეტას ისტორია“ (1219-1222 წწ.), აღტაცებას გამოხატავს ქართველთა სამხედრო თვისებების შესახებ და აღნიშნავს, რომ ქართველი მეომრები მტერზე შეტევის წინ ღვინოს მათარებიდან სვამენ და „მაშინვე მხედრული ძალით იწყებენ ბრძოლას“. მსგავსი ცნობა აქვს მოცემული XIII საუკუნის ლათინ ავტორს, ვინცენტ დე ბოვეს. ქართველი „მამაკაცები მებრძოლნი არიან.... წარჩინებული ქალები განსწავლულნი არიან საომარ ხელოვნებაში, როცა მამაკაცები საომარ მწყობრში ემზადებიან მტერთან შესაბრძოლებლად, ერთი ყლუპით სცლიან წყალგარეული ღვინით სავსე პატარა მათარას და ამის შემდეგ მაშინვე მამაცურად მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგეზე“.

რაც შეეხება საბრძოლო აღჭურვილობას, გარდა იარაღისა, აუცილებელი იყო სასაპალნე, სამარშო და საომარი ცხენების ყოლა. საბრძოლო ცხენებისათვის აუცილებელი იყო აღკაზმულობა, ნალები. სალაშქროდ მიმავალ ჯარს აუცილებლად სჭირდებოდა წყლის მარაგი, რაც გათვლილი იყო საბრძოლო არეალის გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობების მიხედვით. სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ქართული წყაროები არ გვაძლევენ ცნობებს ლაშქრად მიმავალი ჯარის მომარაგების შესახებ, მაგრამ წყაროებში ვხვდებით მონაცემებს ბრძოლის შემდეგ დამარცხებული მოწინააღმდეგის მიტოვებულ ქონებაზე, რაც გარკვეულწილად ავსებს ინფორმაციებს, რა სახის ცოცხალი ძალა – გამწევი, საკვები საქონელი და საჭურველი სჭირდებოდა არმიას ლაშქრობაში. თუმცა, ეს ცნობები, ძირითადად, შეეხება სამხედრო მეთაურთა აღალს, რომლის ჩამონათვალში სჭარბობს ძვირფასეულობა და საგანძური და ნაკლებად ექცევა ყურადღება სალაშქრო აღჭურვილობას. დიდგორთან დამარცხებულმა სელჩუკთა არმიამ უზარმაზარი ქონება მიატოვა ბრძოლის ველზე. მარტო, კოალიციური ჯარების ერთმა ხელმძღვანელმა, არაბთა მეფემ დურბეს სადაყას ძემ 300 ათასი დინარის ქონება დაკარგა. ამხელა ქონება მარტო ძვირფასეულობის სახით არ ჰქონდა წამოღებული დურბეს სადაყას ძეს. დიდი რაოდენობის ფული თუ თვალ-მარგალიტი მუსლიმთა არმიის მეთაურებს, საკუთარი თავის, მსახურების და, ზოგადად, ლაშქრის შესანახად სჭირდებოდათ. დავითის ისტორიკოსი ჩამოთვლის იმ დავლა-ალაფს, რაც ქართველებს ჩაუვარდათ ხელში: „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლით, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრაფარდაგებითა, სხჳთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თჳთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა“[9].

დიდძალი ქონება ჩაუვარდა გიორგი III-ის ლაშქარს 1161 წლის ბრძოლაში, როცა ანისის კარებთან სასტიკად დაამარცხა ხლათის მფლობელის შაჰ-არმენ სუქმან II-ის მეთაურობით შეკრებილი მუსლიმთა გაერთიანებული არმია. ქართველებმა ხელში ჩაიგდეს „სიმრავლე კარავთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა“. ჩამონათვალში ძვირფასეულობის გარდა, ნახსენებია გამწევი და ტვირთმზიდავი საქონელიც, რომელიც არმიის ფურაჟირებისთვის, საომარი საჭურვლის გადასატანად, საბრძოლო და მოსასვენებელი ბანაკების მოსაწყობად გამოიყენებოდა.

1163 წელს გიორგი III-ის ლაშქარი დამარცხდა მუსლიმთა გაერთიანებულ მხედრობასთან, რომელსაც ადარბადაგანის ათაბაგი შამს ად-დინ ელდიგუზი

9 ქოსი და ფილაკავანი – საბრძოლო-საალყო მანქანებია, რომლებიც გამოიყენებოდა ციხე-ქალაქების ალყისას, გალავნის კედლების შესანგრევად და ლოდსატყორცნად.

სარდლობდა. სპარსელი და არაბი მემატიანეები აღტაცებით აღწერენ, თუ რა დავლა-ალაფი ჩაუვარდათ გამარჯვებულ მუსლიმებს ხელში. მაგრამ აქ, ძირითადად, საუბარია ქართველთა მეფის საჭურჭლეზე, განძეულობაზე და ხაზინაზე.

დიდძალი რაოდენობის გამწევი პირუტყვი ჩაუვარდათ ხელთ ქართველებს 1195 წელს შამქორთან აბუ-ბაქრ ათაბაგის დამარცხებისას. მემატიანე მათ რიცხვსაც ასახელებს: 20 000 ცხენი, 7 000 ჯორი და 15 000 აქლემი. არ არის დასახელებული სალაშქრო ნივთები, რომელთაც დამარცხებული მოწინააღმდეგე, ასევე, დიდი რაოდენობით ტოვებდა ბრძოლის ველზე. ცოცხლად გადარჩენილი ჯარისკაცი გაქცევის დროს არათუ სალაშქროდ საჭირო ნივთებს, არამედ ხშირად იარაღ-საჭურველსაც ტოვებდა, რათა ლტოლვილი ხელში არ ჩავარდნოდა მოწინააღმდეგეს.

ლაშქრობაში ფულს რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, კარგად ჩანს დიდგორის ომის მონაწილე და მუსლიმთა კოალიციური ჯარების მხედართმთავრის ილ-ღაზის მიერ ჯვაროსნების და, ასევე, მუსლიმი ამირების წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო კამპანიებიდან. ილ-ღაზის არმიის ძირითად ძალას მომთაბარე თურქმანი მეომრები შეადგენდნენ, რომლებსაც იგი ფულით ქირაობდა და მისი წარმატებებიც, ძირითადად, მათ ბრძოლისუნარიანობაზე და კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. 1119 წელს, ილ-ღაზმა დიდ გამარჯვებებს მიაღწია ჯვაროსნებთან ბრძოლაში, მაგრამ 1120 წლის სამხედრო კამპანია წარმატებით ვეღარ გააგრძელა, რადგან დროულად ვერ გადაუხადა თურქმანებს ქირა, რის გამოც იგი მიატოვეს და მძიმე დღეში ჩააგდეს.

ლაშქრობაში აუცილებელი იყო მსახურთა ის კონტინგენტი, რომელიც უზრუნველყოფდა ჯარის კვებას. მოლაშქრეებს ესაჭიროებოდათ დამხმარე პერსონალი, რომელიც არა მარტო კვებით უზრუნველყოფდა მათ, არამედ საბრძოლო და გამწევი საქონლის და საომარი აღჭურვილობის მოვლითაც.

ჯარს სალაშქრო ვადების გათვალისწინებით, განსაზღვრული ჰქონდა ფურაჟის, საკვების, საკლავი პირუტყვის რაოდენობა. განსხვავება იყო თავდაცვითი და მარბიელი ბრძოლების შემთხვევაში. თავდაცვითი ბრძოლების დროს, მითუმეტეს, თუ სამხედრო მოქმედების არეალი ქვეყნის საზღვრებში ან მის ახლოს მდებარეობდა, ჯარს ზურგი უფრო დაცული ჰქონდა, მომარაგებაც უფრო ეფექტური და უზრუნველყოფილი იყო. მარბიელი ლაშქრობის დროს კი, როცა საბრძოლო ასპარეზი მოწინააღმდეგის ტერიტორია იყო სალაშქრო მომარაგებას სირთულეები ახლდა. მარშირების დროს არმია გარკვეულ დანაკარგებს განიცდიდა, მითუმეტეს, თუ ლაშქარს უწევდა რთული რელიეფების გავლა. მწყობრიდან გამოდიოდა ცხენების აღკაზმულობა, ნალები, სასაპალნე ცხოველებში შებმული ოთხთვალები, იხოცებოდა პირუტყვი. ამავე დროს, ნელნელა ილეოდა სურსათის მარაგიც. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარის მობილურობას, სისხარტეს, რაზეც ხშირად დამოკიდებული იყო საერთო

კამპანიის ბედი. ზედმეტი აღჭურვილობა და პროვიანტი ჯარს მობილურობას და სისწრაფეს უკარგავდა. ამის გათვალისწინებითაც განსაზღვრავდა ჯარის მთავარსარდლობა ლაშქრობის ვადებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზურგის სამსახურს. სალაშქრო პრობლემების მოგვარება ბევრად მარტივი იყო, თუ მარშრუტი გადიოდა მოკავშირე, ან ყმადნაფიცი ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც მოკავშირეები ომში მიმავალ ჯარს ამარაგებდნენ საკვებით და ფურაჟით. ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში ბიზანტიის ტერიტორიაზე მიმავალი ევროპელთა რაზმების მეთაურები უთანხმდებოდნენ იმპერიის ხელისუფლებას, რომ დახმარებოდნენ სალაშქროდ საჭირო პროვიანტით. I ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ალექსი კომნენოსმა ქვეყანაში სპეციალური პუნქტები შექმნა, საიდანაც ივსებოდა ჯვაროსანთა მარაგები. თუმცა, მიუხედავად დახმარებისა, მცირე აზიის სიღრმეში შესულ ჯვაროსნებს ძალიან გაუჭირდათ სურსათის მხრივ. ერთი რომ, სელჩუკები უკანდახევისას წვავდნენ მოსავალს და ანადგურებდნენ, როგორც სურსათს, ისე წყლის რეზერვუარებს, მეორე ის, რომ ჯვაროსნებს უწევდათ ანატოლიის და კაპადოკიის ცხელი უდაბნოების გავლა. ამ მდგომარეობამ მძიმე დღეში ჩააგდო ევროპელები. მხოლოდ ერთი გაჩერების დროს, უწყლობისაგან დაიღუპა 500 მეომარი, დაეხოცათ ცხენები, ჭამდნენ დახოცილ პირუტყვს. შიმშილი იმდენად აუტანელი იყო, რომ რაინდები იძულებულნი გახდნენ საკუთარი ცხენები გამოეყენებინათ საკვებად. ამის გამო, მარშირებისას რაინდებიც ვირებზე და ჯორებზე ამხედრებულნი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფეხით მიდიოდნენ. სალაშქრო აღჭურვილობა და სხვადასხვა ნივთები ცხვრებით და ძაღლებით გადაჰქონდათ.

მსგავსი ვითარება განმეორდა ანტიოქიის ალყის დროს. იმავე ლაშქრობისას ქალაქის ალყა იმდენხანს გაგრძელდა (9 თვე), რომ ჯვაროსნებს გამოელიათ საკვები, დაისადგურა შიმშილმა და ეპიდემიამ, რაც მუსრს ავლებდა მოლაშქრეებს. ჯვაროსნული ლაშქრობების ერთ-ერთი მემატიანის, ვილჰელმ ტირელის ცნობით, ანტიოქიის ალყის მესამე თვეში დაწყებულა შიმშილი ჯვაროსანთა ბანაკში. ბიზანტიელი ისტორიკოსის, ანა კომნენოსის გადმოცემით, მოალყეების ბანაკში ერთი ხარის თავი 3 ოქროს სტატირა ღირდა. მხოლოდ იტალიელი მეზღვაურების და მეკობრეების დახმარებით ააგეს ჯვაროსნებმა საალყო კოშკები და ანტიოქიის გარნიზონის ერთ-ერთი სომეხი მეციხოვნის ღალატის წყალობით მოახერხეს ქალაქში შესვლა და მისი აღება. დამშეულმა ბრბომ ანტიოქიაში სურსათის თითქმის მთელი მარაგი აითვისა. როდესაც ანტიოქიას მოსულის ათაბაგი ქერბოგა დიდი არმიით მოადგა, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის გალავნის კედლები მტკიცე და ძნელად ასაღები იყო, ჯვაროსანთა მდგომარეობა მაინც კრიტიკული იყო, რადგან ალყაშემორტყმულებს შიმშილით სიკვდილი დაემუქრათ. სელჩუკები კარგად გრძნობდნენ ალყაშემორტყმულთა გამოუვალ მდგომარეობას და არ ამწვავებდნენ საბრძოლო

მოქმედებებს, რადგან ხედავდნენ, რომ ჯვაროსანთა დღეები დათვლილი იყო. მხოლოდ ქალაქიდან თავგანწირულმა გამოხდომამ და მუსლიმთა ბანაკზე მოულოდნელმა შეტევამ იხსნა ქრისტიანები სრული დაღუპვისაგან. ეს განწირული თავდასხმა გარშემომდგარ მტრის ბანაკზე გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მძიმე სასურსათო მდგომარეობით და იმითაც, რომ მოკავშირე არმია არსაიდან ჩანდა. შიმშილ-წყურვილით და ეპიდემიებით სიკვდილს, რისკზე წასვლა ამჯობინეს, თანაც ხვდებოდნენ, რომ სელჩუკთა მრავალრიცხოვან ძალებთან ქალაქის კედლებს გარეთ შეტაკება, ფაქტიურად, დაღუპვის ტოლფასი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა. ჯვაროსანთა ეს თავხედური გამოხდომა იმდენად მოულოდნელი და დამთრგუნველი აღმოჩნდა სელჩუკებისთვის, რომ ხანმოკლე სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, მოსულის ათაბაგი უკუიქცა და გამარჯვებულებს დაუტოვა მთელი თავისი ქონება. მემატიანეები გადმოგვცემენ, რომ თითქმის ერთი თვის განმავლობაში ეზიდებოდნენ ჯვაროსნები სელჩუკთა მიერ დატოვებულ დავლა-ალაფს ქალაქში. ამ პასაჟიდან ჩანს, რომ ლაშქრობის ერთ მონაკვეთზე, რომელიც მოიცავდა დორილეუმის (დღევანდელი ესკიშეჰირი, იქ სადაც ჯვაროსნებმა 1097 წელს პირველი დიდი დამარცება მიაყენეს სელჩუკებს და გააგრძელეს სვლა ანტიოქიისაკენ). მიდამოებიდან ანტიოქიამდე არეალს, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა საველე არმიის მომარაგებას, რომელსაც გაუთავებელი შეტაკებები, მტრის მიერ განადგურებული ტერიტორების და უწყლო უდაბნოების გავლა უწევდა.

საბრძოლო მოქმედებების დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არმიის წყლით მომარაგებას. ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში, სირია-პალესტინის უდაბნოებში, ზაფხულში კამპანიის საწარმოებლად საჭირო იყო წყლის დიდი რესურსი. არმია დროდადროც საჭიროებდა მარშირების დროს, ჭებიდან და წყაროებიდან მარაგის შევსებას. მოწინააღმდეგე კი, ყოველთვის ცდილობდა გაენადგურებინა წყლის რეზერვუარები და გაეძნელებინა მტრისთვის გადაადგილება. 1187 წელს, ჰატინის ბრძოლის ბედი, სწორედ ამ ფაქტორმა გადაწყვიტა. ჯვაროსანთა ერთ-ერთი მეთაური, ტრიპოლის გრაფი რაიმონდი იერუსალიმის მეფე გი დე ლუზინიანს ურჩევდა, რომ სალაჰ ად-დინის წინააღმდეგ ლაშქრობა არ დაეწყო შუა ზაფხულში, რადგან ჯარს იერუსალიმიდან მოშორებით, უწყლო, მშრალი უდაბნოს და მოწინააღმდეგის მიერ განადგურებული და გადამწვარი მიდამოების ვავლა მოუწევდა, მაგრამ მეფემ არ დაუჯერა მას და ტამპლიერთა ორდენის დიდი მაგისტრის, ჟერარ დე რიდფორის მხარე დაიჭირა, რომელიც სალაჰ ად-დინის წინააღმდეგ დაუყოვნებელი შეტევის მომხრე იყო. ეს ლაშქრობა დაიწყო ივლისში. სალაჰ ად-დინი კარგად მომზადებული შეხვდა ჯვაროსნებს. მან პირველ რიგში სასმელი წყალი მოიმარაგა ახლო მდებარე ტივერიადის ტბიდან. წყურვილისაგან დატანჯულმა ლათინთა ჯარმა წინსვლა ვეღარ შეძლო. იერუსალიმის მეფე მიხვდა შეცდომას და უკუქცევა დააპირა, რათა შეევსო წყლის მარაგი ახლომდებარე წყაროებიდან. როცა ჯვაროსნებმა

ჰატინის მაღლობებთან მოსასვენებელი ბანაკი გამართეს, მუსლიმთა არმიამ ალყა შემოარტყა მათ. მუსლიმ მეთაურთა მთავარი მიზანი იყო, არ დაეშვათ მოწინააღმდეგის რაზმების ტივერიადის ტბასთან გამოჩენა. სალაჰ ად-დინმა თავის მეომრებს უბრძანა, ცეცხლი წაეკიდებინათ ბანაკის გარშემო არსებულ ბუჩქებზე, რომლის ნამწვავი და კვამლი გაართულებდა სუნთქვას, ასევე, ბრძანება გასცა, წყურვილისაგან შეწუხებული ჯვაროსნების დასანახად დაედგათ წყლით სავსე დოქები და წყალი დაეღვარათ, რათა მორალურად გაეტეხათ მძიმე დღეში ჩავარდნილი ქრისტიანები. ამის შემდეგ, სულთნის ჯარი შეტევაზე გადავიდა. 3 ივლისს, სიცხისაგან და წყურვილისაგან გათანგული ჯვაროსანთა არმია შვიდსაათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, მთლიანად განადგურდა, მხოლოდ რამდენიმე ათეულმა მხედარმა დააღწია თავი ტყვეობას. მემატიანეების ცნობით, ტყვედ ჩავარდნილ იერუსალიმის მეფეს სალაჰ ად-დინმა წყლით სავსე თასი მიაწოდა, არა მარტო მეფური მოწყალების ნიშნად, არამედ, იმის გამოც, რომ მეფე წყურვილისგან იტანჯებოდა. ამ მარცხმა საბოლოოდ განსაზღვრა იერუსალიმის ბედი და ფაქტიურად დაუცველი ქალაქი, სულ მალე მუსლიმთა ხელში აღმოჩნდა.

შემდგომ ლაშქრობებში ჯვაროსანთა არმიები ახლო აღმოსავლეთის და ეგვიპტის მიმართულებით, ძირითადად, იყენებდნენ საზღვაო მარშრუტს. ეს გამოწვეული იყო, როგორც ბიზანტიელებთან უთანხმოებით, ისე პროვიანტის მარაგის პრობლემებითაც. გარდა იმისა, რომ ჯვაროსნებს აზიაში გადასვლისათვის უწევდათ მტრის ტერიტორიების გავლა, სახმელეთო გზით გრძელი რეიდი, ასევე, დაკავშირებული იყო სასურსათო პრობლემებთან. საზღვაო გზა კი ბევრად უხიფათო იყო. ჯვაროსნები შედარებით უფრო სწრაფად ხვდებოდნენ წმინდა მიწაზე, ნაკლებად აწუხებდათ შიმშილი, წყურვილი და აზიის მცხუნვარე მზე.

ლაშქრობაში მიჰყავდათ აგრეთვე სხვადასხვა დარგის და ხელობის სპეციალისტები. ციხე-სიმაგრეების და გამაგრებული ქალაქების ასაღებად საჭირო იყო სხვადასხვა სახის საალყო ტექნიკა. გარდა ლოდსარტყოცნი მანქანებისა, ქალაქის გალავნის ასაღებად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხის შეჯავშნულ კოშკებს, რომლებიც გალავანზე გადასასვლელად გამოიყენებოდა. მის აგებას კი სპეციალური ტექნიკა და ოსტატები სჭირდებოდა. თემურ-ლენგს, მშრალი, უწყლო უდაბნოების გადალახვის დროს, ლაშქარში ისეთი ოსტატებიც კი ჰყავდა, რომლებსაც შეეძლოთ უდაბნოში წყლის ჭების მოძებნა და სასმელი წყლით არმიის უზრუნველყოფა. ამავე დროს, საქართველოში თუ სხვა მთიან მხარეებში სამხედრო კამპანიის დროს, სჭირდებოდა კლდეზე მცოცავნი, მთასვლელები, რომლებიც ფასდაუდებელ სამსახურს უწევდნენ თემურლენგს მტრის გამაგრებული გამოქვაბულების, კლდეზე აღმართული ციხეების აღებისას. სწორედ ამ ოსტატების დახმარებით აიღო მან, ფაქტიურად მიუვალი ბირთვისის ციხე.

სამხედრო საქმის სპეციალისტებს და ხელოსნებს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ მონღოლებიც. როდესაც სტეპის ეს მომთაბარეები დაპყრობილ ქალაქებს ძარცვავდნენ და მოსახლეობას აწიოკებდნენ, მეთაურებისაგან ბრძანება ჰქონდათ, ხელი არ ეხლოთ ხელოსნებისთვის. აღებული ქალაქის მოსახლეობას ქალაქგარეთ, ციხის კედლების წინ გამორეკავდნენ, გამოარჩევდნენ მათგან სამხედრო საქმის სპეციალისტებს თუ სხვა ხელობის ოსტატებს, ხოლო დანარჩენ მოსახლეობას აწიოკებდნენ და მუსრს ავლებდნენ.

თამარ მეფემ სპარსეთში შორეული ლაშქრობის წინ მოაწყო ჯარის დათვალიერება: „მოვიდეს ტფილისს მეფესა წინაშე. განახნა სპანი მისნი და იხილნა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენ-კეთილობა მათი“ და ამის შემდეგ გადასცა სამეფო დროშა მთავარსარდლებს. რა თქმა უნდა, სალაშქროდ მიმავალი არმია მომარაგებული იყო საჭირო სურსათ-სანოვაგით, მაგრამ ის არ იქნებოდა გათვლილი მთელ სამხედრო კამპანიაზე. უზარმაზარი აღალით მოძრაობა არმიას მობილურობას დაუკარგავდა, ამიტომ ჯარის ხელმძღვანელებს უწევდათ სალაშქრო პროვიანტის დროდადრო შევსება. სპარსეთში ლაშქრობა დაიგეგმა შემოდგომაზე, როცა „მოიწია არე სთულისა“. წელიწადის ამ დროში ლაშქრობა, სპარსეთის გეოგრაფიული სივრცის და ბუნებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, გათვლილი ექნებოდათ საქართველოს სამეფო კარის მესვეურებს. სალაშქრო არეალის მარშრუტი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად წარმატებით განვითარდებოდა სამხედრო კამპანია, მაგრამ სარდლებს გარკვეული მარშრუტი დასაპყრობი და გასაძარცვავი ტერიტორიებისა, წინასწარ ექნებოდათ მონიშნული. ეს ლაშქრობა, განსხვავებით ჯვაროსნული სამხედრო კამპანიებისა, არ მოიცავდა დანიშნულების წერტილს, იგი წარმოადგენდა მარბიელ სამხედრო ექსპედიციას. ქართველები არაქსის პირის გავლით შევიდნენ ჩრდილოეთ სპარსეთში და პირველი დიდი შეტაკება ქალაქ მარანდის აღების დროს მოუწიათ. ამ ლაშქრობაში ქართველებმა მრავალი ციხე და გამაგრებული ქალაქი აიღეს, რის შემდეგ დიდძალი დავლა-ალაფი ჩაუვარდათ ხელში. ზოგი, მშვიდობის სანაცვლოდ, უბრძოლველადაც დამორჩილდა. თავრიზის და მიანის მოქალაქეებმა, გარდა ძვირფასეულობისა, სალაშქროდ საჭირო ბევრი მარაგი გაიღეს. მემატიანის გადმოცემით, ქართველთა ჯარის მეთაურების მხარგრძელების წინაშე თავრიზის მცხოვრებლები ძღვენით მოვიდნენ: „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი, და ყოველნი თავადნი თავრეჟისანი, მოიღეს ოქრო და ვერცხლი, ლარი, ცხენები, ჯორი, აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდელი კმა-საყოფი ლაშქრისათჳს“. მიანის მელიქმა მშვიდობის სანაცვლოდ, „აღუთქვა მოცემად ურიცხჳ საქონელი.

და მოიღო მანცა ოქრო და ვერცხლი და ქვანი ძჳრფასისანი“. როგორც ვხედავთ, გარდა ძვირფასეულობისა, მოქალაქეებს გაუღიათ მრავალი საქონელი, „საზრდელი კმა-საყოფი ლაშქრისათჳს“, როგორც მეომრების გამოსაკვები, ისე გამწევი და საომარი პირუტყვის სახით. აქ საუბარია ასევე, სალაშქრო, საო-

მარ ცხენებზე და აქლემებზე, რომლებიც ნადავლის სახით ერგოთ ქართველ მხედრებს. სხვა ქალაქების აღების დროსაც ქართველებს უამრავი საქონელი ჩაუვარდათ ხელში. ყაზვინის და აჰვარის დაპყრობისას ქართველთა მხედრობა მორიდებია ქალაქების მოსახლეობის დაწიოკებას და მხოლოდ „აღივსნეს საქონლითა; აჰკიდეს საქონელი მათი მათთავე საჴედართა; კაცთა არა ავნეს, ტყუედ წარმოიყვანდეს კაცთა და მცირედსა ვაჟსა“. ქართველთა მხედრობამ ამ ლაშქრობაში სპარსეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთს, ხორასანს მიაღწია. მანამდე „ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნილ იყო ლაშქრად“ ასე შორს, რასაც სიამაყით აღნიშნავს თამარის ისტორიკოსი. ამ ლაშქრობაში ქართველებს იმდენი დავლა-ალაფი დაუგროვდათ, რომ ვეღარ შეძლეს წინსვლა და გამარჯვებულნი უკან დაბრუნდნენ საქართველოში.

თავი VI

სამხედრო ძალების რაოდენობა

შუა საუკუნეების არმიათა რაოდენობა, მისი მრავალრიცხოვნება დამყარებული იყო სახელმწიფოთა ტერიტორიულ სიდიდეზე, მოსახლეობის რაოდენობაზე და სამხედროვალდებული ადამიანების რიცხვზე. მემატიანეთა მონაცემები ჯარების მრავალრიცხოვნების შესახებ ხშირად გადაჭარბებულია და ზოგჯერ ფანტასტიკურ რიცხვებს აღწევს. ძირითადად, ეს მომდინარეობს ანტიკური ხანის ავტორთა ტრადიციიდან, სადაც საუბარია არა მხოლოდ ასეულ ათასებზე, არამედ მილიონებზეც კი. ჰომეროსისეულ, ჰეროდოტესეულ და ფსევდოკალისთენესეულ გრანდიოზულ ციფრებს, ძირითადად, ეპოსური და მხატვრული ლიტერატურის კვალი ამჩნევია, მაგრამ ანტიკური ხანის ავტორებშიც გვხვდება რეალობის ამსახველი სინამდვილე.

სამხედრო ხელოვნების ისტორიის ცნობილი მკვლევარი ჰ. დელბრუკი აღნიშნავს, რომ კაროლინგების ეპოქაში (VIII-X სს.), ფრანკთა სამხედრო ძალები არ აღემატებოდნენ რამდენიმე ათასეულ მეომარს. ფრანკთა ეს არმიები აღარ წარმოადგენდნენ ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის მრავალრიცხოვან კონტინგენტებს – უამრავ ტომებს თავიანთი ბანაკით და საქონლით, რომლებიც უკანმოუხედავად მოძრაობდნენ და ახალ-ახალ ტერიტორიებს იკავებდნენ. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ კარლოს დიდის არმია ითვლიდა 10 ათას მეომარს, რომელთა რიცხვში 5-6 ათასი ცხენოსანი იყო.

მოწინააღმდეგის ძალების რაოდენობას მემატიანეები, ხშირად, ხელოვნურად ზრდიდნენ, რითაც განადიდებდნენ და გმირული შარავანდედით მოსავდნენ გამარჯვებულ სახოტბო პერსონაჟებს, ხოლო მარცხს აბრალებდნენ არა ობიექტურ მიზეზებს, არამედ მოწინააღმდეგის სწორედ ამ უზომო ათასეულებს. ამის კვალი ძველ ქართულ ისტორიოგრაფიასაც ატყვია. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულებაში, სადაც ძირითადი ამბები ვახტანგ მეფის ეპოქას ეხება, მოწინააღმდეგის სამხედრო შენაერთების რიცხვი ასეულობით ათასს აღწევს. ვახტანგის ბოლო ბრძოლაში, წყაროს მონაცემით, სპარსული არმიის რიცხვი 740 ათასი იყო, ხოლო ქართული ჯარის – 240 ათასი. ციფრები აშკარად გადაჭარბებულია. საქართველოს ისტორიის მანძილზე, მისი ერთიანობის, ძლიერების პერიოდებშიც კი, როცა მოსახლეობის რიცხვი V საუკუნის ქართლთან შედარებით გაზრდილი იყო, არცერთ ქართველ მეფეს ამხელა სამხედრო შენაერთები არ ჰყავდა. სპარსეთის სამეფოშიც, თავისი ტერიტორიული სიდიდისა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნების მიუხედავად, ნახევარმილიონზე მეტი ჯარისკაცის შეკრება არცერთ მმართველს არ შეეძლო.

ხშირ შემთხვევებში მემატიანეები არმიების მრავალრიცხოვნებას მხატ-

ვრულად გამოსახავდნენ. დავითის ისტორიკოსი დიდგორთან მოსულ სელჩუკთა კოალიციას ასე გვიხატავს: „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღუსა“. თამარის ისტორიკოსი ათაბაგ აბუ-ბაქრის ჯარზე ამბობს: „უმრავლესნი რიცხუსანი, ვითარცა მკალნი (კალიები) და ვითარცა ქვიშა ზღუსა... ვერ მისაწთომელად არიან თუალნი განცდად და გარდანთომად“. არაბი ისტორიკოსი ალ-ჰუსაინი აბუ-ბაქრ ათაბაგის წინააღმდეგ მიმავალი საქართველოს ლაშქრის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ქართველებს შეუერთდნენ სპარსელი და თურქმანი მეომრები და „ესენი ყველა ერთად გაემართნენ აბუ-ბექრ ბინ ათაბაგ მუჰამედ ფეჰლევანის წინააღმდეგ ისეთი ჯარით, რომელსაც ცა და დედამიწა ვერ იტევდა“. იგივე მემატიანე 1040 წელს დანდანაკანთან ბრძოლაში ღაზნევიდების არმიის მრავალრიცხოვნების შესახებ ამბობს, მათ იმხელა არმია ჰყავდათ, დედამიწის სიგრძე – სიგანის ავსება შეეძლოთო. 1066 წელს, ჰასტინგსის ბრძოლაში, ნორმანდიელი მემატიანის ვილჰელმ პუატიელის ცნობით, ანგლოსაქსების არმია, იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ მთლიანად ის მდინარე შეეძლო დაელია, რომელზეც გადადიოდაო. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის კოალიციის რაოდენობას ბიზანტიელი ისტორიკოსი ანა კომნენოსი, ცაზე ვარსკვლავების და ზღვაში ქვიშის სიმრავლეს ადარებს.

გარდა მხატვრული შედარებებისა, მემატიანეებს კონკრეტული ციფრებიც აქვთ მოყვანილი. დიდგორის ველზე მოსული მუსლიმების კოალიცია სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის ცნობით 560 ათასი იყო, ხოლო ქართველთა ჯარის რაოდენობა 56 ათასი. ანტიოქიის კანცლერ გოტიეს ცნობით კი, სელჩუკთა კოალიცია 600 ათასიანი იყო. არაბი ავტორების იბნ ალ-ასირის და ალ-ჯაუზის მონაცემებით კი, მუსლიმთა არმიის რიცხვი ათასიდან 30 ათასამდე მერყეობდა. არცერთი მონაცემი არ არის სანდო. 1119 წელს ბალატთან ბრძოლაში (სისხლიან ველზე) ილ-ღაზს 40 ათასი მეომარი ჰყავდა და ცნობილია, რომ დიდგორთან სელჩუკთა კოალიცია კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყო. გარდა სირიელი, ერაყელი თურქმანებისა და სხვა ქალაქების ძალებისა, მას აქ დაემატნენ სომხეთის ამირები, განძის ათაბაგის რაზმები და თვით სპარსეთ-ერაყის მფლობელის, დიდი სულთნის მაჰმუდ მუჰამადის ძის სამხედრო კონტინგენტები. მაგრამ მემატიანეთა მიკერძოებულობა ცხადია, ერთი მხრივ, ქრისტიან ისტორიკოსთა სურვილი ჰეროიკული სახე მისცენ ქართველობის გამარჯვებას, მეორე მხრივ, მუსლიმთა სწრაფვა გააფერმკრთალონ ამ ბრძოლის მნიშვნელობა.

თამარის ისტორიის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ გადმოცემით, ბასიანის ველზე რუმის სულთნის რუქნ ად-დინის ლაშქარი 400 ათასს აღწევდა. თამარის მეორე ისტორიკოს ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობით – 800 ათასს.


ჟამთააღმწერლის ცნობით, 1225 წელს გარნისის ველზე ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში ჯალალ ად-დინის არმიის რაოდენობა 140 ათასი იყო.

1066 წელს ჰასტინგსთან ბრძოლაში, ვილჰელმ დამპყრობლის ნორმანთა არმია დაახლოებით 7 ათასი იყო, მაშინ, როცა ნორმანდიელი მემატიანეები ანგლოსაქსების არმიას 400 ათასიდან მილიონ 200 ათასით განსაზღვრავენ. არადა, იმდროინდელი ინგლისის და მთლიანად კუნძულის მოსახლეობა, სპეციალისტების გამოთვლით არ აღემატებოდა 2 მილიონ მცხოვრებს. დაუჯერებელი სხვაობაა, მაგრამ ეს მემატიანეები ნორმანდიელთა მეხოტბენი არიან და საგმირო ეპოსის ჟანრში გადაჰყავთ ვილჰელმ დამპყრობლის გამარჯვებები ინგლისში.

არაბი მემატიანეების ცნობით, 1071 წლის მანასკერტის ბრძოლაში, ბიზანტიელთა არმიის რაოდენობა 300 ათასიდან 700 ათასის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო მოწინააღმდეგე სელჩუკები ათჯერ უფრო მცირერიცხოვანი იყვნენ. მუსლიმი ავტორები თავიანთი სახოტბო გმირის, სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის გამარჯვებას, ამით, მეტ ბრწყინვალებას მატებენ.

გრანდიოზული ციფრები გვხვდება ასევე, ჯვაროსნულ ლაშქრობებში მოწინააღმდეგე არმიების რაოდენობათა აღწერისას. მემატიანეთა გადმოცემებით, I ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეთა რიცხვი 300-600 ათასის ფარგლებში მერყეობდა (მათში რაინდთა რაოდენობა 100 ათასს აღწევდა, ხოლო ქვეითების 600 ათასს). ამ მასამ თავი მოიყარა კონსტანტინეპოლის კედლებთან, საიდანაც დაიწყო გადასვლა მცირე აზიაში. რაინდთა და, საერთოდ, სამხედრო პირთა ასეთი რაოდენობა, იმ დროის ევროპის მასშტაბით, საერთოდ არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ეს უაღრესად გაბერილი ციფრებია. იმავე ლაშქრობაში, 1099 წელს იერუსალიმის აღებისას, ჯვაროსნების რიცხვი უკვე 20-25 ათასია. ამხელა არმიას აზიის უდაბნოს ქვიშა წყალივით ვერ შეისრუტავდა. არარეალურია კონსტანტინეპოლიდან იერუსალიმამდე მარშირების და ბრძოლების დროს ჯვაროსნებს ამდენი მეომარი დაეკარგათ. სინამდვილეში ჯვაროსანთა გაერთიანებული ძალები რამდენიმე ათეულ ათასს აღწევდა და არა ასეულ ათასებს.

1147-1148 წლებში, მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე საფრანგეთის მეფის და გერმანიის იმპერატორის არმიების საერთო რაოდენობა, წყაროთა მონაცემებით, 700 ათასიდან 900 ათასამდე იყო. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებს და ფრანგებს მცირე აზიაში გადასვლისას აწუხებდათ მძიმე კლიმატური პირობები, სალაშქრო პროვიანტის უკმარისობა და სელჩუკთა ცხენოსანი რაზმების თავდასხმები, წარმოუდგენელია ასეთი მასშტაბის არმიას ვერცერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა ვერ მოეგო და ვერცერთი ციხე-ქალაქი ვერ აეღო. საპირისპიროდ, მუსლიმთა მრავალრიცხოვნებას აღნიშნავენ ქრისტიანი მემატიანეები. ლათინური ქრონიკების მიხედვით, 1099 წლის ასკალონის ბრძოლაში ეგვიპტის სულთნის და სხვა მუსლიმი ემირების გაერთიანებული არმია შეადგენდა 100 ათასიდან 500 ათასამდე მეომარს, მაშინ როცა ჯვაროსნების ძალები ითვლიდა 9 ათას ქვეითს და 1300 ცხენოსან რაინდს. რეალურად, ეგვიპტელებს ამ ბრძოლაში 20 ათასიანი არმია ჰყავდათ. ასკალონთან ჯვა-



ქრისტე მიუძღვის ჯვაროსნებს ბრძოლაში. ილუსტრაცია XIV ს.
ბრიტანეთის ბიბლიოთეკა

როსნებმა დიდი გამარჯვება იზეიმეს, რის აღსანიშნავადაც მათმა მეთაურებმა რომის პაპს წერილიც კი მისწერეს, სადაც ამაყობდნენ თავიანთი წარმატებით და ტრაბახობდნენ, რომ მცირე ძალებით შეძლეს მტრის 100 ათასიანი არმიის დამარცხება.

ცნობები არმიების ფანტასტიკურ მრავალრიცხოვნებაზე ბევრია. გარდა იმისა, რომ მონაცემები მიკერძოებულია, ზოგადად ძნელი იყო რეალური ციფრის დასახელება. ხშირად, მემატიანეები სარგებლობდნენ სხვათა გადმოცემებით.

მემატიანეთა ცნობებში რეალური ციფრებიც გამოკრთება სამხედრო ძალების რაოდენობის შესახებ. მაგალითად, პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, 1097 წლის დორილეუმის ბრძოლაში ქრისტიანების არმია 30-40 ათასს აღწევდა, ხოლო 1099 წელს იერუსალიმის აღების დროს მათი რაოდენობა, დაახლოებით, 20-25 ათასი იყო. წმინდა ქალაქის, იერუსალიმის გათავისუფლების

შემდეგ ჯვაროსანთა უმეტესობა ევროპაში დაბრუნდა, რადგან თავის მისიას შესრულებულად თვლიდა. ახლად დაარსებული იერუსალიმის სამეფოს პირველი მეფის, გოტფრიდ ბულონელის ხელქვეით სულ რაღაც 200 რაინდი და ათასეული ქვეითი დარჩა. შემდეგმა მეფემ, გოტფრიდის ძმამ ბოლდუინმა, ედესიდან 200 რაინდი და ამდენივე ქვეითი მიიყვანა. მეომართა ეს რაოდენობა და იერუსალიმის სამეფოს სხვა ქალაქებში მყოფი მცირე ასეულები საკმარისი იყო იერუსალიმის, რამლას და იაფას დასაცავად. მიუხედავად ასეთი მცირე რიცხვისა, ჯვაროსანთა მეთაურები სელჩუკთა და ეგვიპტელთა იერიშებს იგერიებდნენ და ახალ ციხეებს და ქალაქებსაც იკავებდნენ. მუსლიმებს, რომ ასეულათასები ჰყოლოდათ იარაღის ქვეშ, ერთი ხელის მოსმით წალეკავდნენ სირია-პალესტინის ციხე-ქალაქებში შეკეტილ ჯვაროსანთა მცირე რაზმებს. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ევროპიდან ახალი შევსება მოდიოდა, მაგრამ ეს არ ცვლიდა საერთო სურათს და შესამჩნევად არ ზრდიდა ჯვაროსანთა რაოდენობას. ის, რომ ჯვაროსანთა რაზმები რამდენიმე ასეული რაინდისა და რამდენიმე ათასეული მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებისაგან შედგებოდა, ჩანს, სხვა სამხედრო კამპანიებში. 1119 წელს, ბალატთან ბრძოლაში ანტიოქიის მთავარს როჯერს ჰყავდა 700 რაინდი და 3 ათასი ქვეითი, სელჩუკებს ილ-ღაზის სარდლობით, დაახლოებით 40 ათასი. სელჩუკთა რიცხობრივი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ ალყა შემოარტყეს ჯვაროსნებს და, ფაქტიურად, ისრებით დაცხრილეს მათი რიგები. ამის შემდეგ სელჩუკთა ცხენოსნები შეტევაზე გადავიდნენ და თითქმის მთლიანად გაანადგურეს ანტიოქიის არმია. როჟერი ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო ჯვაროსანთა რიგებში დალუპულთა რაოდენობა 3 ათასს აღწევდა. ვინც გადარჩა ტყვედ ჩავარდა, მათ შორის ანტიოქიის კანცლერი გოტიე. ამ ბრძოლაში მონაწილეთა რაოდენობის შეფარდება შესაბამისობაში მოდიოდა ომის შედეგთან. ბალატის ომს დიდი გამოძახილი ჰქონდა. იმ დროისათვის მრავალი შეტაკებები ხდებოდა ჯვაროსნებსა და მუსლიმებს შორის, მაგრამ ეს ბრძოლა მასში მონაწილეთა რაოდენობით, მართლაც გამორჩეული იყო და იმდენად სისხლისმღვრელი, რომ ლათინურ ქრონიკებში მას, ამიერიდან, სისხლიან ველად მოიხსენიებდნენ. ამ ომის შემდეგ იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II ევროპიდან დახმარებას ითხოვდა, რადგან ჯვაროსნები განიცდიდნენ სამხედრო ძალების მწვავე უკმარისობას. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ არავითარი ასეულათასები ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ქრისტიანულ სამეფო-სამთავროებს არ გააჩნდათ და რამდენიმე ათასი მეომრის დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო.

მოგვიანებით, 1125 წელს აზაზთან ბრძოლაში, ჯვაროსნებმა იერუსალიმის მეფის ბოლდუინ II-ის, ტრიპოლის გრაფის და კილიკიის სომეხთა მეფის ლევონის გაერთიანებული სარდლობით სასტიკად დაამარცხეს მოსულის ათაბაგის ილ-ბურზუკის სელჩუკთა არმია. ამ ბრძოლაში ქრისტიანთა რაოდენობა 3100 მეომარი იყო – 1100 ცხენოსანი რაინდი და 2 ათასი ქვეითი. მოსულის ათაბაგის

არმია მათე ურჰაელის გადაჭარბებული ცნობით კი, 40 000 მეომარს ითვლიდა.

ზოგადად, ჯარის სავარაუდო რაოდენობის დადგენა შესაძლებელია ქვეყნების პოლიტიკურ-გეოგრაფიული სივრცის, მოსახლეობის რაოდენობის, მათი სამხედრო სტრუქტურის, სამხედროვალდებული მოქალაქეების რიცხვის და მეომარი მხარეების პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

საქმე მარტო მოწინააღმდეგე არმიების მრავალრიცხოვნებაში არ არის. სამხედრო კამპანიების წარმატებაში ძირითად როლს თამაშობდა, პირველ რიგში, საბრძოლო მოქმედებების სწორი დაგეგმვა, დროული მობილიზაცია, სამხედრო დისციპლინა, სალაშქრო პროვიანტის მარაგი, მხედართმთავრის როლი ბრძოლაში ტაქტიკური ცვლილებების და სამხედრო შენაერთების მეთოდური გამოყენების საკითხში. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გეოგრაფიულ ფაქტორს – საომარი არეალის სწორად შეფასებას, რა პირობებში მიმდინარეობდა ბრძოლები და მის დროის ხანგრძლივობასაც, რადგან მასზე დიდად იყო დამოკიდებული მთლიანი სამხედრო კამპანიის ბედი.

შედარებით ობიექტური ციფრები ევროპაში სამხედროვალდებული მოქალაქეების შესახებ, მეფეთა და მთავართა ბრძანებულებებში ჩანს, სადაც გაწერილი იყო რამდენი მეომრის გამოყვანა ევალებოდა ამა თუ იმ სამთავროს, საჰერცოგოს თუ საგრაფოს. ეს ციფრები მხოლოდ ათეულებით და ასეულებით შემოიფარგლებოდა: 981 წელს საღვთო რომის იმპერატორმა ოტო II-მ გამოსცა ბრძანებულება, რითაც ქალაქების ეპისკოპოსებს, მარკგრაფებს და ჰერცოგებს განესაზღვრათ გარკვეული რაოდენობის მეომართა გამოყვანა. მაინცის, კიოლნის, სტრასბურგის და აუგსბურგის ეპისკოპოსებს, თითოეულს დაევალა 100 მეომრის გამოყვანა. ტრირის, ზალცბურგის, რეგენსბურგის მოსახლეობას 70 მეომრის, ლიეჟს და ვიურცბურგს – 50 მეომრის თითოეულიდან და ა. შ. მეომრების რიცხვი დამოკიდებული იყო ქალაქების მოსახლეობის რაოდენობაზე. ვალდებულება ეკისრებოდათ ასევე, საჰერცოგოების და საგრაფოების მფლობელებსაც. ელზასის საჰერცოგო ვალდებული იყო გამოეყვანა 70 მეომარი, სამხრეთ ლოტარინგიის ჰერცოგს – 20 მეომარი, უფრო პატარა საგრაფოების პატრონებს და ჰერცოგებს – 20, 10 მეომარი. ბრძანებულებით, ზოგიერთი სენიორი თვითონაც უნდა გამოცხადებულიყო. მაგალითად, გრაფი გეტცელი თუ თვითონ გამოცხადდებოდა, 40-ის ნაცვლად 30 მეომრით უნდა მისულიყო.

XII საუკუნეში ფილიპ ოგიუსტის მმართველობის დროს ბრეტანის, ანჟუს, ფლანდრიის, პონტეს, სენ-პოლის, არტუას, ბერმანდუას, პიკარდიის, ორლეანის, ტიურენის საგრაფო-საჰერცოგოებიდან გაწერილი ბრძანებულების მიხედვით საფრანგეთის მეფის სამსახურში დაახლოებით 400 რაინდი გამოდიოდა. ეს, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილია საგრაფოებში არსებული სამხედროვალდებული პირებისა. მაგალითად ბრეტანის ჰერცოგის განკარგულებაში იყო 166 რაინდი და 17 საჭურვლისმტვირთველი (მეაბჯრე, აბჯრისმტვირთველი), მაშინ, როცა იგი მეფეს უგზავნიდა მხოლოდ 40 რაინდს. ინგლისში, 1166 წელს ჰენრი

II-ის ბრძანებით ჩატარებული მოსახლეობის აღწერისას გამოვლინდა სამეფოში არსებული რაინდების რიცხვი, რომელიც 6 ათას ოთხასს აღწევდა. ასე რომ, ჯვაროსანთა არმიები, რამდენი ქვეყნის საგრაფო-სამთავროებიდანაც არ უნდა ყოფილიყვნენ შეკრებილნი, ასეულათასებს ვერ მიაღწევდნენ.

განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით, მემატიანეთა მონაცემებში გამოირჩევიან მომთაბარეთა კონტინგენტები. ხშირ შემთხვევებში ეს მეომარი ტომები დიდ სივრცეებზე გადაადგილდებოდნენ ოჯახებით, საქონლით და სალაშქრო პროვიანტით, რაც, მართლაც, ზრდიდა მათ რაოდენობას. ჯერ კიდევ, ძველი თუ ანტიკური ხანის ავტორები წერდნენ მეომარი სკვითების, ჰუნების, სარმატების, ალანების თუ სხვა მომთაბარეების მრავალრიცხოვნებაზე, მაგრამ მათი ათასეულები არ აღემატებოდნენ მიდიელების, აქემენიანების, ბერძენ-მაკედონელების, სელევკიდების, პართიელების თუ რომაელთა სამხედრო კონტინგენტებს.

შუა საუკუნეებში ქართული არმიის რაოდენობა დამოკიდებული იყო სახელმწიფოს ცენტრალიზებული სისტემის ორგანიზაციაზე. სამხედროვალდებულთა რიცხვი განისაზღვრებოდა სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობით. ეს ერთეულები კი საერისთავოთა რიგი იყო, რომლის ხელმძღვანელებს, ერისთავებს ევალებოდათ თავიანთი რაზმების გამოყვანა. ეს რაზმები შედგებოდა აზნაურთა და სამხედროვალდებული მსახურებისაგან. ეს იყო ფეოდალური ლაშქარი, სამეფო სპა. ამას ემატებოდა მონასპის, ტაძრეულების, მოქირავნეების სამხედრო კონტინგენტები და აქედან იქმნებოდა სრულიად სამეფოს ლაშქარი.

წყაროების მონაცემები ქართული არმიის, და, საერთოდ, ქვეყანაში სამხედროვალდებულთა რიცხვის შესახებ წინააღმდეგობრივია და განსხვავებულ ინფორმაციებს შეიცავს. ერთი, რომ მემატიანეების დასახელებული რიცხვები ზუსტი არ არის და მეორე, რომ არ არსებობს რაიმე დოკუმენტი ან ბრძანება, თუ რამდენი მეომრის გამოყვანა ევალებოდათ საერისთავოთა ხელმძღვანელებს სალაშქროდ. ის, რომ ომიანობა აზნაურთა და მსახურთა საქმე იყო, ჩანს, როგორც ისტორიულ, ისე სამართლის და ლიტერატურის ძეგლებში, მაგრამ არაფერია ცნობილი, იყო თუ არა სამხედროვალდებული ქალაქის მოსახლეობა. მთის რეგიონის მოსახლეობის სამხედროვალდებულთა რიცხვი პროცენტულად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ბარის მოსახლეობის. მთაში, თემის თითქმის ყოველი მამაკაცი მოლაშქრე იყო. ამას მთის რეგიონის სპეციფიკა განაპირობებდა, რომელიც სამეურნეოდ მწირი იყო, მცირე მიწიანი. მთიელთა მთავარ სამეურნეო საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა, მაშინ, როცა ბარში მოსახლეობის დიდი რიცხვი მეურნე გლეხობა იყო და მისი მთავარი ვალდებულება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოვლა-პატრონობა და ბატონისადმი სამსახური იყო. მთაში შემორჩენილი არქაული, თემობრივი წესებით სამხედროვალდებული იყო თემის ყოველი წევრი, იქნებოდა ის ხევისბერი, ჰეროვანი

თუ უბრალოდ თემის კაცი. ამავე დროს, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთის რეგიონი სასაზღვრო ზოლში იყო და, ფაქტიურად, ეს თემები მონაპირეთა ფუნქციასაც ასრულებდნენ. მონაპირეები კი, მთის თუ ბარის, გასამხედროებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, სადაც თითქმის ყოველი მოსახლე სამხედროვალდებული იყო. ქვეყნის სამხრეთის სანაპირო ზოლში არსებული მონაპირეთა სისტემა შიდა რაიონებში არსებული საერისთავოთა მოსახლეობის ვალდებულებისაგან განსხვავებული იყო. ეს გამომდინარეობდა სახელმწიფოს თავდაცვის სპეციფიკიდან. სასაზღვრო ზოლი შედარებით მკაცრად უნდა ყოფილიყო გაკონტროლებული. სტრაბონის მიერ დასახელებული სვანთა თემიდან გამომავალი 200 ათასი მეომარი, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, მაგრამ მთავარი ამ ცნობაში არის ის, რომ მთელი თემი გასამხედროებულია.

„ქართლის ცხოვრებაში" მოტანილი ციფრები უხეში მონაცემებია და უმეტეს შემთხვევაში ძნელია, თუნდაც, ქართული არმიის მიახლოებითი რიცხვის დადგენა. არ გვაქვს ცნობები, ამ თუ იმ სენიორის სამხედროვალდებულებების შესახებ ხელისუფლების წინაშე. „ქართლის ცხოვრების" ავტორთაგან სამხედრო ძალების რაოდენობის აღწერის მონაცემებით გამოირჩევა ვახტანგ გორგასლის მემატიანე ჯუანშერი, მაგრამ მისი ციფრები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება და მას ლიტერატურული, ეპოსური ელფერი დაჰკრავს. მიუხედავად ამისა, სამხედრო ისტორიის შესწავლის კუთხით, ჯუანშერის წყარო ერთ-ერთი გამორჩეულია „ქართლის ცხოვრების" თხზულებებისგან. ისტორიკოსის მონათხრობში საინტერესო ცნობებია დაცული ბრძოლების მიმდინარეობის, საბრძოლო ტაქტიკის, ციხე-ქალაქების აღების ხელოვნების, საბრძოლო გეოგრაფიული არეალის, მეომართა აღჭურვილობის და ბრძოლის წინ ფალავანთა შერკინების შესწავლისათვის.

რეალობასთან მიახლოებულ ციფრებს გვაძლევენ „ქართლის ცხოვრების" მოგვიანო ხანის მემატიანეები. „მატიანე ქართლისას" ავტორის ცნობებით, 979 წელს, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა 12 ათასიანი არმია გააგზავნა; განძის ათაბაგის ფადლონის წინააღმდეგ – ბაგრატ IV-ის მოკავშირე ოსთა მეფის არმია 40 ათასი მებრძოლისგან შედგებოდა; ბაგრატისა და ლიპარიტის ბრძოლაში მონაწილეობდა დაქირავებულ ვარანგთა (ნორმანთა) 3 ათასიანი რაზმები; ქართლში შემოჭრილ ფადლონის მოლაშქრეთა რაოდენობა 33 ათასი იყო; გიორგი II-ის მიერ ფარცხისთან განადგურებული სელჩუკთა მეთაურის სარანგის არმია 48 ათას მეომარს ითვლიდა. თუმცა, მემატიანეს სრულიად ზღაპრული ციფრებიც მოჰყავს, თითქოსდა, საქართველოში შემოჭრილი სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის ჯარი 500 ათასიანი იყო და არაფერს გვეუბნება ამ საბრძოლო ოპერაციებში ბაგრატისა და გიორგის ლაშქრის რაოდენობაზე.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობებიც მეტ-ნაკლებად ზომიერია.

დავითის მონასპა 5 ათასი მეომრისგან შედგებოდა; ყივჩაღთა ჯარი 40 ათასიანი იყო; ქართველთა და ყივჩაღთა 50 ათასიანი გაერთიანებული არმია გაემართა 1123 წელს შირვანზე სალაშქროდ. ქართველთა ჯარის ასეთ მრავალრიცხოვნებას ადასტურებენ არაბი ისტორიკოსებიც. მათი ცნობებით, ქართველებს და ყივჩაღებს იმდენად დიდი ლაშქარი მიუყვანიათ შამახიის კედლებთან, რომ მუსლიმებს თავზარი დასცემიათ და ბრძოლის წინა ღამე დიდ შიშში გაუტარებიათ, ხოლო შეშინებული სპარსეთ-ერაყის დიდი სულთანი ქალაქიდან გაქცევასაც აპირებდა თურმე. ერთ-ერთ ეპიზოდში, მემატიანეს, აშკარად გადაჭარბებული აქვს მტრის ძალების რაოდენობა, 1112 წელს, თრიალეთის ომში 1500 ქართველს სელჩუკთა 100 ათასიანი არმია დაუმარცხებია. რაც შეეხება, დიდგორის ველზე დაპირისპირებულ მხარეთა რაოდენობას, დავითის ისტორიკოსი სელჩუკთა კოალიციის აღწერისას მხოლოდ ლიტერატურული შედარებით შემოიფარგლა: „სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღჳსა“ და არაფერს ამბობს ქართული ჯარის შემადგენლობაზე და რაოდენობაზე.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის გადმოცემით, გიორგი III-მ ანისის კართან სელჩუკების წინააღმდეგ 3 ათასიანი არმიით იბრძოლა; დემნა ბატონიშვილის აჯანყების დროს, ამბოხებულებმა 30 ათასიანი არმია შეკრიბეს. აჯანყებულთა მხარეზე თითქმის მთელი ფეოდალური სამხედრო წრე იდგა. გიორგი III მოერიდა მათთან ბრძოლას, მიუხედავად თავისი მონასპის, ტაძრეულების, მესაწოლეების თუ დაქირავებული რაზმების ერთგულებისა და თბილისის ციხეში შეიკეტა. აქ მას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ყივჩაღთა ლაშქრის უფროსმა ყუბასარმა, რომელიც მეფეს 500 მეომრით მიეშველა (სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, ყუბასარი მეფეს 5 ათასი კაცით მიეხმარა რაც უფრო რეალური ჩანს). უცხოელი მემატიანეებიც გადმოგვცემენ გიორგი III-ის ნარმოებულ სამხედრო კამპანიებს. იბნ ალ-ასირის ცნობით, 1162 წელს დიდძალი ქართველობა შეიყარა, 30 ათასი მეომრით ქალაქ დვინს დაეცა და სასტიკად ააოხრა.

თამარ მეფის ეპოქის ცნობებშიც ძირითადი აქცენტი ჯარის სიდიდეზე ან მის მცირერიცხოვნებაზეა. ერთადერთი კონკრეტული რიცხვია მოცემული სპარსეთში ლაშქრობის დროს, ქალაქ მარანდთან, მეციხოვნე რაზმისა და ქართველთა ავანგარდის, მზვერავი ნაწილის შებრძოლებაზე, სადაც ქართველთა რაოდენობა 500 მეომრით განისაზღვრება. თამარის სამხედრო კამპანიების აღწერისას, არც უცხოელ ავტორებს აქვთ ქართველთა ჯარის რაოდენობაზე რაიმე ხელშესახები ინფორმაციები.

სპარსელი ისტორიკოსის რაშიდ ად-დინის ცნობით, გიორგი IV ლაშას მეფობისას, როცა მონღოლები საქართველოს საზღვრებში პირველად შემოვიდნენ, მათ 10 ათასი ქართველი მეომარი დაუპირისპირდა, სავარაუდოდ, ქართველთა მონაპირე რაზმები. ჟამთააღმწერლის ინფორმაციით, მონღოლებთან შემდეგ შეტაკებაში, გიორგი IV ლაშამ ქართველთა ძალების მობილიზება მოახდინა და

მტრის 12 ათასიან ლაშქარს 90 ათასიანი არმიით დაუპირისპირდა. საეჭვოა, თითქმის რვაჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე, მონღოლებს, თუნდაც მოულოდნელი დარტყმებით ისე გაენადგურებინათ, რომ ქართველთა მხედრობა მეფესთან ერთად ბრძოლის ველიდან თავზარდაცემული გაქცეულიყო. მართალია, იმ დროისათვის მონღოლთა არმია დისციპლინირებულ და მრისხანე ძალას წარმოადგენდა, მანამდე ბევრი ძლიერი და მრავალრიცხოვანი მტერი დაამარცხეს, მაგრამ უფრო სანდოა იმ მემატიანეთა ცნობები, რომელთა მიხედვითაც ქართველთა ლაშქარი – 60 ათასს, ხოლო მონღოლთა ლაშქარი 20-30 ათას მეომარს ითვლიდა.

მონღოლთა გამოჩენამდე გიორგი IV ლაშა ბრძოლებს აწარმოებდა ახალი ტერიტორიების ასათვისებლად და გამდგარი ყმადნაფიცების დასამორჩილებლად. როგორც ჩანს, მეფე შესაფერის ფონს და პლაცდარმს ეძებდა განძაზე შესატევად და სარდლებთან მოლაპარაკების გარეშე დაუწყია ალყაშემორტყმული ქალაქის გარშემოვლა, რა დროსაც მას თან ხლებია 4 ათასი მეომარი, ძირითადად, მესხთა თემიდან. ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ სხვა რაზმები არ მონაწილეობდნენ ამ მანევრში, რადგან ქალაქის სხვა მხარეს იდგნენ მხარგრძელები თავიანთი თემის ჯარით, ასევე, ჰერ-კახნი, სომხითის, ქართლის ლაშქარი, თორელები, ცალკე აფხაზნი, დადიან-ბედიანის თემის და ლიხთ-იმერეთის სხვადასხვა რაზმები. განძასთან, ფაქტიურად, თავმოყრილი იყო საქართველოს მთელი მხედრობა. რა თქმა უნდა, ძნელია, ამ 4 ათასი მეომრის მიხედვით განისაზღვროს საქართველოს სამხედრო ძალების სრული რაოდენობა, მაგრამ მემატიანის ამ ცნობით, შესაძლებელია, მიახლოებითი სურათის აღდგენა.



მონღოლები. ილუსტრაცია რაშიდ ად-დინის თხზულებიდან „მატიანეთა კრებული“. XIV ს.

არაბი ისტორიკოსების ან-ნასავის და იბნ ალ-ასირის ცნობით, 1125 წლის გარნისის ომში, ქართველთა ლაშქრის რაოდენობა 60-70 ათასის ფარგლებში მერყეობდა. ჯალალ ად-დინის ჯარის კი – ჟამთააღმწერლის და ვარდანის ცნობებით, 140-200 ათასის ფარგლებში. ნიშანდობლივია, ან-ნასავის ცნობა, ბრძოლაში დაღუპული 4 ათასი ქართველის შესახებ, რომელიც, ძირითადად, ეხება ახალ-

ციხელთა (მესხთა) მოწინავე რაზმებს (ცნობილია, რომ საქართველოს ჯარების ძირითადი ნაწილები ბრძოლაში არ ჩაბმულან, ისე უკუიქცნენ მოწინავეების მარცხის გამო). თვით მთავარსარდლები, შალვა და ივანე ახალციხელები, ბრძოლას შეეწირნენ. შალვა ტყვედ ჩავარდა, ხოლო ივანე უკანდახევის დროს დაიღუპა. მთავარსარდალთა სავალალო ბედი იმაზე მიანიშნებს, რომ ბრძოლაში, ფაქტიურად, მთლიანად განადგურებულა მესხთა მოწინავე რაზმები.

ან-ნასავის გადმოცემით, 1227 წელს, ბოლნისთან ბრძოლაში, ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ქართველებს 40 ათასი მეომარი შეუკრებიათ. ამ ბრძოლისათვის საქართველოს სამეფო კარს დიდი სამზადისი ჩაუტარებია და გარდა საკუთარი სპისა „ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა“, მოუშველებიათ „ოვსნი და დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთეულნი“. სხვა ისტორიკოსთა გადმოცემებითაც, ქართველთა მხარეზე იბრძოდნენ ყივჩაღთა, ავართა, ლეკთა და სხვა მუსლიმთა რაზმები. როგორც ვხედავთ, ასეთი მასშტაბური მობილიზაციით, კოალიციურმა არმიამ დაახლოებით 40 ათასს მიაღწია. 40 ათასს ასახელებს ჯალალ ად-დინის მემატიანეც, რომელიც თუ არ გაზრდიდა, თორემ არაფრით შეამცირებდა მოწინააღმდეგის ჯარების რაოდენობას.

ჟამთააღმწერლის მიხედვით, ადარბადაგანში (აზერბაიჯანში) და კავკასიაში ხელმეორედ გამოჩენისას, მონღოლთა არმია ოთხი ნოინის ხელმძღვანელობით 4 დუმანს, დაახლოებით, 40 ათას მეომარს ითვლიდა. მათ დაამარცხეს და განდევნეს ჯალალ ად-დინი, რომელიც ლტოლვილობაში დაიღუპა. მონღოლთა ეს რაზმები შემოვიდნენ საქართველოში და, ფაქტიურად, უბრძოლველად დაიკავეს მისი აღმოსავლეთი ნაწილი.

XIII საუკუნეში, მონღოლებმა, როდესაც საქართველო აღწერეს, მოსახლეობას დააკისრეს სამხედრო ბეგარა, ცხრა სრულფუძიანი[10] გლეხთა ოჯახიდან ერთს ევალებოდა სამხედრო სამსახური. მონღოლებმა საქართველო, ქვეყნის გეოგრაფიული და ადმინისტრაციული სპეციფიკიდან გამომდინარე, ცხრა დუმნად დაყვეს. დუმანი მონღოლთა სამხედრო სისტემის ნაწილი იყო და მოიცავდა 10 ათას მეომარს. ჟამთააღმწერლის ცნობაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მონღოლებს ყოველწლიურად საქართველოდან გაჰყავდათ 90 ათასი მეომარი: „ცხრასა გლეხსა, სრულისა მინისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. გამოჴდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მჴედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“[11] და ვარაუდობენ, რომ იმდროინდელი ქართული სამხედრო ძალები ამ ციფრებში მერყეობდა. თუმცა, დუმანი ყოველთვის არ ნიშნავდა

10 სრულფუძიანი ოჯახი ნიშნავდა, რომ ერთ საგლეხო ფუძეზე, მამულში ერთი ოჯახი სახლობდა. იყო შემთხვევები, ერთ ფუძეზე, ორი და მეტი გლეხის ოჯახი იყო თავმოყრილი.

11 ბევრი, ძველ ქართულ ათვლაში ნიშნავდა ათი ათასს.

10 ათასს და ასევე, მეომართა ამხელა რაოდენობა მონღოლებს არასდროს გაუყვანიათ საქართველოდან, დიდ სამხედრო კამპანიებშიც კი, მათ ასეთი უზარმაზარი არმია არ ხლებიათ.

ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობებში XIII საუკუნის 70-80-იან წლებში, მონღოლთა ლაშქრის რაოდენობა, დაახლოებით, 25-30 ათასი მეომარი იყო. ამ ბრძოლებში მონღოლთა მხარეზე მონაწილეობდა ქართველთა ლაშქარი მეფე დემეტრე II-ის მეთაურობით. 1277 წელს, ეგვიპტის სულთან ბეიბარსთან მონღოლთა დაპირისპირებაში, ქართველთა 3 ათასი მეომარი მონაწილეობდა. იმავე წელს, დურბუზაკთან ბრძოლაში, ქართველები 5 ათასი მეომრით ეხმარებოდნენ მონღოლთა 25 ათასიან ლაშქარს. 1281 წელს, ჰომსთან გადამწყვეტ ბრ-



ეგვიპტელი მამლუქების არმია. XIV საუკუნის მინიატურა

ძოლაში, რომელიც მონღოლთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა, სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა დემეტრე მეფე. მეფის 200 კაციანი წინამბრძოლი რაზმიდან, რომლის რიგებში მეფეც იბრძოდა, მხოლოდ ოთხი მეომარი გადარჩა, მათ შორის იყო დემეტრეც. ამ ბრძოლაში დემეტრეს ცხენი მოუკლეს და იგი სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ მისმა თანამებრძოლმა „სიქანალიძემან აბაშმან, მყის აღსვა მეფე ჰუნესა თჳსსა". მონღოლთა ანტიეგვიპტური სამხედრო კამპანია, ჩვეულებრივ, მარბიელ ლაშქრობას არ წარმოადგენდა. ამ პერიოდში სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული სირია-პალესტინისათვის. მონღოლები ეგვიპტელებს ეცილებოდნენ დამასკოს, იერუსალიმს, ალეპოს და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს და პორტებს. მონღოლებს გეგმაში ეგვიპტის ოკუპაციაც ჰქონდათ. ეგვიპტის სულთნები გამოდიოდნენ რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის დაცვის ლოზუნგით და, როგორც ადრე, ჯვაროსნებთან,

ასევე, მონღოლებთან ბრძოლაში, ახლო აღმოსავლეთს იცავდნენ ურწმუნოებისაგან, ამჯერად, წარმართი მონღოლებისაგან. ამ ბრძოლის სერიოზულობას ითვალისწინებდნენ მონღოლთა ყაენებიც და მნიშვნელოვან ძალებს უყრიდნენ თავს. ჟამთააღმწერლის ინფორმაციებიც მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილე ქართველთა ჯარის რაოდენობის შესახებ სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

ჟამთააღმწერლის ცნობით, ალამუთის ციხესთან ბრძოლებში, საქართველოდან მორიგეობით გაჰყავდათ რაზმები. ალამუთთან ბრძოლა დიდხანს, 7 წელს გაგრძელდა და ამიტომაც უწევდათ ქართველთა რაზმებს ასე მორიგეობით ლაშქრობა. თუმცა, ამ გაუთავებელმა, ყოველწლიურმა ბრძოლებმა ქართველთა უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც მოჰყვა კიდეც დიდებულთა მიერ კოხტასთავის ცნობილი შეთქმულება.

საქართველოს სამხედრო რესურსზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ჯვაროსნული და პოსტჯვაროსნული ეპოქის ქართულ-ევროპული დიპლომატიური კავშირები. XIII საუკუნეში, რუსუდან მეფე და ივანე მხარგრძელი რომის პაპ ჰონორიუს III-სთან მიმოწერაში, პირობას დებენ, რომ 40 ათასი მეომრით დაეხმარებიან ჯვაროსნებს იერუსალიმის დაბრუნებაში. ეს დიპლომატიური წერილები იყო, მეტი პასუხისმგებლობით დატვირთული და ქართული მხარის მიერ დასახელებული მეომართა რაოდენობა არ უნდა სცილდებოდეს რეალობას.

XIV საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, ქვეყანა გაერთიანდა და საქართველოს მოსახლეობის რიცხვიც გაიზარდა. გიორგის კეთილმეზობლურმა ურთიერთობამ ილხანებთან დაასრულა მონღოლთა ლაშქრობები და ქვეყნის რბევა-ანიოკება. მეფემ დიპლომატიური კავშირები დაამყარა შორეულ ეგვიპტესთან, რომის პაპის კურიასთან და საფრანგეთის მეფესთან. ჩვენამდე მოაღწია გიორგი ბრწყინვალის მიერ საფრანგეთის მეფე ფილიპე ვალუასადმი გაგზავნილმა საპასუხო წერილმა, სადაც ის ფრანგთა მეფის თხოვნას, ქართველებს მონაწილეობა მიეღოთ იერუსალიმის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში, 30 ათასიანი მოლაშქრით დახმარებას ჰპირდებოდა.

1453 წელს, ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ ევროპაში დაიწყო ახალი ჯვაროსნული ომისათვის მზადება. ამჯერად, რომის პაპის კურია და ევროპელი მონარქები ოსმალთა ხელიდან კონსტანტინეპოლის გათავისუფლებაზე და ბიზანტიის იმპერატორის ხელისუფლების აღდგენაზე ზრუნავდნენ. საფრთხე თვით ევროპის საზღვრებს მისწვდა. რომის პაპმა აღმოსავლეთის საქრისტიანოს მმართველებსაც სთხოვა დახმარება, მათ შორის ქართველ მეფე-მთავრებს. 1459 წლისთვის, პაპის დესპანის ლუდოვიკო ბოლონიელის ელჩობის დროს, საქართველო, ფაქტიურად, რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად იყო გაყოფილი, რაც ამ ამბების დიპლომატიურ და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაშიც აისახა. ქართველი მეფე-მთავრები ევროპელთა დახმარებას საერთო ძალებით, 70 ათასი მეომრით ვარაუდობდნენ. 40 ათას მეომარს, ერ-

თიანი საქართველოს, ჯერ კიდევ ნომინალური მეფე გიორგი VIII ჰპირდებოდა კოალიციას, სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელი – 20 ათას მხედარს, ხოლო ბედიანი, სამეგრელო-აფხაზეთის მთავარი – 10 ათას მეომარს. რამდენად შეძლებდნენ ქართველი მეფე-მთავრები ამ პირობის შესრულებას, ძნელი სათქმელია, რადგან ანტიოსმალური კოალიცია არ შედგა და ეს დაპირებები ცარიელ სიტყვებად დარჩა, მაგრამ საეჭვოა, ქართველ მეფე-მთავრებს ასეთი რაოდენობის არმიის მობილიზება მოეხდინათ. ეს წყაროთა მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, როცა, შემდეგ, ბევრად მცირე კონტინგენტები გამოჰყავდათ მტრის რაზმების წინააღმდეგ. ეს ალბათ, მეფე-მთავართა ევროპელებისადმი წამქეზებლური დიპლომატიური მანევრი უფრო იყო, ვიდრე რეალური სიტუაციის ასახვა.

საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობაზე წყაროებში სხვადასხვა მონაცემებია, არ გვაქვს სამხედროვალდებულთა შესახებ კონკრეტული ციფრები, მაგრამ მატიანეებსა თუ ეპისტოლეებში ხშირად გვხვდება რიცხვი 30-40 ათასის ფარგლებში, რაც, სავარაუდოდ, წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოს არმიის ძირითად ბირთვს.

თავი VII

სამხედრო წვრთნა – ნადირობა, სამხედრო თამაშობები

ნადირობა. შუა საუკუნეებში ნადირობა ლაშქრობასთან ერთად საბრძოლო წვრთნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. ამავე დროს, ეს იყო სიუზერენის მიმართ ვასალური მოვალეობა. ნადირობა ფეოდალური წრის პრივილეგია იყო და მშვიდობიანობის დროს ფეოდალთა მთავარ დროსტარებას წარმოადგენდა. ეს იყო რაინდთა „კეთილშობილი გართობა". ნადირობა ფეოდალური „ზნეობის" ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო. სანადირო თვისებებს და მონადირე ფრინველების და ძაღლების წვრთნა-დაგეშვას ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ. სანადირო ძაღლი და შევარდენი ფეოდალს მუდმივად თან ახლდა, რაც მის კეთილშობილ წარმომავლობას უსვამდა ხაზს.

გლეხობას, როგორც საქართველოში, ისე ევროპაში, აკრძალული ჰქონდა თავისუფალი ნადირობის უფლება. სანადირო ადგილები და ნაკრძალები მეფის და ფეოდალების საკუთრება იყო და გლეხს არავინ აძლევდა უფლებას ამ მიწებზე მოენადირებინა გარეული ცხოველი თუ ფრინველი. თუმცა, იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა სიუზერენი, მხოლოდ წვრილფეხა ნადირზე ან ფრინველზე ნადირობის ნებას აძლევდა დაბალი წრის წარმომადგენლებს. მსხვილ ნადირზე, მაგალითად, ღორზე და ირემზე ნადირობა, მხოლოდ ფეოდალების უფლება იყო. ამ წესს გერმანიაში „მაღალი ნადირობა" (Hohe Jagd) ეწოდებოდა. გლეხთა ნადირობას „მდაბიურთა ნადირობა" (Niedere Jagd) ერქვა. რიგ შემთხვევებში, მეფე და მისი ფეოდალები გლეხებს ნადირობაში იყენებდნენ, როგორც მარეკებს, რომლებსაც ნადირის მორეკვა, ტყეებიდან გამოდევნა ევალებოდათ.

შუა საუკუნეების ინგლისში ირემზე ნადირობა მხოლოდ მეფის პრივილეგია იყო. ფრანკთა სამეფო ნაკრძალებში ნადირობა სენიორებსაც კი ჰქონდათ აკრძალული. შარლ მელოტმა (IX ს.) საკუთარ შვილებსაც კი აუკრძალა სამეფო ტყეებში ნადირობა. ეს აკრძალვები და პრივილეგიები კარგად გამოხატავდა ფეოდალური სისტემის იერარქიას. XVI საუკუნეში, გერმანიაში გლეხთა ომის დროს, გლეხების ერთ-ერთი მოთხოვნა ნადირობის უფლების დაბრუნება იყო. ევროპაში და ბიზანტიაში მონარქებს საკუთარი ნაკრძალები ჰქონდათ. ბიზანტიაში, იმპერატორის სასახლესთან არსებობდა სანადირო ტყე-პარკი, სამხეცეები, რომელთაც „ფილოპატი" ერქვათ. ასე უწოდებდნენ სამეფო ნაკრძალებს შუა საუკუნეების საქართველოშიც. სულხან-საბას განმარტებით, „ფილოპატი არს მინდორი მოზღუდვილი, სადა ნადირთა შეაწყვდევენ მეფენი სანადიროდ ქალაქთა მახლობლად".

ფართოდ იყო გავრცელებული ნადირობა ჯვაროსნულ აღმოსავლეთშიც. ნადირობა რაინდის სიმამაცის გამოვლინება იყო. დაჭრილ ტახთან და დათვთან

შებრძოლება ისეთივე სახიფათო იყო, როგორც მტერთან პირისპირ ბრძოლა. ირმების, კურდღლების, ტახების თუ მელიების დევნა ცხენოსნობის ტექნიკას ავითარებდა. თუმცა, ასეთი თამაშობები საფრთხის შემცველი იყო. იერუსალიმის ასიზებში[12] გვხვდება ცნობა, რომ იერუსალიმის მეფე ფულკ ანჟუელი (1131-1143 წწ) კურდღელზე ნადირობის დროს გარდაიცვალა; მისი ცხენი გახურებული დევნის დროს წაბორძიკდა და მხედარი ძირს გადმოაგდო. ვილჰელმ ტირელის ცნობით, გადმოგდებულ მხედარს ცხენმა ფლოქვებით თავის ქალა გაუტეხა, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ნადირობის დროს, იშვიათად ხმარობდნენ მშვილდს, რადგან რაინდები მის გამოყენებას საკუთარი ღირსების შელახვად თვლიდნენ. ასევე, ნადირობდნენ შევარდნებით და მიმინოებით

ნადირობდნენ, როგორც ევროპის მონარქები, ისე – რუსეთის და აღმოსავლეთის მეფეები. ნადირობას მარტო გართობის და განტვირთვისთვის არ აწყობდნენ. სამეფო ხელისუფლების მიერ მოწყობილი ნადირობა ზოგჯერ რამდენიმე კვირა და თვეც კი გრძელდებოდა. მასში, გარდა პროფესიონალი მონადირეებისა, მონაწილეობდნენ მეფეთა ვასალები, ჰერცოგები, რაინდები და მსახურები, სამხედრო რაზმების მოლაშქრეები. რუსეთში ასეთ ნადირობას „სანადირო გალაშქრება" („Охотничий поход") ერქვა. საბრძოლო ნადირობები ეწყობოდა ასევე, სელჩუკთა სულთნების და მონღოლთა ყაენების ბრძანებებითაც. ჩინგის-ყაენის მოწყობილ ნადირობაში მთელი საყაენოს მეომრები მონაწილეობდნენ. ასეთი გრანდიოზული ნადირობის დროს მთელი სამხედრო უწყება საომარ რეჟიმში იყო გადაყვანილი, რადგან ასეთი ნადირობა სამხედრო ხასიათის მანევრებს შეიცავდა, მას სამხედრო წვრთნის, მოლაშქრეობის სახე ჰქონდა. ნადირობა საბრძოლო ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად ითვლებოდა, სადაც მონაწილე იძენდა სალაშქრო ჩვევებს, ვარჯიშობდა ცხენით ჯირითში, ისრის სროლაში, იარაღის ხმარებაში. რაინდულ ტურნირებთან ერთად ნადირობა საომარი ხელოვნების დაუფლების კარგი საშუალებაც იყო. ნადირობაში გამოჩენილ მოლაშქრეებს საპატიო ნიშნით, ცხოველის ან ფრინველის სხეულის ნაწილით (ვეფხვის კუდი, ფრინველის ბოლო) აჯილდოებდნენ. საჩუქრებში იყო ასევე, სანადირო ატრიბუტები.

მეფის და ფეოდალის გამოწვევაზე ვასალი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო თავისი სიუზერენის მიერ მოწყობილ ამ ღონისძიებაში. სახელმწიფო ნადირობაში გამოუსვლელობა ურჩობის გამოხატულება იყო და იგი ისევე ისჯებოდა, როგორც ლაშქრობაში წაუსვლელობა.

---

12 იერუსალიმის ასიზები შეიქმნა XII საუკუნის ბოლოს, იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოში. ასიზები წარმოადგენს სამართლის კრებულს და იყოფა რაინდების და მოქალაქეების ასიზებად. განსაზღვრულია სამეფო ხელისუფლების პრეროგატივები, რაინდების და მოქალაქეების უფლება-მოვალეობანი, ადათ-წესები, სამართლის ნორმები, სენიორსა და ვასალს შორის არსებული ფეოდალური ურთიერთვალდებულებები.

ფეოდალურ საქართველოში ყოველი მოლაშქრე ვალდებული იყო სამეფო ნადირობაში მიეღო მონაწილეობა. ისევე, როგორც ევროპაში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც, ნადირობაში მონაწილეობა პატრონის მიმართ ვასალური დამოკიდებულების გამოხატულება იყო. ძველ ქართულ წყაროებში ასეთ ვალდებულებას „ლაშქარ-ნადირობა“ ეწოდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, როდესაც იმერეთის მეფე ალექსანდრე II-მ დაიმორჩილა სამეგრელოს და გურიის მთავარი, მათ ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად მოლაშქრეობასთან ერთად მეფის მიერ მოწყობილ ნადირობაში მონაწილეობის ვალდებულებაც დააკისრა: „დაიმორჩილნა დადიან-გურიელი და მთავარნი სხუანი ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფეთა მათთა ჴმობითა მსახურებათათა“. ეს ცნობა იმის ნიშანია, რომ მთავართა მიერ ნადირობაში გამოუსვლელობა სამეფო ხელისუფლების უზენაესობის უარყოფა იყო. სამეფო ნადირობაში გამოსვლა ევალებოდათ ასევე, საკათალიკოსო ყმებსაც, რომლებიც ხშირად თავისუფალნი იყვნენ რიგი სახელმწიფო ვალდებულებებისაგან და გადასახადებისაგან. ნადირობაში გამოსვლა, როგორც ლაშქრის რიგი, ევალებოდათ სადროშოების გამგებლებს და ისინი ვალდებულნი იყვნენ დათქმულ დროს მეფეს ხლებოდნენ. ალექსანდრე I დიდის XV საუკუნის სიგელში სვეტიცხოვლისადმი აღნიშნულია, რომ საკათალიკოსო ყმებს ევალებოდათ ლაშქრობასა და ნადირობის დროს კათალიკოსთან ხლება და მეფის დროშის ქვეშ დგომა. ფეოდალურ საქართველოში სანადირო უწყება ქვეყნის სამხედრო სისტემაში შედიოდა და ნადირობის დროს სადროშოების მოლაშქრეები ომიანობის დროის მსგავსად ეწყობოდნენ.

ვახტანგ VI, 1707 წლის სიგელში აღნიშნავს, რომ „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელი“. ფეოდალთა ვალდებულებებში, ხელისუფლების წინაშე სალაშქრო მოვალეობებთან ერთად, თითქმის ყოველთვის იხსენიება ნადირობის ვალდებულებაც. როგორც მეფეები, ასევე, ფეოდალები ავალდებულებდნენ თავიანთ ვასალებს, წვრილ აზნაურებს, მსახურ-მოლაშქრეებს, რომ მონაწილეობა მიეღოთ მათ მიერ მოწყობილ ნადირობებში და სრული სამხედრო-სანადირო აღჭურვილობით გამოცხადებულიყვნენ პატრონის წინაშე.

იტალიელ მისიონერ არქანჯელო ლამბერტის შემონახული აქვს საინტერესო ცნობა სამეგრელოში მეგრელი თავადების ნადირობის შესახებ და აღნიშნავს, რომ მეგრელი მოლაშქრეები სპეციალურად ნადირობდნენ საშინელ სიცხეში, რათა „ცქვიტები და მარდები შეიქმნენ და შეეჩვიონ იმ გასაჭირს, რომელიც ჩვეულებრივ ომიანობას თან მოჰყვება“.

ის, რომ ნადირობა მხოლოდ გართობა და დროსტარება არ იყო, ჩანს იმ ფაქტებიდანაც, როცა, რიგ შემთხვევებში, ნადირობა ფატალური შემთხვევებით დასრულებულა. 1611 წელს, ნადირობის დროს დაიღუპა სამეგრელოს მთავარი მანუჩარ დადიანი, როცა მისი ცხენი თავისი ყმის ფარუხია გოშაძის ცხენს შეეჯახა, ცხენიდან გადმოვარდა და სული განუტევა. კინაღამ შეეწირა ნადი-

რობას ლევან II დადიანი, რომელიც თავის ცხენთან ერთად ხრამში გადავარდა. თეიმურაზ II-ის ბრძანებით, ნადირობის დროს ცხენით უწესო ჯირითი მკაცრი სასჯელით, გამათრახებით ისჯებოდა.

სამეფო კარზე არსებობდა მთელი შტატი სანადირო უწყებისა და მას სათავეში მონადირეთუხუცესი ედგა. მონადირეთუხუცესს გამორჩეული ადგილი



ნადირობის სცენა. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

ეკავა, როგორც საქართველოს, ასევე, ევროპის მონარქების კარზე. შუა საუკუნეების საქართველოს სამეფოს ადმინისტრაციულ სისტემაში მონადირეთუხუცესს საპატიო ადგილი ეჭირა. „ჴელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, საახალწლო დღეებში მეფე თავს ვალდებულად თვლიდა, რომ მონადირეთუხუცესის საახალწლო სუფრას სწვეოდა და მასთან გარეული ღორის ხორცი გაესინჯა, „საღვინეთ წინ ქვე დასმენ მეფესა მაღლა-სკამითა, ტაბლას წინ დაუდგამენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგამენ“. უელსის მონადირეთუხუცესი ინგლისის მეფის კარზე რანგით მეოთხე მოხელე იყო და იმ მოხელეთა რიცხვში შედიოდა, რომელთაც მეფის სუფრაზე და სასახლეში სკამზე ჯდომის უფლება ჰქონდათ.

მონადირეთუხუცესის ასეთი პატივი განსაზღვრული იყო მისი მოვალეობებითაც. გარდა იმისა, რომ მას ევალებოდა რეგულარულად მოემარაგებინა სამეფო სამზარეულო ხორცით და ტყავებით, ამავე დროს, ის სამეფო ნადირობის დროს ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი პირი იყო.

მონადირეთუხუცესის მოხელეები იყვნენ სამეფო მონადირენი, ტყისმცველთუხუცესი, ტყისმცველნი, ბაზიერთუხუცესი, ბაზიერები. მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, სამეფო სანადირო საქმე ქართულ სამეფო-სამთავროებში ბაზიერთუხუცესის ხელში იყო.

სამხედრო თამაშობები. სამხედრო თამაშები, რომლებიც აღწერილია წყაროებში, უფრო ცხენოსნობაში, ბურთის კვრაში, მშვილდის ტყორცნაში გამართული შეჯიბრებებია, მაგრამ ამ სახეობებში გაჯიბრება რაინდთა წესი იყო და წარმატება საპატიო საქმედ ითვლებოდა. თამარის ისტორიკოსი გადმოგვცემს,

რომ თამარის სამეფო კარმა, მიწვეული სტუმრების პატივსაცემად ასპარეზობა-სანახაობა გამართა ქართველ რაინდებსა და ამირ-მირანის და შირვან-შაჰის ამალის წევრებს შორის.

საინტერესოა, II საუკუნეში რომში გამართული ასპარეზობა-ჯირითი, რომელიც იმპერატორმა ანტონინე პიუსმა ქართლის მეფის ფარსმან ქველის და მისი ამალის პატივსაცემად მოაწყო. რომის იმპერატორი იმდენად მოხიბლულა იბერიელი მეფის ჯირითის ხელოვნებით, რომ მისი ბრძანებით, ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკებაც დაუდგამთ ენიალიონზე. ჯირითში და ისრის სროლაში შეჯიბრებაც, გარკვეულწილად, სამხედრო ხასიათის თამაშობები იყო, სადაც მოასპარეზეები მთელ თავიანთ სამხედრო ცოდნას ავლენდნენ.



ჩოგნით ცხენბურთის თამაში. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

საქართველოში, ჯირითი, ისრის მიზანში სროლა და ცხენბურთი გართობის და თამაშობების ერთ-ერთ მთავარ სახეობას რომ წარმოადგენდა, ჩანს უცხოელ მემატიანეთა ცნობებიდანაც. XVII საუკუნის მისიონერს, დონ კრისტოფორო დე კასტელს აღწერილი და დასურათებული აქვს დასავლეთ საქართველოში, ჯირითის, მიზანში ისრის სროლის და ცხენბურთის თამაშობები. სწორედ, ჩანახატების განმარტებებს გვაძლევს იგი თავის ალბომში. კასტელი დასწრებია გურიის სამთავროში გამართულ შეჯიბრებას: „ამ თამაშობას [ჩოგნით ცხენბურთის თამაში], რომელსაც ასრულებენ მოჯირითე ქართველები, ტროკუსი ეწოდება. მასში მონაწილეობს მეფე, მთავარი, ასევე, თვითმპყრობელი ბატონიც“.

მისიონერს ქუთაისშიც უნახავს იგივე თამაში: „როდესაც ქუთაისში ჩავედი, სადაც ქართველთა [იმერეთის] მეფე ცხოვრობდა, პატივით მიმიღეს და მიჩვენეს ცხენით ბურთის თამაში, რომელშიც მონაწილეობდა მეფე, ბევრ მაღალი თანამდებობის კაცთან ერთად. რომში მათმა უმაღლესობა-უგანათლებულესობა კარდინალებმა გამაგებინეს, რომ სურვილი ჰქონდათ მიეღოთ სრული ცნობები ყველა იმაზე, რაც შეეხებოდა თამაშობას იმ მხარეში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში მათი ღვთისმსახურები ვიყავით აღმოსავლეთში“.

მას, ასევე, ქუთაისში უნახავს მიზანში ისრის სროლაში შეჯიბრი (ყაბახი): „ეს მოკლე სცენა ხდება იბერიის [იმერეთის] მეფის გამოჩენილ და გა-

მოცდილ კეთილშობილთა პროვინციაში. ნიშანში ოსტატურად ესვრიან ისარს. ამ ადგილს ქუთაისი ეწოდება. საუცხოო სანახაობაა ასე მოთამაშე ცხენოსნები. მათ იშვიათი სიმარჯვით იციან თავის თავის მართვა. სიმკვირცხლეს იჩენენ გარკვეული მიზანდასახულობით."

რაც შეეხება, რაინდთა ტურნირებს, ასეთი ტიპის შეჯიბრებები არ ფიქსირდება საქართველოში. მემატიანეებთან ამ საკითხზე ცნობები არ გვხვდება. წყაროთა დუმილი იმის მაუწყებელი შეიძლება იყოს, რომ ასეთი ხასიათის ტურნირები შეიძლება არც კი იყო მიღებული ქართველი დიდებულების წრეში.



რაინდთა ტურნირი. მანესის კოდექსი. XIV ს.

ევროპაში ასეთი ტურნირები რეგულარულ ხასიათს ატარებდა და მასში მონაწილე პირებისათვის იქ წარმატება უზარმაზარი პატივი იყო. საერთოდ, ევროპაში გამართული ასპარეზობები საბრძოლო შერკინების ხასიათს ატარებდა და რიგ შემთხვევებში ფატალურადაც მთავრდებოდა, როცა მონაწილე იღუპებოდა ან სახიჩრდებოდა.

ჯვაროსნულ აღმოსავლეთში და ევროპაში რაინდების ცხოვრების წესი არაერთგვაროვანი იყო. მშვიდობიანობის პერიოდში რაინდის ყოველდღიური ცხოვრება ნადირობით, ჭამით და საღამოობით, ძვლისა და ჭადრაკის თამაშით შემოიფარგლებოდა. ეს ერთფეროვანი ცხოვრება ოდნავ იცვლებოდა მაშინ, თუ სასახლეში სტუმრები მოდიოდნენ. ამ დროს რაინდის მამულში ტურნირები იმართებოდა ან საეკლესიო დღესასწაულები აღინიშნებოდა. განსაკუთრებულ სიხალისეს ეს სტუმრიანობა მაშინ იძენდა, როცა ციხე-სიმაგრეებში ჟონგლიორები, მუსიკოსები, ტრუბადურები, ჯუჯები და კუზიანები მოდიოდნენ. მათი გამოჩენა, ძირითადად, ქორწილის, ტურნირების ან ყმაწვილთა რაინდად კურთხევის დროს ემთხვეოდა. თუმცა, ამ გართობაში, მთავარი ადგილი რაინდთა ტურნირებს ეჭირა. ეს ტურნირები შუა საუკუნეებში გართობის კლასიკურ ფორმას წარმოადგენდა. ამ შეჯიბრებებს აწყობდნენ მეფეები, ჰერ-


ცოგები, ბარონები და სხვა მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები. ხშირად, ამ ტურნირებზე თავს იყრიდნენ სხვადასხვა რეგიონის რაინდები. ორთაბრძოლებში ფეოდალური წრის უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებიც კი მონაწილეობდნენ. ამ ტურნირებმა, ჯვაროსნულ ლაშქრობებთან ერთად, ზოგადად, გადამწყვეტი როლი ითამაშა ფეოდალური სოციალური სტრუქტურის და რაინდთა კოდექსის ჩამოყალიბების საქმეში. გარდა იმისა, რომ ეს შეჯიბრებები რაინდთა საბრძოლო ხელოვნების დახვეწას ემსახურებოდა, ხშირად, გამარჯვებულისათვის ფულადი ჯილდოც იყო დაწესებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტურნირები გასართობად ეწყობოდა, მასში მონაწილეთა შეტაკებები დამარცხებულისათვის ფატალურადაც მთავრდებოდა. ტურნირის პირობები ზოგჯერ უბრალო დარტყმის მიყენებას ითვალისწინებდა, მაგრამ, ხანდახან, ეს საკმარისი არ იყო და მოწინააღმდეგეს ცხენიდანაც აგდებდნენ, რაც ძალიან სახიფათო იყო მხედრისთვის. რიგ შემთხვევებში, გამარჯვებულს დამარცხებული ტყვედ აჰყავდა და თავისუფლების სანაცვლოდ გასამრჯელოს ართმევდა. გასამრჯელოში ფულის გარდა, საბრძოლო ცხენიც და იარაღიც შედიოდა.

კათოლიკური ეკლესია ამ ტურნირებს უსარგებლო სანახაობად თვლიდა და მიიჩნევდა, რომ რაინდებს საკუთარი ენერგია წმინდა მიწის ან ქვრივ-ობოლთა დასაცავად უნდა გამოეყენებინათ და არა სანახაობებისთვის. ამიტომ, რომის პაპი და ეკლესიის მაღალი წრე კიცხავდა ასეთი შეჯიბრებების მოწყობის იდეას და სამეფო ხელისუფლებასაც მოუწოდებდა, რომ ეს ტურნირები აეკრძალა. ჯვაროსნული ომების პერიოდში კი, პაპები, ხშირად, ეპისტოლეებით კრძალავდნენ რაინდთა შეჯიბრებებს. საეკლესიო პირები შეჩვენებითაც ემუქრებოდნენ ტურნირის მომწყობებს და მონაწილეებს, მაგრამ, მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, რაინდთა ტურნირები შუა საუკუნეებში ხალხთა და მაღალი არისტოკრატიის უმთავრეს გასართობად რჩებოდა.

თავი VIII

საბრძოლო იარაღი

ძველ ქართულ ტომებს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს სახელმწიფოებთან. ეს კონტაქტები სამხედრო სფეროშიც გამოიხატებოდა. ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკური გაერთიანებები, როგორებიც იყვნენ: ბაბილონი, ასურეთი, ხეთები, ურარტუ, თუ სხვა სამეფოები, მძლავრ სამხედრო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, რომელთა პოლიტიკურ გაერთიანებებში მრავალრიცხოვანი საბრძოლო ათასეულები შედიოდნენ. ამ ქვეყნების საომარი რაზმები, იმ დროისათვის, თანამედროვე საბრძოლო შეიარაღებით იყვნენ აღჭურვილნი. ვინაიდან, ამ ქვეყნების სამხედრო შენაერთებთან ხშირი შეტაკებები უხდებოდათ ძველ ქართულ ტომებს, იმდროინდელი აღჭურვილობის ტიპები, საბრძოლო წყობის და ბრძოლის წარმოების ხერხები ხვდებოდა კიდეც ქართული ტომების საბრძოლო ხელოვნებაში.



ასურელი მეომრები. ბარელიეფი. ბრიტანეთის მუზეუმი

უძველესი ქართული ტომების საბრძოლო აღჭურვილობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ძველ აღმოსავლურ წყაროებში. ძვ. წ. 1112 წელს, ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-ის დიაოხზე (დაიაენზე) ლაშქრობის აღწერა შემორჩენილია ერთ-ერთ წარწერაზე, საიდანაც ვიგებთ, რომ მან დაამარცხა ნაირის (ასურელები „ნაირის“ უწოდებდნენ მათი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე მინა-წყალს) ქვეყნების კოალიცია, რომლის სათავეშიც დიაოხის მეფე იდგა: „სულ ნაირის ქვეყნების 23-მა მეფემ (რომელთა რიცხვში მოხსენიებულია დიაოხის მეფე სიენი, რომელიც ყველაზე ძლევამოსილია დასახელებულ მეფეებს შორის) შეკრიბეს თავიანთ ქვეყნებში თავისი ეტლები და ჯარები და ბრძოლისა და ომისათვის გამოემართნენ. ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით თავს დავატყდი მე მათ. მათი მეომრების გვამები მიმოვფანტე. მათი 120 შეჭურვილი ეტლი ბრძოლაში ხელთ ვიგდე. ნაირის ქვეყნების 60 მეფეს, მათთან ერთად, რომელნიც მათ დასახმარებლად მოვიდნენ, ჩემი შუბით ზემო ზღვამდე (შავი ზღვა) მივსდიე. მათი დიდი ქალაქები დავიპყარი“.

აქ ჩანს, რომ ამ ტომებს საბრძოლო შეიარაღებაში საომარი ეტლებიც ჰქონდათ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სამხედრო შეიარაღებაში. საომარი ეტლების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელ კამპანიებში. საომარ ეტლებს ვხვდებით თითქმის ყველა აღმოსავლეთის ძველი ხალხების შეიარაღებაში. ეს საომარი ტექნიკა გავრცელებული იყო, როგორც დიდი სახელმწიფოების (ეგვიპტე, ხეთები, ასურეთი, ბაბილონი, აქემენიანთა სპარსეთი და სხვ.), ასევე, მცირე გაერთიანებების შეიარაღებებში.

საომარი ეტლების გამოყენების უამრავი მაგალითი გვაქვს ძველი აღმოსავლეთის ხალხების საომარი ისტორიებიდან. ურარტულ ლურსმულ წარწერებში გვხვდება ინფორმაციები ქვეყნის სამხედრო ძალებში ამ საბრძოლო იარაღის არსებობის შესახებ. IX საუკუნის ურარტუელი მეფის მენუას ლაშქარი, რომელიც გაემართა ქართული ტომების ლუშას, ქათარზას და ვიტერუხის ტომების წინააღმდეგ, შედგებოდა: „66 საომარი ეტლისგან, 1460 მხედრისგან და 15 760 ქვეითისგან“.

მეფეთა ამ ლაშქრობების წარწერებში ყურადღებას იქცევს საბრძოლო ცხენების დიდი რაოდენობით მოხსენიება. როგორც ჩანს, ძველ ქართულ ტომებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ცხენის კულტს, რაზეც მიანიშნებს ის, რომ ძველ ქართულ ტომებში მრავლად იყვნენ საბრძოლო ეტლების და ცხენოსანი რაზმების შენაერთები. დიაოხის მეფემ ურარტუს მეფე არგიშთის, წყალობის სანაცვლოდ, სხვა ნადავლთან ერთად 1000 საჯდომი (ამ შემთხვევაში საომარი) ცხენი გაუგზავნა და ყოველწლიურად ხარკის სახით 300 ცხენის გაგზავნა იკისრა.

სხვა ქართული ტომების და მათი გაერთიანებების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების ურარტული წყაროები. მათი წარწერები მოგვითხრობენ დიაოხის და კოლხას ქვეყნების მმართველებთან მრავალწლიან შეტაკებებზე და აღნიშნავენ, თუ რამდენად მძიმე ბრძოლები გადახდათ იქ არსებული ციხეების აღებისას. ძვ. წ. VIII საუკუნის ურარტუს მეფის სარდურის წარწერაში აღნიშნულია, რომ კულხაში (კოლხა) ლაშქრობისას დაიპყრო უამრავი ციხე-სიმაგრე.

ამ ეპოქის სამხედრო ხელოვნების სურათის აღსაქმელად მეტი ინფორმაცია მოიპოვება არქეოლოგიური მასალის საშუალებით. კერძოდ, ეს ეხება სამხედრო იარაღის ტიპებს, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი სახით არის წარმოდგენილი ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად.

გარდა ასურული და ურარტული ლურსმული წარწერებისა, ძველი ქართული ტომების სამხედრო თვისებების შესახებ ცნობებს ვხვდებით ძველ აღთქმაში. ძვ. წ. VI საუკუნის წინასწარმეტყველ ეზეკიელს აღწერილი ჰყავს ძველი ქართული ტომები მუშქები და თუბალები[13] და აღნიშნავს, რომ მათი მეომრები,

13 მუშქებს მიიჩნევენ მესხური თემების წინაპრებად. ძველაღმოსავლურ წყაროებში

სრული სამხედრო ეკიპირებით შემოსილნი, ყველანი ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი, „თოროსანნი, ფარისმპყრობელნი, მახვილიანი".

ანტიკური ეპოქის წყაროები ქართული სამხედრო ხელოვნების და აღჭურვილობის შესახებ. ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები მიუთითებენ ლაზების და იბერების სამხედრო ხელოვნებაზე, მათ მრავალრიცხოვნებაზე და მხედრულ სიმამაცეზე, რომ ჰყავთ, როგორც ცხენოსანი ლაშქარი, ასევე – ქვეითები. ლაზთა სამხედრო თვისებებში გამოყოფენ მათი საზღვაო ბრძოლის ხელოვნებას, რომელიც ძველი კოლხებისგან ჰქონდათ შეთვისებული და ამ მემკვიდრეობით ამაყობდნენ ლაზები. იბერების მეომრულ თვისებებს ავტორები ხშირად ადარებენ სამხედრო ხელოვნებაში დახელოვნებულ მომთაბარე მეომარ ტომებს: სკვითებს, სარმატებს, ალანებს.

ძველ ბერძნულ წყაროებში გვხვდება კონკრეტული ცნობები ქართული ტომების სამხედრო აღჭურვილობის და მათი სამხედრო თვისებების შესახებ. ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობით, ქართულ ტომებს ხალიბებს[14] ომის დროს თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები.



ალექსანდრე მაკედონელი. მოზაიკა. ფრაგმენტი ისოსის ბრძოლიდან, დაახლ. ძვ. წ. II ს.

ბერძენ ავტორთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი სამხედრო პირის და მემატიანის ქსენოფონტეს თხზულება „ანაბაზისი", სადაც მას ვრცელი აღწერილობა აქვს ქართული ტომების სამხედრო აღჭურვილობის და სამხედრო თვისებების შესახებ. ძვ. წ. 401 წელს მან თავის სამხედრო რაზმთან (10 ათასი მეომარი) ერთად გაიარა ქართული ტომებით დასახლებული მიწა-წყალი. კერძოდ, მისი რაზმის მარშრუტი გადიოდა შავი ზღვის სამხრეთით მდებარე რეგიონებზე. სწორედ აქ მოუწია ბერძენთა რაზმს შეტაკებები ადგილობრივ ქართულ ტომებთან, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს ქსენოფონტე. მისი რაზმი ბრძოლით მიიწევდა ზღვის სანაპიროებისკენ, იღებდა ამ ტომების მიერ

არის ცნობები მესხების, გააფთრებული ბრძოლების შესახებ მცირე აზიის დიდ სახელმწიფოსთან, ხეთების სამეფოსთან. მესხებს მოიაზრებენ იმ ხალხების კოალიციაში (ზღვის ხალხები), რომლებმაც ძვ. წ. XIII საუკუნეში ხეთების სამეფო გაანადგურეს და მისი მიწა-წყალი დაიკავეს.

14 ანტიკური ეპოქის ავტორთა ცნობებით, ძველი ქართული ტომები: ხალიბები, მოსინიკები, ტიბარენები, კარდუხები, მოსხები, ჭანები ცხოვრობდნენ ტრაპეზუნდის დასავლეთით, კოტიორასა და პონტოს მთებს შორის.

გამაგრებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს, რომ შემდგომში დაბრუნებულიყო საბერძნეთში. ქსენოფონტეს ცნობით, ხალიბები ატარებდნენ სელის ჯავშანს. ამ ჯავშნის ქვედა ნაწილი შედგებოდა სქლად ნაქსოვი ზონრებისაგან. მათ ჰქონდათ, აგრეთვე, ანქერი და მუზარადი, ქამრებზე კი ეკიდათ ხმლები დაახლოებით სპარტულ მახვილთა ზომისა. ამ ხმლებით ისინი ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი მოიხელთებდნენ. თავებსაც კვეთდნენ და მტრის დასანახად მიჰქონდათ წინ, ცეკვითა და სიმღერით. მათი შუბების სიგრძე 15 ბერძნულ არშინს აღწევდა და ერთ მხარეზე გამახვილებული რკინა ჰქონდა. ტაოხებზე საუბრისას ქსენოფონტე აღნიშნავდა, რომ ისინი ბრძოლაში სიკვდილს ამჯობინებდნენ ტყვედ ჩავარდნას. მათ არ ჰქონდათ სხვა იარაღი, გარდა მშვილდ-ისრისა. ისინი ბრწყინვალე მშვილდოსნები იყვნენ. მათ ჰქონდათ სამწყრთიანი მშვილდები, ხოლო მშვილდის ისრები 2 წყრთას არ აღემატებოდა. სროლის დროს ისინი (მშვილდის) ბოლოს აჭერდნენ მარცხენა ფეხს და ისე მოზიდავდნენ ხოლმე ლარს. მათი ისრები ფარებსა და ჯავშანში ატანდა. ასევე, საუცხოო მეომრებად ჰყავს დასახელებული ქსენოფონტეს ქართული ტომი კარდუხები. კარდუხები „საუცხოო მშვილდოსნები იყვნენ; მათი მშვილდები სიგრძით თითქმის სამ არშინს აღწევდა, ხოლო ისრები ორ არშინზე მეტი იყო. სროლის დროს, საბელის მოჭიმვისას, მარცხენა ფეხს მშვილდის ქვედა ბოლოს ადგამდნენ. მათი ისრები ფარსა და ჯავშანს ხვრეტდა“. მოსინიკების საბრძოლო ხელოვნების აღწერისას, ქსენოფონტე გამოჰყოფს მათ გადაადგილებას ნავების საშუალებით: „ისინი მოვიდნენ ერთი მთლიანი ხისგან გამოთლილი სამასი ნავით, თითოეულ ნავში სამ-სამი კაცი იჯდა, ორი მათგანი გადმოდიოდა ნაპირზე, იარაღს ისხამდა და საბრძოლოდ ემზადებოდა, ერთი კი ნავში რჩებოდა და უკან ბრუნდებოდა.“

საინტერესო ცნობას გვაწვდის, ასევე, ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი ავტორი აპოლონიოს როდოსელი კოლხთა სამხედრო-საზღვაო ხელოვნების შესახებ: „კოლხებმა დაუყოვნებლივ გამართეს ყველა საბრძოლო გემი, სწრაფად აღჭურვეს იმავე დღესა და ზღვაში ჩაუშვეს სანაპიროზე გამწკრივებული, ურიცხვი გემი. კაცი იტყოდა: გემთა კრებული კი არაა გასული გაშლილ ზღვაშიო, არამედ ფრთაგაშლილი ფრთოსანთა გუნდი გაფრენილაო ჟივილ-ხივილით“.

ძვ. წ. I-ახ. წ. I სს. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი განსაკუთრებით გამოჰყოფს კოლხთა საზღვაო-საბრძოლო თვისებებს და აღწერს მათ საბრძოლო ნავებს, კამარებს. დასავლურ-ქართული ტომების ფლოტილიები ამ მცირე ნავებისგან, კამარებისგან შედგებოდა და ავტორი აღნიშნავს ამ ნავების სისწრაფეს გაშლილ ზღვაში.

როგორც ვხედავთ, ანტიკურ ეპოქაში, შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები ქართული ტომები განაფუძლნი იყვნენ საზღვაო ოპერაციებში, განსაკუთრებით, კარგად ჰქონდათ ათვისებული კოლხებს ზღვაზე ბრძოლის ხელოვნება.

I-II საუკუნეების რომაელ ისტორიკოსს პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსს აქვს ცნობა 69 წელს, იმპერატორ ვესპასიანეს დროს, ანიკეტის მეთაურო-

ბით, პონტოს მოსახლეობის ანტირომაული აჯანყების შესახებ. მისი ცნობით, აჯანყებულებს მიემხრნენ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომებიც, რომლებიც კარგად ფლობდნენ საზღვაო-საბრძოლო ხელოვნებას და მცირე ნავებით – კამარებით სწრაფად დაცურავდნენ ზღვაში. ავტორი არ აკონკრეტებს ტომებს, მაგრამ პონტოს მოსაზღვრე ხალხებში შეიძლება მოვიაზროთ დასავლურ-ქართული ტომები.



რომაელი ლეგიონერები


ადრეფეოდალურ ხანაში (IV-V სს), ქართული არმიის შეიარაღება სპარსულ-პართიულ და ბერძნულ-რომაულ ზეგავლენას განიცდიდა. პართიაში და სპარსეთში ცხენოსანთა რაზმები შედგებოდა გაბატონებულ თავისუფალთაგან. მძიმედ აღჭურვილნი – თოროსან ცხენოსანი რაზმები შედგებოდა სეფეწულთაგან და წარჩინებულ – დიდ აზნაურთაგან. რომაელი მემატიანე ამიანე მარცელინე (IV ს.) აღნიშნავს, რომ წარჩინებულ სპარსელ მხედრებს ძვირფასი აღკაზმულობა გამოარჩევდათ, ოქროს საკინძეებით, საყელურებით, ძვირფასი ქვებით და ბლომად – მარგალიტებით. მსგავსი სოციალური სტრუქტურა ჰქონდა ქართულ სამხედრო სისტემასაც. აზნაურები (მათ შორის დიდი აზნაურნი) ავსებდნენ ცხენოსანთა რიგებს, რომლებიც ასევე მძიმედ იყვნენ შეჭურვილნი, ხოლო ქვეითები გამოჰყავდათ თემის კაცთაგან, თავისუფალ მეთემეთა რიგებიდან.

ადრეფეოდალური და გვიანანტიკური ხანის ქართულ წყაროებში, მძიმედ შეიარაღებული მეომარი „აზნაურად" მოიხსენიებოდა. „დაბადების" ქართული თარგმანის მეორე ვერსიაში (V ს.), დავითთან მებრძოლი გოლიათი „აზნაურად" შეჭურვილად მოიხსენიება. თარგმანში წერია, რომ გოლიათი აღჭურვილი იყო ჯაჭვით ჩაბალახითურთ, საჭურველი ამისი იყო რკინით სპილენძითურთ. იარაღი ჰქონდა ფარი სპილენძისა და ჰოროლი. თან ახლდა მესაჭურვლე (მეაბჯრე).

ვერსიის ამ თარგმანით, იმდროინდელ საქართველოში მძიმედ აღჭურვილი მეომარი „აზნაურად" იწოდებოდა და ეს შეიარაღება მხოლოდ წარჩინებულთა წრისათვის იყო დამახასიათებელი. აზნაური, რომელიც საზოგადოების სოციალურად მაღალ წრეს განეკუთვნებოდა, სამხედრო უწყებაში მაღალი თანამ-

დებობები ეკავა და იმდროინდელი ქართული არმიის მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმებს ქმნიდა.

საინტერესო ცნობა აქვს პართელთა შეიარაღებაზე, მის თვითმხილველ ამიანე მარცელინეს: „როდესაც იმპერატორ იულიანთან ეს ჯარი გამოჩნდა, ის თითქოს რკინაში იყო ჩამჯდარი. ყოველ მხედარს მთელი ტანი დაფარული ჰქონდა რკინის მცირე ფირფიტებით იმდენად მჭიდროდ, რომ აბჯრის მქისე შენაერთები ადვილად ემორჩილებოდნენ სხეულის ყველა ნაწილის მოძრაობას. სახე დაცული ჰქონდათ ნიღაბით იმდენად კარგად, რომ მთელ ტანზე არცერთს ისარი არ შეიძლება შერჩეს აბჯარს, თუ ის არ მოხვდა თვალის წინ დატოვებულ მცირე საჭვრეტში და ნესტოებთან დატოვებულ მცირე ჭუჭრუტანაში. შუბებით შეიარაღებულ მეომართა ნაწილი იდგა უძრავად, ისე, რომ გეგონებოდა ისინი რკინის ჯაჭვით იყვნენ დაბმულნი. მათ გვერდზე განლაგებულნი იყვნენ მშვილდოსნები. ამ საქმეში სპარსელები ძველი დროიდან იყვნენ განთქმულნი. ისინი ხელებგაწვდილნი ჭიმავდნენ მშვილდებს, ისე, რომ მშვილდის ლარი გულის მარჯვენა მხარეს წვდებოდა, მაშინ, როცა მარცხენა ხელი მიჭერილი იყო წვეტიან ისარზე, თითის სწრაფი მიჭერით ისარი სისინით მიფრინავდა შორ მანძილზე“.



სპარსელი მეომრები. იშთარის ჭიშკარი ბაბილონში. ძვ. წ. VI ს. ბერლინის მუზეუმი

ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი ქართულ შეიარაღებაში ისეთ ტერმინებს იხსენიებს, რომლებიც ქართული წარმოშობისაა: ჯავშანი, ჩაბალახი, ჰოროლი, ლახვარი და შეჯავშნული ცხენები, „ცხენ-თორნოსანნი და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი“.

IX-X საუკუნეების მემატიანე და სომეხთა კათალიკოსი იოანე დრასხანაკერტელი საინტერესო ცნობას გვაწვდის იმ ეპოქის ქართველთა სამხედრო შეიარაღების შესახებ. კერძოდ, მემატიანე დასავლეთ საქართველოს, აფხაზთა მეფის მხედრობის გარეგნულ სურათს გვიხატავს. ეგრისის მეფემ დახმარება ალმოუჩინა სომეხ მეფე აშოტს და „შეუკრიბა დიდძალი ჯარი, შეჭურვილი ჰაერში მონავარდე რაშებით, რკინის ნაჭედი ჯავშნით, შიშის მომგვრელი ჩაფხ-

უტებით, მკერდის დასაფარავი რკინის ლურსმნებით მოჭედილი ფიცრებით და მაგარი ფარებით, სამკაულით, შუბებით და ლახვრებით".

შუა საუკუნეების ქართული სამხედრო შეიარაღება

შუა საუკუნეების ქართული სამხედრო შეიარაღების შესახებ კონკრეტული წყარო არ გაგვაჩნია, თუმცა, XIII-XIV საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლის „გარიგება ჴელმწიფისა კარისას" ამირსპასალარის საჴელოს (სახელოადმინისტრაციული სამოხელეო აპარატი, თანამდებობა) აღწერაში მოცემულია ცნობები ზარდახანაში (სამხედრო საჭურვლის საწყობი, არსენალი) არსებული მეომრის აღჭურვილობის სრული კომპლექტის შესახებ, რომლის აღწერილობასაც ადგენს ამ უწყების ხელმძღვანელი ზარდახნის-უხუცესი სამხედრო საქმის სხვა თანამდებობის პირებთან ერთად: „ერთის ტანსაცმლის აბჯრის მეტი, სხვაჲ ყველა აბჯარი, რაზომიცა თანა აქუს: ჯაჭვი, მუზარადი, ჴმალი, ქაფა, საბარკული, მშჳლდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი, სრულად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაცა ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელ-საბამი მოჭედილი, კანჭრის კუდი და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თავგარდაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე-ალმითა, ესე ყოველნი მნათობნი, მოჭედილნი ვერცხლითა და სპილენძიანი, ყოველი რაჲ ასწეროს წლის თავსა, ერთი უნაგირი – ზარდახნის მწიგნობრისა, ერთი აკაზმულობა აღუვსებად". აქ კარგად ჩანს, მძიმედ შეიარაღებული ქართველი ცხენოსანი მეომარი, რომლის ცხენის აღკაზმულობაში ცერემონიალური ელემენტებიც გვხვდება – ცხენის მოჭედილი ყელსაბამი, კანჭრის (ველური ვირი, ცხენისებრი ოჯახის) კუდი.

XIII საუკუნის კიდევ ერთი ქართული სამართლის ძეგლი „წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისა", საინტერესო ცნობას იძლევა, მეფის სამხედრო აღჭურვილობით შემოსვასთან დაკავშირებით. მეფედ კურთხევის ცერემონიალის დროს, მეფეს, დალოცვასთან ერთად, მისი მოხელეები, რომელთაც მეფის იარაღი ჰქონდათ ჩაბარებული – ამირსპასალარს, „სამეფო ჴრმალი ორთავე ჴელითა ეტჯრთოს", ხოლო ეზოთუხუცესს, ჩუხჩარეხსა და მეაბჯრეთუხუცესს: „სამეფო ფარი, ლახტი ჰქონდეს და ქარქაში და უკანა უდგეს მეფესა". ლახტის აქ მოხსენიება, როგორც საომარი იარაღისა, ფარის, ქარქაშის, ხმლის გვერდით, მიანიშნებს მის მნიშვნელობაზე შუა საუკუნეების მეომრის აღჭურვილობაში.

სამხედრო შეიარაღების შესახებ ინფორმაციებს გვაწვდიან სხვა წყაროებიც, მაგრამ კონკრეტული აღწერილობა, თუ როგორ იყო შემოსილი სამხედროდ შუა საუკუნეების ქართველი მეომარი, არ გვაქვს. ასევე, ერთი-ორი გადარჩენილი არტეფაქტის გარდა, შუა საუკუნეებიდან, არ არის შემორჩენილი აღჭურვილობის ნიმუშები, განსხვავებით, ძველი და ანტიკური პერიოდისგან, რომლის არტეფაქტებიც სამარხებში მრავლად გვხვდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შუა საუკუნეების მასალა არ შემოგვრჩა ჟამთა სიავის გამო, ასევე, ძველი

იარაღების ხელახლა გადადნობა ხდებოდა ახლის ჩამოსასხმელად, იარაღის ხელოსნების მიერ. ერთერთ მთავარ მიზეზად კი მიგვაჩნია, ქრისტიანული კულტურის, წეს-ჩვეულებების მიერ, ნივთების სამარხებში ჩატანების აკრძალვა. რაც შეეხება, ჩვენს მუზეუმებში დაცულ ქართული შეიარაღების ნიმუშებს, ისინი არ სცილდება XVII საუკუნეზე ადრე პერიოდს, თუმცა, მათი ვიზუალური მასალა წარმოდგენას გვიქმნის შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარების ეტაპებზეც.



წმინდა მხედრები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H1665. 224v

შუა საუკუნეების ქართული სამხედრო აღჭურვილობის შესასწავლად ძვირფასია ფრესკული გამოსახულებები. მასზე გამოსახული წმინდა მხედრები სამხედრო აღჭურვილობით: ხმლებით, შუბებით, ქარქაშით, ფარით, ჯავშნით, ლახტით, მუზარადით, ასევე, ტანსაცმელი, წარმოდგენას გვიქმნის მეომრის საჭურვლის შესახებ. X-XIII საუკუნეების ფრესკებზე, ჭედურ და ფერწერულ ხატებზე, ისევე, როგორც საეკლესიო არქიტექტურაზე, იგრძნობა ბიზანტიური გავლენა. აქედან გამომდინარე, ბერძნული კულტურის გავლენა სამხედრო სფეროშიც თვალნათელია.

ზოგადად, საომარი საშუალებები იყოფა ორ სახეობად: შემტევ და თავდასაცავ იარაღად. ქართული შემტევი იარაღებია:

საძგერებელი იარაღი – ჰოროლი (ოროლი) შუბი, ლახვარი, გმური, ხიშტი, ლიბანდაკი, ალებარდი, წათი.

სატყორცნ-საძგერებელი იარაღი – მაზრაკი,ზუფანი, სათხედი (ხელშუბა), გეონი.

სატყორცნი იარაღი – საგორველი, შურდული, ფილაკავანი.

სასროლი იარაღები – მშვილდ-ისარი, არბალეტი

დასარტყმელი იარაღები – ლახტი, გურზი, გოგუთი, კვერთხი, არგანი, ჩუგლუგი, საბრძოლო ცულები, ღაჯიები.

მკვეთრი, მკვეთელი იარაღი – ხმალი, მახვილი, ვარზი (მახვილი ცელივით),

დაშნა, აფთი, დანა, ხანჯალი.

ქართული თავდასაცავი იარაღები არსებობდა, როგორც „საკაცო, ისე საცხენო“. მეომრის თავდასაცავი იარაღებიდან გამოიყენებოდა თავსაბურავი, გულმკერდის საცავი და კიდურსაცავი იარაღები.

საბრძოლო თავსაბურავები – მუზარადი, ჩაჩქანი, ჩაფხუტი, ჩაბალახი, ფაფანაკი. გულმკერდის საცავი – ჯავშანი[15], ჯაჭვის პერანგი, ბეგთარი (ლითონის ფირფიტებიანი), თორი (მთლიანი რკინა, ან ორნაწილედი), ქაშქანი, ქაფი, იალმაგი (ჯაჭვთა გარეგან საცმელი).

კიდურსაცავი იარაღები – ხელნავი, ჯაჭვის საფუხრეები, სამუხლე-საყირმუზა, საბარკული, საჩერნე (საწვივე ჯაჭვი), ჯაჭვის შარვლები.

თავდასაცავი იარაღებიდან ცალკეა გამოყოფილი ფარი, რომელიც უხსოვარი დროიდან გამოიყენებოდა საბრძოლო ხელოვნებაში.

ცხენის ჯავშნის ტრადიცია გაჩნდა აღმოსავლურ არმიებში და აქედან გავრცელდა დანარჩენ სამყაროში. იგი ცნობილი იყო საქართველოშიც. წერილობით წყაროებში ხშირად არის ნახსენები თოროსანი ცხენი ან ტაიჭი შეჭურვილი ჯავშნითა და სხვ. ჯუანშერის აღწერილობით, ვახტანგ გორგასალი ჯავშნიანი ცხენით იბრძოდა: „განაწესა ვახტანგ სპანი... და აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა“. ვახტანგს, ჩაბალახი (ჩაფხუტი) ოქროსი ჰქონდა (სავარაუდოდ, ოქროთი შემკული). წინა მხრიდან მგელი იყო გამოსახული, ხოლო უკნიდან ლომი. ფარი ჰქონდა ვიგრის ტყავის[16], რომელსაც ვერ ჰკვეთდა მახვილი.



გორგასალი, სვეტიცხოვლის ფრესკა. 1837-1844 წლებში ტაძრის შეკეთების დროს ფრესკა წაიშალა. გადმოხატულია იტალიელი მხატვრის მიერ და ეს კოპიო დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცნოდეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში

განსაკუთრებით აქტუალურია ცხენის შეჯავშნა ცეცხლსასროლი იარაღების დამკვიდრებამდე, XV–XVI საუკუნეებამდე. ამ პერიოდამდე მეომრის ეკიპირებას წარმოადგენდა: მუზარადი, ჯაჭვის პერანგი ან ბეგ-


15 ტერმინი ჯავშანი სპარსული წარმოშობისაა და მკერდის აბჯარს ნიშნავს.

16 ვიგრი, ინდურში ნიშნავს ვეფხვს. ვიგრს, ასევე, ლომს და ფოცხვერს უწოდებდნენ სპარსულში. სულხან-საბა წერს, რომ ვიგრის ტყავსა კროკოდილისა ტყავს უხმობენ.

თარი, მშვილდ-ისარი, მახვილი, შუბი, შურდული, გურზი ან ცული და ფარი. ხოლო ცხენი შეჯავშნული იყო ან ჯაჭვის ბადით ან ლითონის ფირფიტებით. საქართველოში აღარაა დაცული შუა საუკუნეების (XI-XIII სს.) ქართველი მეომრის სრული ეკიპირება. ეს განძი XIX საუკუნეში საქართველოდან გაიტანეს გერმანიის მუზეუმებში, რომელიც, კერძოდ, ბერლინის ცოიგჰაუზში (იარაღის მუზეუმში) უნახავთ ივ. ჯავახიშვილს და კ. გამსახურდიას.

გვიანფეოდალურ ხანაში კი, მეომრის სამხედრო ეკიპირებაში შედიოდა, მუზარადი ან ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი ან თორი, საჩერნე, საფუხრე, ხელნავი, ხმალ-ხანჯალი, თოფ-დამბაჩა, საპირისწამლე, აბგა ტყვიებით, ძონძი, ქონი-საქონეთი, კაჟი. ამ პერიოდში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება, საბრძოლო ცული და გურზიც. ცხენი უკვე აღარ არის შეჯავშნული ისეთი სიხშირით, როგორც ის იყო შუა საუკუნეებში, რადგან აქ უკვე წინა პლანზე გადმოდის მხედრის მობილურობა და მისი დამძიმება აღარ შეიძლებოდა. მით უმეტეს, ცეცხლსასროლ იარაღთან პირისპირ, ყოველგვარი ლითონის ჯავშნის არსებობა, აზრს კარგავდა. მეომრის ეკიპირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ასევე, ე. წ. **საომარი საგზალი,** რომელიც გათვალისწინებული იყო მხოლოდ ექსტრემალური სიტუაციებისთვის, ეს იყო არამალფუჭებადი საკვები – ჩურჩხელა, ჩირი, მშრალი ხორცი, ანუ შაშხი, გამომცხვარი პური, ანუ ორცხობილა და სხვ.


შუბი – სატყორცნ-საძგერებელი იარაღის ერთ-ერთი სახეობა, იგი შედგება შუბისპირისა და ტარისაგან. ვინაიდან, არქეოლოგიურ მასალაში შუბის ტარი არსადაა დაფიქსირებული მისი ორგანული წარმოშობის გამო, ამიტომ ტარის სიგრძე არქეოლოგიური შუბების კლასიფიკაციაში განმსაზღვრელ როლს არ თამაშობს, განსხვავებით, ფეოდალური საქართველოს დროინდელი შუბებისაგან. არქეოლოგიური შუბისპირი შედგება მასრისა და ორლესული საძგერებლისგან, რომელსაც აქვს წვერი და მხრები – მასრიდან პირზე გარდამავალი მონაკვეთი. ფორმათა მოყვანილობის მიხედვით, არქეოლოგები განასხვავებენ რამდენიმე ტიპს, როგორიცაა ვიწროპირიანი შუბისპირები, წაგრძელებული რომბისებური, ე.წ. ლანცეტური და სხვ., ასევე, გრძელმასრიანი და გრძელპირიანი, ფართოპირიანი.



საომრად ამხედრებული თეიმურაზ I. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

შუბი იყო საძგერებელი იარაღი, რომელსაც კონსტრუქციის სიმარტივის (ხის ტარზე


ჩამოცმული ლითონის წვერი) მიუხედავად, მრავალმხრივი დანიშნულება და ფუნქციები გააჩნდა. შუბის გვერდით, შუა საუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა ამ ტიპის იარაღის მრავალი ქვესახეობა, მაგ. ალებარდები, კორსეკები, აფთები და ა. შ. რომელთაც ჰქონდათ უფრო ფართო პირი (ცელისებრი, ნაჯახისებრი და ა.შ.), რითაც იარაღის ეს ტიპი დამატებით საჩეხ ფუნქციასაც იძენდა, მაგრამ ამით მისი მთავარი დანიშნულება არ იცვლებოდა.



შუბისპირი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. XVIII ს.

შუბი მრავალჯერ არის ნახსენები ქართულ წერილობით წყაროებშიც. ის, უკვე, საყოველთაოდ ცნობილი და გავრცელებული, XII ს-ის ძეგლებში ჩანს. ამ დროს, ტერმინი „შუბი" ისეა გაბატონებული, რომ წინანდელი „ჰოროლი" დაჩრდილულია ან სრულებით აღარ გვხვდება. გვიანფეოდალური ხანიდან კი „შუბი" ყველაზე გავრცელებულ ტერმინად გვევლინება, როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე ეთნოგრაფიულ მეტყველებაში. შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმ ტერმინის ნაცვლად, რომელიც სატყორცნ-საძგერებელ იარაღს (ჰოროლი, აკინაკი, ლახვარი, გმური, ხიშტი, ლიბანდაკი, წათი, მაზრაკი, ზუფანი, სათხედი, ხელშუბა, გეონი და სხვ.) გამოხატავდა, დამკვიდრდა ტერმინი შუბი. აქ ჩამოთვლილი სატყორცნ-საძგერებელი იარაღები განხილული აქვს სულხან-საბა ორბელიანს, რომელთაც ზოგად სახელად ლახვარს უწოდებს და შეძლებისდაგვარად განმარტავს მათ, ტარის (ბუნის) სიგრძისა და პირის ფორმა-მოყვანილობის მიხედვით. მაგალითად „ოროლი არს, რომელსა აკინაკად უხმობენ, ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი; გმური არს ლახვარი პირ-ბრტყელი და ბუნ-გრძელი; სათხედი არს ლახვარი პირ-ბრტყელი და ბუნ-ზომიერი, ვიეთნი ხელშუბას უხმობენ".

სატყორცნი იარაღებიდან გამოიყოფა: საგორველი, შურდული და ფილაკავანი. საგორველი წარმოადგენს დიდ ქვას, რომლის დანიშნულება იყო მისი საბრძოლო სიმაღლიდან დაგორება ან ციხე სიმაგრიდან გადმოგდება, რათა გარშემორტყმული მტრისთვის ზიანი მიეყენებინათ. შურდულიც ქვის სროლის საშუალებაა, ოღონდ მცირე ზომის და მიზანში სროლისთვის. შურდული ერთერთი უძველესი საბრძოლო იარაღთაგანია, რომელსაც თავის დროზე თითქმის ყველა ხალხი იყენებდა. შურდული მარტივი კონსტრუქციისაა, იგი სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება – საქვე და ორი მანა. საქვეს ბოლოების გაგრძელებას წარმოადგენს ერთსა და იმავე მასალისაგან (საქონლის ტყავი, შალის ქსოვილი, ძუა ან ქალის თმა) დაწნული ორი მანა. ქვის სროლის ეს მარტივი საშუალება, გამოცდილი მეშურდულის ხელში, მომაკვდინებელ იარაღად გადაიქცეოდა.




ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H1665. 229v



სვანი შურდულოსანი. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

ქვის სროლის საშუალებებიდან, შურდულის გარდა, საქართველოში ცნობილი იყო, აგრეთვე, კუდბაწარა, რიკტაფა, გოგრიჭი, ხრიკოლა, გვრიჭილა და სხვ., რაც ქართული ეთნოგრაფიული მასალებით მტკიცდება.

სასროლი იარაღები: საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები უხსოვარი დროიდან (პალეოლითი) იცნობდნენ მშვილდ-ისარს, ხოლო ადრე ბრინჯაოს ხანაში, ხმარებაში ყოფილა, როგორც დიდი (ადამიანის სიმაღლე), ასევე, პატარა ზომის მარტივი და შედგენილი მშვილდები. ამ პერიოდიდან მოყოლებული, XV-XVI საუკუნეებამდე, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ფართო ხასიათს მიიღებდა, მშვილდ-ისარი წარმოადგენდა შორმანძილზე სროლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, ძველთაგან მომდინარე შურდულთან და შედარებით გვიან გაჩენილ არბალეტთან ერთად. თუმცა, თოფის გაჩენის შემდეგაც მშვილდი დიდხანს ინახავდა საბრძოლო და სანადირო იარაღის ფუნქციას. ეს იარაღები მეომრებს საშუალებას აძლევდა ბრძოლა ეწარმოებინათ 150-200 მეტრამდე რადიუსში, თუმცა, რეალურად, ეფექტური დისტანცია 30-



არბალეტი. მალტის ორდენის რაინდთა აღჭურვილობიდან. ვალეტას იარაღის მუზეუმი. XVI ს.

100 მეტრი იყო. შუა საუკუნეებში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. თურქული, მონღოლური, ინგლისური და სხვა სახეობების მშვილდები. ყველაზე შორსმსროლელს თურქული შედგენილი მშვილდები წარმოადგენდა, რომელთა სარეკორდო მაჩვენებლებიც 500-800 მეტრს აღწევდა, მაგრამ ეს, ამ იარაღის „სპორტული" მაჩვენებელია და არა საბრძოლო. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული თურქული და მონღოლური მშვილდები, თუმცა ადგილობრივიც მზადდებოდა. მშვილდზე არანაკლებ ეფექტური იარაღი იყო არბალეტი, რომელიც სიზუსტითა და დარტყმის ძალით ნებისმიერ მშვილდს აღემატებოდა, რის გამოც იგი, განსაკუთრებით სასტიკი იარაღის სახეობად ითვლებოდა და რამდენჯერმე აიკრძალა კიდეც, რომის პაპების ინიციატივით.

ქართული მშვილდი, მისი დამზადების მიხედვით, ორი ძირითადი სახისაა: მარტივი (ხის) და შედგენილი (ხე, რქა, ძვალი, ლითონი). მშვილდი კეთდებოდა ადამიანის გაშლილი ხელების სიგრძის, რომელსაც „ყულაჯი" ეწოდებოდა. მარტივი მშვილდი შედგება მოჭრილი ხის ტოტისა და მის ორივე ბოლოზე მიმაგრებული დაწნული თოკისგან, რომელსაც ხევსურეთში „საბამი" ეწოდებოდა. „საბამი", ჩვეულებრივ, რქოსანი საქონლის ტყავისგან ან ნაწლავებისგან მზადდებოდა, გამოიყენებდნენ ლერწმის ან სხვა მცენარეულ ბოჭკოსაც, უკანასკნელ ხანს, ამ მიზნით, დაწნულ კანაფსაც ხმარობდნენ.

მშვილდი უფრო ხშირად შოთქვის, თხილის, იფნის და დგნალისაგან მზადდებოდა. სამშვილდედ ისეთ ტოტს არჩევდნენ, რომელსაც „ჭიდი არ ექნებოდა გოზაში". სამშვილდეს ერთი კვირა გამოაშრობდნენ, შემდეგ გამოსასარშავად დებდნენ ნაკელში ან ცხენის მჩორეში ერთი-ორი კვირით. სამშვილდეს ზოგი ალუდის (ლუდის) სახარშ ქვაბში ხარშავდა სამი-ოთხი საათის განმავლობაში ლუდთან ერთად. მშვილდის გამოხარშვა არყის ბუყშიც იცოდნენ (ბუყი – არყის გამოხდის შემდეგ დარჩენილი ნაძირალი). გამოხარშვის შემდეგ გააცლიდნენ ქერქს და შუაში „სახელურას" დაუტოვებდნენ. რაც უფრო სქელია სახელურა, მით უკეთესია, ეს ზრდის გოზანების დრეკადობას (გოზა–სახელურასა და კილონს (მხარის) შორის ყველაზე მაღალი წერტილი). გოზანებს გვერდებს ჩაუთ-

ლიდნენ ელასტიურობისთვის და შემდეგ მუხლზე მოსინჯავდნენ – „გოზანები მოსდევს თუ არა", ე.ი. თანაბარი დრეკადობისაა თუ – არა. ამის შემდეგ გოზანებს ბოლოში უკეთდებოდა სამკუთხა ფორმის ჭდეები, რომელსაც „კილონი" ეწოდება. კილონი საბამის დაჭიმვას ემსახურებოდა. საბამი მშვილდის ერთ ბოლოში მკვიდრად იყო დამაგრებული, ხოლო თავში მარყუჟი ჰქონდა გამონასკვული, რომლის საშუალებითაც ხდებოდა მშვილდის „ჩამოყრა" ან დაჭიმვა.

მარტივი მშვილდის კატეგორიაში ერთიანდება ერთი მერქნისგან დამზადებული მშვილდები, რომელთაც გაიარეს, ან არ გაუვლიათ მუშა მდგომარეობაში მოყვანამდე სხვადასხვა დამუშავება (ნაკელში, მჩორეში, ლუდში, ბუყში). მათ რიცხვში შედის, აგრეთვე, ისეთი მშვილდები, რომელთაც გოზანების გასაძლიერებლად დახვეული აქვს ტყავი, ნაწლავი, ლითონის მავთულები ან სხვა სარტყელები. მარტივ მშვილდებს საბას განმარტებით ბზაკალი ეწოდება (ბზაკალი-ხის მშვილდი, გინა ბზის ხის კოპიტი).

შედგენილი მშვილდის კატეგორიაში ერთიანდება ისეთი მშვილდები, რომლებიც შედგება სხვადასხვა მასალისაგან (ჩანართებისაგან-ძვალი, რქა, რკინა, ხე და სხვა). ამ მხრივ, საინტერესოა, ვახუშტის ცნობა გუდამაყრელთა შესახებ: „მშვილდ-მომქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან". სულხან-საბას განმარტებით, რქისაგან დამზადებულ მშვილდს აჯის მშვილდი ეწოდებოდა. ამავე კატეგორიას განეკუთვნება ორი ან სამგოზა მშვილდები. საყურადღებოა, აგრეთვე, საქართველოში ჯიღა მშვილდების არსებობაც. საბას განმარტებით – „ტყეთა შინა სასხლეტად მორთვენ მშვილდ-ისართა. რა ნადირნი გავლიან, შესძრავს, დასხლტება, მოჰკლავს". ჯიღა მშვილდი, როგორც ჩანს, მახე მშვილდი ყოფილა.



საბახტარ ავალიშვილი. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.


ქართულ შეიარაღებაში არბალეტიც გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წერილობით წყაროებში არ გვხვდება მონაცემები მისი ქართულ შეიარაღებაში გამოყენების შესახებ, ეთნოგრაფიული ცნობებით, საქართველოს რამდენიმე კუთხეში დაფიქსირებულია აღნიშნული იარაღი და გარკვეულია მისი ტერმინოლოგია, მაგ. სვანეთში –

„ცხემი", აღმოსავლეთ საქართველოში – „კონდახიანი მშვილდი", ხოლო ხევსურეთში – „სასხლეტიანი". დასახელებული ტერმინები ადასტურებს საქართველოში არბალეტისნაირი იარაღის არსებობას.

არსებობდა, აგრეთვე, მშვილდის „შთასადებელი", რომელსაც „ხილიფა" ეწოდებოდა, ხოლო საისრეს, „ისრის ქარქაშს" – კაპარჭი.

ტექნოლოგიურად მზადდებოდა ისარი, რომლის დამზადებაც, შეიძლება ითქვას, ცალკე პროფესიად ჩამოყალიბდა. საბას განმარტებით, „ჯოლბორდი" ისრის მთლელია. ის ასახელებს, აგრეთვე, ათამდე ისრის სახეობას: საყალნო, სარჩა, ქეიბური, ქიბორჯი, ბოძალი, ყოდალი, ღრჯა, სეფქა, გეზი, სამალი. ბოლოს, ლექსიკოგრაფი აღნიშნავს, – „სხვანიც რამ ისარნი არიან რომელსამე ბორბ(ა)ლად უწოდენ და სხვასა და სხვასა, ხოლო ყრმათა ისარცუდასა–წინწკიტელა". როგორც ვხედავთ, ისრისპირები მრავალფეროვანი იყო, რაც მიუთითებს მათ სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე. ზოგი ძვირფასბეწვიან ცხოველზე სანადიროდ გამოიყენებოდა, ზოგი სათევზაოდ, ზოგი ცეცხლის გასატყორცნად, ზოგიც აბჯრის გასახვრეტად.

დასარტყამი იარაღები. ცეცხლსასროლი იარაღის დამკვიდრებამდე, ახლო ბრძოლის დროს, ჯავშანში ჩამჯდარი მოწინააღმდეგის პირისპირ, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასარტყმელ საშუალებებს. საქართველოში მრავალფეროვანი დასარტყმელი იარაღების აქტიურად გამოყენებას ადასტურებს, ძველ ქართულ წერილობით წყაროებში გამოყენებული მდიდარი ტერმინოლოგიური მასალა, როგორიცაა ლახტი (ფრთიანი, უფრთო), გურზი, ჩუგლუგი, არგანი, კვერთხი, ამუდა, ეკალბურთა, ძროხისთავიანი კვერთხი და სხვ.



ფრთიანი ლახტი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. XVII ს.

ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ფორმის ლახტები, როგორც დასავლურ, ასევე, აღმოსავლურ არმიებში, მათ შორის საქართველოშიც. აღმოსავლურ არმიებში, ამ იარაღის ყველაზე გავრცელებულ ტიპს, ე. წ. ზოომორფულთავიანი (ძროხისთავიანი, თხისთავიანი) ლახტი წარმოადგენდა. დასავლურ არმიებში კი ლახტის ერთ-ერთი ძირითადი ტიპი იყო ე. წ. „მორგენშერნი" (დილის ვარსკვლავი), რომელიც შედგებოდა ტარის, ჯაჭვისა და ჯაჭვზე დამაგრებული ვარსკვლავის ფორმის ლითონის თავისაგან. საქართველოში ორივე ეს ტიპი კარგად იყო ცნობილი.

დასარტყმელ საშუალებებში ერთიანდება, აგრეთვე, საბრძოლო ცულები, რომლებიც ანტიკური ხანიდან მოყოლებული გამოიყენებოდა ქართულ შეიარა-

ღებაში და, აგრეთვე, საცერულები (ღაჯიები), რომელთა ხელჩართულ ბრძოლაში გამოყენება ქართული ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება.

საქართველოში, ანტიკურ ხანაში გავრცელებული რკინის საომარი ცულების კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ცულის ნაწილების მოყვანილობა, განივკვეთი და პროპორციები. ამ მახასიათებლების გათვალისწინებით, გამოყოფილია ორი ძირითადი ტიპი: პირველი ე. წ. „ჩაქუჩისებურ" ყუიანი, რომელიც არქეოლოგების აზრით, წარმოადგენს ე. წ. კოლხური ცულების ერთ-ერთი ტიპის განვითარების შედეგად მიღებულ ფორმას და მეორე ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სატარე ხვრელთან ჰორიზონტალური გაზიდულობანი. ესაა ერთგვარი სიახლე ცულის ტექნიკური სრულყოფის გზაზე. სწორედ ეს ნიშანი განაპირობებს ამ ტიპის თავისებურებას ვიწრო წელთან და განიერ პირთან ერთად.

საბრძოლო ცულების გამოყენება ხელჩართულ ბრძოლაში, გვიანფეოდალური ხანის საქართველოშიც დასტურდება. ამ პერიოდის საბრძოლო ცულები ერთფრთიანი და ორფრთიანია, ხშირ შემთხვევაში ლითონის ტარიანი, რომელიც ბოლოში ოთხწახნაგა შუბისპირით ბოლოვდება. აღნიშნული ცულები ირანული ტიპისაა, რაც ადასტურებს სპარსული იარაღის ქართულ შეიარაღებაში აქტიურ გამოყენებას.

დასარტყამ იარაღთა კატეგორიაში ჩვენ განვიხილავთ აგრეთვე საცერულებს. საცერული (სათითენი) – აერთიანებს მცირე ზომის ბეჭდისმაგვარ კასტეტთა, საცემ, სასერ და საჩხუტ ნაირსახეობებს. ეს იარაღი, მეტწილად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იყო გავრცელებული. უკანასკნელ დრომდე მისი ხმარების ტექნიკა და ილეთები ხევსურეთმა შემოგვინახა. ცალ თითზე წამოსაცმელი სათითე საკმაოდ მრისხანე იარაღია მჭიდრო შერკინებაში. მორკინალი მას საკუთარი ხელწერისა და ოსტატობის შესაბამისად ირჩევდა და, ალბათ, ამ გარემოებით აიხსნება მისი ასეთი მრავალგვარობა. მარტო ხევსურეთში საცერულის ათამდე სახეობა არსებობდა: ღაჯია, მაღალი ანუ აფთარი, ლესულა, ხერხულა, ხვეულა, წისქვილა და სხვ. ხევსურეთისგან განსხვავებით მთიულეთში ვხვდებით ორთითიან (საჩვენებელ და შუა თითზე წამოსაცმელ) „საჯიჯგველებს", თუშეთში კი დამოწმებულია ოთხთითა „ღაჯიები".


მკვეთრი, მკვეთელი იარაღები. ანტიკური ხანიდან მოყოლებული სატევრები და მახვილები, საბრძოლო შეიარაღების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენდა. საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის აღმოჩენილი, როგორც ბრინჯაოს, ასევე, რკინის სატევრები. აღნიშნული იარაღი აქტიურად გამოიყენებოდა შუა საუკუნეებშიც და თითქმის XX საუკუნემდე გარკვეული სახეცვლილებით სამხედრო ხელოვნების განუყოფელ ნაწილად დარჩა.

რაც შეეხება ხმლებს, განვითარებულ შუა საუკუნეებში, საქართველოში


ფართოდ გავრცელებული ყოფილა სწორი „შვეტი“ ხმლები, ხოლო XIII საუკუნიდან ხმარებაში შემოდის მოხრილი ხმალი. ცნობილია, გიორგი IV ლაშას ორი ფრესკული გამოსახულება. ერთგან (ბეთანიაში) გიორგი IV ლაშა გამოსახულია (ბეთანია) სწორი ხმლით, მეფედ კურთხევამდე, ხოლო მეორეგან (ბერთუბანში) – მოხრილი ხმლით, უკვე მეფის ამპლუაში.

როგორც აღვნიშნეთ, შუა საუკუნეების ქართული შეიარაღებიდან ნივთიერი მასალა თითქმის არ გაგვაჩნია. გვაქვს მხოლოდ ორი ხმალი XIII საუკუნით დათარიღებული ერთი ხევსურეთში, ხოლო მეორე – ვანში აღმოჩენილი._მიუხედავად არტეფაქტების არ ქონისა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში იარაღი დიდი რაოდენობით იწარმოებოდა.


საქართველოში, გარდა ადგილობრივი იარაღისა, დიდი რაოდენობით შემოდიოდა და გამოიყენებოდა ევროპაში წარმოებული იარაღიც. ევროპულ დამღებიანი ხმლების პირები იმდენად დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რომ



დავითფერული. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



გორდა. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



კალდომი. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

ადგილობრივი ხელოსნები ხშირად მიმართავდნენ დამღების ფალსიფიცირებას. მართალია, დამღა ერტყა ვითომ ევროპული, მაგრამ ხმლის პირის დამზადების ტექნოლოგია და ტრადიციები ქართული იყო. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანული, ფრანგული და იტალიური ხმლები. ხევსურეთში ევროპული ხმლების საერთო სახელად ფრანგული იყო მიღებული. არჩევდნენ დედალ და მამალ ფრანგულს. გერმანიიდან და ავსტრიიდან შემოსულ

ხმლებს დედალ ფრანგულს ეძახდნენ, ხოლო იტალიურს – მამალ ფრანგულს. თავისთავად, დედალი ფრანგულიც დაბალი ღირსების ხმალს არ გამოხატავდა. ძალზედ იყო გავრცელებული გერმანული წარმოების ხმლები, რომელზეც ერტყმოდა დამღა მგლის სტილიზებული გამოსახულებით. ამ დამღას XIV საუკუნის პასაუელი ხელოსნები ხმარობდნენ, ხოლო XVI საუკუნიდან ზოლინგენის ხელოსნები. იმის დასამტკიცებლად, რომ ხმალი ადგილობრივია (ქართული) და არა გერმანული, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცხოველი გამოსახულია არა სტილიზებულად (9-11 შტრიხით), როგორც ეს ევროპულ ვარიანტშია, არამედ მთლიანი ტანის კონტურით, სადაც აქცენტირებულია სახეც და ბანალიც კი, მაშასადამე საქმე გვაქვს ქართულ ან, თუნდაც, კავკასიურ მინაბაძებთან.

საქართველოში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა XVI საუკუნის იტალიელი ხელოსნების ჯანდონატო და ანდრეა ფერარას მიერ დამზადებული ხმლები. ისინი დამღად საკუთარ გვარ-სახელს იყენებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა, ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული ერთ-ერთი ქართული ხმალი, რომელზეც პირის სხვადასხვა მხარეს გამოსახულია, როგორც მგელი, ასევე წარწერა – „ფერარა“. აღნიშნული ხმალი აშკარა ქართული მინაბაძია, რადგან ყოვლად შეუძლებელია ხმალზე ერტყას ერთი მხრივ – იტალელი, ხოლო, მეორე მხრივ – გერმანელი ხელოსნის დამღა, რომ არაფერი ვთქვათ ხმლის პირის, ტარისა და ქარქაშის დამზადების ტექნოლოგიაზე, ეს ტიპიური ხევსურული ხმალია.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, „გორდა“ ხმლის დამღები – იგი წარმოადგენს ნახევარმთვარისებური ფორმის დაკბილურ რკალებს, რომლებიც ერთმანეთთან ზურგშექცევითაა გამოსახული, შუაში კი დაფიქსირებულია ლათინური წარწერა „გენუა“. ეს დამღა თავდაპირველად ეკუთვნოდა (XIV საუკუნის) გენუის ქალაქ-სახელმწიფოს ხელოსნებს, ხოლო, მოგვიანებით, XVI-XVII საუკუნეებიდან, მას ხმარობდნენ ავსტრიის ქალაქების ხელოსნები, რომლებიც მიზანმიმართულად აღმოსავლეთისათვის მუშაობდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორდას დამღიანი ხმლები საქართველოში ცნობილი იყო XIV საუკუნიდან. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ გენუელ ვაჭრებს საქართველოს ტერიტორიაზე გახსნილი ჰქონდათ სავაჭრო ფაქტორიები, სადაც სხვადასხვა ნედლეულთან ერთად იარაღითაც (ხმლის პირები) ვაჭრობდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ გენუელებმა საქართველოდან გაიტანეს გორდა ხმლები და ამის შემდეგ მოხდა მათი საერთო ევროპული აღიარება, მაგრამ ამის დასამტკიცებელი მყარი არგუმენტაცია, ჯერჯერობით, არ გაგვაჩნია. საქმეს ისიც ართულებს, რომ საქართველოში, XIII-XIV საუკუნეების გორდას დამღიანი ხმლის ნიმუშები არ მოგვეპოვება. არსებობს მხოლოდ ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ამ პერიოდის საქართველოში, სოფ. გორდაში ცხოვრობდა ხელოსანი, რომელმაც გამოჭედა საუკეთესო ხმალი, რომელიც შემდეგ გორდა ხმლის სახელით გახდა ცნობილი.

სულხან-საბა, განმარტავს რა ტერმინ „ხრმალს," აღნიშნავს – „ესე ხრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიც(ა) ხრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი, მკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, – ამას ქართველნი ჰყვარობენ. ფრანგნიცა ესეთსა და სხვარიგთაცა ახალსა არა ჰრიდებენ; არაბნი სხვარიგსა, სპარსნი სხვასა, თემითი-თემად, რომელიმე დრეკილსა, რომელიმე შვეტთა, სხვანი ბასრთა, სხვანი რბილთა; არამედ ბრძენნი და გამოცდილნი, ღვაწლისა მძლენი მხედარნი საქებურად ამას დასდებენ, რომელი გვარიანიცა იყოს, ძველი და არა ღვარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არც მაღალ-დაბლობა აჩნდეს ცახეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს, და არა თეთრ, ზომიერ სიგრძით და სიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილი და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ, ადრე არა დამბლაგველ, უტალ-უნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარმოკლე. თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, – სრული გვიან საპოვნარია". როგორც ვხედავთ, სულხან-საბა საუკეთესო თვისებების მქონე ხმლების დახასიათებისას, მხოლოდ ხმლის ორ სახეობას – გორდასა და კალდიმს ასახელებს.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დღესაც მოიძებნება ქართული და ევროპული გორდა ხმლები. მათი გარჩევა ერთმანეთისაგან ფოლადის ხარისხითა და მორთულობის დეკორით შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელ კავკასიაში ხმარობდნენ გორდას დამღებს, ქართული გორდა ხმლები განსაკუთრებით გამორჩეული და თვითმყოფადია. ქართული ხმლებიდან ყურადღებას იმსახურებს, ასევე, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ტერმინოლოგიური მასალა: ნიჩბა, დაშნა, ჭოლაური, დავითფერული, თუშური ორლესული, ლეკური, გველისპირული, მისრული და სხვ. რომელიც მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს.

რაც შეეხება ფოლადს, როგორც ცნობილია, ძველი ქართველური მოდგმის ტომები ხალიბები (ხალიბების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძენი ავტორები, ქსენოფონტე, ჰეროდოტე, სტრაბონი. ისინი ხალიბებს ხალდებს უწოდებენ. სომხური წყაროები კი ხალიბებს ჭანებთან აიგივებს. ხალიბების სახელწოდებიდან მოდის მათი ძველი ისტორიული სამშობლოს, მოგვიანებით ბიზანტიის პროვინცია ხალდეას სახელწოდებაც, ფოლადის პირველმწარმოებლები არიან მთელს მსოფლიოში. ხალიბური ფოლადი, ეს არის მაგნეტიტიანი ფოლადი. ხალიბები, ყველა სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, რკინაში მაღალი ხარისხის ფოლადის მისაღებად ურევდნენ „რაღაც მინას" (მარგანეცს), რომელიც ფოლადს განსაკუთრებულ სიმტკიცეს მატებდა. ფოლადის მიღების მსგავსი წესი ძველ ინდოეთშიც არსებობდა და მას ინდური „ვუცა" ეწოდებოდა. ხალიბური ფოლადი და ინდური „ვუცა", ორივე – მაგნეტიტიანი რკინა იყო. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის უკანასკნელი ქა-

რთველი მეჯავარდნეები ელიზარაშვილები, ქართული ბულატის მიღებისათვის აუცილებელ კომპონენტად ინდურ „ვუცას“ ასახელებდნენ.

საქართველოში ოდითგანვე იჭედებოდა „ბულატის“ ფოლადის ხმლები, რომლებიც, ერთ-ერთი ვერსიით, დასაბამს ინდოეთიდან იღებს. თავად ტერმინი „ბულატი“ უნდა მომდინარეობდეს სპარსული „ფულადიდან“, „ბულატი“ თურქულად – „ბოლოტ“-ია, ავღანურად – „ფოლად“, მონღოლურად – „ბოლოტ“ და ა.შ. ქართულად, საბას განმარტებით – „ფოლადი სხვათა ენაა, ქართულად ბასრი ჰქვია“. ტერმინების: „ფოლადის“ და „ბულატის“ წარმომავლობას ერთი ძირი უნდა ჰქონდეს, რომელმაც შემდგომში სხვადასხვა დატვირთვა მიიღო.


საქართველოში ცივი იარაღები მზადდებოდა – ინდური (ვუნცა), სპარსული (ტაბანი, ყარატაბანი, ხორასნული), სირიული (დამასკური) და საკუთრივ, ქართული ფოლადისაგან. აღსანიშნავია, რომ XVIII-XIX სს-შიც საქართველო იარაღის გამავრცელებელი კერა ყოფილა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ინდოეთთან ერთად, საქართველო განთქმული იყო მსოფლიოში საუკეთესო ფოლადის „ბულატის“ წარმოებით. XIX ს-ის თბილისში ცხოვრობდა „ბულატის“ ფოლადის მკეთებელი, ელიზარაშვილების ოჯახი.

გარდა თბილისისა, საქართველოს სხვა დიდ ქალაქებსა თუ დაბებში მრავლად მოღვაწეობდნენ იარაღის ოსტატები – ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ოზურგეთში, სიღნაღში, თელავში, ახალციხეში და სხვ., რომლებიც საუკეთესო, ზოგჯერ უმაღლესი დონის ხმალ-ხანჯლებს ამზადებდნენ. საქართველოში და მთლიანად კავკასიაში, ხანჯლების დიდ პოპულარობას განსაზღვრავდა ის გარემოებაც, რომ ხანჯალი კავკასიური კოსტუმის, ჩოხის განუყოფელი ატრიბუტი იყო.


გარდა ქართული იარაღისა, ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩრდილო კავკასიური ცივი და ცეცხლსასროლი იარაღები, რომელთაგან ყველაზე თვითმყოფად სახეს დაღესტნური და ჩერქეზული იარაღი წარმოადგენს.

დაღესტანში იმდენად მაღალ დონეზე იდგა ოქრომჭედლობა და მეიარაღეობა, რომ საბრძოლო თუ საპარადო იარაღს აულების საშუალებით ანსხვავებდნენ. მაგალითად, ყველაზე დიდი მოწონებით ყუბაჩელი ოსტატების ნაკეთობანი ფასობდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაღესტნელი ოსტატები საქართველოს დიდ ქალაქებშიც მრავლად იყვნენ სამუშაოდ ჩამოსულები, მაგალითად, მარტო თბილისში, XIX ს-ის 60-იან წლებში, 100-ზე მეტი დაღესტნელი ოსტატი მუშაობდა

ჩრდილო კავკასიური მეიარაღეობა, ოქრომჭედლობა, ორნამენტი ძალიან ჰარმონიულად შეერწყა ადგილობრივ ქართულ ტრადიციებს და გემოვნებას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა კიდეც ცალკეული კულტურული სკოლები.



სპარსული მუზარადი. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



ივანე მუხრანბატონის ჩაჩქანი. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

საბრძოლო თავსაბურავი. ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი), ქართველურ ტომებს თავზე ხის ან ტყავის მუზარადები ეხურათ. ასეთი მასალისაგან დამზადებული ნივთები, რასაკვირველია, ჩვენს დრომდე ვერ მოაღწევდა. რაც შეეხება, ლითონის მუზარადებს, საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ყველა მუზარადი იმპორტია და განეკუთვნება ე.წ. ქალკიდური, ჰოპლიტური მუზარადის ტიპს. მათ აქვთ ნახევარსფერული ფორმა, შუბლის არეში „ისრისებური“ შეღრმავება, აქვთ ცხვირსაფარი და ყბისსაფარი. საქართველოში, ჯერჯერობით, აღმოჩენილია ანტიკური ხანის ექვსი მუზარადი, ხუთი ბერძნული და ერთიც რომაული წარმომავლობისა.

შუა საუკუნეების საქართველოში აქტიურად იხმარებოდა ე.წ. „კონუსისებური“ ტიპის მუზარადები, რომელიც ამ პერიოდის ერთერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა.

ქართული საბრძოლო თავსაბურავებიდან ყველაზე დიდი პოპულარობით ჩაჩქანი სარგებლობდა, რომლის დამზადების ტექნოლოგია ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალით დგინდება. მჭედელი



ვენეციური მუზარადი. XVI ს. ვალეტას იარაღის მუზეუმი



მალტის ორდენის რაინდის მუზარადი. XVII ს. ვალეტას იარაღის მუზეუმი

ჩაჩქნის ჯამის რკინას (პოლოტიკს) გრდემლზე „ქურთემულზე“ გაასწორებდა, შემდეგ ხის ფარგლით შემოხაზავდა და თარგის საშუალებით გამოსჭრიდა მრგვალად საჩაჩქანეს, რომელსაც რკინის მორგვზე კვერის დარტყმით თანდათან მისცემდა ჯამის ფორმას. ამის შემდეგ, ჩაჩქანს კიდეზე წრიულად დახვრეტდნენ ზარადის (ჯაჭვის ბადის) დასამაგრებლად. ზოგ ჩაჩქანს ზევიდან გადააკრავდნენ ვერცხლის არშავს. ჩაჩქანს შუაში უკეთებდნენ „უსმარს“ (სამჭვალს).

ცნობილია, რომ ჩაჩქანის დახურვა შიშველ თავზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ასეთი შემთხვევები ხშირად ტრაგიკულად მთავრდებოდა, ამიტომ, ჩაჩქანის ქვეშ თოქალთოს დაგება იყო საჭირო. თოქალთოდ ხმარობდნენ ნაბადს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ჩაჩქანის თოქალთოდ თუშურ ქუდს გამოიყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ სვანური ქუდის ფორმა იმეორებს კვერცხისებური მუზარადის ფორმას, რაც სვანური ქუდის, ასევე, თოქალთოდ გამოყენებაზე მიუთითებს.

სვანურ ეთნოგრაფიულ ყოფაშია ასევე დამოწმებული, ფაფანაკის ფორმის ლითონის მუზარადიც, რომელიც, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქართული მოვლენაა და ჯერჯერობით მისი ანალოგი არსად არ დასტურდება.

გულ-მკერდის საცავი იარაღები. ძველი ბერძნული წყაროების (სტრაბონი და ქსენოფონტე) მიხედვით, ქართველურ მოსახლეობას, სელის და ტყავის აბჯრები ეცვათ, რომლებიც შემდგომში რკინის ფირფიტებით შეიჭედა, ასეთ სამოსს ბეგთარი ეწოდება. საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე ნაპოვნია ლითონის (ბრინჯაოს და რკინის) პატარა ზომის ფირფიტები, როგორც ცალკეული ფირფიტების სახით, ასევე ნატეხებად შეკრული. ბრინჯაოსა და რკინის ფირფიტებს საგანგებო მაკრატლის მაგვარი იარაღით გამოჭრიდნენ ლითონის ფურცლისაგან. ზოგჯერ ეს დაუდევრად ხდებოდა. სწორედ ამით აიხსნება ფირფიტების ხშირი არათანაბარი კონფიგურაცია. ამის შემდეგ ფირფიტა იხვრიტებოდა და საფუძველზე მაგრდებოდა ტყავის თასმებით. ასეთი საფარით დაფარულ



ჰოსპიტალიერების რაინდის აბჯარი. XVI ს. ვალეტას იარაღის მუზეუმი



მეომარი ქერცლოვანი აბჯარით.
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
H1665. 229r

ჯავშანს სპეციალურ ლიტერატურაში ქერცლისებურსაც უწოდებენ.

შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნებაშიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ბექთარი, ასევე ჯაჭვის პერანგი, თორი და ე.წ. რაინდული ჯავშანი, რომელიც, ძირითადად, გავრცელებული იყო XIV-XV სს. დასავლეთ ევროპაში.

შუა საუკუნეების ქართველი მეომრის აღკაზმულობაზე საუბრისას, ივ. ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: „სამწუხაროდ, არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან სადმე, საქართველოში ამჟამად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ცოიგჰაუსში (იარაღის მუზეუმში) ნახავს ადამიანი საქართველოდან XIX საუკუნეში გატანილს, მანიკენზე ჩამოცმულს XIII საუკუნის რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს".



ქართველი მეომრის აღკაზმულობა.
XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

ბეგთარი და ჯაჭვის პერანგი ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში გვიანფეოდალურ ხანამდე გვხვდება. კონკრეტულად ჯაჭვის პერანგი კი იმდენად პოპულარული იყო, რომ საქართველოს მთიან ზოლში, მაგალითად ხევსურეთში, XIX საუკუნეშიც აქტიურად იქსოვებოდა და პრაქტიკულად გამოიყენებოდა.

ჯაჭვის პერანგებს ძვ. წ. III-II საუკუნეებიდანვე იცნობდნენ. ამას ადასტურებს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც კლდეეთშია აღმოჩენილი.



გურიის მთავარი მამია გურიელი. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

ბრინჯაოს ჯაჭვის პერანგის ნაშთის ყოველი რგოლი ფარეშიანი თვლებითაა შეკრული, რაც განვითარების ერთ-ერთ მაღალ საფეხურზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ სულხან-საბასა და ივ. ჯავახიშვილს ჯაჭვის პერანგის კლასიფიკაციისათვის ერთ-ერთ პრინციპად აღებული აქვთ ჯაჭვის რგოლის – „ჭიკუს" თავების შეკვრის წესი, ესენია – ფარეშიანი, უფარეშო და დადუღებული. ფარეშიანია ჯაჭვი, თუ ჭიკუს თავები შეკრულია სამსჭვლით, უფარეშო – რომლის თავებიც მხოლოდ მიახლოებულია, ხოლო – დადუღებული, როდესაც თითოეული ჭიკუს თავები შედუღებულია ერთმანეთზე. საინტერესოა, რომ ხევსურები დადუღებულ ჯაჭვს მიიჩნევდნენ ყველაზე საუკეთესოდ, რომელიც იქ, ძველად, ხუთ ძროხად ფასობდა, ფარეშიანი – ერთი ძროხით ნაკლები ღირდა, ხოლო უფარეშო კიდევ უფრო ნაკლები.

საქართველოში ჯაჭვის პერანგებს, უმეტესად, ფოლადისაგან ამზადებდნენ. ფოლადის სხეპლისაგან ჰკრავდნენ ჯაჭვის თვალს (ჭიკუს). თვალის ფორმა ნებისმიერი შეიძლება ყოფილიყო, ძირითადად – მრგვალი. მოხელე-ზეინკალი (ზეინკალი-აბჯრის მკეთებელია) ადიდას საშუალებით ფოლადის მავთულს სათანადო ზომას მისცემდა, შემდეგ მიღებულ სინს მრგვალ ჯოხზე დაახვევდა და რგოლებს სათითაოდ მაკრატლით დაჭრიდა. ჭიკუს დიამეტრიც სხვადასხვა ზომისა იყო. ამის შემდგომ იწყებოდა სათითაო რგოლის ასხმა, ერთი ჯაჭვის შესადგენად საჭირო იყო დაახლოებით 15 000-20 000 ჯაჭვის რგოლი. ჭიკუს რაოდენობა დამოკიდებული იყო ასასხმელი ჯაჭვის მოცულობაზე.

სულხან-საბა ორბელიანი გულმკერდის საცავ საჭურველს ასე განმარტავს: „ჯავშანი არს აბჯარი რკინისა, ტანსაცავამი ჯაჭვი. ხოლო ამა ჯავშანთა გვარნი არიან ხუთ: სამანქანი, ზეიდალი, ხოსროანი, ქირაფქა და ჯაბალა," შემდეგ აღწერს თითოეულ მათგანს. სულხან-საბას განმარტებიდან ჩანს, რომ ყველაზე საუკეთესო ჯაჭვის პერანგი სამანქანურია. საგულისხმოა, რომ სამანქანური და ზეიდალური ჯაჭვის შესახებ სვანეთის საისტორიო წყაროში დაცულია ცნობა, კერძოდ, XV საუკუნის ბოლოს, სვანებს დაუხოციათ ჯაფარიძეები. ჯაფარიძეე-

ბს სისხლის სანაცვლოდ გადასახადი შეუწერიათ სვანებისათვის. მათ შორის დასახელებულია „სამასი სამანქანური და ზეიდალური აბჯარი“, რაც აშკარად მიუთითებს, როგორც ჯაჭვის პერანგის ფართოდ გავრცელებაზე, ასევე მისი ქსოვის ტრადიციებზე. დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, „დაუდევით სიგელი სუანთა და გარდაიხადეს“. ე.ი. სვანებმა შეძლეს შეწერილი სამასი ჯაჭვის პერანგის გადახდა.


კიდურსაცავი იარაღები. მეომრის ჯავშნის ნაწილს შეადგენდა ლითონის საწვივე, რომელიც მეომრის ფეხს ფარავდა მუხლიდან ტერფამდე. საწვივეები ანუ კნემიდები, წმინდა ბერძნული აღჭურვილობის ნაწილია. საქართველოში ანტიკური ხანის ძეგლებიდან ცნობილია სამი წყვილი საწვივე, ისინი ბრინჯაოსია, ძირითადად ერთი ტიპისა. მუხლი და კუნთები რელიეფურადაა გამოყოფილი, სიგრძეზე გასდევს რელიეფური ქედი. აღმოჩენილია, ასევე, ბრინჯაოს ე.წ. საბარკულები, რომელიც ანტიკური ხანის ძეგლებზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

საბარკული „ვეფხისტყაოსანშიც“ არის მოხსენიებული: „ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგვანი.“ როგორც ჩანს, ეს იარაღი მეომრის თავდაცვითი საშუალების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. საბარკული სულხან-საბასაც აქვს განმარტებული, როგორც „საწვივე აბჯარი“. ხოლო კონკრეტულად მუხლის დასაცავ ლითონის ფირფიტას სულხან-საბა საყირმუზას უწოდებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დამოწმებულია ქვედა კიდურების დასაცავი საშუალება, მუხლებს ქვემოთ ასაფარებელი ჯაჭვი, რომელსაც საჩერნე ეწოდება. იგი წარმოადგენს წაგრძელებული მართკუთხა ფორმის ნაქსოვ ჯაჭვს, რომელსაც ხმარობდნენ, როგორც მარტო წვივის (ჩერნის), ასევე, ბარკალ-წვივის დასაცავად. საჩერნეზევე იყო ხშირად დამაგრებული საყირმუზაც. ამ ჯგუფის იარაღთაგან ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ჯაჭვის შარვლებიც. ჯაჭვის შარვალი წარმოადგენს ნაქსოვ ჯაჭვს, რომელიც ტყავის შარვალზეა გადაკრული. ჯაჭვზე ლითონის საყირმუზა-პოლოტიკებია დამაგრებული.


ზედა კიდურების დასაცავი იარაღებიდან აღსანიშნავია ხელნავი და ჯაჭვის საფუხრეები. ხელნავი, საბას განმარტებით, „საომარი სამკლავეა“ ის წარმოადგენს ნავისებური ფორმის რკინის ან ფოლადის ფირფიტას, რომელიც მეომრის ხელს იცავს მაჯიდან იდაყვამდე. მაჯასთან და იდაყვთან იკვრება ტყავის თასმისა და ბალთის საშუალებით. ხელნავები არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა. ამ კიდურსაცავ იარაღს, სხვადასხვა ინტერპრეტაციით, მსოფლიოს მრავალი ხალხი გამოიყენებდა. ჯაჭვის საფუხრეები (საბუხარი-საფუხარი, ხელსაცვამი) კი ხელის მტევნის დასაცავი საშუალებაა. არსებობს ორი სახის საფუხრე: პირველი – ჯაჭვის ნაქსოვი ხელთათმანია, რომელშიც გამოცალკევებულია მხოლოდ ცერა თითი, ხოლო მეორე – არა ხელთათმანი, არამედ ტყ-

ავზე დამაგრებული ჯაჭვია, რომელიც ხელის მტევანს ზემოდან იცავს. ცერა თითი გაყრილია ტყავის ქვემოთ არსებულ თასმაში, ასევე, თასმით მაგრდება ხელის გულზეც. საფუხრეები ხელნავებთან ერთად თითქმის XX საუკუნემდე გამოიყენებოდა ქართველ მთიელთა შეიარაღებაში.

თავდაცვითი იარაღებიდან ცალკეა გამოყოფილი **ფარი.** საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე შედარებით იშვიათია ფარის აღმოჩენის შემთხვევები. მათი მცირერიცხოვნება, ნაწილობრივ, შეიძლება იმით აიხსნას, რომ ფარი ტყავგადაკრული ხისა იყო, ტოტებისაგან დაწნული და მიწაში არ შემოინახა. სამაგიეროდ, გვაქვს ლითონისსაფარიანი ნიმუშები, რომლებიც



ხევსურული ფარი. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



სპარსული ფარი. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

გარსაკრავების მიხედვით, რამდენიმე სახის გამოირჩევა: მთლიანად ლითონის ფურცლით დაფარული, ლითონის სარტყელებით ანუ ვიწრო ფურცლებით დაფარული და ლითონის უმბონებიანი.

ფარის მასალაზე საუბრობენ ბერძნული წყაროები (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი), რომლის მიხედვით კოლხებს და იბერებს ტყავის ფარები ჰქონდათ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტყავისა და ხის ხმარება ფარის დამზადებაში, მთელი ისტორიის მანძილზე უწყვეტ ჯაჭვად მომდინარეობს და ქართული ეთნოგრაფიული მასალითაც დგინდება. მოგვიანო ხანის ქართული ფარები ფორმათა მიხედვით მრგვალია (შუა საუკუნეებში კი ძირითადად გავრცელებული იყო სამკუთხა, მრგვალი და ოვალური ფორმის ფარები),

ხოლო დამზადების ტექნიკის მიხედვით გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი: 1. ხის ფარი ტყავგადაკრული, 2. ტყავის ფარი ლითონით შეკრულ – შეჭედილი და 3. ლითონის ფარი ლითონითვე შეკრულ-შეჭედილი.

ფარის დამზადება დიდ დახელოვნებას და გამოცდილებას მოითხოვდა, ამ საქმეში საგანგებოდ დახელოვნებული მჭედელი იყო საჭირო. ფარის მასალად ხმარობდნენ ხარის გავის „ნეჯების" ტყავს. გამოიყენებოდა კამეჩისა და ღორის ტყავიც. ფარის ტყავს გასაშავებლად გაჭვარტლული ქონით ჩაგლესავდნენ. ქართული ფარის დიამეტრი 30-40 სმ. იყო. ფარის ტყავ-ლითონი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო მიკრული ლითონის სამსჭვლებით. ტყავის ზედაპირზე, შუა გულში აკრავდნენ ოთხკუთხი ფორმის რკინას ანუ „გუმბათის ხატს," რომლის კუთხეები წაგრძელებული იყო რკინის წვრილი შოლტებით – „ხიდებით", ზედაპირზე, ასევე, ჯვარედინად გადაეკვრებოდა რკინის ორი შოლტი. ყველა ამ ექვს შოლტს ზევიდან შემოვლებული ჰქონდა კონცენტრული რკალები ანუ გირგოლები. გირგოლების რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო ერთი, ორი ან სამი, რის მიხედვითაც განასხვავებდნენ ერთგირგოლიან, ორგირგოლიან და ა.შ. ფარებს. ფარის მუცელზე რკინის კაპებს ჩაამაგრებდნენ, რომელზეც ჩაბმული იყო ტყავის სახელურები ანუ „საბღუჯი". საბღუჯის ქვემოთ ფარის ორ კაპზე გამობმული იყო ტყავის სამხრე ანუ სამხარიღლიე. საქართველოში სხვადასხვა ზომის ფარებსაც ხმარობდნენ, რომელთაც შესატყვისი ტერმინებიც გააჩნდათ. მაგ. „დელამფარი" დიდი ზომის ფარს ნიშნავს, ხოლო საბას განმარტებით – „პელტ-ეწოდების მცირესა ფარსა". ფარის აღმნიშვნელ ტერმინად ძველ ქართულში გვხვდება „დარაკა". შოთა რუსთაველიც ხმარობს ამ ტერმინს „შემოვლო, ახლოს შემოჰყვა მონა ხმალ-დარაკიანი". ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია პატარა ფარის, „უბისფარის" არსებობაც, რომელიც ჩვეულებრივ ფართან შედარებით ძალზე პატარაა. მისი დიამეტრი 20-22 სმ-ია. ასეთი ფარები მხოლოდ ერთგირგოლიანია, დამზადებულია რკინის ფირფიტისაგან და შეჭედილია რკინითვე. უბის ფარს ფარულად, გულის დასაცავად ჩოხის ქვეშ, უბეში ატარებდნენ. მას საბრძოლველადაც იყენებდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მებრძოლს არ გააჩნდა სხვა იარაღი, მარჯვენა ხელით ამოაძრობდა უბიდან, საბღუჯით ჩოხისკენ მოქცეულ ფარს და მოწინააღმდეგეს შემოჰკრავდა, ჩააფარებდა. შესაძლოა, ეს ზმნაც – „ჩაფარება" აქედან მომდინარეობდეს. გვიანფეოდალურ საქართველოში გარდა საბრძოლო დანიშნულებისა, ძვირფასი, ოქროსა თუ ვერცხლის ფარის ქონა პიროვნების წარჩინებულობასა და სიძლიერეზე მიუთითებდა. ძვირფასი ფარი და ხმალი ფეოდალური საქართველოს საცხოვრებელი სახლის კედლის მორთულობასაც წარმოადგენდა, რომელიც თვალსაჩინო და ადვილად ხელმისაწვდომ ადგილზე ეკიდათ. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ფარების ეკლესიაში შეწირვის წესიც. ეკლესიის კედლებზე ჩამოკიდებული ფარები დღესასწაულებზე გარეთ გამოჰქონდათ და ისარს მიზანში ესროდნენ.

თავი IX

ციხე-ქალაქები და საფორტიფიკაციო ნაგებობანი

ქალაქები, გამაგრებული საფორტიფიკაციო სისტემები. შუა საუკუნეებში, ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, დიდი თუ მცირე დასახლებული პუნქტები კარგად დაცულ საფორტიფიკაციო სისტემებს წარმოადგენდნენ. ციხეებისგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად მიუვალ, ციცაბო კლდეებზე, ხეობების ჩამკეტ გასასვლელებში იყვნენ აშენებულნი, ქალაქები, ძირითადად, საქარავნო-სავაჭრო გზებზე მდებარეობდნენ. საქალაქო დასახლების ტიპი, რომელიც ეკონომიკურ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული, აერთიანებდა საქარავნო-სავაჭრო გზებს. ისინი კი თავს იყრიდნენ სამდინარო გასასვლელებზე ან საზღვაო-საპორტო მისადგომებთან. ქალაქთა უბნებს ხშირად მდინარე ჰყოფდა, რომელიც ხიდების ან ბორნების საშუალებით აკავშირებდა მათ. თავის მხრივ, ეს უბნები ცალკეულ საფორტიფიკაციო სისტემებს წარმოადგენდნენ.


შუა საუკუნეების ქალაქი წარმოუდგენელი იყო თავდაცვითი, საფორტიფიკაციო ნაგებობების გარეშე. იმ დროისათვის, იმდენად მაღალი იყო საგარეო საფრთხეები, რომ ქალაქის მშენებლობის, მისი განვითარების და ტერიტორიული ზრდის პარალელურად ხდებოდა მისი თავდაცვითი პოტენციალის სრულყოფა. ქალაქს, ძირითადად, რამდენიმე თავდაცვითი ზღუდე ჰქონდა. ერთი, რომელიც უშუალოდ ერტყა მთლიანად ქალაქს, წარმოადგენდა თავდაცვის პირველ ხაზს და ეს იყო ქვითკირით, ალიზით გამაგრებული გალავანი. თავდაცვის სისტემებში ხის მასალაც გამოიყენებოდა.

გალავნის კედლების მასალა. ციხის გალავანი ძირითადად ალიზის და ქვითკირის იყო, მაგრამ ამ ქვას დამუშავება სჭირდებოდა. მისი დამუშავებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რკინის იარაღს. რკინის გამოყენება კი საქართველოში ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში საქართველოში რკინის იარაღიც ჩნდება და ქართლის სამეფოში არსებული ციხე-ქალაქების გალავანი უკვე თლილი ქვით არის ნაგები. პირველი ცნობა „ქართლის ცხოვრებაში“ ქალაქის და მისი შემოგარენის ქვით გამაგრების შესახებ, მიეკუთვნება ძვ. წ. III საუკუნეს: ნებროთის ნათესავმა არდამ (ერისთავი არდამი) „მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქჳთკირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქჳთკირისა. და ამის გამო დაისწავლეს ქჳთკირი. მან არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდა ცხჳრი არმაზისი ვიდრე მტკურამდე.[17]

---

17 უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის განათხარ ძეგლებში კირის დუღაბი არ დასტურდება, დამოწმებულია მხოლოდ თლილი ქვა. ა. აფაქიძის მტკიცებით, არმაზის ციხეში კირის დუღაბს ძვ. წ. III საუკუნიდან იყენებდნენ, მაგრამ ი. გაგოშიძე აღნიშნავს,

ქალაქებს რამდენიმე შესასვლელი კარი (ალაყაფი) ჰქონდათ და ეს დამოკიდებული იყო, თუ რა სიდიდის იყო ქალაქი და რამდენად მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე მდებარეობდა (IX საუკუნის თბილისს არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით ხუთი კარი ჰქონდა: მოედნის კარი, ყარსის კარი, მცირე კარი, რაბადის კარი და სოღდებილის კარი). ყველა ამ კარის ჭიშკარს საგანგებოდ იცავდნენ გარნიზონის მეციხოვნენი. ქალაქის გალავნის წინ, ძირითადად, ალაყაფის შესასვლელთან გაკეთებული იყო თხრილი, რომელიც თავდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. გალავნის სიმტკიცეს განაპირობებდა მისი კედლების მდგრადობა, სისქე, ასევე – მასში ჩაშენებული ბურჯების, კოშკების სიმტკიცე და რაოდენობა. ბურჯები მეტ სიმყარეს აძლევდნენ კედლებს და, ამავე დროს, თავდაცვის მნიშვნელოვან სისტემებს წარმოადგენდნენ. კონსტანტინეპოლის სახმელეთო გალავნის კედლების სიგრძე 8-9 კილომეტრს აღწევდა, მაშინ, როცა მას ზღვის წყალი სამი მხრიდან ერტყა. ამ სახმელეთო კედლებში, დაახლოებით, 190 ბურჯი იყო ჩაშენებული. XIII საუკუნეში, ეგვიპტის საზღვაო პორტის დამიეტას კედლებს 28 ბურჯი ჰქონდა. მას, ასევე, ორმაგი გალავანი ჰქონდა გარშემორტყმული. გალავნებს შორის არსებული სივრცე დაცული იყო თხრილით, რომელზეც გადებული იყო ხიდი, რაც პირველ თავდაცვით ზღუდეს მეორე გალავნის ალაყაფის კართან აკავშირებდა.



თბილისი. XVII ს. ჟან შარდენის ნახატი

მეორე თავდაცვითი ზღუდე, **ციტადელი**, ქალაქის ყველაზე უფრო გამაგრებული ადგილი იყო და მდებარეობდა ან მის შუაგულში, ან განაპირა მხარეს, შემაღლებულ ადგილზე. სწორედ ამ ციტადელში იყრიდა ხშირად თავს ხელისუფლების წარმომადგენელთა, გარნიზონის დაცვის მეთაურთა რეზიდენციები, სახლები, დარბაზები. ქალაქს, ასევე, გააჩნდა ბუნებრივი ზღუდეები, მდინარეების, კლდოვანი ნაპრალების სახით. ციხის გალავანთან მდინარეზე გადებული ხიდი, ასაწევ მექანიკურ საშუალებასაც წარმოადგენდა და მტრის მიახლოების შემთხვევაში, გარნიზონის დამცველები მექანიკური გორგო-

რომ იმავე ეპოქის ნაქალაქარ სამადლოზე არ შეხვედრია კირის დუღაბი.

ლაჭების საშუალებით სწევდნენ ხიდს მაღლა, რაც მომხდურ მხარეს საშუალებას უსპობდა, მიახლოებოდა გალავნის კარიბჭეს. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა მტრის მიახლოების შემთხვევაში ციხის დამცველები წვავდნენ ხიდს და საერთოდ, მისასვლელ საშუალებებს ქალაქის კარიბჭესთან. უმეტეს შემთხვევაში, ქალაქები მდინარის ორივე ნაპირზე იყო გაშენებული და ორივე უბანი ქვის გალავნით იყო დაცული, რაც კიდევ უფრო მტკიცეს ხდიდა მის თავდაცვისუნარიანობას. ამ შემთხვევაში, მომხდურ ძალას უწევდა ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საფორტიფიკაციო ნაგებობის აღებისათვის ბრძოლა, რომელთაც განსხვავებული ნიშან-თვისებები ჰქონდათ. ასეთი ტიპის დასახლებულ და გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა შუა საუკუნეების თბილისი. მისი თავდაცვის მთავარ ციტადელს, მთაზე აღმართული კალას ციხე წარმოადგენდა. მეორე ციხე (მეტეხის ციხე) ისნის ტერიტორიაზე მდებარეობდა. შუა საუკუნეებში, კერძოდ, ერთიანი საქართველოს სამეფოს პერიოდში, ისნის მიდამოებში თავმოყრილი იყო სახელმწიფო დანესებულებები და სამეფო რეზიდენციები. მტკვრის ორივე მხარეს არსებული დასახლება მტკიცე გალავნით იყო შემოზღუდული. თბილისის ურბანისტული დასახლების ძირითადი ნაწილი მეიდანის, აბანოთუბნის ტერიტორიაზე მდებარეობდა, რომელსაც ქვის გალავანი ერტყა. ფრანგი მოგზაურის, შარდენის 1673 წლის სურათზე, აბანოთუბნის მტკვრის სანაპირო მდინარისკენ უკედლოა, ქალაქის ძირითად ნაწილს, მხოლოდ, მთის მხრიდან მთელი პერიმეტრის გაყოლებაზე მიჰყვებოდა გალავნის ერთიანი კედელი. რაც შეეხება, კალას ციხეს, რომელიც მთის წვერზე იდგა, მასში მოქცეული დასახლება მტკვრის სანაპირომდე გალავნის კედლით იყო დაცული. განსხვავებული სურათი გვაქვს 1701 წლის ნახატზე, რომელიც შესრულებულია ფრანგი ბოტანიკოსის და მოგზაურის ტურნეფორის მიერ, სადაც მდინარის გაყოლებაზე ქალაქის დასახლებას ქვის კედელი არტყია. XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები დეტალურად აღწერს კალას ციხეს და აღნიშნავს, რომ თბილისის დიდი ციხის გარშემო 6 ათასი ნაბიჯია, კედლების სიმაღლე 60 წყრთაა, მასში 70 ბურჯია და გალავანს სამი ათასი ქონგური აქვს. იგი გამოჰყოფს თბილისის დიდ და პატარა ციხესაც. დიდი ციხე, მისი გადმოცემით, კალაა, ხოლო პატარა ციხე, მეტეხი უნდა იყოს. XVIII საუკუნის გეოგრაფს და ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონს მოცემული აქვს თბილისის ციხის აღწერა: „კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ჴევი მტკურამდე. მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდისა ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შუენიერნი. მეფემან როსტომ (როსტომ ხანი – 1632-1658), ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ჴიდის ყურამდე“. რაც შეეხება, ქალაქის მეორე უბნის, ისნის აღწერილობას, ვახუშტი გადმოგვცემს, რომ: „ისნს (ისანი) არს, კიდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა. აქ განვალს ჴიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა. ხოლო ჴიდის ყურის სამჴრით არს საფლავი წმიდისა

აბოსი.“ XIX საუკუნის თბილისის მცხოვრები სომეხი იოსებ შაგუბატოვი, დეტალურად აღწერს XIX საუკუნის 10-იანი წლების თბილისს: „ტფილისი უწინ სამი ქალაქისგან შედგებოდა. კერძოდ, ტფილისი, კალა და ისანი. ქალაქის სამხრეთ ნაწილში კლდოვან მთაზე დგას ციხე-სიმაგრე, საიდანაც მტკვრის ნაპირამდე დაშვებულ დამრეც ღარტაფზე ამფითეატრის მსგავსადაა გაშენებული ქალაქი.“ შაგუბატოვი გადმოგვცემს, რომ ციხის წვერიდან მდინარე მტკვრამდე გაყვანილი იყო მინისქვეშა გვირაბები, რომლებიც „ალყაშემორტყმულთა წყლით მომარაგებისათვის“ იყო განსაზღვრული. ერთი გვირაბი ავლაბრის ხიდის ქვეშ ჩადიოდა, ხოლო მეორე, ციხის დასავლეთით არსებულ წყაროებს უერთდებოდა. ავტორი აღწერს, ასევე, ქალაქის მეორე მხარის, მეტეხის ადგილმდებარეობასაც და აღნიშნავს, რომ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაშენებული იყო მეტეხის ციხე-სიმაგრე, უწინ ლამაზი და ძლიერი, რომელიც დაუნგრევიათ.



თბილისი XVIII ს-ის დასაწყისი. ტურნეფორის ნახატი

ალყის დროს, ამ ციხესაც ჰქონდა მინისქვეშა გვირაბები წყლის მოსამარაგებლად.[18]

18 მეტეხის ციხე XVII საუკუნეში როსტომ ხანმა განაახლა, მაგრამ დროთა განმავლობაში დაირღვა. შემდეგ ერეკლე II-მ განაახლა, მაგრამ აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ ძალიან დაზიანდა. XIX საუკუნეში, რუსული მმართველობის დროს, ერმოლოვის მთავარმმართველობის პერიოდში, მეტეხის ძველი ციხე-სიმაგრე დაანგრიეს და მის ადგილზე ყაზარმული ციხის კორპუსები ააგეს.

გარდა ბუნებრივი ზღუდეებისა, გალავანს ხშირად გარს ერტყა თხრილი, რომელიც, ძირითადად, წყლით იყო ამოვსებული და მასზე გადებული იყო ხიდები. მტრის მიახლოების შემთხვევაში, ამ ხიდებს ანგრევდნენ, ან მის სიახლოვეს თავდაცვით ტრანშეებს აწყობდნენ, რომელიც კიდევ ერთ დაბრკოლებას ჰქმნიდა გალავნის კარიბჭესთან მიმავალ გზაზე. გარშემოვლებული თხრილი, გარდა იმისა, რომ მიახლოების საშუალებას უსპობდა მტრის ცოცხალ ძალას, ასევე, აბრკოლებდა საალყო კოშკების გალავანთან მიახლოებასაც. გარდა უშუალო თავდაცვითი ზღუდეებისა, ქალაქებს გააჩნდათ მიმდებარე, მის სიახლოვეს ან მოშორებით მდგარი ციხე-კოშკები, ან უშუალოდ ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ქალაქებისკენ მიმავალი გზების ჩამკეტი ხეობების თავზე ან მის დამაკავშირებელ მაგისტრალებზე მდებარეობდნენ. ამ ციხეების ფუნქციას წარმოადგენდა გარემოს სივრცის კონტროლი, სადარაჯო და საბაჟო საქმეც.



ალეპოს ციტადელი

ანტიკური ეპოქის მცხეთა მტკვრის და არაგვის შესართავთან იყო გაშენებული. მისკენ მიმავალი საქარავნო-სატრანზიტო მაგისტრალები ციხე-სიმაგრეებით იყო ჩაკეტილი. მცხეთისკენ სამი ძირითადი მაგისტრალი მიემართებოდა, რომლებიც თავს, სწორედ, მცხეთასთან იყრიდნენ. ჩრდილოეთიდან არაგვის ხეობით მიმავალ გზაზე, ბებრისციხის პირდაპირ, მდინარის მარცხენა მხარეს მდებარეობდა სევსამორას ციხე-სიმაგრე. დასავლეთიდან მიმავალ გზაზე მტკვრის ხეობაში, მარცხენა ნაპირზე იდგა ციხე-სიმაგრე სარკინე. აღმოსავლეთიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ მთაზე იდგა არმაზციხე. ეს საფორტიფიკაციო სისტემები გამაგრებულ ციხე-ქალაქებს წარმოადგენდნენ,

რომლებიც, პირველ რიგში, ქართლის მთავარი ქალაქის, მცხეთის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. სამივე თავდაცვითი სისტემა ქმნიდა დიდი მცხეთის საერთო საქალაქო კომპლექსს.

გამაგრებული ციხე-ქალაქები იყვნენ, არა მარტო სავაჭრო და სატრანზიტო ცენტრები, არამედ წარმოადგენდნენ ხელისუფლების სიმბოლოს და მეფეთა, მთავართა, სენიორთა და საეკლესიო იერარქიის უმაღლეს პირთა რეზიდენციებს. ვახუშტი ბაგრატიონს ნათლად აქვს აღნიშნული ციხე-ქალაქის ფლობის მნიშვნელობა ფეოდალური წრისათვის: „მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ჴეობანი და თჳნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად“.

რაც შეეხება საპორტო ქალაქებს, მათ კიდევ უფრო სერიოზული თავდაცვითი ბუნებრივი ზღუდე გააჩნდათ. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს უხდებოდა დამატებითი რესურსების მოძიება, რათა ზღვიდან მოეხდინა ქალაქის ბლოკირება. ხშირ შემთხვევაში, ეს ძალიან რთულად შესასრულებელი მისია იყო, რადგან ეს საჭიროებდა საზღვაო-სამხედრო ძალების, საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების მობილიზებას, მოიერიშე რაზმების განთავსებას საცურაო საშუალებებზე, რაც ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამავე დროს, მტერს ხმელეთიდანაც უნდა შეეტია ქალაქის გალავანზე, რაც, ფაქტიურად, ერთიანი საბრძოლო გეგმის შემუშავებას საჭიროებდა, ეს კი, მხოლოდ დიდ სამხედრო შენაერთებს შეეძლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალყა აზრს კარგავდა, რადგან ხმელეთიდან ალყაშემორტყმული ქალაქი ზღვიდან მარაგდებოდა თავდაცვისათვის საჭირო საშუალებებით, იქნებოდა ეს ცოცხალი ძალა თუ სურსათ-სანოვაგე და იარაღი.

ძველი კოლხეთის საზღვაო ქალაქის ფაზისის სიმაგრეების აღწერილობა შემოგვინახა II საუკუნის ბერძენმა ისტორიკოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ ფლავიოს არიანემ. ნაშრომში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (რომელიც მან გაუგზავნა რომის იმპერატორს ადრიანეს, რადგან დავალებული ჰქონდა რომაელთა სასაზღვრო სისტემის (ლიმესის) ინსპექცია კოლხეთის სანაპიროებზე), ავტორი მოგვითხრობს: „თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება 400 რჩეული მეომარი, მე მეტად მიუდგომლად მეჩვენა ადგილის ბუნების მიხედვით, ხოლო უშიშროების თვალსაზრისით კი მეტად მოხერხებულია ადგილზე მოთავსებულად აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა. ნინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდება ბარბაროსთაგან და არც ალყის საფრთხე მოელოდათ ციხის დამცველთ. ხოლო რადგან ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდთათვის, საიმედო უნდა გამხდარიყო აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც

დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებითა და ვაჭრებით. გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარემდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს". არიანე მოგვითხრობს, ასევე, აფსაროსის და სებასტოპოლისის სიმაგრეების შესახებ. ეს ცნობა ერთ-ერთი ნათელი წყაროა ძველი ქართული საპორტო-საფორტიფიკაციო ნაგებობების შესასწავლად.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საზღვაო აკვატორიას ქალაქის დაცვისათვის, კონსტანტინეპოლის სიმაგრეების აღწერილობაც კმარა. მას სამი მხრიდან ერტყა წყალი, რაც კიდევ უფრო მტკიცეს ხდიდა მის თავდაცვისუნარიანობას.

XII-XIII საუკუნეების არაბი მემატიანის და მოგზაურის, იბნ ჯუბაირის გადმოცემით, შუა საუკუნეების ტირს (ტიროსი, ისტორიული ფინიკია, დღ. ლიბანი) ჰქონდა ორი შესასვლელი კარი, ერთი – ხმელეთის მხრიდან, მეორე – ზღვის სანაპიროსკენ მიმართული. „ზღვა სამი მხრიდან ერტყმის ქალაქს. ხმელეთის კარები იმდენად მიუვალია, რომ იქ მოხვედრა შეიძლება სამი ან ოთხი გვერდით აგებული გამაგრებული კედლების გავლით. ზღვიდან შესასვლელი კარები ფლანგებიდან დაცულია ორი გამაგრებული კოშკით, რომლებიც დგანან ნავსადგურის შესასვლელში. გემები დაცურავენ კედლების ქვემოთ და დგებიან რეიდზე. ამ ორ კოშკს შორის გაბმულია ჯაჭვი და როცა მას ზევით სწევენ, არ აძლევენ გემებს ნავსადგურში შესვლის უფლებას.

ჟაკ დე ვიტრი ეგვიპტის ქალაქ დამიეტას ნავსადგურის და ქალაქის კედლების დათვალიერებისას, აღნიშნავდა, რომ ქალაქი მდებარეობდა ნილოსის დელტასთან. ქალაქის პორტთან შემავალ გავანში, ზღვაში, პატარა კუნძულზე, რომელიც უფრო კლდის შვერილს წააგავდა, იდგა მაღალი კოშკი, რომელიც ნავსადგურთან, ქალაქის სანაპირო სიმაგრესთან დაკავშირებული იყო მსხვილი ჯაჭვით და კეტავდა ნავსადგურში შემავალ გზას. ჟაკ დე ვიტრი, ამის გამო, ამ კოშკს „ჯაჭვის კოშკს" და ქალაქის გასაღებს უწოდებს. კოშკის აღებას ჯვაროსნები სამ თვეს მოუნდნენ. ჯვაროსანთა ესკადრა 1218 წლის 29 მაისს დამიეტასთან, ნილოსის შესართავთან გადასხდა, ხოლო ეს კოშკი 1218 წლის 24 აგვისტოს იქნა აღებული. ამ ამბების თვითმხილველი ჟაკ დე ვიტრი დეტალურად გადმოგვცემს ამ ისტორიას: „აუცილებელი იყო დაგვეპყრო განსაკუთრებულად გამაგრებული კოშკი, რომლის აღებაც ბალისტებით ან ე. წ. ტარანებით შეუძლებელი იყო. ქვემოდან კედლებსაც ვერ ავაფეთქებდით, ვინაიდან კოშკი შუა ნილოსში, კუნძულსა და ქალაქს შორის იდგა. ქალაქსა და სანაპიროს შუა გაჭიმული ჯაჭვები ჩვენს ხომალდებს მდინარეზე აღმასვლის საშუალებას არ აძლევდა. ამ კოშკის ალყის დროს ბევრმა ჩვენიანმა წამებულის გვირგვინი დაიდგა; მიუხედავად ამისა, მტრის მხრიდან დახოცილთა რიცხვი ქრისტიანთა ბანაკიდან დაღუპულებს ბევრად აღემატებოდა. გემების თავზე კიბეები აღვმართეთ, რომ კოშკს მივდგომოდით, მაგრამ მტერმა, რომელიც

კოშკიდან ურიცხვ ისარს, ბერძნულ ცეცხლსა და უზარმაზარ ქვებს გვესროდა, მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია. მდინარის წყლისა და შეიარაღებული ადამიანების დარტყმის შედეგად კიბეები დაიგლიჯა, რის გამოც მამაცი წამებული მეომრები წყლის დინებამ გაიტაცა. მაშინ, როცა კეთილშობილმა და ძალმოსილმა ლაშქარმა ამ კოშკის შტურმით აღების იმედი თითქმის დაკარგა, ზოგიერთმა ღარიბმა, უფლის ერთგულმა და მორჩილმა ადამიანებმა, ფრიზებმა[19] სხვადასხვა გზით ორი გემი გადააბეს ერთმანეთს, შემდეგ ამ საზიდარზე ორი ათასი მარკის ღირებულების გასაოცარი და არნახული მანქანა დიდი გაჭირვებით აღმართეს. ზემოთ კიბე გააკეთეს, ხოლო მის ქვეშ მბრუნავი ხიდი და ციხე-სიმაგრე, რომელიც კიბეს გადმოჰყურებდა, რაც შესაძლებლობას აძლევდა მთელი ნაგებობა დაეცვათ. ეს ფრიზები ქედმაღლები სულაც არ არიან, ისინი მთელ იმედს უფლის შეწევნაზე ამყარებენ. მარხვის, რიტუალების ჩატარების შემდეგ ლოცვითა და ცრემლით კოშკზე შეტევა ამ მოწყობილობით დაიწყეს. კოშკში მებრძოლებს შორის საუკეთესო ორას ორმოცდაათი სარაცინი იყო. მათ ცეცხლი ისროლეს, რომელიც ჩვენების მიერ მიდგმული კიბის პირველ ნაწილს მოედო. ერთმა გაბედულმა ჩვენიანმა დროშით ხელში სცადა მარტოდმარტოს შეეღწია კოშკში, მაგრამ ჩამოვარდა და დაიღუპა; ამასობაში დანარჩენები კიბის სხვა ნაწილზე გადავიდნენ და მედგრად უძლებდნენ ქვებსა და მტრის შუბებს. მომლოცველები, დიდებულები თუ უბრალო ადამიანები მიწაზე ეცემოდნენ, თავზე მტვერს იყრიდნენ, კვნესითა და ტირილით შესთხოვდნენ უფალს შეებრალებინა თავისი ხალხი, რათა სხვა ერებს არ ეთქვათ: „სადაა მათი ღმერთი?“ მაშინ ჩვენებმა კედელს დამწვარი კიბის ნარჩენები მიაყუდეს. მომლოცველთა ცრემლითა და ლოცვით გამხნევებულებმა, ასევე ღვთის რწმენაში განმტკიცებულებმა შეძლეს კოშკში გადამხტარიყვნენ მიუხედავად ცეცხლის, შუბების, ისრებისა თუ ქვების წვიმისა და მოკლეს კიდეც რამდენიმე სარაცინი, ხოლო სხვებმა კოშკის ქვედა ნაწილს შეაფარეს თავი. ვინაიდან ისინი ცეცხლს ზემოთ ისროდნენ, ხოლო ჩვენიანებმა კვამლსა და ბერძნულ ცეცხლს ვერ გაუძლეს, ამიტომ კიბეზე უკან დაიხიეს. ამასობაში ქვემოდან მბრუნავი ხიდი აამოძრავეს და ბევრმა ჩვენიანმა მოახერხა კოშკისთვის გარს შემოევლო. მათ მთელი ღამე კოშკის კართან ძლიერი ცეცხლი ენთოთ. შიგნით გამოკეტილმა ბევრმა სარაცინმა ვეღარ გაუძლო, ფანჯრებიდან გადმოეშვნენ, მდინარეში ჩაცვივდნენ და დაიხრჩვნენ, სხვებმა კი თავისიანების დახმარებით უშველეს თავს და გაიქცნენ. საბოლოოდ კოშკში დარჩენილი ასთორმეტი სარაცინი თავიანთი იარაღითა და საკვებით ჩვენიანებს ჩაბარდა.“ ამ კოშკის დაკავების შემდეგ ქალაქისთვის ალყის შემორტყმა გაადვილდა. მართლაც, ამ სიმაგრეს იმხელა მნიშვნელობა ჰქონდა დამიეტას დაცვისთვის და, ზოგადად,

19 ფრიზების (ჩრდილოეთ გერმანული ტომები, მათი სამშობლო ისტორიული ფრისლანდია) რაზმები მონაწილეობდნენ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ეგვიპტურ კამპანიაში.



ფრიზების მიერ დამიეტას კოშკის აღება. კორნელის კლას ვან ვირინგენი. XVII ს.

ეგვიპტისთვის, რომ მისი აღების გამო, ეგვიპტის სულთანი ალ-ადილი მწუხარებისგან გარდაიცვალა. იგი აცნობიერებდა, რომ ეს საშუალებას მისცემდა მტერს ალყა შემოერტყა ქალაქისთვის, შემოსულიყო ნილოსის დელტაში და გამაგრებულიყო ეგვიპტის სანაპიროზე.

ციხე-სიმაგრეები – თავდაცვის ზღუდეები. ციხე-სიმაგრე, სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების გარდა, სოციალური სტატუსის და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციის სიმბოლოც იყო – იგი სამოქალაქო-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა, საგარეო საფრთხეებიდან გამომდინარე, მისი პატრონები ცდილობდნენ, ის მიუვალ საფორტიფიკაციო ნაგებობად ექციათ. ანტიკურ ხანაში საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ძირითადად, სასაზღვრო ზოლში აგებდნენ. რომის იმპერიის საზღვარზე შექმნილი ლიმესების სისტემა, რომელიც წარმოადგენდა მთავარ თავდაცვით, საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელ ჯაჭვს, იმპერიის შიდა რაიონებს იცავდა, რადგან, თვით, ამ ტერიტორიებზე, პრაქტიკულად, არ არსებობდა ციხე-სიმაგრეთა ქსელი. ანტიკური ხანის საქართველოს რომაული ეპოქის სასაზღვრო თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი ნიმუშს წარმოადგენს აფსაროსის (XII საუკუნიდან – გონიოს) ციხე. აფსაროსი ლიმესის ის ნაწილი იყო, რომელიც შედიოდა პონტოს თავდაცვით ხაზში. შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს ტერიტორიაზე, ფაქტიურად, არაფერია დარჩენილი, გარდა აფსაროსის ციხისა. სავარაუდოდ, ამ სისტემის უკიდურესი ჩრდილოეთის ერთ-ერთ პუნქტს სებასტოპოლისის (სოხუმის) კასტელუმი წარმოადგენდა. აფსაროსის ციხე წყაროებში იხსენიება გაიუს პლინიუსთან (I ს.) და არიანესთან (II ს.). არიანეს ცნობით, აფსაროსში რომაული ლეგიონი – რამდენიმე ათასი მეომარი იდგა. აფსაროსი XVI საუკუნიდან ოსმალების ხელში იყო და მათ ჩაატარეს ციხის რეკონსტრუქცია, შეაკეთეს მისი ზედა ნაწილი. სწორედ, ოსმალების ბატონობამ შემოუნახა ეს

ციხე-სიმაგრე თანამედროვეობას, რადგან მათ ხელში იგი ფუნქციონირებდა და არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ციხის საერთო ფართობი 4,5 ჰექტარია, კედლების სისქე 2,3-3,1 მეტრს შორის მერყეობს, კედლებში 18 კოშკია. კოშკები სწორკუთხაა, მაგრამ მომრგვალებული ბოლოთი.

ადრეანტიკური ხანის კოლხეთისა და იბერიის სიმაგრეების უმეტესი ნაწილი ხის საფორტიფიკაციო ნაგებობები იყო. უძველესი ქართული ტომების საფორტიფიკაციო ნაგებობების შესახებ ცნობებს ვხვდებით ძველ ბერძნულ წყაროებში. ძვ. წ. V საუკუნის ავტორის ქსენოფონტეს აღწერილობით, ძველი ქართული მთიელი ტომების თავდაცვითი სიმაგრე, საგანგებოდ მოწყობილ თხრილებს, სანგრებს წარმოადგენდა, რომელიც ბუნებრივი სიმაგრეებით და რელიეფით იყო დაცული. ასეთი ტიპის ნაგებობები მიწაყრილზე იყო აგებული და მაღალი მესერი ერტყა. ქსენოფონტეს აღნიშნული აქვს, რომ ბერძენთა ჯარს, ამ კარგად დაცული და ძნელად მისაახლოებელი სიმაგრეებისათვის, მძიმე ბრძოლები გადახდენია. აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) ინფორმაციით, მოსინიკები ცხოვრობდნენ ხის კოშკებში, რომლებიც კარგად იყო შეკრული სასიმაგრო მესერით.

ქსენოფონტეს ცნობით, ბერძნებმა ერთ-ერთი საფორტიფიკაციო ნაგებობის აღებისთვის ბრძოლაში ვერაფერი მოუხერხეს ერთ-ერთ გამაგრებულ ციხეს, რომელიც, როგორც თვითონ გადმოგვცემს, ადგილობრივი მოსახლეობის „დედაქალაქი“ იყო. აქ საუბარი უნდა იყოს, ერთ-ერთი ტომის მთავარ საფორტიფიკაციო სისტემაზე, რომელსაც ადგილობრივი ბელადი თავის მთავარ რაზმთან ერთად იცავდა. ქსენოფონტეს აღწერილობით, ციხე-სიმაგრე მიწაყრილზე იდგა, გარშემო ფართო თხრილი ჰქონდა შემოვლებული და ამ მიწაყრილზე ხის მაღალი კედელი იყო აღმართული, მასში დატანებული მრავალი კოშკით. ციხის დამცველები სიმაგრიდან გამოხტომებს აწყობდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ ბერძენთა რაზმს. ამიტომ, ისინი ხელმოცარულნი გაეცალნენ ამ ტერიტორიას.

ასეთი საფორტიფიკაციო ნაგებობები სოფლური ტიპის სამოსახლოებს იცავდა, სადაც დასახლებული პუნქტის შუაში, მაღალი მესერით შემორტყმული, ტომთა მეთაურების კოშკები იყო.

ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში საფორტიფიკაციო ნაგებობების მასალა, ძირითადად, ხე-ტყე იყო. ქართლში, პირველად, გალავანზე ქვითკირი არდამ ერისთავმა გამოიყენა და, როგორც ქართული წყარო (ლეონტი მროველი) გადმოგვცემს, ამის შემდეგ დაიწყეს სიმაგრეების ქვითკირით გამაგრება.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, კოლხეთსა და იბერიაში, უკვე გვხვდება საკმაოდ მტკიცედ გამაგრებული ციხე-ქალაქების ტიპის დასახლებები და საფორტიფიკაციო ნაგებობები. კოლხეთში ასეთი გამაგრებული ქალაქების წარმოქმნა, რომაულ გავლენას უნდა უკავშირდებოდეს. მას შემდეგ, რაც რომაელებმა (ძვ. წ. I საუკუნიდან) ფეხი მოიკიდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კოლხეთის მიწებზე, გაამაგრეს საზღვრისპირა სა-

პორტო დასახლებები. შავი ზღვის კოლხურ სანაპიროზე მათ შექმნეს საფორტიფიკაციო სისტემის მთელი ჯაჭვი, რომელიც გონიო-აფსაროსიდან სებასტოპოლისის საზღვრებამდე ვრცელდებოდა. ასეთი საფორტიფიკაციო ქსელის არსებობა, სადაც, ძირითადად, რომაული გარნიზონები იდგა, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, ზღვისპირა პუნქტების აღწერებში.

რაც შეეხება, ალიზით და ქვითკირით, თლილი ქვების და ლოდების პროპორციებით ნაგებ ციხე-სიმაგრეებს, მას ვხვდებით, უკვე ანტიკური პერიოდის საქართველოში. ლეონტი მროველის გადმოცემით, ქართლში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლისას, ქართლის ქალაქები, ფაქტიურად, ციხე-სიმაგრეებად იყვნენ ქცეულნი: ალექსანდრემ „პოვნა ციხე-ქალაქნი, ესე ძლიერნი შუა ქართლ: წუნდა, ხერთჳსი, მტკურისა, ოძრჴე მოკიდებული კლდესა ღადოსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქჳან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, დიდი ციხე და ზანავი და რუსთავი და დედაციხე, სამშვილდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი და კახეთისა ქალაქნი“. ამ ციხეებზე ჩატარებული გათხრების შედეგად, მოხდა ზოგიერთი მათგანის ლოკალიზება, მათი ფუნდამენტის გამოვლენა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ის ციხე-სიმაგრეები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, თითქმის არცერთი, პირვანდელი სახით არ არის შემონახული. დროთა განმავლობაში ხდებოდა ამ ნაგებობების გადაკეთება, დროის მოთხოვნების



ქაჯის ციხე. ისტორიული ტაო-კლარჯეთი

მიხედვით მისი სრულყოფა. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლის დროიდან, როცა შუა საუკუნეების სიმაგრეები ვეღარ პასუხობდნენ არსებულ მოთხოვნებს. გარდა იმისა, რომ ამ სიმაგრეებს ემატებოდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისთვის ახალი ტიპის საცეცხლე წერტების დამატება (სათოფურები, ამბრაზურები, ზარბაზნებისათვის კოშკის და ბურჯების ქონგურების ჭრილის და დიამეტრის სახეცვლილება), ამავე დროს, ციხეები საჭიროებდნენ საფუძლიან შეკეთებას და, ხშირ შემთხვევებში, მის ახლად აგებასაც.

შუა საუკუნეების საქართველო მოფენილი იყო ციხე-სიმაგრეთა ქსელით, რომელიც გამოხატული იყო, არა მხოლოდ ცალკეული საფორტიფიკაციო ნაგებობებით, არამედ თავდაცვითი სისტემებით, კოშკებით. თავდაცვითი ქსელი მიუყვებოდა, როგორც ხეობათა, სატრანზიტო მაგისტრალთა ხაზს, ასევე, მთიან რელიეფსაც.

ევროპაში, ადრეულ საუკუნეებში (VIII-IX სს.), ციხეს აგებდნენ მიწაყრილზე, რომელთაც ერტყათ მაღალი ხის მესერი, პირველი თავდაცვითი ზღუდე, ხოლო მიწაყრილის (ყორღანის) წვერში იდგა ხის ციტადელი, ე. წ. დონჟონი. ასეთი სტილის თავდაცვითი ნაგებობები, ძირითადად, გვხვდება ჩრდილოეთ საფრანგეთში, ფლანდრიაში. IX-X საუკუნეებში, ევროპაში ჩნდება, უკვე ქვითკირისგან ნაშენი კოშკები, ბურჯები. გალავანში ჩაშენებული ბურჯები ოთხკუთხედ და მრგვალ ნაგებობებს წარმოადგენდნენ. XI საუკუნეში, ევროპაში ციხეებს უკვე ქვისგან აშენებდნენ, თუმცა, ნორმანდიაში, ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული ხის სახურავები. XII საუკუნიდან ოთხკუთხა ფორმის კოშკებს ნელ-ნელა ცვლის მრგვალი ფორმის ბურჯები, რომლებიც უფრო მტკიცედ იყვნენ შერწყმული გალავნის საერთო სისტემასთან.


შუა საუკუნეების ევროპაში, ციხე-სიმაგრე ფეოდალური სამყაროს ვანუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ევროპელი სენიორები, ძირითადად, რეგიონებში ცხოვრობდნენ, რადგან მათი შემოსავლის წყაროს მიწისმფლობელობაზე დამყარებული ბატონყმური სისტემა წარმოადგენდა. თუმცა, იყვნენ გამონაკლისებიც – სამხრეთ საფრანგეთის და იტალიის ფეოდალები, რომელთა ნაწილი ზღვისპირა ქალაქებში სახლობდა, რადგან მათი შემოსავალი ამ ქალაქების ვაჭრობიდან და ხელოსნური წარმოებიდან შემოდიოდა.

ზოგადად, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ციხე-სიმაგრეების მშენებლობის საჭიროება თავდაცვითმა მოთხოვნებმა გამოიწვია, რაც, ძირითადად, განპირობებული იყო ნორმანების შემოსევების სიხშირით და, რიგ შემთხვევებში, გლეხთა აჯანყებებით. ნორმანების საფრთხე არა მარტო საზღვაო ქალაქებს, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებსაც ემუქრებოდა. ეს ჩრდილოელი მეკობრეები სარგებლობდნენ სამდინარო-სატრანსპორტო არტერიებით და ზოგჯერ საფრანგეთის და გერმანიის ცენტრალურ რეგიონებში თავს ესხმოდნენ ქალაქებს, სოფლებს, სენიორთა მამულებს (IX საუკუნეში ნორმანებმა ალყა შემოარტყეს

პარიზს). გარდა თავდაცვითი ფუნქციისა, დროთა განმავლობაში, ამ ციხეებმა ფეოდალისთვის კარმიდამოს, მამულის და მისი სოციალური სტატუსის და ძალაუფლების სიმბოლოს ფუნქცია შეიძინა. ციხე, გარდა დონჟონისა, მოიცავდა ეზოს, პატრონის მოსამსახურე პერსონალის და მეციხოვნეების საცხოვრებლებსაც. აქ იყო ეკლესია, დილეგი, სასმელი წყლის აუზები, ჭები, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

ციხე-სიმაგრეთა ქსელით დაიფარა XII-XIII საუკუნეების ჯვაროსნული აღმოსავლეთის სამყარო. სირია-პალესტინაში მოსულმა ევროპელმა ბარონებმა დაიწყეს საფორტიფიკაციო, თავდაცვითი სისტემების შექმნა, რომელიც მთელი ჯვაროსნული ლაშქრობების მანძილზე გრძელდებოდა. მართალია, აღმოსავლეთში მოსულ რაინდებს აქ დახვდათ არაბების, ეგვიპტელების, სირიელების, ბიზანტიელების და სომხების მიერ ადრე ნაგები ციხეები, მაგრამ მათ კიდევ უფრო სრულყოფილი გახადეს მათი სიმტკიცე და მიუვალობა. გარდა მუსლიმთათვის წართმეული საფორტიფიკაციო ნაგებობებისა, მათ შექმნეს მთელი კომპლექსი ახალი, ბევრად უფრო დიდი სიმაგრეებისა, რომელიც დღესაც ანცვიფრებს მნახველს თავისი მიუვალობით და სიდიდით. ციხეებს აგებდნენ იმ ადგილებში, რომლებიც კეტავდნენ ხეობების შესასვლელებს, მაღალ ბორცვებზე, კლდეების შვერილებზე, საიდანაც დიდ სივრცეები, ფართო რადიუსის არეალი კონტროლდებოდა. ასევე, აშენებდნენ მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზების სიახლოვეს, რომლის საშუალებითაც მეციხოვნეები აკონტროლებდნენ ამ გზებზე მიმოსვლას. 1142 წელს, ციხე კერაკი (კრაკ დე მოაბი) ჯვაროსნებმა ააგეს ტრანსიორდანიაში, მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით. იგი, ჯვაროსანთა მიერ აშენებულ ციხე-სიმაგრეებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა იყო თავისი სიდიდით და მიუვალობით, მაგრამ მისი მთავარი დანიშნულება სირიასა და ეგვიპტეს შორის საქარავნო გზების და, ასევე, სირიიდან არაბეთისკენ, კერძოდ, მუსლიმთა წმინდა ქალაქებისკენ მიმავალ პილიგრიმთა მაგისტრალების კონტროლი იყო. ამ ციხის მფლობელები უზარმაზარ გამოსასყიდს იღებდნენ, რაც მძიმე ტვირთად აწვა რეგიონის მუსლიმ მმართველებს და მათ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, სწორედ, ჯვაროსანთა ხელიდან კერაკის გამოგლეჯა წარმოადგენდა.

ჯვაროსანთა სიმაგრეები ისე იყო აშენებული, რომ კრაკ დე შევალიედან კასტელ ბლანი და ბელფორის ციხეები ჩანდა. სტრატეგიული ადგილმდებარეობის არჩევას თავისი მიზეზები ჰქონდა. მტრის მოახლოებისას, მეციხოვნეები ერთმანეთს ინფორმაციას კოშკებზე კოცონის ანთებით აწვდიდნენ. ჯვაროსნებმა მუსლიმებისგან ინფორმაციის საფოსტო მტრედებით გადაცემის ხერხიც შეითვისეს. მოწინააღმდეგე მხარე ცდილობდა, ეს მტრედები ბადეებით, თუ სხვა სატყუარებით დაეჭირა და მტრის გეგმების შესახებ შეეტყო. 1271 წელს, როდესაც ეგვიპტის სულთანმა ბეიბარსმა მონფორის ციხეს ალყა შემოარტყა, ციხესთან მდგარმა მამლუქებმა მოკლეს მტრედი, რომელსაც ალყაშემორტყ-



კერაკი, კრაკ დე მოაბი. XII ს. ჯვაროსანთა ციხე-სიმაგრე. დღევანდელ იორდანიაში

მული მეციხოვნეებისთვის ინფორმაცია მიჰქონდა, საკუთრივ, მათ ბანაკში მყოფი ფრანკთა ჯაშუშებისაგან.

ეს სიმაგრეები, მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში, ევროპელთათვის, უპირველეს თავდაცვით საშუალებებს წარმოადგენდნენ. ამ ომების მანძილზე, ჯვაროსნები, ყოველთვის განიცდიდნენ ცოცხალი ძალის უკმარისობას და, ფაქტიურად, სულ საალყო სიტუაციაში იყვნენ. ჯვაროსნულ ეპოქაში არ მომხდარა ამ მიწების კოლონიზაცია, ევროპიდან მოსახლეობის მასიური მიგრაცია. აღმოსავლეთში მოსული ევროპელი კოლონისტები, ძირითადად, სამხედრო პირები და პილიგრიმები იყვნენ, რომლებიც გარკვეული დროის, საკუთარი აღთქმის შესრულების შემდეგ, უკან ბრუნდებოდნენ. რა თქმა უნდა, ჩამოდიოდნენ ისინიც, ვინც სამუდამოდ რჩებოდა აქ, მაგრამ ესენი, ძირითადად, ქალაქებში იყრიდნენ თავს, რადგან, მათი უმრავლესობა, ევროპის ქალაქების მოსახლეობის წრეებს წარმოადგენდა.

ციხის სიმტკიცის მთავარი ნიშანი მისი გალავნის მდგრადობა, სიმაღლე და სისქე იყო. პირველ თავდაცვით ზღუდეს, ციხის გალავნის ალაყაფის წინ ან, უკეთეს შემთხვევაში, მთლიანად მის გარშემო არსებული, თხრილი წარმოადგენდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კედლების სიმტკიცეს, რადგან მოწინააღმდეგე, ალყაშემორტყმულ ციხეს სისტემატურად უშენდა ლოდსარტყორცნებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გალავნის კედლების სიმაღლეს, რომელიც აბრკოლებდა გალავანზე მოწინააღმდეგის გადასვლას ქამანდების და კიბეების საშუალებით.


სიმაგრის თავდაცვისუნარიანობის მთავარი ფაქტორი მისი მდებარეობა იყო. თითქმის ყველგან, ციხე-სიმაგრე ამაღლებულ ადგილზე, გორაკზე, მთის ან კლდის წვერზე იდგა. საონი – ცნობილია, როგორც სალაჰად-დინის ციხე –

XII საუკუნის ჯვაროსნული არქიტექტურის ერთ-ერთი შედევრი, მდებარეობდა სირიაში, ლატაკიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის გადმოცემით, ეს ციხე ორ ღრმა ხეობას შორის მდებარე მთის წვერზე იდგა. ციტადელის მთიანი მხარე გამოყოფილი იყო ღრმა თხრილით და მტკიცე გალავნით. ჯვაროსნებმა ამ ციხის აგების დროს, ღრმა თხრილი ამოთხარეს, რითაც ციხის კოშკი კლდის იმ ნაწილს მოწყვიტეს, რაზეც იგი იდგა. ამ სამუშაოს შესასრულებლად, მუშებმა გაიტანეს 170 000 ტონა კლდის ქვა, იმისთვის, რომ გაეჩინათ ვიწრო ქვაბული 50-90 ფუტის (20 მეტრის) – სიგანის, 450 ფუტი (130 მეტრის) – სიგრძის და 130 ფუტი (28 მეტრის) – სიღრმის. გარე სამყაროსთან დასაკავშირებლად, შუაში, ციხის კლდესა და ამ ხელოვნურ ქვაბულს შორის, დატოვეს მაღალი ქვის პიკი, რომელზეც გადებული იყო დაკიდული ხიდი. 1188 წელს, ეს ციხე აიღო სალაჰ ად-დინმა, რის გამოც, შემდგომში, მისი სახელი დაარქვეს.

ციხის სტრატეგიული დანიშნულების ერთ-ერთი ნათელი სურათია შორაპნის ციხე-ქალაქის ადგილმდებარეობა. ციხე-ქალაქი ააგო ფარნავაზმა ყვირილას, ძირულას და ჩხერიმელას ხეობების შესაყარზე. ამ პუნქტთან მთავრდებოდა დასავლეთ საქართველოდან მომავალი სანაოსნო გზა და იწყებოდა აღმოსავლეთში გადასასვლელი სახმელეთო გზა. იგი აგებულია შემაღლებულ



სალაჰ ად-დინის ციხე. XII ს. დღევანდელ სირიაში



კრაკ დე შევალიე. ჰოსპიტალიერების ციხე-სიმაგრე. XII ს. დღევანდელ სირიაში

კლდის თხემზე, რომლის გარშემო შუა საუკუნეებში გაშენდა პატარა საქალაქო ტიპის დასახლება. შორაპნის ციხე კეტავდა აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში გადასასვლელ გზებს და მის ფლობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რეგიონის სიუზერენები და გვიან შუა საუკუნეებში იმერეთის მეფეები.

ასეთი ტიპის ციხეების ქსელი გვხვდება სამხრეთ საქართველოში. შუა საუკუნეების ხერთვისის ციხე, კლდის სილუეტს შეზრდილი, არტაანის და ჯავახეთის მტკვრის შესართავთან, ჯავახეთის წინაკარს იცავდა. აქედან იწყებოდა სამცხე. დღევანდელი ციხე, გვიანდელი ნაშენებ-გადაკეთებული ნაგებობაა. მის შესახებ ცნობები, ჯერ კიდევ, X საუკუნიდან მოგვეპოვება, მაგრამ სრული ცნობა ხერთვისის გალავნის და კოშკის აგებისა, XIV საუკუნეს განეკუთვნება. ასეთივე ბუნებრივ თხემზე დგას მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე აწყურის ციხეც, რომელიც ხეობაში შემომავალ მთავარ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალს დარაჯობდა. აწყურის ციხის შესახებ ცნობები IX-X საუკუნეებს განეკუთვნება, მაგრამ დღევანდელი ციხის ნანგრევები გვიანდელი საუკუნეებისაა და მას XVIII საუკუნეშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

გორის ციხე – უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ სივრცეს აკონტროლებდა შიდა ქართლის რეგიონში და მის ფლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც ადგილობრივი მმართველები, ასევე, მტრებიც. ამიტომ, გორის ციხე, ყოველთვის მოქმედი ციხე იყო. მისი არქიტექტურის შესწავლისას კარგად ჩანს, დროის შესაბამისი საფორტიფიკაციო ნაგებობების დამატება-განახლება მის ბასტიონებზე. გორის ციხის საინტერესო აღწერილობა შემოგვინახა გერმანელმა მეცნიერმა კლაპროტიმ, რომელმაც ეს ციხე მოინახულა 1807 წელს. მართალია, ამ დროს ქართლში რუსული მმართველობა იყო დამყარებული და ქართული ციხეების უმრავლესობა თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელო-



ხერთვისი

ბას პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მაგრამ, მაინც საინტერესოა, თუ რას წარმოადგენდა ფეოდალური ხანის საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი ციტადელი. კლაპროტი წერს: „ციხის დასავლეთის გასასვლელის დაცვისათვის ყოველი გარდიგარდმო კედლის პირდაპირ იდგა კოშკები, რომელთა სიმაღლე 20 ფუტს უდრის ნახევარწრიული კედლის ზემოთ, ერთმანეთის თავზე, მოწყობილი იყო ფიცრის იარუსები, საიდანაც დამცველებს შეეძლოთ მოახლოებული მტრისათვის ესროლათ თოფებიდან. ყველა სართულზე ოცდაათი სათოფეა. ყოველ გარდიგარდმო მიმავალ კედელში მოწყობილი იყო ორ-ორი მოზრდილი საზარბაზნე. დამცველებს ეს ამბრაზურები ეხმარებოდა იმ შემთხვევაში, თუ წრიულ ნაწილში მტერი შემოაღწევდა. ახლა ციხე მიტოვებულია, სარგებლობდნენ მცირე სამლოცველოთი“. ციხის აშენებას ვახუშტი ბაგრატიონი, VII



გორის ციხე

საუკუნის ბიზანტიის იმპერატორს, ჰერაკლეს მიაწერს. ამ ციხის შესახებ, სხვა ქართული წყაროებიც გვაძლევენ ცნობებს. იტალიელი მოგზაურის ამბროზიო კონტარინის ცნობით, XV საუკუნეში, გორის ციხე, ძირითადად, ხის ყოფილა. გვიან საუკუნეებში მას მტკიცე გალავანი შემოავლეს და XVII საუკუნიდან, ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლასთან დაკავშირებით, მის გალავანზე და ქონგურების ქვემოთ ჩნდება სათოფურები. გორის ციხე-სიმაგრემ, სხვა ქართულ ციხე-სიმაგრეებთან შედარებით, დღემდე კარგად შემონახულმა მოაღწია. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უნდა იყოს მისი მტკიცე არქიტექტურა და, ასევე, ის, რომ მისი მფლობელები დროთა განმავლობაში სიმაგრეს ახალ-ახალი საფორტიფიკაციო სისტემებით ამაგრებდნენ. ბოლოს, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ციხე გაამაგრა ერეკლე II-მ. რუსი მოხელის ბურნაშოვის შეფასებით, გორის ციხე, „თუმცა კი გამაგრებულია ძველი წესით, მაგრამ თავისი ადგილმდებარეობის გამო არა მხოლოდ იქაური ხალხისათვის, არამედ ევროპელებისათვისაც კი ძნელად ასაღები იყოს." ამით ბურნაშოვს იმის თქმა უნდა, რომ, თვით ევროპის ქვეყნების თანამედროვე თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებულ რაზმებსაც გაუჭირდებოდათ მისი აღება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივ თავდაცვით არეალსაც. მაგალითად, ქვემო ქართლში შემორჩენილი ბირთვისის სიმაგრეთა მთელი სისტემა, ბუნებრივად და ხელოვნურად შერწყმული იყო რელიეფის კლდოვან სისტემებთან[20].

ციხე-სიმაგრის თავდაცვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს მისი წყალმომარაგება წარმოადგენდა. ციხის მშენებლობის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, ყოველთვის ითვალისწინებდნენ წყლის რესურსების, წყაროს, მდინარის სიახლოვეს. საკუთრივ ციხის ტერიტორიაზეც ჭრიდნენ ჭას, თუ, რა თქმა უნდა, ეს ციხე დაბლობზე მდებარეობდა, რადგან ამ გეოგრაფიულ-გეოლოგიურ სივრცეში, შედარებით ადვილი იყო მისი აღმოჩენა, ვიდრე კლდოვან შვერილზე, ან მთაზე. მეციხოვნეები სპეციალურ ავზებს აკეთებდნენ, რომლებსაც, ძირითადად, ბუნებრივი გზით ავსებდნენ, რომ მომარაგებული წყალი ექსტრემალური სიტუაციებისთვის შეენახათ. ციხის წყლით მომარაგების მთავარი მიზანი მტრის თავდასხმის დროს მოსალოდნელი ალყისას შექმნილი პრობლემებისთვის თავის გართმევა იყო. ალყა, ზოგჯერ, თვეების და წლების მანძილზეც კი გრძელდებოდა და წყლის რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გარნიზონისთვის. 1403 წელს, როდესაც თემურ ლენგმა ბირთვისის მიუვალ ციხეს ალყა შემოარტყა, მეციხოვნეები არხეინად იყვნენ, რადგან მთაზე აზიდულ ციხის გარნიზონს ავზები წყლით სავსე ჰქონდა. ერთი მხრივ,

20 თემურ-ლენგის კარის მემატიანე, XIV-XV სს. სპარსელი ისტორიკოსი ჰაფეზე აბრუ, თემურ-ლენგის მიერ ბირთვისის ციხის აღების ამბების გადმოცემისას აღნიშნავს, რომ: „უძლეველ ლაშქარს, რომელსაც ქვეყნიერების უამრავი ციხე დაეპყრო, არსად ამაზე ძლიერი ციხე არ ენახა. დაპყრობის შემდეგაც კი, ვინც კი მოიწადინებდა ციხეზე მაღლა ასულიყო, სანამ მაღლიდან საბელს არ ჩამოჰკიდებდნენ და არ მიშველებოდნენ, მანამდე ზედ ვერავინ ავიდოდა."




ზანავის ციხე

წყლის და საკვების უზრუნველყოფით გამოწვეულმა არხეინობამ, და, მეორე მხრივ, ციხის სიმაგრეების სიმტკიცის იმედად ყოფნამ, საბოლოო ჯამში მოადუნა მეციხოვნეთა ყურადღება, რაც მათთვის კატასტროფით დამთავრდა.

ციხის წყლის რესურსებთან ახლოს მდებარეობა უზრუნველყოფდა მეციხოვნეებს, რომ სისტემატიურად მომარაგებულიყვნენ წყლით. ამისთვის, ციხის მშენებლები ჭრიდნენ გვირაბებს, წყალსადენზე გაჰყავდათ კერამიკული მილები, რომლებიც წყაროებთან ჩადიოდა. ასეთი ტიპის საინჟინრო კონსტრუქციები, იმდენად შენიღბულად იყო გამართული, რომ ძნელად შესამჩნევი იყო უცხო ძალისთვის. მტერი ცდას არ აკლებდა, რომ როგორმე მიეგნო საიდუმლო წყაროებისთვის. 1556 წელს, სპარსელების მიერ ატენის ციხის ალყისას, ტყვედ ჩავარდნილი ერთ-ერთი ადგილობრივის გამოტეხვის შემდეგ გაიგეს თუ საიდან მარაგდებოდა ციხე წყლით, რის მერეც აიღეს ციხე.


შუა საუკუნეებში ციხის გალავნის ბურჯებზე ჩნდება ხის კონსტრუქციები, გალავნის თავდაცვის სისტემების დამხმარე ნაგებობები. ისინი გალავნის კედლების და ბურჯების დამატებითი ნაგებობები იყო. ამ კონსტრუქციებში ჩაშენებული და გამოჭრილი იყო ამბრაზურები, ძირითადად, იატაკზე, რითაც აკონტროლებდნენ გალავნის კედლების ძირს. მისი საშუალებით კედლებთან მიახლოებულ მოწინააღმდეგეს ასხამდნენ გავარვარებულ ფისს, უშენდნენ ისრებს. ხის ეს კონსტრუქციები გადახურულ ნაგებობებს წარმოადგენდა და



ოლთისის ციხე. ისტორიული ტაო-კლარჯეთი

მეციხოვნეებს იცავდა. ევროპაში და აზიაში გავრცელებული ამ ტიპის კონსტრუქციები, გვხვდება შუა საუკუნეების საქართველოს სინამდვილეშიც. 1489 წელს, თურქმანებმა იაყუბ ყაენის მეთაურობით ალყა შემოარტყეს ახალციხეს. სპარსი ისტორიკოსი ფადდალაჰ იბნ რუზბეჰანი გადმოგვცემს, რომ, როდესაც იაყუბ ყაენმა ალყა შემოარტყა ახალციხის ციხეს, მისი კოშკების წვერში, ქონგურებზე ხის გალერები, ოთახები იყო დაშენებული და მასში გაკეთებული იყო ამბრაზურები, საიდანაც მეციხოვნეები ისრებს უშენდნენ თურქმანებს.მემატიანის ცნობით, ციხის აღება რთული იყო ჩვეულებრივი ხერხით და, ამიტომ, თურქმანებმა გამოიყენეს ზარბაზნები. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მათ ცეცხლი გაუჩინეს ციხის ხის გალერეას, რომელიც სწრაფად აალდა. თურქმანებმა მოახერხეს გალავანზე გადასვლა, ქართველებმა მიატოვეს მისი კედლები და შიდა ციხეში გადაინაცვლეს, რის შემდეგაც დანებდნენ მტერს.

ციხის გალავნის წინ, სიგრძეზე, თითქმის ყოველთვის, გათხრილი იყო კიდევ ერთ წინაღობა, დიდი ტრანშეა, თხრილი. ეს თხრილი, არა მარტო მოწინააღმდეგის გალავნის კედლებთან მიახლოებას უშლიდა ხელს, არამედ, პირველ რიგში, აბრკოლებდა გალავნის წინ საალყო კოშკების, ტარანების განთავსებას. ამიტომ, თავდამსხმელი მხარე ყოველთვის ცდილობდა, რომ ეს თხრილები ამოევსო, იქნებოდა ეს ქვა-ღორღით, ხის მასალით, თუ მიწით სავსე ტომრებით. 1099 წელს, იერუსალიმზე შტურმის წინ, ჯვაროსანთა ერთ-ერთი მეთაური რაიმუნდ სენ ჟილი თითოეულ მეომარს შეპირდა ერთ დინარს, თუ



ქაჯის ციხე. ისტორიული ტაო-კლარჯეთი

ყოველი მათგანი სამ ლოდს (ქვას) ჩაყრიდა ქალაქის გალავნის წინ გათხრილ ტრანშეაში. მიუხედავად იმისა, რომ გალავნის ქონგურებიდან სეტყვასავით მოდიოდა ქვების და ისრების წვიმა, ბევრი მოხალისე გამოჩნდა, რომლებიც არ ზოგავდნენ თავს და ასრულებდნენ ამ სამუშაოს. მთელი დღის განმავლობაში მეომრებმა მოახერხეს თხრილის ამოვსება, რის შემდეგაც ჯარის მეთაურებმა მისცეს შეტევის დაწყების ნიშანი.


იშვიათად, რომ ციხე სწორ ნიადაგზე ყოფილიყო აგებული. ასეთი სიმაგრეები, ძირითადად, პატარა დასახლებული პუნქტების, სოფლების, დაბების ცენტრში ან მის განაპირა მხარეებში იდგნენ. კლდეზე აგებული ციხე-კოშკის ქვეშ კი, ურთულესი იყო გვირაბის გათხრა, რასაც მოჰყვებოდა მისი მინირება, დენთის კასრებით, რომლის აფეთქებაც კოშკის კედლების დეფორმაციას და, საბოლოოდ, მის ჩამონგრევას იწვევდა. ასეთი ციხის კოშკის ალაყაფიც მეტად იყო დაცული, რადგან მასთან მისასვლელი გზა ვიწრო იყო, ან დამაბრკოლებელი წინაღობები ხვდებოდა მოწინააღმდეგეს მის წინ არსებული თხრილით და მასზე გადებული ასაწევი ხიდით.

ციხე-სიმაგრის ყველაზე გამაგრებული ზღუდე, ყველაზე დაცულ, ამაღლებულ ადგილზე აგებული ციტადელი იყო. იგი ცალკე, დამოუკიდებელ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. ქალაქის ციტადელისგან განსხვავებით, ციხე-სიმაგრის ციტადელი ერთ მთლიან თავდაცვით სისტემაში იჯდა, პირველ რიგში, ტერიტორიული სიმჭიდროვის გამო. ქალაქის და ციხის ციტადელებს ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ მტრის მიერ გალავნის კედლებში შესვლა ყოველთვის არ ნიშნავდა მთლიანად ქალაქის ან ციხის დაუფლებას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, უმრავლეს შემთხვევაში, როცა მტერი თავდაცვის ძირითად ზღუდეს, გალავანს გადალახავდა, ფაქტიურად, წარმოუდგენელი იყო ომის ბედის შემობრუნება. ქალაქში შესული მტერი მჭიდრო ალყაში აქცევდა ციტადელს, თუ მასშტაბური შეტევით ვერ იღებდა მას, უკეტავდა საარსებო წყაროებს, წყლის რესურსებს და, ასეთ შემთხვევაში, ციტადელის გარნიზონი შიმშილისთვის იყო განწირული.

სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები. თავდაცვის ფუნქციების მატარებელნი იყვნენ ასევე ციხე-დარბაზები, ციხე-სახლები, საცხოვრებელი კოშკური სახლები, ცალკეული კოშკები. ციხე-დარბაზები წარმოადგენდნენ მეფეთა, ფეოდალთა, საეკლესიო იერარქიის მაღალი წრის პირთა საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც გამაგრებულნი იყვნენ მძლავრი გალავნის კედლით და კოშკებით. ასეთი ტიპის სასახლეები გვხვდება შუა და გვიანი საუკუნეების საქართველოში: ვახუშტი ბაგრატიონი მათ უწოდებს „დიდნაშენს“, „ზღუდე-გოდოლიანს“, „პალატოვანს“. X-XI საუკუნეების კახეთის სამეფოში თელავი იყო კახეთის მეფეების რეზიდენცია-სასახლე, რომელსაც ვახუშტი ასე მოიხსენიებს „სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი“. ასეთივე ტიპისაა გეგუთის სასახლე, რომელიც XII საუკუნის 70-იან წლებში ააგო გიორგი III-მ. სამეგრელოს მთავრებს დადიანებს ზუგდიდში ჰქონდათ „სასახლე დიდნაშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდოლიანი“. გურიის მთავრებს გურიელებს ოზურგეთში ჰქონდათ „სასახლე დიდნაშენი, კეთილ-პალატოვანი“. შუა საუკუნეების საქართველოში აზნაურთა კატეგორია სამ ნაწილად იყოფოდა, რომელთა შორისაც დიდებულებს და მეორე კატეგორიის აზნაურებს საკუთარი ციხე-სიმაგრეები, პალატები, ეკლესია და საძვალე ჰქონდათ. ეს ციხე-სიმაგრეები წარმოადგენდნენ მათ საცხოვრებელ სახლებს, დარბაზებს.

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში ვხვდებით **ციხე-გალავნების** ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობებს. განსხვავებით ციხე-სიმაგრეებისგან თუ ციხე-დარბაზებისგან, რომლებიც ძირითადად ძნელად მისადგომ ადგილზე მდებარეობდნენ, ახალი ტიპის ეს ნაგებობები განლაგებული იყო დასახლებული პუნქტების ახლოს, ან მის შემოგარენში. ამ ციხე-გალავნებით მოფენილი იყო ქართლ-კახეთის სამეფო. მათი აგება სოფლების სიახლოვეს გამოწვეული იყო პოლიტიკური ვითარებით. იმ დროისათვის, განსაკუთრებით, გახშირებული იყო ლეკთა თარეში და ეს მოვლენა ყოველდღიურ უბედურებად გადაიქცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამიტომ, განგაშის შემთხვევაში, მოსახლეობა თავისი სარჩო-საბადებელით ამ გალავნებს აფარებდა თავს. ეს თავდაცვითი ნაგებობები, ისეთივე თავშესაფრის როლს ასრულებდა სხვა, მტრის უფრო მსხვილი შენაერთების გამოჩენის შემთხვევაშიც. გალავნები და მასში ჩაშენებული ბურჯები სათოფურებით, საისრეებით, საზარბაზნეებით იყო აღჭურვილი. ასეთი ტიპის არქიტექტურული კომპლექსები დროებით თავშესაფარს წარ-



ანანური

მოადგენდა და ნაკლები ყურადღება ექცეოდა მასში სხვა სახის საცხოვრებელი სახლების აგებას. ამ ნაგებობებს საქართველოში გალავანს უწოდებდნენ. მას, ასევე, უწოდებდნენ „სათემო ციხეს“, რომელიც საერთო სარგებლობისათვის იყო და, წესისამებრ, იქ, მუდმივი გარნიზონი არ იდგა. მას იცავდნენ იმ დროს, როცა მტერი შემოდიოდა და მისი დაცვა ყველა ადგილობრივი მაცხოვრებლის ვალდებულება იყო.

კოშკები – სასიგნალო სისტემები. ასეთი ტიპის სიმაგრეები მთიან, შემაღლებულ გორაკებზე, სასაზღვრო ხაზებზე მდებარეობდნენ და გარემოს ზვერავდნენ. ისინი ისე იყვნენ განლაგებულნი, ერთმანეთის თვალთახედვის არეში ხვდებოდნენ, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მტრის გამოჩენის შემთხვევაში ეს კოშკები სასიგნალო ფუნქციებს ასრულებდნენ. სასიგნალო საშუალება იყო კოცონი, რომლის მეშვეობით ხდებოდა საფრთხის შემცველი ინფორმაციის გადაცემა. XVI საუკუნიდან, როდესაც ხმარებაში ცეცხლსასროლი იარაღი შემოვიდა, სიგნალის გადასაცემად თოფი ან ზარბაზანი გამოიყენებოდა. მაგრამ ცეცხლს თავისი ეფექტი ჰქონდა და მაინც გამოიყენებოდა, რადგან კოშკის ბანზე დანთებული კოცონი კილომეტრებით დაშორებულ მეციხოვნეებსაც კი შეეძლოთ დაენახათ და ჯაჭვისებური რეაქციით მიეწოდებინათ ცენტრისთვის მტრის გამოჩენის ამბავი.

კოშკი, ციხე-სიმაგრის და ციხე-დარბაზის განუყოფელი ელემენტი იყო.


კოშკის უპირატესობას, ერთხაზოვან შვერილთან – კედელთან ის ქმნიდა, რომ იგი ოთხივე მხრიდან დახურული და მიუდგომელი იყო. ამავე დროს, ციხეში მდგარი კოშკი ცალკე თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში, ის სრულად დახურული იყო და მის კედლებში დატანებული იყო საისრეები და სათოფურები. კოშკი მრავალსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა და გამოიყენებოდა საცხოვრებლად და სამეურნეო დანიშნულებისთვისაც. ასეთი ტიპის კოშკს „კოშკურ სახლს", „ციხე-სახლებს" უწოდებდნენ. ამ სახეობის თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობებს ვხვდებით საქართველოს მთაში. სულხან-საბას განმარტებით, „კოშკი წურილი და მაღალი ციხეა".

ბურჯი ჰქონდა ზღუდეს და ციხეს. ქართულ ენაში ეს ტერმინი X-XI საუკუნეებში შემოდის. სულხან-საბას განმარტებით, ბურჯი, გალავნის კედლის გოდოლს ჰქვია, „რომელ არს დატანებული ზღუდეთა ციხეთასა სუზრქედ სიმაგრისათვის მგრგვალად შედგმული აყრდენით".

გოდოლი, სულხან-საბას განმარტებით, მაღალი კოშკია და კედლის ბურჯს ჰქვია.

გამოქვაბულები, ქუაბნი, ქვაბები. ასეთი ტიპის თავდაცვითი, თავშესაფარი სიმაგრეები მრავლად არის საქართველოში და ძველი დროიდანვე ეს ბუნებრივი სისტემები საუკეთესო თავშესაფრებს წარმოადგენდნენ მოსახლეობისთვის. ვახუშტი ბაგრატიონი ძამის ხეობის აღწერისას აღნიშნავს, რომ ხომლის კლდეში „არს ქვაბი [გამოქვაბული] გამოკვეთილი მტრისგან შეუვალი სიმაგრითა". ასეთივე ტიპის გამოქვაბულების შესახებ საუბრობს იგი ყვირილას ხეობის აღწერისას.

საბრძოლო ამბრაზურები – სალოდე (მაშიკული), გალავნის კედლიდან გამოკვეთილ შვერილს წარმოადგენს, რომლის ქვედა მხარე ღია იყო, ხოლო სამი მხრიდან დახურული კონსტრუქცია ჰქონდა. ასეთივე დახურული კონსტრუქციის იყო სათოფურიც, რადგან იგი იცავდა მეომარს მტრის ისრისგან, ტყვიისგან და ყუმბარისგან. მისი დანიშნულება იყო, რომ გალავანთან მიახლოებული მტერი დაეზიანებიათ ლოდებით, ქვებით და ასევე გახურებული სითხით, იქნებოდა ეს ნავთი, წყალი თუ რაიმე აალებადი მინარევი. საქართველოში, სალოდეები გალავნის კედლებზე გვხვდება XVII საუკუნიდან, თუმცა, ამ ტიპის ამბრაზურა ადრეული ხანის ციხე-სიმაგრეებზეც უნდა ყოფილიყო.



ქაჯის ციხის გოდოლი

მსგავსი ტიპის უნდა იყოს სანიაღვრე, რომელიც სალოდეს მსგავსად, გაცხელებული სითხის მტრისთვის გა-


დასასხმელად გამოიყენებოდა. მაგრამ, სალოდესგან განსხვავებით, რომელიც გალავნის კედელზე დამატებით მიშენებულ კონსტრუქციას წარმოადგენდა, ის, უფრო ხშირად, ალაყაფის, კოშკის შესასვლელის თავში, გვირაბის, ჭის, ბუხრის ტიპის კონსტრუქციას წარმოადგენდა.

სათოფური, სათოფე. XVII საუკუნეში, საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენის შემდეგ, გალავნის და კოშკის კედლებზე გაჩნდა სათოფეები.

საზარბაზნე. ზარნაზნებისათვის სპეციალური ნიშა გალავნის კედელში არ არსებობდა, ის აჰქონდათ გალავნის, კოშკის თავზე და ქონგურების ჭრილიდან ან ამბრაზურებიდან ისროდნენ.[21]

საისრე ასე გამოყოფილი არ არის გალავანზე და კოშკზე, რადგან ისრებს ისროდნენ ქონგურების ჭრილიდან და, ასევე, სათოფეებიდან. თუმცა, პ. ზაქარაიას ვარაუდით, საისრეებია, ერთი – ბებრისციხის კოშკიდან და მეორე, უფრო კარგად შემონახული, კახეთის სოფ. ფშაველში მდებარე კოხტა ღვთისმშობელის ეკლესიის (X ს.) გალავნის კედლებზე გამოკვეთილი განიერი ნიშენი,რადგან ისინი პატარა ამბრაზურებია, გარეთ ნისკარტად შვერილი, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა ისრის გატყორცნა.

ქონგურები. ყველა ციხე-კოშკი და გალავნის კედელი ქონგურებით მთავრდებოდა. ქონგურებს საქართველოს ციხეებზე ორი სახის ფორმა ჰქონდათ, სწორკუთხა და ნახევრადწრიული. ქონგურს გარკვეული საფარის დანიშნულება ჰქონდა, როცა ციხის ბასტიონიდან და გალავნის შიგნით გამავალი კიბიდან მეციხოვნე აწარმოებდა ისრის, ქვის, ან ტყვიის სროლას.



ანანური. სათოფურები



ხავაღის ციხე. საისრე, ტაო-კლარჯეთი.

21 პ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ საზარბაზნეები გამოიყენებოდა შიდა ქართლისა და კახეთის ციხეებში. საზარბაზნეები ცოტაა. ამის მიზეზია, არა მარტო ზარბაზნების სიმცირე, არამედ ის, რომ საზარბაზნე სალოდესავით დაფარული არ იყო და მსროლელის დაზიანება გარედან ტყვიით უფრო შესაძლებელი იყო. ამიტომ, ერჩიათ ზარბაზნები დაედგათ ქონგურებს შორის არსებულ ჭრილში, ვიდრე საზარბაზნოს ფართო ღიადში.

ქალაქის ციტადელის (მთავარი ციხის) მნიშვნელობა მისი თავდაცვისათვის. თუ რა როლი ჰქონდა ქალაქის მთავარი ციტადელის სიმტკიცეს, მის მნიშვნელობას თავდაცვისთვის, ამის საუკეთესო მაგალითები გვაქვს თბილისისთვის ბრძოლის ისტორიიდან. თბილისისთვის ბრძოლის პირველი ეპიზოდი დაცულია VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის თხზულებაში, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს 627 წელს, ბიზანტიის იმპერატორის ჰერაკლე კეისრის და მისი მოკავშირე ხაზარების მიერ, ქალაქის კედლების გარემოცვას. გარშემომდგარმა მტერმა ვერ მოახერხა გალავნის გადალახვა პირდაპირი იერიშით და ათასგვარი ხერხი გამოიყენა, რომ გაეტეხა მეციხოვნეთა წინააღმდეგობა. ხაზარები და ბიზანტიელები ლოდსარტყორცნებსაც იყენებდნენ, მაგრამ დამცველები ახერხებდნენ დანგრეული ადგილების ამოვსებას. მათ მდინარე მტკვარს კალაპოტიც კი შეუცვალეს, ქვიშით გატენილი ტომრები ჩაყარეს მდინარეში და დაგუბებული წყალი ქალაქზე მიუშვეს. ქალაქის გალავნის კარიბჭესთან დაიღუპა ქართლის ერისთავი, ციხის გარნიზონის მეთაური ვარსამუსე (ჯუანშერის ცნობით, სტეფანოზი) და მტერი ქალაქში შემოვიდა, მაგრამ მიუხედავად ქალაქის დაკავებისა, ბიზანტიელებმა და ხაზარებმა მთავარი ციხის (კალას ციხის) აღება ვერ მოახერხეს და დროებით გაეცალენ ქალაქს.

არაბი ამირების ხელისუფლების დროს (VIII-XI სს.), ქალაქის მოსახლეობა კიდევ უფრო გაიზარდა და მისი თავდაცვისუნარიანობა უფრო მტკიცე გახდა. ქალაქის ბუნებრივ სიმაგრეს მტკვრის მიერ ორად გაყოფილი უბანი წარმოადგენდა. ქვედა მხარე, ქალაქის ძირითადი ნაწილი – მეიდანი და აბანოთუბანი ხიდით ისანს უკავშირდებოდა. ორივე მხარე გალავნით იყო გარშემოზღუდული და მისი ერთი ნაწილის დაკავება ქალაქის სრულად დაპყრობას არ ნიშნავდა. ქალაქის ძირითად ციხე-სიმაგრეს კალას უბანი წარმოადგენდა, რომელიც მთლიანად ქვის გალავანით იყო გარშემორტყმული. კიდევ უფრო ძლიერ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა ისნის ციხე, რომელსაც ქალაქის მთავარი ნაწილისგან მდინარე მტკვარი ჰყოფდა და კალა-უბანს ზევიდან დაჰყურებდა.

თბილისის მთავარი ციტადელისთვის ბრძოლის ისტორიას ვხვდებით „მატიანე ქართლისა"-ში. 1044 წელს, თბილისში, როცა არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი, ამირა ჯაფარი გარდაიცვალა, მოქალაქეებმა საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს გადასცეს ქალაქის კლიტენი. ბაგრატმა დაიკავა ქალაქის ციხეები: „დარიჯელი, თაბორის მთის ციხე, ორნივე კოშკნი წყალყინისანი" (სავარაუდოდ, ბაგრატმა დაიკავა აბანოთუბნის და მეიდანის ტერიტორია, რაბათის ნაწილი, კალას ციხე), მაგრამ ვერ აიღო ისნის ციხე, რადგან დამცველებმა მდინარეზე ხიდი ჩააგდეს. ამის შემდეგ ბაგრატმა გამართა ფილაკავანნი (ლოდსატრყორცნი მანქანები) და ისრები დაუშინა ისნის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო. მეფემ ვერ მოახერხა თბილისს სრულად დაპატრონებოდა და მალე გაეცალა კიდეც ქალაქს.

თბილისის მთავარი ციტადელისთვის ხორეზმელების ბრძოლა გადმოცემული აქვს ქართველ მემატიანეს ჟამთააღმწერელს. 1226 წელს, ხორეზმელებმა, ჯალალ ად-დინის მეთაურობით აიღეს თბილისი, მაგრამ ისანში გამაგრებულმა მეციხოვნეებმა არ დაუთმეს ციხე ქალაქში შემოსულ მტერს. ხორეზმელებმა ქალაქის მუსლიმი მოსახლეობის ღალატის წყალობით მოკლეს ციხისთავი მემნა ბოცოს ძე მოახერხეს გალავნის ალაყაფში შესვლა. ისინი შევიდნენ განძის კარიდან (თბილისის ციხე-გალავანში შემავალი ერთ-ერთი საქარავნო გზის კარი, რომელიც, სავარაუდოდ, ქალაქ განძიდან მომავალი სავაჭრო მაგისტრალი იყო). გარნიზონი გამაგრდა ისანში. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ძირითადი ნაწილი მტრის ხელში აღმოჩნდა და ისნის ციხეზე მრავალი იერიში მიიტანეს, ხორეზმელებმა ვერ აიღეს ის. მაგრამ, რადგან ციხის გარნიზონისთვის გარედან დახმარების საშუალება აღარ იყო, საქართველოს მეფე რუსუდანმა მოითხოვა ციხის დაცლა და გარნიზონმაც შეასრულა მისი ბრძანება. მხოლოდ ასე ჩაიგდეს ხელში სრულად ხორეზმელებმა ქალაქი. ეს ისტორიაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქალაქის მთავარი ციხე დამოუკიდებელი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო და მის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისისთვის.

1098 წელს, ანტიოქიის ალყის დროს, ჯვაროსანთა არმიამ მოახერხა ქალაქის გალავანში შეღწევა მოსყიდული ციხისთავის მეშვეობით. ჯვაროსნებმა დაიკავეს ქალაქი, მაგრამ მისი ციტადელი, რომელიც ქალაქის მთიანი ნაწილის წვერში იდგა და, სადაც გამაგრებული იყო ანტიოქიის ემირი თავისი რაზმით, არ თმობდა პოზიციებს. ჯვაროსნებმა კაპიტულაციის და ციხის ჩაბარების პირობით, გარნიზონს უვნებლად გაშვების პირობა მისცეს, მაგრამ ციხისთავმა არ მიიღო ეს ულტიმატუმი და ბრძოლას აგრძელებდა. ამ დროს, ქალაქს მოადგა მის დასაცავად წამოსული ჯარი, მოსულის ათაბაგის ქერბოგას მეთაურობით და, ფაქტიურად, ალყაში მოაქცია ქალაქში შესული ჯვაროსნები. ჯვაროსანთა არმია ორმაგი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა, ერთი მხრივ, მას ემუქრებოდა ქალაქის გალავანს მომდგარი მუსლიმების არმია, ხოლო, მეორე მხრივ, მოკავშირეების გამოჩენით გულმოცემული ციტადელის გარნიზონი, რომელიც გაბედულ გამოხდომებს აწყობდა ციტადელის კარიბჭიდან. ჯვაროსნებს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრებოდათ. ერთადერთი გამოსავალი იყო, როგორმე მოეხსნათ მთავარი გალავნის ალყა და ქალაქს მომდგარი მოსულის ათაბაგის არმია გაენადგურებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციტადელისთვის ბრძოლა აზრს კარგავდა. ჯვაროსანთა მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ქალაქის გალავნის კარიბჭიდან მოულოდნელად და სწრაფად შეეტიათ მტრის ბანაკისთვის. ამ მანევრმა გაამართლა და მოსულის ათაბაგის ჯარი გაიფანტა. მას შემდეგ, რაც მოკავშირეების არმია უკუაგდეს, ანტიოქიის ციტადელის ციხისთავი იძულებული გახდა დათანხმებოდა ჯვაროსანთა პირობებს და ჩაებარებინა ქალაქის მთავარი ციხე. ამის შემდეგ

ჯვაროსნები სრულად გაბატონდნენ ქალაქში, სადაც, მოგვიანებით, შექმნეს კიდეც, ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავრო.

გალავნის ნაგებობას, მის სიმტკიცეს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის უსაფრთხოებისთვის. უზღუდო, საფორტიფიკაციო კოშკების გარეშე არ არსებობდა შუა საუკუნეების ქალაქი. ციხე-გალავნის სიმტკიცის დიდი მნიშვნელობის მაგალითია, ახალქალაქისათვის ბრძოლის ისტორია, კერძოდ, 1064 წელს, თურქ-სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის მიერ, მისი გალავნის იერიში. როდესაც მტერი მიადგა ახალქალაქს, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მისი ციხე-გალავნის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ციხის დამცველები სამი დღე მედგრად იცავდნენ თავს, მიხვდნენ, რომ მათ ვერ დაიცავდა დაუსრულებელი გალავნის კედლები და გადაწყვიტეს ქალაქის გარეთ გაემართათ გადამწყვეტი ბრძოლა. მემატიანე გადმოგვცემს: „რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი, ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლითა ძლიერითა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განუხუნეს კარნი და შეებნეს ძლიერად". დაუსრულებელ, გაუმაგრებელ საფორტიფიკაციო ნაგებობების მიღმა წინააღმდეგობას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან მტერს ადვილად შეეძლო დაენგრია იგი ლოდსარტყორცნებით, ან ტარანით. ამიტომ, ციხის დამცველებმა გადაწყვიტეს, რომ გალავნის კარიბჭიდან მოულოდნელი თავდასხმით მეტ ზიანს მიაყენებდნენ მტერს. მართალია, ამ ხელჩართულ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში სელჩუკებმა გაიმარჯვეს, მაგრამ გარნიზონის მეთაურების გადაწყვეტილება მართებული იყო, რადგან გაუმაგრებელი ციხის დაცვას სჯობდა, მოულოდნელი, გაბედული იერიშით დაბნეულობა შეეტანათ მტრის რიგებში და ეცადათ მისი ქალაქის მიდამოებიდან განდევნა.

ციხის დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მისი გარნიზონის მზაობა წარმოადგენდა. უამრავი მაგალითები გვაქვს ისტორიიდან, როცა ციხეს მოულოდნელი შეტევით, მიპარვით, ღამით თავდასხმით იღებდნენ. ამიტომ, ციხის გარნიზონის უფროსს, გარდა მისი გალავნის გამაგრებისა, მის გარშემო არსებული თხრილების, საფარის თუ ხაფანგების მოწყობისა, ხანგრძლივი ალყის საფრთხის პირობებში მომარაგებული უნდა ჰქონოდა სურსათ-სანოვაგე და წყლის რეზერვები. განსაკუთრებით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყლის რეზერვუარებს, რადგან მოალყეები პირველ რიგში ცდილობდნენ წყლით მომარაგება შეეწყვიტათ ალყაშემორტყმულებისათვის. ამისათვის აშრობდნენ წყაროებს, კეტავდნენ და მიწით ავსებდნენ ციხეში შემავალ არხებს. მცირე ზომის მდინარეებს კალაპოტსაც კი უცვლიდნენ. უკიდურეს შემთხვევაში, როცა არ ხერხდებოდა წყლის გადაკეტვა, წამლავდნენ ჭებს.

X საუკუნის ბიზანტიურ სამხედრო ტრაქტატში, რომელიც ციხე-სიმაგრეების დაცვის ხელოვნებას ეხება, აღნიშნულია, რომ გარნიზონის უფროსმა, ალყის საშიშროების შემთხვევაში უნდა მოიმარაგოს, სულ ცოტა, 6 თვის და

უკეთეს შემთხვევაში ერთი წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგე და წყალი (მაგ. თემურ-ლენგის მიერ ბირთვისის ციხის ალყის დროს, მისი დამცველები, გარდა ციხის მიუვალობისა, თავს დაცულად იმიტომ გრძნობდნენ, რომ წყალი მომარაგებული ჰქონდათ დიდ რეზერვუარებში). გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალაქის დასაცავად, კედლების დაზიანების შემთხვევაში, მშენებლების, არქიტექტორების, ინჟინრების შემოკრებას. ასევე, ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად ექიმების მზადყოფნას, წამლებით მომარაგებას და სისუფთავის დაცვას. ქალაქის მოსახლეობაში პანიკის ასაცილებლად და მაროდიორებთან ბრძოლაში, პოლიციის რაზმების მუშაობის ხელშეწყობას. ქალაქის გარნიზონის იარაღით უზრუნველყოფისთვის ყველა პროფესიის ხელოსანთა შემოკრებას.

თავი X

საალყო-საინჟინრო კონსტრუქციები, საბრძოლო მანქანები

ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ საბრძოლველად არსებობდა საინჟინრო კონსტრუქციების ტიპის სპეციალური საომარი იარაღები. შუა საუკუნეების სამხედრო საინჟინრო კონსტრუქციები, ძირითადად, ანტიკური ეპოქის მემკვიდრეობას წარმოადგენდნენ და დიდად, არც არაფერი შეცვლილა საუკუნეების მანძილზე. რიგ შემთხვევებში კი, შუა საუკუნეების ეს კონსტრუქციები თავისი ხარისხით ჩამოუვარდებოდა ანტიკური პერიოდის საბრძოლო მანქანებს და მის ცუდ ვარიანტებს წარმოადგენდნენ. თუმცა, დროდადრო გვხვდება ახალი გამოგონებები, არა მარტო, საალყო მანქანებში, არამედ, ზოგადად, საბრძოლო იარაღის განვითარების საქმეში. ამის ნათელი მაგალითია, VII საუკუნეში ბერძნული ცეცხლის შექმნის ისტორია, ვინმე სირიელი კალინიკოსის მიერ, რომელსაც იყენებდნენ, როგორც ციხეზე იერიშის დროს, ასევე, მისი თავდაცვისათვის. ბერძნული ცეცხლით, ციხის გარნიზონი წვავდა მოწინააღმდეგის საიერიშო მანქანებს, საალყო კოშკებს, კატაპულტებს, ბალისტებს. წარმატებით იყენებდნენ მოალყეები ბერძნულ ცეცხლს ციხე-სიმაგრის დამცველების წინააღმდეგ, როცა ესროდნენ ციხის ხის კონსტრუქციებს, ალაყაფის კარს, ხიდებს და ციხის შიდა ტერიტორიაზეც. ბერძნული ცეცხლი ისეთი მინარევებისგან მზადდებოდა, რომ მისი ადვილად ჩაქრობა ძალიან ძნელი იყო და ციხის შიგნით ნასროლი პანიკას იწვევდა მოსახლეობაში.

საალყო მანქანებს, ჯერ კიდევ, შორეულ წარსულში იყენებდნენ არმიები. მოძრავ კოშკებს, საიერიშო კიბეებს, კატაპულტებს ვხვდებით ძვ. წ. III-II ათასწლეულების შეიარაღებაში. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ამ კუთხით ასურელებმა და ბაბილონელებმა. მათ საბრძოლო არსენალში, გარდა საალყო მანქანებისა, შედიოდა სპეციალური ტექნიკა გადასატანი ხიდების და ტარანების სახით. ძვ. წ. VI საუკუნეში, იერუსალიმის ალყის დროს აქემენიანების შეირაღებაში იყო საალყო კოშკების კონსტრუქციები.

საალყო ტექნიკა კიდევ უფრო დაიხვეწა ძველ საბერძნეთში, როცა შეიარაღებაში გაჩნდა ბორბლებზე მდგარი საალყო კოშკები, კუს ფორმის და კონსტრუქციის ტარანები. ძვ. წ. IV საუკუნეში, როდოსის ალყის დროს, ბერძენთა რაზმები იყენებდნენ, სწორედ, ბორბლებზე მდგარ კოშკებს, რომლის სიმაღლეც დაახლოებით 40-45 მეტრს აღწევდა. კოშკები დაყოფილი იყო იარუსებად, სართულებად, სადაც შეფარებულნი იყვნენ მეომრები. ეს კოშკ-მანქანები დაცული იყო ლითონის ფირფიტებით. გადმოცემით, ციხის აღების შემდეგ, ეს მანქანები დაშალეს და ლითონის კონსტრუქციები გამოიყენეს 30 მეტრიანი როდოსის კოლოსის მშენებლობაში.

განსაკუთრებული მიღწევები ამ სფეროში ჰქონდათ რომაელებს, რომელთა სამხედრო საქმეც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების ევროპის და მახლობელი აღმოსავლეთის სამხედრო ხელოვნებას. რომაული სამხედრო ტერმინოლოგიიდან დამკვიდრდა ევროპულ ენებში სამხედრო, საინჟინრო კონსტრუქციების აღსანიშნავი ტერმინები.

რომაელთა შეიარაღებაში, ციხის კედლების გასანგრევად, გამოიყენებოდა კატაპულტები, რომლებიც ისროდნენ სხვადასხვა ზომის ლოდებს. გარდა ამისა, კატაპულტებიდან ისროდნენ ცეცხლის გამჩენ კასრებს, რომლებიც სავსე იყო ნავთით. რომაელებმა მოდიფიცირება გაუკეთეს სასროლო აგრეგატს, რომელსაც მორიელის მოძრაობის პრინციპი ჰქონდა. ბალისტებს იყენებდნენ დიდი ზომის ისრების სასროლად.

რომაული სამხედრო მიღწევები მემკვიდრეობით გადავიდა აღმოსავლეთ რომის, ბიზანტიის სამხედრო ხელოვნებაში. დასავლეთ რომის იმპერიის სივრცეში შექმნილმა ბარბაროსულმა სამეფოებმაც ბევრი რამ შეითვისეს რომაელთაგან. გოთებს, გალებს, ვანდალებს, ფრანკებს და კელტებს საუკუნეების მანძილზე უწევდათ რომაელებთან, როგორც მშვიდი თანაცხოვრება, ისე დიდი საომარი შეტაკებები. ეს ხალხები კარგად იცნობდნენ რომაულ სამხედრო სისტემას და მის ხელოვნებას. შუა საუკუნეების ევროპამ, სწორედ მათი მეშვეობით შეითვისა რომაული სამხედრო ხელოვნების მიღწევები.

ქართული წყაროები მწირ ინფორმაციებს გადმოგვცემენ შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ხელოვნების, საომარი აღჭურვილობის, საალყო მანქანების, საომარი წესების შესახებ. თუმცა, შემორჩენილია რამდენიმე ფრაგმენტი, სადაც საქართველოს სამხედრო ძალა ქალაქების ალყისას, მასზე იერიშებისას იყენებდა ლოდსატყორცნ მანქანებს – ფილაკავანებს, ასევე, ტარანებს გალავნის კედლების გასანგრევად. იყენებდა, ასევე, გალავნის კედლების მინირების და გალავნის ქვეშ, გვირაბის გათხრის მეთოდს.

საბრძოლო-საინჟინრო მექანიზმების (მანქანების) სახეობანი. ერთ-ერთ საბრძოლო მექანიზმს (მანქანას) კატაპულტა წარმოადგენდა. ტერმინი „კატაპულტა“ ბერძნული სიტყვიდან არის ნაწარმოები, რაც ნიშნავს, ფარის გამანგრეველს, გამხვრეტს (ბერძ. – „მანგანომი“, ლათ. – „კატაპულტა“, არაბ. – „მანჯანიკი“, „მანჯანიყი“, ძველ ფრანგ. – „მანგონელი“). კატაპულტის გვიანდელი ანალოგია ტრებუშეტი, დიდი საალყო მანქანა, ლოდსარტყორცნი. „ტრებუშეტი“ კატაპულტას გვიანდელი ფრანგული სახელწოდებაა, ხოლო ქართული – „ფილაკავანი“, „კატაპელტი“, – „მანქანა ისართ სატყორცნელი“, „საომართა მანქანა“; XVIII საუკუნის მემატიანე ვახუშტი ბაგრატიონი მას „ფელაკონის“ უწოდებს, სულხან-საბა – „ფილაკვანს“. საბა განმარტავს კიდეც, მისი მუშაობის პრინციპს: „უამთა პირველთა ციხის მებრძოლნი სასხლეტსა რასმე მომართევდენ დიდის ლოდის სასროლად ციხის შესამუსრავად“ – ქვის სას-

როლი მანქანა. საერთოდ, კატაპულტა ეწოდებოდა სასროლ მოწყობილობას, რომლიდანაც ისროდნენ, როგორც ქვებს, ასევე ისრებს. ანტიკურ ხანაში, კატაპულტა, ისრების სასროლი მექანიზმი იყო, მაგრამ გვიან რომაულ ხანაში კატაპულტა ლოდსატყორცნ მექანიზმს აღნიშნავდა, ხოლო ისრების სასროლ მანქანას, ბალისტა ეწოდებოდა. ანტიკური კატაპულტას სასროლი სიძლიერე დამოკიდებული იყო მოჭიმულ ძუაზე.

ტრებუშეტი, შუა საუკუნეებში კატაპულტების ნაირსახეობას წარმოადგენდა, აზიის და ევროპის ქვეყნებში გავრცელდა ჩინეთიდან. წინა აზიასა და



მონღოლების მიერ ციხე-ქალაქის ალყა. ტრებუშტი

ბიზანტიაში, VI საუკუნეში, იგი შემოიტანეს ავარებმა. ბიზანტიელებისგან აითვისეს არაბებმა, ხოლო, IX საუკუნიდან, ამ სასროლ მექანიზმს ევროპაშიც იცნობდნენ. მისი მუშაობის მექანიზმი დამყარებული იყო ადამიანების ძალაზე და საპირწონეზე. XII საუკუნემდე ტრებუშეტის მექანიზმის მუშაობის პრინციპი ასეთი იყო: ბერკეტის ბოლოს თოკების საშუალებით ქვევით ექაჩებოდნენ და კაუჭზე დამაგრებულს მექანიკურად ათავისუფლებდნენ და ასე ისროდნენ შორ მანძილებზე. ასეთი მანქანის სროლის სიზუსტეს კარგად გაწვრთნილი რამდენიმე ათეულ ოსტატთა გუნდის მუშაობა სჭირდებოდა, რომელსაც მაქსიმალურად ზუსტად ჰქონდა გათვლილი სასროლი ქვის ტრაექტორია და მანძილი. ამ მანქანების სროლის მანძილი, დაახლოებით, 100-120 მეტრს უდრიდა. ეს იყო ტრაქციული (ადამიანის ძალის გამოყენების საშუალებით) ტრებუშეტის ტიპის მექანიზმი. ჯვაროსნულ ეპოქაში კიდევ უფრო დაიხვეწა მისი მექანიკური მართვის პრინციპი. ადამიანების ძალის ნაცვლად, მას ამუშავებდა მძიმე საპირწონე. მისი მუშაობის პრინციპი იგივე იყო, როგორც ტრაქციულის, მაგრამ, ამჯერად,

ადამიანების ძალას ცვლიდა საპირწონე ყუთი. ტრებუშეტებს წარმატებით იყენებდნენ ციხის გალავნების დასაზიანებლად, ასევე, ისროდნენ გალავნის შიგნითაც და მისი დამანგრეველი ძალა დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა მოსახლეობაზე. ეს მექანიზმები სხვადასხვა ზომის იყო და, შესაბამისად, სხვადასხვა ზომის და სიმძიმის ქვებს ისროდა. ასევე, გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. საპირწონიანი ტრებუშეტი უფრო მძლავრი იარაღი იყო და, განსხვავებით, მისი წინამორბედისგან, უფრო დიდ და მძიმე ლოდებს ისროდა. 1138 წელს, სირიის ციხის შეიზარის ალყის დროს, ბიზანტიელები იყენებდნენ დიდ ლოდსატყორცნ მანქანებს (მანჯანიკები, იგივე კატაპულტა, ტრებუშეტი), რომლებიც 70-80 კგ. ქვებს ისროდნენ და მათი სასროლი მანძილი ფარავდა ისრის წვდომის რადიუსს. ამ მანქანების მოქმედების მაქსიმალური რადიუსი 120-150 მეტრი იყო. 1248 წელს, სირიის ქალაქ ჰომსის ალყის დროს, ტრებუშეტიდან (მანჯანიკი) ისროდნენ 448 კგ. სიმძიმის ლოდებს. 1191 წელს, აკრის ალყის დროს, ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული იყენებდა ამ მექანიზმებს, მან სპეციალურად სიცილიიდან ჩამოატანინა დამუშავებული სასროლი ქვები. ტრებუშეტის ჭურვებს (ქვებს) ამუშავებდნენ და ყალიბის საშუალებით ფორმას აძლევდნენ. ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ამ მექანიზმებმა. მთელი ამ მოძრაობის მანძილზე იშვიათი იყო დიდი საბრძოლო შეტაკებები გაშლილ ფართობებზე. ძირითადი საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ციხე-ქალაქებთან. ჯვაროსნულ აღმოსავლეთში ციხე-სიმაგრეების სიმრავლე გამოწვეული იყო ევროპელთა მიერ ამ საფორტიფიკაციო ნაგებობების დიდი სამშენებლო საქმიანობით. აქ მოსული ჯვაროსნები მუდმივად განიცდიდნენ ცოცხალი ძალის რესურსის უკმარისობას და ეს გამაგრებული ციხე-ქალაქები მათი თავდაცვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდნენ. ტრებუშეტებს წარმატებით იყენებდნენ, როგორც ევროპელები და ბიზანტიელები, ასევე, მათი მოწინააღმდეგე სელჩუკები, ეგვიპტელები, სირიელები და მამლუქები. განსაკუთრებით ხშირად, ჯვაროსნულ ციხე-სიმაგრეებზე შეტევისას, მას იყენებდა ეგვიპტის სულთანი ბეიბარსი. XIV საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა დატოვეს აღმოსავლეთი, აღარ იყო ამ მანქანების ასე ხშირი გამოყენების მოთხოვნილება.

ქართულ სამხედრო ხელოვნებაში მისი ანალოგი იყო ფილაკავნები, ფილაკავანი, „საომართა მანქანები“ („ფილაკავანი“ მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან, რაც ნიშნავს სპილოსხელა საგნების მსროლელს), ლოდსატყორცნი მექანიზმი, რომელსაც იყენებდნენ შუა საუკუნეების საქართველოში. მისი გამოყენება პირველად დაფიქსირებულია 627 წელს, როცა ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ, მოკავშირე ხაზარების დახმარებით ალყა შემოარტყა თბილისს და მის გალავანზე იერიშისთვის გამოიყენა ტრაქციული ტრებუშეტი.

ქართულ სინამდვილეში ამ მექანიზმების გამოყენების ფაქტს ვხვდებით XI საუკუნეში, 1011-1012 წლებში, როცა ბაგრატ III-მ „ფილაკავანნი“ გამოიყენა

ქალაქ შამქორის გალავნების შესამუსრავად. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, „მეფემან ბაგრატ მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი, და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი“. ამ იარაღის გამოყენებამ აიძულა რანის ათაბაგი მორჩილება განეცხადებინა ქართველთა მეფისადმი.[22]

1045 წელს, „ფილაკავანნთა“ საშუალებით უშენდა ლოდებს ბაგრატ IV ანაკოფიის და ხუფათის ციხეებს და თბილისის დაკავების შემდეგ, ისნის ციხეს. სავარაუდოდ, შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული იყო ფილაკავანის ორი ტიპი: რომაული კატაპულტები (ქვის სატყორცნი ონაგრები) და ტრებუშეტები.

1121 წელს, დიდგორის ბრძოლის შემდეგ, ქართველებს ხელში ჩაუვარდათ მტრის მიერ ბრძოლის ველზე დატოვებული სამხედრო აღჭურვილობა, მათ შორის: „სხჳთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თჳთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა“. „ფილაკავანნი“, როგორც ჩანს, კოალიციურ ლაშქარს სჭირდებოდა ციხე-სიმაგრეების ასაღებად.


გიორგი III-ის მეფობის პერიოდში, ანისის აღების შემდეგ, ქართველებმა ქალაქის დასაცავად მოამზადეს ლოდსატყორცნი მანქანები. ქალაქის დამცველი რაზმის მეთაურმა თორელმა „განამზადნა საბრძოლველნი და მანქანანი“, რადგან ლოდსატყორცნებს, არა მარტო მოალყეები, გარნიზონის დამცველებიც იყენებდნენ. სავარაუდოდ, ესენი უნდა ყოფილიყო ტრაქციული (შედარებით მცირე ზომის) მანქანები, რადგან საპირწონე მექანიზმების დაყენება გალავნის კოშკებზე, მისი სიდიდის და მძიმე წონის გამო, რთული იქნებოდა. არც ისაა გამორიცხული, დიდი ბაქანის მქონე კოშკურების პირობებში, საპირწონეებიც განეთავსებინათ. გალავნის კედლებიდან მსროლელ მეციხოვნეებს ერთგვარი უპირატესობა ჰქონდათ, რადგან ეს მექანიზმები უფრო დაცული იყო მტრის საპასუხო ცეცხლისგან და, აგრეთვე, კოშკებზე განლაგებულ ამ არტილერიას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მაღლიდან ნასროლი უფრო შორეულ სამიზნეებს აზიანებდა. 1177 წელს, გიორგი III-მ ეს ლოდსატყორცნები გამოიყენა აჯანყებულთა წინააღმდეგ აგარაკის ციხეზე იერიშის დროს, რის შემდეგ გარნიზონი დანებდა მეფეს.

არქეოლოგიური მონაცემებით, უფლისციხის ნაქალაქარში აღმოჩენილია ამ საბრძოლო მანქანების დიდი და მცირე ზომის დამუშავებული ქვის ჭურვები.

ტრიბოლი – ნაღმის ნაირსახეობა, ოთხწვერიანი საგანია, ისრისპირებით, გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის შეტევის, დევნის შესაფერხებლად, როგორც

22 მ. ნურწუმიას აზრით, ეს არ უნდა ყოფილიყო ტრაქციული მექანიზმი, რადგან მას არ შეეძლო გალავნის კედლების განგრევა. გალავნის კედლების დანგრევა შეიძლებოდა მხოლოდ საპირწონიანი ტრებუშეტით, რომლის არსებობა იმ დროისათვის, არც საქართველოში და არც ახლო აღმოსავლეთში დაფიქსირებული არ არის. ამიტომ, მკვლევარი ვარაუდობს, რომ შესაძლებელი იყო რაიმე გარდამავალი იარაღი ამ ტიპის მექანიზმებს შორის, ან უფრო დიდი ზომის ლოდსატყორცნები, რადგან XI საუკუნეში ქართული ლოდსატყორცნი არტილერია მეტად დაწინაურებული იყო.

ცხენოსანი, ისე ქვეითი რაზმების წინააღმდეგ.[23] სამხედრო კამპანიის დროს ტრიბოლები დიდი რაოდენობით ჰქონდათ მომარაგებული. მას იყენებდნენ სამხედრო ბანაკების მოწყობის დროს. ბანაკის გარშემო ყრიდნენ ამ ნაღმს, რათა შეეფერხებინათ მოწინააღმდეგის მოულოდნელი თავდასხმა. ასევე, ამ იარაღს იყენებდნენ უკუქცევისას, არიერგარდის მეომრები მას ყრიდნენ მტრის ცხენოსნების დევნის შესაფერხებლად. ტრიბოლებისგან დასაცავად, ცხენებს ჩლიქებზე რკინის ფირფიტებს აკრავდნენ, ხოლო ქვეითები ფეხსაკრავისთვის რკინის ან ხის ლანჩას იყენებდნენ. ტრიბოლებს ციხის დამცველებიც იყენებდნენ, მოალყეების იერიშისას. ტრიბოლები, ჯერ კიდევ, ანტიკურ ეპოქაში გამოიყენებოდა და შემდგომში ბიზანტიელების, არაბების, სასანიანების შეიარაღებაში ერთ-ერთ აუცილებელ საბრძოლო საშუალებას წარმოადგენდა. მას, განსაკუთრებით წარმატებით, ბიზანტიელები იყენებდნენ და, ამიტომაც, ტრიბოლებს ბიზანტიურ ნაღმს უწოდებენ.



ტრიბოლი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

ბალისტა – კატაპულტას ნაირსახეობა, სასროლი იარაღია, მისი საშუალებით ისროდნენ დიდ ისრებს. ეს იყო ხის სადგომზე ჰორიზონტალურად დამაგრებული დიდი მშვილდი. ანტიკურ ხანაში გავრცელებული იყო დიდი, არბალეტის ტიპის ისრების სასროლი იარაღი. მსგავსი კონსტრუქციის იყო ხელის არბალეტი. გამოირჩეოდა ზუსტი სროლის ეფექტურობით. ძირითადად, იყენებდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, ასევე, გალავნის ხის კონსტრუქციების დასანგრევად. მას იყენებდნენ ცეცხლგამჩენი ისრების სასროლადაც. გარდა პირისპირ შეტაკებებისა, ბალისტას იყენებდნენ ციხე-სიმაგრეების ალყის დროსაც. განსხვავებით კატაპულტისაგან, ბალისტა შედარებით მსუბუქი წონის იყო და ტრანსპორტირებისთვის არ წარმოადგენდა პრობლემას, მაშინ, როცა კატაპულტა (ტრებუშეტი, მანჯანიკი), ძირითადად, დაშლილი სახით გადაჰქონდათ და საბრძოლო არეალის ახლოს აწყობდნენ.

მსგავსი მექანიზმის იყო ბორბლიანი, თვლიანი არბალეტი, რომლის მუშაობის პრინციპი იგივე იყო, რაც ხელის არბალეტის, ოღონდ მისი გამოყენებისათვის საჭირო იყო რამდენიმე ადამიანი. სასროლად გამზადებისას ჭიმავდნენ ზონარს, რომელსაც ბოლოში კაუჭი ჰქონდა.

---

23 ტრიბოლი დაცულია ეროვნულ მუზეუმში (იარაღის ფონდში აღნიშნულია, როგორც „ოთხკაპა“). მ. წურწუმიას ვარაუდით, რადგან ის საქართველოშია ნაპოვნი, შეიძლება მისი გამოყენება საქართველოშიც ხდებოდა.

ტარანი, ურნალი – გალავნის კედლის გასანგრევი მექანიზმია. ტარანის საშუალებით კედლების განგრევა იყო მინირების ერთ-ერთი მეთოდი. ამ საქმისათვის იყენებდნენ ტარანებს, გასანგრევ კაუჭებს, ან დიდი ზომის ხის მორებს, რომლებსაც თავი წამახვილებული ჰქონდათ, ძირითადად, წანვეტებული რკინის სოლებით. ეს ტარანები დაცული იყო სპეციალური ლითონის ფირფიტების ჯავშნით, ასევე, ღვინოში ან ძმარში დასველებული ტყავებით. მას, ხშირად, კუს ფორმა ჰქონდა. ტარანს მეომრები მიაგორებდნენ კედელთან და დაცულები იყვნენ ჯავშნით, მეციხოვნეთა მხრიდან წამოსული ისრების და ქვების წვიმისგან. ხშირად, ასე მოახლოებულ ტარანს, მეციხოვნეები ასხამდნენ ადუღებულ ფისს, ნავთს და ცეცხლს უკიდებდნენ. რელიეფიდან გამომდინარე, ის ან ხელით გადაჰქონდათ, ან მიაგორებდნენ კედელთან, ალაყაფთან.

ტარანის აღწერილობა შემონახულია ბიზანტიელ ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსთან. მისი გადმოცემით, კოლხეთში ბიზანტიელების და სპარსელების ომში (დიდი ომიანობა ეგრისში, VI ს.), ბიზანტიელების მიერ ონოგურისის (მარტვილი რაიონი, დღ. აბედათის ციხე) ციხის ალყისას, ბიზანტიელების შეიარაღებაში იყო სპალიონები, რომელიც „წნელისგან არის დაწნული სახურავის მსგავსად. ისე მკვრივად, რომ ვერაფერი გაატანს ვერც ერთი ადგილიდან. ორივე გვერდი ქვემოთ არის ჩაჭიმული და ირგვლივ ფარავს იმას, ვინც მის ქვეშაა დამალული. ზემოდან ყველგან ტყავებს და ბეწვებს აფარებენ და ისე მალავენ მანქანას, რომ სიმაგრედ გამოდგეს და ისრების აშორება იქნეს შესაძლებელი. შიგ უშიშრად იმალებიან კაცები და სადაც სურთ, იქ გადაიტანენ თუ ის კოშკთან ან ზღუდესთან იქნება რამენაირად მიტანილი. მაშინ ისინი, რომლებიც მის ქვეშ არიან მოთავსებულნი, ამოთხრიან ხოლმე მიწას და გაწმენდენ ამონათხარს, გააშიშვლებენ საძირკველს და ამის შემდეგ, რაც მოქლონებით და უროებით გამუდმებით სცემენ, ჩამოანგრევენ შენობას.“ აგათიას ცხადად აქვს აღწერილი ტარანის მუშაობის პრინციპი. ასეთი ტიპის მანქანა რომაელების შეიარაღებიდან გადავიდა ბიზანტიელების (აღმოსავლეთ რომის იმპერია) სამხედრო ხელოვნებაში.

გალავნის კედლის გასანგრევად თუ გასახვრეტად გამოიყენებოდა ბურღიც. ისიც, ტარანის მსგავსად, ხის ძელზე დამაგრებული წვეტიანი რკინით დაბოლოებული მექანიზმი იყო, რომელსაც სახელურების მეშვეობით აბრუნებდნენ. ბურღსაც იცავდა ხის ან ლითონის ფირფიტებით შეჭედილი, სპეციალურად შეჯავშნული საფარი, სადაც თავშეფარებული იყო მომსახურე პერსონალი. თუ ტარანს ათეულობით ადამიანის ძალა სჭირდებოდა, ბურღის მუშაობისთვის რამდენიმე მეომრის გამოყენებაც საკმარისი იყო.

ჯვაროსნული ომების დროს, ფრიდრიხ ბარბაროსას შვილმა ფრიდრიხ VI შვაბელმა, სირიაში ყოფნისას, ისეთი ტარანის მანქანა გააკეთებინა, რომ მასში მეომრები დგებოდნენ. ეს მექანიზმი დაფარული იყო ლითონის ფირფიტებით, მის ქვეშ დაკიდული იყო დიდი თოკები და ჯაჭვები, რომელზეც ჩამოკიდებული

იყო უზარმაზარი ხის მორი, დიდი ლითონის თავით. ამ მანქანას მიაგორებდნენ გალავნის კედელთან და მეომრები საშინელი ძალით ახეთქებდნენ კედლებს. როგორც არაბი მემატიანე, იბნ შადადი გადმოგვცემს, მეფის მიერ შექმნილი ეს მანქანები, დიდ შიშს იწვევდა მოსახლეობაში.

ბერძნული ცეცხლი. ბერძნული ცეცხლის გამოგონება მიეწერება ვინმე სირიელ ბერძენს კალინიკოსს, 673 წელს. თუმცა, მსგავსი ტიპის ააღებად იარაღს ძველი პერიოდიდან იყენებდნენ. პირველად, ბერძნული ცეცხლის ძალა, თავის თავზე არაბებმა გამოსცადეს, რომლებმაც, 672 წელს, ალყა შემოარტყეს კონსტანტინეპოლს. იგი მზადდებოდა სხვადასხვა მინარევებისგან.



ბერძნული ცეცხლი. XII საუკუნის ილუსტრაცია, იოანე სკილიცას „ქრონიკიდან“

მთავარი მასში ნავთი იყო, რომელსაც ფისს და გვარჯილას ურევდნენ. მას ისროდნენ სპეციალური ქვემეხებიდან – მილებიდან (დღევანდელი ცეცხლსასროლი, ცეცხლისმფრქვეველი). ბერძნულ ცეცხლს, განსაკუთრებით წარმატებით იყენებდნენ საზღვაო ბრძოლების დროს, გემების დასაწვავად. იმ დროინდელ ხის გემებზე მოხვედრილი ეს მინარევი ძნელი ჩასაქრობი იყო. ამიტომ, ხშირად, ხანძრის ასაცილებლად, გემების კორპუსებს ლითონის ფირფიტებით ფარავდნენ.

ბიზანტიელებისგან გადაიღეს თავიანთ შეიარაღებაში ბერძნული ცეცხლის მექანიზმი არაბებმა. ჯვაროსნული ომებში მას ხშირად იყენებდნენ მუსლიმები ქრისტიანებთან საბრძოლველად. ბერძნულ ცეცხლს უწოდებდნენ მემატიანეები, კატაპულტებიდან გაშვებულ ნავთით სავსე სპილენძის ქოთნებსაც, რომლებსაც ისეთივე ეფექტი ჰქონდათ, როგორც ბიზანტიელების მიერ გამოგონილ იარაღს. უკვე, არა მარტო საზღვაო ბრძოლებში, სახმელეთო შეტაკებებშიც იყენებდნენ

მას, განსაკუთებით, ციხე-ქალაქების ალყის დროს, როცა ამ მინარევით სავსე ქოთნებს, კასრებს უშენდნენ ციხის კედლებს, ქალაქის მცხოვრებთა სახლებს და იგივე ეფექტი ჰქონდა, რაც კლასიკურ ბერძნულ ცეცხლს. მას წარმატებით იყენებდნენ, ასევე, ციხის გარნიზონები, მოალყეების კატაპულტების, საალყო კოშკების, ტარანების დასაწვავად. 1190-1191 წლებში, აკრას ალყისას, როცა ჯვაროსნებმა ააგეს უზარმაზარი საალყო კოშკები, ქალაქის გარნიზონში პანიკა დაიწყო და აპირებდნენ კიდეც დანებებას, რომ არ გამოჩენილიყო დამასკელი ახალგაზრდა, სახელად ალი, გამოცდილი მჭედელის შვილი, რომელმაც იცოდა ბერძნული ცეცხლის მინარევის მომზადება. მან ნედლი ნავთისგან მოამზადა ეს გახურებული სითხე და სპილენძის ქოთნებში ჩასხმული, დაამსგავსა გავარვარებულ ნახშირს. კატაპულტების საშუალებით ქოთნები ესროლეს ჯვაროსანთა კოშკებს და, როგორც კი სითხე გადმოიღვარა მის კედლებზე, მაშინვე აალდა. ცეცხლი ისე სწრაფად მოედო კოშკებს, რომ მისი ჩაქრობა წარმოუდგენელი გახდა და შიგნით მყოფი რაინდები ცოცხლად დაიწვნენ.

ამ ქოთნებს, რომლებშიც გახურებულ სითხეს ასხამდნენ, ძველ ქართულში – ქოსი, ქოსთა ეწოდებოდა („სხუთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თჳთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა“). სულხან-საბას განმარტებით, „ქოსი სხვათა ენაა და ქართულად სპილენძ-ჭური ჰქჳან“ („ქართლის ცხოვრების“ II ტომში, ქოსი განმარტებულია, როგორც დაფდაფი, ჩხირებით სამღერელი.

XIII-XIV საუკუნეების მემატიანეს, VII ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეს და საფრანგეთის მეფის, წმინდანად შერაცხული ლუი IX-ის ბიოგრაფს, შამპანის საგრაფოს სენეშალ ჟან დე ჟუანვილს მოთხრობილი აქვს, თუ როგორი წარმატებით იყენებდნენ ეგვიპტელები ჯვაროსანთა სამხედრო ბანაკების, საალყო კოშკების წინააღმდეგ ბერძნულ ცეცხლს: „ბერძნული ცეცხლი სიდიდით ღვინის კასრის ზომის იყო და სროლის დროს მისგან გამომავალი ცეცხლოვანი კუდი შუბის სიგრძე იყო. ფრენის დროს იმხელა ხმას გამოსცემდა, რომ გეგონებოდა მეხი გავარდაო. ის ცაში მფრინავ გველეშაპს ჰგავდა. მისი შუქი იმხელა მანძილზე ანათებდა, რომ ბანაკში დღესავით ნათელი იყო.“

XII საუკუნის არაბ ავტორს ატ-ტარსუსს (სპეციალური ნაშრომი დაწერა თავისი ეპოქის სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელიც მიუძღვნა სალაჰ ად-დინს, 1174 წელს) აღწერილი აქვს ბერძნული ცეცხლის დამზადების ერთ-ერთი ხერხი: „იმისათვის, რომ დავამზადოთ საუკეთესო მინარევი, რომ ვისროლოთ მანჯანიყის მეშვეობით, უნდა ავიღოთ 10 ფუნტი კუპრი, 3 ფუნტი ფისი, 1/2 ფუნტი არომატული ფისი და შელაქი ბუნებრივი ლაქისგან, 3 ფუნტი სუფთა, მაღალი ხარისხის გოგირდი, გასუფთავებული ყველა მინარევისგან, 5 ფუნტი გამდნარი დელფინის ქონი, ამდენივე გამდნარი, გასუფთავებული ხბის ღვიძლის ქონი. გაადნე კუპრი, დაამატე ქონი, შემდეგ ცალკე გაადნე ფისი და შეურიე მას. შემდეგ დააქუცმაცე დანარჩენი ინდეგრიენტები, თითოეული ცალ-ცალკე, დაამატე მას მინარევი, დაანთე ცეცხლი და ადუღე, თან კარგად აურიე.

თუ გინდა, რომ გამოიყენო იგი ომის დროს, ამ მინარევის ერთი ნაწილი აიღე და დაუმატე 1/10 მინერალური გოგირდი მომწვანო ფერის, რომელიც წააგავს დაძველებულ მცენარეულ ზეთს. ყველაფერი ეს მოათავსე ქვაბში და ადუღე, სანამ არ გავარვარდება და აალდება. შემდეგ აიღე სპილენძის ქოთანი და ქეჩის ნაჭერი. ისროლე ის მანჯანიყის საშუალებით იმ მიმართულებით, რისი დანვაც გინდა. როგორც კი ეს ქოთანი მიზანს მოხვდება და ცეცხლი მოეკიდება, მისი ჩაქრობა შეუძლებელი ხდება." კატაპულტებიდან ნასროლი ამ მინარევით სავსე კასრი ან ქოთანი, როდესაც ხვდებოდა მიზანს, სკდებოდა და ბომბის ეფექტი ჰქონდა. მისგან გადმოღვრილი სითხე სწრაფად აალდებოდა და მისი ჩაქრობა, მართლაც, ძნელი იყო.

ქართულ სამხედრო შეიარაღებაში არ გვხვდება ბერძნული ცეცხლის გამოყენების მეთოდები, მაგრამ, სავარაუდოდ, ბიზანტიელთაგან ან არაბთაგან უნდა შემოსულიყო ჩვენთან მისი გამოყენების ის მეთოდი, რომელსაც მუსლიმები ჯვაროსნების წინააღმდეგ იყენებდნენ. კერძოდ, ამ სითხით სავსე სპილენძის ქოთნების სროლის პრინციპი კატაპულტების მეშვეობით. აუცილებელი არ არის ვიფიქროთ, რომ ეს საბრძოლო მეთოდი გადმოიღეს ქართველებმა, მაგრამ აალებად მასალას რომ იყენებდნენ ქართულ არმიაში, ეს ჩანს, დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღებისას. მემატიანეთა ცნობით, ქართველებმა ცეცხლი წაუკიდეს ქალაქს. აქ უნდა ვიგულისხმოთ, სწორედ, ცეცხლიანი ისრების, სპილენძის კასრების დაშენა კატაპულტების და ბალისტების მეშვეობით.

მედეას ზეთი ნავთის მინარევი, ბერძნული ცეცხლის ნაირსახეობაა. VI საუკუნის ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი გადმოგვცემს, რომ „დიდი ომიანობის" დროს ლაზების ქვეყანაში ეს მინარევი გამოიყენეს ბერძნებმა და ლაზებმა ირანელების წინააღმდეგ, სიმაგრის აღების დროს. კერძოდ, პეტრას (დღ. ციხისძირი) ციხესთან ბრძოლისას, ბერძნებმა და ლაზებმა „ქოთნები აავსეს გოგირდით, ასფალტით, და ერთი საწამლავით, რომელსაც მიდიელები ნავთს ეძახიან, ხოლო ელინები კი მედეას ზეთს. ამ მინარევით სავსე ქოთანი, რასაც მოხვდებოდა, მაშინვე აგიზგიზდებოდა და მისი ჩაქრობა შეუძლებელი იყო." ეს მინარევი ძალიან წააგავს შუა საუკუნეების ბერძნული ცეცხლის შემადგენლობას.

საალყო კოშკი, გამოიყენებოდა ციხის გალავანზე იერიშის დროს. მისი მთავარი ფუნქცია, ახლო მანძილიდან გადასასვლელი კიბეების და ხიდების საშუალებით, მოალყეების გალავანზე იერიში იყო. საალყო კოშკი რთული ნაგებობა იყო და რამდენიმე იარუსისგან, სართულისგან შედგებოდა. მასზე, რიგ შემთხვევებში დამონტაჟებული იყო ტარანები, ბალისტები, მაგრამ, ძირითადად, გამოიყენებოდა გალავანზე დესანტის გადასასხმელად. საალყო კოშკი ციხის გალავანზე და კოშკებზე უფრო მაღალი ნაგებობა იყო. მასზე მყოფ მეომრებს, ახლო მანძილიდან, საფარში, კედლის ქონგურების სიმაღლის დონე-

ზე უნდა ეწარმოებინათ საომარი ოპერაცია. კოშკი ბორბლებზე იდგა. მას გალავნის კედლებთან მიაგორებდნენ მოალყეები. კოშკი, იმდენად მძიმე და დიდი კონსტრუქციის იყო, რომ მისი ტრანსპორტირება დაშლილი სახით ხდებოდა საბრძოლო მოქმედებების არეალში და ადგილზე აწყობდნენ ხის და ლითონის მასალისგან.

1099 წელს, ჯვაროსანთა არმიას იერუსალიმის ალყისას, დამხმარედ მოევლინენ გენუელები, რომლებმაც ფლოტის საშუალებით საპორტო ქალაქი იაფა აიღეს. მაგრამ იაფას მომდგარმა ეგვიპტელთა დიდმა ფლოტმა, მცირერიცხოვანი გენუელები აიძულა თავიანთი გემები შეეყენებინათ მეჩეჩზე. გენუელებმა დაშალეს გემები და მისი ხის მასალა, ლითონის კონსტრუქციები გადაიტანეს იერუსალიმთან მდგარ ჯვაროსანთა ბანაკში. სწორედ, ამ დაშლილი გემების მასალისგან აგებული სამი დიდი კოშკი მიმართეს იერუსალიმის გალავანთან. მისი საშუალებით გადეს ხიდი გალავანსა და კოშკს შორის. ამის შემდეგ, რამდენიმე თავგანწირულმა მეომარმა ბრძოლით გადაირბინა ხიდი, რაზეც შეშინებული გარნიზონის მცველები, გალავნიდან ქვევით გაიქცნენ. გალავანში გადასულმა ჯვაროსნებმა ალაყაფის კარები გახსნეს და გარედან მომდგარი რაზმები ქალაქში შეუშვეს.

ქართულ საბრძოლო შეიარაღებაში საალყო კოშკის გამოყენების შემთხვევები არ გვაქვს, თუმცა, მას იცნობდნენ მტრის მიერ მისი გამოყენებისას, რასაც წყაროებიც ადასტურებენ. კერძოდ, 1556 წელს ეს კოშკი შაჰ-თამაზმა გამოიყენა ატენის ციხის ალყის დროს. ქართული წყაროები მას, მონღოლურის გავლენით, სიბას უწოდებდნენ. სიბა მონღოლური სიტყვაა და ღობით გამაგრებულ თხრილს ნიშნავს.

თავი XI

ციხე-ქალაქის აღების ხერხები

ციხე-სიმაგრეების აღების მრავალი ხერხი არსებობდა, თუმცა, ყველა ისინი ერთიანდებოდა ორ მთავარ მეთოდში: ციხის აღება პირდაპირი იერიშით და ხანგრძლივი ალყით. ეს ორივე მეთოდი, ხშირად, ერთობლივადაც გამოიყენებოდა ალყის დროს. ციხეზე პირდაპირი იერიშის ფორმას წარმოადგენდა მისი აღება მოულოდნელი თავდასხმით, გალავნის წინ შეტაკებებით, მოწინააღმდეგე მხარის უკუქცევით ალაყაფის კარების ხელში ჩაგდება და კედლების მინირების (განგრევის) მეთოდი. ციხეზე პირდაპირი იერიშის დროს თავდამსხმელი მხარე იყენებდა საალყო საშუალებებს, ლოდების, ისრების და ცეცხლის მტყორცნელ მექანიზმებს, ასევე, საალყო კიბეებს, თოკებს, ქამანდებს.

ციხის აღების ერთ-ერთი ეფექტური საშუალება ხანგრძლივი ალყა იყო, რომელსაც მიზნად ჰქონდა გარნიზონის შიმშილით და მუქარით შეწუხება, რომ დამცველები იძულებული გაეხადათ, უბრძოლველად ჩაებარებინათ ციხე. გარდა ამისა, არსებობდა ციხეში გადაპარვის, გარნიზონის მცველთა მოტყუებით ან ყურადღების მოდუნებით ციხის აღების მეთოდები.

მოულოდნელობის ფაქტორი ითვალისწინებდა, ციხესთან მოიერიშე რაზმის სწრაფ მანევრირებას, ალაყაფის კართან მის სწრაფ თავმოყრას და სხვ. ამ შემთხვევაში ტაქტიკურ მანევრებს დიდი სიფრთხილით, საიდუმლოდ ამზადებდნენ, ან ცრუ ხმების გავრცელების მეშვეობით მოწინააღმდეგის ყურადღებას ადუნებდნენ.

1110 წელს, დავითმა თურქ-სელჩუკებს ქვემო ქართლის ციხე-სიმაგრე სამშვილდე წაართვა. დავითის ისტორიკოსის სიტყვებით: „შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე.“ როგორც ჩანს, დავითს ციხის ასაღებად მოულოდნელობის ფაქტორი გამოუყენებია. სამშვილდის აღების წინა ხანებში მეფე დასავლეთ საქართველოში გადასულა და მტრის ყურადღება მოუდუნებია. თავდამსხმელი რაზმი კი გიორგი ჭყონდიდელს შეუკრებია და მისი წინამძღოლობით აუღიათ ეს ციხე-ქალაქი. „სიმარჯვით მოპარვა“ უნდა გულისხმობდეს მოულოდნელ თავდასხმას ღამით, გალავნის სუსტად დაცულ მონაკვეთზე ან ციხის გარნიზონის ყურადღების მოდუნებას, რაც თავდამსხმელებს ციხის სიახლოვეს რაზმების კონცენტრაციის საშუალებას მისცემდა. „სიმარჯვით მოპარვა“ გულისხმობდა, ასევე, მოულოდნელად გაღებული ალაყაფის კარებთან თავდამსხმელის სწრაფ კონცენტრაციას და შეტევას.

მოულოდნელობის ერთ-ერთი საშუალება იყო ციხეში გადაცმული შესვლა ვაჭრების ან მლოცველების სახით. ასეთი რაზმის მთავარი მიზანი იყო გალა-


ვნის ალაყაფის ხელში ჩაგდება და ციხის გარნიზონის მობილიზაციამდე (გონს მოსვლამდე), ძირითადი ძალების სწრაფი იერიშით ციხის გალავანში შეჭრა და, უშუალოდ, მის შიგნით ბრძოლების გამართვა. პარალელურად, მოიერიშე მხარის მიერ, ციხის სხვა მონაკვეთებზეც იერიშის მიტანა, რათა გარნიზონს ვერ მოეხდინა ძალების კონცენტრაცია ალაყაფის სიახლოვეს. სავარაუდოდ, ასეთი მეთოდებით აიღეს სამშვილდე. სამშვილდის ციხე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი იყო და მისი დაკარგვა სელჩუკებისთვის ძალიან დიდი დარტყმა აღმოჩნდა. ამის შემდეგ, მათ იმ მხარის სხვა ციხეები უბრძოლველად მიატოვეს. სამშვილდის დაკარგვა, ფაქტიურად, მთელი რეგიონის დათმობას ნიშნავდა.

სამშვილდის დაკარგვა მომთაბარე თურქმანებისთვისაც მძიმე დარტყმა იყო. მისი აღების შემდეგ, მომთაბარეები ღამით აიყარნენ და გადაიხვეწნენ. სამშვილდის ციხის და ქვემო ქართლის სხვა სიმაგრეების ფლობა, სომხითის და გაჩიანის მხარეებში, თბილისიდან ბარდავამდის, მტკვრისა და იორის ნაპირებზე არსებული მათი სადგომების უსაფრთხოებას განაპირობებდა. თურქმანებს თავიანთი საქონლისათვის მშვენიერი საძოვრები ჰქონდათ დაკავებული და ამ ადგილების ბუნებრივი სიმდიდრეებით მთელი წელი სარგებლობდნენ. მემატიანე აღნიშნავს კიდეც, თითქოს „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქ არისო.“

თურქმანი მომთაბარეების სადგომების განადგურების პარალელურად დავითი სელჩუკთა მიერ დაკავებული ციხე-ქალაქების აღებასაც განაგრძობდა. გარდა იმისა, რომ გამაგრებულ პუნქტებში დგომით, სელჩუკები ზურგს უმაგრებდნენ მომთაბარეებს, ამ ციხეების კონტროლს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი მდებარეობდნენ ქვეყანაში შემომავალ სტრატეგიულ და ეკონომიკურ მაგისტრალებზე. ეს ციხეები კეტავდა რეგიონში შემავალ ხეობათა გასასვლელებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვემო ქართლის ციხე-ქალაქების ფლობას. ძირითადად, აქ იყო თავმოყრილი, როგორც მომთაბარეთა, ასევე, სელჩუკთა მთავარი ძალები. მათი აქ ყოფნა სელჩუკ მმართველებს უადვილებდა ჯავახეთის და თრიალეთის გზით შიდა ქართლში, ქვეყნის ცენტრალურ რეგიონში უპრობლემოდ შემოსვლას. სამეფო ხელისუფლებისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეგიონის ციხე-ქალაქების დაკავებას, რაც მას საშუალებას მისცემდა გაეკონტროლებინა ქვეყნის სამხრეთ საზღვრებთან მტრის ურდოების მოძრაობა და ამ ფორპოსტიდან საზღვართან მდგარ სელჩუკებზე თავდასხმებით სტრატეგიულ მიზანს მიაღწევდა. სამშვილდის აღების შემდეგ, როგორც არაბი ისტორიკოსი იბნ-კალანისი მოგვითხრობს, ქართველებმა დაარბიეს განძის სანახები და მრავალი ბოროტება ჩაიდინეს ისლამის ქვეყანაში. სამშვილდის, რუსთავის, ლორეს, ხუნანის და სხვა ციხეების აღების პარალელურად და შემდეგ, დავითმა ბრძოლის ასპარეზი ქვეყნის გარეთ გადაიტანა და სელჩუკებს შირვანის, არრანის, ბასიანის და

სომხეთის მიმართულებით შეუტია.

1115 წელს, ქართველებმა გიორგი ჭყონდიდელის მეთაურობით რუსთავის ციხე-ქალაქი წაართვეს თურქ-სელჩუკებს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ჭყონდიდელი სასულიერო პირი იყო, მეფესთან ერთად მონაწილეობდა, არა მარტო სამოქალაქო თუ საეკლესიო საქმეების მოგვარებაში, არამედ სამხედრო ოპერაციებშიც. რუსთავის აღებით, თბილისი, ფაქტიურად, ალყაში ექცეოდა. ქართველები უკვე აკონტროლებდნენ სამხრეთიდან შემომავალ სტრატეგიულ კვანძს სამშვილდეს, ჩრდილოეთიდან – ზედაზენს და მის მიმდებარე მიწებს (ხერკ-საგურამოს ტერიტორია), ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – კახეთ-ჰერეთს და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – რუსთავს.



ციხის ალყა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H1665. 212v

1118 წელს დავითმა აიღო აგარანი (კოჯრის ციხე) და ლორეს წართმევით, კიდევ უფრო მძიმე დარტყმა მიაყენა მტერს. ლორე ერთ ხანს ტაშირ-ძორაკეტის სომხური სამეფოს ცენტრი იყო. მას კვირიკიანთა დინასტია მართავდა, მაგრამ XI საუკუნის ბოლოს სელჩუკები დაეუფლნენ. ლორეს ციხე ტაშირის ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პუნქტი იყო. მისი ბუნებრივი ადგილმდებარეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამხრეთის საზღვრის დასაცავად, რადგან იგი კეტავდა ქცია-ბერდუჯის ხეობებით შემომავალ გზებს. ამავე დროს, ლორეს აღებით დავითმა მიიღო სტრატეგიული პლაცდარმი ჩრდილოეთ სომხეთის, კერძოდ, ანისის და დვინის მიმართულებით.

1116 წლიდან დავით აღმაშენებელმა მომთაბარეთა სადგომებზე მარბიელი რეიდები განახორციელა, უკვე, ქვეყნის საზღვრებს გარეთ. 1117 წელს დაარბია ტაოს უკიდურეს სამხრეთით ჩამოსახლებული თურქმანები. 1118 წელს არაქსის პირას დაბანაკებულებს დაესხა თავს. 1120 წელს შორეული რეიდი მოაწყო აშორნიის მიმარ-

თულებით, საიდანაც გზა ვანის ტბის სანაპიროებისკენ იხსნებოდა. იმავე წელს რამდენჯერმე ილაშქრა შირვანზე. 1121 წელს სასტიკად დაამარცხა არრანის სელჩუკები. იმავე წელს აიღო ხუნანი. ეს ღრმა რეიდები არა მარტო მომთაბარეების გასანადგურებლად, არამედ სელჩუკთა გარნიზონების წინააღმდეგ ხორციელდებოდა. 1118-1120 წლებში, ქართველების გააქტიურება, ასევე, დაკავშირებული იყო საქართველოს სამხედრო ძალებში ახალი მარბიელი რაზმების გამოჩენასთან. ყივჩაღების მოისარი, მსუბუქი ცხენოსანი მარბიელი რაზმების დახმარებამ ქართველთა შეტევების გეოგრაფიული არეალი, საკმაოდ გააფართოვა.

ქალაქის ციხე-გალავანზე მოულოდნელი თავდასხმის ნათელი მაგალითია, 1210 წელს, ჩრდილოეთ სპარსეთის ქალაქ არდაველის ამირას მიერ, სომხური ქალაქ ანისის აღების ისტორია. თამარის ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის ცნობით, არდაველის ამირას აღდგომის დღესასწაულის დღეებში მოულოდნელად ააოხრა ქალაქი ანისი. იმ დროს, როდესაც ქალაქის პატრონები ზაქარია და ივანე მხარგრძელები გეგუთში თამარ მეფეს სტუმრობდნენ, მტერი „წარმოვიდა და აღვლო რასის პირი (არაქსი) და უგრძნობლად მოვიდა ანისა. გზა-გზა არავის ავნო და დიდსა შაბათსა მწუხრი მოვიდა ქალაქ ანისისასა. და ვითარ ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტევნეს კარსა ქალაქისასა, შეუტევეს ცხენი, და ვერ მოასწრეს კარნი, და შევიდეს ქალაქად, იწყეს ...ჴოცად, კვლად, ტყუედ ესრეთ ჴელთ იგდეს ქალაქი."

ქართველებმა საპასუხო ლაშქრობა მოაწყვეს არდაველზე, რომელიც ქალაქის აოხრებით და მისი მმართველის დასჯით დამთავრდა. ქართველთა ჯარი ქალაქს მაშინ მიადგა, როდესაც: „რომელ აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი, და მას ღამესა გარე მოადგეს არდაველსა. ვითარ ჴმა-ყო ქადაგმან ბილწისა ქადაგებისა მათისამან და გახშირდა მუყრთა ყივილი, ყოვლითნიგ ცხენი შემოუტივეს მჭარგრძელთა, შეუხდეს და უომრად ჴელთ იგდეს ქალაქი .

ხოლო სულტანი არდაველისა მოკლეს, ცოლნი და შვილნი მისნი ტყუე-ჰყვეს და წამოასხეს. ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიძგითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა."

ორივე შემთხვევაში თავდამსხმელი მხარე სარგებლობს მოულოდნელობის ფაქტორით. ქალაქისკენ მიმავალნი გზად არავის ვნებენ, რათა ყურადღება არ მიიქციონ. ესეც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო წარმატებული რეიდისა. ორივე შემთხვევაში, ანისი და არდაველი აიღეს რელიგიური დღესასწაულების დროს, როცა ეკლესიებში და მეჩეთებში ღამის ლოცვები მიმდინარეობდა და გამთენიისას, გარიჟრაჟზე, ქალაქების გალავნის ალაყაფი ღია იყო სადღესასწაულოდ მიმავალი მოსახლეობისთვის.

ციხის მოულოდნელი აღების ერთ-ერთ ხერხს, კლდეზე აცოცება, მის გალავანში გადაპარვა წარმოადგენდა. სპეციალურად შერჩეული ჯგუფი გალავ-

ნის კედელზე აცოცებით, გადაპარვით, ციხის ალაყაფის მცველებს ანადგურებდა. ამის შემდეგ თავდამსხმელი მხარე აღებდა ალაყაფის კარებს და ნიშანზე მზად მყოფი მოალყეთა რაზმები სწრაფი შეტევით იკავებდნენ გალავნის შიგნით ტერიტორიას. 1403 წელს, თემურ-ლენგის მიერ, ბირთვისის ციხის ასეთი ხერხით აღების ამბავი გადმოცემული აქვთ, როგორც ქართველ, ისე სპარსელ ისტორიკოსებს.

განსაკუთრებით საინტერესოა, სპარსელი ისტორიკოსების შრომებში დაცული ცნობები, რომლებიც უშუალოდ ახლდნენ აზიის ამ უდიდეს დამპყრობელს ლაშქრობებში და საკუთარი თვალით ნანახს გადმოგვცემენ. ერთ-ერთი მათგანი ნეზამ ად-დინ შამი უშუალოდ დასწრებია ციხის ალყას და მისი აღებისათვის ბრძოლას. მისი თქმით, ციხე ისეთი მიუვალი იყო, რომ ქვეყნიერების მომვლელ მოგზაურებს უფრო ძლიერი ციხე არსად ენახათ. ამას თვით, თემურის სარდლებიც აღიარებდნენ. სპარსელი ისტორიკოსების აღწერით, ორ უძირო ხეობას შორის 150 წყრთაზე აღმართულიყო მთა, რომელსაც ყოველი მხრიდან სიპი ციცაბო კლდე ერტყა. ამ მთას სამხრეთის მხრიდან ერთი პატარა ნაწილი გამოჰყოფოდა და კიდევ უფრო მაღლა აეზიდა თავი, რომელზედაც საბელის, კიბის და სხვა სამარჯვთა გარეშე ასვლა შეუძლებელი იყო. ციხე სწორედ ამ მაღალ მწვერვალზე იყო აგებული. ციხეს ბუნებრივად შემოზღუდული კლდეების ვიწრო გასავალში მყარი ჭიშკარი ჰქონდა დატანებული და მთასა და ციხეს ერთი ძალიან ვიწრო და დაკლაკნილი ბილიკის გარდა სხვა არა უდგებოდა რა. გარშემო მიდამოები დასერილი იყო ურიცხვი ხევებით და ერთი მტკაველი სწორი ადგილიც კი არსად იყო კარვების გასაშლელად და დასადგომად. თემურ-ლენგი ციხესთან პირადად 3 აგვისტოს მივიდა და ნეზამ ად-დინ შამი მის მიმდებარე ტერიტორიას გახურებულ თონეს ადარებს.

ციხეს იცავდა თორელთა დიდგვარიანი, 150 აზნაურთან და მეციხოვნესთან ერთად. ციხის ალაყაფამდე მიდიოდა კლდეებში გამოჭრილი ვიწრო ბილიკი, რითაც ციხეზე შეტევა, ფაქტიურად, წარმოუდგენელი იყო, რადგან მოიერიშე რაზმის გამოჩენის შემთხვევაში, გარნიზონს შეეძლო ის ჩაეხერგა ლოდების და ქვაღორღის საშუალებით. ამიტომ, თემურს არც უცდია იერიში მიეტანა ალაყაფის კარზე. მან გაამართვინა ლოდსატყორცნი მანქანები და სისტემატიურად უშენდა ციხეს, მაგრამ ბალისტებიდან გატყორცნილი ლოდები მხოლოდ კლდეს უწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ციხის აღების მცდელობა შედეგს არ იძლეოდა, თემურ-ლენგი ჯიუტად აგრძელებდა მის ალყას. მეციხოვნეებიც უშიშრად იდგნენ, ხანგრძლივი ალყისათვის მომარაგებული ჰქონდათ სურსათი და წყლის დიდი რეზერვუარები. თემურის სარდლები შეახსენებდნენ თავიანთ მბრძანებელს, რომ ზამთარი ახლოვდებოდა და ამ ხშირი ტყეებით და კლდეებით სავსე ხეობაში ჯარს განსაცდელი და, პირველ რიგში, შიმშილი ელოდა, რადგან ციხის გარშემო წყალი არსად იშოვებოდა და არც საძოვრები იყო პირუტყვისათვის. თემურმა ციხის მოპირდაპირე მხარეს მაღალი საალყო კოშკი

ააგებინა, რომელიც იმდენად მაღალი იყო, რომ იქიდან ციხეშიც კი იჭვრიტებოდნენ, მაგრამ მისი მიახლოება კლდესთან წარმოუდგენელი იყო, ნაპრალებით სავსე რელიეფის გამო. თემურსაც ეჭვი შეეპარა საბოლოო წარმატებაში და ხვდებოდა, რომ დროს ტყუილად კარგავდა, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ, სრულიად შეცვალა საქმის ვითარება. ეს, პირველ რიგში, მეციხოვნეთა დაუდევრობის შედეგი იყო. ისინი იმდენად მშვიდად იყვნენ ციხის მიუვალობის გამო, რომ სიფხიზლე მოადუნეს, ხშირად გადმოდგებოდნენ გალავნის თავზე, სიმღერით და ქეიფით ირთობდნენ თავს და მომხდურებს ჩასძახოდნენ, ამ სიმაღლეზე ჩიტიც კი ვერ ფრინდება და ადამიანმა რა უნდა გვავნოსო. თემურს ამ ხანგრძლივ ლაშქრობებში, გარდა საუკეთესო, გამოცდილი მეომრებისა, ჰყავდა კლდეზე ცოცვაში განსწავლული ოსტატები მექრითთა ერთ-ერთი ტომიდან. ერთმა მათგანმა, სახელად ბეგიჯაგმა, მოახერხა და აცოცდა კლდეზე ღამით. ნეზამ ად-დინ შამი აღნიშნავს, რომ ეს კლდე ციხეს სამხრეთიდან ერტყა და იმდენად მაღალი, გლუვი და ციცაბო იყო, რომ მასზე ასვლა გონებისათვისაც კი წარმოუდგენელი იყო. სწორედ ამ კლდეზე აცოცდა ბეგიჯაგი. ისარგებლა რა მეციხოვნეთა უდარდელობით, გადაძვრა გალავნის კედელზე, ჩაიპარა ციხეში, დაზვერა მისი ბასტიონები, ალაყაფის მისასვლელი და იქ დაიჭირა ერთი თხა, რომლის თავი ჩამოუტანა თემურს, რომ დაერწმუნებინა თავისი თავგადასავლის სიმართლეში. მეციხოვნეებმა ვერაფერი გაიგეს. ამის შემდეგ ციხის იერიშის ახალი გეგმა შემუშავდა. თემურმა შეარჩია კლდეზე ცოცვაში განსწავლული საუკეთესო მეომრები, სულ 50 კაცი, რომელთაც უზარმაზარ წყალობას დაჰპირდა და მათი, სახელებიც სპეციალურ დავთრებში შეიტანეს. მან აბრეშუმისა და ბამბისგან დააწნევინა 400 საფეხურიანი უზარმაზარი კიბე, რომელიც მექრითთა მცოცავებს უნდა აეტანათ კლდეზე. ოპერაცია უნდა დაწყებულიყო გვიან ღამით. მანამდე განახლდა ლოდსატყორცნების დაშენა ციხისთვის. მართალია, ეს ვერავითარ ზიანს ვერ აყენებდა ციხეს, მაგრამ მოსვენებას უკარგავდა მეციხოვნეებს, რადგან კლდეს მიხეთქებული ლოდები საშინელი ხმაურით ცვიოდა და მთელი მიდამო ზანზარებდა. სწორედ იერიშის ღამეს, თემურის ბრძანებით, შეწყვიტეს ლოდსატყორცნების დაშენა. ამან შვება მოუტანა მეციხოვნეებს, რომლებიც მშვიდ ძილს მიეცნენ, რაშიც მდგომარეობდა ამ ოპერაციის მთავარი არსი. გრძელი დაწნული რკინის ფარებით (ჩელტებით) შეიარაღებული რაზმის მთავარი მიზანი, ციხეში გადასვლის შემდეგ, ორ ჯგუფად გაყოფა იყო, რომელთაგან ერთი ალაყაფის კარებთან მიაღწევდა და მას შიგნიდან გააღებდა, ხოლო მეორე დაიცავდა მათ მეციხოვნეთა ისრებისაგან. როგორც სპარსელი მემატიანეები გადმოგვცემენ, ერთ პარასკევ ღამეს, როცა უკუნეთი სიბნელე ჩამოწვა, ოთხმა მექრითმა მოახერხა კლდეზე აცოცება სწორედ სამხრეთის ციცაბო კლდეზე. მათ ჩამოუშვეს გრძელი აბრეშუმის საბელი, რომლითაც აიტანეს ეს 400 საფეხურიანი მოძრავი კიბე და კოშკის ძირთან გამოაბეს კლდის წვერზე ამოსულ ერთადერთ ხეს. დილამდე

კლდეზე ააღწია მხოლოდ 33-მა მეომარმა, რომლებიც ქამანდების საშუალებით გალავანზე გადავიდნენ. მეციხოვნეებმა მტრის მოძრაობა მათი რაზმის გალავანზე გადმოსვლისას დააფიქსირეს და მაშინვე შეებნენ მას. მაგრამ მოიერიშე რაზმი კარგად ორგანიზებული, შეჭურვილი სამხედრო დანაყოფი იყო, რომელმაც ბრძოლით გაიკვლია გზა ალაყაფამდე. ჩელტების საშუალებით მათ შექმნეს მოძრავი კუს ფორმის შეჯავშნული, ფარებით თავიდან ფეხებამდე დაცული დანაყოფი. როდესაც ციხეში ბრძოლები გახურდა, თემურმა საბრძოლო წესით დამდგარი არმია ციხის გარშემო აახმაურა, რაც კიდევ უფრო მეტად აგულიანებდა ციხეში მოხვედრილ რაზმელებს. ამავე დროს, მან მოიერიშე რაზმი გაგზავნა ალაყაფისკენ, რომ მისი გაღებისას მზადყოფნაში ყოფილიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეციხოვნეებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მოიერიშეებს, მტერმა მაინც მიაღწია ალაყაფის კარს, გახსნა შიგნიდან და შემოუშვა გარს მომდგარი რაზმები. მეციხოვნეები თავგანწირულად ეკვეთნენ მტერს, მაგრამ თემურ-ლენგის ჯარის მრავალრიცხოვნებამ თავისი გაიტანა და ქართველები თითქმის მთლიანად ამოწყდნენ. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ციხის დამცველებს: „სანამდისინ ღონე და ძალი შესწევდათ და ან მკლავში ძალა აქონდა, ქართველნი ნამეტნავად კარგად იყვნენ. მრავალი თურქნი მოაკვდინეს, ასრე რომ თარა ციხის პატრონს ას ორმოცდაათი კაცი ჰყვანდა და თითოს ხუთი და ექვსი მოეკლათ და თავიანთ ასორმოცდაათ ათის კაცისგან სამოცი ცოცხალი იყო, ისინიცა დაჭრილნი და დაკოდილნი. არც ძალი და ღონე შერჩომოდა და არცა სით მშველი გაუჩნდა რა ქართველთ სცნეს თავიანთ ამოწყვეტა, ვისაც შეძვრის ღონე ჰქონდა, ნაიკრეს ხელი ხმალთა ცემით თურქთა ლაშქარს შიგ გამოერივნენ და კიდევ მრავალი კაცი მოკლეს და თვითონაც ზედ შეაკვდნენ“. ალაყაფიდან შემოსულმა მტერმა დიდი სისხლისღვრის შემდეგ მოახერხა მეციხოვნეების წინააღმდეგობის გატეხვა და „დარჩა გამარჯვება ლანგ-თემურს სიმრავლისაგან ლაშქართასა და აღიღო ციხე იგი.“ დატყვევებული ციხისთავი და სხვა გადარჩენილი მეომრები თემურ-ლენგის ბრძანებით დახოცეს, ხოლო მათი გადარჩენილი ცოლ-შვილი მბრძანებელმა თავის სარდლებს დაურიგა.[24]

ციხის აღების ერთ-ერთ მეთოდს, გალავანზე ქამანდებით, საიერიშო კიბეებით, კაუჭიანი ბადეებით, თოკებით გადასვლა წარმოადგენდა. თუმცა, ეს მეტად სარისკო ნაბიჯი იყო, რადგან მოიერიშეებში მსხვერპლი საკმაოდ დიდი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ მეთოდს იყენებდნენ მაშინ, როცა ციხეზე მიდიოდა გენერალური იერიში, საალყო ტექნიკის ყველა სახის გამოყენებით, რათა გა-

---

24 ბირთვისის ციხის აღების ისტორია აღებული გვაქვს ქართველი ისტორიკოსების ფარსადან გორგიჯანიძის, ბერი ეგნატაშვილის თხზულებებიდან და კ. ტაბატაძის მონოგრაფიიდან, სადაც ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს სპარსელი ისტორიკოსების ცნობებს ამ საკითხის გარშემო.

ლავნის დამცველებს მარტო მოირიშეებზე არ გაემახვილებინათ ყურადღება. ხშირ შემთხვევაში, დიდი დანაკარგების თავიდან ასაცილებლად, ასეთი იერიში ღამით, მოულოდნელი თავდასხმის დროს წარმოებდა. ეს მეთოდი გამოიყენა სიმონ მეფემ 1599 წელს, გორის ციხის იერიშისას. ღამით მოულოდნელი თავდასხმისას, საიერიშო კიბეების გამოყენებით, ქართველები გალავანზე გადავიდნენ და გორის ციხე აიღეს.

ციხე-გალავნის წინ შეტაკებები: მეციხოვნე რაზმებთან ქალაქის სიმაგრეების წინ ბრძოლის ხელოვნება.

ქართველი მეფეები მოხერხებულად იყენებდნენ საქართველოს მთიანი რეგიონების სპეციფიკას მტრებთან საბრძოლველად. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისინი, მხოლოდ მთიანი რელიეფური სივრცით ვერ ისარგებლებდნენ და ხშირ შემთხვევებში, ქართულ სამხედრო ნაწილებს ბრძოლა უხდებოდათ გაშლილ მიდამოებშიც, სადაც მსუბუქ ცხენოსან მოისარ ნაწილებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი და ქვეითი რაზმების საბრძოლო წყობასაც. ამ სახის იქნებოდა, ერწუხის ბრძოლა, რომელშიც დავით აღმაშენებელი ასეთ სამხედრო შენაერთებს დაეყრდნობოდა, რადგან გახურებული, ხელჩართული ბრძოლის ვითარებაში მათი როლი განსაკუთრებით დიდი იყო. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია დავხატოთ მიახლოებითი სურათიც კი, თუ რა პირობებში, რა გეოგრაფიულ სივრცეში მიმდინარეობდა ეს შეტაკება, რადგან ერთადერთი მემატიანე დავითის ისტორიკოსია, რომელიც ამ ამბების გადმოცემისას, მხოლოდ შეტაკების სიმძაფრის აღწერით შემოიფარგლა.

ქვეყნის გარეთ შეტაკებები ქართველებს, ხშირ შემთხვევაში, სწორედ გაშლილ ველებზე უხდებოდათ. იგივე დავით მეფე, ჩრდილოეთ სომხეთის, არრანის, შირვანის გაშლილ სივრცეებში, შორეულ სამხედრო რეიდებს, მარტო მსუბუქი ცხენოსანი რაზმებით ვერ გარისკავდა. იქ ბრძოლები მიდიოდა ციხე-სიმაგრეების აღებისთვის და ასეთი ოპერაციების ჩასატარებლად საჭირო იყო, არა მარტო მძიმედ შეიარაღებული რაზმების მონაწილეობა, არამედ საალყო ტექნიკა, მისი მომსახურე პერსონალი, სალაშქრო პროვიანტი, მარქაფა ცხენების რემა.

გაშლილ სანახებში იყო მოსალოდნელი, 1123 წელს, ირან-ერაყის სულთან მაჰმუდ მუჰამადის ძესთან შეტაკება. მას შემდეგ, რაც დავითმა რამდენჯერმე ილაშქრა შირვანში, აიღო ქალაძორი და ყაბალა, დაამარცხა სელჩუკთა კოალიციური არმია დიდგორთან, აიღო თბილისი, მაჰმუდ მუჰამადის ძემ გადაწყვიტა შეეჩერებინა ქართველთა შეტევები შირვან-არრანის მიმართულებით. ბრძოლის ასპარეზი უკვე, უშუალოდ, მუსლიმთა პოლიტიკური და ეთნიკური რეგიონები გახდა, რაც ძალიან აშფოთებდა ირან-ერაყის სელჩუკიანებს. 1123 წლის მაისში მაჰმუდმა დაიკავა შირვანი, აიღო შამახია, დაატყვევა შირვან-შაჰი და დავით აღმაშენებელს მუქარით სავსე, დამცინავი წერილი გამოუგ-

ზავნა: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ ჴელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთა გამოვედ და მნახე“.

სულთანი ცდილობდა გამოეწვია ქართველები თავისთვის ხელსაყრელ საომარ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ სივრცეში. ჯარის შეკრებისთანავე დავითი წარემართა სალაშქროდ, მაგრამ სანამ ქართველები შამახიას მიაღწევდნენ, ბრძოლა მოუხდათ განძის ლაშქართან. ქართველებმა გაიმარჯვეს და არრანის სელჩუკების 4 ათასიანი არმია თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ეს სერიოზული დარტყმა იყო სულთან მაჰმუდისთვის, რადგან დამხმარე ძალის გარეშე დარჩა. ქართველთა ჯარის მრავალრიცხოვნებას ისე შეუშინებია სელჩუკები, რომ ისინი სასწრაფოდ შამახიას სიმაგრეში შესულანო, გადმოგვცემს არაბი მემატიანე იბნ ალ-ასირი. სულთანი წასვლასაც კი აპირებდა, მაგრამ მისი უკუქცევით შეშინებულ მოქალაქეებს, იმის შიშით, რომ ქართველთა მახვილის მსხვერპლი გახდებოდნენ, უთხოვიათ მისთვის დარჩენა. მემატიანის ცნობით, სულთანმა შეისმინა მოქალაქეთა თხოვნა, მაგრამ მუსლიმთა ლაშქარმა ღამე დიდ შიშში გაათენაო.

საქმე საბოლოო შეტაკებამდე არ მისულა. დავითის ისტორიკოსის თქმით, შეშინებული სულთანი ღამე ქალაქიდან გაპარულა. თუმცა, იბნ ალ-ასირის ცნობით, იმ ღამეს ყივჩაღებს და ქართველებს უთანხმოება მოსვლიათ ერთმანეთში და ქალაქის მიდამოებიდან აყრილან. არაბი მემატიანე ამ ამბავს სულთნის გამარჯვებად თვლის, მაგრამ ვერ უარყოფს, რომ მტრის რიგებში არსებულმა უთანხმოებამ მუსლიმები დიდ განსაცდელს გადაარჩინა.

შეტაკება მოსალოდნელი იყო, რომ გამართულიყო შამახიას კედლებთან. სელჩუკებს ზურგს ქალაქის სიმაგრეები უმაგრებდა. სულთანიც მზად იყო ქართველებს ქალაქის მიდამოებში დაპირისპირებოდა, რადგან გაშლილ ველზე, ქალაქიდან შორს, როგორც ჩანს, უფრთხოდა მტრის სერიოზულ სამხედრო ძალასთან დაპირისპირებას. უკუქცევის შემთხვევაში კი შეეძლოთ ქალაქის სიმაგრეებისთვის თავის შეფარება და იქიდან საალყო წესებით, თავდაცვითი ბრძოლის წარმოება. ამიტომაც აღნიშნავენ მემატიანეები, რომ სულთანმა ვერ გაბედა ქართველებთან პირისპირ შებრძოლება და თავი სიმაგრეებს შეაფარაო. მართალია, დავითმა, შიდა უთანხმოების გამო, ვერ მიიტანა იერიში ქალაქზე, უბრძოლველად უკან გამობრუნდა, მაგრამ ამ ამბებიდან მოკლე ხანში, ქართველებმა ისევ მოაწყვეს ლაშქრობა შამახიაზე, რაც შირვანის სრული დაპყრობით დასრულდა. სულთანმა ვეღარ გაბედა რევანში და შემთხვევით არ წუხდა იბნ ალ-ასირი, რომ მაჰმუდს დავითთან შედარებით უფრო ვრცელი ქვეყანა ჰქონდა და მეტი სამხედრო ძალები, მაგრამ ვერ შეძლო შეეჩერებინა ქართველთა ძალადობა მუსლიმთა ქვეყნებშიო.

ქალაქის კედლებთან ბრძოლის ეპიზოდია დავით აღმაშენებლის მიერ ანისის აღების ისტორიაც. მას შემდეგ, რაც ანისელმა მოქალაქეებმა დახმარე-

ბა სთხოვეს მეფეს, მან სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და გაემართა ქალაქის ასაღებად. სომეხი მემატიანის, მათე ურჰაელის ცნობით, ქართველთა მეფე დავითმა სპარსთა ჯარები გაჟლიტა, თითქმის 20 000 კაცი მოსპო და აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანი. ბრძოლა, სავარაუდოდ, მომხდარა ქალაქის კედლებთან და მისი დამცველი რაზმის განადგურების შემდეგ შესულა მეფე ქალაქში. მეფე „წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად", გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი. მემატიანის ცნობა, რომ დავითმა მესამე დღეს აიღო ქალაქი, ქართველების ანისის კედლების მეციხოვნეებთან ბრძოლაზე უნდა მიუთითებდეს. დავითის ისტორიკოსის ინფორმაციით, ანისის მთავარი კათედრალი, რომელიც მუსლიმებს ქრისტიანთა სისხლით მოერწყათ და მეჩეთად ექციათ, ქართველთა მეფემ ხელახლა გადაანათლა და მოლათა და დარიმანთა სისხლით მორწყოო.

საერთოდ, ქალაქის აღებისათვის ბრძოლაში, თავდამსხმელ ძალას ან მის კედლებთან უხდებოდა შეტაკება მეციხოვნეებთან, ან, უშუალოდ, სიმაგრეში ჩაკეტილ დამცველებთან. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, რა ძალას ფლობდნენ ქალაქის დამცველები და რამდენად უღირდათ მომხდურთან გალავნის გარეთ ბრძოლის გამართვა. ხშირ შემთხვევაში, ქალაქის ალყის დროს, მეციხოვნეები გალავნის გარეთ წვრილ-წვრილი გამოხტომებით აწუხებდნენ მოალყეებს და ცდილობდნენ მათი საალყო ტექნიკის განადგურებას. როცა ქალაქის ალყა დიდხანს გრძელდებოდა და ალყაშემორტყმულთათვის მდგომარეობა უიმედო იყო, მაშინ სიმაგრის დამცველები გარეთაც ებრძოდნენ მტერს. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ქალაქის სიმაგრეები არ იყო საიმედო, მომხდური თავისი ტექნიკით დიდ ზიანს აყენებდა გალავანს, ან ალყაშემორტყმულ ქალაქში მძიმე სასურსათო მდგომარეობა და ეპიდემიის გავრცელების საშიშროება იქმნებოდა. ამ შემთხვევაში, გალავნის შიგნით ბრძოლა ფაქტიურად აზრს კარგავდა. ასეთი ბრძოლის ეპიზოდია, ალფ არსლანის მიერ 1064 წელს ახალქალაქის აღების ისტორიაც. მეციხოვნეები მიხვდნენ, რომ ქალაქის ზღუდის შიგნით ბრძოლა უნაყოფო იყო და მტერთან პირისპირ შეტაკება არჩიეს: „აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განახუნეს კარნი და შეიბნეს ძლიერად". სელჩუკებმა, სისხლისმღვრელ ბრძოლაში ქალაქის დამცველები დაამარცხეს და, ამის შემდეგ, ახალქალაქი, ფაქტიურად, უბრძოლველად აიღეს.

1162 წელს საქართველოს მეფე გიორგი III-მ სომხეთის ქალაქი დვინი აიღო. მეფემ, დვინის ამირას რაზმი ქალაქის კედლებთან სასტიკად დაამარცხა, გალავნისაკენ უკუქცეულ, თავზარდაცემულ მოწინააღმდეგეს შეჰყვა ციხე-სიმაგრის ალაყაფში და მთელი ქალაქი აიღო.

ქალაქის გალავნის წინ ბრძოლის ერთ-ერთი მაგალითია განძასთან გიორგი IV ლაშას ჯარსა და მის მეციხოვნე, დამცველ რაზმთან შეტაკება. ქართველებმა ალყა შემოარტყეს განძას. მემატიანის გადმოცემით, შეტაკებები დიდხანს გრძელდებოდა, „მრავალ დღე ებრძოდეს და ყოველ დღეთა გამოვიდიან ქალაქ-

ის კარსა ბრძოლად ჩალიბად, აქათცა და მუნითცა ურჩეულესნი ებრძოდიან". მეფეს მოსწყინდა ასეთი უნაყოფო შეტაკებები, გადაწყვიტა მოეძებნა ქალაქის გალავანზე იერიშისთვის შესაფერისი ფონი. რადგანაც გიორგი IV ლაშა მცირე რაზმით ზვერავდა ქალაქის ბასტიონებს, მტერმა გახსნა ალაყაფის კარები და დიდი ძალებით შეუტია მომხდურებს. მართალია, ქართველებმა დაამარცხეს მეციხოვნეთა რაზმი, მაგრამ უკუქცეულმა განძელებმა მოასწრეს ქალაქში შებრუნება და ალაყაფის კარის დაგმანვა. ქართველებმა ვერ მოახერხეს უკუქცეული რაზმისთვის ხელი შეეშალათ ალაყაფის ჩაკეტვაში. ეს მეფის ტაქტიკური შეცდომა იყო, რადგან სარდლებთან შეუთანხმებლად, მცირე რაზმით წამოიწყო მან სამხედრო მანევრი.

ციხის გალავანში გადაცმული შესვლა, მაგალითად, ვაჭრის სახით და იარაღის შეტანა ჯორების საშუალებით („ვეფხისტყაოსანში", ქაჯეთის ციხის აღების ცნობილი ეპიზოდი), ქალაქში შესვლის ერთ-ერთი ხერხი იყო, მაგრამ ძალიან სარისკო და ასეთ მეთოდს იშვიათად იყენებდნენ. ასე შეპარულ რაზმს უნდა განეიარაღებინა ან გაეწყვიტა მეციხოვნეები, ციხის ბურჯი დაეკავებინა და ალაყაფის კარის გაღებით შემოეშვა დამხმარე ძალა.

აღმოსავლეთ ანატოლიის ციხე-სიმაგრის ხარპუტის მფლობელ ბალაკს გაუთავებელი ომები ჰქონდა სირიაში, როგორც ჯვაროსნებთან, ასევე, ადგილობრივ მუსლიმ ამირებთან. მას ციხეში ტყვეობაში ჰყავდა ედესის გრაფი ჟოსლენ დე კურტენე და თვით იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, ხარპუტის ციხეზე მტრის მოულოდნელი თავდასხმის ამბავი გაიგო. ქალაქში მცხოვრებმა სომხებმა, ისარგებლეს რა, ბალაკის არყოფნით, თავს დაესხნენ ციხის გარნიზონს. XII საუკუნის მემატიანე მიხაელ სირიელი წერს, რომ „ციხე-სიმაგრეში მყოფი სომეხი ხელოსნები, ვითომ თავიანთი საჩივრების გამო, შეიკრიბნენ ალაყაფის კართან, მოულოდნელად იშიშვლეს ხმლები და დაერივნენ ალაყაფის მცველებს. მათ დახოცეს გარნიზონის მეციხოვნეები, ხელში ჩაიგდეს ის კოშკი, სადაც იმყოფებოდნენ ტყვეები. მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებმა და გარნიზონის გადარჩენილმა მეომრებმა, მოახერხეს მობილიზება და ალყა შემოარტყეს კოშკს. სომეხთა ეს რაზმი იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა მთელი ციხე-ქალაქის დაკავება. მთავარი იყო, რომ გაეყვანათ ციხიდან დატყვევებულები და დაელწიათ თავი მდევრისგან. ამჯერად, თვითონ თავდამსხმელები აღმოჩნდნენ ალყაში. ამიტომ, გადაწყდა ჟოსლენის ერთ სომეხთან ერთად ციხიდან გაპარვა, რომ ალყაშემორტყმულების საშველად და ბოლდუინის გასათავისუფლებლად მოეყვანათ არმია." თუმცა, სანამ ედესის გრაფი ჯარს შეკრებდა, ბალაკი უკან დაბრუნდა, ალყა შემოარტყა ციხეს და ბალისტების საშუალებით გაანგრია ციხის კედელი. მან ხელში ჩაიგდო მეფე, ედესის გრაფის ნათესავი ვალერენი, რომელიც, ასევე, დატყვევებული იყო ჟოსლენთან ერთად. სომეხი ტყვეები კი, რომლებმაც თავი გასწირეს ჯვაროსანი მეთაურების გასათავისუფლე-

ბლად, ემირმა სასტიკად დაასჯევინა – თავის მეომრებს გადმოაყრევინა ციხის კედლებიდან. ამ მაგალითით ჩანს, რომ ასეთი ოპერაცია მეტად სარისკო იყო და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წარმატებული, თუ ორგანიზებულად და ყველა მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით იქნებოდა დაგეგმილი.

ციხის აღების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას ლოდსატყორცნებით მისი კედლების ჩამონგრევა, განგრევა წარმოადგენდა. ასეთ დროს, თუ მოალყეების იერიშს მოიგერიებდა გარნიზონი, მეციხოვნეები ახერხებდნენ და დაზიანებულ ადგილებს აღადგენდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარნიზონის მდგომარეობა გამოუვალი ხდებოდა, რადგან მტერი ადვილად აღწევდა ციხის შიგნით.

1012 წელს, ბაგრატ III-ის ხელმძღვანელობით, ჯარმა ალყა შემოარტყა შამქორის ციხეს (შანქორი) და ლოდსატყორცნები გაამართვინა. მეფე „მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგინა ფილაკავანნი, და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი". ამ იარაღის გამოყენებით ქალაქის ზღუდეები უსარგებლო გახდა თავდაცვისთვის. ბაგრატი აპირებდა გადამწყვეტი იერიშის მიტანას ციხეზე, მაგრამ განძის ათაბაგმა ფადლონმა მოციქული გამოუგზავნა მეფეს და შენდობა სთხოვა, რადგან კედლების დარღვევის გამო, ქალაქი დაუცველი გახდა.

1177 წელს, დემნა ბატონიშვილის და ამირსპასალარ ივანე ორბელის აჯანყებისას, მეფე გიორგი III-მ შეუტია სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში თავშეფარებულ მეამბოხეებს. კერძოდ, აგარაკის ციხესთან ბრძოლა, თითქმის, ორთვენახევარი გაგრძელდა. ციხეს მტკიცე გალავანი ჰქონდა და კარგად იყო გამაგრებული აჯანყებულების მიერ. მასზე პირდაპირი იერიშით ძნელი იყო წარმატების მიღწევა, ამიტომ, მეფემ საალყო მანქანების, ლოდსატყორცნების საშუალებით დაიწყო ციხის დაბომბვა, რის შემდეგაც, ციხის დამცველები დანებდნენ მეფეს.

ქალაქის კედლების მინირების, მისი განგრევის ფაქტი დაფიქსირებულია 1121 წელს, დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების დროს. არაბი მემატიანე ალ-ფარიკი გადმოგვცემს, რომ ქართველებმა ალყა შემოარტყეს თბილისს, გაანგრიეს მისი დასავლეთის კედელი, შევიდნენ ქალაქში, გადაწვეს და გაძარცვეს. როგორც ჩანს, დავითმა ქალაქის კედლებზე პირდაპირი იერიშისთვის და ქალაქის გადასაწვავად ცეცხლგამჩენი ჭურვები და ლოდსატყორცნები გამოიყენა.

მოალყეები, ხშირად, ამ ტექნიკას იყენებდნენ ქალაქის მაცხოვრებლების დასაშინებლადაც. საცხოვრებელ სახლებს უშენდნენ ლოდსატყორცნებს. ასევე ისროდნენ ნავთში ამოვლებულ ჭურვებს (ნავთში ამოვლებული კასრები, ქოთნები), რომლებსაც ყუმბარის ეფექტი ჰქონდათ, რადგან მოხვედრისთანავე სკდებოდნენ და ცეცხლს აჩენდნენ. ასევე, კატაპულტებიდან ისროდნენ ხანძრის გამომწვევ დიდ ცეცხლიან ისრებს. ეს ხერხი გამოიყენა არაბთა სარდალმა ბუღა-თურქმა 853 წელს, თბილისის აღებისას. იმ დროს თბილისის გალავანი,

ძირითადად, ხისგან იყო ნაგები, ქალაქის დასახლება, შენობების უმეტესობა ხის იყო, გაჩნდა საშინელი ხანძარი და ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღუპა.

ციხის აღების ერთ-ერთი ხერხი იყო გალავნის კედლების მინირება, მიწისქვეშა გვირაბის გათხრა. მინირება გამოიყენებოდა გალავნის კედლების ჩამოსანგრევად, მისი დეფორმაციისთვის. მინირებას იყენებდნენ, უფრო, ქალაქების ალყისას, რადგან მისი გალავანი, ძირითადად, მიწიან ნიადაგზე იდგა. ციხეების მინირება ძალიან ძნელი საქმე იყო, რადგან ციხის ფუნდამენტი, უმეტესად კლდეზე იდგა და, ასევე, ციხე-სიმაგრეების დიამეტრი ქალაქისაზე ბევრად პატარა იყო და მეციხოვნეები ადვილად შეამჩნევდნენ მოალყეების მიერ გვირაბის თხრის პროცესს, რაც აუცილებელი პირობა იყო გალავნამდე მისასვლელად.

1113-1115 წლებში, სელჩუკებმა, ემირ ბურსუკის მეთაურობით, ალყა შემოარტყეს კაფარტაბის ციხეს (სირიაში, შეიზარის ჩრდილოეთით მდებარე ციხე). სელჩუკთა ემირმა, თავის მეომრებს, ციხის გალავნის ქვეშ გაათხრევინა დიდი გვირაბი. ამ ბრძოლაში მონაწილე უსამა იბნ მუნკიზი, თავის წიგნში, აღტაცებით აღწერს, სპეციალურად ხორასნიდან ჩამოყვანილი მესანგრეების მიერ ჩატარებულ სამუშაოს: „მე ვიყავი მოხიბლული ამ უდიდესი ოსტატობით, როგორითაც ეს გვირაბი იყო გაკეთებული. გვირაბი გათხრილი იყო ტრანშეადან ციხის იმ ბასტიონამდე, რომელიც დამატებით ჰქონდა გალავანის კედელს წინ აღმართული. თხრილის კედლები გამაგრებული იყო ორი სქელი ხის ბოძით, რომელიც იჭერდა დიდ დაფას, რომ არ ჩამოყრილიყო მიწა. მთელი გვირაბი გამაგრებული იყო ხის კონსტრუქციით (კარკასით)." მას შემდეგ, რაც მესანგრეებმა მიაღწიეს ამ ბარბაკანს (გალავნის კედლის წინ აღმართული დამატებითი ზღუდე თავდაცვისთვის), გაამაგრეს და გათხარეს, თვით, ციხის ბურჯის საძირკვლამდე. შემდეგ, ეს გვირაბი ამოავსეს გამხმარი ხის მასალით და მესანგრეებმა წაუკიდეს ცეცხლი. გამდნარი დუღაბის გამო, ქვების წყობამ დეფორმაცია განიცადა და ბურჯი ჩამოიშალა.

მინირების მეთოდი გამოიყენა სალაჰ ად-დინმა 1187 წელს, იერუსალიმის აღებისას. სულთანმა, ქალაქის კედლების რამდენიმედღიანი დაზვერვის შედეგად, ჩრდილოეთის მხრიდან შეარჩია ადგილი შეტევისთვის, სადაც, გალავნის წინ ფართო მისასვლელი, მოედანი იყო. შტურმისთვის მომზადების შემდეგ, მან გასცა ბრძანება ფართო ფრონტით გადასულიყვნენ შეტევაზე. სულთნის ჯარმა გალავნის წინ არსებული თხრილი გადალახა და კედლებთან მიაღწია. მესანგრეებმა დაიწყეს კედლების მინირება, მისი საძირკვლის გამოთხრა. გათხრილი გვირაბი ძელებით გაამაგრეს, შიგნით შეიტანეს ფიჩხფენილი (ჭაობზე გასასვლელი) და წაუკიდეს ცეცხლი. ხანძრის შედეგად გალავნის კედელი დაიბზარა და ჩამოიქცა. ქალაქის დაცვა შეუძლებელი გახდა და იერუსალიმის გარნიზონმა სალაჰ ად-დინთან მოლაპარაკება გადაწყვიტა, ქალაქის ჩაბარების

სანაცვლოდ, უვნებლობის და ხელშეუხებლობის პირობაზე (სხვა ცნობებით, ქალაქის დაცემაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია, იერუსალიმის კედლის ერთი ნაწილის ლოდსატყორცნებით განგრევამ).

1215 წელს, ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლომ, როჩესტერის ალყის დროს, გამოიყენა მინირების და გვირაბის გათხრის მეთოდი, რითაც კედლები ჩამოიშალა და მეფის რაზმი ციხეში შეიჭრა.

იგივე მეთოდი გამოიყენა ქართველთა არმიამ, 1258 წელს, მონღოლთა მიერ ალყაშემორტყმული ბაღდადის აღებისას. ქართველები, მეფე დავით ულუს (გიორგი IV ლაშას ძის) მეთაურობით, თან ახლდნენ მონღოლთა ყაენ ჰულაგუს, ბაღდადზე ლაშქრობისას. ქალაქის ალყა თორმეტ დღეს გაგრძელდა. მაშინ „მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე და შეთხარეს ზღუდესა შიგან, შევიდეს ქართველნი, და იქმნა ძლიერი ბრძოლა .და ესრეთ განახუნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათართა და შევიდეს“. მემატიანის მონათხრობიდან ჩანს, რომ ქართველები, მათ მიერ ზღუდის ქვეშ გათხრილი გვირაბის საშუალებით მოხვედრილან გალავნის შიგნით, სადაც ბრძოლებით მიუღწევიათ ალაყაფის კარამდე, გაუხსნიათ ის შიგნიდან და შეუშვიათ ქართველთა და მონღოლთა დანარჩენი რაზმები.

ასეთივე მეთოდით აიღეს სირიის ქალაქი დარბუზაკი, 1281 წელს, მონღოლთა ლაშქარში, სამცხის ათაბაგ ბექა ჯაყელის მეთაურობით მყოფმა მესხმა მეომრებმა.

მინირების ფორმას წარმოადგენდა, ასევე, გალავნის კედლების განგრევა ტარანებით, დიდი ზომის ხის მორებით, რომლებიც აღჭურვილი იყო, უმეტესად, რკინის სოლებით წაწვეტებული გასანგრევი კაუჭებით. ეს ხერხი გამოიყენა ქართულმა ჯარმა 1210 წელს, სპარსეთის ქალაქ ზენჯანის აღებისას. ისტორიკოსის ცნობით, როდესაც ქართველებმა ალყა შემოარტყეს ალიზის კედლით შემოსაზღვრულ ქალაქს, ქართველთა სარდლობამ „განყვეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა შესთხარონ. იწყეს თხრა ზღუდეთა: უწინარეს მარჯუენასა მჴარსა მესხთა შეჴურიტეს ზღუდე – ალიზით იყო – და უწინ შევიდეს ქალაქსა შინა“. როგორც ვხედავთ, ქართველთა მხედრობამ გამოიყენა კედლის სანგრევი ტარანი და ციხის სხვადასხვა ადგილზე მოაწყო მინირება.

ალყაშემოტყმული ციხე-სიმაგრეების გარნიზონი, მოალყეთა წინააღმდეგ, საპასუხო სამუშაოებს აწარმოებდა. მეციხოვნეები, საპირისპირო გვირაბს თხრიდნენ იმ მიმართულებით, სადაც მოულოდნელად წააწყდებოდნენ მოწინააღმდეგეს. 1265 წელს, ეგვიპტელებმა, ჯვაროსანთა ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრე არსუფთან დაიწყეს გვირაბების გათხრა. ციხის დამცველებმა გაიგეს, თუ რა მიმართულებით თხრიდნენ მოალყეები ტრანშეას და დაიწყეს საპასუხო გვირაბის გაკეთება. არაბი მემატიანის, იბნ ალ-ფურატის გადმოცემით, ფრანკებმა მალულად გათხარეს გვირაბი ციტადელის შიგნიდან, სანამ არ მიაღწიეს იმ წერტილამდე, სადაც გადიოდა მუსლიმების მიერ გაკეთებული

ტრანშეა, რომელიც ხის ძელებით იყო გამაგრებული. ფრანკებმა, შეიტანეს იქ ზეთით და ქონით სავსე კასრები და წაუკიდეს ცეცხლი. ეს მოხდა ღამით, მუსლიმები ცდილობდნენ ჩაექრობინათ ხანძარი, მაგრამ ხის კოსტრუქციები მალე დაიწვა და შიგ მყოფი მეომრები ამოიბუგნენ. მსგავსი ხერხი გამოიყენეს 1453 წელს, ბიზანტიელებმა კონსტანტინეპოლის დაცვისას. ქალაქის დამცველებმა გათხარეს შემხვედრი გვირაბი, რაც მოულოდნელი აღმოჩნდა ოსმალთა სულთან მეჰმედ II-ის სერბი მესანგრეებისთვის და ბიზანტიელებმა გაანადგურეს შიგნით მყოფნი.

ციხე-სიმაგრის ან ქალაქის აღების ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს ალყის გარდა, მისი გარესამყაროსთან სრულად მოწყვეტა წარმოადგენდა. ალყის შემორტყმა საკმაოდ ძვირადღირებული, დროში გაწელილი პროცესი იყო. მას სჭირდებოდა მომხდური მხარის მიერ, ყველა მისასვლელი გზის გადაკეტვა, ასევე, ამ გზებზე, ციხის გალავნის შორიახლოს სიმაგრეების გამართვა (ფაქტიურად, კოშკების აგება), რომ ეკონტროლებინათ მიმდებარე გარემო. გალავნის გარშემო ბასტიონების (საომარი, თავდაცვითი თხრილები) მოწყობა, რომ მზად ყოფილიყვნენ ციხის გარნიზონის მოიერიშე რაზმების გამოხდომებისაგან თავის დასაცავად. გარდა ამისა, არმიას ხანგრძლივი ალყისთვის სჭირდებოდა დიდძალი სურსათი, როგორც მეომრების გამოსაკვებად, ისე საბრძოლო, გამწევი და დასაკლავი პირუტყვის შესანახად. ამიტომ, ალყის სიმძიმეს, არა მარტო ალყაშემორტყმულები, არამედ მოალყეებიც განიცდიდნენ. ალყა ზოგჯერ თვეობით და წლობითაც გრძელდებოდა. ეს დამოკიდებული იყო, თუ რამდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი გარნიზონი იდგა ციხეში, რამდენად მომარაგებული იყო იგი სურსათით და წყლის რესურსებით. ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო ორივე მხარის მოთმინებაზე, გამძლეობაზე. ალყას ყოველთვის სდევდა სურსათის უკმარისობით გამოწვეული შიმშილი, სიბინძურე, რადგან თვეობით ერთ ადგილზე მდგომი არმიის თუ გარნიზონის რიგებში იფეთქებდა მრავალი ეპიდემია, რომელიც მუსრს ავლებდა მათ რიგებს. 1097 წელს, ანტიოქიის ცხრა თვიანი ალყისას, მოალყეები უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე ალყაშემორტყმულები. ჯვაროსანთა ბანაკში შიმშილი დაიწყო და მეომრები მასიურად იხოცებოდნენ. გიიომ ტირელის ცნობით, ანტიოქიის ალყის მესამე თვეში დაწყებულა შიმშილი ჯვაროსანთა ბანაკში. ჯვაროსანთა მეთაურებმა მარბიელი რაზმებიც კი გაგზავნეს, რათა მახლობელ რეგიონებში მოეპოვებინათ პროვიანტი, მაგრამ უშედეგოდ. სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი გადმოგვცემს, რომ ანტიოქიასთან ახლოს მდებარე შავი მთის მონასტრების ბერები უგზავნიდნენ ჯვაროსნებს სურსათს, თუმცა ამხელა არმიის გამოკვებას, რომელიც თვეობით იდგა უნაყოფო, მშრალ მიწაზე, ეს არ შველოდა. ამ ლაშქრობის უცნობი მონაწილე წერს, რომ „საშინელი იყო ჩვენი მდგომარეობა, ერთი მხრივ თურქები გვავიწროვებდნენ და ვერ ვბედავდით ცხვირის გამოყოფას კარვებიდან, მეორე – ის, რომ გეტანჯავდა შიმშილი. ბევრი ვერ უძლებდა

ამ განსაცდელს და გარბოდნენ მასიურად ბანაკიდან. სიღარიბე და უმწეობა, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნა ღმერთმა ჩვენი ცოდვებისათვის ისეთი იყო, რომ ჯარში არ მოიძებნებოდა ათასი რაინდი მაინც, რომლებსაც შერჩენოდათ საბრძოლოდ გამოსადეგი ცხენები." ქალაქის აღებამდე ორი დღით ადრე, ბანაკიდან თავისი რაზმით გაიქცა ჯვაროსანთა ერთ-ერთი წინამძღოლი, ვილჰელმ დამპყრობლის სიძე სტეფანე დე ბლუა, რომელმაც თავი კონსტანტინეპოლს შეაფარა.

ხანგრძლივი ალყა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ხშირ შემთხვევებში, მოალყეთა მეთაურები ვეღარ აუდიოდნენ ხარჯებს და იძულებულნი ხდებოდნენ გაცლოდნენ ციხე-ქალაქს. ფინანსური დანაკარგის ანაზღაურებისთვის, მეფეები, მთავრები თუ სხვა ბარონები დამატებით გადასახადებს აკისრებდნენ მოსახლეობას. 1215 წელს, როჩესტერის ორთვიანი ალყა, ინგლისის სახელმწიფო ხაზინას 60 ათასი გირვანქა დაუჯდა. V ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მეთაური, იერუსალიმის მეფე ჟან დე ბრიენი იმდენად გააღატაკა დამიეტას ჩვიდმეტთვიანმა ალყამ, რომ ბოლოს ვალებში ჩავარდა, ერთ-ერთი გენუელი თავადისგან ისესხა 200 ვერცხლის მარკა, მიატოვა არმია და უკან აკრაში დაბრუნდა. მისი მოხელეები წერდნენ კიდეც, „სიღარიბე გახდა მიზეზი იმისა, რომ მეფემ მიატოვა არმია და უკან დაბრუნდა"

1037-1038 წლებში, საქართველოს მეფე ბარგატ IV-მ, რადგან პირდაპირი იერიშით ვერ აიღო თბილისი, ალყა შემოარტყა ისე, რომ მოსწყვიტა გარესამყაროს, მან თბილისის მიმდებარე ფარცხისის და ორბეთის ციხეებიც დაიკავა. ალყა, თითქმის ორ წელს გაგრძელდა და ქალაქში პროდუქტის დეფიციტი გაჩნდა. „მატიანე ქართლისას" ცნობით, ერთი ლიტრი (3.6 კგ.) ვირის ხორცი ხუთას დრამად იყიდებოდა. იმდენად მძიმე იყო მოქალაქეების მდგომარეობა, რომ შიმშილისგან შეწუხებულ გარნიზონს წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ ჰქონდა, თბილისის ამირაც გაქცევას აპირებდა. თუმცა, ბაგრატმა გაიგო, რომ ამირას დასახმარებლად მუსლიმთა მრავალრიცხოვანი არმია მოეშურებოდა და ალყა მოხსნა.

1218-1219 წლებში, V ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ჯვაროსნებმა ალყაში მოაქციეს ეგვიპტის საპორტო ქალაქი დამიეტა. ალყა ჩვიდმეტი თვე გაგრძელდა. ეგვიპტის სულთანი ალ-ქამილი, ათასგვარ ხერხს იგონებდა, რომ მოეგვარებინა მოსახლეობის სასურსათო პრობლემები. ეგვიპტელები დახოცილი სახედრების და აქლემების გამოშიგნულ ცხედრებს სანოვაგით ტენიდნენ და ნილოსის დინებაში უშვებდნენ, რომელიც ქალაქს ჩაუდიოდა. გარნიზონის მცველები მდინარეში ქამანდებით და ბადეებით იჭერდნენ ამ პირუტყვის ლეშებს და თავიანთ თავს და მოსახლეობას მცირედით მაინც შველოდნენ. სულთანმა მყვინთავებიც კი გააგზავნა, რომ გაეგო, რა ხდებოდა ალყაშემორტყმულ ქალაქში. მალე ჯვაროსნებმა გაიგეს სულთნის ეს ხრიკები. დიდი

ბადეები გაშალეს მდინარეზე, რომლებსაც ზევით ზარები ჩამოკიდეს და ასე იჭერდნენ ეგვიპტელ მოცურავეებს. ამ კამპანიის მონაწილე, აკრის ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრი აღნიშნავს, რომ, როდესაც „ალყა შემოვარტყით დამიეტას, სამოცი ათასზე მეტი სარაცინი აღმოჩნდა მომწყვდეული ქალაქის კედლებს შიგნით. თუმცა, ნოემბრის დასაწყისში, ქალაქის აღების შემდეგ სამი ათასი სარაცინი ძლივსღა ვიპოვეთ. ამათგან ასიოდეს თუ შესწევდა ქალაქის დაცვის ძალა. როდესაც ქალაქში შევედით, უამრავი გვამი უპატრონოდ დაყრილები ვიპოვეთ. ცოცხლად დარჩენილი სარაცინები იმდენად ცოტანი იყვნენ, რომ ამდენ მიცვალებულს ვეღარ ასაფლავებდნენ და ძალიან ძნელი ასატანი იყო საშინელი სიმყრალე, რომელიც ჰაერში იდგა.“

VII ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, 1249 წელს, ჯვაროსანთა არმია კვლავ იდგა დამიეტასთან საფრანგეთის მეფის ლუი IX-ის წინამძღოლობით. თუმცა, ეგვიპტელებმა, ფაქტიურად, უბრძოლველად მიატოვეს ქალაქი და ქვეყნის სიღრმეში დაიხიეს. მათ, მხოლოდ ქალაქში არსებული სურსათის მარაგი გაანადგურეს, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. ქალაქის ასე დათმობა იმდენად მოულოდნელი და სასიხარულო იყო ჯვაროსანთათვის, რომ ამ ლაშქრობის მონაწილე და მემატიანე ჟან დე ჟუანვილი სიხარულს ვერ ფარავდა დამიეტას უბრძოლველად აღების გამო, „უნდა გამოვტყდეთ, რომ უფალმა დიდ წყალობა გამოიჩინა და დაგვიფარა, როცა უბრძოლველად გადმოგვცა დამიეტა, რადგან ალყის შემთხვევაში მოგვიწევდა მისი შიმშილით გატეხვა. ეს კი კარგად გვესმოდა ჩვენ, რადგან ჩვენი მამების დროს მეფე ჟანმა აიღო ის ხანგრძლივი ალყის შედეგად გამოწვეული შიმშილით.“ ამ ლაშქრობის დროსაც, ეგვიპტეში, მანსურთან მდგარი ჯვაროსანთა არმიის დიდი ნაწილი ნილოსის თევზით მოიწამლა. თვით, საფრანგეთის მეფე ლუი IX, კინაღამ შეინირა გავრცელებულმა დიზინტერიამ და ჟან ჟუანვილი ამ კამპანიის საბოლოო მარცხის ერთ-ერთ მიზეზად, სწორედ ბანაკში გავრცელებულ ეპიდემიებს ასახელებს. გასაგებია ჟან ჟუანვილის სიხარული დამიეტას უბრძოველად აღების გამო, რადგან მას კარგად მოეხსენებოდა, რა განსაცდელი იყო არმიისთვის ქალაქის ალყა.

შედარებით მცირე ქალაქების და ციხეების ალყაში სრულად მოქცევა უადვილებდა მომხდურ მხარეს სამყაროსგან მოეწყვიტა ციხის გარნიზონი. 1207 წელს, ქართველთა მხედრობამ კარის (ყარსის) ძლიერი ციხე-სიმაგრის პირდაპირი იერიშით აღება ვერ მოახერხა, მაგრამ ალყა შემოარტყა მას. ალყა დიდხანს გაგრძელდა, მემატიანეთა გადმოცემით – რამდენიმე წელს. ციხე-ქალაქის ამირა დახმარებას ითხოვდა მეზობელი, ძლიერი მუსლიმი მმართველებისგან, მაგრამ არავის სურდა ქართველებთან დაპირისპირება. ქართველებმა, კარის გარშემო სხვა ციხეებიც აიღეს, მაგრამ ამ ციხესთან კვლავ უნაყოფოდ ირჯებოდნენ, სანამ საქმეში არ ჩაერია ამ ალყის დაუსრულებლობით უკმაყოფილო თამარ მეფე. მან თავისი ქმარი დავით სოსლანი და მხედართმთავრები ზაქარია და ივანე მხარგრძელები გაგზავნა ქალაქის ასაღებად. იმედგადაწურულმა

კარის ციხის პატრონმა, ქართველებს ჩააბარა ქალაქი.

გენერალური იერიში. ციხე-ქალაქებზე მოწინააღმდეგის გენერალური იერიშის მრავალი წყარო მოგვეპოვება. ეს ისტორიები, რა თქმა უნდა, ერთმანეთისგან განსხვავდებიან საბრძოლო ოპერაციების აღწერის მიხედვით, რადგან ყოველი ქალაქის თუ ციხის აღებას თავისი სპეციფიკა ახასიათებდა, მაგრამ არსებული ცნობებიდან მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი.

თბილისის აღება დავით აღმაშენებლის მიერ (1122 წელი)

1121 წელს, დიდგორთან თურქ-სელჩუკების დამარცხების შემდეგ თბილისის ბედი, ფაქტიურად, გადაწყვეტილი იყო. დავით აღმაშენებელი 1122 წელს მოადგა ქალაქს. თბილისი, საქართველოს ძველი დედაქალაქი იყო და მის შემოერთებას, პირველ რიგში, ქვეყნის გაერთიანებისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. დავითის ისტორიკოსი გვიამბობს, „ხოლო მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისთა საუკუნოდ.“ ამ ცნობით ჩანს, რომ დავითს პირველივე იერიშით აუღია თბილისი. უფრო დაწვრილებით, თბილისის აღების ისტორიას მოგვითხრობენ სომეხი და მუსლიმი მემატიანეები. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ თბილისელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ დავითის ჯარისთვის. თუმცა, არც მათთან ჩანს, რა სამხედრო ხერხები გამოიყენა დავითმა ქალაქის აღებისას. ეს მემატიანეები, ძირითადად, ქართველთა მიერ ქალაქის აღების შემდეგ გამოვლენილ სისასტიკეზე მოგვითხრობენ. ალ-ფარიკი გადმოგვცემს, რომ დავითი „მახვილით დაეუფლა და შევიდა ქალაქში. მან გაძარცვა და ცეცხლს მისცა მისი დიდი ნაწილი. შემდეგ კი შეიწყალა მცხოვრებნი და კარგად ეპყრობოდა.“ მათე ურჰაელი აღნიშნავს, რომ დავითმა თბილისის მცხოვრებთაგან 500 კაცი წვეტიან სარზე წამოაცვა და წამებით დახოცა. იბნ ალ-ასირის ცნობით, როდესაც ქართველებმა შეავიწროვეს ქალაქის დამცველები, მოსახლეობამ მოსალაპარაკებლად ყადი და ხატიბი გაუგზავნა მეფეს და შენდობა სთხოვა, მაგრამ ქართველებმა მოქალაქეების მოციქულები შეურაცხყვეს, ძალით შევიდნენ ქალაქში, დაანგრიეს და გაძარცვეს.

წყაროებიდან ჩანს, რომ თბილისი კარგად გამაგრებული ქალაქი იყო. მისი აღება რთული იყო პირდაპირი იერიშით, მაგრამ მემატიანეთა ჩვენებებით, დავითის მხედრებს, ქალაქი პირდაპირი იერიშით აუღიათ, არ ყოფილა ხანგრძლივი ალყა. ასეთ შემთხვევაში, პირდაპირი იერიშის დროს, ქალაქის გალავნის ასაღებად გამოიყენებოდა საიერიშო კიბეები, ქამანდები, კარიბჭის და კედლების სპეციალური სანგრევი მოწყობილობები, საიერიშო შეჯავშნული ხის კოშკები, საიდანაც ისრებს და ჰოროლებს უშენდნენ მტერს. ამ კოშკებიდან, ასევე, გალავანზე გადებული კიბეებით მოიერიშეები გადარბოდნენ გალავანზე

და ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ ციხის დამცველებთან. როგორც ჩანს, ეს მეთოდები უნდა ყოფილიყო გამოყენებული თბილისის აღებისას. პირდაპირი იერიშის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოისრეთა რაზმებს, რომლებიც მასიური, პერმანენტული სროლებით გალავნის დამცველებს არ აძლევდნენ საშუალებას კონცენტრირება მოეხდინათ იმ უბნებზე, სადაც მოიერიშე ძირითად დარტყმას ახორციელებდა. ასევე, აღსანიშნავია, ცეცხლგამჩენი, ნავთში ამოვლებული კასრები, რომლებსაც სატყორცნი მანქანებით (კატაპულტებით) პირდაპირ ქალაქში ისროდნენ. იმდროინდელი ქალაქების შენობების უმრავლესობა ხის მასალისგან იყო ნაგები და ამ მეთოდებით ალყაშემორტყმულ ქალაქში ხანძარი ჩნდებოდა, რაც პანიკას იწვევდა მოსახლეობაში. მის ჩასაქრობად დამატებითი ენერგია იყო საჭირო და წყლის დიდი რესურსი, რომელიც ალყაშემორტყმულ ქალაქში შეზღუდული რაოდენობით მოიპოვებოდა. 853 წელს, არაბებმა, ბუღა-თურქის ხელმძღვანელობით თბილისი რომ აიღეს, დიდი როლი ქალაქის დაცემაში მოალყეების მიერ ალყაშემორტყმულთათვის ცეცხლიანი ისრების დაშენამ ითამაშა. უფრო მოგვიანებით, 1386 წელს, თბილისის ასაღებად, თემურ ლენგმა არა მარტო ცეცხლის მტყორცნელი მოწყობილობები გამოიყენა (რაზეც მემატიანეები მიგვითითებენ, რომ მაშინდელი ცეცხლის იარაღის გამოყენებამ ქალაქის დამცველები შოკში ჩააგდო და მათ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს გალავნის იერიშზე გადმოსულ მტერს), არამედ, პირდაპირი იერიშით, გალავანზე გადასვლისთვის, რკინისაგან დაწნული გრძელი ფარები – ჩელტები, რათა მოიერიშე რაზმებში შეემცირებინა მსხვერპლის რაოდენობა. სწორედ ასეთი შეიარაღებული მოიერიშეების საშუალებით, მოახერხა მაშინ მტერმა ქალაქის გალავანზე გადასვლა და თბილისის აღება.

სავარაუდოდ, ქართველები თბილისის ასაღებად ზემოჩამოთვლილ სამხედრო ხერხებს გამოიყენებდნენ, რაც საჭირო იყო ქალაქის გალავანზე პირდაპირი იერიშის დროს.

წყაროთა მონაცემებით, დავითს დიდი სისასტიკე გამოუჩენია თბილისელი მოქალაქეების მიმართ. ქართველები სამი დღე ძარცვავდნენ ქალაქს. აღებული ქალაქის სამდღიანი ძარცვა, მაშინდელი ომის კანონებით გავრცელებული ღონისძიება იყო. ქალაქის სამდღიანი რბევის ფაქტები იმდროინდელ ეპოქაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქართველთა განრისხების ერთ-ერთი მიზეზიც ქალაქის დამცველთა დიდი წინააღმდეგობა უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ თბილისელ მუსლიმებთან ერთად ქალაქს იცავდნენ თბილისელი ქართველებიც. დავითის მახვილს ვერც ისინი გადაურჩებოდნენ. თბილისის დამცველთა წინააღმდეგობა მიანიშნებს იმაზე, რომ ქალაქის ხელისუფლება იცავდა თავის თვითმმართველობას და დამოუკიდებლობას მეფისაგან. სავარაუდოდ, ამ პერიოდისათვის, თბილისი, თვით სელჩუკთა მმართველებისგან მეტი თავისუფლებით სარგებლობდა და ისინიც ნაკლებად ერეოდნენ მის შიდა საქმეებში. მათი გავლენა გარკვეულწილად მფარველობით და გარეგნული უზენაესობით

გამოიხატებოდა. ქართველთა მეფე თვითმპყრობელი ხელისუფალი იყო და მოქალაქეები გრძნობდნენ, რომ დავითი მათ მმართველობას ფრთებს შეუკვეცავდა. ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საუკუნეების მანძილზე არაბთა ბატონობამ ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიული სურათი მკვეთრად შეცვალა. გაიზარდა მუსლიმი მოსახლეობის რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ ამირას ხელისუფლება ქალაქში XI საუკუნის შუა ხანების შემდეგ აღარ იყო, ქალაქის მმართველობაში მუსლიმი მოსახლეობის წილი დიდი იყო. მითუმეტეს, რომ XI საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქ-სელჩუკთა გამოჩენის შემდეგ თბილისი კვლავ მუსლიმური კავკასიის ერთ-ერთ მთავარ ციტადელად რჩებოდა. იბნ ალ-ასირის ცნობაც, დავითთან მოციქულებად ყადის და ხატიბის გაგზავნის შესახებ, ამაზე მიუთითებს. ასევე, ამ რეალობის დამადასტურებელია ის ცნობები, რომელიც ქალაქის ქართველთა ხელში გადასვლის შემდეგ, დავითის მიერ თბილისელ მუსლიმთათვის პრივილეგიების მინიჭებას ეხება. ეს ინფორმაციაც ადასტურებს, რომ მიუხედავად მოქალაქეებზე დამტყდარი რისხვისა, ქართველთა სამეფო ხელისუფლება, რომელიც თბილისში გადმოვიდა ქვეყნის სამართავად, ადგილობრივი მუსლიმების როლს ქალაქის ცხოვრებაში ითვალისწინებდა.

1099 წელი, იერუსალიმის აღების ისტორია ჯვაროსნების მიერ.

1099 წელს, როდესაც ჯვაროსნები მიადგნენ იერუსალიმს, ქალაქი მუსლიმებმა მტკიცედ გაამაგრეს. იერუსალიმის მოქალაქეებმა, ჯვაროსანთა მოახლოებისთანავე, ქალაქის გარშემო 5 კილომეტრის რადიუსში არსებული ჭები ამოავსეს, რათა უწყლობით შეეწუხებინათ მომხდური მტერი. ქალაქის გარნიზონს ხელმძღვანელობდა ეგვიპტის ფატიმიანების სახელმწიფოს დიდი ვეზირის დანიშნული ციხისთავი. რა თქმა უნდა, გარნიზონი დანებებას არ აპირებდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ეგვიპტელთა დიდ ვეზირი გამოაგზავნიდა დამხმარე ძალას, რომელიც ჯვაროსნებს განდევნიდა იერუსალიმის კედლებიდან. არც ჯვაროსანთა მეთაურებს დაუწყიათ ლოდინი, თუ როდის ჩააბარებდნენ ქალაქის კლიტეებს და დაიწყეს მზადება შტურმისათვის. გიიომ ტირელის გადმოცემით, ჯვაროსანთა ბანაკში იმყოფებოდა 40 ათასი ადამიანი. აქედან 1500 ცხენოსანი რაინდი, 20 ათასი ფეხოსანი. (რაიმუნდ აჟილელის ცნობით, 12 ათასი ფეხოსანი და 1200-1300 ცხენოსანი რაინდი) დანარჩენი – ქალები, ბავშვები, საეკლესიო პირები, ავადმყოფები, დაჭრილები, ისინი, ვინც ბრძოლისათვის გამოუსადეგარნი იყვნენ. ქალაქისათვის ალყის სრულად შემორტყმა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მისი მიმდებარე დასავლეთის და აღმოსავლეთის მიწები ბანაკად დგომისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. ამავე დროს, ჯვაროსნებს არ გააჩნდათ იმხელა რესურსი, რომ სრულიად მოეცვათ ქალაქი, ამიტომ გადაწყვიტეს ჩრდილოეთის მხრიდან შეეტიათ. გიიომ ტირელი გადმოგვცემს ჯვაროსნების მიერ ქალაქის გარშემორტყმის ამბავს. მოთათბირების

შემდეგ, ჯვაროსანთა მეთაურებმა ბანაკი დასცეს ქალაქის ჩრდილოეთის, წმ. სტეფანეს კარიბჭესთან. იქ მთავარი ადგილი დაიკავა გოტფრიდმა. ტანკრედი თავისი ხალხით დადგა მრგვალ ბურჯთან. შემდომში მას უწოდეს ტანკრედის კოშკი, ამ ბურჯის აღების დროს გამოჩენილი სიმამაცისთვის. ამ კოშკიდან, დასავლეთით, დავითის კარიბჭემდე, დასცა თავისი ბანაკი ტულუზის გრაფმა რაიმუნდ სენჟილმა, თუმცა, მოგვიანებით, მან თავისი ბანაკის ნაწილი, ჭკვიანი ხალხის რჩევით, რომელმაც იცოდა ამ ადგილმდებარეობის შესახებ, გადაიტანა გორაკებისკენ, რაზეც აშენებული იყო თვით ქალაქი. ადგილი, რომელიც ყოფდა ქალაქს და სიონის მთის ეკლესიას, ისრის მიწვდენაზე მდებარეობდა. სამი დიდი საალყო კოშკი განაწილდა მეთაურებს შორის, ჯვაროსნებმა დაინაწილეს ქალაქის გალავანზე შეტევის მიმართულებებიც. ამავე დროს, გარნიზონიც ემზადებოდა შტურმის მოსაგერიებლად და მათაც მოამზადეს ლოდსატყორცნი მანქანები, ბალისტები, რათა შეეფერხებინათ ჯვაროსანთა შეტევები და, პირველ რიგში, გაენადგურებინათ ეს საალყო კოშკები ბალისტების და ბერძნული ცეცხლის დახმარებით. მემატიანეები გადმოგვცემენ, რომ, როცა ქრისტიანთა არმია ემზადებოდა და მწყობრში მოჰყავდა მთელი ეს საომარი აღჭურვილობა და მექანიზმები, იერუსალიმის კედლების გარშემო ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა. მხოლოდ ქალაქის სიღრმიდან, შორიდან ისმოდა მინარეთებზე გადმომდგარი მუეძინთა ხმა, რომლებიც მოუწოდებდნენ მოსახლეობას, ეთხოვათ შემწეობა ალაჰისათვის, რომ დაეცვა ქალაქი მომხდურთა ხელიდან. სავსე იყო კლდის გუმბათის და ომარის მეჩეთები შეშინებული მოქალაქეებით, რომლებიც ეძიებდნენ ხსნას ღამის ლოცვებში. 1099 წლის 14 ივლისს, სისხამ დილით, მეთაურებმა მისცეს ნიშანი ბრძოლის დაწყებისა და სამივე მხრიდან ჯვაროსანთა რაზმები გადავიდნენ შეტევაზე. ამუშავდა კატაპულტები, ბალისტები, ისრების წვიმას სეტყვასავით აყრიდნენ გალავნის მცველებს არბალეტებიდან. მოიერიშე რაზმებმა გალავანს მიაყენეს საალყო კოშკები, საიერიშო კიბეები და საომარი კუს ფორმის წყობით შეჯავშნული ფარებით მიეხალნენ ალაყაფის კარებს და კედლებს. კიბეებით დაიწყეს კედლებზე ასვლა, ტარანებით ცდილობდნენ გაენგრიათ გალავნის კედლები. გოტფრიდი, თავის ძმებთან და რაინდებთან ერთად იდგა კოშკის თავში და გმირობის მაგალითს უჩვენებდა თავის მეომრებს. ტანკრედი, რაიმუნდ სენ ჟილი, ფლანდრიის გრაფი რობერი, თავიანთი მეომრების რიგებში წინა ხაზზე იბრძოდნენ. მაგრამ გარნიზონმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და არ მისცა მომხდურებს ქალაქში შეღწევის საშუალება. დამცველები ბერძნულ ცეცხლს ესროდნენ, ადუღებულ ფისს ასხამდნენ ჯვაროსანთა საიერიშო კიბეებს, ტარანებს თუ სხვა საალყო მანქანებს. გიიომ ტირელი გადმოგვცემს, რომ გარნიზონი გმირულად იბრძოდა და არ აძლევდა საშუალებას ჩვენს მეომრებს, მიახლოვებოდნენ გალავნის კედლებს. ვერც ერთი საალყო კოშკი ვერ მიუახლოვდა გალავანს, რადგან მის წინ ღრმა თხრილი გაეკეთებინათ. რაც შეეხება თვით კედლების დაცვას, მოქალაქეები, იმ-

ისათვის, რომ შეემცირებინათ გალავნის კედლებისათვის კატაპულტებიდან და ბალისტებიდან დაშენილი ლოდების და მძიმე ისრების დარტყმების სიმძიმე, მასზე ჰკიდებდნენ თივით და ბამბით დატენილ ტომრებს, ხალიჩებს, ლეიბებს, უზარმაზარ კოჭებს. გალავნის კედლებიდან სეტყვასავით მოდიოდა ქვების, ნავთში ამოვლებული ცეცხლიანი ისრების წვიმა. ეს ბრძოლა დილიდან დაღამებამდე გრძელდებოდა. თოთხმეტი კატაპულტა განუწყვეტლივ უშენდა ქალაქის კედლებიდან ქვებს და ააღებად სპილენძის ქოთნებს გალავანს მომდგარ მტერს. მათ მოახერხეს და დააზიანეს გოტფრიდის და ტანკრედის საალყო კოშკები, რაიმუნდ სენ ჟილის საალყო კოშკი კი დაანგრიეს. პირველი დღის შეტაკება თორმეტ საათს გაგრძელდა და მხოლოდ ღამის სიბნელემ გაჰყარა მოწინააღმდეგენი. ღამემ ჩაიარა მზადებაში. ჯვაროსნები ყარაულობდნენ იმ კოშკებს, რომლებიც დატოვეს უკუქცევის დროს მეომრებმა, რომ სარაცინებს არ მოეწყოთ გამოხდომა და არ დაეწვათ ისინი. მეციხოვნეები, მოქალაქეებთან ერთად ამაგრებდნენ დაზიანებულ კედლებს. მეორე დილით, ქრისტიანებმა ახალი ძალით შეუტიეს ქალაქს. მეციხოვნეებმა ქვების, ისრების, ფისით სავსე სპილენძის ქოთნების წვიმა დააყარეს მომხდურებს. განსაკუთრებით დიდი ნაწილი ციხიდან წამოსული ამ სეტყვისა, მიმართული იყო გოტფრიდის კოშკის წინააღმდეგ. ცეცხლი მოედო კოშკს, მაგრამ მეომრები ძმრის და ღვინის საშუალებით ცდილობდნენ, რომ ხანძარი ჩაექროთ. გოტფრიდს მხარდამხარ ბრძოლის დროს დაეღუპნენ საკუთარი საჭურვლისმტვირთველი და სხვა რაინდები. მაგრამ იგი კვლავ მხნედ მოუწოდებდა ჯარისკაცებს შტურმისათვის და კოშკის ყველაზე მაღალ ადგილზე იდგა, საიდანაც ცდილობდნენ მეომრები, რომ გადაეგდოთ ხიდი ციხის გალავანზე. ასევე, თავიანთ კოშკებზე მოწინავეთა შორის იბრძოდნენ ტულუზის გრაფი და ტანკრედი თავიანთ რაინდებთან ერთად, რომლებიც პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლებში ებმებოდნენ. ამ დროს, ტარანების საშუალებით, ჯვაროსნებმა რამდენიმე ადგილზე დააზიანეს გალავნის კედლები, მაგრამ გალავანს შიგნით მყოფ დამცველთა ერთი ნაწილი ერთად შეჯგუფდა, რომ არ მიეცათ მტრისათვის ამ გზით ქალაქში შეღწევის საშუალება. შუა დღისათვის ვითარება კვლავინდებურად გაურკვეველი იყო. გარნიზონი მტკიცედ იცავდა თავს და მათ სიმამაცეს ის ხმებიც უწყობდა ხელს, რომლებმაც მოაღწიეს ქალაქამდე, რომ ეგვიპტელთა არმია მოემართებოდა იერუსალიმის დასახსნელად. ორი შიკრიკი ჯვაროსნებმაც კი ჩაიგდეს ხელთ და როდესაც ნამების ქვეშ ათქმევინეს საიდუმლო, კედლებთან დახოცეს. ლათინ ისტორიკოსებს (გიიომ ტირელი, ფულხერი შარტრელი, რაიმუნდ აჟილელი), რომლებიც გადმოგვცემენ ამ ამბებს, სარწმუნოებრივი მისტიციზმის საბურველში აქვთ გახვეული ქალაქზე გადამწყვეტი შტურმის ამბები, რომ კედლებთან უნაყოფოდ მდგარ ჯვაროსნებს ქალაქის მხარეს, ზეთისხილის გორიდან გამოეცხადათ ცხენზე ამხედრებული რაინდი, რომელიც ფარის მოძრაობით მიანიშნებდა ჯარისკაცებს ქალაქზე შეტევისაკენ. გოტფრიდმა და

რაიმუნდმა, რომლებმაც პირველებმა აღიქვეს ეს სასწაული, შემოსძახეს ჯარს, რომ წმინდა გიორგი მოუწოდებდა მათ ბრძოლისაკენ და ეხმარებოდა ქრისტიანებს უფლის საფლავის განთავისუფლებაში. ამ გამოცხადებამ იმხელა აღტკინება გამოიწვია ჯარში, რომ თვით სულდაცემულებიც კი აღდგნენ, ხელში აიღეს იარაღი და მიეხალნენ გალავნის კედლებს. საყოველთაო აღტაცების და თავგანწირულ შეტევაზე გადასვლის შემხედვარე გარნიზონის მცველები სულით დაეცნენ, გალავნის კედლებიდან იწყეს გაქცევა და ქვემოთ, მეჩეთებისკენ თავშეფარება. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მემატიანეთა ფანტაზიის ნაყოფია, რადგან სურდათ უფლის სასწაულებისთვის მიეწერათ ქრისტიანთა წარმატება, რომ თვით ზეცა იფარავდა ქრისტეს საფლავისათვის მებრძოლ რაინდებს. უნდა აღინიშნოს, რომ სარწმუნოებრივი აღტკინება თან სდევდა ჯვაროსანთა ლაშქრობებს და სასწაულების მრავალი ფაქტი გვაქვს ამ ომების დროს, რასაც წარმატებით იყენებდნენ საეკლესიო თუ საერო პირები მოლაშქრეთა გასამხნევებლად. არ არის გამორიცხული, რომ რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილ ჯვაროსნებს მართლაც ჰქონოდათ ხილვები (ანტიოქიაში მდგარ ჯვაროსანთა ბანაკში ერთ-ერთ ბერს სიზმარში გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც მიუთითა, თუ სად იყო დამარხული წმინდა შუბი, რომლითაც გაჰკვეთეს ჯვარზე გაკრული მაცხოვარი. მეორე დღეს, ბერის მითითებით, ჯვაროსნებმა დაიწყეს იმ ადგილის თხრა და მოულოდნელად წააწყდნენ მიწაში ჩაფლულ დაჟანგულ შუბის პირს. ამ ამბავმა იმხელა აღტკინება გამოიწვია ჯვაროსანთა რიგებში, რომ ეს სასწაული აღიქვეს ნიშნად შეტევისა, რომლის შედეგად მათ კიდეც გაანადგურეს ქალაქს მომდგარი სელჩუკთა არმია. ერთერთი ავტორი წერს, რომ ტანკრედის მეომრებს შეტევაზე გადასვლის წინ გამოეცხადათ ჯვაროსანთა სულიერი წინამძღოლის პაპის ლეგატის ადემარის სახება, რომელიც გარდაიცვალა ლაშქრობის მსვლელობის დროს, სანამ ჯვაროსნები იერუსალიმს მიაღწევდნენ. ამ გამოცხადებით აღტკინებულმა ტანკრედმა და მისმა რაინდებმა გადამწყვეტი იერიში მიიტანეს გალავნის კედლებზე). დღის მეორე ნახევარში ბრძოლის სასწორი ქრისტიანთა მხარეს გადაიხარა, მას შემდეგ, რაც გოტფრიდის კოშკიდან მეომრებმა მოახერხეს და გალავანზე გადადეს ხიდი, კიბე (ორი დიდი ძელისგან შეკრული), რომლებზეც პირველები გადავიდნენ გოტფრიდი და მისი ძმა ესტაში. მათ მიჰყვნენ სხვა რაინდები. გოტფრიდის გმირობამ აღფრთოვანებაში მოიყვანა დანარჩენები და მათ მიადგეს კედლებს კიბეები და იწყეს მაღლა აცოცება და იქ მყოფებთან თავშეყრა, რადგან სარაცინებმა, როცა დაინახეს, რომ გოტფრიდი და მისი რაინდები გადავიდნენ კედელზე, მიატოვეს გალავნის ქონგურები და ქვევით, ქალაქისაკენ იბრუნეს პირი. გოტფრიდმა რაზმი გააგზავნა ჩრდილოეთის, წმ. სტეფანეს კარიბჭესთან და მათ შიგნიდან გააღეს ალაყაფის კარები და ჯვაროსნებით სულ მალე გაივსო ციხე-გალავნის მიდამოები. ამ მამაცი მეომრების თავგანწირვამ აღფრთოვანებაში მოიყვანა დანარჩენი მეომრები, რომლებმაც

გალავნის ბურჯზე აღმართეს ჯვრიანი დროშა. თავის მხრივ, ტანკრედი, ფლანდრიის და ნორმანდიის გრაფები, თავიანთ რაინდებთან ერთად ტარანის გამოყენებით შევიდნენ ციხის გალავანში ნაპრალიდან. ხოლო ნაწილი მათი რაზმელებისა, მოიერიშე კიბეების გამოყენებით გადავიდა გალავანზე. მას შემდეგ, რაც ჯვაროსანთა მოიერიშეები აღმოჩნდნენ გალავნის შიგნით, მათ გააღეს ალაყაფის კარები და შეუშვეს დანარჩენი რაზმები. თავის მხრივ, რაიმუნდ სენ ჟილმა მოახერხა ციხის სხვა ადგილიდან შეჭრა. გახურებული შეტევის დროს, როდესაც გაიგო გოტფრიდის და ტანკრედის წარმატების შესახებ, მოუწოდა და გაამხნევა თავისი მეომრები. საიერიშო კიბეების გამოყენებით, გალავანში რკინის სოლების ჩაჭედების საშუალებით, ტულუზის გრაფი თავის პროვანსალელ რაინდებთან, სხვა მეომრებთან ერთად გადავიდა გალავანზე. სულ მალე მთელი ქალაქი გაივსო ჯვაროსანთა მეომრებით და შეძახილებით, „ასე სურს ღმერთს“. შეშინებული მუსლიმები გაიქცნენ და თავი შეაფარეს ომარის მეჩეთს, კლდის გუმბათის მეჩეთს, ებრაელთა მოსახლეობამ – დავითის კოშკს და სხვა ადგილებს. თუმცა, მუსლიმებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს ქალაქის ქუჩებში, მაგრამ გამარჯვებით აღტკინებულ და შემართულ მტერთან ვერაფერს გახდნენ. ჯვაროსნები მოედვნენ მთელ ქალაქს და მიეცნენ ზარდაცემული მოქალაქეების აწიოკებას. მუსლიმებს და ებრაელებს იმედი ჰქონდათ, რომ ქრისტიანები დაინდობდნენ სამლოცველოებში შეფარებულ მოსახლეობას და არ ახლებდნენ ხელს მათ სიწმინდეებს, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ, რადგან სწორედ ამ სამლოცველოებში დაუნდობლად გაჟლიტეს ჯვაროსნებმა უმწეო ხალხი.[25]

25 იერუსალიმის აღების ისტორიის ამბების გადმოცემისას ძირითადად ვისარგებლეთ ჯვაროსანთა ეპოქის ცნობილი მკვლევარის ჟ. მიშოს წიგნიდან „ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია“.

თავი XII

ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ეპოქაში

დავითის მემატიანეს ქართველთა სამხედრო წყობის, ორგანიზაციის, სოციალური შემადგენლობის შესახებ ცნობები არ გააჩნია. მაგრამ აქვს ცნობები დავითის იმ საბრძოლო ხერხების შესახებ, რომელთაც მეფე მომთაბარეების წინააღმდეგ იყენებდა. საინტერესო ცნობები აქვს მოცემული, ასევე, ყივჩაღთა სამხედრო თვისებებზე, რომელთა აქ ჩამოსახლების შემდეგ მეფემ მათ საბრძოლო წყობა მისცა და თითოეულ რაზმს სათავეში სამხედრო პირები, „სპასალარნი და მმართებელნი დაუყენა“. დავითის ისტორიკოსის ცნობები სამხედრო ხელოვნების შესწავლის თვალსაზრისით ნაკლებად, მაგრამ ზოგადი ინფორმაციული და სტრატეგიული ვითარების ანალიზისთვის გამოდგება.

XI საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს გარშემო არსებული საგარეო-პოლიტიკური ვითარება მძიმე იყო. 1071 წელს, მანასკერტთან ბრძოლაში თურქ-სელჩუკებთან ბიზანტიელების დამარცხების შემდეგ, მოიშალა იმპერიის აღმოსავლეთის მხარეების თავდაცვითი სისტემა. სელჩუკების ხელში აღმოჩნდა მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია, არრანის, შირვანის, სომხეთის ქვეყნები. ბიზანტიელებმა დაცალეს იმიერ-ტაოს მიწები. ვანის ტბის გარშემო არსებული ტერიტორია თურქმანთა მომთაბარე ტომებით გაივსო. საქართველო მარტოდმარტო აღმოჩნდა ამ მრისხანე ძალის წინაშე, რომლის უზენაესობა, თვით მუსლიმთა სულიერმა წინამძღოლმა, ბაღდადის ხალიფამ აღიარა.

თურქ-სელჩუკთა ექსპანსიას საქართველოს ტერიტორიაზე თან მოჰყვა თურქმანი მომთაბარე ურდოების მასიური ჩამოსახლება ქვეყნის, როგორც საზღვრისპირა, ასევე, შიდა რაიონებში. მათ ეს მიწები საზამთრო და საგაზაფხულო საძოვრებად აქციეს. მომთაბარეთა განსახლება სელჩუკთა იმპერიის პერიფერიებში მიზანმიმართული ღონისძიება იყო. სელჩუკი მმართველები აცნობიერებდნენ თურქმანთა მომთაბარულ ბუნებას, რომელიც შეუსაბამო იყო სახელმწიფოს ცენტრალიზებული ადმინისტრაციული სისტემისთვის. ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული იყო თავშესაფარი ქვეყნის შიდა რაიონებში ეძებნა. მომთაბარეთა მასიური ჩამოსახლება ცვლიდა, როგორც პოლიტიკურ, ისე ეთნიკურ და ტრადიციული მიწისმფლობელობის სურათსაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა ამ ინტენსიური ჩამოსახლების პროცესს „დიდი თურქობა“ უწოდა: „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი.

და განგრძელდა ესევითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა; რამეთუ არეას თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა".

თურქმან მომთაბარეებთან საბრძოლველად საჭირო იყო სამხედრო ძალების სრული რეორგანიზაცია, მობილური ნაწილების შექმნა, რომლებიც სწრაფ რეაგირებას მოახდენდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამოჩენილ მომთაბარე ურდოებზე და თურქთა მარბიელ რაზმებზე. გარდა საბრძოლო წვრთნისა, აუცილებელი იყო ჯარის სულიერად და მორალურად გამობრძმედვა. მემატიანის გადმოცემით, თურქებთან განცდილი მრავალი მარცხის გამო, მტრის მიმართ დაბუდებულიყო შიში და ლაშქარი დავითის გამეფებისას იყო „ტყუეობათა და ჭირთაგან მცირე გუნდი მჭედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი". ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავითმა დაიწყო ჯარის სათანადოდ გაწრთვნა და აღჭურვა. მეფემ მკაცრი დისციპლინა დაამყარა. აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი". მემატიანის ცნობით, დავითი მამაც და ერთგულ მეომრებს აწინაურებდა, ხოლო ჯაბანთ და მხდალთ საჯაროდ კიცხავდა და მოლაშქრეების წინაშე არცხვენდა. მეფემ თანდათან დაიწყო მომთაბარე ჩამოსახლებულ ტომებზე წვრილ-წვრილი, მაგრამ ინტენსიური თავდასხმები. ამ სამხედრო ხერხს კი სჭირდებოდა, უშუალოდ რეგიონებში ჩამოყალიბებული, სწრაფი რეაგირების ცხენოსანი რაზმები, რომლებიც მუდმივ მზადყოფნაში იქნებოდნენ, რათა ელვისებური რეიდებით და მოულოდნელი თავდასხმებით არეულობა შეეტანათ მტრის რიგებში.

დავითს ჩვეულება ჰქონდა, დასავლეთ საქართველოში გადასვლით მიეტყუებინა მტერი: „აქუნდის ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუვნინის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირთა". როგორც ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, მეფე, ხშირად, მოულოდნელად იქ დაატყდებოდა მომთაბარეებს თავს, როცა მას სრულიად არ ელოდნენ და მშვიდად იდგა საზამთროდ, რადგან იგი შორს ეგულებოდათ. როგორც ვხედავთ, დავითი მტრის მოტყუების და სიფხიზლის მოდუნების ტაქტიკას ხშირად მიმართავდა. მეფე არ ერიდებოდა უამინდობასაც. აფხაზეთში ყოფნისას, როცა მეფე ბიჭვინთაში იყო გადასული იქაური საქმეების მოსაგვარებლად, მძიმე ზამთარი იდგა. მომთაბარეები, გულმოცემულები დავითის შორს ყოფნით, მშვიდად იდგნენ საზამთროდ მტკვრის პირას. მაგრამ მეფე არ შეუშინდა ზამთრის სიძნელეებს, „გარდაათხრევინა მთა ლიხისა" (გზა გააყვანინა ხეობაში), ქართლში დახვდა გამზადებული სპა და ხუნანიდან მტკვრის პირის ჩაყოლებით, ბერდუჯის წყლამდე არბია მომთაბარეები. დავით აღმაშენებელი სასტიკად უსწორდებოდა მათ, დაუნდობლად, დედაბუდიანად სპობდა („არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა"), რადგან კარგად ესმოდა

ის საფრთხე, რაც მათ ჩამოსახლებას მოსდევდა.

დავითმა ტაქტიკური ცვლილებები მოახდინა ჯარის განლაგებაში, მან ლაშქარი ერთეულებად, გუნდებად დაყო. გუნდები ბრძოლის ხასიათიდან გამომდინარე, თავისი ტაქტიკური მომზადების პრინციპით მოქმედებდნენ. ეს ფაქტორი კარგად ჩანს დავითის წარმოებულ ომებში, რომლებსაც სხვადასხვა ხასიათი ჰქონდა. მარბიელი, თურქმანი მომთაბარეების ურდოების გასანადგურებლად, ციხე-ქალაქების აღების დროს საალყო წესით მოქმედების შესაბამისად და გენერალური, ფართომასშტაბიანი ოპერაციების, ომების ჩასატარებლად. მეფემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მობილური, მუდმივ მზადყოფნაში მყოფი რაზმების შექმნას. ეს რჩეული ნაწილები მონასპის სახით, ყველა ეპოქის არმიაში არსებობდა. დავითის მონასპაში 5000 მებრძოლი შედიოდა. საზღვრის დაცვა და მარბიელი ფუნქცია ეკისრებოდათ მონაპირე ფეოდალებს. ისინი პირველები რეაგირებდნენ მტრის ურდოების და რაზმების გამოჩენაზე. ძირითად ლაშქარს მეფე საერისთავოებიდან გამომავალი ჯარებიდან კრებდა. ეს იყო სამეფო სპა, რომელსაც მეფე მეთაურობდა ამირსპასალართან და სპასალარებთან ერთად. მონასპის, მონაპირეების, სამეფო ლაშქრის სამხედრო-ტაქტიკური ბუნებიდან გამომდინარე, მეფე ამ ძალებს საჭიროებისამებრ იყენებდა.[26]

სწრაფი მობილიზაციისათვის საჭირო იყო სასიგნალო კოშკები, ლაშქრის წვევის წიგნების სწრაფად გავრცელება, რომელსაც შიკრიკები (მსტოვრები) შეასრულებდნენ ესტაფეტის წესით. გარდა მობილური და სწრაფად მანევრირებადი რაზმებისა, საჭირო იყო სადაზვერვო ქსელის შექმნა. სამეფო ხელისუფლებამ მსტოვართა კარგად დისციპლინირებული სამსახური შექმნა. სწორედ, მათი დროული ინფორმაციების მეშვეობით გებულობდა სამეფო კარი, თუ რა ხდებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, მის გარეთ. მსტოვრების საშუალებით

---

26 ნ. ურბნელის აზრით, ადრე ქართული არმიის ნაწილები ომის დროს რომაული მსგავსად ორ მწკრივად ეწყობოდა, ჭადრაკის ფიგურების მსგავსად. ბრძოლის დროს,პირველი მწკრივი იერიშით მიდიოდა და თუ მტერს აღემატებოდა სიგრძეზე დაწყობილი, ფრთებს შლიდა, მოწინააღმდეგეს ორმხრივ შემოეხვეოდა და ალყაში აქცევდა. დავითმა კი სამი მწკრივის ტაქტიკა შემოიღო. თითოეულ ამ მწკრივს ბრძოლის დროს გარკვეული ფუნქცია ჰქონდა. პირველი წინამძღოლი ჯარი იყო, მეორე – ყოლბი ჯარი, მესამე კი – როქის სპა, რომელსაც თვით მეფე მეთაურობდა. რ. მეტრეველის აზრით, მართალია, პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება დავითის შემოღებულ ტაქტიკურ სიახლეებზე, მაგრამ მისი დროინდელი ლაშქრისათვის დამახასიათებელია მონასპის და მეფის წინა ხაზზე ყოფნა ბრძოლის დროს. დავითის ისტორიკოსი არაერთხელ აღნიშნავს მეფის „წინამბრძოლობის“ ამბავს და მას „უმსგავსო სპასპეტს და წინამძღოლს“ უწოდებს. დავითის ისტორიკოსი გამოჰყოფს „შიდა სპას,“ როგორც ცალკე სამხედრო შენაერთს. კ. გრიგოლია ფიქრობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო შიდა ქართლის ლაშქარი. რ. მეტრეველის აზრით, შიდა სპის სახელწოდება მისმა ფუნქციამ განსაზღვრა, ის უნდა ყოფილიყო ლაშქრის სიღრმეში მყოფი შენაერთი, ალბათ, მონასპა და როქის სპა, რომელსაც მეფე ხელმძღვანელობდა.

იგებდა დავითი თურქმანთა მოძრაობის მარშრუტებს და წინასწარ დათქმულ დროსა და ადგილზე მეფეს ხვდებოდა სალაშქროდ გამზადებული რაზმები. ისტორიკოსის თქმით, დავითს არაფერი დაემალებოდა, თუ ვინმე ღალატს განიზრახავდა, ასეთს მეფე სასტიკად სჯიდა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლაშქრის ზურგის სამსახურსაც. საჭირო იყო რაზმების უზრუნველყოფა საომარი და საფურაჟე ცხენებით, ჯორებით, გამწევი საქონლით, რომელთა საშუალებით დროულად მოხდებოდა ჯარის მომარაგება საომარი იარაღით, ტექნიკით და სალაშქრო საგზალ-საკვებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საომარი ცხენებით მომარაგების საკითხს. დავითმა ძირითადი აქცენტი ცხენოსანი რაზმების ტაქტიკურ მომზადებაზე გადაიტანა. მომთაბარეთა რაზმებზე და მათ ურდოებზე თავდასასხმელად საჭირო იყო, სწორედ, ასეთი ტიპის სამხედრო ნაწილები. სელჩუკური და თურქმანულ-მომთაბარული სამხედრო პოტენციალი, ძირითადად, სწრაფმავალ, მსუბუქ და ამავე დროს, მძიმედ შეიარაღებულ გულიამთა (გულიამი – მონა-მამლუქი, სელჩუკთა ჯარების მთავარი ძალა, რეგულარული ნაწილები, რომლებსაც სახელმწიფო ქირაობდა) რაზმების დამრტყმელ ძალაში გამოიხატებოდა. მათ არმიაში ნაკლებად ჩანდნენ ქვეითთა დიდი რეგულარული ნაწილები. თურქულ-თურქმანული სამხედრო ბუნება, ასეთი ტიპის ლეგიონების არსებობას, ფაქტიურად, გამორიცხავდა. ამიტომ, დავითმა მსგავსი სამხედრო შენაერთები დაუპირისპირა მათ და უფრო ეფექტური გახადა საკუთარი ძალების მობილურობა. ის, რომ მეფეს ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში, მტრის ურდოების ასალაგმავად, გამზადებული მობილური ცხენოსანი რაზმები ხვდებოდა, სწორედ, ამ პრობლემის მოგვარებაზე მიუთითებს.

ამ ღონისძიებების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელის მოწესრიგებასაც. მტრის შემოსევებზე სწრაფი რეაგირებისათვის საჭირო იყო გამართული საგზაო სისტემის არსებობა. მეფემ ამ მხრივაც დიდი სამუშაოები ჩაატარა: „რაოდენნი ჴიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა".

ეს თავდასხმები მარტო ველად გაშლილ მომთაბარეებზე არ ხორციელდებოდა. მეფეს ხშირად უწევდა მტრის მიერ გამაგრებული ადგილების, ციხე-სიმაგრეების, ხანდაკების და ბუნებრივი სიმაგრეების აღება. ამისათვის კი საჭირო იყო სპეციალური სატყორცნი იარაღი, საალყო ტექნიკა, რომელთაც თავისი მომსახურე პერსონალი ჰყავდა.

მომთაბარეებზე თავდასხმები მას შემდეგ დაიწყო, რაც მეფემ ხარკი შეუწყვიტა სულთანს – 1099 წელს. დავითის ისტორიკოსის ცნობით, ამის შემდეგ „თურქნი ვეღარ დაიზამთრებდეს ქართლს". შეტევებმა კი ინტენსიური სახე 1110 წელს – სამშვილდის და 1115 წელს, რუსთავის აღების შემდეგ მიიღეს. ურდოები, ძირითადად, ციხე-ქალაქების მახლობლად მომთაბარეობდნენ, რითაც საკუთარი ზურგის უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფდნენ. ამიტომ, მეფეს

მათ განადგურებასთან ერთად, ციხე-სიმაგრეების აღებისათვის ბრძოლაში სელჩუკთა რეგულარულ რაზმებთან შეტაკებაც უწევდა. მაგალითად, ქართველთა მიერ სამშვილდის აღებისას ჩანს, თუ რა მნიშვნელობის იყო თურქმანი მომთაბარეებისთვის, მათი დამცველი სელჩუკთა რეგულარული რაზმების ყოფნა გამაგრებულ პუნქტებში. მას შემდეგ, რაც სელჩუკებმა დაკარგეს ეს ციხე-ქალაქი, მიმდებარე ტერიტორიებზე მყოფი მომთაბარე ელები დედაბუდიანად აიყარნენ და სელჩუკთა მეციხოვნე რაზმებთან ერთად მიატოვეს ქართლის სამხრეთით არსებული სხვა ციხეებიც და საძოვრებიც.

ბრძოლის სახეობები, ხერხები – მეფის უშუალო მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში (წინამბრძოლი, წინამავალი)

დავითის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში გადმოგვცემს მეფის მემატიანე. წყაროში საუბარია ერწუხის ომის გამომწვევ მიზეზებზე და ჰერეთ-კახეთის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. თურქებისათვის ხარკის შეწყვეტის შემდეგ დავით აღმაშენებელი გადამწყვეტ მოქმედებებზე გადავიდა. საქართველოს მეფე კარგად აცნობიერებდა, რომ სულთნის პასიურობა ქართველთა გამოწვევაზე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მაგრამ, ამჯერად, ქართველთა სამხედრო ნაწილები ბრძოლისუნარიან ძალებს წარმოადგენდნენ და არა იმ „მცირე გუნდს მხედრობისა“, რომელიც დავითს დახვდა გამეფების ჟამს. მომთაბარეთა სადგომების განადგურების გარდა, საჭირო იყო თურქ-სელჩუკთა პოლიტიკური გავლენის მოსპობა ჰერეთ-კახეთში. დასავლეთით მისი საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დიდოეთ-ხუნძახი ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთის მხარეებს, დღევანდელი ბელაქნის, ზაქათალას, კახის და შაქის რაიონები შეადგენდნენ. ამ რეგიონის დაპყრობით სამეფო ხელისუფლება სტრატეგიულ ფორპოსტს იკავებდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით თბილისზე და განძის საამიროზე პერმანენტული შეტევებისთვის და, ასევე, საქართველო შირვან-შაჰების ქვეყნის მოსაზღვრე ხდებოდა, რაც მათთვის ქართველთა მხრიდან უშუალო დარტყმების საფრთხეს ზრდიდა. ჯერ კიდევ, გიორგი II-ის მეფობის დროს იყო ჰერეთ-კახეთის შემოერთების შანსი, მაგრამ მალიქ-შაჰის ნაწყალობევი ქვეყნის დაკავება მტრის ძალებით მეფემ არ ისურვა და გაეცალა კიდეც ამ მხარეს. თურქ-სელჩუკებმა ჰერეთ-კახეთი თვითონ დაიკავეს და განძის ათაბაგს ჩააბარეს სამმართველოდ. 1103 წელს დავითმა ზედაზნის ციხე დაიკავა, რომელიც თბილისის საამიროს, ჰერეთ-კახეთის და საქართველოს სამეფოების საზღვრების მომიჯნავე სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობდა. ზედაზნის აღებით ქართველებმა ფორპოსტი მიიღეს თბილისის სანახებში მყოფ სელჩუკებზე შეტევებისათვის და საფრთხე შეუქმნეს ჰერეთ-კახეთის სამეფოს დასავლეთ სასაზღვრო პუნქტებსაც. ამ სტრატეგიული პუნქტის დაკავებამ შედეგი მალე გამოიღო. 1104 წელს, მეფემ ადგილობრივი დიდებულების არიშიანის, ბარამის და ქავთარ ბარამის ძის დახ-

მარებით შეიპყრო მეფე აღსართანი და ჰერეთ-კახეთი დაიკავა. მაგრამ ეს მარცხი უპასუხოდ არ დატოვა განძის ათაბაგმა და სულ მალე დიდი ჯარი შეჰყარა თავისი გავლენის აღსადგენად ამ რეგიონში. ეს უკვე იყო გენერალური ომი თურქ-სელჩუკებთან. ბრძოლა გაიმართა ერწუხთან (ბრძოლის ადგილის ზუსტი ლოკალიზაცია არ ხერხდება). განძის ათაბაგს მხარში ამოუდგა მისი სიუზერენი, იმ დროისათვის არრან-აზერბაიჯანის, სირიისა და ალ-ჯაზირას გამგებელი, სულთანი მუჰამად ტაფარის ძე. ეს იყო სელჩუკთა პირველი სერიოზული ლაშქრობა საქართველოში დავითის გამეფების შემდეგ. ამ დროისათვის მუჰამად ტაფარის ძეს ზავი ჰქონდა დადებული თავის ძმასთან ირან-ერაყის დიდ სულთანთან ბარქიარუკთან, რაც საშუალებას აძლევდა ყურადღება მიექცია საქართველოში განვითარებული მოვლენებისათვის. სელჩუკთა მხარეზე, ასევე, იბრძოდნენ დავითის პოლიტიკით უკმაყოფილო ჰერეთ-კახეთის დიდებულები. სხვა წყაროთა მონაცემების არარსებობის გამო, ერწუხის ომის სრული სურათის წარმოდგენა ძნელია. დავითის მემატიანეც ზოგად ფერებში აღწერს მის მიმდინარეობას და აღნიშნავს მხოლოდ მოწინააღმდეგეთა ძალების შეტაკების სიმძაფრეს. არაფერი აქვს ნათქვამი ომის წინ მოწინააღმდეგეთა ტაქტიკურ განლაგებაზე და, არც მებრძოლ მხარეთა რაოდენობაზე. მემატიანის ცნობით, შეტაკება სისხლისმღვრელი იყო და მეფე წინა რიგებში იბრძოდა: „ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დაჴოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყნისა ერი... თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა; და თჳთ გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამჴობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა ყოველთა.“ ბრძოლაში დავითს სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხეზე შემჯდარმა დაასრულა ომი. კარავში დაბრუნებული მეფე სისხლში იმდენად მოთხვრილი იყო, რომ მსახურებს დაჩეხილი ეგონათ, მაგრამ როდესაც აბჯარი და სარტყელი შეიხსნა, „დაითხია ესეოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა“, მაშინ მიხვდნენ თანამებრძოლნი, რომ ეს მტრის სისხლი იყო, იარაღზე და ტანსაცმელზე მიმხმარი. ბრძოლაში დაიღუპა თვით განძის ათაბაგი. მარცხი ძალიან მტკივნეული იყო მუჰამად ტაფარის ძისათვის. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარც უცდია ქართველებთან დაპირისპირება. ეს იყო პირველი გენერალური ომი და დიდი გამარჯვება თურქ-სელჩუკებზე. ერწუხის გამარჯვებით საქართველოს სამეფო კარმა მტკიცედ დაიჭირა ჰერეთ-კახეთი, რომელიც ერთიანი სამეფოს განუყოფელ ნაწილად იქცა. დავითმა უზრუნველყო სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოება.



ბრძოლის სცენა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. H1665. 205v

მტრის სამხედრო შენაერთებზე მოულოდნელი თავდასხმის სტრატეგია

ქვემო ქართლის ციხეების დაკავების შემდეგ დავითმა საბრძოლო მოქმედებები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაიტანა. ქართველებმა დაარბიეს განძის საათაბაგოს ტერიტორიები. რა თქმა უნდა, სამშვილდის დაკარგვა, არრანში ქართველების გამოჩენა თურქ-სელჩუკებმა უყურადღებოდ არ დატოვეს და დიდი ძალებით თრიალეთში შევიდნენ. როგორც ჩანს, ეს იყო მუჰამად ტაფარის ძის მიერ გაგზავნილი ლაშქარი. ბარქიარუკის გარდაცვალების შემდეგ იგი გახდა ირან-ერაყის დიდი სულთანი, რომლის ინიციატივითაც ხორციელდებოდა შემდგომში თურქ-სელჩუკთა საომარი ოპერაციები საქართველოს და ჯვაროსნების წინააღმდეგ. დავითის ისტორიკოსის გაზვიადებული ინფორმაციით, თრიალეთში თურქ-სელჩუკები 100 ათასიანი არმიით შემოვიდნენ, რომელთაც ქართველთა სულ რაღაც 1500 მოლაშქრე შეეგება. ქართველთა ჯარის ამ სიმცირეს მემატიანე თურქთა მოულოდნელი თავდასხმით ხსნის. ამ დროს დავითი ნაჭარმაგევში იყო გადასული და მხოლოდ ტაძრეულის რაზმი ახლდა თან. ქართველთა სწრაფი რეაქცია თვით მტრისათვის აღმოჩნდა მოულოდნელი. ასეთ ვითარებაში განუზომელი იყო მსტოვართა და სწრაფი რეაგირების ცხენოსანი რაზმების როლი. თურქ-სელჩუკების სარდლობას სურდა, რომ თრიალეთის ქედის სწრაფად გადალახვით შემოსულიყო შიდა ქართლის ვაკეზე, სადაც გაშლილ სანახებში უპირატესობას მიიღებდნენ თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო. სწორედ ამ გეგმის განხორციელება არ აცალა მათ დავითმა. მეფე, როგორც

ჩანს, მიუხვდა მტერს გაბედულ ჩანაფიქრს, მან არ დაუცადა ჯარის შეკრებას და მასთან მყოფი ძალებით ჩაება შეტაკებაში. მაგრამ მარტო ტაძრეული რაზმი არ იყო საკმარისი ბრძოლისათვის. როგორც ჩანს, ამ რეიდში, მეფეს შეუერთდნენ მუდმივ მზადყოფნაში მყოფი ცხენოსანი რაზმები. ესენი, სავარაუდოდ, მონაპირეთა სამხედრო ნაწილები იყვნენ. მემატიანე გვიამბობს, რომ დავითმა „ცნა რა მიმწუხრი მოსვლა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესეოდენი დახუდეს მას წინაშე“. მეფემ მოულოდნელობის ფაქტორზე ააგო ეს ოპერაცია, რითაც გაანეიტრალა მტრის რიცხობრივი უპირატესობა. აქ ჩანს, მონაპირეთა რაზმების სპეციფიკა და როლი სწრაფ, მოულოდნელ გადაადგილებაში. დავითის ეს ნაბიჯიც გარკვეულ რისკს შეიცავდა. ამ სწრაფი რეიდის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მთიან რელიეფზე მოულოდნელი თავდასხმით გამოეწვია პანიკა მტრის სარდლობაში. ამ გაბედულმა ნაბიჯმა გაამართლა. ქართველთა მხედრობა მაშინ წაადგა თავს სელჩუკების ბანაკს, როცა თენდებოდა და მოუმზადებელი იყო საბრძოლველად. როგორც ჩანს, ქართველებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით, სწრაფი მარშით განახორციელეს ხეობებში და ცისკრის ჟამს თავს დაესხნენ ჯერ კიდევ ბანაკად მდგარ მტერს. ეს შეტაკება მოხდა თრიალეთის ქედის მთის რელიეფზე, ტყიან და ვიწრო ხეობაში. სელჩუკებმა ვერ გამოიყენეს თავისი რიცხობრივი უპირატესობა, ისინი მოულოდნელი თავდასხმის გამო აირივნენ, მიატოვეს ბანაკი და გაიქცნენ. დავითის ისტორიკოსი აღფრთოვანებულია ქართველთა სიმამაცით, რომლებმაც მრავალრიცხოვანი მტერი დაამარცხეს. ამ საკითხში კი აჭარბებს მემატიანე – 1500 მეომრით მოწინააღმდეგის 100 ათასიანი ჯარის დამარცხება, რაც არ უნდა მოუმზადებელი იყოს საბრძოლველად, წარმოუდგენელია. ამავე დროს, ამხელა არმია არცერთ სელჩუკ მმართველს არ გააჩნდა და, რაც მთავარია, ამ რაოდენობის სამხედრო ძალა, მოულოდნელად, ქვეყნის საზღვართან ვერ გაჩნდებოდა, მითუმეტეს, დავით აღმაშენებლის ეპოქაში, როცა უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული მსტოვართა და მონაპირეთა საქმიანობა. თუმცა, სელჩუკების რიცხობრივი უპირატესობა ეჭვს არ იწვევს, რაც კარგად გამოჩნდა პირველი შეტაკების დამთავრებისთანავე, როდესაც ისინი უკუიქცნენ. ქართველები არ დაედევნენ უკუქცეულ ჯარს, რადგან მცირე რაზმებით გადევნება დამღუპველი იქნებოდა მდევრებისათვის. ომის კანონებით, დამარცხებული მოწინააღმდეგის სრულიად გასანადგურებლად, გამარჯვებული მხარე მდევართა რაზმების საშუალებით ახორციელებდა მტრის ძალების რაც შეიძლება შორს უკუგდებას და მისთვის მეტი ზიანის მიყენებას. ამავე დროს, ამ რეიდებით გამარჯვებული მხარე არ აძლევდა მოწინააღმდეგეს ძალების კონცენტრაციის და გადაჯგუფების საშუალებას ახალი შეტევებისთვის. ისტორიკოსი იმით ხსნის ქართველთა საქციელს, რომ სარდლობას ეშინოდა სელჩუკებს სადმე ჩასაფრება არ მოეწყოთ, „რამეთუ ხვალისა ორი ეგონა“ და აცალეს მტერს უკუქცევა.

დიდგორის ომი (წინაპირობები, ურთიერთობები ჯვაროსნებთან)

1104 წელს გარდაიცვალა სელჩუკთა დიდი სულთანი ბარქიარუკი. მისი მემკვიდრეობა მიიღო მუჰამადმა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ემორჩილებოდნენ ხორასნის, სირიის და რუმის მმართველები, ისინი ფორმალურად მუჰამადის უზენაესობას აღიარებდნენ. როგორც დიდი სულთანი და სელჩუკთა უზენაესი, მუჰამადი 1110 წლიდან აქტიურად ჩაება სირიის მიმართულებით ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლებში. მემატიანეები ხოტბას ასხამდნენ მუჰამადის მმართველობას, რადგან მან გააქტიურა თავისი პოლიტიკა სირიის მიმართულებით. ადრე, თუ ჯვაროსნებთან მთელი ომის სიმძიმეს რუმის და სირიის სელჩუკები და ეგვიპტელი ფატიმიანები იღებდნენ, ამჯერად, საქმეში ირან-ერაყის სელჩუკებიც ჩაერთვნენ. მუჰამადის მოწოდებით, სირიის, რუმის, ანატოლიის, ირან-ერაყის სელჩუკების და მომთაბარე თურქმანთა ძალებით მრავალი სამხედრო ოპერაცია განხორციელდა ანტიოქიისა და ედესის ჯვაროსნების წინააღმდეგ. მაგრამ ჯვაროსნებთან ბრძოლაში საერთო წარმატებას ხელს უშლიდა სელჩუკ ამირათა პრეტენზიები, შუღლი და უთანხმოება. 1115 წელს, ანტიოქიის მთავარმა როჯერმა სირიაში, დანისთან ბრძოლაში გაანადგურა მუჰამადის მიერ შეკრებილი სელჩუკთა გაერთიანებული არმია. ეს იყო მუჰამად ტაფარის ძის უკანასკნელი მცდელობა წაერთმია ჯვაროსანთათვის ედესა და მთლიანად სირია. ანტიოქია, ედესა და სხვა ოლქები კვლავ ევროპელთა ხელში რჩებოდა. მუსლიმთა თავზე ახალი საფრთხე ნამოიმართა, ანტიოქიის და ედესის მთავრები, ამჯერად, ალეპოს ემუქრებოდნენ. ყოველივე ეს არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ქართველთა წარმატებებზე სელჩუკების და თურქმანი მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლებში. ასევე, ქართველთა ინტენსიური დარტყმები თურქ-სელჩუკებზე, ჯვაროსანთა ნისქვილზეც ასხამდა წყალს. სელჩუკებს არ შეეძლოთ მოეშიშვლებინათ ჩრდილოეთის მიმართულება, რადგან ეს კიდევ უფრო გააააქტიურებდა ქართველების გამოჩენას არრანის, ვანის ტბისა და ჩრდილოეთ სომხეთის მიმართულებით. ასე რომ, ორივე მხარემ – ჯვაროსნებმა და ქართველებმა თავ-თავიანთ ფრონტებზე დააკავეს სელჩუკთა მნიშვნელოვანი ძალები. 1115 წელს დანისთან თურქების მარცხმა ხელი შეუწყო დავით აღმაშენებელს, წარმატებით განევითარებინა შეტევები სელჩუკთა რაზმებზე და თურქმან მომთაბარეებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, მის ფარგლებს გარეთ. ეს კი ეჭვს ბადებს, ხომ არ იყო რაიმე საერთო გეგმა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ?[27] ჯერ კიდევ 1110 წელს, ქართველების მიერ სამშვილდის და ძერნას აღება დაემთხვა სელჩუკთა გააქტიურებას ედესის მიმართულებით. სელჩუკების ახალ შეტევებს ედესის და ანტიოქიის

[27] ასეთი ეჭვი გამოთქმული აქვს გ. ჯაფარიძეს, რომელიც საფუძვლიანად განიხილავს ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის გავლენას მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმურ სამყაროზე, თავის ნაშრომში „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო".

მიმართულებით დაემთხვა 1115 წელს, დავითის განახლებული თავდასხმები თურქებზე. ასევე, გასათვალისწინებელია ის მცირე მასალა, რასაც წყაროები გვაძლევენ ამ კონტაქტების შესახებ. კერძოდ, ეს ეხება ლათინურ წყაროებში დავითის შესახებ გავრცელებულ რეალურ თუ ლეგენდარულ ისტორიებს, სადაც ქართველთა მეფე ჯვაროსანთა მოკავშირედ არის აღქმული. ამ მხრივ, საყურადღებოა, იერუსალიმის კანცლერის ანსელუსის წერილი, რის მიხედვითაც დავითი ჯვაროსანთა მოკავშირეა, დარაჯობს „გოგისა და მაგოგის" კარებს და მისი სამეფო მიდიელთა და სპარსთა წინააღმდეგ ჯვაროსანთა ბრძოლის მოწინავე ბურჯია. ამ კონტაქტების დამადასტურებელია ინფორმაცია, რომელიც გვამცნობს, რომ დავით აღმაშენებელი იერუსალიმის პირველ მეფე ბოლდუინ I-ს საჩუქრებს უგზავნიდა. ასევე, გასათვალისწინებელია, იოანე ბატონიშვილის ცნობა, 1118-1119 წლებში დავით აღმაშენებელთან იერუსალიმის ჯვაროსანი მეფის ბოლდუინ II-ის საიდუმლო ვიზიტის შესახებ[28]. 1118 წელს ბალატთან ომში ილ-ღაზმა დაამარცხა ანტიოქიის მთავარი როჯერი და სირიაში მყოფ ჯვაროსნებს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. როჯერი ბრძოლაში დაიღუპა და იერუსალიმის მეფემ აიღო ამ ქალაქის დაცვის პასუხისმგებლობა. არ გამოვრიცხავთ, რომ ჯვაროსნების გააქტიურება საქართველოსთან კონტაქტების გაღრმავების მიზნით, სწორედ ამ ფაქტს უკავშირდებოდეს. არსებობს, ასევე, ლათინური წყარო, რომელიც გადმოგვცემს, რომ დავითმა სომეხ მთავართან ერთად გამოისყიდა თურქების მიერ დატყვევებული ჯვაროსნები. 1110 და 1115 წლებში დავითის ანტითურქული აქციები, გარკვეულწილად, ეხმარებოდა ედესის საგრაფოს სელჩუკების წინააღმდეგ ომებში და ხელს უშლიდა სელჩუკებს მოეხდინათ თავიანთი ძალების სრული კონცენტრაცია.

ამ ურთიერთობების ყველაზე ნათელი მაგალითი დიდგორის ომში ჯვაროსნების მონაწილეობაა. ანტიოქიის კანცლერი გოტიე, დიდგორის ომში ქართველთა გამარჯვების შესახებ აღფრთოვანებას ვერ მალავს და მას, ფაქტიურად, ჯვაროსანთა საერთო წარმატებად აღიქვამს. მემატიანე ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ილ-ღაზს საქართველოში წარმატებული ლაშქრობის შემთხვევაში, გეგმაში ჰქონდა ანტიოქიისა და იერუსალიმის ევროპელთა ხელიდან გამოხსნა.

---

[28] მართალია, იოანე ბატონიშვილის ცნობა გვიანდელია და სხვა წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მართლაც შეიძლება შემდგარიყო კავშირი დავით აღმაშენებელსა და იერუსალიმის მეფეს შორის. მითუმეტეს, რომ იმ დროისათვის ედესის და ანტიოქიის რეგიონში ვითარება ძალიან გართულდა. მას შემდეგ, რაც ილ-ღაზმა 1119 წელს გაანადგურა ანტიოქიის მთავრის როჯერის არმია, ბოლდუინს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ დაუცველი ანტიოქია სელჩუკთა დაპყრობისაგან დაეცვა. შეიძლება, სწორედ ამ დროისათვის შემდგარიყო ეს კონტაქტები ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ იერუსალიმის მეფე საქართველოში ელჩობად მოსულიყო, თუნდაც საიდუმლო ვიზიტით, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ მას გამოეგზავნა დესპანი ამ კავშირების დასამყარებლად.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული აქტიური კამპანია სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა ირან-ერაყის სელჩუკთა დიდ სულთანს, რომელიც 1110 წლიდან ჯვაროსნების წინააღმდეგ დაწყებული დიდი კოალიციური შეტევის ინიციატორი იყო. სელჩუკები საშიშროებას ხედავდნენ ქართველთა პერმანენტულ დარტყმებში, ამიტომაც, ამ საფრთხის განეიტრალება 1121 წელს საკუთარ თავზე აიღო ჯვაროსნებთან ბრძოლაში სახელმოხვეჭილმა სარდალმა ილ-ღაზმა.

წყაროები, მემატიანეთა შეფასებები. დიდგორის გენერალურმა ბრძოლამ იმთავითვე მიიქცია თანამედროვეთა დიდი ყურადღება. მან გავლენა მოახდინა, არა მარტო საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე, არამედ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებზეც. ამიტომ, ამ ბრძოლაზე მრავალი წლის შემდეგაც წერდნენ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მემატიანეები. ამ ბრძოლის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც დიდგორის ომის მომსწრე და, შეიძლება, თვითმხილველიც იყო. მას, თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი" მოკლედ, მაგრამ ნათლად აქვს გადმოცემული ომის გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები, მონაცემები მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის შემადგენლობის შესახებ. ასევე, ძვირფასია თამარის ისტორიის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ინფორმაცია ბრძოლის ადგილის დაზუსტების საკითხში.

დიდგორის ბრძოლა რომ ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა არ იყო, ამას მოწმობს უცხოელ ავტორთა ცნობები. ბრძოლის შესახებ საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდიან სომეხი, არაბი, სპარსელი და ევროპელი მემატიანეები. მათი გადმოცემები განსხვავებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორთა ცნობები ერთმანეთს ავსებენ ამ ომის გამომწვევი მიზეზების, მონაწილეთა რაოდენობის, შემადგენლობის, მოწინააღმდეგეთა საბრძოლო განლაგების, ტაქტიკის, ბრძოლის მიმდინარეობის და მისი შედეგების შესახებ.

რიგი უცხოელი ავტორები, ქართველთა გამარჯვებას თავიანთი სამშობლოსათვის და ხალხებისათვის დადებით მოვლენად აღიქვამენ. სომეხი მემატიანეები თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან თავიანთი სამშობლოს გათავისუფლების იმედებს დავით აღმაშენებელზე ამყარებდნენ. ანტიოქიის ლათინი კანცლერი გოტიე, დიდგორში გამარჯვებას ჯვაროსნული ომების პოზიციიდან აფასებს და მასში ევროპელთა მონაწილეობას მუსლიმთა დამარცხების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიიჩნევს. მართალია, გოტიეს მათი როლი ამ გამარჯვებაში გაზვიადებული აქვს, მაგრამ ჩანს, როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა, ევროპელ რაინდებთან ომებში სახელმოხვეჭილი სარდლის, მარდინისა და დიარ-ბაქრის გამგებელ ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზის კოალიციის დამარცხებას ქართველთა მიერ. არაბ და სპარს ისტორიკოსთა შეფასებით კი, ილ-ღაზის ჯარის სასტიკმა მარცხმა ისლამის ქვეყნებში გაამრავლა ქრისტიანთა თარეში

და ბოროტება. ერთი საუკუნის შემდეგაც მტკივნეულად იხსენებენ ამ მარცხს მუსლიმი მემატიანეები. დიდგორის ომის შემდეგ ისლამურ ქვეყნებს საფრთხე არა მარტო დასავლეთიდან მოსული ჯვაროსნებისგან ემუქრებოდათ, არამედ ჩრდილოეთის მხრიდან, ქართველებისგანაც.

პოლიტიკური ვითარება, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. მოწინააღმდეგე ძალების ტაქტიკური ამოცანები. დავით აღმაშენებლის მიერ წარმატებით წარმოებულმა საბრძოლო ოპერაციებმა საფრთხე შეუქმნა თურქ-სელჩუკთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას ამიერკავკასიაში. მომთაბარე თურქმანებს აღარ დაედგომებოდათ მტკვრისა და არეზის ნაპირებზე. თბილისის, დმანისის და არრან-შირვანის მუსლიმთა სავაჭრო წრეებს, თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის დაკარგვის ეშინოდათ. რომელთაც აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროსთან სავაჭრო კავშირების შენარჩუნება სურდათ. ამავე დროს, დამოუკიდებლობის დაკარგვის შიში ჰქონდა თბილისის მმართველ ზედაფენას, რომელშიც მუსლიმთა წილი არაბთა ბატონობის პერიოდიდან საკმაოდ დიდი იყო. ამის ნიშნები მაშინ გამოჩნდა, როცა დიდგორის ომამდე დავითმა თბილისში თავისი ნაცვალი „შიჰნა" გაგზავნა, რომელსაც თან ახლდა შეიარაღებული რაზმი. ეს რაზმი მოწოდებული იყო ქალაქში წესრიგის დასაცავად. ამ აქტით დავითმა თავისი პრეტენზია ქალაქზე ღიად განაცხადა. ქალაქი მას ხარკსაც უხდიდა 10 ათასი დინარის ოდენობით. მას შემდეგ, რაც სტრატეგიული ციხე-ქალაქები ქართველთა ხელში გადავიდა, თბილისის გარშემო ალყა თანდათან ვიწროვდებოდა. ქალაქის „უხუცესთა" მმართველობის დღეები დათვლილი იყო. დავით აღმაშენებელმა მოქმედებები ქვეყნის გარეთაც გადაიტანა და თურქ-სელჩუკებს უკვე სომხეთსა და შირვანში შეუტია: „დაიწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა". შემდეგ მეფემ სელჩუკებს არანში შეუტია: „მოსრნეს პირთა მახვილისა... რომელ არა დაუშთა მთხრობი ჰამბავისა". არრანის სელჩუკებმა გადაწყვიტეს შური ეძიათ ქართველებზე. განძის ამირა ხაზი (ღაზი) დიდი ლაშქრით შემოესია საქართველოს და დაარბია მოსაზღვრე მხარე. ეს ლაშქრობა დავითმა დაუსჯელი არ დატოვა და საპასუხო შეტევა განახორციელა. როგორც მათე ურჰაელი გადმოგვცემს, გაულიტა მათგან 30 ათასი კაცი და დიდი ნადავლით დაბრუნდა საქართველოში. საფრთხე დაემუქრა დმანისში, ანისში, განძაში დაბანაკებულ სელჩუკებსაც. ყველა ამ რბევის შედეგი მძიმე იყო მომთაბარე თურქმანებისთვის. დავითი მათ დაუნდობლად უსწორდებოდა და საქართველოს საზღვრებიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან ერეკებოდა. რადგან თურქმანთა ეკონომიკური ძლიერების წყაროს მომთაბარე მეურნეობა წარმოადგენდა და სწორედ ეს იყო სელჩუკთა სამხედრო სისტემის ძირითადი მკვებავი ბაზა, დავითი ასე ინტენსიურად ამიტომაც ახორციელებდა თავდასხმებს ამ ბუდეების მოსაშლელად.

ამავე დროს, ქართველების გამოჩენა უშუალოდ სელჩუკთა მფლობელო-

ბაში მყოფ რეგიონებში, შფოთს და დაუცველობის განცდას იწვევდა ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობაში. იბნ ალ-ასირის ცნობით, დიდგორის ომის წინ დავითს დაულაშქრავს ისლამის ქვეყნები. ამ ლაშქრობის მარშრუტს აკონკრეტებს XIV საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ-აინი, რომლის ცნობით, დავითს სირიაზე გაულაშქრავს დიდგორის ომის წინ. სავარაუდოდ, ამ ფაქტმა სერიოზულად შეაშფოთა სელჩუკები, რადგან ქართველთა გამოჩენა სირიის საზღვრებთან გაართულებდა მათ ბრძოლას ედესაში და ანტიოქიაში მყოფ ჯვაროსნებთან. სირიამდე ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ 1120 წელს, აშორნიასთან (სომხური არშარუნიქის ოლქი) ქართველების გამოჩენა, რომლის მიდამოები დიარ-ბაქრის სელჩუკურ-თურქმანული პოლიტიკური ორბიტიდან ახლოს მოჩანდა, რა თქმა უნდა, აღელვებდა არა მარტო მომთაბარე ელებს, არამედ, თვით ამ რეგიონის გამგებელ ართუკიანებსაც, რომელთა სახელოვანი წარმომადგენელი ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი იყო[29]. ქართული საფრთხე უკვე რეალურ სახეს იღებდა. დავითის მიერ წარმოებული მარბიელი რეიდები ქვეყნის საზღვრებს გარეთ, უშუალოდ ისლამური სამყაროს ტერიტორიებზე წარმოებდა. ეს უკვე ტოტალური ომი იყო თურქ-სელჩუკებთან. მუსლიმთათვის ეს ბრძოლა ქართველებთან ჯიჰადის (წმინდა ომი ურწმუნოებთან) სახეს იღებდა. ამიტომაც, მათ საერთო ძალებით გადაწყვიტეს ქართველთა საფრთხის მოგერიება.

მოწინააღმდეგე მხარეების სამხედრო ძალების შემადგენლობა, რაოდენობა დავითის ისტორიკოსის ცნობით, თბილისელმა, დმანისელმა და განძელმა მოქალაქეებმა დახმარებისთვის მიმართეს სულთანს. იმ დროს სელჩუკთა სულთანი იყო მაჰმუდ მუჰამადის ძე, დასავლეთ ირანის და ერაყის მმართველი. მაგრამ, იმ დროისათვის, მაჰმუდს კონფლიქტი ჰქონდა საკუთარ ძმასთან, არრანის გამგებელ თოღრულთან, არაბთა მეფე დურბეზ სადაყას ძესთან და ბიძასთან – ხორასანის სულთან სანჯართან. სანჯარმა 1119 წელს დაამარცხა მაჰმუდი და სელჩუკთა დიდი სულთნის ტიტულიც მიიღო. მაჰმუდმა კი მისი უზენაესობა აღიარა. ამიტომ, საეჭვოა, მაჰმუდს აქტიურად ემოქმედა კოალიციის შესაყრელად, მაგრამ, რადგან საქმე ეხებოდა საერთო საფრთხის განეიტრალებას, ამ საღვთო ომში ირან-ერაყის სულთანს თავისი როლი უნდა შეესრულებინა[30]. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ ხორასანის სულთან სანჯარსაც მონაწილეობა მიეღო ამ კოალიციის შექმნაში. წარმოუდგენელია, რომ ამ საერთო საქმეს სულისჩამდგმელი არ ჰყოლოდა. ბაღდადის ხალიფას მონაწილეობა ამ საქმეში არ ჩანს, ამიტომ, კოალიციის შეკრებისათვის წვევის წიგნებს თუ მოცი-

29 გ. ჯაფარიძის აზრით, აშორნიიდან გზა იხსნებოდა ვანის ტბის სანაპიროებისაკენ და აქედან შორს აღარ იყო დიარ-ბაქრამდე.

30 მუსლიმთა კოალიციის წევრთა იდენტიფიკაციის და მათი ომში მონაწილეობის შესახებ ყველაზე დეტალური კვლევა აქვს გ. ჯაფარიძეს. იგი დაწვრილებით მიუთითებს მონაწილეთა მიზნებისა და ინტერესების შესახებ.

ქულებს აუცილებლად დააგზავნიდა სელჩუკთა სულთანი, მიუხედავად იმისა, რა ურთიერთობები ჰქონდა მას სხვა მუსლიმ მმართველებთან და რეალურად ვრცელდებოდა თუ არა მისი უზენაესობა სხვა სელჩუკურ პოლიტიკურ ერთეულებზე. ეს იქნებოდა, ან დასავლეთ ირანის და ერაყის გამგებელი მაჰმუდ მუჰამადის ძე, ან ხორასანის დიდი სულთანი სანჯარი.[31]

წყაროებიც განსხვავებულ ცნობებს გვაძლევენ, თუ რომელ მუსლიმ მმართველს სთხოვეს დახმარება თურქმანებმა და განძის, თბილისის და დმანისის ვაჭრებმა. დავითის ისტორიკოსის ცნობით, „თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა." ეს ელჩობა, 1121 წლის აპრილ-მაისში შემდგარა. ალ-ფარიკის გადმოცემით, თბილისელმა უხუცესებმა თხოვნით მიმართეს ნაჯმ-ად-დინ ილ-ღაზს, რომ მოსულიყო და ჩაებარებინა თბილისი. სხვა არაბი მემატიანეები, იბნ ალ-კალანისი, იბნ ალ-ადამი და იბნ ალ-ასირი მიუთითებენ ასევე, რომ სელჩუკიანი ამირები შეთანხმდნენ ქართველთა წინააღმდეგ ერთობლივ ლაშქრობაზე და ილ-ღაზს სთხოვეს დახმარება ამ კამპანიაში. მათე ურჰაელის ცნობით კი, მათ დახმარება სთხოვეს განძის მმართველს: „შემოიფლითეს თავიანთი ტანსაცმელი, თავზე მიწა დაიყარეს, შავადმოსილნი და თავშიშველნი შეჰღაღადებდნენ ქალაქ განძაკში მყოფ თავიანთ სულთანს მელიქს ტაფარის შვილს." მისივე ინფორმაციით, ამ ქალაქების ელჩების ნაწილი არაბთა ოლქში, კარმიანის (კაბადოკიის) ქვეყანაში, ამირა ხაზი არდუხის ძესთან მისულან და დახმარება უთხოვიათ. ეს ხაზი არდუხის ძე, დიდგორის ომში გაერთიანებული ლაშქრის მეთაური ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი არდუხის ძეა.

თბილისის დაკავება არ იქნებოდა ილ-ღაზის თვითმიზანი, მითუმეტეს, რომ კავკასიაში საკუთარი პრეტენზიების გამოხატვა მას პრობლემებს შეუქმნიდა არრანის და ირან-ერაყის სელჩუკებთან ურთიერთობებში. მაგრამ დავითის

31 მემატიანეების მონაცემებიდან გამომდინარე, არ არის თანხმობა მკვლევრებს შორის, თუ ვინ შეჰყარა ეს კოალიციური ჯარები და ვინ მონაწილეობდა დიდგორის ომში. ს. კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ ლაშქრობის ინიციატორი უნდა ყოფილიყო ხორასანის და მავერანნაჰრის დიდი სულთანი სანჯარი, რომლის სახელზე ხოტბას აღავლენდნენ ხორასანიდან სირიამდე. შ. მესხიას აზრით, ჯარები უნდა შეეკრიბა ერაყის სელჩუკიან სულთანს მაჰმუდ მოჰამედის ძეს, ამ აზრს იზიარებს რ. მეტრეველი. გ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ მაჰმუდს არ ძალუძდა კოალიციის შეკრება, რადგან კოალიციაში ჩართული ემირები, თორღულ მუჰამადის ძე და დურბეზ სადაყას ძე სულთანს მტრობდნენ და მის მოწოდებაზე ისინი სალაშქროდ არ გამოვიდოდნენ. რაც შეეხება სანჯარის ბრძანებით ამ კოალიციის თავმოყრას, მისი ძალაუფლება არ ვრცელდებოდა ასე შორს და საეჭვოა, რომ ილ-ღაზი და სხვა მეთაურები სალაშქროდ მისი ბრძანებით შეკრებილიყვნენ. თუმცა, მეცნიერი არც იმას უარყოფს, რომ სანჯარს შეიძლება გარკვეული გავლენა მართლაც მოეხდინა კოალიციის წევრებზე, რათა ისინი გულისყურით მოკიდებოდნენ შევიწროებული თურქმანების და ქალაქების წარმომადგენელთა თხოვნას. გ. ჯაფარიძეს ერთ-ერთ არგუმენტად მიხეილ სირიელის ცნობა მოჰყავს, სადაც მოთხრობილია, რომ 1121 წელს ხორასანის სულთანმა იბერიაში გააგზავნა დიდი ჯარი თავისი სპასალარითურთ.

ჯარების აშორნიასთან გამოჩენა, ქართველებს ვანის ტბისკენ უხსნიდა გზას და ილ-ღაზის სამფლობელოებს დიარ-ბაქრში საფრთხეს უქმნიდა. ანტიოქიის ჯვაროსნების დამარცხების შემდეგ ილ-ღაზს განუზომელი ავტორიტეტი ჰქონდა, მუსლიმი პოეტები მას ხოტბას ასხამდნენ. თანამედროვეებმა ილ-ღაზს „სარწმუნოების ვარსკვლავი“ უწოდეს, ბაღდადის ხალიფამ მას საპატიო ჯილდო – ხალათი გაუგზავნა. იგი მოიაზრებოდა, არა მარტო ჯვაროსნების, არამედ სხვა ქრისტიანი მმართველების საწინააღმდეგო სამხედრო კამპანიების მთავარ გმირად. ამავე დროს, რადგანაც მომთაბარე თურქმანები ილ-ღაზის რაზმების მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ, ისიც იძულებული იყო მათი თხოვნა უყურადღებოდ არ დაეტოვებინა.

თურქ-სელჩუკთა კოალიციის შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობა აქვს დავითის ისტორიკოსს: „სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი... უბრძანა თურქმენობასა სადაღაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ... ამათა თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა“. ქართველთა წინააღმდეგ უნდა წამოსულიყვნენ ქალაქ ჰილას პატრონი, არაბეთის მეფე, ილ-ღაზის სიძე, დურბეზ სადაყას ძე (დუბაის სადაკას ძე იყო მაზიადელთა არაბული საგვარეულოს წარმომადგენელი, ბედუინთა ტომის ემირი. ქართული, სომხური, ევროპული და სხვა წყაროები მას „არაბთა მეფედ“ მოიხსენიებენ), „სულთანის ძე მალიქი“ – მელიქ თორღული მუჰამადის ძე, განძის ამირა, რომელიც ასევე იყო ყაზვინის, ზენჯანის და გილანის პატრონი. თოღრულ მუჰამადის ძის მცირეწლოვანების გამო, ჯარს მეთაურობდა მისი ათაბაგი ქენ-თოღდი, რომლის ყოფნას ამ ომში ადასტურებენ სხვა ისტორიკოსებიც. ჯარის მეთაურად დანიშნული იყო ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი. მათე ურჰაელის, ალ-ფარიკის, იბნ ალ-ასირის, ალ-ჯაუზის ცნობებით კოალიციურ ლაშქარში შესულან ასევე, თუღან არსლან კუზიანი, ბითლისისა და არზანის პატრონი (ალ-ფარიკის ცნობით, ეს ლაშქრობაში არ ყოფილა), ყადი ელმ-ად-დინი, მისი შვილი, ქალაქ მარდინის ყადი აბულ-ფახთი და ვეზირი თამამ-იბნ-აბდუნი, რომლებიც ახლდნენ დურბეზ სადაყას ძეს. მაგრამ, როგორც ალ-ფარიკი გადმოგვცემს, საქართველოზე მომავალი აბულ-ფახთი და თამამ-იბნ-აბდუნი არზრუმში ერთმანეთზე წაკიდებულან და ლაშქარსაც ჩამოსცილებიან.[32]

---

32 ინგლისელი ისტორიკოსი ვ. მინორსკი თავის ნაშრომში „კავკასია მაიაფარიკინის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ ყველა ის მონაწილე, რომელიც მემატიანეთა მიერ დასახელებული იყო ამ ლაშქრობაში, დიდგორის ველზე არ მოსულა. კერძოდ, ეს ეხება მელიქ თორღულ მოჰამედის ძეს და თუღან არსლან კუზიანს. მათ თავიანთ ქვეყნებში ადგილობრივი პრობლემები ჰქონდათ მოსაგვარებელი. მინორსკის აზრს ეთანხმება რ. კიკნაძე, რომ კოალიცია ნაწილობრივ ჩაშლილა და ქართველთა წინააღმდეგ დიდგორზე მხოლოდ ილ-ღაზი და მისი სიძე დურბეზ სადაყას ძე მოსულან. ს. მარგიშვილის მოსაზრებით, განძის სულთანი კოალიციაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა იმ მიზეზის

რაც შეეხება, დავითის ისტორიკოსის მიერ დასახელებულ: „დამასკოთ და ჰალაბითგან ამოლმართ" თურქმანობას, ესენი უნდა ყოფილიყვნენ ის მომთაბარე მოქირავნეები, რომლებიც წლების მანძილზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ერაყში და სირია-პალესტინაში წარმოებულ ბრძოლებში, როგორც ჯვაროსნების წინააღმდეგ, ისე, სელჩუკი ამირების შიდა კონფლიქტებში. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბედუინთა ერთ-ერთი ტომის მეთაური უსამა ბენ მუბარაკი.

დავითის ისტორიკოსი კოალიციის წევრებად მოიხსენიებს სომხეთის ამირებსაც. სავარაუდოდ, ესენი უნდა ყოფილიყვნენ ხლათის, ანისის და არზრუმის რეგიონების მომთაბარეთა რაზმები, მაგრამ, რადგან არცერთი სხვა წყარო მათ არ ასახელებს, ძნელია მათი იდენტიფიკაცია.

კოალიციის მონაწილეებს, გარდა საღვთო ომის იდეისა, თავიანთი პირადი ინტერესებიც ამოძრავებდათ. დურბეზ სადაყას ძეს, გარდა ილ-ღაზის მოკავშირეობისა და მოყვრობისა, თვალი ალეპოზე ეჭირა, რითაც სურვილი ჰქონდა თავისი გავლენა სირიაში გაევრცელებინა, რაშიც, საქართველოში წარმატებული ლაშქრობის შემთხვევაში, ილ-ღაზის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. თუღან არსლან კუზიანმა 1118 წელს დვინი დაიკავა, თავისი გავლენის სფეროებით დაუახლოვდა საქართველოს სამეფოს საზღვრებს, რითაც ქართველთაგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას შეეცადა. თუღან არსლანი იყო ილ-ღაზის ერთგული მოკავშირე, ჯვაროსნებთან ომებში გამოჩენილი მებრძოლი. რაც შეეხება, თურქმან მომთაბარეებს და განძის და სომხეთის ამირებს, მათ უკვე რამდენჯერმე იგემეს ქართველთა ლაშქრობების სიმწარე და, რა თქმა უნდა, კოალიციის აქტიური წევრები იქნებოდნენ.

დიდგორ-მანგლისის მიდამოებთან იდგა იმ დროისათვის მუსლიმურ სამყაროში ყველაზე გამოცდილი და წარმატებული არმია, რომელსაც სათავეში მრავალ ომებში სახელმოხვეჭილი სარდლები ედგნენ. ამ რაზმების უმეტესობას დიდი გამოცდილება ჰქონდა მიღებული ჯვაროსნებთან წარმოებულ ბრძოლებში.

კოალიციის სამხედრო ძალების ძირითად ნაწილებს ცხენოსანი რაზმები წარმოადგენდნენ. მსუბუქ ცხენოსან მოისარე რაზმებს ახასიათებდათ სწრაფი მანევრირების უნარი, გაშლილ ველზე დისტანციური ბრძოლის წარმოება, შორი დისტანციიდან მოწინააღმდეგე მხარის დაზიანება. ეს ტაქტიკა საკმაოდ ეფექტური იყო მაშინ, როცა საქმეში ერთვებოდნენ მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები, გულიამების[33] რაზმები, რომლებიც მძლავრი დარტყმებით, ფაქ-

---

გამო, რომ დავითმა დიდგორის ომამდე გაანადგურა არრანის მხარეში შეკრებილი ამირა ღაზის (ხაზის) არმია და თორღულს ახალი ძალის გამოყვანა ასე მცირე დროში არ შეეძლო. რ. მეტრეველის ვარაუდით, განძის სასულთნოს ჯარი მონაწილეობას იღებდა ამ ომში, ოლონდ მას სულთნის მცირეწლოვნების გამო, მეთაურობდა მისი ათაბაგი ქეშ-თოღდი.

33 გულიამი – არაბულად „ბიჭი", ნაყიდი მონა, IX საუკუნეში ხალიფების რაზმები თურქების მთლიანად თურქი მეომრებისაგან შედგებოდა.

ტიურად, ბოლოს უღებდნენ არეულ მოწინააღმდეგეთა ნაწილებს. მსუბუქი ცხენოსნების მთავარი იარაღი მშვილდი და ჰოროლები იყო. მომთაბარე ცხენოსნები მსუბუქად იყვნენ შეიარაღებულნი, მძიმე ჯავშანს არ ატარებდნენ, ასევე უფრთხოდნენ ხელჩართულ ბრძოლას. ასეთ ბრძოლაში მთავარი როლი მძიმედ შეიარაღებულ გულიამებს ეკისრებოდათ. გულიამების რაზმები იმ დროის აღმოსავლეთში ელიტარულ ნაწილებს წარმოადგენდნენ. მათი რიგები ივსებოდა მონა ან ტყვედ წაყვანილი მეომრებისაგან, რომელთა რაზმები სელჩუკი სულთნების და სხვა მუსლიმი მმართველების პირად გვარდიებს შეადგენდნენ. გულიამების სამხედრო შენაერთები მაღალი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ და სელჩუკთა არმიის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ისინი შეიარაღებულები იყვნენ მძიმე აბჯრებით, მუზარადებით, მახვილებით, ფარებით, შუბებით და ლახტებით. ქვეითთა რაზმები სელჩუკურ არმიებში მცირე რაოდენობით იყვნენ წამოდგენილნი და, ძირითადად, გამოიყენებოდნენ ციხე-ქალაქების ალყისას.

გაშლილი დისპოზიციის პირობებში მსუბუქი კავალერიისათვის სამოქმედო არეალი ფართო იყო. ასეთი საბრძოლო ასპარეზის უპირატესობას სელჩუკები ხშირად იყენებდნენ ბიზანტიელი და ჯვაროსანი რაზმების წინააღმდეგ, რომელთა არმიების ძირითად ბირთვს მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები და ქვეითები წარმოადგენდნენ. თურქები მათთან წარმატებას, ხშირ შემთხვევაში, ასეთი სწრაფი მოისარი ცხენოსნების მანევრის საშუალებით აღწევდნენ. მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს სწრაფად გადაადგილება უჭირდათ და დისტანციური ბრძოლის შედეგად მარცხდებოდნენ. ამიტომ, ჯვაროსანთა რიგებში თანდათან გაჩნდნენ მსუბუქი ცხენოსანი რაზმები, რომლებსაც ევროპელები თურქოპოლებს[34] ეძახდნენ, მსგავსად მომთაბარე თურქმანების მსუბუქი კავალერიისა. მთიან რეგიონში ასეთი მსუბუქი მოისარი რაზმების ეფექტურობა კლებულობდა და სწორედ, ასეთ გეოგრაფიულად შეზღუდულ სივრცეში მოახერხა დავითმა მათი უპირატესობის განეიტრალება. საბრძოლო მოქმედების ასეთ არეალში სელჩუკთა მთავარსარდლობა მოხვდა იმიტომ, რომ დავით მეფემ მტრის რაზმები ტაქტიკური მანევრებით შეიტყუა დიდგორ-მანგლისის ხეობებში და ეფექტური, ფლანგური დარტყმებით გაანადგურა.

წყაროებში, მოწინააღმდეგეთა ძალების რაოდენობის შესახებ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი სხვაობაა. მათე ურჰაელის ცნობით, ილ-ღაზს

---

34 თურქოპოლები, მსუბუქი კავალერია, რომელთა შენაერთები წარმოადგენდნენ ბიზანტიური არმიის ნაწილებს და პირველი ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გაიცნეს ევროპელებმა. ეს რაზმები შედგებოდა ბერძნულ-თურქული შერეული ქორწინებიდან დაბადებული, გაქრისტიანებული ყმაწვილებისაგან. მათი მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი რაზმები ჯვაროსანთა მძიმედ შეიარაღებული რაინდების დამხმარე, ზურგის ნაწილებს წარმოადგენდნენ, გამოირჩეოდნენ საუკეთესო საბრძოლო თვისებებით და დიდ ზიანს აყენებდნენ მოწინააღმდეგეებს. ამიტომაც, ჯვაროსნებთან მებრძოლი მამლუქები განსაკუთრებით სისასტიკით გამოირჩეოდნენ მათ მიმართ.

150 ათასი მეომარი გამოუყვანია, დურბეზ სადაყას ძე 10 ათასი ჯარისკაცით შეერთებია მას, ხოლო თორღულ მოჰამედის ძე 400 ათასი მხედრით მოსულა. სულ კოალიციას 560 ათასი მეომარი შეუკრებია. მისივე ინფორმაციით, დავითის ლაშქარში ყოფილა 40 ათასი ქართველი მეომარი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ფრანგი ჯვაროსანი. ანტიოქიის კანცლერი გოტიე ილ-ღაზის ჯარის რაოდენობას კიდევ უფრო ზრდის – მუსლიმებს 600 ათასი ჯარისკაცი, ხოლო დავითს 80 ათასი მიდიელი და ქრისტიანი მეომარი გამოუყვანია ბრძოლის ველზე. მისი ცნობით, ჯვაროსანთა რაზმი 200 რაინდისგან (ფრანგისგან) შედგებოდა.[35] XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სმბატ სპარაპეტი ილ-ღაზის არმიას 150 ათასი მეომრით საზღვრავს, ხოლო ქართველთა ჯარს – 40 ათასი ყივჩაღით, 18 ათასი ალანით, 500 ფრანგით და 10 ათასი სომეხი მეომრით (ქართველებს, ალბათ, ყივჩაღებში გულისხმობს, სხვანაირად აუხსნელია მის მიერ ქართველების მოუხსენიებლობა).

ისტორიკოსთა ცნობები კოალიციის რაოდენობის შესახებ გადაჭარბებულია. არც არაბ მემატიანეთა დასახელებული ციფრებია სანდო. იბნ ალ-ასირის თხზულების არაბულ დედანში „ათასი" წერია, მაგრამ რამდენი ათასი, ეს არ არის აღნიშნული. ალ-ჯაუზის მიხედვით, მუსლიმთა რაოდენობა 30 ათასს შეადგენდა. ეს ციფრებიც, აშკარად, შემცირებულია. ძნელი დასაჯერებელია, კოალიციის ამდენ მონაწილეს, მხოლოდ ამ რაოდენობის ლაშქარი შეეკრიბა. დიდგორის ომამდე, 1119 წელს, არაბი მემატიანის ქამალ ად-დინის ცნობით, ანტიოქიის მთავრის წინააღმდეგ ილ-ღაზმა 40 ათასი მეომრით იბრძოლა, რაშიც, ასევე მონაწილეობდნენ მარდინის, ალეპოს, ბითლისის, დამასკოს საემიროების რაზმები და მომთაბარე-დაქირავებული თურქმანები. 1121 წლისთვის, მუსლიმთა კოალიციის გეოგრაფიული არეალი, აშკარად უფრო დიდი იყო, ვიდრე წინა წლებში. ამიტომაც, დიდგორთან ილ-ღაზს უფრო ნაკლები ძალა არ ეყოლებოდა, ვიდრე ბალატთან, „სისხლიან ველზე". ქამალ ად-დინი, მართალია, არ აკონკრეტებს მუსლიმთა არმიის რაოდენობას, მაგრამ აღნიშნავს მის მრავალრიცხოვნებას, რაც ბუნებრივიცაა. ვინაიდან, ეს არ იყო საქართველოში თურქმანი მომთაბარეების მორიგი

35 ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ამ რაზმის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. „ფრანგი", — იგივე „ფრანკი" „ვარანგი" (ნორმანი) (მ. ბროსე, ქ. ჩხატარაიშვილი, ს. მარგიშვილი), „ვარანგი", - იგივე რუსი (ს. ერემიანი). ისინი მათში ჯვაროსნებს არ მოიაზრებენ, რის არგუმენტადაც მოჰყავთ, საქართველოსა და ჯვაროსნულ სამეფო-სამთავროებს (ანტიოქია-ედესა) შორის არსებული პოლიტიკურ-გეოგრაფიული სივრცე, მასზე მდებარე სელჩუკური პოლიტიკური ერთეულებით, რომლის გამოელის შესაძლებლობასაც გამორიცხავენ მკვლევრები. ჩვენი აზრით, არ იყო აუცილებელი ჯვაროსნებს, მაინცდამაინც, სირია-ჯაზირეთის, რუმის, ხლათის და სომხეთის მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიები გამოეველოთ, სრულიად დასაშვებია, მათ კონსტანტინეპოლთან დამაკავშირებელი საზღვაო გზით ესარგებლათ, რითიც ისარგებლეს, სავარაუდოდ, XI საუკუნეში ბაგრატისა და ლიპარიტის ომის მონაწილე დაქირავებულმა „ვარანგებმა".

მარბიელი ექსპედიცია, არამედ ეს იყო დიდი მნიშვნელობის ომი, ძალების სიმცირით, კოალიცია წინასწარი მარცხისთვის იქნებოდა განწირული. ქართული არმიის რაოდენობაზე კი, არაბ ისტორიკოსებთან ცნობები არ მოიპოვება.

კოალიციური ძალების რაოდენობის საკითხში მკვლევრების უმრავლესობა თანხმდება ერთზე: ილ-ღაზის არმია 560 ათასი – 600 ათასი მეომრისგან არ შედგებოდა.[36]

ჩვენი აზრითაც, მუსლიმთა არმიის ციფრები ძალიან გაბერილია. 560-600 ათასიანი ჯარი თრიალეთის, მანგლისის და დიდგორის სანახებში, არათუ საბრძოლველად ვერ გაიშლებოდა, უბრალოდ, ვერც დაეტეოდა. 200-300 ათასიანი არმიის თავმოყრასაც და დაძვრასაც დანიშნულების ადგილისაკენ, მისი უზომოდ გაწელვა მოჰყვებოდა სავალ მანძილზე. ამხელა არმიას დასჭირდებოდა უზარმაზარი აღალი, ფურაჟი, უამრავი მომსახურე პერსონალი, ურიცხვი საქონელი, როგორც საომარი და ტვირთმზიდავი, ისე საკვებად საჭირო, ასევე, სასმელი წყლის დიდი რესურსი. ეს ყველაფერი ჯარს მობილობას და სისხარტეს დაუკარგავდა. ამხელა ძალა მართლაც რომ მოსულიყო თრიალეთ-მანგლის-დიდგორის რეგიონში, მის თავმოყრას მრავალი დღე დასჭირდებოდა, საკომუნიკაციო ხაზი ძალიან გაიჭიმებოდა და დაირღვეოდა, რაც მოწინააღმდეგეს გაუადვილებდა მძლავრ შეტევას თავმოუყრელ, ბრძოლისათვის მოუმზადებელ არმიაზე. ამ საკითხებს, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა თურქ-სელჩუკთა სარდლობა. მართალია, მათ თავი მოუყარეს მნიშვნელოვან ძალას, მაგრამ იცოდნენ, რომ მარტო რაოდენობით დავითის დამარცხებას ვერ შესძლებდნენ. საქართველოს გეოგრაფიულ სინამდვილეში საჭირო იყო სწრაფი რეაგირების კორპუსები, რომლებიც ღრმა ხეობებით დაფარულ ქვეყანაში ქართველთა დარტყმებზე ადეკვატურ რეაქციას მოახდენდნენ.

ქართველთა ძალებს რომ სჭარბობდნენ თურქ-სელჩუკთა მოლაშქრეები, ეს აშკარაა. XII საუკუნის ავტორის მიხეილ სირიელის ცნობით, თურქ-სელჩუკთა არმია 100 ათას მეომარს ითვლიდა. ეს ციფრი სხვათა მონაცემებთან შედარებით, რეალობასთან ახლოსაა, მაინც გადაჭარბებულად გვეჩვენება. საქმე მტრის ათჯერ დიდი ძალების დამარცხებაში არაა. დავითმა ჭკვიანური, ტაქტიკური მანევრებით ისე დაამარცხა მოწინააღმდეგე, რომ მტრის სარდლობამ ვერ შეძლო ბრძოლის პროცესში ძალების ტაქტიკური გადაწყობა და თავისი

---

36 ივ. ჯავახიშვილი, იბნ ალ-ასირის 30 ათასს გადამწერის შეცდომად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ თავდაპირველ დედანში, რეალური – 300 ათასი იქნებოდა. ს. კაკაბაძის აზრით, ილ-ღაზის ხელქვეით 210 ათასი მეომარი იბრძოდა. შ. მესხია, სმბატ სპარაპეტის მიერ დასახელებულ 150 ათასს, მხოლოდ ილ-ღაზის ჯარის რაოდენობად თვლის. ზ. ავალიშვილს კოალიციის ძალების გრანდიოზული ციფრები წმინდა წყლის ფანტაზიად მიაჩნია. გ. ჯაფარიძის თვალსაზრისით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული 300 ათასი, ძალიან გადამეტებულია. ბოლო დროს, ამ საკითხს შეეხო ს. მარგიშვილი, რომლის აზრითაც, მაჰმადიანთა ლაშქრის რაოდენობა დიდგორთან დაახლოებით 30-40 ათასი უნდა ყოფილიყო, ხოლო დავითის არმიის რაოდენობა მაქსიმუმ 15-18 ათასი.

რესურსის სრულად გამოყენება. დიდგორის ხეობაში ბრძოლა რამდენიმე საათში დასრულდა, მაგრამ საჭირო იყო მტრის უკუქცეული და ბრძოლაში ჯერ კიდევ ჩაუბმელი ნაწილების განადგურება, რათა თურქთა სარდლობას ვერ მოეხერხებინა მათი საომრად დაწყობა. ერთია, ბრძოლის ველზე დაწყობილი ჯარის მართვა და მეორე, მტრის დევნა მის სრულ განადგურებამდე. როგორც ჩანს, დავითს ამის რეზერვები გააჩნდა, ან ბრძოლის მომენტში სწრაფად მოახერხა ჯარის გადაწყობა მდევარ რაზმებად. ქართველებმა თურქ-სელჩუკთა გადარჩენილი ნაწილები რამდენიმე ათეულ კილომეტრზე დევნეს. მათე ურჰაელის ცნობით, ქართველთა და ყივჩაღთა ლაშქარმა რვა დღის მანძილზე სდია მტერს და ამ დევნაში ქალაქ ანისის საზღვრებს მიაღწია. გოტიეს ცნობით, დევნა სამი დღის მანძილზე გრძელდებოდა და მტერმა კიდევ უფრო მეტი ზარალი ნახა, ვიდრე ბრძოლის ველზე.

სამხედრო ძალების სტრატეგიული განლაგება. მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი საქართველოსკენ სხვადასხვა გზით დაძრულა. მათე ურჰაელის ცნობით, ილ-ღაზი, დურბეზ სადაყას ძე და თოღრულ მოჰამედის ძე განძაში შეერთებულან და იქიდან წამოსულან ქართველთა ქვეყნისაკენ. ალ-ფარიკის მონაცემებით, ილ-ღაზი და დურბეზ სადაყას ძე დიარ-ბაქრიდან დაძრულან, არზრუმისა და ყარსის გზით შემოსულან საქართველოში და თრიალეთში შეერთებიან განძიდან მოსულ თოღრულის ლაშქარს. თუღან არსლან კუზიანი კი, დვინის მხრიდან მოსულა და ეს ჯარები თბილისამდე ნახევარი დღის სავალზე დაბანაკებულან. იბნ ალ-ასირის ვერსიით კი, კოალიციის ძალები საქართველოში შემოსვლამდე შეკრებილან და ერთად მისულან თბილისამდე. ალ-ჯაუზის ცნობით, მოკავშირეები მოსულან თბილისთან და შეჩერებულან ნახევარი დღის სავალზე. მასვე აქვს აღნიშნული, რომ კოალიციის შეხვედრის ადგილი დათქმული იყო თბილისის კართან. დავითის ისტორიკოსის ცნობით, მოწინააღმდეგე მოსულა „თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორს.“ მათე ურჰაელი გადმოგვცემს, რომ თურქები განძის სულთნის მელიქის მეთაურობით შევიდნენ „ქართველთა ქვეყანაში, თბილისის მხარეს, მთის მიმართულებით, რომელსაც დეკორი (დიდგორი) ეწოდება.“ ეს ცნობა იმით არის ძვირფასი, რომ აკონკრეტებს ბრძოლის ადგილს. ბრძოლის ადგილად დიდგორს ასახელებს თამარის ისტორიკოსიც. როგორც ჩანს, კოალიციის ძირითადი ბირთვი არზრუმის და ყარსის გზით შემოსულა საქართველოში, თრიალეთთან შეერთებულა და მანგლისის გადმოვლით დამდგარა დიდგორთან.

დავითის ისტორიკოსის ცნობა, თურქ-სელჩუკთა მიერ თრიალეთის, მანგლისისა და დიდგორის სანახების დაკავების შესახებ უნდა მიუთითებდეს მათი ძალების ამ სამ რაიონში დაჯგუფებაზე. ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი მანგლისში იდგა. მას უნდა შეესრულებინა თურქების ფრონტის შუა წელის შემაკავშირებელი ფუნქცია, რადგან ფლანგებზე ქართველთა მოულოდნელი დარ-

ტყმა თავიდან აეცილებინა.

მოწინააღმდეგეთა განლაგების შესახებ კონკრეტული ცნობები წყაროებს არ შემოუნახავს. გოტიე აღნიშნავს, რომ დავითმა თავისი რაზმები დააწყო ერთ ხეობაში ორ მთას შორის დაბურულ ტყეში. ალ-ფარიკის ცნობით, დავითი იდგა ჯარის განლაგების მარჯვენა ფრთაზე, ხოლო მისი შვილი დემეტრე – მარცხენა ფრთაზე.[37]

ბრძოლის ველის ზუსტი ლოკალიზაცია, წყაროებზე დაყრდნობით, საკმაოდ რთულია. დიდგორს ბრძოლის ადგილად იხსენიებს თამარის ისტორიკოსი, რომლის ცნობითაც, დურბეზ სადაყას ძე დიდგორის მთიდან გაიქცა. მათე ურჰაელის ნახსენები „მთა დეკორი" დიდგორის მთაზე მიუთითებს. დავითის ისტორიკოსი დიდგორთან ერთად თრიალეთსა და მანგლისს ასახელებს. სხვა ისტორიკოსთა ცნობებით, ბრძოლა მოხდა თბილისთან ახლოს, ნახევარი დღის სავალზე, ხეობაში. ალ-ფარიკს თვითონ უნახავს ბრძოლის ველი, როცა, 1153 წელს, საქართველოში სტუმრობდა დემეტრე I-ს, მაგრამ არ აზუსტებს ადგილს.

თრიალეთის ქედის ბუნებრივ გაგრძელებას დიდგორის ქედი წარმოადგენს. ამ ქედის სიგრძე 5 კილომეტრს აღწევს. იგი იწყება მძლავრი სამწვერა შემაღლებით. ერთი მწვერვალი უსახელოა, მეორეს „საკურთხის მთა" ეწოდება, მესამეს, „დიდგორის მთა". ეს ქედი თავზე დაჰყურებს მცხეთის გზათა შემაერთებელ კვანძს. ამ სტრატეგიული მონაკვეთის დაკავება სელჩუკებს გზას უხსნიდა თბილისისაკენ. ქართველთა ხელში დიდგორის სტრატეგიული სიმაღლეების ფლობა, ამ რეგიონის და თბილისისაკენ მიმავალი გზების კონტროლს ნიშნავდა.

ქართველთა ჯარს ეკავა დიდგორის ქედის ჩრდილოეთიდან უშუალოდ მდებარე ნიჩბისის წყლის სათავეების ქვაბული, რომელიც მისი მაღლობების ჩათვლით 6-7 კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა. ამ ქვაბულს დასავლეთით საზღვრავდა კოშკა-ყელის ქედი, აღმოსავლეთით – ნიჩბისის სერის ზემო მონაკვეთი. მას ზურგის მხრიდან ჰქონდა ერთი კარი – ნიჩბისის წყლის ღრმა ხეობის სახით. ეს იყო ბუნებრივი სიმაგრე, რომელიც მტერს საშუალებას უს-

37 ივ. შაიშმელაშვილი ასე წარმოგვიდგენს ქართველთა განლაგებას: დავითი იდგა მარჯვენა ფრთაზე და დიდგორის ქედის დასანყისიდან უნდა შეეტია მტრის მარცხენა პოზიციებისათვის, დემეტრე კი – მარცხენა ფრთაზე და აქ, ქართველთა რაზმები ნიჩბისის 2-3 კილომეტრიან სერს ეყრდნობოდა. ყივჩაღთა 15 ათასიანი კორპუსი უკან, კოშკა-ყელის ქედის თავში უნდა მდგარიყო, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში წინა ხაზების მხარდაჭერა ევალებოდა. ს. კაკაბაძის აზრით, მეწინავე ხაზზე ქართველი და ჯვაროსანი რაინდებისაგან შემდგარი რაზმები უნდა განლაგებულიყო. ისინი სოლისებური წყობით მწკრივებად დაწყობილნი უნდა მდგარიყვნენ. ორასი მძიმედ შეიარაღებული ფრანგი რაინდი ნიშნავდა ორას შუბს, რომელიც მთლიანად დაახლოებით 1600-1800 კაცს მოიცავდა თავიანთი მეაბჯრეებით, ქვეითი მოსამსახურეებით და მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი მხლებლებით. ევროპელთა მსგავსი წყობა ჰქონდათ ქართველ რაინდებს ბრძოლის ველზე. მათ რაოდენობას იგი მეაბჯრე-მსახურებით 11 ათას კაცამდე ვარაუდობს.

პობდა ქართველთა ზურგში ღრმა მანევრი განეხორციელებინა. ეს ტერიტორია დიდგორის ქედს მიბმულია ორი დამბის მაგვარი ყელით. ერთი მათგანი ქართველთა მარჯვენა ფრთის წინ იყო (კოშკა-ყელის ბოლოსა და საკურთხის მწვერვალს შორის), ხოლო მეორე – მარცხენა განლაგების ფრთაზე (ნიჩბისის სერის დიდგორის ქედთან შეერთების არეში). ქართველთა ჯარების ცენტრის წინ გადიოდა ნიჩბისის წყლის სათავის პატარა ტყიანი ხეობა, რომელიც დაქანებას ქმნიდა და ეს მოწინააღმდეგის ცხენოსან რაზმებს სწრაფი იერიშის განვითარების საშუალებას ხელს უშლიდა.

ბრძოლის მიმდინარეობა, მხარეთა მიერ ბრძოლის დროს გამოყენებული სამხედრო ტაქტიკა. ბრძოლის დასაწყისის შესახებ მემატიანეების ცნობებს შორის განსხვავებაა. გოტიეს სიტყვით, თურქთა ჯარები პირველნი გადმოსულან შეტევაზე. მისი გადმოცემით, დავითს შეტაკების წინ სიტყვით მიუმართავს ჯარისათვის: „ეჰა მეომარნო ქრისტესანო, თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ . . . ძლიერ ღმერთს აღქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლაში უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით. და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ ხეთა ხშირ ხორგებით შევკრათ და მტკიცე გულით მტრებს როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ.“ როგორც ჩანს, დავითს ლაშქრის ზურგი მტკიცედ გაუმაგრებია, რათა მტერს შემოვლითი მანევრით ზურგიდან არ დაერტყა. გოტიეს ნათქვამი, ხეობა მეფემ იმიტომ ჩახერგა, რომ ჯარს გაქცევაზე არ ეფიქრაო, მისი ინტერპრეტაციაა. ის ამით ამბობდა, რომ აურაცხელ მტერს არც ერთი ქრისტიანი ზურგს არ უჩვენებდა. გოტიე ქართველთა ჯარის განლაგების სქემაზეც მოგვითხრობს: „მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი, რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მისაცემად.“ მემატიანე სრულ სურათს ჯარის განლაგების შესახებ არ გვაძლევს, მაგრამ საინტერესოა 200 ჯვაროსანი რაინდის ადგილი ამ ომში. გოტიე მათ სიმამაცეს განსაკუთრებით გამოჰყოფს – როდესაც თურქები „ხეობის მეორე ნაწილში, ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით გამოჩნდნენ, დაინახეს რა ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყი სულით გატაცებულნი, უაღრესად ყიჟინით თავს დაესხნენ მათ; ხოლო უფლის ძალით, პირველივე შეტაკებისთანავე (თურქები) ბრმავდებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან.“ მათე ურჰაელის და ალ-ფარიკის ცნობით, პირველნი შეტევაზე ქართველები გადასულან. იბნ ალ-ასირის ინფორმაციით, ომის წინ დავითმა 200 ყივჩაღი მეომარი მტრის მოწინავეებისკენ გაგზავნა. თურქებს ეგონათ, რომ ისინი შეწყალების სათხოვნელად მიდიოდნენ, მაგრამ, როდესაც ყივჩაღები მათ რაზმებს შეერივნენ, ისრების სროლა დაუწყეს, ამან მუსლიმები დააბ-

ნია, მოწინავე რაზმები აირივნენ, უკან მდგომებს ეგონათ, რომ უკვე დავმარცხდითო და გაიქცნენ.[38] სავარაუდოდ, ეს 200 მეომარი გარკვეული ტაქტიკური მანევრისთვის გამოიყენა დავითმა. შეიძლება ეს რაზმი სელჩუკთა მოწინავეებს კი არ შეერია, არამედ გარკვეულ დისტანციაზე მიუახლოვდა მტერს და ისრების სროლით შეიტყუა ხეობაში, სადაც ჩასაფრებულმა ქართველებმა ორივე მხრიდან შეუტიეს მტერს. ერთი ნაწილი დავითის სარდლობით დასავლეთიდან უტევდა, მეორე კი, დემეტრე უფლისწულის მეთაურობით, მთიდან დაეხსნა თავს. მსგავს ცნობებს გვაწვდის ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ მათე ურჰაელიც: „აგვისტოს თვის 13-ს, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს მოხდა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის. ლაშქართა საშინელ ყიჟინს მთები ბანს აძლევდნენ. მაშინ ღვთის წყალობამ უწია ქართველთა ლაშქარს და ბრძოლათა შენივთებისას თურქთა მთელი ლაშქარი სირბილით უკუიქცა."

დავითის ისტორიკოსის ცნობით, მეფემ იმდენად ბრძნულად „განაწყო სპა მისი... რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა... და ღონითა მოსრნა სახელოვანი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა სიმარჯვით და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა". ე.ი. პირველივე შეტაკებისთანავე ქართველებმა მოახერხეს მტრის უკუქცევა და გაქცეულ მტერს სდიეს მის სრულ განადგურებამდე.

ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი, ალ-ჯაუზი აღნიშნავენ, რომ მუსლიმთა უმეტესობა ან ბრძოლის ველზე დაიღუპა ან დევნის დროს გაანადგურეს ქართველებმა და ყივჩაღებმა. არაბი მემატიანე იბნ ალ-ადიმი გადმოგვცემს, რომ ბრძოლაში გადარჩენილ თურქებს ქართველებმა დიდ მანძილზე სდიეს და ოთხი ათასი კაცი დაატყვევეს, დურბეზ სადაყას ძემ კი თავის ხალხთან ერთად 300 000 დინარის ქონებაც დაკარგა. იბნ ალ-ასირის ცნობით, ქართველები ათი ფარსაგის (დაახლოებით 70 კილომეტრი) მანძილზე დევნიდნენ მუსლიმებს, ხოცავდნენ და ატყვევებდნენ. გოტიეს მიხედვით, თვით ილ-ღაზი თავში დაჭრილი, არაბეთის მეფესთან და მცირერიცხოვან, გადარჩენილ მეომრებთან ერთად საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებულა ლტოლვილი და ნახევრად მკვდარი. მათე ურჰაელის გადმოცემითაც, ილ-ღაზი და სპარსეთის სულთანი მელიქი, დიდი სირცხვილით დაბრუნებულან თავიანთ ქვეყანაში.

აქ იბადება კითხვები, რატომ ვერ გამოიცნო დავითის ტაქტიკური მანევრი ბრძოლებში გამოცდილმა სარდალმა ილ-ღაზმა და მისთვის არახელსაყრელ პირობებში მიიღო ბრძოლა? ვის სასარგებლოდ მუშაობდა დრო და ჰქონდა

---

38 შ. მესხია, რ. მეტრეველი, ივ. შაიშმელაშვილი ფიქრობენ, რომ ასეთ საპასუხიმგებლო დავალებას დავითი არაქართველებს არ მიანდობდა. გოტიე, საერთოდ, ჯვაროსანთა დამსახურებად თვლის ილ-ღაზის ლაშქრის დამარცხებას და გასაგებია მის მიერ ფრანგთა როლის წამოწევა ამ საკითხში. ს. კაკაბაძე კი არ გამორიცხავს, რომ ბრძოლის ბედი სწორედ მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს გადაეწყვიტათ.

თუ არა ილ-ღაზს იმის ფუფუნება, დროში გაეწელა ქართველებთან შეტაკება? სავარაუდოდ: 1. მუსლიმები დიდგორ-მანგლისის ხეობებში სწრაფად მოპოვებული გამარჯვების შემთხვევაში დაიკავებდნენ შიდა ქართლის სანახებს, დაიბრუნებდნენ სტრატეგიულ ციხე-ქალაქებს (სამშვილდეს, ზედაზენს, აგარანს, რუსთავს) და თბილისის გარშემო მოხსნიდნენ ქართულ ალყას. 2. ილ-ღაზს ბრძოლის დროში გახანგრძლივების ფუფუნება არ ჰქონდა, რადგან უცხო ქვეყანაში შემოსული არმიისათვის დიდი ხნით მტრის ტერიტორიებზე უსაქმოდ დგომა დამღუპველი იყო. ლაშქრობის დროს ჯარს საჭირო აღალი, ფურაჟი, სურსათ-სანოვაგე ყოველთვის დროში განსაზღვრული ჰქონდა. იმ დროისთვის, მართალია, თბილისი კვლავ მუსლიმთა ხელში რჩებოდა, მაგრამ მის გარშემო არსებული ტერიტორიები უკვე ქართველებს ეჭირათ, რაც დიდი ხნით უცხო ქვეყანაში ჩარჩენილ მოწინააღმდეგეს პრობლემებს შეუქმნიდა. ამავე დროს, ილ-ღაზს ამ ლაშქრობაში არცერთი ის ციხე-ქალაქი არ აუღია, რომელიც თბილისთან მისასვლელ გზებს კეტავდა. მართალია, იგი ყარსის მხრიდან, თრიალეთის მთიანი რელიეფის და ხეობების გამოვლით, ფაქტიურად, უბრძოლველად მოვიდა თბილისთან, მაგრამ ქართველებს შეეძლოთ ეს უკანდასახევი გზაც მოეჭრათ. ამავე დროს, კოალიციაში მყოფი თურქმანი მოქირავნეების შესანახად სარდლობას მოუწევდა დამატებითი სახსრების გამონახვა. ილ-ღაზიც დიდხანს ვერ გაჩერდებოდა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მას ლაშქრობის წინ ზავი ჰქონდა დადებული ჯვაროსნებთან, რაც არ აღმოჩნდა მტკიცე. ამის მაგალითია, მისი მომხრეების განახლებული შეტაკებები სირიის და იერუსალიმის ჯვაროსნებთან. ვერც ილ-ღაზის დროებითი მოკავშირეები დარჩებოდნენ სტატიკურ მდგომარეობაში, მათაც არ ჰქონდათ ზურგი მტკიცედ დაცული და დიდი ხნით ვერ დატოვებდნენ თავიანთ ქვეყნებს.

დავითის მდგომარეობა, გარკვეული სირთულეების მიუხედავად, უკეთესი იყო. ქართველთა მეფეს ზურგი მეტად დაცული ჰქონდა. მას შეეძლო სწრაფად შეევსო რეზერვები, როგორც ცოცხალი ძალის, ისე პროვიანტის მხრივ და, რაც მთავარია, უკან დახევის შემთხვევაში, ჰქონდა მიმართულებათა რამდენიმე ვარიანტი და, ასევე, შეეძლო პარტიზანული მეთოდებით, ჩასაფრებებით, ბანაკად მდგარი სელჩუკთა ჯარისა და მისი სარდლობისთვის გაეუსაძლისი პირობები შეექმნა.[39]

დრო სელჩუკთა წინააღმდეგ მოქმედებდა და, სწორედ, ილ-ღაზს უნდა

39 გავიხსენოთ, თემურ-ლენგის 1403 წლის ბოლო ლაშქრობა საქართველოში. გიორგი VII პარტიზანული მეთოდებით ებრძოდა მტერს და მოსვენებას არ აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდგორის ეპოქისგან განსხვავებით, შუა აზიელთა და ქართველთა ძალები მეტისმეტად უთანაბრო იყო და მთელი ქვეყანა თითქმის მტრის ჯარებით იყო ავსებული, თემურის სარდლობამ პირდაპირი ულტიმატუმი წაუყენა თავის მრისხანე მბრძანებელს, საჩქაროდ დაემთავრებინა ეს დაუსრულებელი კამპანია, რადგან, მათივე თქმით, მთიან, ვიწრო ხეობებით დაფარულ ქვეყანაში მტრის დევნამ ჯარი სასტიკად მოღლა და ამდენი მებრძოლი სხვაგან არსად დაუკარგავთ.

ეძებნა ბრძოლა დავითთან. თუმცა, მტრის სარდლობა არ დაუშვებდა ჯარი ხეობაში დაუფიქრებლად შეეყვანა, მაგრამ შეტყუების ტაქტიკით (იბნ ალ-კალანისის და იბნ ალ-ადამის ცნობებით, თავდაპირველ შეტაკებებში ქართველები მარცხდებოდნენ და უკანდახეულებს თურქები ხეობაში მიყვებოდნენ) და იმითაც, რომ ილ-ღაზს და მის სარდლებს, სავარაუდოდ, გამოეპარათ ქართველთა გადაადგილებები დიდგორ-მანგლისის მთიან რელიეფზე, ცრუ უკანდახევას წამოეგო სელჩუკების ხეობაში შეყოლილი ავანგარდი, რაც მათთვის ფატალური აღმოჩნდა.

მემატიანეთა ცნობებიდან ჩანს ბრძოლის ჩასაფრებითი ხასიათი. ეს არ იყო გაშლილ სივრცეში ერთმანეთის პირისპირ დაწყობილი რაზმების შეტაკება.[40] ბრძოლა მოხდა მთიან რელიეფზე, ხეობებით დასერილ სივრცეში. ბრძოლის პირველ ეტაპზე მტრის ავანგარდზე თავდასხმამ გამოიწვია სელჩუკთა ძირითადი ნაწილების გამოწვევა, მათი გადაადგილება და, როგორც კი გაუსწორდნენ ხეობის რელიეფზე ჩასაფრებულ ქართველთა ძირითად რაზმებს, მაშინ მოხდა მათზე ორივე მხრიდან თავდასხმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ცხენოსანი, ისე ქვეითი რაზმების გამოყენებას. ხელჩართული შეტაკების გარდა, ქართველები აქტიურად გამოიყენებდნენ მოისრეთა რაზმებს და დისტანციური სროლებით დაშლიდნენ სელჩუკთა მწყობრ რიგებს. სავარაუდოდ, თავდასხმა განხორციელდა სელჩუკთა არიერგარდზეც, რათა არ ეცლიათ მტრისთვის ორგანიზებული უკანდახევა არიერგარდზე დაყრდნობით. მათზე თავდასხმით ქართველები, ასევე, დაიკავებდნენ ხეობის იმ ნაწილს, რომელიც სელჩუკთა რაზმების მოძრაობის მთავარი არტერია იყო. ამ მონაკვეთის დაკავებით, მტრის რეზერვებს არ მიეცემოდათ ბრძოლაში ჩაბმის საშუალება. ამაზე მიუთითებს იბნ ალ-ასირის ცნობაც, სელჩუკთა რაზმების უმეტესობამ მონაწილეობა ბრძოლაში ვერ მიიღო, ისე უკუიქცაო.

სელჩუკთა სარდლობის ძირითადი ძალების ბრძოლაში ჩაბმაზე მიუთითებს ცნობა, რის მიხედვითაც, დურბეზ სადაყას ძეს ისე ახლოს მიეჭრნენ ქართველები, ყელიდან ძვირფასი ყელსაბამი ჩამოგლიჯესო. გარდა ამისა, მან საკუთარი ხალხი და ქონებაც დაკარგა. როგორც ჩანს, ქართველებმა უშუალოდ მისი კარავი დაარბიეს. გოტიეს ცნობით, ბრძოლაში, თვით, ილ-ღაზი დაიჭრა. აშკარაა, რომ სელჩუკთა სარდლობის დაბნეულობა გამოიწვია მათ

---

40 ს. მარგიშვილის აზრით, დიდგორის მიდამოების რელიეფი გენერალური და მწყობრად დალაგებული მოწინააღმდეგეების დაპირისპირების საშუალებას არ იძლევა. მკვლევრის ვარაუდით, დავითმა სწორედ ადგილის ამ თავისებურებით ისარგებლა და ჩასაფრების მეთოდით თავდასხმა მოაწყო ილ-ღაზის არმიის ავანგარდზე, რომელიც მარშირების პროცესში იმყოფებოდა. რადგან სელჩუკთა სარდლობას არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია ქართველთა ძირითადი ძალების განლაგების შესახებ, სწორედ, მარშირების მომენტში, ჯერ კიდევ საბრძოლველად დაუწყობელ არმიაზე შეტევამ, არეულობა შეიტანა თურქთა რიგებში და მათთვის არახელსაყრელ პირობებში ომის წარმოებამ გამანადგურებელი შედეგი მოიტანა.

პირად რაზმებზე (გვარდიაზე) თავდასხმამ, რამაც არ მისცა მათ საშუალება შეენარჩუნებინათ სამხედრო წყობა და რაზმების თავდაცვითი ხაზის აღდგენის შემთხვევაში ბრძოლა მოგერიებით პოზიციაში გადაეყვანათ. უშუალოდ, სელჩუკთა სარდლობაზე იერიშის მიტანა იმის მანიშნებელი იყო, რომ დაირღვა რაზმების სიმწყობრე და გახურებულ ომში საფრთხე მათ სიცოცხლესაც დაემუქრა. ამას კი თანამერძოლთა საერთო დაბნეულობა მოჰყვა, რომელიც პანიკურ გაქცევაში გადაიზარდა. ამ ხოცვა-ჟლეტიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა ხეობიდან სწრაფად გამოსვლა რჩებოდა და მოწინავეების უკუქცევის გამო, ბრძოლაში ჩაუბმელი რეზერვის სხვა ნაწილებიც, უბრძოლველად გაიქცნენ.

ბრძოლის სიმძაფრეს გადმოგვცემს მათე ურჰაელი „ლაშქართა საშინელ ყიჟინს მთები ბანს აძლევდნენ. იმ დღეს მოხდა თურქთა ჯარების სასტიკი და საშინელი ხოცვა-ჟლეტა. მთათა ხევები და მდინარეები გვამებით აივსო და დაცემულთა ცხენებით და იარაღით მთელი მინდვრების პირი დაიფარა". დავითის ისტორიკოსის გადმოცემით, ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს მტრის ნადავლის გამო: „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლითა, არაბული ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვითა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თვითო-სახეთათა." დავითმა გელათს შესწირა დურბეზ სადაყას ძისთვის წართმეული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ყელსაბამი, რომელიც თამარის მეფობის დროსაც იქ ინახებოდა.

დიდგორის ომს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მაშინდელ აღმოსავლეთში. მუსლიმთა გამოთქმული სარდლის, ჯვაროსნების წინააღმდეგ „ჯიჰადის" საუკეთესო მებრძოლის ილ-ღაზის მარცხმა სერიოზულად შეარყია მისი და სხვა მეზობელი მუსლიმი მმართველების პოზიციები. მართალია, ილ-ღაზი სირიაში კვლავ განაგრძობდა სამხედრო კამპანიას, მაგრამ ის უკვე აღარ იყო ძლევამოსილი სარდალი, მუსლიმთა იმედი ჯვაროსნებთან ბრძოლაში, ჯვაროსნებს ჩამოშორდათ მოწინააღმდეგე, რომელიც დიდგორის კატასტროფამდე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მათ არსებობას ანტიოქიისა და ედესის რეგიონში. ილ-ღაზს ჩამოშორდნენ მისი გუშინდელი მომხრეებიც, აუჯანყდა შვილი და 1122 წლის ნოემბერში გარდაიცვალა კიდეც მაიაფარიკინის მახლობლად. დიდგორთან მუსლიმთა სასტიკმა მარცხმა, ფაქტიურად, გადაწყვიტა თბილისის ბედი. ქალაქს რეალური მოკავშირე აღარ ჰყავდა. იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს, რომ სულთან მაჰმუდ მუჰამადის ძემ, რომელსაც ქართველებზე დიდი სამეფო ჰქონდა და მათზე მეტი ჯარები, ვერ შეძლო ხელი შეეშალა მათთვის, დაეპყროთ თბილისი. თბილისის აღება დროის ამბავი იყო და, მართლაც, როგორც დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, დიდგორის ომიდან „მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა."

თავი XIII

ქართველთა სამხედრო-საბრძოლო თვისებები უცხოური წყაროების მიხედვით

ქართველთა სამხედრო თვისებების შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა არსებობს, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის მემატიანეები აღნიშნავდნენ ქართველთა საბრძოლო თვისებებს და ხელოვნებას.

I საუკუნიდან ქართლსა და რომს შორის ურთიერთობები მეტნაკლებად დარეგულირდა, რადგან რომაელებს კავკასიაში სერიოზული მოწინააღმდეგე გამოუჩნდათ პართელთა სახით. რომაელებისთვის ქართლის მეფეების პოზიციამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან კავკასიაში ქართლის სამეფოს დიდი გავლენა ჰქონდა, ამიტომ სომხეთისა და ალბანეთისათვის ბრძოლაში, იბერიელთა სამხედრო შენაერთებს სერიოზული დახმარების გაწევა შეეძლოთ რომაელთათვის. აქედან გამომდინარე, ქართლის მეფეებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს რომაულ წყაროებში, სადაც ისინი აღმატებული ეპითეტებით და გამორჩეულ სამხედრო მოღვაწეებად არიან მოხსენიებულნი.

ტაციტუსი (I-II სს.) დეტალურად აღწერს ქართლის მეფის ფარსმან I-ის და პართელთა შეტაკების ისტორიებს. ეს ამბები ეხება I საუკუნეს, როცა ქართლის სამეფო აქტიურად ერეოდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ მოვლენებში: „უფლისწულთა შორის პირველად მითრდატმა წააქეზა ფარსმანი, ხერხითა და ძალით ხელი შეუწყო მისი ცდისათვის და გამონახეს მექრთამეები ბევრი ოქრო-თი, არშაკის მსახური დაიყოლიეს ბოროტ მოქმედებაზე, ამასთან იბერიელები დიდძალი ლაშქრით არმენიაში შეიჭრნენ და ქალაქი არტაქსატა დაიპყრეს. ეს რომ ბუდაბანმა შეიტყო, შურის საძიებლად ძესა, ოროდი გაამზადა: მისცა პართა ლაშქარს და გაგზავნა (კაცები) დამხმარე ჯარის დასაქირავებლად. საწინააღმდეგოდ, ფარსმანმა მოიხმო ალბანები, მოუწოდა სარმატებს, რომელთა სკეპტუქოსები, იღებენ რა საჩუქრებს (სასყიდელს, ქირას) ორივე მხრიდან, მამაპაპურ ჩვეულების თანახმად, ორივე მხარეს ებრძვიან.....ერთადერთი ძალა მხედრობა იყო, ფარსმანი კი ძლიერი იყო ქვეითებითაც. ვინაიდან იბერები და ალბანები, რაკი მთაგორიან ადგილებში ცხოვრობდნენ, ატანასა და მოთმინებას უფრო მეტად არიან შეჩვეულნი... როდესაც დასტები ორივე მხარეს საომრად განეწყვნენ, პართმა ბევრი ილაპარაკა ალმოსავლეთზე მბრძანებლობასა და არშაკიდების ბრწყინვალებაზე, თანაც დაუპირისპირა მდაბიო იბერიელს (მისი) როქის სპით. ფარსმანმა კი უთხრა თავისიანებს: პართთა ბატონობა არ გვიწვევნია და რაც უფრო ვეცდებით, მით მეტ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით, ხოლო თუ მტერს ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებითო.

ამასთანავე თავიანთ მრისხანე საომარ წყობასა და მიდიელების ოქროში დაკაზმულ რაზმებზე მიუთითა. აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი საშოვარიაო... მაგრამ წარმატებაში მარტო სარდლის სიტყვა არ (გაისმის), თვითონაც აქეზებენ ერთმანეთს, რომ მშვილდოსნებს ბრძოლა არ დაანებონ, არამედ დააბნიონ შეტევით და ხელჩართული ბრძოლით. ამიტომ მებრძოლთა სხვადასხვა სახეობანიც იყო; მაშინ, როდესაც პართმა, ერთნაირად ნაჩვევმა დევნას ანდა გაქცევას, გაშალა მხედართა რაზმები და ეძიებდა შესატევ სივრცეს, სარმატებმა თავი მიანებეს შვილდს, რომლიდანაც უფრო შორ მანძილზე მძლავრობენ და შუბებით და მახვილებით ეძგერნენ. ცხენოსანთა ბრძოლის წესის მიხედვით ხან პირდაპირ უტევდნენ, ანდა ზურგს უბრუნებდნენ, ხან კი შეჯგუფულები დასტები სხეულისა და იარაღის ძალით აწვებოდნენ მტერს, ანდა მისგან განიცდიდნენ მოწოლას. უკვე ალბანებმა და იბერებმა დაუწყეს ხელის ტაცება და ჩამოყრა და საეჭვო გახადეს ბრძოლის ბედი (მტრებისათვის), რომელთაც ზემოდან მხედრები, უფრო ახლოს კი ქვეითები აყენებდნენ ჭრილობას. ამასობაში ფარსმანი და ოროდი, რომელნიც მამაცებს აგულიანებდნენ, ხოლო შემკრთალთ შეეწეოდნენ, შესამჩნევნი და ამით შეცნობილნი, ყიჟინითა და შუბების (სროლით) ცხენდაცხენ მიაშურებდნენ ერთმანეთს, ოღონდ ფარსმანი უფრო ფიცხლად – რადგან ჩაჩქანი გაუხეთქა და დაჭრა (ოროდი). ოღონდ დარტყმის მონაცვლება ვეღარ შეძლო, ვინაიდან ცხენმა გაიტაცა დაჭრილი და თანაც უმამაცესმა მხლებლებმა დაიფარეს. მაგრამ მოკვლის შესახებ გავარდნილმა ყალბმა ხმამ, რომელიც ირწმუნეს, დააფრთხო პართები და დასთმეს გამარჯვება."

მემატიანის ამ ცნობიდან ნათლად ჩანს, ქართველთა საბრძოლო ხელოვნების სურათი – ქართველთა სამხედრო წყობა – ქვეითები და ცხენოსნები. ბრძოლის დროს იბერიელთა ქვეითები მოწინააღმდეგის დაჭრილ მხედრებს უღებდნენ ბოლოს, ხოლო მეფის მხედრები შეტევას განაგრძობდნენ. ეს იყო ომის წარმოების ერთ-ერთი ხერხი.

ქართლის მეფეების სამხედრო სიმამაცის შესახებ წერილობითი წყაროების გარდა, მოგვითხრობენ ეპიგრაფიკული მასალებიც. რომში აღმოჩენილი ბერძნულენოვანი ეპიტაფია ეძღვნება იბერიელთა მეფის ძეს, მითრიდატეს ძმას, რომის კედლებთან დამარხულ ამაზასპს. ეპიტაფია მოგვითხრობს, თუ როგორი ძლევამოსილი იყო ამაზასპი, რომელიც მამაცურად ებრძოდა პართელებს, როგორც ქვეითად, ისე ცხენზე ამხედრებული.

განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდიან შუა საუკუნეების ევროპული – ლათინური წყაროები, რომლებშიც, გარდა ქართველთა სამხედრო თვისებებისა, საუბარია ქართველთა ყოფაზე, რელიგიურ მრწამსზე, წესჩვეულებებზე, ჩაცმულობაზე, ისტორიულ-გეოგრაფიულ საცხოვრისსა და მეზობელ ხალხებთან ურთიერთობებზე. ჯვაროსნული მოძრაობის პერიოდში, როცა აქტუალური გახდა მასში ქართველების მონაწილეობის საკითხი, როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპაში მრავალი ინფორმაცია გაჩნდა ქართველ-

თა სამხედრო თვისებებზე.

XII საუკუნის ლათინური წყარო „იერუსალიმის ქვეყნისა (მიწის) და მისი მაცხოვრებლების შესახებ" გვამცნობს, რომ ქართველები (გეორგიანები) დახელოვნებულნი იყვნენ სამხედრო საქმეში. საინტერესოა, რომ ამ თხზულების ავტორს ცალ-ცალკე აქვს დახასიათებული იერუსალიმის მიწებზე მცხოვრები ხალხები რელიგიური, სამხედრო, ეთნიკური, კულტურული კუთხით, ასევე ცნობები აქვს მათი დამწერლობის, ენის შესახებ. აღმოსავლეთის ხალხების (ქართველები, ბერძნები, სომხები, იაკობიტები, ნესტორიანელები, სირიელები) დახასიათებისას ქართველებს და ბერძნებს გამოარჩევს, როგორც კარგი სამხედრო თვისებების მქონეებს. თუმცა, ქართველებზე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ისინი გამორჩეულად დახელოვნებულები არიან სამხედრო საქმეში და მათ ფრანკების, ტამპლიერების, ჰოსპიტალიერების და ტევტონების გვერდით აყენებს. ამ თხზულების ავტორი უცნობია და მისი ეს ტრაქტატი დაურთეს ვინმე ბერი აიმარის წერილს, გაგზავნილს რომის პაპ ინოკენტი III-სადმი.

ჟაკ დე ვიტრი (XIII საუკუნის მოღვაწე, აკრის ეპისკოპოსი, V ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი სულიერი წინამძღოლი, პაპის ლეგატი) თავის თხზულებაში „აღმოსავლეთის ისტორია" (ან, სხვაგვარად, „იერუსალიმის ისტორია") აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთში ასევე სახლობს კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი, ძალიან მეომარი და მამაცი ბრძოლებში, მტკიცე, როგორც მუხა და ძლევამოსილი თავისი ჯარისკაცების აუწერელი მრავალრიცხოვნებით. სარაცინებს მათი ძალიან ეშინიათ. ისინი გარშემორტყმულნი არიან მრავალრიცხოვანი მტრული ხალხებით და საერთო საზღვარი აქვთ სპარსელებთან, მიდიელებთან და ასირიელებთან, მაგრამ, მაინც გაუთავებლად ომობენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლებში დიდი დანაკარგებიც აქვთ. ამ ხალხს უწოდებენ გეორგიანებს, წმინდა გიორგის აღსანიშნავად, რომელსაც მიიჩნევენ თავის დამცველად, პატრონად და ასევე მფარველად ურწმუნოებთან ომიანობის დროს. ყველა წმინდანზე მეტად ეთაყვანებიან მას. იყენებენ ბერძნულ დამწერლობას წმინდა წერილის კითხვისას და იცავენ ღვთისმსახურების ბერძნულ წესს. მღვდლები ატარებენ მრგვალ ტონზურებს, ხოლო სამოქალაქო პირები ოთხკუთხას. ყოველთვის, როდესაც მოდიან წმინდა საფლავის მოსალოცად, შემოდიან წმინდა ქალაქში მაღლა აღმართული დროშებით და არ იხდიან შემოსვლაში გადასახადს. სარაცინების არ ეშინიათ, რადგან უკან დაბრუნებულებს თავიანთ სამშობლოში შეუძლიათ გადაუხადონ სამაგიერო იმ სარაცინებს, რომლებიც მათ მეზობლად ცხოვრობენ. მათი წარჩინებული ქალები ამაზონებს მიაგვანან, რადგან მამაკაცების მსგავსად იარაღით ხელში იბრძვიან მათ გვერდზე. როდესაც ლათინთა არმია იდგა ალყაშემორტყმულ დამიეტასთან (V ჯვაროსნული ლაშქრობის დროს – ავტ.), მათ მუქარის წერილი გაუგზავნეს დამასკოს გამგებელს კორადინს (ალ-მუ'აზზამი), რადგან მან არ გაითვალისწინა ქართველთა მოთხოვნა და დაანგრია იერუსალიმის კედლები. თმები

და წვერი მოშვებული აქვთ ერთი წყრთის სიგრძეზე".

XIII საუკუნის მემატიანე, კიოლნის და პადერბორნის არქიეპისკოპოსი, სან-საბინას კარდინალ-ეპისკოპოსი, V ჯვაროსნული ლაშქრობის პროპაგანდისტი და მონაწილე ოლივერიუსი (მისი ხელმძღვანელობით დამიეტასთან მდგარმა ჯვაროსნებმა დაამზადეს საალყო მანქანა, რის შემდეგაც გაადვილდა ქალაქის წინ ყურეში აღმართული „ჯაჭვის კოშკის" აღება) გადმოგვცემს, რომ „ქართველებმა გადაწყვიტეს დაეპყროთ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქი, როცა გაიგეს, რომ ფრანგები ეგვიპტეში მივიდნენ და დამიეტა აიღეს (სავარაუდოდ, აქ საუბარია დამასკოს აღების გეგმაზე, რადგან სხვა წყაროების – ჟაკ დე ვიტრი, მარინო სანუტო – ცნობებით, ქართველები გეგმავდნენ დამასკოს აღებას და ემუქრებოდნენ მის გამგებელს ალ-მუ'აზზამს – ავტ.). ქართველები მამაცი მეომარი ერია. მათთან ერთად იბრძვიან ქალებიც. მამაკაცები ყოველთვის მზად არიან მტერზე შეტევისათვის და ბრძოლის დაწყების წინ ყოველი მათგანი სვამს ღვინოს საკუთარი მათარიდან და მამაცურად უტევს მტერს."

XIV საუკუნის მემატიანე იოანე ჰილდესჰაიმელი თხზულებაში „სამი კიოლნელი მოგვის ისტორია", გამოარჩევს ქართველთა მხედრულ სიმამაცეს და გადმოგვცემს, რომ ქართველები ფრიზების და უნგრელების მსგავსად დიდ რაზმებად ეწყობიან და სადაც არ უნდა წავიდნენ, ცხენზე ამხედრებული მგზავრობენ. სარაცინებს ძალიან ეშინიათ მათი და ქართველები არ იხდიან მათ ქვეყანაში მგზავრობის დროს ბაჟს.

XIV საუკუნის დომინიკანელი ბერი, გუილიომ ადამი თხზულებაში „იმის შესახებ, თუ, როგორ უნდა გავანადგუროთ სარაცინები", ქართველთა სამხედრო სიმამაცეს ასე აღნიშნავს, „ქართველებს მართავენ მეფეები და ყველა ამ მეფეს საერთო სახელი დავითი ეწოდებათ. აღმოსავლეთის ხალხებში ისინი გამოირჩევიან დიდი სიმამაცით და ბრძოლისუნარიანობით. მათ სულ სწყურიათ სარაცინების სისხლი და ჯვაროსნული იდეები მათში ყველაზე მეტად ცოცხლობს. ასეთები არიან ისინი და სპარსეთის იმპერატორი (აქ საუბარია მონღოლთა (ირანის ილხანები) მბრძანებელზე, რომელთა ტახტი სპარსეთში იდგა – ავტ.) ვერასდროს დაამარცხებდა სარაცინებს, რომ არ მიემართა მათი დახმარებისათვის და მათი მძლავრი მახვილი არ გამოეყენებინა ბრძოლებში. როდესაც თათრებს (მონღოლებს – ავტ.) ალყა ჰქონდათ შემორტყმული ბაღდადისათვის, ვერც ერთი ვერ ბედავდა ქალაქში შესვლას, მანამ, სანამ ქართველთა ჯარმა არ მიიტანა იერიში და არ შევიდა ქალაქში. აღებულ ქალაქში სარკინოზთა საშინელი სისხლისღვრის შემდეგ მათი ხალიფა, ანუ მათი პაპი, რომელიც ფაქტიურად მარტო დარჩა ცოცხალი, საშინელ წყევლა-კრულვას ანთხევდა, მსგავსად განკითხვისა. თათრებს ძალიან შეეშინდათ ამ კრულვისა და ვერავინ ბედავდა მის ხელის ხლებას, მაგრამ ქართველთა შორის ერთმა მამაცმა მთავარმა, მას შემდეგ, რაც სამების სახელი ახსენა, ერთი დარტყმით თავი

გააგდებინა მას. ეს ამბავი იმდენად დამთრგუნველი აღმოჩნდა სარაცინებისათვის (სარკინოზები), რომ შემდგომში აღარავინ აღარ დამჯდარა ხალიფად". ადამის ეს ცნობა ეხება 1258 წლის ამბებს, როცა მონღოლების ჯარში მყოფმა ქართულმა სამხედრო ნაწილებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბაღდადის აღებაში. მემატიანის ცნობები იმით არის საყურადღებო, რომ XIV საუკუნის 10-იან წლებში ჯერ კიდევ აქტუალური იყო ევროპაში ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების იდეა და იგი სპარსეთიდან ცნობებს აწვდიდა რომის პაპის კურიას, რათა შეესწავლათ აღმოსავლეთში არსებული ვითარება, თუ რამდენად ხელსაყრელი პირობები იყო ახალი ლაშქრობის დასაწყებად და მისი ცნობა ქართველებზე, სავარაუდო მოკავშირის შესახებ მიწოდებული ინფორმაციაა.

XIV საუკუნის ცნობილი გეოგრაფის, ვენეციელი დიდებულის მარინო სანუდოს ცნობით, ქართველები არიან უაღრესად მამაცნი ურიცხვ მტერთან ბრძოლაში. მეზობლად მცხოვრებ სპარსელებს, მიდიელებს, ასურელებს ძალიან ეშინიათ მათი. სარკინოზები ცდილობენ არ შეაწუხონ ქართველები, რადგან, როდესაც სამშობლოში დაბრუნდებიან, სამაგიეროს გადაუხდიან მათ მეზობლად მცხოვრებ მუსლიმებს. ქართველები მეტად განრისხებულნი იყვნენ დამასკოს სულთნის კორადინის საქციელის გამო, რადგან მან დაანგრია იერუსალიმის კედლები, ისე, რომ არ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა და დაემუქრნენ, რომ სამაგიეროს გადაუხდიდნენ მას.

მსგავსი შინაარსის ცნობები გვხვდება XIII-XVI საუკუნის სხვა ავტორთა წყაროებშიც (XIII საუკუნის ავტორის ვინცენტ დე ბოვეს თხზულებაში, „დიდების სარკე", მეტრ გოსუენის ნაწარმოებებში „სამყაროს ხატი", „ქვემორაიანული აღმოსავლეთის აღწერა" (1355 წ.), ინგლისურ თხზულებაში „სამყაროს სარკე" (ნათარგმნია 1480 წელს, ფრანგული „სამყაროს სარკიდან"), სოლმის გრაფ იოჰანის (XVს.) აღწერილობაში). ეს ინფორმაციები, მცირე განსხვავებებით, ხშირად ერთმანეთს იმეორებენ, რაც მიუთითებს ადრეული ხანის ავტორთა მონაცემებით სარგებლობაზე.

მუსლიმ ავტორებთანაც, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდნენ არ შეხებოდნენ მოწინააღმდეგის მხედრულ თვისებებს, მაინც გამოკრთება ხოლმე ქართველთა სამხედრო სიძლიერის აღმნიშვნელი ცნობები.

XIII საუკუნის არაბი მემატიანე იბნ ალ-ასირი დიდ აღფრთოვანებას გამოხატავს, ჯალალ ად-დინის მიერ ქართველთა დამარცხების თაობაზე, რადგან მან გაათავისუფლა მუსლიმები ქართველთა მძლავრობისაგან, თუმცა, აღნიშნავს ქართველთა სამხედრო სიძლიერესაც: „თბილისის დაპყრობა დიდი მოვლენა იყო მუსლიმებისათვის და მათი ქვეყნებისათვის, რადგან მანამდე ქართველები (ქურჯები) ამარცხებდნენ მათ და რაც სურდათ, იმას ჩადიოდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ აზერბაიჯანის ყველა მხარეს და არსად წინააღმდეგობა არ ხვდებოდათ. იგივეს სჩადიოდნენ ისინი არზან რუმის (არზრუმი) მხარეში და მისი გამგებელი ქართველთა მეფის მიერ ნაწყალობევი ხალათით იმოსებოდა. მისმა

შვილმა მიიღო ქრისტიანობა, რომ დაქორწინებულიყო ქართველთა დედოფალზე, რადგან ძალიან ეშინოდა ქართველების და ამით ცდილობდა გადაერჩინა თავი. ასეთივე ვითარება იყო შირვან-დერბენდის ქვეყანაშიც. მუსლიმების მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ რუქნ ად-დინ ყილიჩ-არსლანის ძემ, კონიის, ასკარიის, მალათიის და რუმის სხვა ქალაქების პატრონმა შეკრიბა უზარმაზარი არმია, გაემართა არზან რუმისაკენ, რომელიც ეკუთვნოდა მის ძმას, თოღრულ შაჰს, რათა ერთად ელაშქრათ ურწმუნოების წინააღმდეგ. მაგრამ მათ თავს დაესხნენ ქართველები, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს ძმები და გააქციეს და დიდ უბედურებაში ჩააგდეს. რაც შეეხება არმენიას, ქართველები შევიდნენ არჭეშში, აიღეს ყარსი და სხვა ქალაქები და ალყა შემოარტყეს ხლათს. მისმა მცხოვრებლებმა ქალაქში ქართველების შიშით ეკლესიაც კი ააგეს და ზარს რეკდნენ. ამის შემდეგ ინებეს ქართველებმა და მოხსნეს ალყა. ხლათის ქვეყანა იყო ყველაზე სახიფათო ფორპოსტი მტრების მეზობლად. ისლამის გაჩენამდე სპარსელთა მეზობლად, ხოლო ისლამის გაჩენიდან დღემდე, მუსლიმთა მთავარ ფორპოსტად ითვლებოდა. მანამდე ვერავინ ბედავდა ასეთი თავხედური საქციელი ჩაედინა ხლათელების მიმართ. ქართველებმა აიღეს თბილისი, მაშინ, როცა სულთანი იყო მაჰმუდ იბნ მუჰამადი და ის იყო ყველაზე დიდი სულთანი თავისი მდგომარეობით, უზარმაზარი სახელმწიფოთი და აურაცხელი ჯარებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ვერ შეძლო თბილისის დაცვა, არადა, მას ეკუთვნოდა რეის ოლქები, ჯიბაილი, ისპაჰანი, ფარსი, ხუზისტანი, ერაყი, აზერბაიჯანი, არრანი, სომხეთი, დიარ-ბაქრი, ალ-ჯაზირა, მოსული, სირია და სხვა მხარეები. მისი ბიძა სანჯარი ფლობდა ხორასანს და მავერანაჰრს. ასე, რომ მის ხელში იყო ისლამის სამყაროს დიდი ნაწილი. მან შეკრიბა ორმოცდაათი ათასი მეომარი და გაემართა თბილისის დასახსნელად, მაგრამ ვერ მოახერხა. ეს ვერ მოახერხა ვერც შემდგომმა სულთანმა, მისმა ძმამ მასუდმა. მის დროს შამს ად-დინ ილდეგიზმა დაიკავა ჯიბაილი, რეი, აზერბაიჯანი, არრანი, მისი ბატონობა აღიარეს ხლათის, ხუზისტანის, ფარსის გამგებლებმა, მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა შვილმა ჯაჰან ფაჰლავანმა ვერ შეძლეს დაეძლიათ ქართველთა წინააღმდეგობა, სანამ არ გამოჩნდა ეს სულთანი (ჯალალ ად-დინი). ამ დროისათვის ეს ქვეყანა იყო განადგურებული. თავიდან იგი დაარბიეს ქართველებმა, ხოლო შემდეგ თათრებმა (მონღოლებმა). და დასწყევლის მათ ალაჰი."

მემატიანის ამ ვრცელ ნაამბობში მოკლედ არის აღწერილი ქართველთა წარმატებული სამხედრო კამპანიების საუკუნოვანი ეპოპეა – XII საუკუნის 20-ანი წლებიდან XIII საუკუნის 20-იან წლებამდე და მუსლიმურ აღმოსავლეთში არსებული წარმოდგენა ქართველთა სამხედრო თვისებებზე.

ქართველები უცხო ქვეყნის სამსახურში. ქართველები მონაწილეობდნენ ასევე, სხვა ქვეყნების სამხედრო კამპანიებშიც. მათი მონაწილეობა ამ ომებში, ძირითადად, დამპყრობლების მიმართ გამოხატული ვასალური ვალდებულე-

ბა იყო. ამავე დროს, ქართველთა სამხედრო ნაწილები ასეთ ომებში, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მონაწილეობდნენ, როგორც მოკავშირეები. ქართველი მეომრები ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდაც ომობდნენ უცხოელების მხარდამხარ.

უცხო ქვეყნის სამხედრო კამპანიებში ვასალური მონაწილეობა გაწერილი იყო მხარეებს შორის არსებულ ხელშეკრულებაში. დამპყრობლის მიმართ აღებული მოვალეობები გამოიხატებოდა, როგორც ხარკით (ფულადი, ნატურალური ფორმით), ასევე, სამხედრო ბეგარით. გარდა ასეთი ვალდებულებისა, სამხედრო ბეგარის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა ახალგაზრდა ყმაწვილების, საომრად აღსაზრდელი, ნარჩევი ახალგაზრდების გაგზავნაც დამპყრობელთა რჩეული სამხედრო ნაწილების შესავსებად. ჯერ კიდევ, უძველესი დროიდან ვხვდებით ასეთი ვალდებულების ფორმას. ჰეროდოტეს გადმოცემით, კოლხეთს ირანის აქემენიანი მმართველების წინაშე ჰქონდა აღებული ვალდებულება ხუთ წელიწადში ერთხელ 100 ყმაწვილი (100 გოგოც) გაეგზავნა. სავარაუდოდ, ამ ყმაწვილებს სპარსელები სამხედრო ნაწილებში წვრთნიდნენ. ეს დასტურდება წყაროებითაც, სადაც აქემენიანთა ირანის სამხედრო კამპანიებში ჩანან იბერიელი და კოლხი მეომრები – ქსერქსეს ლაშქრობების დროს, ბერძნების წინააღმდეგ ქართველებიც მონაწილეობდნენ.

უფრო ცხადია ასეთი დამოკიდებულება სასანიდურ ირანთან, მათი ქართლზე ბატონობისას. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალი თავისი ჯარით მონაწილეობდა ირანელთა ლაშქრობებში შუა აზიასა და ინდოეთში.

ქართლის და ეგრისის სამეფოს მეომრები ჩანან ბიზანტიის არმიებში სასანიანთა წინააღმდეგ. 542-562 წწ. ირან-ბიზანტიის „დიდი ომიანობის" დროს ეგრისელები იბრძოდნენ ბიზანტიელთა ჯარებში. ქართლის რაზმები მონაწილეობდნენ ბიზანტიელთა ლაშქარში VI-VIII სს. სასანიდური სპარსეთის წინააღმდეგ. IX-X საუკუნეებში, ქართული სამხედრო კონტინგენტები ჩანან ბიზანტიელთა სამხედრო ძალებში. განსაკუთრებით, ეს ეხება ტაო-კლარჯეთის ქართულ სამეფო-სამთავროებს, რადგან ბაგრატიონები ბიზანტიის იმპერიის უზენაესობას აღიარებდნენ. ქართველები მონაწილეობდნენ, არა მარტო იმპერიის საგარეო ომებში, არამედ შიდა პოლიტიკურ პროცესებშიც. ამის კარგი მაგალითია, ტაოს დიდი მეფის დავით კურაპალატის მიერ, კონსტანტინეპოლის საიმპერატორო კარისადმი გაწეული დახმარება 979 წელს, როცა მან, ძირითადად, საკუთარი ძალებით დაამარცხა აჯანყებული სარდალი ბარდა სკლიაროსი. მცირე ხნის შემდეგ, დავით კურაპალატი კვლავ ჩაერია იმპერიის ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში, ამჯერად, აჯანყებულ ბარდა ფოკას მხარეზე. ბიზანტიის იმპერიასთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების გამო, ქართველები ხშირად ერეოდნენ იმპერიის შიდა საქმეებში, როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური აქციებით.

XI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საქართველოს სამეფო გაერთიანდა, ქარ-

თული სამხედრო ნაწილები, როგორც ვასალური ქვეყნის მეომრები აღარ ჩანან ბიზანტიის შეიარაღებულ ძალებში. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იბრძოდნენ ბიზანტიელებთან ერთად, როცა საქმე საერთო მტერს ეხებოდა. XI საუკუნის შუა ხანებში იმპერიის ლაშქრობებში მონაწილეობდნენ ქართველი ფეოდალებიც. კლდეკარის ძლევამოსილი ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც ბიზანტიის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა კავკასიურ პოლიტიკაში, მონაწილეობდა იმპერიის მიერ წარმოებულ ლაშქრობებში. 1048 წელს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ლიპარიტი ტყვედაც ჩაუვარდა მტერს და იმპერატორმა დიდი თანხა გაიღო, მისი, როგორც იმპერიის ერთგული მოკავშირის დასახსნელად.

გარდა ვასალური და სამოკავშირეო ვალდებულებებისა, ბიზანტიის იმპერია ქირაობდა ქართულ რაზმებს. 1071 წელს, მანასკერტთან ბიზანტია-თურქ-სელჩუკების ბრძოლაში, ქართველები იმპერიის ლაშქარში იყვნენ, როგორც მოქირავნეები.

1083 წლიდან 1099 წლამდე საქართველოს სამეფო ხარკს უხდიდა თურქ-სელჩუკებს, მაგრამ ქართველთა სამხედრო ვალდებულების ფაქტები სელჩუკების წინაშე, წყაროებში არ ჩანს. თუმცა, არა ვალდებულების კუთხით, არამედ ქირაობის და გეოპოლიტიკური ვითარებით გამოწვეული სიტუაციის გამო, ქართველები მონაწილეობდნენ სელჩუკთა სამხედრო კამპანიებში. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, 1243 წლის ქოსე-დაღის ბრძოლა რუმის სელჩუკებსა და მონღოლებს შორის, სადაც ორივე მხარეს იბრძოდნენ ქართული სამხედრო შენაერთები. რუმის სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის მხედართმთავარი იყო ქართველი დიდებული, აფხაზი თავადი დარდინ შარვაშიძე, რომელიც სელჩუკთა სამყაროში ცნობილი, გამოჩენილი და მამაცი მებრძოლი იყო. აქ იყო ასევე, მესხთა ერთ-ერთ რაზმი შალვა ახალციხელის ძის, ფარადავლას მეთაურობით. რაც შეეხება მონღოლთა ლაშქარში მონაწილე ქართულ რაზმებს, მათ მეთაურობდნენ დიდებულები: სარგის თმოგველი, ვარამ გაგელი, ამირსპასალარი ავაგი, მანდატურთუხუცესი შანშე, რომლებიც, თურქების მხარეზე გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მებრძოლი ქართველებისგან განსხვავებით, მონღოლებთან სამხედრო ბეგარას იხდიდნენ.

ერთადერთი ცნობა ქართველთა ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობის შესახებ გვხვდება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში", თითქოსდა, დავით აღმაშენებლის რაზმი იბრძოდა იერუსალიმის კედლებთან – „ვითარ ლაშქარნი ახლისა დავითისანი წყობათა დავითისათა იერუსალიმს ერთობდეს." ეს რომ ალეგორიაა, რითაც მემატიანეს სურს აღნიშნოს ქართველთა სოლიდარობა ჯვაროსნებისადმი, წმინდა მიწაზე განვითარებული მოვლენების გამო, მტკიცდება იმით, რომ არცერთი სხვა წყარო ამ ცნობას არ ადასტურებს. ის, რომ ჯვაროსნებს ქართველთა დახმარების იმედი ჰქონდათ, კარგად ჩანს XIII-XIV საუკუნეების ლათინურ ქრონიკებში. ამის შესანიშნავი მაგალითია, ჯვა-

როსანი რაინდის დე ბუას ეპისტოლე, გაგზავნილი 1211 წელს ბეზანსონის არქიეპისკოპოს ამედე დე ტრამლესადმი – „ივერიითაგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და აიღეს 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული და დიდი აიღეს... ეს ქრისტიანები, წმინდა იერუსალიმის მიწის დასახსნელად მოდიან... მათ ჭაბუკ მეფეს, დედამისის, უძლიერესი თამარის ნეშტი მოაქვს, რათა მისი ანდერძი შეასრულოს... და წმინდა ქალაქში მისი გადმოსვენება გადაწყვიტა." მართალია, ამ ეპისტოლეში აღწერილი მოვლენების ინტერპრეტაცია უფრო სურვილების გამოხატულებაა, ვიდრე – რეალური ამბებისა, მაგრამ აქ ჩანს იმ ურთიერთობების კვალი, რაც არსებობდა იმ პერიოდში, საქართველოს სამეფოსა და ჯვაროსნებს შორის.

XIII საუკუნეში, როდესაც საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს, ქართველებს მძიმე სამხედრო ბეგარა დააკისრეს. ყოველწლიურად 9 კომლიდან ერთი მეომარი უნდა გაეყვანათ სამხედრო კამპანიებში. წყაროებში უხვად მოიპოვება ცნობები ქართველთა მონაწილეობისა მონღოლთა ლაშქრობებში. ქართველები იბრძოდნენ ალამუთზე, ბაღდადზე, დამასკოზე, იერუსალიმზე, ეგვიპტის მამლუქი სულთნების წინააღმდეგ მონყობილ ლაშქრობებში. წყაროებში ხაზგასმულია მონღოლთა შეხედულებები ქართველთა სამხედრო სიმამაცესა და კარგ საბრძოლო თვისებებზე. მონღოლთა ლაშქრობებში ქართველთა მონაწილეობის მთავარი წყარო ქართველი მემატიანე ჟამთააღმწერელია, ასევე, ევროპელი, სომეხი და მუსლიმი ავტორების ცნობები.

ჟამთააღმწერელი დეტალურად გადმოგვცემს მონღოლების მიერ, 1258 წელს ქალაქ ბაღდადის აღების ამბავს, რაშიც ქართველთა მეფის დავით ულუს ლაშქარმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მემატიანის ცნობით, თორმეტი დღის ალყის შემდეგ, დავითმა თავის მეომრებს ქალაქის გალავნის კედლების მინირება (საძირკვლის გამოთხრა, კედლების განგრევა) უბრძანა – „რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე და შეთხარეს ზღუდესა შიგან". სწორედ ამ ოპერაციის შემდეგ გაუღიათ გალავნის ძირითადი კარიბჭე და აუღიათ მონღოლებს ქალაქი. ბაღდადის აღების ისტორია მოთხრობილი აქვთ ლათინ ავტორებსაც. მათი ცნობებითაც ქალაქის აღებაში ქართველებს მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ. საერთოდ, ბაღდადის უკანასკნელი ხალიფას ტრაგიკული ბედის შესახებ მრავალი ისტორიული თუ ლეგენდარული ინტერპრეტაცია არსებობს, მაგრამ ქართველებმა რომ სერიოზული მონაწილეობა მიიღეს ბაღდადის აღებაში, ეს სხვა წყაროებითაც მტკიცდება. „ქართული სამართლის ძეგლების" ცნობებით, ამ მდიდარი ქალაქის აღების და გაძარცვის შემდეგ, თვით საქართველოში „ბაღდადური ალაფი" ძალიან იაფად ფასობდა. ეს ამბავი კი მეტყველებს, რომ ქართველთა ჯარს დიდი დავლა რგებია ამ განთქმული ქალაქის აღებისას. მონღოლთა მეთაურები და ჯარის სარდლებიც აღიარებდნენ ქართ-

ველთა სიმამაცეს და სარგებლობდნენ რა მათი სამხედრო მხნეობით, ხშირად მოწინავეებში აყენებდნენ ქართველთა რაზმებს. რა თქმა უნდა, ეს მარტო, ქართველებისადმი გამოჩენილი პატივი არ იყო.

სტეპის ეს მომთაბარეები საკმაოდ ეშმაკურად იყენებდნენ დაპყრობილი ხალხების ცოცხალ ძალას, პირველ რიგში, სწორედ მოწინავე რაზმები ზარალდებოდნენ ხელჩართული ბრძოლების დროს. მონღოლები არა მარტო სამხედრო ძალებს, არამედ დაპყრობილი ქალაქების მოსახლეობასაც წინ გაირეკავდნენ ხოლმე და ცოცხალ ფარად იყენებდნენ მოწინააღმდეგესთან შეტაკებების დროს. ქართველთა სიმამაცეს თვით მონღოლთა დაუძინებელი მტრები, ეგვიპტელი მამელუქებიც აღიარებდნენ, რომლებიც მონღოლებთან შებრძოლებისას უფრთხოდნენ კიდეც ქართველებს. ქართველთა ხშირმა მონაწილეობამ მონღოლთა ლაშქრობებში, რომლებიც ძირითადად ეგვიპტელი მამელუქების, სირია-პალესტინაში არსებული მუსლიმური პოლიტიკური ცენტრების წინააღმდეგ იყო მიმართული, სერიოზულად დაძაბა ურთიერთობები წმინდა მიწაზე არსებულ ქართულ სამონასტრო ცენტრებსა და იქ მყოფ მუსლიმ მმართველებს შორის. ამის სავარაუდო მაგალითია ის, რომ XIII საუკუნის ბოლოს, ეგვიპტის სულთნის ბრძანებით, იერუსალიმში არსებული ქართული სავანე, ჯვრის მონასტერი მეჩეთად გადააკეთეს, რითაც მუსლიმებმა შური იძიეს ქართველებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1300 წელს, როცა მონღოლებმა იერუსალიმი წაართვეს ეგვიპტელებს და სირიელებს, ყაენმა ქალაქი სამართავად ქართველთა მეფეს ვახტანგ III-ს გადასცა, რაც, ასევე, ქართველების აქტიურ მონაწილეობაზე მიუთითებს ამ პროცესში. იერუსალიმის ქრისტიანთა ხელში გადასვლა იმ დროისათვის უდიდესი მოვლენა იყო. თითქოს აღსრულდა ჯვაროსანთა საუკუნო ოცნება და წმინდა საფლავი კვლავ ქრისტიანების ხელში აღმოჩნდა. იმ დროს, არსად წმინდა მიწაზე, ჯვაროსანთა ციხე ან ქალაქი უკვე აღარ არსებობდა. მთელი სირია-პალესტინა, ძველი ჯვაროსნული აღმოსავლეთი, მუსლიმთა ხელში იყო გადასული. ვერც ქართველებმა შეინარჩუნეს წმინდა ქალაქი დიდხანს, რადგან შორეულ პალესტინაში, ასეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ცენტრის შენარჩუნებას დიდი სამხედრო რესურსები სჭირდებოდა და დახმარებაც არსაიდან ჩანდა. მონღოლებმაც მალე დატოვეს პალესტინა, რასაც ქართველების წმინდა მიწიდან გამოსვლაც მოჰყვა.

თავი XIV

სამხედრო საქმე XV-XVIII საუკუნეების საქართველოში

ქართული ჯარის ზოგადი მიმოხილვა XV-XVIII საუკუნეებში

XV საუკუნის II ნახევარში ერთიანი საქართველოს მონარქია დაიშალა სამეფო-სამთავროებად. ძველი ტრადიციის გათვალისწინებით ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები დაიყო ოთხ-ოთხ სადროშოდ.

ამ პერიოდში ცენტრალური ხელისუფლება სუსტი იყო და სამეფო შემოსავლები ძალიან მცირე ჰქონდა, რის გამოც ვეღარ ახერხებდა ვერც მუდმივი ჯარის სახეობების შექმნას და ვერც ქვეყნის სრულ ადმინისტრირებას, ამიტომ ძალაუფლება გადანაწილდა ადგილზე თავადების სასარგებლოდ, შეიქმნა სათავადოთა სისტემა.

სათავადოთა სისტემა XV საუკუნის სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოში ჩამოყალიბდა. მისი უმთავრესი წყარო ქვეყნის დეცენტრალიზაცია და ეკონომიკური მდგომარეობის უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი იყო. ნატურალური მეურნეობა სათავადოების კარჩაკეტილობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. სათავადოს განაგებდა თავადი – „სახლის უფროსი“, რომელიც გარკვეული კომპაქტური ტერიტორიის ერთპიროვნული მმართველი იყო. სათავადოში იყვნენ გვერდითი შტოს წარმომადგენლები – თავადიშვილები, რომლებიც პირველ თავადს, ანუ „სახლის უფროსს“ ემორჩილებოდნენ.

სათავადოს გააჩნდა სასამართლო-ადმინისტრაციული იმუნიტეტი. მხოლოდ მცირე რაოდენობის სისხლის სამართლის საქმეები იყო ამოღებული თავადების სასამართლოს კომპეტენციიდან. „ადმინისტრაციული შეუვალობა გამოიხატა იმ ვითარებაში, რომ სათავადოში ცენტრალური ხელისუფლების მოხელეები ვერ შედიან. „სახელმწიფო ხარჯსა“ და მოლაშქრის გამოყვანის ორგანიზაციას თავადი თავისი მიხელეების საშუალებით ახდენდა“.

XV-XVIII საუკუნეებში ქართლის სამეფოში არსებობდა შემდეგი დიდი სათავადოები: 1) არაგვის საერისთავო; 2) ქსნის საერისთავო; 3) სამუხრანბატონო; 4) საამილახვრო; 5) საციციანო; 6) საბარათიანო. იგი დაიშალა და მის ბაზაზე, სხვა მცირე სათავადოებთან ერთად, XVII საუკუნეში მძლავრი სათავადო – საყაფლანიშვილო წარმოიქმნა; მათ გვერდით არსებობდა მრავალი შედარებით მცირე სათავადო: სამაჩაბლო, საჯავახიშვილო, სააბაშიძეო, სათარხნო და სხვა. ანალოგიური მდგომარეობა იყო იმერეთის სამეფოში.

ქართლის სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა დიდი სათავადოების პრინციპების გათვალისწინებით მოხდა. ქვეყანა დაიყო ოთხ სადროშოდ.

ქართლის სამეფოს სადროშოების ფორმირება მოხდა XV საუკუნის II ნახ-

ევარსა და XVI საუკუნის I მესამედში. ქართლში შემდეგი სადროშოები ჩამოყალიბდა: მეწინავე სადროშო (სადროშო მოიცავდა სომხით-საბარათიანოს სათავადოებს), რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯერ ბარათაშვილი, შემდეგ ორბელიანი; მემარჯვენე სადროშო – მოიცავდა ზემო ქართლის სათავადოებს, რომელთაგანაც უმთავრესი იყო საამილახორო და სარდალიც ამილახორი იყო; მემარცხენე სადროშო – შეადგენდა სამუხრანბატონოს, ქსნის და არაგვის საერისთავოებს, სარდალი იყო მუხრანბატონი; მეუკანე სადროშო – მეფის სადროშო, რომელზედაც გამოდიოდა გაღმა მხარი და საკათალიკოსო ლაშქარი. სარდალს მეფე ნიშნავდა, ძირითადად, ციციშვილების სახლიდან.

როგორც ვხედავთ, ქართლის სამეფო სადროშოებად სათავადოთა სისტემის არსის გათვალისწინებით დაიყო. რაღა თქმა უნდა, სადროშოების მეთაურები, რომელთაც სამხედრო ხელისუფლებასთან ერთად სამოქალაქო ფუნქციებიც გააჩნდათ, თავისი ვიწრო, სათავადოს ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქართლის მეფის ერთადერთი სამხედრო ძალა სასარდლოებიდან გამოყვანილი ლაშქარი იყო, ის თავისთავად აძლიერებდა დიდ სათავადოთა პოლიტიკურ უფლებებს.

ანალოგიური მდგომარეობა იყო იმერეთის სამეფოშიც. რაც შეეხება კახეთის სამეფოს, აქ სადროშოები გიორგი VIII-ის (1466-1476 წწ.) მეფობის დროს შეიქმნა. რადგან კახეთში სათვადოთა სისტემა არ არსებობდა, იქ მდგომარეობა რამდენადმე განსხვავებული იყო. სადროშოს მეთაურებად დაინიშნენ ეპისკოპოსები. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან კი სადროშოების სარდლები დიდი სამფლობელოს მოურავები გახდნენ. კახეთის მეწინავე სადროშოს ქიზიყის მოურავები მეთაურობდნენ. იყო მემარჯვენე სასარდლო, მემარცხენე (ჩერქეზიშვილის მეთაურობით) და სამეფო სადროშო.

სარდლები არა მხოლოდ ომის დროს ჯარის მეთაურები იყვნენ, არამედ მათ სამეფო კარისაგან ფართო ადმინისტრაციული უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. ეს უფლებები გააჩნდათ არ მარტო საკუთარ სათავადოში, არამედ მთელ სადროშოში. სარდლის ფუნქციებს კარგად გამოხატავს როსტომ ხანის 1656 წელს გივი ამილახვრისადმი ბოძებული სასარდლოს გარიგების წიგნი: „ნებითა და შეწევნითა ღუთისათა, ჩვენ, ღუთივ აღმართებულმან და ღუთივ დამყარებულმან, ღუთივ გვირგვინოსანმან, ორსავე ტახტისა და საბატონოს მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან ჴელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ... ესე წყალობისა და სასარდლოს გარიგების წიგნი და სიგელი დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ თქვენ... ამილახორს პატრონს გივსა, ძმათ თქვენთა დემეტრეს, ბარძიმს, პატასა... გაგიახლდეთ ამილახვრობისა დროშა, შემოგარტყით ხმალი მოსრად მებრძოლთა და ორგულთა ჩვენთა. კვალაცა პირველიდგან სასარდოს საქმე გარიგებული ქონდათ, აწცა გაგირიგეთ და დაგიმკვიდრეთ სარგო სარდლობისა, ასე რომე, როდისაცა თემი აიწერებოდეს, ერთის კარის ჩვენის

მდივნითა თქვენს სასარდროს თქვენ ასწერდეთ, რაც თქვენ დროშის კაცი საშოარს იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიექენი ფანჯიექს აიღებდეს, რაც ათისთავი გერგებოდეს, მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიექეთ გაიყონ. თქვენი დროშის კაცი უთქვენოდ ვერ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენი დროშის კაცს სასარდლო საქმე ჰქონდეს, ჩვენს კარზე მოვიდოდეს, თქვენც დაუხუდებოდედ და, რასაც თქვენის და რასაც თქვენის სასარდლოს კაცს ლაშქრობის ბარობაზედ მამულს წავართუემდეთ, იმასაც შემოგეკითხებოდეთ. და თქვენისავ შემოკითხულობით წყალობას უზემდეთ. ესე ჩვენგან წყალობა არაოდეს არ მოგეშალოს და რა რიგადაც თქვენგან თქვენსის დროში[ს] კაცი აიწერებოდეს, ლაშკარსაც იმ ანაწერზედ შემოგვყრიდეთ...“.

როგორც ვხედავთ, სარდლები ატარებდნენ მოსახლეობის აღწერებს, რომლის საფუძველზეც ხდებოდა მობილიზაცია და მათ სხვა ადმინისტრაციული ფუნქციებიც გააჩნდათ.

ასეთ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი ქვეყანა. ამ პერიოდში ყველა სრულწლოვანი მამაკაცი სამხედრო ვალდებული იყო. XVII-XVIII საუკუნეებში გლეხები მასობრივად გაყავდათ ბრძოლებში, რაც გამოწვეული იყო პატარა ქვეყნისთვის არსებული არაადეკვატური გამოწვევებით. პატარა ქართულ სამეფო-სამთავროებს თავი უნდა დაეცვათ ისეთი ქვეყნების აგრესიისაგან, როგორიც იყო ირანი და ოსმალეთი. ამას ემატებოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან დაღესტნელთა და სხვა მთიელთა მუდმივი მძარცველური შემოტევები. ცხოვრების ნორმად იქცა სამხედრო სამსახური. ყველა სრულწლოვან მამაკაცს კონკრეტული მობილიზაციის დროს ევალებოდა თავისი ბატონის ხელქვეით გამოცხადებულიყო ლაშქარში. ეს იყო კონკრეტული ბრძოლისათვის შეკრებილი არაპროფესიული დროებითი ბატონყმური ჯარი. მოსახლეობა თავად იყო პასუხისმგებელი საკუთარ შეიარაღებაზე. ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სამხედრო მობილიზაცია და, შესაბამისად, საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა, ძალიან ხშირად უწევდათ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის უმრავლესობას, სოციალური წარმომავლობის მიუხედავად, გარკვეული სამხედრო გამოცდილება უგროვდებოდა.


ჯარის გამოყვანის ორგანიზება ევალებოდათ სარდლებს, რომლებიც თავის სასარდლოში მცხოვრებ თავადებს ავალებდნენ გამოცხადებულიყვნენ საკუთარ ყმებთან ერთად. ეს იყო ფეოდალური ლაშქარი, რომელიც წარმოადგენდა ბატონყმურ ჯარს, სადაც ყმა ლაშქრობდა თავისი ბატონის ხელქვეით. ფეოდალური იერარქია, დამყარებული მიწის საკუთრებაზე, გადატანილი იყო ლაშქარში. ასეთი ლაშქარი შედგებოდა როგორც პროფესიონალი მოლაშქეებისაგან, თავად-აზნაურთა და მსახურთაგან, ისე ყმა-გლეხებისაგან. ლაშქრის ორგანიზება თავადს ევალებოდა. ეს იყო ერთგვარი სამხედრო იმუნიტეტი, რომელიც თავის სათავადოში თავადს საკუთარი სურვილისამებრ ჯარის შეკრების თავისუფლებას ანიჭებდა.

ფეოდალურ ლაშქარს რამდენადმე ნაკლოვანება გააჩნდა: ის არ იყო მუდმივი სამხედრო ძალა. მის შეკრებას გარკვეული დრო ესაჭიროებოდა და, ამასთანავე, ძლიერი თავადების მეფისადმი კეთილგანწყობილებაზეც იყო დამოკიდებული. არ იყო პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული – კონკრეტული მამულიდან გამოყვანილ ყმებს მისივე მებატონე ხელმძღვანელობდა.

ძირითადად, ასეთი სახის სამხედრო ძალა იყო XV-XVIII საუკუნეების საქართველოში. არმიის წყობა განისაზღვრებოდა სადროშოების მიხედვით. მეწინავე სადროშო წარმოადგენდა ავანგარდს. მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს მემარჯვენე და მემარცხენე სადროშოები იკავებდნენ. მათ უკან მეფის, ანუ მეუკანე სადროშო იყო განლაგებული. ცხენოსან ჯარს თავად-აზნაურობა ქმნიდა,



სიმონ მეფე. ჯოვანი ორლანდის ნახატი. 1590-2640 წწ. ვატიკანის ბიბლიოთეკა



დიდი მოურავი ჰკლავს სპარსელ არხიბეგს. დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

რომლებიც საუკეთესო შეიარაღებას ატარებდნენ. გლეხობა ქვეით ჯარს წარმოადგენდა და მათი შეიარაღება სუსტი იყო. ამიტომაც, აღნიშნულ ეპოქაში, უპირატესობა ენიჭებოდა ცხენოსანი ჯარით მოულოდნელ შეტევას, რომელთაც ქვეითებიც უერთდებოდნენ. მტრის ვიწრო ხეობებში მოქცევა და მოულოდნელი შეტევის წარმართვა ქართველთა მთავარ ტაქტიკად იქცა. ბრძოლის ასეთ ტაქტიკას მიმართავდნენ ეპოქის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეები: ლუარსაბ პირვე-

ლი, სიმონ პირველი, გიორგი სააკაძე და სხვ.

ქართველი მეფეები შესაძლებლობების ფარგლებში, ტრადიციულად, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებსაც ქირაობდნენ. დაქირავება ხდებოდა როგორც დაღესტნიდან, ასევე ოსეთიდან, ყაბარდოდან და სხვა პროვინციებიდან. თუმცა, პატარა ქართულ სამეფო სამთავროებს მთიელთა დაქირავების შესაძლებლობა ხშირად არ ქონდათ.


ჯარის მცირე სახეობას წარმოადგენდა მეციხოვნეები. ციხესიმაგრეები რამდენიმე სახის იყო. სახიზარი, მიუვალი ციხეები მტრისაგან თავის დაცვის ეფექტური საშუალება იყო. ქალაქების დაცვაც მისი სტრატეგიული ციხესიმაგრეების საშუალებით ხდებოდა, თუმცა, ამ ეპოქაში, ხშირად, ქალაქების ციხე-სიმაგრეებში (თბილისის, გორის, ლორეს, ქუთაისის და სხვ.) საოკუპაციო, ირანის ან ოსმალეთის გარნიზონები იდგნენ. მესამე ტიპის ციხეებს წარმოადგენდა სოფლების მცირე ციხე-კოშკები, რომლებიც, ძირითადად, დაღესტნელთა შემოსევებისგან თავის დასაცავად გამოიყენებოდა.

ცეცხლსასროლი იარაღი საქართველოში[41]. მსოფლიო სამხედრო ხელოვნებაში XIV-XV საუკუნეებში დამკვიდრდა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელმაც სრულად შეცვალა საბრძოლო მოქმედების ხასიათი. მართალია, ხმალი, შუბი და სხვა შეიარაღების სახეობები საბრძოლო მოქმედებების დროს კვლავ გამოიყენებოდა, მაგრამ თოფ-ზარბაზნებს წარმმართველი ფუნქცია დაეკისრა. დროთა განმავლობაში წამყვან, ევროპულ ქვეყნებში სამხედრო დანაყოფები მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღით აღიჭურვა. ძველი საბრძოლო აღჭურვილობიდან ხმალიღა დარჩა შეიარაღებაში.

დენთს უძველესი დროიდან იყენებდნენ ჩინელები, მაგრამ, უმეტესად ფოიერვერკებისთვის. XIII საუკუნის ინგლისელი სწავლული როჯერ ბეკონი 1249 წელს ახსენებს დენთის ცეცხლსასროლ იარაღს. იმავე ეპოქაში, არაბულ წყაროებში ჩნდება ცნობები დენთის სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ. XIV საუკუნეში დენთის ცეცხლსასროლ იარაღს ესპანეთში იყენებდნენ მავრები.

XIV საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისელი, ფრანგი, ნიდერლანდელი, იტალიელი და სხვა ევროპელი ხალხების შეიარაღებაში, უკვე ჩნდება ცეცხლსასროლი იარაღი. ინგლისის მეფე ედუარდ III-ს (1312-1377), 1346-47 წლებში კალეს ალყის დროს, შეიარაღებაში ჰქონდა ათი ზარბაზანი. ინგლისის მეფეს ლონდონის ტაუერის რეზიდენციაში ასამდე ქვემეხი ჰქონდა გაწყობილი. პირველი ზარბაზნები, ძირითადად, ჩამოსხმული იყო სპილენძისა და ბრინ-

41 საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღის კოლექციებში 4 ათასამდე ექსპონატია დაცული. ამათგან ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღია, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა თოფ-ზარბაზნები იქცევს.



მალტის ორდენის რაინდთა ზარბაზნები. ვალეტას იარაღის მუზეუმი. XVI-XVIII სს.



ჰოსპიტალიერების ორდენის მორტირები. ვალეტას იარაღის მუზეუმი. XVI-XVIII სს.

ჯაოსგან, მოგვიანებით, ფართო მოხმარებაში შემოვიდა თუჯი, რომელიც მეტად გამძლე იყო. სასროლად იყენებდნენ ქვის ყუმბარებს, რომელსაც დენთის აფეთქების ხარჯზე გაისროდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეპოქაში, ზარბაზნების გასროლილი ჭურვი მისგან გამომავალი ცეცხლის და დამდგარი ბოლის ეფექტს უფრო იძლეოდა, მაგრამ XV საუკუნიდან, ეს ზარბაზნები უკვე სერიოზულ ზიანს აყენებდა მტრის, როგორც ცოცხალ ძალას, ისე სიმაგრეებსაც.

ლითონის ყუმბარების გამოყენება, მეტ ეფექტურობას სძენდა არტილერიას. XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, ადრეული არტილერიის ძირითად სახეობას ბომბარდების ტიპის ქვემეხები წარმოადგენდნენ. მისი ეფექტურობა დამოკიდებული იყო ლულის პირის რადიუსზე, რომლისგან გამოფრქვეული ცეცხლიც შიშის ეფექტს ახდენდა მოწინააღმდეგეზე. ბომბარდების სასროლი მასალა, ძირითადად, ქვისგან კეთდებოდა, რადგან ფართო პირიან ლულას დიდი ზომის ჭურვები სჭირდებოდა და ლითონის მასალა ძვირი ჯდებოდა.

XV საუკუნეში, ევროპაში ჩნდება შედარებით პატარა ზომის, მაგრამ უფრო ეფექტური არტილერია, არკებუზების და კულევრინების სახით[42]. თუმცა, დიდი ზომის ზარბაზნები, იმ ეპოქის საარტილერიო არსენალის მთავარ ცეცხლსასროლ იარაღს წარმოადგენდნენ. ამ ზარბაზნების ყუმბარები, დაახლოებით, 130-140 კგ. იწონიდა. ოსმალთა სულთნის, კონსტანტინეპოლის დამპყრობის, მეჰმედ II ფათიჰის (დამპყრობელი, მპყრობელი) ზარბაზნები 18 ტონას იწონიდა და ლულის სიგრძე 5 მეტრს აღემატებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ზარბაზნები ორ ნაწილად იყოფოდა, რაც მის ტრანსპორტირებას აადვილებდა. 1453 წელს, კონსტანტინეპოლის აღებაში, ოსმალთა არტილერიამ დიდი როლი შეასრულა. XV საუკუნის მეორე ნახევარში ცეცხლსასროლი იარაღი უკვე ირანშიც ჩნდება, შაჰ უზუნ-ჰასანის მმართველობის პერიოდში.


ევროპის ქვეყნებიაგან განსხვავებით, საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი შედარებით გვიან დამკვიდრდა. ჩვენში ცეცხლსასროლი იარაღი ძირითადად ყირიმის გავლით ევროპიდან, ასევე, ანატოლიიდან შემოდიოდა. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში დაიწყეს თოფ-დამბაჩების და თოფის წამლის დამზადება. სწორედ, ამის გამო, შედარებით ხანგძლივი დროის მანძილზე, შემორჩა საქართველოში ძველი შეიარაღება (სატევარი, მახვილი, ხმალი, შუბი, შურდული, მშვილდ-ისარი, ფარი, აბჯარი, მუზარადი და სხვ.) ცეცხლსასროლი იარაღი შეიარაღებაში მასობრივად მხოლოდ XVIII საუკუნეში დამკვიდრდა. იმავე საუკუნის II ნახევარში საქართველოში ზარბაზნებსაც ამზადებდნენ, რის საფუძველზეც შეიქმნა საველე არტილერია. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ გარდა თოფ-დამბაჩებისა და ზარბაზნებისა, XVIII საუკუნის II ნახევარის ისტორიული წყაროებით ფიქსირდება ქართულ საბრძოლო არსენალში ხელყუმბარების და ნაღმების არსებობა – გამოყენება.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, თემურ ლენგის ლაშქარი, საქართველოში პირველი შემოსევების დროს იყენებდა „რადანდაზად წოდებულ ცეცხლის იარაღს, მერმინდელი ზარბაზნების პროტოტიპს, რომელიც ქვის ჭურვებს ისროდა“[43].


---

42 ზარბაზნის აღმნიშვნელი ინგლისური სიტყვა „canonon“, მოდის ბერძნული სიტყვიდან „კანუნ“ რაც აღნიშნავს მილს, საიდანაც გამოიფრქვეოდა ცეცხლი.

43 რადანდაზის, როგორც ცეცხლსასროლი იარაღად მიჩნევის საკითხში საერთო აზრი



თეიმურაზ II-ის ზარბაზანი. XVIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



ყუმბარები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

არ არსებობს. ნაწილი მეცნიერებისა თვლის, რომ ეს ცეცხლსასროლი იარაღის წინამორბედია და მეხთამტყორცნელს ნიშნავს, ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მექანიკური არტილერიაა და უფრო ფეთქებად ყუმბარებს ისროდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოში პირველი ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. კ. ტაბატაძე, ჯ. სამუშია, ფიქრობენ, რომ ეს იყო ზარბაზნის წინამორბედი რადანდაზი, რომელიც თემურ-ლენგმა გამოიყენა თბილისის აღებისას 1386 წელს. ივ. ჯავახიშვილი ეჭვს გამოთქვამს, რადგან XIV საუკუნეში ზარბაზანი ჯერ კიდევ არ იყო შეიარაღებაში. დ. კაციტაძე არ იზიარებს თემურის მიერ თბილისთან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტს, რადგან მისი არცერთი ისტორიკოსის თხზულებებში ასეთ ფაქტს არ ეხვდებით. მ. წურწუმია კი, საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის თარიღად, 1445 წელს მიიჩნევს, „როდესაც ქვემეხებითა და კულევრინებით აღჭურვილი ბურგუნდიული ესკადა ბათუმს მოადგა".

საერთოდ, საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პირველი შემთხვევა უკავშირდება ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის (1478-1505 წწ.) დროს თეთრბატკნიან თურქმანთა ლაშქრობებს. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, თურქმანებმა, თბილისის და კოჯრის ციხესთან ბრძოლისას თოფები, ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს. მემატიანე გადმოგვცემს, რომ თურქმანთა ჯარების მეთაურმა ხალილ-ბეგმა: „მომართა ციხესა კოჯრისა, მოადგა გარე, დაუწყეს ომი და თოფის სროლა, აწყუდინეს შიგან სოლოღაშვილნი დიდხან. და იყო ომი დიდხან და შეაწუხა მეტმან თოფის სროლამან.“ მას შემდეგ, რაც კოჯრის ციხე აიღეს თურქმანებმა, მიმართეს თბილისის ციხეს: „ადგეს თათარნი და მოადგეს ტფილისის ციხეს და იყო ყოველთა დღეთა ომი და ესროდეს თოფსა, და არა იყო ღონე წაღებისა ციხისა“. სპარსელი ისტორიკოსის ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის ცნობით, თურქმანებს შეიარაღებაში თოფების გარდა ზარბაზნებიც ჰქონდათ და ეს იარაღი გამოუყენებიათ მათ სამცხეში, ახალციხის აღების დროს: „არტილერია შეუჩერებლად უშენდა კედლებს, მაგრამ ჩამონგრევამდე ურწმუნოებმა რკინით და სხვა მასალით შეაკეთეს დაზიანებული ადგილები. ერთხელაც, ზარბაზნის ცეცხლმა ხანძარი გაუჩინა მარცვლეულის საწყობს. ურწმუნოებმა ეს ვერ შეამჩნიეს, გაძლიერებული ცეცხლი კი ადვილად მოედო ციხის გალერეას“[44]. თუმცა, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტში არაა ნახსენები ახალციხის აღების დროს, თურქმანების მიერ, ზარბაზნების გამოყენების ფაქტი. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისით, საქართველოში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პირველი ფაქტი, სწორედ, ამ მოვლენებს უკავშირდება და ქართული და სპარსული წყაროები ავსებენ ერთმანეთს თურქმანების საბრძოლო ოპერაციების აღწერის ცნობებით[45].

---


44 ციხის კედლებზე ხის დამხმარე ნაგებობები, კედლიდან გადმოწეული, რომელიც იცავდა გალავნის ძირს მის იატაკზე გაკეთებული ამბრაზურებით. ამ შემთხვევაში, ციხის დამცველებს შეეძლოთ ეკონტროლებინათ გალავნის კედლის ძირი და შეეფერხებინათ მტერი, რომ არ დაეწყო კედლის ან კარიბჭის განგრევა.

45 მ. წურწუმია აღნიშნავს, რომ თურქმანების მიერ გამოყენებული ზარბაზნები არ იყო ტიპიური ცეცხსასროლი იარაღი. 1485 წელს, თურქმანებს ახალციხესთან შეიძლება გამოეყენებინათ ძველებური ლოდსარტყორცნები, მანგონელის ტიპის იარაღი, რომელიც ქვის ყუმბარებს და ცეცხლგამჩენ ნივთიერებებს ისროდა. თუმცა, როგორც მკვლევარი ვარაუდობს, იმ დროისათვის XV საუკუნის 80-იანი წლებისათვის თურქმანებს არტილერიაც გააჩნდათ და ახალციხესთან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.


თავი XV

მუდმივი ჯარის შექმნის პირველი მცდელობები XVIII საუკუნეში


სადროშოების მიხედვით მობილიზებული დროებითი სამხედრო ძალები სამეფო ხელისულლების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა XV-XVII საუკუნეების მანძილზე. მეფეების ხელმძღვანელობით თავადების შეკრებილ სამხედრო ძალებს უხდებოდათ იმ გაუთავებელი შემოსევების მოგერიება, რომლებიც ამ ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი. ჯარის ამ სახეობას თავისი ფუნქცია არც XVIII საუკუნეში დაუკარგავს, თუმცა, ამ პერიოდში სამეფო ხელისუფლება



ბაქარის (ვახტანგ VI-ის ძე) თოფი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი




ერეკლეს თოფი „მუსტაფა“. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



გიორგი XII-ს თოფი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

ცდილობს მუდმივი ჯარის სახეობების შემნასა და მათი შეიარაღების გაუმჯობესებას. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის რეფორმები მხოლოდ ქართლსა და კახეთში გატარდა. იმერეთის სამეფოსა და გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროებში, მათი არსებობის ბოლომდე, მხოლოდ ფეოდალური ლაშქარი არსებობდა.



ერეკლეს თოფის „მუსტაფას“ ჩახმახი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

პირველი მოკრძალებული ნაბიჯები მუდმივი ჯარის შექმნისაკენ, ჯერ კიდევ, XVIII საუკუნის I მეოთხედში ვახტანგ VI-მ გადადგა, შექმნა რა მეფის მცველი რაზმი. ის დაკომპლექტებული იყო პროფესიონალი მეომრებისაგან – თავად-აზნაურებისა და მსახურეული ფენისაგან. მისი მეთაური იყო ყულარაღასი, ჯარს ჰყავდა 3 უზბაში – ავალიშვილი ქაიხოსრო, თურქესტანიშვილი ქაიხოსრო და როსტომი (გვარი არ ჩანს). თითოეულის თაბუნი შეადგენდა 40 კაცს. სულ ჯარის ეს ნაირსახეობა 120 მეთოფისაგან შედგებოდა. ისინი ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა მეფის და სასახლის დაცვა, ასევე საპოლიციო საქმიანობა.

ვახტანგ VI-ის საქართველოდან წასვლის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, იგი დაიშალა.

თეიმურაზ II და ერეკლე II, ჯერ კიდევ, XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ცდილობდნენ ფეოდალური ლაშქრის ალტერნატიული სამხედრო ძალის შექმნას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ერეკლე II-ის მოღვაწეობა, რომელმაც მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა სამხედრო სფეროში. აღსანიშნავია, რომ ერეკლე II-ის სამხედრო რეფორმა არ იყო ერთჯერადი, იგი ხორციელდებოდა ეტაპობრივად, ეკონომიკური განვითარების პარალელურად. ერეკლე II-ის სამხედრო რეფორმის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ახალი სამოხელეო თანამდებობის – ლაშქარნივისის – სახელოს შექმნა. ლაშქარნივისი არც „დასტურლამალში“ და არც XVIII საუკუნის I ნახევრის საბუთებში არ მოიხსენიება. იგი ერეკლესდროინდელ მდივანთა სიაშია შეტანილი. როგორც ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი აცხადებდა, „ლაშქარნივისობა საქართველოს სამხედრო კანცელარიის მმართველობა“ იყო. ისინი იყვნენ ჯარის „მწერალ[ნ]ი და ანგარიშის შემნახველ[ნ]ი“.

შ. მესხია ამ სახელოს შესახებ შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „...ცხადია, რომ ლაშქარნივისის სახელი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში ერეკლე II მიერ ჩატარებული სამხედრო რეფორმების შედეგად წარმოიშვა“. ავტორი მიიჩნევს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ექვსი ლაშქარნივისი იყო – ქაიხოსრო სუმბათაშვილი, იოსებ მელიქიშვილი, იოანე ქობულაშვილი, აფრიამ ენიკოლოფოვი, ომან ხერხეულიძე და მანუჩარ თუმანიშვილი.

ქვეყანა დაიყო „სალაშქარნივისო“ ერთეულებად. იყვნენ კახეთის ლაშქარნივისები, ქართლის ლაშქარნივისები და „თათართა“ (ყაზახ, ბორჩალო, შამშადილის) ლაშქარნივისები. მანუჩარ თუმანიშვილი და ომან ხერხეულიძე მთავარი ლაშქარნივისები, ანუ სამხედრო კანცელარიის მმართველები იყვნენ. მათ ებარათ მთელი ჯარის მწერლობა და ანგარიშის შენახვა.

სამხედრო კანცელარიაში იყო დავთრები, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ყველა მოლაშქრე, თავისი შეიარაღებით. ამიერიდან ჯარის დაბარება ხდებოდა ლაშქარნივისების მიერ.

მუდმივი ჯარის შექმნისაკენ თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო „ნოქარის“ შემოღება. ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილის განცხადებით, „საქართველოს ჩვეულებრივ ჯარის (იგულისხმება ფეოდალური ლაშქარი) გარდა, მეფემ ირაკლიმ თავის საბრძანებლიდამ მოიწვია ჯამაგირის აღთქმით ნოქრად და თოფჩათ დასადგომნი კაცნი. მოვიდნენ და განწესდნენ. ჰქონდათ მიჩენილი მინბაში, ფონსადბაში, უზბაში, თოფჩიბაში და დაჰბაში. იმათ ჰქონდათ განწესება, წლის ულუფა და ჯამაგირი. რომ იმათი მწერალი და ანგარიშის შემნახავი მე ვიყავ და სამს თვეში ერთხელ ჯამაგირი ჩემის ჴელით მიეცემოდათ“.

„ნოქარი“ იყო ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამოყვანილი დაქირავებული ჯარი, რომლის ქირას თვით მოსახლეობა იხდიდა.

პირველად, ჯარის ასეთი სახეობის გამოყვანა ქართლის სამეფოს, 1736 წელს, ნადირ შაჰმა დააკისრა.

მოგვიანებით, ქართლისა და კახეთის მეფეებს „ნოქარის“ გამოყვანა კვლავ აღუდგენიათ. „ნოქარის“ შემოღებასთან დაკავშირებით XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი პ. ბუტკოვი აღნიშნავს:

„საქართველოში არ იყო მუდმივი ჯარი.

საჭიროების მიხედვით მას კრებდნენ და უშვებდნენ. თითოეული მეომარი თავს თვითონ ირჩენდა.

ჯერ კიდევ თეიმურაზ ნიკოლოზის ძემ (თეიმურაზ II) ერეკლეს მშობელმა, მთიელი მტრებისაგან საქართველოს საზღვრების დასაცავად დააარსა მილიცია, ნოქარის სახელწოდებით, და დაადგინა, რომ სახაზინო, სახასო, საეკლესიო და მემამულეთა სოფლებიდან გამოყვანილი ყოფილიყო კორდონი 2 ათასი ცხენოსანი მეომარის რაოდენობით, ყოველწლიურად. პროვიანტი და ფურაჟი მათ ხაზინიდან ეძლეოდათ, ხოლო ჯამაგირს თავისივე სოფლები აძლევდნენ – 30-დან 40 მანეთამდე წლიურად. მეფე ერეკლემ გააუქმა ნოქარი და 1773 წელს, ავარიის ხანის დამარცხების შემდეგ, შემოიღო სხვა ლაშქარი მორიგეს სახელწოდებით“.

პაპუნა ორბელიანის ცნობით, „ნოქარი“ 1755 წელს შემოიღეს: „რადგან ლეკმა ქართლისა და კახეთზე მტრობა აღარ დაიშალეს, ზამთარ და ზაფხულ ჩამოგდის და აოხრებდის უმეტეს ქართლსა, მარადის ქართლის ჯარი ვერ

შეინახეს ერთად შეყრილი. ამით, რომ ჯარი შემოეყარის მეფეთა ჩვენთა, ლეკის ჯარი ჩაუდგის სახლებში და აღარავინა ჰყავდათ მეპასუხე, ამის მიზეზისათვის გამოართვეს (ერეკლემ და თეიმურაზმა) ქართლისა და კახეთის ათასი კაი ვაჟ-კაცი, ჯამაგირი განუწესეს, უზბაშები განაწესეს. და დააყენეს ქალაქსა თბილისსა, სადაც ვინმე გასჭირდებოდათ მიაშველებდნენ და თუ დიდი მტერი მოვიდის, თვით მეფენი მიეშველებოდნენ ქვეყნის ჯარებით".

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთიდან გამოდიოდა „ნოქარი", რომელიც შედგებოდა 1000 თუ 2000 პროფესიონალი მოლაშქრისაგან. ჯარს ხელმძღვანელობდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული სამხედრო მოხელეები: მინბაშები (ათასისთავები), უზბაშები (ხუთასისთავები) – ნიკოლოზ ამილახვრიშვილი, ზაზა ამირეჯიბი, თეიმურაზ ციციშვილი, მამუკა თარხნიშვილი, რევაზ იოთამისშვილი და სხვა. ეს იყო თვისებრივად ახალი ტიპის ჯარი. მას ფეოდალურ მიწისმფლობელობასთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა. იგი იყო მუდმივი ჯარი. სამეფო კარს სათავადოების გვერდის ავლით გაუჩნდა ახალი საყრდენი სამხედრო ძალა.

„ნოქარის" ჯამაგირი მოსახლეობაში იკრიბებოდა. თითო „ნოქარს" წელიწადში 25 მანეთი ეძლეოდა, ანუ მოსახლეობას ყოველწლიურად დამატებით 25 000 მანეთი შეეწერებოდა. ეს საკმაოდ სოლიდური თანხა იყო და ჭირდა მისი გადახდა. ამიტომაც, ჯარის რაოდენობა შეზღუდული იყო.

თავი XVI

მორიგე ჯარი, მორიგე ყარაული

ბუნებრივია, მცირე რაოდენობის „ნოქარი“ ჯარი არ აღმოჩნდა ქვეყნის გამოწვევებისათვის საკმარისი. დაქირავებული ჯარის რიცხვის გაზრდა იმჟამად მთავრობას არ შეეძლო და ამიტომ შექმნა მუდმივი ჯარის სხვა ნაირსახეობა. „ნოქარი“ შეცვალა „მორიგე ჯარმა“. მანუჩარ თუმანიშვილი ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს: „მას უკან, მეფემ ირაკლიმ ინება თავის საბრძანებლიდამ სულზე მორიგის გამოყვანა, რომ ჯარი უჯამაგირო იყო. ამათაც მიუჩინა ჯამაგირით მინბაში, ფონსადბაში, უზბაში და დაჰბაში, რომ ამათი მწერლობა და ანგარიშის შენახვა მე და ჩემ ამხანაგს, თავადს ომან ხერხეულიძე ლაშქარნივისს მოგვიბოძა და ერთად ვმოქმედებდით ჩვენს სახელოს საქმეს“.

ვახტანგ ბატონიშვილი „მორიგე ჯარის“ დაარსების შესახებ აღნიშნავდა – „ვინაითგან აღარა იყო შესაძლებელი ჯამაგირით განწესებულთა მხედრობათა მყოფობა ამისათვის მოიგონა მეფემან ამან (ერეკლემ), წელსა ჩღოთ (1774 წ.) სამეფოთაგან თავისთა თვე და თვე ყოველთავე რიგით მოლაშქრეობა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა. ყოველს თვეში უნდა წამოსულიყო, ვისაც შეხვდის, თავისის იმ თვის საკმაოს საზრდოთ. ხ[ოლო] გლეხნი, ნაცვლად საზრდოსა ამის წამოღებისა, თავისუფალ ჰყო სხვისა რომელსამე ხარკისაგან. ესენი უნდა შეყრილიყვნენ ტფილისს, ანუ სხვასა რომელსამე დანიშნულსა ალაგსა და მას უკან, ვითარ საჭირო შეხვდისთ, ესრეთ ხმარებულ ჰყვან. ამათ ჰყვის თვე და თვე რიგით. თითო მხედართმთავარი. ამ მხედართმთავართა რიცხვთა შორის იყო თვით მეფეცა და მეფის ძენი და სხვანი ჩინებულნი თავადნი. დიდად სარგებელ ექმნა საქმე ესე საქართველოს. ამით მოხდა მრავალგზის ძლევა ლეკთა ზედა და ველარა იქმნენ ლეკნი მსგავსად უწინარესისა გამბედველ ქართლსა შინა ავაზაკობისა. იყვნენ ადგილნი რომელიმე, რომ არა გამოყვანდათ მუნიდან მორიგე, უკეთუ არა მოუწოდინ ერთან ჯარად“.[46]

„მორიგე ჯარი“ შეიქმნა 1774 წლის 1 იანვარის „განჩინების“ შედეგად.

„განჩინება“ 37 მუხლისაგან შედგება. მასში დეტალურადაა გაწერილი ჯარში წასვლის წესი: „...რაც თავადნი და ან მოჭელე, ან არ მოხელე, ან აზნაურნი მოხელე ან არ მოხელე, გლეხნი მოხელენი თუ მსახურნი თუ მოყალნენი, თუ ხიზანნი, რამდენნიცა, რომ იყვნენ ერთს სახლსა და ოჯახში, თითოსთვის მორიგეობაში ჩაგვიგდია და დაგვიწერია, და სხვას დავთარში გაგვირჩევია. სარდლებსა, მინბაშებსა და უზბაშებს გარდა, ყოველი კაცი თორმეტს თვეზედ გაგვიყვია, და როგორადაც გაგვიყვია ერთი დიდი საერთო დავთარი ჩვენის

46 ასეთი იყო თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საიდანაც მეფეს გამოჰყავდა რამდენიმე ასეული კაცი, რომლებიც მუდმივად სამეფო კარის განკარგულებაში იყვნენ.

მოხელეებისათვის მიგვიბარებია, და თვითო დავთარი უზბაშებისათვის მიგვიცია, და სხვა სოფელ და სოფელ მებატონეებისათვის და მოხელეებისათვის მიგვიცია, და ასე გაგვირჩევია ყველასთან, როგორც ამაში დაგვიწერია".

„განჩინებიდან" ირკვევა, რომ მეფეს ჯარის გასაწვევად ქვეყანაში საგანგებო აღწერა ჩაუტარებია. „განჩინებაში" განსაზღვრულია, აგრეთვე, „მორიგეში" გაუსვლელობისათვის სასჯელები – პატიმრობა, გაწკეპლვა, ფულადი ჯარიმა და ა.შ. „განჩინებაში" სიახლე იყო ისიც, რომ დავთრებში შეიტანეს არა მხოლოდ მებატონეების გვარები, არამედ თვით გასაწვევთა გვარებიც. სამხედრო კანცელარიამ, მებატონეთა გვერდის ავლით, უშუალოდ გასაწვევ პირებთან დაამყარა კავშირი. რა თქმა უნდა, არც ეს ჯარის ნაირსახეობა არ იყო დამყარებული ბატონყმურ სისტემასა და ფეოდალურ იერარქიაზე. ყველა, გლეხიც და თავადიც, თანაბრად ვალდებული იყო გასულიყო ჯარში. ყმა-გლეხი თავის თავადის სარდლობით აღარ ასრულებდა სამხედრო სამსახურს, არამედ „მორიგეს" ჰყავდა სამხედრო კანცელარიაზე დაქვემდებარებული სარდლები – უზბაშები, მინბაშები, სარქარდრები, რომლებიც პროფესიონალი სამხედროები იყვნენ. ეს კი, თვისებრივად ახალი ტიპის ჯარი იყო.

„მორიგეში" ქვეყნის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი წელიწადში ერთი თვის მანძილზე მსახურობდა. ისინი თავისი სურსათ-სანოვაგით უნდა გამოცხადებულიყვნენ დათქმულ ადგილზე. ამის საკომპენსაციოდ მეფემ გლეხების სურსათის გადასახადი – კომლზე 3 კოდი პური – გააუქმა.

ერთი სიტყვით, ერეკლე II-მ XVIII საუკუნის 70-იან წლებში მოახერხა ფეოდალური ჯარის საპირისპიროდ შეექმნა მუდმივი ჯარის ნაირსახეობა, რომელიც დაახლოებით 5000 კაცისაგან შედგებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული წერილობითი წყაროები „მორიგე ჯარის" შექმნას 1774 წლით ათარიღებს, აკ. კლიმიაშვილმა მოიძია 10 დოკუმენტი, რომელიც მორიგის არსებობას, 1756 წლიდან ადასტურებს.

როგორც კლიმიაშვილი განმარტავს, ამ პერიოდში, „მორიგე ჯარი" რამდენადმე განსხვავებული სახით არსებობდა. „1774 წლამდე, ე.ი. „მორიგის" განჩინების შედგენამდე, „მორიგის" გაყვანა ხდებოდა არა საყოველთაო გაწვევით, არამედ – შეწერით. შეწერა ხდებოდა სადროშოების მიხედვით. სადროშოს ტერიტორიაზე მოსახლე მებატონეებს, აზნაურებს, თავადებს და ეკლესიას მეფე შეაწერდა ყოველთვიურად გამოსაყვანი ჯარის გარკვეულ რაოდენობას, ამ ბატონის ყმა-მამულის სიდიდის შესაბამისად".

მიუხედავად იმისა, რომ „მორიგეში" გამოყვანილი ჯარი ცენტრალური ხელისუფლების დანიშნულ სამხედრო მოხელეთა – მინბაშების, უზბაშების ხელქვეით მსახურობდნენ, მას, მაინც, ფეოდალური, ბატონყმური ლაშქრის ელფერი დაჰკრავდა, რადგანაც 1774 წლამდე, ყმა-გლეხების ჯარში გაყვანაზე პასუხისმგებელნი მებატონეები იყვნენ. მათ შეწერილი ჰქონდათ ყმების გარკვეული რაოდენობა. ხოლო, სახელდობრ, რომელ ყმას გაიყვანდა, ეს მხ-

ოლოდ მისი საქმე იყო.

როგორც ჩანს, თავდაპირველად „ნოქარის“ პარალელურად არსებობდა „მორიგე ჯარი“. კლიმიაშვილის დამოწმებული საბუთებიდან ირკვევა, რომ 1765 წლიდან „ნოქარმა“ ადგილი „მორიგე ჯარს“ დაუთმო – თიანეთელი გლეხი ქავთარ მგელაშვილი 1765 წლის 23 ივნისის ერეკლე მეორისადმი წარდგენილ საჩივრის არზაში აღნიშნავდა: „...მე ხელმწიფის ყმა ვიყავ, გრიგოლ სახლთხუცესს ვემსახურებოდი... მე ნოქრად დამწერა, ნოქარი ვიყავ, გემსახურე, ახლა ნოქარი აღარ არისო, ახლა თავისი ყმის მაგიერად ბადლად და მორიგედ მწერს...“.

1756-1773 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში არსებობდა მუდმივი ჯარის თავისებური სახეობა, რომელსაც „მორიგე“ ეწოდებოდა და, რომელიც ყოველწლიურად ქვეყანას 1500-2000 მოლაშქრეს აძლევდა.

„ნოქარისა“ და „მორიგის“ პარალელურად ერეკლე II-ს ლეკთა თარეშის აღსაკვეთად „მდევარი ჯარიც“ დაუარსებია. ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი „მდევრობის“ შესახებ 1772 წლით თარიღდება, თუმცა, როგორც აკ. კლიმიაშვილი ვარაუდობს, აშკარაა, რომ იგი გაცილებით ადრე, XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან შემოუღიათ.

ერეკლე II-ის მიერ 1772 წელს დამტკიცებულ ზემო ქართლის მდევრობის „განწესებიდან“ ჩანს, რომ ქვეყანა დაყოფილი იყო „სამდევროებად“. მეფე ადგილობრივ თავადებს ავალდებულებდა, რომ ყარაულის მიერ მიტანილი ინფორმაციის შემდეგ, სათავეში ჩადგომოდნენ მდევარ ჯარს და მოქმედება შესაბამისი ბრძანებისამებრ დაეწყოთ. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მდევარში გასვლა ევალებოდა ყველა მოსახლეს, დაკლების შემთხვევაში მათ დარბევა ემუქრებოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ სარდლები და ადგილობრივი თავადები მეფისაგან მათი მოქმედების არეალის შესახებ უმკაცრეს და ზუსტ ინსტრუქციებს იღებდნენ, ჯარის ასეთი სახეობაც ფეოდალურ, ბატონყმურ ელფერს ატარებდა. ჩანს, მეფის ცენტრალური პოლიტიკისათვის დამაკმაყოფილებელი, ჯარის არც ასეთი სახეობა იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1774 წელს სამეფო კარმა გადაწყვიტა, რომ არსებული ჯარის სახეობების ნაცვლად, შეექმნა ერთიანი სამხედრო ძალა. 1 იანვრის განჩინების საფუძველზე შექმნილი „მორიგე ჯარი“ ეფუძნებოდა 1774 წლამდე არსებულ „მორიგეს“ პრაქტიკას. თუმცა მათ შორის თვისებრივი განსხვავებებიც იყო. განჩინების საფუძველზე შექმნილ „მორიგეში“ გაწვევა სავალდებულო გახდა მთელი ქვეყნის სრულწლოვანი მამაკაცებისათვის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის გამოკლებით). გაწვევა აღარ ხდებოდა მებატონეებზე ყმათა შეწერით, არამედ დავთრებში შეტანილი იყო ყველა გასაწვევი პიროვნება. რეფორმის შედეგად ერეკლე II-ის ხელში აღმოჩნდა 5000 კაციანი სამხედრო ძალა. ეს აღარ იყო ფეოდალური ლაშქარი. ის იყო მუდმივი ჯარის ერთგვარი ნაირსახეობა. მუდმივი ჯარის შექმნა თავის მხრივ განაპირობა ქვეყნის ეკო-

ნომიკურმა წინსვლამ. გაზრდილი სამეფო ხაზინა მეფეს საშუალებას აძლევდა, ჯარში გამოსვლის სანაცვლოდ, გლეხები გაეთავისუფლებინა სურსათის გადასახადიდან (რაც დაახლოებით 45 000 მანეთს უდრიდა) და, ამავდროულად, „მორიგეს" მრავალრიცხოვანი მეთაურებისათვისაც (მინბაშები, უზბაშები...) დაენიშნა ჯამაგირი და ულუფა. „მორიგე ჯარისათვის" „აქიმი, ჯარა და ურდო ბაზარი" მეფეს გაურიგებია.

„მორიგე ჯარმა" თავისი დადებითი შედეგები მალევე აჩვენა: მოკლე ხანში აილაგმა ლეკთა თარეში. ერეკლე II-მ მისთვის არასასურველი ძლიერი ქსნის საერისთავოს გაუქმება უმტკივნეულოდ შეძლო.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ „მორიგე ჯარი" თავადთა წინააღმდეგობის შედეგად მალევე დაიშალა: „... მორიგე ლაშქრის მთავარი ხელმძღვანელი ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი იყო. ახალი ლაშქრის ასეთი სარგებლიანობის მიუხედავად თავადებმა მას შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს: მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლებას აძლიერებდა, ეს კი თავადებისათვის არ იყო სასურველი.

მორიგე ლაშქარი ბრძანებით არასოდეს გაუუქმებიათ, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი შესუსტება და ბოლოს სავსებით გაქრობა. უდიდესი ზიანი მოუვიდა მორიგე ლაშქარს მისი ხელმძღვანლის ლევან ბატონიშვილის მოულოდნელი სიკვდილით (1781 წ.). „სხვა ბატონიშვილები აგრე რიგად არ ზრუნავდნენ მორიგე ჯარზე და მალე ეს საქმე ანგარი მოხელეების ხელში, მათი საკუთარი შემოსავლის წყაროდ იქცა. ქრთამით ესა თუ ის თავადი სულ უფრო ადვილად ახერხებდა თავისი ყმებით მორიგეში გასვლისაგან თავის დაღწევას. მორიგეთა რიცხვმა თანდათან იკლო და ბოლოს სულ გაქრა" – აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

აკ. კლიმიაშვილმა მოიძია 85 დოკუმენტი, რომელიც 1781-1800 წლებში „მორიგე ჯარის" არსებობას ადასტურებს. კლიმიაშვილი მთელი ამ პერიოდის შესახებ „მორიგე ჯარის" არსებობის უცვლელ ხასიათზე მიუთითებს. თუმცა, ჩვენი აზრით, ამ დროს „მორიგე ჯარმა" ცვლილებები განიცადა.

კლიმიაშვილის მოტანილი 7 დოკუმენტიდან, რომელიც 1782-1784 წლებს ეხება, ნათლად დასტურდება, რომ „მორიგე ჯარი" თავისი ჩვეული სახით არსებობდა.

დოკუმენტების მიხედვით, 1785-1790 წლებში მდგომარეობა იცვლება. ამ საბუთების მიხედვით, „მორიგეში" გასასვლელთა დიდი ნაწილი თავის „ბადლად" იხდიდა ფულს. დოკუმენტებში ფიქსირდება „მორიგე ყარაულის" გამოყვანის ფაქტები (მაგ., 1789 წლის 17 სექტემბრის ბრძანება „თარხნიანთ" მხარედან „მორიგე ყარაულის" გამოყვანის შესახებ და ა.შ.). როგორც ჩანს, აღნიშნული 5 წლის მანძილზე „მორიგე ჯარი" „მორიგე ყარაულმა" შეცვალა. „ყარაულებს" ხელფასი „მორიგის საბადლოს" ფულიდან მიეცემოდათ.

წყაროებში დაფიქსირებულმა „მორიგის ბადლის ფულმა" საბჭოური ის-

ტორიოგრაფიის წარმომადგენლებს ზემოთ აღნიშნული დასკვნისაკენ უბიძგათ – „...მალე ეს საქმე („მორიგე ჯარის" ორგანიზება) ანგარი მოხელეების ხელში მათი საკუთარი შემოსავლის წყაროდ იქცა". თუმცა, იმდროინდელი ცნობები ნათლად მიუთითებენ, რომ „მორიგის საბადლოს" ფული მკაცრად კონტროლდებოდა და შესაბამისად მიზნობრივად იხარჯებოდა – „... თოფხანის ხურო დურგლებისა და ზარბაზნების მბურღავ-მქლიბავების ხელფასისათვის ქალაქის გიორგობის თვის სამორიგო საბადლოდამ სამი თუმანი ააკრეფინე და ბატონიშვილს ალექსანდრეს მიართვი, როგორც უმუშავებია, იმ გზით თითონ უბოძებს და სიას დააწერინებს. ეს თოფხანა საქვეყნო საქმე არის და სამორიგოც საქვეყნოა და ამისათვის დავხარჯეთ, თორემ სხვა საქმისათვის ხელს არ ვახლებთ" – აცხადებს ვინმე იოსები მანუჩარ მდივნისათვის მიცემულ წიგნში.

ჩანს, რომ 1785-1790 წლებში „მორიგე" ძველი წესით აღარ იკრიბებოდა. მის ნაცვლად წყაროებში ფიქსირდება „მორიგის საბადლო" ფული და „მორიგე ყარაული". საქმე ისაა, რომ 1783 წლის ბოლოს, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ნაწილები შემოვიდა, რის შედეგად 1784 წლის ზაფხულიდან განახლდა სურსათის შეკრება. ამას დაემეტა „სარუსო ხარკის" – „სარუსო სურსათის" – შეკრებაც. 1788 წლიდან კი, სურსათის შეკრებამ რეგულარული ხასიათი მიიღო.

როგორც ირკვევა, ერეკლემ, რუსეთის რეგულარული არმიის შემოსვლის შემდეგ, „მორიგეს" ძველებური სახით არსებობა ზედმეტად მიიჩნია. მუდმივი ჯარის ფუნქცია დაეკისრა რუსეთის ჯარს. მოსახლეობას კი, მათი სურსათითა და ფურაჟით მომარაგება ევალებოდა. მაგრამ ერეკლე II, როგორც ირკვევა, არ დაეყრდნო მხოლოს რუსული ჯარის ნაწილებს, რომელთა გადაადგილება საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვდა და „მორიგის საბადლო" გადასახადით შექმნა „მორიგე ყარაულის" მცირერიცხოვანი რაზმები. „მორიგე ყარაული" შეეწერებოდათ სოფლებს და ისინი თავის საყარაულო ფუნქციებს მეფის მიერ მიჩენილი მეთაურების ხელქვეით ასრულებდნენ. ქვეყანა დაიყო საყარაულო ადგილებად. ყარაულები იდგნენ ახალციხის საფაშოს საზღვარზე, ყარაიაში, ბედენზე, სხალნარში, ალგეთზე, დიდგორზე, ვერის ხევზე, შირაქში, დოესში, კლდეკარზე, სკრის ხეობაში, ქარელში და სხვა ადგილებში.

მიუხედავად იმისა, რომ არ გაგვაჩნია ოფიციალური ბრძანებულება „მორიგე ჯარის" სახეცვლილების შესახებ, ჩვენ მაინც ეს პროცესი სამეფო კარის სანქცირებულად მიგვაჩნია. ჩანს, პატარა ქვეყნის ეკონომიკამ, რუსეთის ჯარის ნაწილების შენახვის პარალელურად, „მორიგე ჯარის" ძველი სახით არსებობა ვერ უზრუნველყო (ამავე დროს არსებობდა საარტილერიო პოლკიც, რომლის შენახვაც საკმაოდ ძვირი ფუფუნება იყო).

1787 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. რუსეთის მთავრობამ საქართველოში თავის ჯარის ნაწილების ყოფნა მიზანშეუწონლად მიიჩნია და იმავე წლის აგვისტოში ჯარები უკან გაიწვია.

რუსეთის ჯარის გაწვევით ქვეყანას სამხედრო ძალა მოაკლდა. ამის მიუხედავად, ერეკლე II-ს „მორიგე ჯარი" ძველი სახით იმთავითვე არ აღუდგენია. 1788-1790 წლებში ქვეყნის სამხედრო დასაყრდენი „მორიგე ყარაული და საარტილერიო პოლკი იყო. ამავდროულად, წყაროებში ხშირად იხსენიება „სალეკო" გადასახადი. ეს გადასახადი განკუთვნილი იყო დაღესტნელი და სხვა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა დაქირავებული ჯარების შესანახად. როგორც ჩანს, სამხედრო პოტენციალის შესავსებად სამეფო კარმა მთიელთა დაქირავებას მიმართა.

მდგომარეობა 1791 წლიდან შეიცვალა. ამ წლის 14 მაისის საბუთიდან ირკვევა, რომ ერეკლე II-ს ძველი სახით „მორიგის" გამოყვანა კვლავ დაუმტკიცებია – „ჩვენ მაგიერად ენისელთ მოურავს დიმიტრის ასე უამბეთ: მერე, ახლა რომ ესევ მორიგის გამოყვანა დავამტკიცეთ, ჩვენ ასე გვეუბნებიან: სამღვდელონი, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი კაცნი თქვენა და თქვენს შვილებსა გყავსთო, თქვენ რომ გამოიყვანთ, ჩვენ როგორ დაგაკლდებითო. ახლა ჩვენ ყველგან მოხელეებსა წიგნები მივსწერეთ და თავთავისი სახელოების გამოყვანა დავადევით. შენთვისაც ასე გვიბრძანების: ენისელი შენი სახელო არის. რაც ამ თვის მორიგე არის, ახლავ საჩქაროდ უნდა გამოიყვანო და, სადაც ჩვენ ვიყვნეთ, იქ შემოგვყრიდე. თუ ამ საქმეზედ ბაჯითად არ მოიქცევი და შენი სახელოს კაცი დაგვაკლდა, შევიტყობთ, რომ ამ საქმის მოშლა გდომნია, ქვეყნისაც მუხანათობა იქნება, შენის მამულსაც და შენთვისაცა და, როგორც რიგი არის, ისეც გარდაგახდევინებთ. დიდად ბეჯითად უნდა მოიქცეთ და კაცი არ დააკლო, თორემ თუ კაცი დაგვაკელ, ქვეყნისაც დიდი წინააღმდეგობა არის და პასუხსაც ვეღარავის მისცემ. ყველა მოურავებისათვის და მოხელეებისათვის ასე მიგვიწერია და ასეც იცოდნენ. მაისის იდ (14). ქ. კს უოთ (1791 წ.)".

აკ. კლიმიაშვილის მოტანილი 13 დოკუმენტი მოწმობს, რომ 1791-1800 წლებში „მორიგე ჯარი" კვლავ ფუნქციონირებდა. წინა პერიოდის „მორიგისგან" განსხვავება ის იყო, რომ ქვეყანაში კვლავ იკრიბებოდა სურსათის გადასახადი, ამიტომ „მორიგეს" მიეცემოდა გარკვეული ჯამაგირი.

როგორც ვხედავთ, ერეკლე II-მ XVIII საუკუნის 70-იან წლებში შექმნა მუდმივი ჯარის ნაირსახეობა – „მორიგე ჯარი", რომელიც არსებობდა ქართლ-კახეთის საბეფოს გაუქმებამდე. „მორიგე ჯარი" თვისებრივად განსხვავდებოდა ფეოდალური ლაშქრისაგან. მისი შექმნით ერეკლემ სათავადო სახლებს მოუსპო გარკვეული იმუნიტეტი, რომელიც ჯარის საკუთარი (თავადთა) ნება-სურვილით შეკრებაში გამოიხატებოდა. მეფე აღარ იყო დამოკიდებული სათავადოს ლაშქარზე. მას გააჩნდა რეგულარული არმია.

თავი XVII

საარტილერიო ბატარეა. ცვლილებები სამხედრო ტაქტიკაში

„მორიგე ჯარი“ ერეკლე II-ს ესაჭიროებოდა „ლეკიანობის“ ასალაგმავად და მკაცრი საშინაო პოლიტიკის გასატარებლად. მაგრამ პატარა ქართლ-კახეთის სამეფო უფრო დიდი საფრთხეების წინაშე იდგა. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ევროპული ტიპის საველე არტილერიის დაარსება. ერეკლე II-ის სამხედრო რეფორმის ერთ-ერთ ფაზას სწორედ ასეთი ტიპის შეიარაღების დაარსება წარმოადგენდა.


საქართველოში, პირველად, ზარბაზნები XV საუკუნეში გამოჩნდა. ასეთ შეიარაღებას დამპყრობლები ხშირად გამოიყენებდნენ. ქართულ ციხეებში მყოფ საოკუპაციო გარნიზონებს ზარბაზნებიც გააჩნდათ. მათთან შეხება ქართველებსაც ჰქონდათ და სხვადასხვა გზით, უმეტესად ნადავლის სახით, ხელშიც უვარდებოდათ. საქართველოში, ბუნებრივია, ხვდებოდა ირანული და ოსმალური ზარბაზნები, რომლებიც საბრძოლო თვისებებით XVIII საუკუნეში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ რუსულ და ევროპულ ანალოგიებს. ზარბაზნები ორი სახის არსებობდა – საციხე და საველე. ქართველი მეფეები ცდილობდნენ მათ ადგილზე დამზადებას, რაც დიდ ხარჯებსა და რთულ ტექნოლოგიურ ცოდნას მოითხოვდა. ერთ-ერთი პირველი ასეთი მცდელობა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს (1574-1605 წწ) ჰქონდა, თუმცა უშედეგოდ.

წყაროებში დასტურდება, რომ ერეკლე II-ს შეუქმნია საველე არტილერია, რომელიც მძლავრ იარაღად იქცა ქართველი მეფის ხელში. ბუტკოვი საველე არტილერიის დაარსებას 1770-72 წლებში რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების ქართლ-კახეთში შემოსვლას უკავშირებს – „რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნისა და რუსეთის დეზერტირებისაგან მეფე ირაკლიმ მიიღო ის სარგებლობა, რომ იპოვა საშუალება დაეარსებინა თავისი საველე არტილერია. მაშინ ის შედგებოდა არა უმეტეს 10 ზარბაზნისაგან და მისი უფროსობა ჩაბარებული ჰქონდა მინბაშ[47] (ათასისთავს), რომელსაც ჰყავდა ხელქვეით უზბაში (ასისთავი) და 60-მდე რიგითი მეზარბაზნე. დროთა ვითარებაში ზარბაზნების რიცხვი გაიზარდა 15-მდე პაატა ანდრონიკოვის მიერ, რომელმაც ცოდნა საარტილერიო მეცნიერებაში მიიღო რუსეთში. მან მოაწყო თბილისში ჩამომსხმელი საამქრო, სადაც გადაადნო ზარბაზნები და ჩამოასხა ისინი ევროპული კალიბრის მიხედვით“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ უკვე 1768 წელს ერეკლე II-ს ჰქონია ზარბაზნების ჩამომსხმელი ქარხანა. ეს მოსაზ-

47 ბუტკოვი არტილერიის მეთაურად მინბაშს ასახელებს, თუმცა, ცნობილია, რომ არტილერიას თოფჩიბაში ხელმძღვანელობდა.

რება დამყარებულია აბატ იოსებ დე ლა პორტის ცნობებზე, რომელიც აღნიშნავდა: „... თფილისში აკეთებენ ზარბაზნებს, ყუმბარებს, წამალს“. გაზიარებულია პლატონ იოსელიანის აზრი, რომ თითქოს დე ლა პორტი საქართველოში მოგზაურობდა 1768 წელს. თუმცა, ვფიქრობთ, დე ლა პორტის მოგზაურობის თარიღი არასწორადაა სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი და კორექტირებას საჭიროებს. დე ლა პორტის ნაშრომიდან ჩანს, რომ იგი საქართველოში იმყოფებოდა არა 1768 წელს, არამედ 1770 წლის შემდგომ. მოგზაური მიუთითებს, რომ „დროიდგან როსიისა მხედრობის ყოფისა, მეფეს შემოუღიეს თვის შ[ორი]ს სკამნი, სტოლნი, საქსონის ჭურჭელნი....., ვიდრემდი არა მოვიდა იმერეთსა შ[ინ]ა კორპუსი როსიისა მხედრობისა დროსა შინა უკანასკნელ ბრძოლისასა...“. როგორც ჩანს, დე ლა პორტი საქართველოში ტოტლებენის




ერეკლე II-ს ზარბაზანი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

ექსპედიციის შემდგომ იმყოფებოდა. იგი რუსეთ-თურქეთის „უკანასკნელ ბრძოლაზე“ წარსულ დროში საუბრობს და ამიტომ 1774 წელზე ადრე ის საქართველოში არ იმოგზაურებდა (რუსეთ-თურქეთის ომი დასრულდა 1774 წელს). ამდენად, დე ლა პორტის მოგზაურობა, 1774 წლის ახლო ხანებით უნდა დავათარიღოთ.

მიუხედავად ამისა, 1770 წელს, თბილისში, ზარბაზნებს რომ მართლაც ამზადებდნენ, ეს ჩანს კაპიტან იაზიკოვის ცნობიდან. მაგრამ ზარბაზნების „ქარხანაზე“ არაფერს ამბობს, 1771-1772 წლებში, საქართველოში მყოფი გიულდენშტედტი, რომელიც საგულდაგულოდ აღწერს თბილისის მნიშვნელოვან საწარმოებს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ 1770 წელს ზარბაზნების და ყუმბარების

სერიული წარმოება არ მიმდინარეობდა, არამედ მათი ერთჯერადი ჩამოსხმა განხორციელდა. სწორედ ამიტომ არ მოხვდა ეს „ქარხანა“ გიულდენშტედტის თვალთახედვის არეში. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ზარბაზნების წარმოება და საველე არტილერიის შექმნა დაწყებულა რუსეთის რეგულარული არმიის შემოსვლის შემდეგ – 1770 წელს. თავდაპირველად ზარბაზნების ჩამოსხმას ერთჯერადი სახე ჰქონდა და, სავარაუდოდ, 1772-1773 წლებიდან, თბილისში მუდმივად ამუშავდა ზარბაზნების, მორტირების და ყუმბარების დამამზადებელი ქარხანა. პირველ ხანებში თბილისის ქარხანა არც თუ ხარისხიან ზარბაზნებს ასხამდა. დე ლა პორტი თოფისწამლის დაბალ ხარისხზეც მიუთითებს, თუმცა, მოგვიანებით, ტექნოლოგია დახვეწილა და ზარბაზნები „ევროპული კალიბრის მიხედვით“ ჩამოუსხამთ. გაუმჯობესებულა, აგრეთვე, თოფის წამლის წარმოებაც და 1784 წელს თბილისის ქარხნის თოფის წამალი აღნიშნულია, როგორც ძალიან კარგი ხარისხისა.



ზარბაზნის ნახაზები. XVIII ს-ში გადაწერილი საარტილერიო წიგნიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-4810, ფურცელი 57

წყაროთა უმეტესობა ერთხმად მიუთითებს, რომ საველე არტილერია დაარსდა ქიზიყის მოურავის შვილის, პაატა ანდრონიკაშვილის მიერ, რომელმაც საარტილერიო ცოდნა რუსეთში მიიღო.

განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის *S* ფონდის № 167 საბუთი. ეს არის რუსულიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი საარტილერიო წიგნი. წიგნს აქვს შემდეგი მინაწერი: „...მეფეთ-მეფე... ირაკლიმ მიბრძანა რუსულს დასტურზე არტილერიის გაკეთება საქართველოს კაცს, გიორგი თარხანს. სახელითა მღთისასა, შეწევნითა პატრონისა ჩემისათა, გავაკეთე ზარბაზნები, რომ რუსთაც დიდათ მოსწონსთ, ქართველთა და კახთაც დიდად იმედად უჩანსთ“.

როგორც ვხედავთ, საველე არტილერიის დამაარსებელი და მისი მეთაური ყოფილა გიორგი თარხანი.


გიორგი თარხანი რომ არტილერიის მეთაური ანუ თოფჩიბაშია, ეს ჩანს

1776 წლის საბუთიდანაც: „...მე თოფჩიბაშს თარხანს გიორგის და ჩემს ნაიბს გაბრიელს სამის თვისა ჩემი, ჩემი ნაიბისა და თოფხანის სრულად ამალისა სამოცდა თვრამეტი თუმანი ექვსი მინალთუნი და ხუთი შაური თქვენ ლაშქარნივისის მანუჩარისაგან მოგვებარა ბარათებით“.

საისტორიო ტრადიცია ზარბაზნების ჩამოსხმასა და საველე არტილერიის დაარსებას მიაწერს პაატა ანდრონიკაშვილს და არა გიორგი თარხანს. XVIII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში პაატა ანდრონიკაშვილის რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ საარტილერიო საქმეში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. დაიხვეწა ზარბაზნების ჩამოსხმის ტექნოლოგიები – „...მან მოაწყო (ანდრონიკაშვილმა.) თბილისში ჩამომსხმელი საამქრო, სადაც გადაადნო ზარბაზნები (ალბათ, გიორგი თარხნის ჩამოსხმული) და ჩამოასხა ისინი ევროპული კალიბრის მიხედვით“. ცვლილება იმდენად რეზონანსული გამოდგა, რომ არტილერიის დაარსება მხოლოდ მას მიეწერა. პაატა ანდრონიკაშვილის რუსეთიდან ქართლ-კახეთის სამეფოში დაბრუნების შემდეგ, ერეკლე II-ს თოფჩიბაშის ანუ არტილერიის მეთაურის თანამდებობა გაუყვია და გიორგი თარხანთან ერთად ანდრონიკაშვილისათვის ჩაუბარებია. 1780 წელს კი არტილერიის მეთაურად მხოლოდ პაატა ანდრონიკაშვილი გვევლინება – „...ჩვენ ქართლისა და კახეთის მეფე ირაკლიმ გიბოძეთ შენ, ქიზიყის მოურავიშვილს პაატას თოფჩიბაშს. აქამდინ თოფჩიბაშობა გაყოფილი იყო. ახლა მთლად და საკუთრად შენ დაგადგინეთ და შენ გიბოძეთ, რაც თოფჩები თარხანს გიორგის ებარნენ, ისინიც შენ უნდა მიიბარო და ამათ სწავლაზედ ბეჯითი უნდა იყო და სხვის შემოყვანასაც ეცადე, რომ თოფხანაში თოფჩები გაიმრავლო. შენთვის ჯამაგირათ წელიწადში ორმოცი თუმანი გაგვიჩენია, ნახევარი ნაღდი და ნახევარი ჯინში მოგეცემა. ნაღდი ოცი თუმანი მადნებიდამ მოგეცემა და ჯინში ოცის თუმნისა საბეჭდავის იჯარიდამ მოგეცემა. ამას გარდა, რაც შენთვის ულუფა გაგვიჩენია, ის სხვა ოქმით მოგეცემა“.

აკ. კლიმიაშვილმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ვაიდერბაუმის არქივის კართოტეკის „გ“ ასოზე მიაკვლია შემდეგი შინაარსის ჩანაწერს: „1784 წელს დავით ბატონიშვილის აღსაზრდელად ერეკლე II-ს მოუწვევია ავსტრიელი იოსებ იაკობის ძე გეტინგი, რომელსაც ერეკლეს დავალებით ზარბაზნები გაუკეთებია. 1795 წელს გეტინგი კრწანისის ომში დაჭრილა. აღა-მაჰმად-ხანს იგი ტყვედ წაუყვანია ირანში, საიდანაც 1798 წელს დაბრუნებულა. ერეკლეს მისთვის არტილერიის კაპიტნის ხარისხი უბოძებია. შეიძლება აქ საქმე გვქონდეს არტილერიის შემდგომ რეორგანიზაციასთან. საინტერესოა, რომ იმავე 1784 წელს ერეკლე II-ს ბრძანებით თელავის სემინარიის რექტორს, გაიოზს რუსულიდან ქართულ ენაზე კიდევ ერთი სამხედრო ხასიათის წიგნი – 1753 წელს პეტერბურგში დაბეჭდილი „სამხედრო ტიბიკონი და სამხედრო არტიკული“ – უთარგმნია. მინაწერიდან ირკვევა, რომ აღნიშნული წიგნი იოანე ბატონიშვილის საკუთრება ყოფილა. როგორც ჩანს, იოანე ბატონიშვილი


დაინტერესებულა საარტილერიო საქმით და საუკუნის მიწურულს ის კიდეც გვეელინება თოფჩიბაშად ანუ ფელდცეხმეისტერად – „წყალობითა ღთისასაითა ჩვენ... სრულად ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფემან გიორგიმ დაგადგინეთ შენ ჩვენი ძე იოანე ფელციხ მეისტერად რომელ არის თოფჩიბაშობა და გარწმუნეთ ყოველი ჩვენი არტილერია და მსახურნი მისნი აფიცერნი და თოფჩნი და რომელიც სახმარი ნივთნი არიან ტყვია ან წამალი თურამ სხუა იარაღი ყოველივე შენის კითხვით უნდა გარიგდეს და განგიწესეთ წელიწადში შენის სახელოს ჯამაგირი და ულუფა თეთრი ოთხმოცდა ათი თუმანი. ეს ყოველს წელიწადს ჩვენის სარქრიდამ (მოგეცემა) ჩვენს ერთგულობასა და ჩვენც შენის თანამდებობისაებრ თავ დადებით უნდა იყო ჩვენსა და ქვეყნის სამსახურში. აღიწერა თვესა ივნისს ი (18) ქ. კს უპვ (1798)“.



ზარბაზნის ნახაზები. XVIII ს-ში გადაწერილი საარტილერიო წიგნიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-4810, ფურცელი 70

ერეკლე II-მ ფელდცეხმაისტერის თანამდებობის გარდა დააწესა კაპრალის, უნტერ-ოფიცრის, სერჟანტის, ოფიცრების: არტილერიის კაპიტნის, მაიორისა და პოლკოვნიკის ჩინები და წოდებანი.

წყაროებში ოფიცერთა კორპუსის წევრი შემდეგი პირები არიან მოხსენიებულნი: პაატა ანდრონიკაშვილი ფელდცეხმეისტერი და პოლკოვნიკი, არტილერიის პოლკოვნიკი იოანე ქობულაშვილი, მაიორები – გაბრიელი, გიორგი გურამიშვილი, ნაზარაშვილი, არტილერიის კაპიტნები – გიორგი თუმანიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, ყალამთაროვი, გიორგი ჩემსურაშვილი. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, თბილისის ზარბაზნების ქარხნის გამგე ყოფილა თავადი ივანე აბამელიქი, რომელიც 1830 წლის ახლო ხანებში არტილერიის გენერალ-მაიორის ჩინით პეტერბურგში გარდაცვლილა. სავარაუდოდ, ისიც საარტილე-



ზარბაზნის ნახაზები. XVIII ს-ში გადაწერილი საარტილერიო ნიგნიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, S-4810, ფურცელი 75

რიოს ოფიცერთა კორპუსის წევრი იქნებოდა.

საარტილერიო პოლკის მსახურები წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი იერარქიით: ფელდცეხმეისტერი, 1 პოლკოვნიკი, 2 მაიორი, რამდენიმე კაპიტანი, სერჟანტები, უნტერ ოფიცრები, კაპრალები და რიგითი სალდათები ანუ თოფჩები.

1788-1789 წლის თოფხანის წევრებისათვის მიცემული ჯამაგირის და ულუფის გამწესების წიგნებიდან შესაძლებელია საარტილერიო პოლკის უფრო წვრილი შენაერთების დაკომპლექტების შესახებ ინფორმაციის მოძიებაც – „... თოფხანაში განწესებულ სალდათებს ერთს სერჟანტს, ორს კაპრალს და ცხრამეტს სალდათს თავეთ განწესებული სამი თვის ჯამაგირი თერთმეტი თუმანი, ორი მინალთუნი და თოთხმეტი შაური მოეც.... მოგვებარა ჩვენ, უნდერ აფიცარს პეტრესა და ჩვენს თაბუნს თოფჩებს თვრამეტს კაცს, ბატონის განწესება კვირაში კაცისათვის ხუთი ჩარექი ღვინო, რომ თვრამეტს კაცის შეიქმნება ერთ თვისა ოთხმოცდა ათი თუნგი ღვინო. ერთი თვის პურიც სამ კაცზე ერთი ლიტრა, რომ იქნება ერთი თვისა თვრამეტი კოდი".

ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაახლოებით 20 კაცი შეადგენდა ერთ თაბუნს, ანუ ოცეულს. მას ხელმძღვანელობდა სერჟანტი ან უნტერ-ოფიცერი. მათ განკარგულებაში იყო 2 კაპრალი და 18-19 „სალდათი". გამოდის, რომ კაპრალები ხელმძღვანელობდნენ ათეულებს, რამდენიმე თაბუნის მეთაური იქნებოდა კაპიტანი და ა.შ.

ამავე წყაროებიდან ირკვევა, რომ ერეკლე II დიდად ზრუნავდა, როგორც რიგითი მეზარბაზნეების – თოფჩების რაოდენობის გაზრდაზე, ასევე, კვალი-

ფიცირებულ ოფიცერთა კადრების შექმნაზე. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა, 1794 წლის ერეკლე II-ის წერილი გარსევან ჭავჭავაძისადმი: „...სომხითის მელიქოვი სტეფან პავლიჩი რუსეთს იყო, იქ რუსული ენა და წიგნი ისწავლა და აქ ჩვენთან მოვიდა და ჩვენ ისევ მანდ რუსეთს შენთან გამოვისტუმრეთ იმ მიზეზისათვის, რომ ინჟინერნი კრეპუსტში მიაბაროთ და კამთლეთში (კომპლექტში) იმყოფებოდეს. მათის დიდებულების ყოვლად მოწყალის ხელმწიფის მოწყალებით; ეგების არტილერიის საქმე ისწავლოს და ამ ქვეყანას გამოადგეს...“.

იმის გარდა, რომ ერეკლე საარტილერიო ცოდნის მისაღებად უცხოეთში (ძირითადად რუსეთში) ახალგაზრდებს გზავნიდა, ამავე დროს ცდილობდა კადრების ადგილზე მომზადებასაც: „მისმა სიმაღლემ, სანატრელმა მეფემ ირაკლიმ იმერეთიდან გადმომიყვანა პატარა და აქ თავის არტილერიის სამსახურში განმაწესა...“ – აცხადებდა აზნაურიშვილი კაპიტანი გიორგი ჭუმბურიძე.

ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია, 1789 წლის ერეკლე II-ის სიგელი თავად გიორგი თუმანიშვილისადმი არტილერიის კაპიტნის ხარისხში აყვანის შესახებ: „წყალობითა ღუთისათა ჩვენ ირაკლიმ მპყრობელმან სრულიად საქართველოსა და სხვათამან. ცნობილ და განცხადებულ ქმნილი არს ჩვენთან თითოეულად თავადის გიორგის თუმანოვისაგან სამსახური, რომელმანცა არტილერიისა შინა ჩვენსა იმსახურა რაოდენთამე წელთა შინა, პირველად თოფჩად, მერმე კაპრალად და უნდერაფიცრად და შემდგომად სერჟანტად. და ამისთჳს განვაცხადებთ ჭეშმარიტითა განსჯითა ამის მიერ სამსახურსა ჩვენისა, რომლისა მიზეზისათვის შესაბამისად შრომისა თვისისა მიენიჭა არტირელიისა ჩვენისა აფიცრობა წელთა ჩღთ, ათას შვიდას ოთხმოცდა ცხრასა. აქვს სამხედროთა ჩვენთა განსწავლილთა მწყობრთა შორის უხუცესი ხარისხი კაპიტნობისა და ამისათვის ბრძანებითა მოვავლენთ არტილერისა ერთა და ყოველთა ჩუენთა მკვიდრთა ერთა ზედა რათა მიიღოთ თანამდებობითა პატივითა თავადი გიორგი თუმანოვი, აფიცარი არტილერიისა ჩვენისა, რომლისადმიცა სარწმუნოდ რწმუნებულ ვართ კეთილის ერთგულებითსა სამსახურსა, ვითარ ხელითავე ჩვენითა ვაწერთ და ბეჭდით ჩვენითა ვბეჭდავთ უცვალებლად და დავამტკიცებთ. თთვესა აგვისტოსა კზ (27), ქ. კს უოზ (1789). სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს“.

ამ საბუთიდან ჩანს, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერეკლე II პროფესიონალი კადრების ჩამოყალიბებას და, საერთოდ, არტილერიას. თავადმა თუმანიშვილმა, რიგითი მეზარბაზნიდან (თოფჩიდან) დაწყებული, ყველა საფეხური განვლო და შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების დაგროვების შემდეგ კაპიტნის ხარისხი მიიღო. ე. ი. სამხედრო მოსამსახურეებს, წოდებისა და დომენის მიუხედავად, ოფიცრობამდე გზა უმცირესი თანამდებობიდან უნდა გაევლოთ. აღნიშნული საბუთიდან ირკვევა, რომ ერეკლე II-ის რეფორმების შედეგად შექმნილ სამხედრო ძალებს არავითარი კავშირი აღარ აქვს ფეოდალურ-ბატონყმურ ლაშქართან. სამხედრო სამსახური თავადმა თუმანიშვილმა

თოფჩის ჩინით ხომ ყმა-გლეხების გვერდით დაიწყო.

აღნიშნული საბუთი ამყარებს დავით ბატონიშვილის „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვის“ № 864 მუხლს, რომლის მიხედვითაც ერეკლე II ქვეშევრდომებისაგან, საზოგადოებრივი წოდების მიუხედავად, მოითხოვდა პირად შრომასა და საზოგადოებრივ გარჯას. ასეთი მიდგომები კი ემსგავსებოდა პეტრე I-ის შემოღებულ „ტაბელს რანგთა შესახებ“.

ერეკლე II არტილერიის მოსამსახურეთა გაზრდისათვის სხვადასხვაგვარ ღონისძიებებს მიმართავდა. თოფჩიბაშ პაატა ანდრონიკაშვილს ხომ პირდაპირ უთითებდა: „...სხვის შემოყვანასაც ეცადე, რომ თოფხანაში თოფჩები გაიმრავლოთ“. ერეკლეს თოფჩების გამოყვანა მოსახლეობისთვისაც შეუწერია – „... გორელებს, რომ თოფჩები შააწერეთ, გორელებმა ჩემი თავი გაახლეს თოფჩათა, თორმეტი წელიწადია თქვენს სამსახურში გახლავარ“ – აცხადებდა გლეხი ზურაბ ულუპიაშვილი (საინტერესოა, რომ ეს გლეხი კერძო მებატონის ყმა ყოფილა).

სხვადასხვა საბუთით ირკვევა, რომ ერეკლე II თოფხანის მსახურებს მრავალ შეღავათს უწესებდა: „შენ ჩვენის არტილერიის მცველად დაგაყენეთ და ასე გაგააზატეთ, რომ არა სათათრო, არა სალეკო, არა სამასპინძლო და არა სამოურაო და სანაცვლო, არა სასოფლო და ხარჯი და ბეგარა არა გეთხოვებოდეს რა, მარტო ამ მცველობის მეტი, და რაც ულუფა და ჯამაგირი განგვიწესებია, ისიც უკლებლივ გექნებათ და თუ ვინმემ გაგლახოს, ან დაგჭრას და ან მოგკლას, რაც ერთის აზნაურიშვილის სისხლი აიღებოდის... ის გაგიჩინოს... და მოგცენ. ამას გარდა, თუ ერთი ძმის მეტი არა გყვანდეს, მორიგეში ნურც ის გამოვა. და თუ, ერთის გარდა, სხვა ძმა და ან სახლის კაცი გყავნდეს, ერთის კი ნუ გამოვა და სხვათ ყველამ თავთავის მორიგეობის თვეშიდ იარონ. და შენც მანამდის სამსახურში იქნები, ჩვენგან ეს წყალობა არ მოგეშლება, და როდესაც ამ სამსახურიდან გახვალთ, ეს წყალობაც მოგეშლება და ეს წიგნიც ბათილი შეიქმნება, მაგრამ თუ არ დიდის მიზეზისათვის და ანუ რომლისამე დიდის სნეულებისათვის შენი ამ სამსახურიდამ გასვლა კი აღარ იქნება...“.

სულ მალე თოფხანაში სამსახური საკმაოდ მიმზიდველი გამხდარა. იასე ოსეს ძე გადმოგვცემს: „შარშან რომ რუსები შემოვიპირე (სავარაუდოდ, რუსეთის ჯარის დეზერტირები), ივანე პატარა დიღმიდამ, სტეფანე თიანეთიდამ, ნიკოლა ჯინჯილხანიდამ, დიდი ივანე სასტიკის საპყრობილედამ, მშიერი, შიშველი, სასიკვდილოს მიცემული გამოვიყვანე. ჯერ ეს იყო ოსე (იესეს შვილი) გამიქცია, ახლა ოთხივ ერთად გაიქცნენ და თოფხანაში შევიდნენ“. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ აღწერის ერთ-ერთი დავთრში დაახლოებით 500 კომლ მოსახლეში 8 თოფჩი ფიქსირდება.

თოფხანაში პროფესიონალი მსროლელების – სალდათების გარდა მსახურობდნენ დურგლები, ხუროები, მბურღავები და მქლიბავები: „...თოფხანის ხურო დურგლებისა და ზარბაზნების მბურღავ-მქლიბავების ხელფასისათვის

ქალაქის გიორგობის თვის სამორიგო საბადლოდამ სამი თუმნი ააკრეფინე...". მეფემ მათაც ჯამაგირი და შელავათები დაუწესა: „მაიორი გაბრიელ... ჩვენ არტილერიაში ხურო გვჭირვებოდა, ეს ივანე ხურო არტილერიაში განგვიწესებია, ნუსხაში უნდა ჩააგდო და მოხელეებთანაც გამოაცხადო, რომელიც არტილერიის ხუროს ჯამაგირი და ულუფა ჰქონდეს, იმასაც ის უნდა მიეცეს და ამის მოდავეს, რაც გასვლია ამ ივანე ხუროში ჩვენ მივსცემთ". ერეკლეს მისთვისაც მრავალი პრივილეგია მიუნიჭებია.

ბუტკოვის ცნობით, თავდაპირველად, არტილერიაში მინბაში, უზბაში და 60-მდე რიგითი მეზარბაზნე მსახურობდა. დროთა განმავლობაში, მათი რაოდენობა იზრდებოდა. იოანე ორბელიანის ცნობით, სულ თოფხანაში 400-მდე თოფჩი მსახურობდა. ისინი სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ ჯამაგირს (რიგითი ჯარისკაცი წელიწადში 20-25 მანეთს)[48], ულუფას, ტანისამოსს და ა.შ.

თოფხანის განკარგულებაში იყო, აგრეთვე, ზარბაზნებისა და მორტირების ჩამოსასხმელი ქარხანა. ეს საწარმო ნედლეულს, ნაწილობრივ, ახტალა-ალავერდის მადნებიდან (ტყვია, სპილენძი) და, ნაწილობრივ, რუსეთიდან (რკინა-ფოლადს) იღებდა. თოფხანასვე ემსახურებოდა, აგრეთვე, „ავლაბრის ციხის გარეთ" მდგარი თოფისწამლის ქარხანაც.

არტილერიის გადასაადგილებლად თოფხანაში განწესებული იყვნენ მეურმეები, რომლებიც მეხრეთუხუცესის გამგებლობაში იმყოფებოდნენ – „მოგაბარეთ ჩვენი არტილერიის ხარები და გაგიჩინეთ წელიწადში ჯამაგირი თორმეტი თუმანი", ბრძანებდა ერეკლე II 1787 წელს მეხრეთუხუცეს დავით მეფურიშვილისადმი მიცემულ სიგელში.

პლატონ იოსელიანის თქმით, „ასოცი ხარი და კამბეჩი იყო მზად ზარბაზნებისათვის დანიშნული და მეხრენი".

ბუტკოვის ცნობით, ერეკლე II-ის საველე არტილერია 10 ზარბაზნისაგან შედგებოდა და „დროთა ვითარებაში ზარბაზნების რიცხვი პაატა ანდრონიკაშვილის მიერ 15-მდე გაიზარდა". ბურნაშოვი გადმოგვცემს, რომ „...ქართულ არტილერიას ატარებენ ხარებით, თუმცა ის არაა გაკეთებული საავსებით სწორად და არ არის მთლად გამართული, მაინც საშიშია მათი მეზობელი მტრებისათვის, რადგან მათ ეს არ აქვთ. ეხლა ერეკლეს აქვს 12 საკუთარი ზარბაზანი, ჩამოსხმული ტფილისში".

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი მოგვითხრობს, რომ ერეკლეს „ჰქონია ოცდაოთხი განწყობილი ზარბაზანი თავის ჩამოსხმულის სახლითი, რომელსაცა სითკენაც უნდოდა, იქით წაიღება... სადაც კი ზარბაზნებს წაიღებდა ხოლმე მტერსა რეგუდა".

---

48 მეზარბაზნეთა ჯამაგირის რაოდენობა გაანგარიშებულია ერთ-ერთი ცნობიდან, სადაც აღნიშნულია, რომ „თოფხანის სალდათებს" – ერთ სერჟანტს, ორ კაპრალს და ცხრამეტ სალდათს სამი თვის ჯამაგირის ანგარიშში გადაეცათ 113 მანეთი და 70 კაპიკი.

გარდა საველე არტილერიისა, ქართლ-კახეთის მთავარ ციხე-სიმაგრეებშიც (თბილისის ციხეებში – ნარიყალა, მეტეხი; გორში, თელავში, სიღნაღში და სხვ.) იყო განთავსებული ზარბაზნები. მაგალითად, გიულდენშტედტი გადმოგვცემს, რომ ქალაქ სიღნაღის „...თავდაცვა შედგება 5 ექვსფუნტიანი ქვემეხისაგან, რომლებსაც „მოდარაჯე გარნიზონის ხელში მას აქაური იოლი მტრისათვის აუღებელს ხდის“. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, ერეკლე II-ს 85 საციხე ზარბაზანი ჩამოუსხამს. როდესაც მათ თავისი მნიშვნელობა დაკარგეს, 1836 წელს, რუსეთის მთავრობის განკარგულებით ეს სახაზინო ზარბაზნები საჯარო ვაჭრობით გაყიდულა „სპილენძის ჯართად მათ გადასაქცევად“. მის დრომდე შემორჩენილა მხოლოდ ერთი, გორის ციხის ზარბაზანი. ამ ზარბაზანს ჰქონია შემდეგი წარწერა: „ქ. სახელისა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. ამინ. მოჰფინე რისხუა შენი თესლთა ზედა, რომელთაცა არა-ელიან შენ. დაეცემოდიან მათ ზედა ნაკურცხალინი ცეცხლისანი და ვერ დაუთმონ. მეფე ირაკლი ვამბობ“.

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ერეკლე II-მ საარტილერიო ბატარეის შექმნა დაიწყო. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი. ეკონომიკური განვითარების პერალელურად, ზარბაზნების და მორტირების ჩამოსხმის პროცესი დაიხვეწა, გაიზარდა ჯარისკაცთა რაოდენობა და ა.შ. საბოლოოდ, ერეკლე II-მ მიიღო პატარა, მაგრამ მობილური, კავკასიის მასშტაბით დაუმარცხებელი, ევროპული ტიპის არტილერია. ამას მოწმობს 1779 წლის – ერევანზე, 1787 წლის – განჯაზე და სხვა ლაშქრობები; თუმცა სახელმწიფო ხაზინის შემოსავლები მეფეს საშუალებას არ აძლევდა მისი კიდევ უფრო გაზრდისათვის. ეს ძალა ხომ საკმარისი არ აღმოჩნდა ირანის შაჰის დასამარცხებლად.

დავით ბატონიშვილის ცნობით, ერეკლე II-ს დაუარსებია სამხედრო კანტორაც – „Военная кантора“, სადაც ინახებოდა შეიარაღება – თოფ-ზარბაზნები, ტყვია-წამალი, ყუმბარები, პროვიანტი და ფურაჟი.

ბურნაშოვის გადმოცემით, სამხედრო კანტორიდან ტყვია-წამლით, შეიარაღებით, სურსათითა და ფურაჟით მარაგდებოდა, როგორც მუდმივი სამხედრო ძალები, ასევე მეფის მცველთა რაზმები და, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი სამხედრო ძალებიც.

საქართველოში რუსეთის იმპერიის წარმომადგენელის ლვოვის 1772 წლის მოხსენებიდან პირველი მინისტრისადმი ირკვევა, რომ ერეკლე II-ს მუდმივი სამხედრო ძალებისათვის რუსული სამხედრო უნიფორმების მსგავსი სპეციალური სამოსი შემოუღია.

ერეკლე II-ის სამხედრო რეფორმასთან არის დაკავშირებული ქეშიკჩიბაშის (მცველთუხუცესის) სახელოს დაარსებაც. ქეშიკჩიბაში იყო მეფის მცველთა რაზმის – ქეშიკების მეთაური (მანამდე მეფის დაცვა ყულარაღასს – მონათ უხუცესს ევალებოდა) დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ „ქეშიკად მე-

ფისა, ანუ ღვარდიად მეფისა, არიან ადრიდგანვე დაწესებულნი თუშნი, ხევსურნი და ფშავნი. ესენი არიან მთის კაცნი და ერთგულნი მეფეთანი". მეფის მცველთა რაზმები პროფესიონალებისაგან დაკომპლექტებული მუდმივი ჯარის ნაირსახეობა იყო.

ამავდროულად, ერეკლეს არ გაუუქმებია სასარდლოები. ფეოდალური ლაშქარი მუდმივად არსებობდა. პატარა ქვეყანას არ შეეძლო ძლიერი საგარეო საფრთხეების მოგერიება სამეფო მუდმივი ჯარით „ქუდზე კაცის" გარეშე. თუმცა, მკაცრად განისაზღვრა სარდალთა უფლება-მოვალეობანი და ისინი სამეფო კარის რიგით მოხელეებად იქცნენ. სადროშოს მეთაურები კვლავინდებურად დიდი სათავადოების წევრები იყვნენ. მაგრამ მუდმივი სამხედრო ძალების არსებობის ფონზე, სარდლების მეთაურობით გამოყვანილმა ლაშქარმა სარეზერვო ჯარის სახე შეიძინა. მის შეკრებას მუდმივი ხასიათი აღარ ჰქონდა. დროთა განმავლობაში ჯარის ეს სახეობაც კარგავდა ფეოდალურ-ბატონყმური ლაშქრის ფუნქციებს. ერეკლე II-მ „სარეზერვო" სარდლებს ჯარის შეკრების თავისუფლება ჩამოართვა. ასეთი ტიპის ჯარების მობილიზაციაც სამხედრო კანცელარიაში არსებული აღწერის დავთრების მიხედვით ხდებოდა. სარდლები გადაიქცნენ მეფის რიგით მოხელეებად და, უმეტესად, ძირძველი დიდი თანამდებობის სხვადასხვა ასპექტებმა ფორმალური ხასიათი შეიძინეს. სარდლის კომპეტენციიდან გავიდა სასარდლოში არსებული ციხე-სიმაგრეების დაცვაც. მაგ., გორის ციხის დაცვა ევალებოდა არა ამილახვარის დაქვემდებარებულ მოხელეს, არამედ – ცენტრალური ხელისუფლების დანიშნულ მინბაშს.

ხშირი იყო სარდლების როტაციაც. მეფე მათ თანამდებობაზე დამსახურების მიხედვით ნიშნავდა. ამ მხრივ, საინტერესოა პაპუნა ორბელიანის ცნობა, მემარჯვენე სასარდლოს მეთაურთა როტაციის შესახებ: 1744 წელს ზემო ქართლის სადროშოს სარდალი იყო დიმიტრი ამილახვარი, იგი მალევე იქნა გადაყენებული თანამდებობიდან და 1748 წლიდან სარდლად გვევლინება ამირინდო ამილახვარი. საბუთიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის 60-იან წლებში მას თანამდებობა დაატოვებინეს და მინბაში რევაზ ამილახვარი ხდება სარდალი, მოგვიანებით, 70-იან წლებში, რევაზ ამილახვარის სიცოცხლეშივე, სარდლად მდივანბეგი იასე დაინიშნა, რომელიც იმავე საუკუნის 80-იან წლებში მინბაშმა ოთარ ამილახვარმა შეცვალა. იასე ამილახორს მხოლოდ გორის მოურაობა აკმარეს. მოგვიანებით, დავით ბატონიშვილმა ოთარ ამილახვარი დააპატიმრა და სარდლად გიორგი ამილახვარი დანიშნა.

ერთი სიტყვით, ერეკლე II-მ სამხედრო რეფორმების შედეგად შექმნა ფეოდალური ლაშქრისაგან განსხვავებული მუდმივი ჯარის სახეობები. მეფე აღარ იყო დამოკიდებული თავადურ ლაშქარზე და ამით, ფაქტობრივად, გააუქმა სათავადოთა პოლიტიკურ უფლებათაგან ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლინება – „სამხედრო იმუნიტეტი". მეფის ლაშქრით უზრუნველყოფა მათ ფუნქციებს გასცდა. ცხადია, სამხედრო რეფორმის გატარების დროს ერეკლე II ხელმძღ-

ვანელობდა ქართულ ენაზე ნათარგმნ საარტილერიო სახელმძღვანელოთი და პეტრე I-ის „სამხედრო წესდებით“.

ფეოდალური ლაშქრიდან მუდმივ სამხედრო ძალებზე გადასვლა ცვლილებებს, ბუნებრივია, საბრძოლო ხელოვნებაშიც გამოიწვევდა. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა, აკ. კლიმიაშვილის მიერ გამოქვეყნებული ერეკლე II-ის წერილი ვინმე გურგინასადმი:

„... შენ ხომ იცი, ჩვენ ჯარში ყოფნა როგორ გვინდა. ჩვენი სარქარდრობა აქამან ამას სიჯავს: თუ ისინი გამოვიდნენ და ომი მიუხდესთ, თქვენ მინდორზე შებმას ეცადენით. კინკლაობასა და იმათსავით თოფების მიშველებასა და ისე შებმას დაეხსენით. თქვენ ერთად თქვენის ძალით ღვთით, მიაწექით და ზარბაზნები წინ მიიძღვანეთ. ქვეითი კაცი იბრეიმ ხანსაც ბევრი ეყოლება, ცხენიანიც რომ დააქვეითოთ და ისე მიხვდეთ, ზარბაზნებიც წინ მიიმძღვაროთ და ომი ზარბაზნებს დააცადოთ. ჩვენი გონება ამას უმჯობესად ხედავს, რომ ღვთით ამ გზით შეებათ. ჩვენ ეს სიტყვა მირზა გურგინასაც დავაბარეთ, რომ იბრეიმ ხანს მოახსენოს და ეხლა, გურგინ, შენთვისაც ეს მოგვიწერია. თქვენ რომ არ აუჩქარდეთ, დააცალოთ, ისინი თქვეზე მოიყვანოთ და თქვენ იმათზე არ მიხვიდეთ – ასე სჯობს, რომ ისინი თქვენზე მოსვლით დაღალოთ და ღვთით იმ დაღალულს ერთიანად შეებათ; ისინი აქეთ-იქიდამ ტანებას დაგიწყებენ, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქმთ, ისინი ამაში დაიღალვიან, მასუკან ერთიანათ მიაწევით და ღვთით თან გაიტანთ“.

ერეკლე II-ის ამ საბრძოლო დარიგებიდან ჩანს, რომ წარსულს ბარდებოდა შუა საუკუნეების ხმალდახმალ ბრძოლის ტაქტიკა. ჩანს, რომ ცხენოსანი ჯარით შეტევა უგულვებელყოფილია ქართველი მეფის მიერ. გადამწყვეტი უპირატესობა ქვეით ჯარსა და არტილერიას ენიჭება. მტრის საარტილერიო დამუშავების შემდეგ ერეკლე II ერთიანი შეტევის რეკომენდაციას იძლევა, რაც თავისთავად მწყობრი შეტევის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ერეკლე II-ს დროინდელი ქართული საბრძოლო ხელოვნება უფრო მეტ მსგავსებას იჩენს ევროპულ საომარ ტაქტიკასთან, ვიდრე შუა საუკუნეების ფეოდალურ ბრძოლებთან.

საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ერეკლე II-ის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმები „ქვეყნის ევროპულად გარდაქმნას“ ემსახურებოდა. ერეკლემ მოახერხა შეექმნა მცირე, მაგრამ სტაბილური სამხედრო ძალები – „მორიგე ჯარი“, საარტილერიო შენაერთი, მეფის მცველთა რაზმი.

აღნიშნული სამხედრო ძალებით მიღწეული მრავალი ათეული ბრძოლის წარმატებით დასრულების მიუხედავად, სამწუხაროდ, ყველა ეს რესურსი არ აღმოჩნდა საკმარისი საქართველოს გარშემო მყოფი იმპერიების აგრესიის მოსაგერიებლად.

გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის სია

1. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, თბ. 1989
2. გ. აკოფაშვილი, რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში, თბ. 1992
3. გ. ანჩაბაძე, "შიდა ლაშქრის" (შიდა სპის) მნიშვნელობის გარკვევისათვის, მიაეხს, I, თბ. 1987
4. გ. ანჩაბაძე, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, (1921 წლამდე) თბ. 2010
5. გ. გამყრელიძე, ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, თბ. 2010
6. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ტექსტი ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1966
7. დ. გოგოლაძე, მსახურთა სოციალური ვინაობის საკითხისათვის, სფხის, VI, თბ. 1990
8. ფარსადან გორგიჯანიძე, "ისტორია", საისტორიო მოამბე, II, 1925
9. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ. 1963
10. ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ. 1965
11. პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ. 2002
12. ე. თაყაიშვილი, ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები, ძველი საქართველო, I, 1909
13. ა. თაბუაშვილი, ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის. თბ. 2010
14. ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ. 2004
15. იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786-926), უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი XIII, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევებით და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ. 1965
16. ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ქუთაისის პედინსტი-

ტუტის შრომები, ტ. IV 1942

17. ს. კაკაბაძე, დიდგორის ომი, თბ. 1982

18. ს. კაკაბაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა. თბ. 1994

19. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ. 1976

20. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები) ტ. IV თბ. 2014

21. ს. მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, ომი სელჩუკური სამყაროს წინააღმდეგ. თბ. 2006

22. ს. მარგიშვილი, შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში, თბ. 2008

23. შ. მესხია დიდგორის ბრძოლა, თბ. 1965

24. შ. მესხია ძლევა საკვირველი, თბ. 1972.

25. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1990

26. დ. მინდორაშვილი, უფლისციხე შუა საუკენეებში, თბ. 2008

27. ჯ. სამუშია, ციხე-სიმაგრეთა აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში, საისტორიო ძიებანი, ტ. X-XI, თბ. 2008

28. ჯ. სამუშია, საქართველოს დიდი ბრძოლები, თბ. 2009

29. საქართველო და ჯვაროსნული აღმოსავლეთი ჟაკ დე ვიტრის ცნობების მიხედვით. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ა. გოგოლაძემ, თ წითლანაძემ. თ. ქარჩავამ, ნ. სილაგაძემ. თბ. 2015

30. სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ. 1941

31. ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი, თბ. 1990

32. ჯ. სტეფნაძე, მეფეთმეფე გიორგი მესამე თბ. 1999

33. სულხან-საბა, თხზულებანი, ტ. IV, თბ. 1966

34. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1966

35. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბ. 1974

36. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ. 1955

37. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ. 1959

38. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ. 1973

39. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ. 2012.

40. მ. ქაფიანიძე, ,,ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის". საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. I (46- B), თბ. 2010.

41. მ. ქაფიანიძე, ,,ქართველ მეფეთა და წარჩინებულთა თოფები". საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. II (47- B), თბ. 2011

42. ივ. შაიშმელაშვილი, შამქორი, ბასიანი. თბ. 1981

43. კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღები. ფარი, , ტ. XVIII- . თბ. 1954.

44. კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი. ჩაჩქანი, , ტ. XIX-A, XX-B. თბ. 1957

45. კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურვლის ჯაჭვი, სსმმ, ტ. XIX-B, თბ. 1959

46. კ. ჩოლოყაშვილი, მ. ქაფიანიძე, ,,ქართული საჭურველი".

47. ეთნოლოგიური ძიებანი, კრებული, ტ. IV, თბ., 2010.

48. ქ, ჩხატარაიშვილი, უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში, კრბ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ. 1966

49. ქ. ჩხატარაიშვილი, ივ. შაიშმელაშვილი, „დიდგორის ბრძოლა," თბ. 1973

50. ქ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ. 1979

51. მ. წურწუმია, წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარ-

ტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება, საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბ. 2011

52. მ. წურწუმია, საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, I, თბ. 2013

53. გ. ჯაფარიძე, ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი, კრ. „დავით აღმაშენებელი" თბ. 1990

54. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო თბ. 1995

55. გ. ჯაფარიძე, ძიებანი, I, თბ. 2012

56. ივ. ჯავახიშვილი თხზ. ტ. VI, თბ. 1982

57. ივ. ჯავახიშვილი თხზ. ტ. VII, თბ. 1984

58. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III-IV, თბ. 1962

59. ი. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან. თბ. 1990.

60. Ала-ал-Дин Ата-Мелик Джувейни, Чингисхан, История Завоевателя Мира, М. 2004

61. В.В. Бартольд, Туркестан в эпоху Монгольского нашествия, Сочинения, т. I, Москва, 1963

62. М. Беннет, Дж. Бредбери, К. Де-Фрай, Йен Дикки, Ф. Джестайс, Войны и сражения Средневековья 500-1500, М. 2008

63. М. Блок, Феодальное Обшество, М.2003

64. П. Виймар, Крестовые походы. Миф и реалность священной войны, Санкт-Петербург, 2008,

65. Н. Горелов, Царствие небесное, Легенды крестоносцев XII-XIII веков. Санкт-Петербург, 2006

66. М. Горелик, Армия Монгол-татар X-XIV веков. Воинское искусство, оружие, снаряжение, М. 2002

67. Г. Дельбрюк, История военного искуства, средневековье, т. III.М. 1938

68. История средних веков, Крестовые походы (1096-1291 гг.), составитель М. М. Стасюлевич. Изд. Полигон, Санкт-Петербург – Москва, 2001

69. А. Комнина. Алексиада, Вступительная статья, перевод, коментарий Я.Н. Любарского, М. 1965

70. Ж. Ле Гофф, Цивилизация Средневекового Запада, Екатеринебург, 2005

71. Г. Мишо, Исторія крестовыхъ походовъ, Часть третія, Повъствованіе о четвертомъ, пятомъ и шестомъ крестовыхъ походахъ, томъ третій, перевелъ съ Французскаго Иванъ Бутовскій, Изданіе второе, Печатано въ Военной Типографіи, Санкт-Петербургъ, 1841

72. Усама Ибн Мункыз, Книга Назидания, XII век, перевод М.А. Салье, под редакцией, со вступительной статьей и примечаниями И.Ю. Крачковского. Государственное Издателство, Петербург-Москва, 1922

73. Жан де Жуанвиль, Книга благочестных речений и добрых деяний нашего святого короля Людовика, Санкт-петербург 2012

74. Ж. Ришар, Латино-Иерусалимское Королевство, Санкт-Петербург, 2002

75. Средневековая Европа глазами современников и историков. Книга для чтения. Часть III. Средневековый человек и его мир. Серия «Всемирная история и культура глазами современников и историков», М., 1994,

76. Ж. Флори, Идеология меча, Санкт-Петербург, 1999

77. Эпоха крестовых походов, под редакцией Э. Лависса и А. Рамбо. Перевод М. Гершензона. Санкт-Петербург, 1999

78. К. Хилленбранд, Крестовые походы, Взгляд с Востока: мусульманская перспектива, Москва-Санкт Петербург

79. Н. Хониат, История со времени царствования Иоанна Комнина, т. I, (1118-1185) Рязан, 2003

80. M. Barber, The Crusader States. Yale University Press, 2012

81. M. Barber, K. Bate, The Templars, Manchester University Press, 2002

82. M. Bauer, Die Tempelritter, Mythos und Wahrheit, München, 1997

83. D. Nicolle, The Crusades, Osprey publishing, 1988

84. D. Nicolle, Arms and Armour of the Crusading Era. 1050-1350. Islam, Estern Europe and Asia. London, 1999

85. D. Nicolle, Crusader Castles in the Holy Land 1192-1302. Osprey Publishing, 2005

86. St. Runciman. Geschichte der Kreuzzüge. München. 1960

87. Lettres de Jacques de Vitry ed. R. B. C. Huygens. Traduit et présenté par G. Duchet-Suchaux, Brepols, 1998

88. A History of The Crusades,Volume IV, The Artand Architecture of the Crusader States,Gen. ed., Kenneth M. Setton, The University of Wisconsin Press, 1977

სარჩევი

შესავალი **3**

თავი I

სამხედრო საქმის ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში *(ა. გოგოლაძე)* 6

თავი II

სამხედრო წრის სოციალური სტრუქტურა *(ა. გოგოლაძე)* 14

თავი III

სამხედრო უწყება და მისი სტრუქტურა *(ა. გოგოლაძე)* 28

თავი IV

ლაშქრის შემადგენლობა *(ა. გოგოლაძე)* 34

თავი V

ლაშქრის გამოყვანის (გაწვევის) წესი *(ა. გოგოლაძე)* 56

თავი VI

სამხედრო ძალების რაოდენობა *(ა. გოგოლაძე)* 69

თავი VII

სამხედრო წვრთნა – ნადირობა, სამხედრო თამაშობები *(ა. გოგოლაძე)* 83

თავი VIII

საბრძოლო იარაღი *(მ. ქაფიანიძე)* 90

თავი IX

ციხე-ქალაქები და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობანი *(ა. გოგოლაძე, ა. ბოშიშვილი)* 117

თავი X

საალყო-საინჟინრო კონსტრუქციები, საბრძოლო მანქანები *(ა. გოგოლაძე)* 146

თავი XI

ციხე-ქალაქის აღების ხერხები *(ა. გოგოლაძე)* 157

თავი XII

ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ეპოქაში *(ა. გოგოლაძე)* 181

თავი XIII

ქართველთა სამხედრო-საბრძოლო თვისებები უცხოური წყაროების მიხედვით *(ა. გოგოლაძე)* 207

თავი XIV

სამხედრო საქმე XV-XVIII საუკუნეების საქართველოში *(ა. თაბუაშვილი)* 217

თავი XV

მუდმივი ჯარის შექმნის პირველი მცდელობები XVIII საუკუნეში *(ა. თაბუაშვილი)* 226

თავი XVI

მორიგე ჯარი, მორიგე ყარაული *(ა. თაბუაშვილი)* 230

თავი XVII

საარტილერიო ბატარეა. ცვილებები სამხედრო ტაქტიკაში *(ა. თაბუაშვილი)* 236

გამოყენებული წყაროების და ლიტერატურის სია 248